

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

იზა ჩანტლაძე

ქართველური ლექსიკის ისტორიიდან

I

თბილისი — ბათუმი — ახალციხე

2012

Arnold Chikobava Institute of Linguistics
Tbilisi Ilia Chavchavadze State University
Batumi Shota Rustaveli State University
Akhaltsikhe State Teaching University

Iza Chantladze


**From the History of Kartvelian
Vocabulary**

I

**Tbilisi – Batumi – Akhaltsikhe
2012**

წიგნი ეძღვნება ჩემი უახლოესი მეგობრებისა და ღირსეული კოლეგების: ზურაბ სარჯველაძის, გურამ კარტოზიას, ვალერი სილოგავას, მიხეილ ქურდიანისა და ჯანრი კაშიას ხსოვნას.

The book is dedicated to the memory of my closest friends and honored colleagues: Zurab Sarjveladze, Guram Kartoziya, Valeri Silogava, Mikheil Kurdiani and Janri Kashia



ჩემი დუმილიც მიითვალეთ თქვენდამი ღოცვად...

წინამდებარე ნაშრომს დამხმარე სახელმძღვანელოს სახით გამოიყენებენ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკისა და ქართველური ლექსიკოლოგიის სალექციო კურსების მსმენელი მაგისტრანტები, დოქტორანტები და ყველა ის პიროვნება, ვისაც ქართველოლოგიაზე გული შესტკივა.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ე ბ ი: **კევის ტუიტი** (მონრეალის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიური დეპარტამენტის პროფესორი, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ეთნოლინგვისტიკის დოქტორი)

შუშანა ფუტკარაძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი)

ქეთევან მარგაიანი-სუბარი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერი თანაშრომელი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი)

რ ე ე ნ წ ე ნ ტ ე ბ ი: **მაია კიკვაძე** (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი)

მაკა ბერიძე (ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი)

ცირა გოგებაშვილი (ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი)

მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი ნ ა ნ ა ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე

ტექნიკური რედაქტორი ლევან ვაშაქიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა თინათინ გაბროშვილი

წიგნი დაიბეჭდა ეროვნული კულტურის სკოლა „კაი ყმისა“
და ბიზნესმენ ჯოყოლა ჩეგიალის ფინანსური მხარდაჭერით.

The present work will be used as a supplementary manual for MA and Ph.D. students of the kartvelological lexicology and comparative grammar of the Kartvelian languages at the faculties of humanities and for all those, who are concerned about kartvelology.

E d i t o r s: **Kevin Tuite** – Professor of the Anthropologic Department at the Montreal University and Head of the Department of Caucasiology at the Jena Friedrich Schiller University, Ph.D. in Ethnolinguistics

Shushana Putkaradze – Emeritus-Professor, Ph.D. in Philology of the Batumi Shota Rustaveli State University

Ketevan Margiani-Subari – Associate Professor at the Tbilisi Ivane Javakhishvili State University, a Scientific Fellow at the Arnold Chikobava Institute of Linguistics, Academic Doctor of Philology (Ph. D.)

Reviewers: **Maya Kikvidze** – Associate Professor at the Batumi Shota Rustaveli State University, Academic Doctor of Philology (Ph. D.)

Maka Beridze – Associate Professor at the Akhaltsikhe Teaching State University, Academic Doctor of Philology (Ph. D.)

Tsira Gogebashvili – Academic Doctor of Philology (Ph. D.).

Translator Nana Kavtaradze

Technical editor Levan Vashakidze

IT support Tinatin Gabroshvili

The book has been published with the financial support of National Culture School "**Kai Kma**" and businessman **Joqola Chegiani**.

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნზე მუშაობა დავიწყე ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩემი უახლოესი მეგობრები და ღირსეული კოლეგები — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში, ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ზურაბ სარჯველაძე**, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართველოლოგიური პრობლემეტიკის ლაბორატორიის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული შოთა რუსთაველის პემის ტექსტის დამდგენი კომისიის სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **გურამ კარტოზია**, ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ვალერი სილოგავა**, გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ლინგვისტიკის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **მიხეილ ქურდიანი** და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, პარიზის ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **ჯანრი კაშია** — ცოცხლები იყვნენ. მიხაროდა ამ ბრწყინვალე პროფესორების ამქარში ყოფნა, მათთან დაუსრულებელი კამათი ქართველოლოგიის ურთულეს პრობლემებზე, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ თეორეტიკაში, ძირითადად, მსგავსი შეხედულებები გვქონდა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში „დაუნდობლად ვესხმოდით თავს“ ერთმანეთს ამა თუ იმ ახალი ეტიმოლოგიის წარმოდგენისას.

სამწუხაროდ, ხუთივე უძვირფასესი მეგობარი მოულოდნელად გამომეცალა ხელიდან და **დავრჩი უიმათოდ** — სრულიად მარტო. „ორგემგე“ წუთისოფლის ელდამ ლამის საწოლს მიმაჯაჭვა... ყველაზე მეტად კი ის მიხეტქდა გულს, რომ წიგნი, რომელშიც წარამარა ვეხმეიანებოდი მათ

ნააზრევს, დაუმთავრებელი მრჩებოდა. სწორედ ამ დროს „მფარველ ანგელოზებად“ მომეკვლინენ ბათუმელი მეგობრები — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი აკაკი ბერიძე და ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი ეთერ ბერიძე, რომლებმაც ქობულეთში იდეალური პირობები შემიქმნეს „ქართველური ლექსიკის ისტორიის“ პირველი მონაკვეთის დასამთავრებლად.

გულწრფელი მადლიერება მინდა გამოვხატო ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, სრული პროფესორის ალექო ბაკურიძისა და ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, სრული პროფესორის მერაბ ბერიძის მიმართ მონოგრაფიაზე მუშაობისას გამოვლენილი თანადგომისათვის.

ულრმესი მადლობა ყველა ჩემს მეგობარს — ყოფილსა თუ ახლანდელს; აგრეთვე, ამ წიგნის რედაქტორებს, რეცენზენტებსა და მთარგმნელებს — ტერიტორიულად ძალზე დაშორებულთ თუ ახლობელთ — დიდი ღვაწლისათვის! სიკეთის მადლი არასდროს მოგაკლოთ ღმერთმა არც ერთ თქვენგანს!

არ შემიძლია საგანგებოდ არ გამოვყო მოკრძალებული სამადლობელი უნიჭიერესი კავკასიოლოგის, პროფესორ კევინ ტუიტისადმი ჩემი ნაშრომის მაღალმეცნიერული წინასიტყვაობის შექმნისათვის.

ყველა ქემბარიტ ქართველ მამულიშვილს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ „მეგრულ-ლაზური ქართული ენის გულია, სვანური კი — გულის-გული“ (ჯანრი კაშია)...

მარად და მარად და მარადის იქითაც
თქვენი ერთგული იზაჩანტლაძე

1-5 დეკემბერი, 2012 წელი

Foreword

I have undertaken working on the present book then when my close friends and honorable colleagues – a Corresponding Member of the Georgian Academy of Sciences, Vice Rector of the science section of the Tbilisi Sulkhani-Saba Orbeliani State Pedagogical University, a Head of the Chair of the Old Georgian at the Tbilisi Ivane Javakhishvili State University, Doctor of Philological Sciences Mr **Zurab Sarjveladze**, a Head of the laboratory for the Kartvelologic Problematics at the Tbilisi Sulkhani-Saba Orbeliani State Pedagogical University, a secretary of a Studying Commission on the text of Shota Rustaveli's poem at the Presidium of the Georgian Academy of Sciences, Doctor of Philological Sciences Mr **Guram Kartoia**, Associate Professor of the Tbilisi Ivane Javakhishvili State University, a Head of the Chair of the History of Georgia at the Akhalsikhe State University, Doctor of History Sciences Mr **Valeri Silogava**, President of the Gelati Academy of Sciences, a Head of the General Linguistics Department at the Arnold Chikobava Institute of Linguistics, Doctor of Philology Sciences Mr **Mikheil Kurdiani** and a Honorary Member of the Academy of Sciences of Abkhazia, Director of the Paris Ilia Chavchavadze Georgian-European Institute, Professor **Janri Kashia** were alive. I was happy being among these great professors, unending arguing on the complex kartvelologic problems as although having similar views on theoretics, in each concrete case we "mercilessly attacked" each other during presenting of any new etymology.

Unfortunately, these five dearest friends suddenly were lost by death and I remained without them – all alone. This earthly life nearly chained me to a bed... But one fact was breaking my hurt: the book in which I was keeping in touch with their ideas was unfinished. Just at this time Batumian friends – Doctor of Medical Sciences, Emeritus-Professor of the Shota Rustaveli State University Mr **Akaki Beridze** and Academic Doctor of Philology **Eter Beridze** who had created ideal conditions in Kobuleti for finishing the first part of the "History of the Kartvelian vocabulary" – appeared as "guardian angels".

I'd like to express my sincere gratitude to the Rector of the Batumi State University, Academician of the Georgian Academy of Medical Sciences, Doctor of Medical Sciences, Full Professor **Aleko Bakuridze** and Rector of the Akhalsikhe State Teaching University, Doctor in Philology, Full Professor **Merab Beridze** for supporting.

Deepest thanks to all my former and current friends; also to the editors and reviewers of the book who are territorially far and near, for great deeds! Let the grace of God's kindness always be with you!

I'd like to express especially my humble gratitude to talented caucasiologist, Professor Kevin Tuite for creating a high-scholarly foreword for my work.

All true Georgian patriot should remember that "**Megrelian-Laz is a heart of Georgian, Svan is a heart of hearts**" (Janri Kashia).

Forever and forever and forever there
your faithful Iza Chantladze

1-5 December, 2012

Editor's foreword

Etymology is like poetry. Both combine art, technique and elegance. Both require erudition, discipline, patience, self-criticism, and that indefinable gift one might call "flair". Like poetry, etymology is an ancient practice, going back to the dawn of linguistics (one recalls the word origins — some reasonable, others absurd and even comical — proposed in Plato's *Cratylus*). Also like poetry, etymologies are still produced in abundance today, and still incite passionate debate. Poetry and etymology are easy to do poorly, and extremely difficult to do well! As readers will determine for themselves, the essays in the present collection are the work of someone who does etymology well.

Although Kartvelian is a small language family, with only four members and no proven relatives either in the Caucasus region or elsewhere, it has been the object of etymological speculation for well over two centuries. (Readers should recall that Güldenstädt identified the Kartvelian family in the early 1770s, over a decade before William Jones' celebrated discourse on Indo-European affinities). The origins of Georgian, Svan and Laz-Mingrelian words have drawn the attention of ingenious philologists, ambitious pre-historians, undisciplined dilettantes with outlandish theories, and the likes of Nikolai Marr (who could be said to have belonged to all three of the preceding categories simultaneously). Since at least the time of Tzagareli, Kartvelian etymology has been practiced with a methodological rigor comparable to that employed in Indo-European linguistics. But the field has also been the venue for intense debates over the fundamental principles of language contact and change (Marr's hypotheses about sociolinguistic variation and language hybridity; Chikobava's insistence that the Neogrammarian doctrine of exceptionless sound laws be modified to accommodate the special circumstances of the Caucasian languages), and over the extent to which Kartvelian etymology should be influenced by presuppositions about deeper genetic affinities (recall Javakhishvili's and Chikobava's quests for the vestiges of East-Caucasian-like class prefixes in Kartvelian).

With the publication of Karl-Horst Schmidt's *Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache* (1962), Klimov's etymological dictionary (1964), and Gamkrelidze and Machavariani's *sonant'ia sist'ema da ablaut'i kartvelur enebši* (1965), the field seemed at first glance to have turned its back on Marrist speculation about language mixing, Chikobava's Ibero-Caucasianism and the alternative "Nostratic" theory according to which Kartvelian is genetically related to Indo-European and several other Eurasian language families. In each of the three works, and in the etymological dictionaries produced

more recently by the team of Zurab Sarjveladze and Heinz Fähnrich, Kartvelian was treated as an essentially closed linguistic system, within which etymologies were constructed on the basis of Kartvelian data exclusively. But it could be said that external factors were not in fact entirely excluded from consideration. The attribution of a third series of sibilant fricatives and affricates to Proto-Kartvelian by Klimov, Fähnrich and Sarjveladze brings the ancient Kartvelian consonant inventory closer to that of West Caucasian. The system of vowel alternations reconstructed by Gamkrelidze and Machavariani, featuring zero, reduced and lengthened ablaut grades, bears more than a coincidental resemblance to that of Indo-European.

The challenge for the newer generation of etymologists is to think outside the box about Kartvelian etymology, pushing against the heavy hand of the academic authorities of the recent and more remote past, without compromising the rigor, methodological restraint, flair and elegance requisite for quality work. In the two dozen chapters on Kartvelian etymology and onomastics which Iza Chantladze offers us, the principal problem areas in Kartvelian historical linguistics come repeatedly to the forefront. I will list some of them here, and leave to readers the pleasure of finding out for themselves how Iza deals with them.

1. The appearance nearly a half-century ago of the above-mentioned monographs by Schmidt, Klimov and Gamkrelidze and Machavariani contributed to the coalescence of what could be called a post-Chikobava consensus on Kartvelian. Specialists adopted a methodological agnosticism with regard to long-range genetic affiliations: data from outside of the language family are not, in principle, to be considered when reconstructing Kartvelian proto-forms. A consensus also formed with regard to the internal history of Kartvelian, according to which Svan was the first to separate from the ancestral language community, leaving a Georgian-Zan branch. As a consequence, lexemes with cognates in Georgian and Mingrelian and/or Laz, but not in Svan, have been attributed (provisionally) to Common Georgian-Zan, rather than Proto-Kartvelian. Nonetheless, older hypotheses continue to be advocated, sometimes quite vigorously, in present-day Kartvelian and Caucasian linguistics. The Ibero-Caucasian theory still finds support (mainly among Georgians), and the rival Nostratic hypothesis has attained doctrinal status among "long-range" comparativists in Russia, the USA and elsewhere. Some linguists have also maintained that Georgian, rather than Svan, is the outlier within Kartvelian, and therefore that a "Svan-Zan" branch can be postulated. The persistence of these rival hypotheses, in my opinion, ought to serve as a stimulus for serious and thorough reconsideration of the Schmidt-Klimov-Machavariani standard view. Such an exercise will, in all likelihood, strengthen the arguments in support of the consensus, but could also lead to some important revisions.

2. One topic which most certainly merits reconsideration is the question of the sibilant inventory of early Kartvelian. In his 1962 dissertation, Schmidt reconstructed a system quite close to that of modern Zan (Laz-Mingrelian), with hissing (*sisina*) and hushing (*šišina*) series of fricatives and affricates, as well as a third series comprising clusters of hushing sibilant + velar stop. At the same time, Klimov and Machavariani formulated a quite different hypothesis, according to which Proto-Kartvelian had three distinct series of sibilants: hissing, hushing and an intermediate “hissing-hushing” (*sisina-šišina*) series. The Klimov-Machavariani reconstruction has since achieved quasi-canonical acceptance, having been adopted in the etymological dictionaries of Sarjveladze and Fähnrich, as well as numerous works on Kartvelian historical linguistics by Georgian and foreign specialists. Schmidt’s alternate proposal has been effectively shunted aside. Like Iza, I believe that the time has come to reopen discussion on the phonology of early Kartvelian, and give the Schmidt reconstruction — which has the merit of not requiring a sibilant series unattested in any Kartvelian language — its day in the court of linguistic opinion. Also to be discussed would be the puzzling cognate sets in which Georgian /c’/ or /č’/ corresponds to Svan /h/ or zero (e. g. Geo /-c’vd-/ , Sv /-hwd-/ “grant, give”), as well as the participial prefixes with initial /s-/ in Georgian, /l-/ in Svan, and zero in Zan. Fähnrich raised the possibility that these correspondences derived from lateral obstruents of some kind (which he symbolizes */L/ and */l’/ respectively). Needless to say, this discussion will also have consequences for the investigation of ancient areal or even genetic connections with the East and West Caucasian families, Indo-European, and possibly other language groups (as the maverick comparativist Alexis Manaster-Ramer observed on several occasions).

3. The art of etymology draws upon a diversified toolbox of skills, instincts and tricks. One sign of refined, elegant technique is knowing what tools to use on which problems, and how to demonstrate appropriate constraint when doing so. This is particularly evident when etymologists confront lexical domains where expressive phonosemantics or irregular sound changes are likely to play a role. We all know of cases where sound symbolism, metathesis and the like are excessively and abusively invoked in support of weak or improbable etymologies (Nikolaev & Starostin’s “North Caucasian dictionary” is full of cautionary examples). Those interested in the issue of irregular sound change will profit from several case studies in the chapters to follow (for example, Iza’s discussion of metathesis with respect to Georgian /t’q’rp’-el-/ < /brt’q’-el/ “flat”).

4. One further matter that deserves to be looked at afresh is ablaut. The question of vowel alternations in Kartvelian has of course been discussed in dozens of publications, culminating in Gamkrelidze and Machavariani 1965. The appearance of this magisterial study has had the somewhat unfortunate side-effect

of channeling discussion of ablaut toward the types of alternation which feature most prominently in the book: morphophonologically-conditioned vowel syncope; the alternation *e/i* (most commonly observed in the conjugation of certain verb types); and, of course, the controversial issue of whether the phonemic opposition of short and long vowels characteristic of some Svan dialects was inherited from a similar quantitative distinction in Proto-Kartvelian. Far less attention has been paid to the evidence of a contrast between a-grade and e-grade verb roots. Already in the 1940s and 1950s, Topuria, Shanidze and Vogt wondered if the Old Georgian verb pair /*qed*/ “come, go” and /*qad*/ “make X come or go” might betoken an ancient opposition between e-grade intransitives and a-grade transitives, at least for a small class of verb roots. In the following chapters, Iza looks at several intriguing instances of a/e vowel alternations, as well as a possible case of three-way qualitative contrast (comparable to the a/e/i vocalism manifested by the Georgian root /*čvn*-/ “appear, be visible”).

Before turning the stage over to the author of this collection, I would like to point to one aspect of her career as a linguist that is inseparable from her skills as an etymologist: Iza’s commitment to fieldwork. Many are aware of her formidable skills as linguist and lexicographer, but it should not be forgotten that she has played an important role in bringing new data to light, to complement the enormous quantities of lexical and grammatical material already collected. Readers of the present volume will discover hitherto unknown information from the Choluri speech varieties of Lower Svaneti – now recognized as a distinct dialect of Svan – as well as the fascinating varieties of Svan spoken in the Kodori valley of Abkhazia until the Russian-Georgian war of 2008, when the Georgian population was driven out. Iza’s etymologies are likewise informed by data from Georgian dialects, including some spoken in Turkish territory that have only recently been described. I sincerely hope that others will find the experience of reading these chapters as interesting and educational as it was for me.

Kevin Tuite

Professor of Anthropology at the University Montreal,
Head of the Department of Caucasiology
at the Jena Friedrich Schiller University,
Ph.D. in Ethnolinguistics

რედაქტორის წინასიტყვაობა

ეტიმოლოგია პოეზიას ჰგავს: ორივე მათგანი აერთიანებს ხელოვნებას, ტექნიკასა და ტაქტიკას. ორივე მოითხოვს განსწავლულობას, დისციპლინას, მოთმინებას, თვითკრიტიკას და ეს ყველაფერი განუსაზღვრელი ჩილდოა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „ალო“ როგორც პოეზია, ეტიმოლოგიაც უძველესი დარგია, რომელიც ენათმეცნიერების გარიჟრაჟიდან იღებს სათავეს (იკვლევდნენ სიტყვის წარმომავლობას — ზოგს საფუძვლიანად, ზოგს აბსურდულად და ზოგჯერ კომიკურადაც — მაგალითად პლატონის „კრატილოს“ში). როგორც პოეზია, ეტიმოლოგიებიც მრავლად იქმნება დღესდღეობით და მაინც ჯერ კიდევ იწვევს ცხარე დებატებს. ადვილია პოეზიისა და ეტიმოლოგიის ცუდად „კეთება“ და მეტად ძნელია მათი კარგად „კეთება“. როგორც თავად მკითხველები განსჯიან, **წინამდებარე მონოგრაფიაში შეტანილი წერილები წარმოადგენენ იმ ადამიანის ნაშრომს, ვინც ეტიმოლოგიას კარგად „აკეთებს“**

მიუხედავად იმისა, რომ ქართველური პატარა ენობრივი ოჯახია (სულ რაღაც ოთხი წევრითა და არც ერთი დადასტურებული ნათესავით არც კავკასიის რეგიონში და არც სადმე სხვაგან), ის მუდამ იყო განსჯის საგანი დაახლოებით ორი საუკუნის განმავლობაში (მკითხველი გაიხსენებს, რომ გიულდენშტედტმა გამოავლინა ქართველური ოჯახი XVIII საუკუნის სამოცდაათიან წლებში — ათი წლით ადრე უილიამ ჯოუნსის ცნობილ მსჯელობამდე ინდოევროპულ ენებთან ნათესაობის შესახებ). **ქართული, სვანური და მეგრულ-ლაზური სიტყვების წარმომავლობამ მიიპყრო გამჭრიახი ფილოლოგების, ამბიციური პრეისტორიკოსებისა და არადისციპლინირებულ დილეტანტთა ყურადღება, წამოაყენებინა მათ უცნაური თეორიები და რაღაც მსგავსი ნიკო მარისეული (რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ მიეკუთვნებოდა ყველა ზემოჩამოთვლილ კატეგორიათა რიცხვს). ალექსანდრე ცაგარელის დროიდან მოყოლებული, ქართველური ეტიმოლოგია „გამოიცადა“ მეთოდოლოგიური სიზუსტით და იგი შედარებულ იქნა ინდოევროპულთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს სფერო კვლავ დარჩა ენობრივი კონტაქტებისა და ცვლილებების ფუნდამენტურ პრინციპებზე ინტენსიური დებატების ადგილად (ნიკო მარის ჰიპო-**

თეზები სოციოლინგვისტური ვარიაციებისა და ენობრივი ჰიბრიდულობის თაობაზე, არნოლდ ჩიქობავას დაუინებელი მოთხოვნა, რომ ბგერათა წესების უგამონაკლისობის ნეოგრამატიკული დოქტრინა უნდა გადაიხედოს, რათა იგი მოერგოს კავკასიური ენების სპეციფიკურ მოვლენებს) იმ ტენდენციით, რომ ქართველურ ეტიმოლოგიაზე გავლენა უნდა მოახდინოს წინასწარმა ვარაუდებმა ღრმა გენეტიკური ნათესაობის შესახებ (გაიხსენეთ ივანე ჯავახიშვილისა და არნოლდ ჩიქობავას კვლევები ქართველურ ენებში აღმოსავლეთკავკასიურის მსგავსი კლას-პრეფიქსების ნაკვალევით).

რაც შეეხება კარლ ჰორსტ შმიდტის ნაშრომს "Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundspache" (1962 წ.), გიორგი კლიმოვის ეტიმოლოგიურ ლექსიკონს (1964 წ.), თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის „სონანტთა სისტემას და აბლაუტს ქართველურ ენებში“ (1965 წ.), ერთი შეხედვით ჩანდა, თითქოს მათ ზურგი შეაქციეს მარისეულ მოსაზრებას ენათა შერევის შესახებ, არნოლდ ჩიქობავას იბერიულ-კავკასიურ და ალტერნატიულ „ნოსტრატულ“ თეორიას, რომლის მიხედვით, ქართველური ენები გენეტიკურად ენათესავებიან ინდოევროპულ და რამდენიმე სხვა ევრაზიულ ენათა ოჯახს. თითოეულ ამ ნაშრომში და, ასევე, ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში, რომლებიც გამოქვეყნდა ზურაბ სარჯველაძისა და ჰაინც ფენრიხის თანაავტორობით, ქართველური ენები განხილულია როგორც დახურული ლინგვისტური სისტემა, რომლის შიგნით ეტიმოლოგისტები იზრდებიან მხოლოდ ქართველური მონაცემების ბაზაზე; მაგრამ უნდა ითქვას, რომ გარე ფაქტორები მთლიანად არ უნდა გამოირიცხოს მხედველობიდან. გ. კლიმოვის, პ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის მიერ შესამე სერიის სიბილანტი ფრიკატებისა და აფრიკატების მიკუთვნება პროტოქართველურისთვის უძველეს ქართველურ თანხმომთან ინვენტარს აახლოებს დასავლეთ კავკასიურთან. ხმოვანთმონაცვლეობის სისტემა, რომელიც აღდგენილ იქნა თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მიერ ნულოვანი, მოკლე და გრძელი აბლაუტის საფუძვლებით, უფრო მეტს ადასტურებს, ვიდრე შემთხვევითი მსგავსებანი ინდოევროპულთან.

ახალი თაობის მკვლევართა გამოწვევა ის არის, რომ ისინი უნდა გასცდნენ ქართველური ეტიმოლოგიის ფარგლებს; ამიტომ მათ წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ ახლო და შორეული წარსულის აკადემიურ ავტო-

რიტეტი „მიმე ხელს“ ისე, რომ ხარისხიანი ნაშრომისთვის არ უგულვებელყოფილნი მეთოდოლოგიური საზომები, ალღო და ტაქტიკა. იმ თავებში, სადაც პროფესორი იზა ჩანტლაძე ეხება ქართველურ ეტიმოლოგიასა და ონომასტიკას, წინაა წამოწეული ქართველური ისტორიული ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემური არეალები. მე მხოლოდ დავასახელებ რამდენიმეს, დანარჩენს კი მკითხველებს დავუტოვებ, რათა მიეცეთ საშუალება, თავად აღმოაჩინონ, თუ როგორ განიხილავს მათ ქალბატონი იზა:

1. თითქმის ნახევარი საუკუნის წინ კ. შმიდტის, გ. კლიმოვის, თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ზემოხსენებული მონოგრაფიების გამოჩენამ დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რასაც შეიძლება ეწოდოს პოსტ-ჩიქობავასეული კონსენსუსი ქართველურ ენებთან მიმართებით. სპეციალისტებმა აღიარეს შორეული გენეტიკური ნათესაობის მეთოდოლოგიური აგნოსტიციზმი — ენობრივი ოჯახის გარეთა მონაცემები პრინციპულად არ მიიჩნევა ქართველური პროტოფორმების რეკონსტრუირებისას. კონსენსუსი ჩამოყალიბდა, აგრეთვე, ქართველურის შიდა ისტორიასთან დაკავშირებით, რის მიხედვითაც სვანური იყო პირველი, რომელიც გამოიყო ერთიან ენობრივ ოჯახს და დატოვა ქართულ-ზანური შტო. ამის შედეგად მონათესავე ლექსემები ქართულსა და მეგრულ-ლაზურში (მაგრამ არა სვანურში) მიაკუთვნეს (პირობითად) ქართულ-ზანურ ერთიანობას და არა პროტოქართველურს. მიუხედავად ამისა, ძველ ჰიპოთეზებს კვლავ მხარს უჭერენ — ზოგჯერ აქტიურადაც დღევანდელ ქართველურ და კავკასიურ ენათმეცნიერებაში. იბერიულ-კავკასიურ თეორიას ჯერ კიდევ აქვს მხარდაჭერა (განსაკუთრებით ქართველებში), ხოლო „მეტოქე“ ნოსტრატულმა ჰიპოთეზამ დოგმატის სტატუსი შეიძინა მრავალრიცხოვან კომპარატივისტებს შორის რუსეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვაგანაც. ზოგმა ენათმეცნიერმა ისიც კი დაამტკიცა, რომ ქართული (და არა სვანური) არის „აუთსაიდერი“ ქართველურ ენებს შორის და ამდენად „სვანურ-ზანური“ შტო შეიძლება პოსტულირდეს. ჩემი აზრით, ამ საპირისპირო ჰიპოთეზების არსებობამ სტიმული უნდა მისცეს იმას, რომ შმიდტი-კლიმოვი-მაჭავარიანის თვალსაზრისი უფრო სერიოზულად და გამოწველივით გადაიხედოს. ალბათ, მხოლოდ ასეთი მიდგომა გააძლიერებს კონსენსუსის მხარდამჭერ არგუმენტებს, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ამას მოჰყვეს მნიშვნელოვანი ხელახალი განხილვები.

2. თემა, რომელიც ნაწილობრივ იმსახურებს ხელოვნულად გადასინჯვას, ვახლავთ ადრეული ქართველურის სიბილანტთა. საკითხი, კ. შმიდტმა თავის დისერტაციაში (1962 წ.) აღადგინა სისტემა, რომელიც ძალიან ახლოს დგას თანამედროვე ზანურთან (მეგრულ-ლაზურთან) სისინა და შიშინა ფრეკატ-ფრეკატებითა და მესამე სერიით (შიშინა სიბილანტი + ვლარული თანხმოდანი). ამავე დროს, გ. კლიმოვა და გ. მაჭავარიანი ჩამოაყალიბეს აბსოლუტურად სხვა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც, პროტოქართველურს ჰქონდა სიბილანტთა სამი განსხვავებული სერია — სისინა, შიშინა და შუალედური „სისინა-შიშინა“. კლიმოვა-მაჭავარიანის ჰიპოთეზა აღიარეს კვაზიკანონიკურად მას შემდეგ, რაც იგი შეტანილ იქნა როგორც სარჩვეულაქვ-ფენიხის ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში, ისე ქართველი და უცხოელი სპეციალისტების ბევრ ნაშრომში ქართველური ისტორიული ენათმეცნიერების შესახებ. კ. შმიდტის ალტერნატიული წინადადება ფაქტიურად განზე იქნა გაწეული. როგორც ქალბატონ იზას, ასევე მეც მჯერა, რომ უკვე დადგა დრო, დაიწყოს დისკუსიები ადრეული ქართველური ფონოლოგიის შესახებ და მივიჩინოთ კ. შმიდტის რეკონსტრუქციას (სიბილანტთა და უკანაენისმიერ თანხმოდანთა კომპლექსების დაუდასტურებლობის საჭიროებას ნებისმიერ ქართველურ ენაში) თავისი ადგილი ენათმეცნიერთა აზრის სამსჯავროზე. უნდა განვიხილოთ იქნეს გარკვეული ნათესაური კომპლექსი, რომელშიც ქართული /c/ და /č/ შეესაბამება სვანურ /h/-ს და -θ (ქართ. /-c'vd/, სვან. /-hwd-/). ეს ეხება მიმდებარე პრეფიქსსაც /s-/ თავკიდურით ქართულში, /l/-თი სვანურში და θ-თი ზანურში. 3. ფენიხმა დაუშვა შესაძლებლობა, რომ ეს შესატყვისობანი მიღებულია გარკვეული სახის ლატერალებისგან (რომლებსაც იგი სიმბოლურად გამოხატავს შესაბამისი */L/ და */l/ გრაფემებით). რა თქმა უნდა, დისკუსია გამოიღებს შედეგებს როგორც უძველესი არეალების, ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიურ ოჯახებთან, ინდოევროპულთან და შესაძლოა სხვა ენობრივ ჯგუფებთან გენეტიკური კავშირების შესწავლისათვის (კომპარატივისტმა ალექსი მანასტერ-რამერმა დაათქსირა ამის რამდენიმე შემთხვევა).

3. ეტიმოლოგიის ხელოვნება ეფუძნება გამოცდილების, ინსტინქტებისა და ხერხების საშუალებებს.

ერთ-ერთი ნიშანი დახვეწილი, ნატიფი მეთოდისა არის იმის ცოდნა, თუ რომელი პრობლემისთვის რომელი მეთოდი გამოიყენო და როგორ აჩვენო შესაბამისი შეზღუდვა. ეს ნათელი ხდება მაშინ, როცა ეტიმოლოგიის მკვლევარი ლექსიკური სამყაროს პირისპირ აღმოჩნდება, სადაც ექსპრესიული ფონო-სემანტიკა და არარეგულარული ბგერათცვლილებები, სავარაუდოდ, ისეთივე როლს ასრულებენ. ყველამ ვიცით ის შემთხვევები, როცა ბგერათა სიმბოლიზმი, მეტათეზისი და მსგავსნი გადაჭარბებულადაა გამოყენებული საექვო თუ სუსტი ეტიმოლოგიების მხარდასაჭერად (ნიკოლაევისა და სტაროსტინის „ჩრდილოკავკასიური ლექსიკონი“ სავსეა მსგავსი მაგალითებით). ვინც დაინტერესებულია არარეგულარული ბგერათცვლილებების საკითხებით, აუცილებლად წაადგება, თუ წაიკითხავს იმ თავებს, რომლებშიც წარმოდგენილია რამდენიმე კვლევა (მაგ. ქალბატონი იზას დისკუსია მეტათეზისზე ქართულ $t'q'rp'-el- / < /br't'q'-el'-$ -თან დაკავშირებით).

4. შემდეგი საკითხი, რომელიც იმსახურებს ახლებურად მიდგომას, არის აბლაუტი. ხმოვანთმონაცვლეობის საკითხი ქართველურში ათობით პუბლიკაციაშია გაშუქებული, რაც დაგვირგვინდა თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის წიგნით (1965 წ.). ამ მაგისტრალური ნაშრომის გამოჩენამ გარკვეულწილად სამწუხარო მიმართულება შეუცვალა აბლაუტზე დისკუსიას ალტერნატიული ტიპებისკენ, რომლებიც უფროა წარმოჩენილი წიგნში (მორფოფონოლოგიურად განპირობებული ხმოვანსინკოპე: e/i -ის მონაცვლეობა ყველაზე ხშირად შესამჩნევია გარკვეულ ზმნათა უღლები-სას). რა თქმა უნდა, მეტად მნიშვნელოვანია სადავო საკითხი — მომდინარეობს თუ არა ზოგიერთი სვანური დიალექტისთვის დამახასიათებელი მოკლე და გრძელი ხმოვნების ფონემური ოპოზიცია პროტოქართველურის მსგავსი თვისობრივად განსხვავებული ოპოზიციიდან? გაცილებით ნაკლები ყურადღება ეთმობა კონტრასტის მტკიცებას $a-$ და $e-$ საფხურთან ზმნურ ძირებში. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 40-50-იან წლებში ვარლამ თოფურისას, აკაკი შანიძესა და ჰანს ფოგტს აინტერესებდათ: შეიძლება თუ არა ძველი ქართული ზმნური წყვილი $/ვედ qed/$ და $/ვად qad/$ ჩაითვალოს უძველეს ოპოზიციად გარდაუვალ $e-$ კლასსა და გარდამავალ $a-$ კლასს შორის მინიმუმ ზმნურ ძირთა მცირე ჯგუფისთვის მაინც? მომდევნო თავში ქალ-

ბატონი იზა განიხილავს როგორც რამდენიმე საინტერესო მაგალითს ა/ე ხმოვანთმონაცვლეობისა, ასევე შესაძლო შემთხვევებს სამგზის თვისობრივი ოპოზიციისა (ა/ე/ო ვოკალიზში გამოამჟღავნა ქართულმა ძირმა **čvɪ** (**ჩან čan/ჩენ čen/ჩინ čin**).

სანამ სცენას წიგნის ავტორს დავუთმობ, მსურს აღვნიშნო მისი, როგორც ენათმეცნიერის, ერთი ასპექტი — რაც განუყოფელია მისი, როგორც ეტიმოლოგიის მკვლევრისაგან: ესაა ქალბატონი იზას ერთგულება საველე სამუშაოებისადმი. ბევრმა იცის მისი შესანიშნავი ალლო, როგორც ენათმეცნიერისა და ლექსიკოგრაფისა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მან დიდი როლი შეასრულა ბევრ ახალ მონაცემთა შუქთმოფენაში, ურიცხვი ლექსიკური და გრამატიკული მასალის შევსება-შეგროვებაში. წინამდებარე ტომის მკითხველი აღმოაჩენს აქამდე უცნობ ინფორმაციას ქვემო სვანეთის ჩოლურული მეტყველების ვარიაციებზე — ახლა უკვე აღიარებულ სვანურ დიალექტზე, ასევე ცოცხალი სვანურის მომხიბლავ მეტყველებაზე აფხაზეთის კოდორის ხეობისა, საიდანაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ქართული მოსახლეობა გაძევებულ იქნა. ქალბატონი იზას ეტიმოლოგიებში ასახულია მონაცემები ქართული დიალექტებიდანაც, განსაკუთრებით კი თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ზოგი მეტყველების ჩათვლით, რაც მხოლოდ ახლახან იქნა გამოკვლეული ეტიმოლოგიური თვალსაზრისით.

გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ ამ წიგნის წაკითხვისას მკითხველები აღმოაჩენენ ბევრ საინტერესოსა და საყურადღებოს ისევე, როგორც თავად მე აღმოვაჩინე.

კევის ტუიტო

მონრეალის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიური დეპარტამენტის პროფესორი, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ეთნოლინგვისტიკის დოქტორი

შესავალი

ქართული ენის სტრუქტურისა თუ ისტორიის კვლევისათვის თხუთმეტსაუკუნოვან ძეგლებთან და დიალექტებთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დანარჩენ ქართველურ ენათა მონაცემებს. „სვანური ენა, ისევე, როგორც მეგრულ-ჭანური, მართალია, პერგამენტზე არაა წარმოდგენილი, მაგრამ ეს არც მას და არც მეგრულ-ჭანურს არ უშლის ხელს, შეინარჩუნოს უძველესი თვისებები, რომლებიც შესაძლოა ოდესღაც საერთო იყო ქართველურ ენათა ყველა წარმომადგენლისათვის, მაგრამ სრულიადაც არ ასახულა წერილობითს ძეგლებში“ (კარპეზ დონდუა).

ნიკო მარის აზრით, "Нельзя ограничиваться одними письменными источниками, памятниками литературного языка, хотя бы с древнейших пор. Живые грузинские говоры сохраняют часто более архаичные явления, чем язык древнейших памятников грузинской письменности" (Март 1910: IX).

ცნობილია, რომ ნებისმიერი ენის ლექსიკა გაცილებით უფრო სწრაფად იცვლება დროსა და სივრცეში, ვიდრე მისი გრამატიკული წყობა ან ფონემატიური სტრუქტურა. ამასთანავე, ყველა ენა მოიცავს ძირითად და ნასესხებ ლექსიკას.

მთავარი კრიტერიუმი, რომლითაც ასე თუ ისე მყარად შეიძლება ვიმსჯელოთ ფუძენიდან მომდინარე ლექსემათა შესახებ, გახლავთ რეგულარულ ფონემატურ კანონზომიერებათა ჩვენება გენეტურად ერთმანეთთან დაკავშირებულ ენებში (თუმცა არც მორფოლოგიური ან ლექსიკური იზოგლოსები უნდა დავივიწყოთ). მასალა, რომელიც, ქართულ-ზანურ-სვანურ შესატყვისობათა გამო, პრექართველურ ენაშიცაა სავარაუდო, დიდი რაოდენობისა არ არის — სულ ათასიოდე ფუძეს ასახელებდნენ სპეციალისტები 1974 წლისთვის (ფოჩხუა 1974: 310); ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ საჩქველადის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ განხილულია 1350-ზე მეტი ძირეული და მორფოლოგიური ერთეულის არქეტიპი (ფენრიხი-საჩქველადე 2000: 31), ხოლო კომპარატივისტული ქართველოლოგიის ჩერჩეობით ბოლო ნაშრომში (Kartwelisches Etymologisches Wörterbuch von Heinz Fähnrich, 2007), სადაც წარმოდგენილია სპეციალურ ლიტერატურაში ადრე არსებული შედარებით სანდო ეტიმოლოგიები ავტორისეულ ახალ მონაცემებთან ერთად, გვხვდება 1700 ერთეულზე მეტი პრაფორმა.

ჩვენი საკვლევი ობიექტის მთავარი მახასიათებელია ქრონოლოგიის „დიდი სიღრმე და შესაბამისი მასალის ობიექტური სიმწირე“ (არაბული 2001: 14), რაც ძალიან ართულებს საენათმეცნიერო საქმიანობას.

ზოგჯერ რეგულარობის მწყობრ სურათს აბუნდოვანებს ენობრივი კოლექტივის ცხოვრებაში მომხდარი ისეთი ცვლილებები, რომლებიც მეტწილად უცნობია მკვლევართათვის (ფოჩხუა 1974: 311). **ჩვენამდე ქართველურ ენათა არც ერთ დიალექტს თავდაპირველი სახით არ მოუღწევია:** „ხანგრძლივმა საერთო ისტორიულმა ცხოვრებამ და არსებობამ საერთო ენაც და მწერლობაც შექმნეს, რაშიც ყველა ქართველური ტომები სხვადასხვა დროს და ერთდროულადაც სხვადასხვა მონაწილეობას იღებდნენ; თვითუღს თავისი წვლილი აქვს შეტანილი ამ საერთო საუნჯეში. ამგვარად შესდგა ერთი საზოგადო სამწერლო-სალიტერატურო და სახელმწიფო ენა. „ქართული“, ვითარცა საერთო სამწერლობო ენა, ხელოვნური ენაა და ამიტომ არის, რომ მას ბევრი რამ აქვს, რაც მეგრულ-ჭანურ-სვანურ-აფხაზურიდან¹ არის დაუნჯებული. ყველაფერს, რაც ქართულშია, მთლად ქართვების, მესხთა და იბერთა ენა-კავების კუთვნილებად ვერ ვიცნობთ. როცა შეიქმნა საზოგადო ენა — ქართული, მანაც, თავის მხრივ, იქონია და ჰქონდა ხოლმე მუდამ განუწყვეტელი გავლენა მეგრულ-ჭანურ-სვანურ-აფხაზურზე“ (ჯავახიშვილი 1914: 15).

ძირითადი ლექსიკური ფონდი (ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები, სხეულის ნაწილების, ცხოველთა, ფრინველთა და მცენარეთა სახელწოდებანი, ბუნების ძირითადი მოვლენების, ქართველი ხალხის მატერიალური თუ სულიერი კულტურის შესაბამისი ლექსემები, ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები, ადამიანის, ფრინველისა თუ ცხოველის საარსებო ყოფასთან დაკავშირებული ზმნები,...) ყველა ქართველურ ენაში, რასაკვირველია, დღემდე იდენტურია ან ფონემატური შესატყვისებითაა წარმოდგენილი, ხოლო დანარჩენი ლექსიკა, თავისთავად ცხადია, ნასესხებია უცხო ენათაგან სხვადასხვა დროს, ზოგი იმდენად არჩაულ წარსულში, რომ გარკვეული კანონზომიერებითაც კია შეპირობებული. „ადვილი სრულებითაც არ არის ნასესხებ სიტყვათა გამოყოფა, მეტადრე, თუ სიტყვა ძველად არის შეთვისებული. ასეთი სიტყვები იმდენად შეეგუებიან ხოლმე ახალ

¹ აფხაზურზე ამჯერად არ ვიმსჯელებთ.

ენობრივ გარემოს, ისე იცვლიან ხშირად ფერს, რომ ისტორიული ძიების გარეშე მათი სადაურობის გარკვევა შეუძლებელია. ლათ. სკალა („კიბე“) კანურში მ-სკალა II ფ-სკალა-ს სახით გვაქვს, გურულში კი მას პწკალა-ს სახე მიუღია, მართალ ქართულ ხიტყვად გამოიყურება: პწკ!.. (ხაზი ჩვენია — ი. ჩ.)... ზოგჯერ ასეთი „უცხოელის“ გამოცნობა თითქმის შეუძლებელი ხდება; მაგრამ ეს არ არის დიდი უბედურება: შედარება თვითმიზანი კი არ არის, არამედ ენის ისტორიის გასარკვევი დამხმარე საშუალება. ამ ფუნქციას ნასესხები მასალაც ისევე შეასრულებს, როგორც საკუთარი სიტყვა“ (ჩიქობავა 1938: IX).

უამრავია მეგრულში, სვანურსა და ლაზურში (ახლა შედარებით ნაკლებად, თურქული ენის ძლიერი გავლენის გამო) ერთიანი სახელმწიფო, სამწერლობო თუ სალიტერატურო ენიდან — ქართულიდან შესული სიტყვები, პირუკუ კი — შედარებით მცირე (მაგალითად: ჭაჭვი, ჭარგვალი, მათხოჯი, ოჭალეში, ოჩოკოჩი, ელარჯი, ჩიქორთული — ზანურიდან, ხოლო კუბდარი, ჭიშღვარი, მახვში, მაჩუბი — სვანურიდან). საზოგადოდ, იმის გარკვევა, ფუძენიდან მომდინარე ლექსიკურ ერთეულთან გვაქვს საქმე, თუ ერთი ქართველური ენიდან სხვა ქართველურ ენაში ნასესხებთან, ზოგიერთ შემთხვევაში მეტად რთულია (ფენრიხი-სარჯველაძე 2000: 28).

ქართველოლოგიის, როგორც ერთ-ერთი ლინგვისტური დისციპლინის, მალამეცნიერულ საფეხურზე აყვანისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ კომპარატივისტული კვლევების საერთაშორისო დონე. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ამომწურავი ემპირიული მასალა. უკანასკნელ წლებში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ მისი პრეზიდენტის აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ხელმძღვანელობით უდიდეს საქმეს ჩაუყარა საფუძველი — მიმდინარეობს ქართული ენის თეზაურუსის შედგენა V საუკუნიდან დღემდე არსებული ტექსტების მიხედვით. იგივე უნდა გაკეთდეს ყველა ქართველური ენის დიალექტებისა თუ კილოკავების მაქსიმალურად სრულ მონაცემთა გასათვალისწინებლად. რასაკვირველია, პრაენისთვის სავარაუდო არქიფორმათა რეკონსტრუქციები, უპირველეს ყოვლისა, მაღალი თეორიული აზროვნების მაჩვენებელია, მაგრამ რომელიმე მათგანზე მსჯელობისას ერთი საილუსტრაციო ფაქტიც რომ დაგვრჩეს ყურადღების მიღმა, მაშინ, რაღა თქმა უნდა, პოზიტიურ შედეგებს ვეღარ მივიღებთ. ასე მაგალითად:

თავის დროზე ნიკო მარმა (Mapp 1936: 146) ერთმანეთს შეუპირის-პირა ქართული **ღრმა**, **ღრმ-ულ-ი** და ლაზური **ღორმა** („ხვრელი, ფართო ნახვრეტი“), შემდგომში (1984: 44, 2007: 495-496) ჰაინც ფენრიხმა ამ მონაცემებს დაუმატა მეგრული **რღომა** („ჩაღრმავებული ადგილი“) < **ღორმა**. კარგი იქნებოდა, გახსენებოდათ სვანური (ლაშხური, ჩოლურული) **მა-ღურ-ღუც**, **ღურ-ღუც** („ღრმა წყალი, მორვეი“) ლექსემები, რომლებიც ქართული ენის ლეიხუმურ დიალექტშიც გვხვდება (შდრ. **ღურ-ღუც-ი**, **ღურ-ღუც-ი**, **ღურ-ღუც-ელ-ი/ღურ-ღუც-ალ-ი**, **ღუ-ღუნც-ი**); მაშასადამე, ზანურ-სვანურ ძირთა ინტერკონსონანტურ პოზიციებში **-ო-** და **-უ-** გვაქვს (ამოსავალი 3 უნდა ყოფილიყო სვანურშიც: ***ღარმა-ა** > ***ღარმ** > ***ღამ** > **ღუმ**; მისი ანალოგიით კი, ალბათ, ***ღარმა-ა** > ***ღარმ** > **ღურმ** > **ღურ**; სუფიქსის დაკარგვის საკომპენსაციოდ ძირისეული ხმოვანი არ დაგრძელებულა). ბუნებრივია, ქართულში, კანონზომიერ ფონემათშესატყვისობათა საკმაოდ მკაცრი, ზუსტი და მოწესრიგებული წესების გათვალისწინებით, უნდა მოველოდეთ **-ა-** ხმოვანს. სამწუხაროდ, თავის დროზე ასეთი მასალა ვერ შენიშნეს და ზოგი თეორიის მიხედვით ზანურისთვის დამახასიათებელი სრულხმოვნობის პროცესი აღმოჩნდა გადამწყვეტი (ჩიქობავა 1942: 129), სხვა შემთხვევაში კი მთავარია **რ** სონანტის ვოკალიზაცია ინტერკონსონანტურ პოზიციაში (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 97-101).

არადა, თუ ტოპონიმის — „დედამიწის ენის“ მონაცემებს გავითვალისწინებთ აღმოჩნდება, რომ არც ერთი ზემოაღნიშნული ვარაუდის დაშვება აუცილებელი არ იყო: მაღალმთიან აჭარაში, სოფელ დაბაძველში, ერთ-ერთ ჰიდრონიმს ეწოდება **ღარამ-ღელ-ე** (ბერიძე 1986: 25), შდრ. იქვე, სოფელ ოლადაურში, ნაკადულის სახელწოდება **ღრმა-ღელ-ე**. მავანი იფიქრებს, იქნებ **ღარამ** ში თურქულ ხმოვანთა სინჰარმონიზმის ასახვააო, მაგრამ არა გვგონია; ეს ძირი ხომ საერთოქართველური მონაცემია, იმ დროისთვის კი ენათა ამგვარი გავლენები ისტორიულად გამორიცხულია. თუ ძველი ქართულის **ღრმ-მ-ად** („ღრმად“) და **ღრმ-მ-ად-ი** („ღრმა, ძნელი“) ფორმებსაც გავითვალისწინებთ, მაშინ აუსლაუტისეული **-ა-**, ალბათ, სუფიქსად ჩათვლება, რომლის მეტათეზისმა მოგვცა **ღარამ** (<***ღარამ-ა**); მაგრამ, თუ მეგრული **რღომა** დან ამოვალთ, მაშინ მოსალოდნელია, რომ ქართულში **-ამ** ფუძის თემატურ მონაცემად ჩავთვალოთ, რომლის კანონზომიერი ფონემატური შესატყვისი იქნებოდა მეგრული **-ომ-**. არც ისაა გამორიცხული,

რომ ქართული **ღრ-ამ-ი**, **ღრ-მ-ულ-ი** უკავშირდებოდეს **ხრ-ამ**საც (შდრ. **ღრამ/ი** — „სიგრძე უსივრცო“ — საბა; და **ღრამ** — „ღრმული, უწყლო ხრამი“ — ჩოლურული სვანური).

რაც შეეხება ლეჩხუმურ-სვანურ **ღუმ-** ძირს, აქ მთავარია **-ა** (< **-ამ**) ხმოვნის ასიმილაციის პროცესი მომდევნო ლაბიალურ თანხმოვანთან. ფშაურ, მოხეურ თუ ქიზიყურ **ღრუმ-ა** (შდრ. სვანურ-ლეჩხუმური) || **ღრამა** ან ინგილოურ **ღრუმ** || > **ღრიმ** მონაცემებში, აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს ფონეტიკა (ასიმილაციის პროცესი და ანაპტიქსური ხმოვანი **ა > უ > გ > ძ**) — ფონოლოგია (უმლაუტი: ***ღრუმ+ი > ღრუმ > *ღრუმ > ღრიმ**).

დღეს შედარებით უკეთესი ვითარებაა კომპარატივისტულ ქართველოლოგიაში წარმატებების მისაღწევად არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. გარდა იმისა, რომ გვაქვს ველზე მუშაობის დიდი გამოცდილება ჩვენს მოწაფეებთან ერთად, ძალზე გვეხმარება დიგიტალიზებული ელექტრონიკის სხვადასხვა მეთოდი თუ ხერხი, ენა-კილოთა ინტერფერენციის პირობებში რაც შეიძლება სწრაფად აღენუსხოთ და დავამუშაოთ ჩვენი ეროვნული საუნჯე. ამჟამად უკვე გვაქვს დიდებული აკადემიური ლექსიკონები როგორც სვანურში (ვარლამ თოფურია, მაქსიმე ქალდანი), ისე მეგრულში (ოთარ ქაჩაია); მალე გამოვა ლაზური ლექსიკონიც, რომლის შემქმნას არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა თითქმის ნახევარი საუკუნე მოანდომა. სამწუხაროდ, ამჯერად ჩვენ ვერ მოვახერხეთ მასში წარმოდგენილ ძირ-ფუძეთა თუ მორფემათა გათვალისწინება (და **ეს**, ბუნებრივია, **ნაკლია ჩვენი მონოგრაფიისა**), მაგრამ, ვიმედოვნებთ, ლაზური საილუსტრაციო მასალის ეტიმოლოგიური ანალიზი ვრცლად იქნება ნაჩვენები „ქართველური ლექსიკის ისტორიის“ მომდევნო მონაკვეთებში.¹

ჯერ კიდევ 1937 წელს გვაფრთხილებდა დიდი ივანე ჯავახიშვილი: „შეცდომებისგან თავის დაცვა ძნელია კავკასიურ ენათა კვლევა-ძიების სფეროში, სადაც ბაბილონის ენათა აღრევის მსგავსს მოვლენას ზედ უად-

¹ წინამდებარე ნაშრომის ძირითადი ნაწილი ელექტრონული სახით მზად იყო ჯერ კიდევ 2003 წელს, თუმცა, ფინანსური პრობლემების გამო, მისი პუბლიკაცია ვერ მოხერხდა. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე გამოცემულ ლექსიკონებში წარმოდგენილი ზოგი ეტიმოლოგია რატომღაც (Sic!) ჩვენსას დაემთხვა, მაგრამ მათზე აქ აღარ მივუთითებთ (ვფიქრობთ, ამის სრული უფლება გვაქვს).

რესად გამართულბებელ გარემობბად ტრანსკრიფციბათ, ტერმინოლოგიისა და თეორიების აღრეეაც ერთვის. არაერთი ეტიმოლოგიის მბგიერ სხვბ განმბრტების წბამოყენებბაც შეიძლებბ, მბგრბმ მბინც იმედი მბჭვს, რომ მოპოვებული შედეგის მთბვბრი ნაწილი, ძირითბდი დებულბბბანი, არ უნდა იყოს მცდბრი; თუნდბც ბედმბ მიმტყუნოს და ჩემი მოლოდინი მომბვბლში არ გამბრთლდეს, მბინც ვფიჭრობ, რომ მხოლოდ ამ მეთოდოლოგიური გზითბ და ამნბირი ენოვბნი მბსბლის ანბლიზით არის იმ მრბვბლსბუყუნოვბნი ამოცბნის გბდბჭრბ შესბძლებელი, რომელსბც კბვკბსიური ენების ბუნებისბ და ნბთესბობის სბკითხი წბრმობდგენს. იმედიბ, მომბვბლში მბინც სხვები პირველი ცდის ბვტორზე უყეთესბდ და დბმბჭერებლბდ შესძლებენ პრობლემის გბშუჭებბს. **თუ ჩემი ნბმუშებვბრი, რომელსბც ამბდენბ დრო და ძბლბ შევბლიე, მეცნიერებბს სბმბსბურბ გბუწვებს, ესეც გბწუული შრომისბთვის ზნებბრიევი გილდო იჭნებბდბ**“ (ჭბვბხიშვილი 1937: XIV).

გენიბლური მეცნიერის ამ მოკრძბლებულ გბნცბბდებბბბ შემბდეგ სხვბ მკვლევრებბმ რბლბ უნდა ვთქვბთ?!

იბერიულ-კბვკბსიურ ენბბბ შორის ქბრთველური ენები ყველბზე უყეთ არის შესწბვლილი ისტორიულ-შედბრებითი მეთოდით. ამ მხრივ გბნსბკუთრებბთ კბრგი მდგომბრეობბბ ქბრთულისბ და ზბნურის ურთიერთობის კვლევის მხრივ. სვბნურის ვითბრებბ უფრო რთულიბ (მბრბბენიძე 1991: 121); თუმცბ, სბმწუხბროდ, „ჭბნურის პოზიციები დლითბდლე სუსტდებბ. ჭბნური მეტყველებბ სბვსებ თურჭული სიტყვებით — დლების, თვეების, რიცხვბბ რიგითი ჭბნური სბხელები სბძებბრი გბმზდბრბ, წელიწბდის ნაწილბბ ლბზური სბხელები აღბრბვიენ იცის“ (ჩიჭობბვბ 1929: VII). „ჭბნური მეტყველებბ კბტბსტროფულ მდგომბრეობბბშიბ... მისი გბჭრობის სბფრთხე დლითბდლე რებლური ბდებბ“ (ჩიჭობბვბ 2008: 579, 590).

უკბნბსკენელ ხბნებში, დვთის წყბლობით, მომბრბვლდნენ ქბრთველოლოგიით დბნტერესებული პირები როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. თითქოს ნელ-ნელბ ფრთებს ისხბმს დიდებული ნიკო მბრის 1911 წლისიეული წინბსწბრმეტყველებბ:

„ბბივლის დიდი ხბნი... ქბრთული და მისი მონბთესბვე მეგრული, ლბზური და სვბნური ენები ევროპბულ მეცნიერთბ კვლევის სბგნბდ შეიქმნებბ (ხბზი ჩვენბბ — ი. ჩ.) და ქბრთული კბთედრების დბბრსებბ ევროპის დიდ ქბლბჭების უნივერსიტეტებში ბუცილებელი შედეგი იჭნებბ ბმისი“ (მბრი 1937: 324).

Introduction

The data of other Kartvelian languages along with 15 century-old monuments and dialects are of greatest importance in researching the structure and history of the Georgian language. "It is true, that Svan like Megrelian-Chan has not been presented on the parchment, but this does not prevent Svan and Megrelian-Chan to preserve the ancient features which in all probability were common for all representatives of the Kartvelian languages but were not reflected in written works". (Karpez Dondua).

According to N. Marr, "One should not limited only by the written sources, literatural works of the ancient time. Living Georgian sayings more mostly preserve archaic picture then the ancient Georgian written works" (Marr 1910: IX).

It is well known, that vocabulary of any language is changed much more rapidly in time and space, then its grammatical and phonetic structures. Herewith, each language has its basic and borrowing vocabulary.

The main criterion, by what one can consider the lexemes originated from a parent language, is to manifest the regular phonetic regularities in the genetically related languages (though neither morphological nor lexical isoglosses should be forgotten). The material due to Georgian-Zan-Svan correspondences, is assumed in pre-Kartvelian language as well, is not of great number – about thousands stems have been listed by 1974 (Pochkhua 1974: 310), in Heinz Fähnrich and Zurab Sarjveladze's "Etymological dictionary of the Kartvelian languages" the archetypes of more then 1350 roots and morphological entries are given (Fähnrich, Sarjveladze 2000: 31), but in the book of comparativistic Kartvelology (*Kartwelisches Etymologisches Wörterbuch von Heinz Fähnrich*, 2007), which represents an author's new data along with relatively reliable etymologies existed in special literature more then 1700 pre-forms are given.

A main characteristic of a research object is "great depth of chronology and objective lack of relevant material" (Arabuli 2001: 14) that complicates the linguistic researching.

Occasionally a consistent picture of regularity is obscured by such changes that took place in a language collective's life and which are mostly unknown for researchers (Pochkhua 1974: 311). **No one dialect of the Kartvelian languages has reached in the original form untill today:** "Long-term common historical life and existence has created common language and literature in which all Kartvelian tribes differently took part simultaneously at various times. Each has made its contribution to this common treasure. In this way one common literary and state language has been created. "Georgian" as a common literary language is an

artificial language and owing to this it has preserved much from Megrelian-Chan-Svan-Abkhazian.¹ Everything that occurs in Georgian, could not be considered as the belonging of the Kartians, Meskhians and Iberians' dialects and sub-dialects. When a common Georgian language has been created in its turn it continuously influenced on Megrelian-Chan-Svan-Abkhazian" (Javakhishvili 1914: 15).

Needles to say, a basic vocabulary stock (the words denoting relatives, parts of a body, names of animals, birds and plants, natural phenomena, relevant lexemes denoting the material and spiritual culture of the Georgian people, pronouns, numerals, the verbs related with a human's life, bird and animal...) in all Kartvelian languages is identical until today or is represented by phonetic correspondences. As for other vocabulary, it goes without saying, it has been borrowed from foreign languages at different times – some of them in such archaic past that even a certain regularity has been preserved.

"It is in no way easy to single out loan words especially then when a word has been entered in ancient times. Such words adapt to new language environment, change their color so assimilated that without historical investigation it is impossible to clear their origin: Lat. *scala* "stairs" occurs in Chan as *m-skala* // *f-skala*, in Gurian it occurs as *pçkala*. A real Georgian word is: *pçk!*... (italics mine!)... Sometimes it is almost impossible to guess such "foreigner". But it is not a big trouble: comparison is not goal by itself, but an adjunctive tool for studying the history. Borrowed material fulfills this function as well as an own word does" (Chikobava 1938: IX).

In Megrelian, Svan and Laz (at present little, due to influence of Turkish) there is a great number of words entered from a state literary language – Georgian and vice versa – a small number (e. g. *jačvi*, *žargvali*, *matxoži*, *ožaleši*, *očoçoči*, *elarži*, *čikortuli* – from Zan, *kubdari*, *čišdvari*, *maxvši*, *mačubi* – from Svan). Generally, in some cases it is difficult to find out whether it is a lexical entry from a parent language or it is a loan word entered from one Kartvelian language to another one (Fähnrich, Sarjeladze 2000: 28).

Today in comparativistic Kartvelology a situation is relatively better to achieve success not only in Georgia but abroad, as well. In addition, having great experience of field-working together with our students, different methods and tools of digitized electronics help us to list and to research our national treasure in interference conditions as rapidly as possible. At present we have excellent academic dictionaries of Svan (Varlam Topuria, Maxime Kaldani) and of Megrelian (Kajaia). A Laz dictionary the compiling of which took the Arnold Chikobava Institute of Linguistics about half a century, will be published soon.

¹ This time Abkhazian will not be discussed.

Unfortunately, this time the roots, stems and morphemes given in it could not be taken into account (and this is **shortcoming of the monograph**), but I hope an etymological analysis of the Laz illustrative material will be widely given in the next part of the "History of the Kartvelian vocabulary".¹

Still in 1937 great Ivane Javakhishvili warned us: "It is difficult to protect oneself from mistakes in investigating of the Caucasian languages, where similar phenomenon of the Babylon's language mixing is accompanied by complicating fact of mixing of transcription, terminology and theories, as well. Instead of many etymologies other interpretation could be given, but I hope, main part, basic regulations of result could not be wrong. Even if my fortune is not lucky out and my expectation is not proved in future, I still consider that only through this methodological way and analyse of such language material is possible to resolve a century-old issue of nature and kinship of Caucasian languages. I hope, in future others will coverage the problem better and more credibly then the first author's attempt was. **If my work for what I spend so much time and strength, serves to science, it would be moral award for me for the labor I have carried out.**" (Javakhishvili 1937: XIV).

After such humble words of a genius scholar what we – other researchers can say!

Among the Iberian-Caucasian languages Kartvelian languages are the best studied from historico-comparative method standpoint. In this regard, **especially good situation is in studying the relation of Georgian and Zan.** Situation in Svan is complicated (Sharadzenidze 1991, 12). Though, unfortunately "Chan's position is getting weaker day after day. Chan speech is full of Turkish words – names of days, months, numbers are lost, a part of year's Laz name nobody knows" (Chikobava 1929: VII). "**Chan speech is in extreme poor conditions... danger of its disappearing is getting real day after day**" (Chikobava, 2008: 579, 590).

¹ A main part of the present work was ready in an electronic form in 2003. But due to financial problems it could not be published. For some reasons some etymology represented in the dictionaries which were published during last 10 years (sic!) coincide with our ones. But I will not point them this time (I think, I have absolute right!).

„სვანეთი არის საოცარი, სასიქადულო და საამაყო კუთხე საქართველოსი. აქ ცხოვრობენ ქართველები, რომელნიც საუკუნეების მანძილზე იცავდნენ და იცავენ სიწმინდეს, იცავენ ჩვენს ხატებს, ჩვენს ჯვრებს. სრულიად საქართველომ სწორედ ამ კუთხეს ანდო თავისი საუნჯე“.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

"Svaneti is a marvelous, glorious and praiseworthy region of Georgia. There live the Georgians who have protected and have been protecting sacredness, our icons, our crosses for centuries. All Georgia entrusted its treasure just to this region".

Catholicos-Patriarch of
All Georgia Ilia II

„ოდეს ჩუენსა მათიანესა მთავარანგელოზნი წარიკითხვიდენ, თავდადრეკილნი მას წინაშე ვდგეთ: **მართალნი მარჯუენით, ხოლო ცოდვილნი — მარცხენით**“ („სვანეთის ისტორიის ფურცლები“ 2011: 178).

"When Archeangels read our chronicle, let us stand before them with our head hung low: **honests – to the right, sinners – to the left**" ("Pages from Svaneti's history", 2011: 178).

სვანური ენის ზოგადი დახასიათება და მისი ლექსიკის შესწავლის თანამედროვე ვითარება

განუსაზღვრელია არქაიზმებით გამორჩეული სვანური ენის როლი ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისა და არქეტიპთარეკონსტრუქციისათვის, რადგანაც, როგორც ცნობილია, იგი „ყველაზე ახლოს დგას საერთოქართველურ ფუძეენასთან. მისი რთული ფონეტიკური სისტემა, გრამატიკული თავისებურებანი და დიალექტური ნაირგვარობა განსაკუთრებით ფასეულია ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით“ (თამაზ გამყრელიძე, გივი მაჭავარიანი).

„სვანურში დაცული ძველი ყოფისა და წარმართობის ამსახველი უძველესი ლექსიკა და გამოთქმები, არქაული გრამატიკული წყობის გარდმონაშთები და მდიდარი ფოლკლორი შესაძლებლობას იძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ ქართველ ტომთა ღრმა აზროვნებასა და მაღალ კულტურაზე, ეგვე საფუძველს ქმნის იბერიულ-კავკასიურ და ძველადმოსავლურ ენათა გენეტური ურთიერთობის საკვანძო საკითხთა გადასაჭრელად. ამიტომ ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რომელიც სვანურის ყოველმხრივ შესწავლას ახლავს. ამ ინტერესით არის გამოწვეული სვანური ენის ფონეტიკური სისტემისა და გრამატიკული წყობის ისტორიულ ასპექტში აღწერის აუცილებლობა, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკისა და თარგმნითი თუ შედარებითი ლექსიკონების შედგენის საჭიროება“ (ვარლამ თოფურია).

გენეზისის მიხედვით მეგრული, ლაზური (ჭანური) და სვანური მოსახლეობა ისეთსავე მიმართებაში იმყოფება საქართველოს სხვადასხვა კუთხის (ქართლის, კახეთის, იმერეთის, გურიის, აჭარის, ხევსურეთის,...) მოსახლეობასთან, როგორშიც თვით ამ კუთხეთა მცხოვრებნი ერთმანეთთან. ქართველურ ენებზე, ბევრ მონათესავე ენათა ჩჯოფისაგან განსხვავებით, არ წარმოქმნილა სხვადასხვა ეროვნული კულტურა, სხვადასხვა ეროვნული ფსიქიკა და სხვადასხვა სახელმწიფოებრივი სტრუქტურა. სწორედ ამიტომ შეადგენს ქართველ ერს ქართველურ ენებზე მეტყველთა ერთობლიობა. ამასთანავე, „ქართული იყო მუდამ ქართველი ხალხის ერთადერთი სალიტერატურო ენა და ერთიანობის ბურჯი, უმწერლობო ქართველური ენები კი ფუნქციონალური თვალსაზრისით ქართული ენის დიალექტებს უტოლდება“ (ალექსანდრე ონიანი).

სრულიად ბუნებრივია, რომ უმდიდრესი და უძველესი ლექსიკის მქონე სვანური ენით კარგა ხნის წინ დაინტერესდნენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. შესაბამისი მასალა ამა თუ იმ სახით წარმოდგენილია: ი. გიულდენშტედტის (1787-1791 წ.), პ. პალასის (1786-1789 წ.), ჯ. ედვარსის (1788 წ.), ი. კლაპროთის (1807-1808 წ.), გ. როზენის (1845-1847 წ.), ფ. ბოპის (1846-1847 წ.), ი. ბართლომეს (1855-1876 წ.), პ. უსლარის (1863-1887 წ.), ფრ. მიულერის (1864 წ.), ალ. ცაგარლის (1872-1880 წ.), დ. პიკოკის (1887 წ.), პ. შუხარდტის (1895 წ.), რ. ერკერთის (1895 წ.), მ. ჭანაშვილის (1895-1925 წ.), ა. სტოიანოვის, მ. ზავადსკის, ა. გრენის (1890-1902 წ.), ო. უორდროპის (1911 წ.), ბ. ნიჟარაძის (1888-1913 წ.), ი. ნიჟარაძის (1910 წ.), ა. ღირის (1928 წ.) და სხვათა ნაშრომებში.

ფასდაუდებელია აკადემიკოს ნიკო მარის მოღვაწეობა სვანური ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიური თუ ლექსიკურ-ეტიმოლოგიური თვალსაზრისით შესწავლის საქმეში. მან პეტერბურგში საგანგებოდ დააარსა სერია "Материалы по яфетическому языкознанию", რომლის VIII, IX და X ტომებში გამოაქვეყნა სვანეთში ოთხი სამეცნიერო მივლინების შედეგები, გამოკვლევები, ტექსტები, ლაშხეთის მკვიდრის — არსენ ონიანის ხეთა და ბალახთა სახელწოდებების კრებული („მეგმარემ ი ბალხარე ჟანღლე ხორაჯ“) და სვანურ-რუსული ლექსიკონის საცდელი მონაკვეთი ("Извлечение из сванского-русского словаря"). სამწუხაროდ, ნიკო მარს არ დასცალდა, ბოლომდე მიეყვანა ამ ლექსიკონის შედგენისა და პუბლიკაციის საქმე, რაც ღირსეულად განაგრძო მისმა მოწაფემ — პროფესორმა კარპეზ დონდუამ. 1917 წელს პეტროგრადში გამოცემული ლაშხური ტექსტების მიხედვით მან შეადგინა სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი ("Материалы для сванского словаря"), მაგრამ ვერც სვანური ენის ეს შესანიშნავი მკვლევარი მოესწრო თავისი ნაღვაწის გამოცემას.

1910 წელს უშგულელმა ივანე ნიჟარაძემ თბილისში გამოაქვეყნა რუსულ-სვანური ლექსიკონი (520 გვ. მოცულობისა). მას შემდეგ არაერთ ენათმეცნიერსა თუ არაენათმეცნიერს (ო. უორდროპი, მ. ჩართოლანი, ჩ. გუჯეჯიანი, ლ. პალმაიტისი, ა. ლიპარტელიანი, ა. ავალიანი...) უცდია სვანური ლექსიკონის გამოცემა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შემდეგ დაიწყო სრულიად ახალი ეტაპი სვანური ენის შესწავლის საქმეში — აკადემიკოსების: აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურიას, სიმონ ჭანაშიას და არნოლდ ჩიქობავას მუხნაჩაუხრელმა მოღ-

ვაწეობამ, ერთი მხრივ, და პროფესორ გერპარდტ დეეტერსის ფუნდამენტურმა შრომებმა, მეორე მხრივ, საფუძველი ჩაუყარეს ქართველურ ენათა კვლევა-ძიების მალალმეცნიერულ დონეს. დაარსდა სპეციალური სერია — „მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის“, რომელშიც 1939-1979 წლებში გამოქვეყნდა სვანური ხალხური პოეზიის ერთი და პროზაული ტექსტების ხუთი წიგნი (მათ შორის ერთ-ერთი ქრესტომათიაა) ბალსზე-მოურ, ბალსქვემოურ, ლენტეხურ და ლაშხურ დიალექტებზე, აგრეთვე, ანდაზები, ოლონდ სამწუხარო ისაა, რომ ბევრ მათგანს არ ახლავს არც ლექსიკონი და არც სიტყვასიტყვითი, ე. წ. პწკარედული თარგმანი, რაც მათ გამოყენებას აძნელებს.

სამწუხაროდ, ხსენებული სერია დიდი ხანია დავიწყებას მიეცა, ამიტომ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ მისი აღდგენისთვის. სწორედ ამ სერიის X ნომრად გამოვეცით მეტად მნიშვნელოვანი აკადემიური წიგნი „კოდორული ქრონიკები“ (2010 წ.) და, რაც უფრო საყურადღებოა, პუბლიკაციაში წარმოდგენილია არა მხოლოდ ინტერფერენციურებული სვანური მეტყველების უძვირფასესი ნიმუშები, არამედ მათი პწკარედული ქართული თარგმანები (გამოკვლევებითა და ეტიმოლოგიებითურთ).

მოგვიანებით სვანური ენის შესახებ ძალზე მნიშვნელოვანი ნაშრომები შექმნეს: თამაზ გამყრელიძემ, გივი მაჭავარიანმა, თინათინ შარაძენიძემ, მაქსიმე ქალდანმა, ალექსანდრე ონიანმა, ბაქარ გიგინეიშვილმა, ზურაბ ჭუმბურიძემ, ზურაბ სარაჯველაძემ, მიხეილ ქურდიანმა, ავთანდილ არაბულმა, ვაჟა შენგელიამ, მერაბ ჩუხუამ, ჯანრი კაშიამ, მურმან სუხიშვილმა, ეკატერინე ოსიძემ, ნია აბესაძემ, კლარა გაგუამ, გიორგი კლიმოვმა, კარლ ჰორსტ შმიდტმა, იან ბრაუნმა, ჰაინც ფენრიხმა, იოსტ გიპერტმა, ვინფრიდ ბოდერმა, კევინ ტუიტმა, ლეტა პალმაიტისმა...

დღეს სვანურ ენაზე 30000-მდე კაცი ლაპარაკობს. მასზე მეტყველნი, ძირითადად, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, კავკასიის მთავარი ქედის ძირას, სამ (ენგურის, ცხენისწყლისა და კოდორის) ხეობაში ცხოვრობენ.¹

¹ სვანები ცხოვრობენ აგრეთვე: თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, ცაგერში, წყალტუბოში, რუსთავში,... 1987 წლის სტიქიური უბედურების შემდეგ ისინი ჩასახლდნენ: მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს, გარდაბნის, კასპის... რაიონებშიც. 2008 წლის აგვისტოს ცნობილი სამხედრო-პოლიტიკური ბატალიების გამო, მათი ბედი გაიზიარეს კოდორელმა სვანებმაც.

სვანურში ტრადიციულად ოთხ (ბალსზემოურ, ბალსქვემოურ, ლაშხურ და ლენტეხურ) დიალექტს განარჩევენ. ბალსზემოური და ბალსქვემოური ზემოსვანურის სახელწოდებითაცაა ცნობილი, ხოლო ლაშხური და ლენტეხური — ქვემოსვანურისა. ოთხივე დიალექტი ერთმანეთს უპირისპირდება უმლაუტის, ხმოვანთა სიგრძის, რედუქციის, გრამატიკულ (ბრუნება-უღლების პარადიგმატული სისტემა, სინტაქსი) თუ ლექსიკურ თავისებურებათა არსებობა-არარსებობით.

ბალსზემოური კილო მესტიის რაიონის უშგულ-ლატალის ტერიტორიაზეა გავრცელებული. რასაკვირველია, აქაური სვანური მთლიანად არ ემთხვევა ერთმანეთს და ამიტომაც განირჩევა როგორც კილოკავები (უშგულური, კალურ-იფარული, მულახურ-მესტიური, ლენჯერული, ლატალური), ისე ცალკეული თქმები (ვთქვათ, სოფელ მულახის შიგნით — მუჟალისა, ჭოლაშისა, ლახირისა, მურშეკლისა, არცხელისა, ლებრა-ზარდლაშისა).

ბალსქვემოური კილოც მესტიის რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაა, ოღონდ სოფელ ბეჩოდან (ლენხერის ჩათვლით) სამეგრელოს საზღვრამდე.

ორ ზემოსვანურ დიალექტს ერთმანეთისაგან ყოფს ლატალსა და ბეჩოს შორის მდებარე **ბალის** მთა. ბალსზემოურთან შედარებით ბალსქვემოური კიდევ უფრო მეტადაა დიფერენცირებული. ესენია: ბეჩოური, ცხუმარული,¹ ეცერული, ფარული, ჩუბეხურული, ლახამულური კილოკავები. უკანასკნელი საკმაოდ განსხვავებულია ბალსქვემოელთა დანარჩენი მეტყველებისაგან თავისი უმლაუტით, ნამყოფსრულისა თუ აორისტის წარმოებით, აგრეთვე ლექსიკითაც; რასაკვირველია, თქმები ბალსქვემოურ კილოშიც განირჩევა (მაგალითად, ბეჩოურ კილოკავში — დოლასვიფისა, ჭკიდა-

¹ მაქსიმე ქალდანის მოსაზრების მიხედვით, **ცხუმარული ეცერული კილოკავის ერთ-ერთი თქმაა ხაჭურთი ეცერულია და ფარულის გვერდით**, იგივე შეიძლება ითქვას ჩუბეხურული მეტყველების შესახებ (ქალდანი 1959: 213-234), მაგრამ, რომ საკმაოდ რთულია უმწერლობო ენათა დიალექტებად თუ კილოკავებად დიფერენცირებაზე მსჯელობა, ეს კარგად ჩანს სვანური პროზაული ტექსტების მეორე ტომის წინასიტყვაობიდან, რომლის შედგენაში მონაწილეობდა მაქსიმე ქალდანიც: „ბალსქვემოური მოიცავს ბალს ქვემოთ ოდითვე არსებული ყველა საზოგადოების მეტყველებას: ბეჩოურს, ცხუმარულს, ეცერულს, ფარულს, ჩუბეხურსა და ლახამულურს. მათ შორის კილოკაური სხვაობა იმდენად დიდია, რომ თვით ადგილობრივნი შეუცდომლად არჩევენ ბეჩოურს ეცერულისაგან და ეცერულს ლახამულურისაგან... **ცხუმარული ცალკე კილოკაური ერთეულია**“ (იხ. სვანური პროზაული ტექსტები, II, 1957: XII).

ნარისა, ლანხვისა, მაზერისა, ქართვენისა, გულისა, უმხვანარისა, ბავდა-
ნარისა, ჰებუდისა, კოხულდისა, ნაშთქოლისა, ტვიბიშისა).

ქვემოსვანურ მეტყველებაში გაცილებით ნაკლები სხვაობა შეიმჩნევა
სოფლებს შორის, ვიდრე **ზემოსვანურში**. შესაძლოა აქ გარკვეული მნიშ-
ვნელობა ჰქონდეს ქართულ ენასთან. მკიდრო კონტაქტსაც.

ლენტეხური კილო ცხენისწყლის ხეობაშია წარმოდგენილი თავისი
ოთხი (რცხმელურული, საკუთრივ ლენტეხური, ხოფურული, ხელედური)
კილოკავით.

ლენტეხის რაიონშივეა გავრცელებული **ლაშხური კილოც**, რომელიც
მოიცავს ერთმანეთთან ძალზე კომპაქტურად განლაგებულ სოფლებს, რაც,
ბუნებრივია, განაპირობებს კილოკაურ თავისებურებათა სიმცირესაც. ასე
რომ, ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება: სასაშის, ყახუნდრის, ჩიხა-
რეშის, ჩუკულის, ახალშენის, შგედის, მელეს, ხერიას, ლაშხრაშის, ლეღვა-
ნის, მახაშის, ლეკოსანდის, ლუჯის, ნაცულის, ლობის, მარგვიშის, ლემზა-
გორის, ლამფალაშისა და მებეცის მეტყველება.

„ჩოლურული, ძირითადად, ლაშხურს განეკუთვნება ბგერითი შედგე-
ნილობითა და გრამატიკული წყობით. უმლაუტი, ალბათ, ლენტეხურის გა-
ვლენის შედეგია. აღსანიშნავია, რომ ლენტეხურთან ახლო მდებარე სოფ-
ლის — საყდრის (აგრეთვე, მუწუნისა და ბულეშის) ძველი თაობის მეტყვე-
ლება უმთავრესად ლენტეხურს გასდევს, ახლისა კი — ლაშხურს. საყდრუ-
ლი მეტყველება შეჭვარებული გარდამავალი დიალექტის იშვიათ ერთეულს
წარმოადგენს: **ჩოლურული ახლო მომავალში შესწავლის ობიექტს შე-
ადგენს**“ (თოფურია 2002: 219).¹

ჩოლურული გარდამავალი დიალექტია ქვემო სვანეთში. ამ მეტყვე-
ლებას იყენებენ იმ ტერიტორიაზე, რომელიც აერთიანებს ლენტეხსა და
ლაშხეთს. მის ცალკე დიალექტად გამოყოფას ჯერ კიდევ ნიკო მარი უჭერ-
და მხარს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩოლურულში სამი კილოკავი უპირისპირ-
დება ერთმანეთს: საყდრული, თეკალური და ფანაგური, სადაც გამოიყოფა
ცამეტი სხვადასხვა სოფლის მეტყველება.

¹ ვარლამ თოფურიამ ეს აზრი გამოთქვა ჯერ კიდევ 1965 წელს გამოკვლევაში
„სვანური ენა (ზოგადი ცნობები)“, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩოლურული მეტყველება
რეგიონალ დღემდე არაა შესწავლილი.

უმლაუტიანი ა, ო, უ ხმოვნები ყველგან გვხვდება, გარდა ლაშხური დიალექტისა; გრძელი ა, ო, უ, ე, ი, გ ფონემები წრმოდგენილია ბალსზე-მოურში, ლაშხურსა და ჩოლურულში, ნაუმლაუტარი გრძელი ა, ო, უ ხმოვნები კი ბალსზემოურ დიალექტსა და ჩოლურულის ცენტრალურ ნაწილში (მეტწილად) ფიქსირდება. რაც შეეხება რედუქციას, ამ თვალსაზრისით დაახლოებით ერთგვარი სიტუაციაა ზემოსვანურში, ლაშხურსა და ჩოლურულის ჩრდილო ზოლში, ხოლო ლენტეხურ დიალექტსა და ჩოლურულის სამხრეთ ნაწილს რედუქციის კანონთა სუსტი მოქმედება ახასიათებთ.

ძალზე თავისებური ჩანს ჩოლურული უმლაუტი. თავად ტოპონიმი ჩოლირ ხომ ამკარად ნაუმლაუტარი ფუძეა (<*ჩოლჟირ <*ჩოლჟრ < ჩოლურა+ი, სახელობითი ბრუნვის მორფემა)? რაც შეეხება ლაშხური დიალექტის მომიჯნავე სოფლების (ლეუშერ, ფანაგა, ჭუწელთ) მეტყველებას, აქ დაცულია ა > ა > ე პროცესის ამსახველი ბოლო საფეხური (ისევე, როგორც ლაშხურში) განსაკუთრებით პრევერბებთან (ენკიდ „აილო“, შდრ. ზს., ლნტ. ანკიდ), ხოლო ნაუმლაუტარი ო და უ მხოლოდ უე და უი კომპლექსების სახითაა გვევლინება და ისიც არა ყველა შემთხვევაში (საკითხს სპეციალური შესწავლა სჭირდება!). ლენტეხური დიალექტის მეზობელ საყდრულ მეტყველებაში ჩვეულებრივია ა ხმოვანი, ჩოლურულის ცენტრალურ ნაწილში კი მის ადგილას არაპალატალური ა დასტურდება. „არა მხოლოდ ხმოვანთა სისტემიდან ამოსვლით, არამედ სხვა ენობრივი (გრამატიკული, ლექსიკური, ინტონაციური,...) თავისებურებებითაც ჩოლურული ისევე განსხვავდება სვანურის ყველა სხვა დიალექტისაგან, როგორც თითოეული მათგანი — ერთმანეთისაგან, რაც ჩოლურულის დამოუკიდებელ დიალექტად გამოყოფის საფუძველს იძლევა... რაც შეეხება ენობრივ სხვაობებს ზემო და ქვემოჩოლურულს შორის, ისინი არ სცილდებიან კილოკაურ სხვაობათა ფარგლებს“ (ონიანი 1998: 8).

აკადემიკოს ვარლამ თოფურიასა და პროფესორ მაქსიმე ჭალდანის მიერ გამოცემული სვანური პროზაული ტექსტების მესამე ტომში, 1962 წელს სოფელ საყდარში ჩაწერილ ერთ ტექსტში, აღნიშნულია: „თეკალი საბჟოს ჭუინალდ ი ათხე ჩოლირ ხაყხა; თეკალი საბჟომსა ახლრი სო-

ფელარ:¹ საყდარ, ჰოლიერ,² თეკალ, ლეუშერ. მამ, ფანაგა ო ჰუელფ. საყდარი ხალხი ნინ მერმე სახიშ ლი, მერმა სოფელარე ნამსკიდან“ (სვანური პროზაული ტექსტები, III, 1967: 320) — „თეკალის საბჭოს ძველად და ახლა ჩოლური ჰქვია; თეკალის საბჭოში შედის სოფლები: საყდარი, ჰველიერი, თეკალი, ლეუშერი, მამი, ფანაგა და ჰველფი. საყდრის ხალხის ენა სხვა სახისაა დანარჩენ სოფლებთან შედარებით“.

ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ვაჩვენოთ, თუ როგორ მიმდინარეობს სამეტყველო კოდების შერევა სვანურში და, რაც მთავარია, ამ პროცესს, ძირითადად, სწორად აღიქვამენ თვით ამ ენაზე მოლაპარაკენი.

ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა:

კოდორის ხეობის („დალის სვანეთის“) მოსახლეობის მეტყველება, სადაც მიმდინარეობს ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტთა ურთიერთშერევის პროცესი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა სოფლები: ლათას, [კ]ტიშის, აჯარისა (II აჟარისა) და ხუტიას მკვიდრთა ენა. რაც შეეხება გენწვიშს, აქაურები, ძირითადად, ბალსზემოური კილოს იფარულ კილოკავზე მეტყველებენ, რადგანაც თავის დროზე აფხაზეთში იფარიდან ჩასახლდნენ; ომარიშალ (II ძალცუნესგა II იალცუნესგა)ის მოსახლეობას, ჩვეულებრივ, ყოფილი მულახლები წარმოადგენენ, ხოლო ბალსქვემოურ დიალექტზე მოლაპარაკეთა (სოფლები: ქუაფჩარა, ზემა, ჩხალთა, ბეჩკეგრ, ბეძგეგრ, აძგარა, გუანდრა, ბარემბა, საკენ, ნაპარტ) კილოკაური ურთიერთმიმართების პრობლემა შესასწავლია.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო პროექტის (ECLING) ფინანსური მხარდაჭერით ოთხი წლის განმავლობაში საგანგებოდ შევისწავლეთ მდინარე კოდორის ზემო წელის (resp. დალის) მოსახლეობის მეტყველება **ინტერდისციპლინარული თვალსაზრისით** და ჩემს მოწაფეებთან — ფილოლოგიის აკადემიურ დოქტორებთან (ქეთევან მარგიანი-სუბარი, ქეთევან მარგიანი-დადვანი, მედეა სალიანი,

¹ უმლაუტიან დიალექტებში (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლენტეხური) მრავლობითობის აღმნიშვნელი მორფემა ყველგან განიცდის უმლაუტს (-პრ), აქ კი განსხვავებული ვითარებაა, ალბათ იმიტომ, რომ ფიქსირებულ მაგალითებში არ გვაქვს უკანაენისმიერ გ, ქ, კ თანხმოვანთა მომდევნო პოზიცია (ლამარა ბაბლუანი).

² შდრ. სოფლის თანამედროვე ოფიციალური სახელწოდება (-ზე კომპლექსის შემცველი) ჰუელიერ.

რუსუდან იოსელიანი) თანაავტორობით გასულ წელს გამოვეცი 836 გვერდის მოცულობის ფუნდამენტური ნაშრომი „კოდორული ქრონიკები“, რითაც ფაქტიურად გადავარჩინეთ იქაური სვანური დაღუპვას (ცნობილია, რომ რუსეთ-საქართველოს უკანასკნელი სამხედრო-პოლიტიკური ბატალიების შემდგომ კოდორის ხეობა დაიკალა მოსახლეობისგან, რომელიც დღეს ლტოლვილის სტატუსით დაქსაქსულად ცხოვრობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა ენობრივ გარემოცვაში).

დიგიტალიზებული ვიდეო-აუდიო აპარატურით ადგილზე მოპოვებული მასალების ლინგვოკულტუროლოგიურმა ანალიზმა გვიჩვენა შემდეგი შედეგები:

1. თითქმის საუკუნენახევრის წინ კოდორის ხეობაში ჩასახლდნენ მესტიის რეგიონის სვანები თურქეთში იძულებით გადასახლებულ მუჰაჯირ აფხაზთა ნაცვლად. ეს ტერიტორია 2008 წლის 10 აგვისტომდე მოიცავდა 17 სოფელს, რომლებშიც მიმდინარეობდა ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტთა ურთიერთშეჯვარება. **ინტერფერენციის პროცესი**, ძირითადად, შეეხო ფონეტიკა-ფონოლოგიას, მორფოლოგიასა და ლექსიკას.

2. ამგვარ მეტყველებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა სახელმწიფო ენამ. გარდა სალიტერატურო ქართულისა, კოდორელთა მეტყველებაში რამდენადმე აისახა კონტაქტები აფხაზურ და რუსულ ენებთან. ასე რომ, სახეზეა **დიგლოსია-ბილინგვიზმის მოვლენები**.

3. თავის მხრივ, სვანურმა ფონეტიკამაც გაურთულა საქმე მეგრულ და აფხაზ რძლებსა თუ სიძეებს — სვანურად მეტყველებისას მათ ძალიან უჭირთ უმლაუტიანი და გრძელი ხმოვნების, აგრეთვე, ფარინგალური ჯ თანხმოვნის წარმოთქმა, რადგანაც ამგვარ ფონემებს მოკლებულია მეგრული და აფხაზური.

4. შეინიშნება გრამატიკულ მოვლენათა გაერთმინებელიანიების, რთული ვითარებიდან მარტივისაკენ გადასვლის, ბრუნება-უღლების არაერთი მორფემიდან თითო-ოროლას დამკვიდრების (**უნიფორმაციის**) ტენდენციები.

5. კოდორის ხეობის ზემო წელის მცხოვრებთა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ას წელს გადაცილებულ მხცოვანთა მეტყველება, სადაც თავს იჩენს გენდერული პრობლემა — ქალთა მიერ გამოყენებულ ლექსიკასა თუ გრამატიკულ ფორმებში ქარბობს **არქაიზმები**, რომელთაც განსაზღვრავს ინფორმატორთა სოციალური ყოფა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სვანური ენის დიალექტთა სადემარკაციო საფუძველია სამი ფონეტიკური მოვლენა: ხმოვანთა სიგრძე, უმლაუტი, რედუქცია. სიგრძე-სიმოკლის მიხედვით დაპირისპირება შეინიშნება მხოლოდ ორ დიალექტში (ბალსზემოურსა და ლაშხურში); რაც შეეხება გარდამავალ — ჩოლურულ კილოკავს, გრძელი ხმოვნები ლაშხური დიალექტის მეზობელი ზემოჩოლურული მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი (შანიძე 1925; თოფურია 1965, ონიანი 1998); დაახლოებით იგივე ვითარება უნდა იყოს კოდორის ხეობის იმ სოფლების მეტყველებაშიც, სადაც ბალსზემოური და ბალსქვემოური წარმომავლობის მოსახლეობა ერთად ცხოვრობს, თანაც ისე, რომ პირველნი ჭარბობენ უკანასკნელებს. ისტორიულად ეცერის, ჩუბენვისა და ფარის მცხოვრებთა შთამომავალი კოდორელი ახალგაზრდობა უკვე გრძელ ხმოვნებს წარმოთქვამს (ლოლმაქე „ცხვარი“, შალ „მელია“, ყწარ „ყავარი“, დწუ „დევი“, ქანად „გავიდა“, ათაგანს „გაუდგენ“, სგანვად „შემოვიდა“, ...), თანაც მეტწილად მორფემათა ზღვარზე ან ერთი მორფემის ფარგლებშიც, ოღონდ დაკარგული თანხმოვნის საკონპენსაციოდ ან კომბინატორულად (ორი ხმოვნის შეერთების შედეგად).

ვფიქრობთ, როცა მთლიანად შევისწავლით დალის ხეობის სოფლებს ინტერფერენციული თვალსაზრისით, სურათი უფრო ნათელი იქნება და, ამასთანავე, ჩოლურული მეტყველების მსგავსი. გარდა ამისა, რაკი ჩვენ თვალწინ კოდორელი ბალსქვემოური წარმომავლობის ახალგაზრდობა, ძირითადად, სწორედ კომპენსატორულსა და კომბინატორულ სიგრძეს მიმართავს, ეს იმაზე უნდა მიუთითებდეს, ალბათ, რომ სვანურ ენაში ხმოვანთა სიგრძე ისტორიულადაც გარკვეული პოზიციით იყო შეპირობებული თითქმის ყოველთვის, ოღონდ დიაქრონიული ვითარება დღეს ჩვენთვის ყველა შემთხვევაში ნათელი არაა. არის თუ არა კოდორის ხეობის მოსახლეობის ინტერფერენციურული მეტყველება სვანური ენის ცალკე დიალექტი, ეს ისევე უნდა გადაწყდეს, როგორც ჩოლურულის შემთხვევაში — მხოლოდ დეტალური და გამოწვლილვითი შესწავლის საფუძველზე არა მარტო ფონეტიკა-ფონოლოგიის, არამედ გრამატიკისა და ლექსიკის თვალსაზრისით.

ამრიგად, კოდორის ხეობის 17 სოფლიდან სისტემატური, აშკარა ინტერფერენციული მოვლენები ახასიათებს მხოლოდ ხუთი სოფლის (**ოშარი-შალი, გენწვიში, აჭარა, ხუტია, 'პ'ტიში**) მოსახლეობის მეტყველებას, რადგანაც აქ ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტებზე მოლაპარაკე ხალხი ერთად ცხოვრობს.

სხვადასხვა დიალექტთა ინტერფერენციები შენიშნულია სვანური ენის გარდამავალ კილოკავებში (უშგულური, ლატალური, ბეჩოური, ცხუმარული, ლახამულური), ხოლო, რაც შეეხება **ქართულ-სვანურ ინტერფერენციებს**, ისინი მეტნაკლებად მთელ სვანურშია გავრცელებული, განსაკუთრებით კი ქართული ენის საკომუნიკაციო ფუნქციონირების მეზობელ ტერიტორიებში (ლენტეხი, ლაშხეთი). „მთქმელები კომუნიკაციის პროცესში გაუცნობიერებლად ანიჭებენ უპირატესობას არა მშობლიურ, არამედ დომინანტურ ენას, რაც მათი ენის ჩანაცვლებას იწვევს დომინანტური ენის სასარგებლოდ“¹ (Gippert 2009: 170).

ორივე სახის ინტერფერენცია, ძირითადად, დამახასიათებელია კოდორის, ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებში მცხოვრები ახალგაზრდობისა და საშუალო თაობისათვის, უფროსები კი მეტნაკლებად იცავენ არქაულ ლექსიკასა თუ გრამატიკულ ფორმებს.

მაშასადამე, ამა თუ იმ მეტყველების ნარეგობაზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება მორფონოლოგიურ მოვლენათა გავრცელების არა მხოლოდ ჰორიზონტალურ, არამედ ვერტიკალურ (ერთი და იმავე გეოგრაფიული პუნქტის სხვადასხვა თაობის) ჭრილებს, რაც ძალიან ართულებს საქმის რეალური ვითარების ასახვას. ცნობილია, რომ სწორედ ამგვარი ინტერფერენცია უშლის ხელს აფხაზური ენის ტაპანტური და აშხარული დიალექტების კილოკაურ დიფერენციაციას (ლომთათიძე 1976: 12-13). **ალბათ ანალოგიური სიტუაცია შეგვექმნება კოდორული მეტყველების კვალიფიკაციის შემთხვევაშიც.**

სვანურის მონაცემები ერთხელ კიდევ ადასტურებენ იმას, რომ ენაში ერთმანეთის გვერდით შეიძლება თანაარსებობდნენ არქაული და ინოვაციური მოვლენები, რომლებიც ეყრდნობიან ექსტრალინგვისტურ საფუძვლებს.

¹ ტერმინი „მშობლიური“ აქ ე. წ. „აკენის ენას“ (ა. შანიძე), ოჯახში სახმარ ენას გულისხმობს (დავითიანი 1973: 3), ხოლო „დომინანტური“ — სახელმწიფო ენას (Gippert, 2009: 170).

**ენგურისა და კოდორის (დალის) ხეობათა მოსახლეობის მეტყვე-
ლების ურთიერთშეპირისპირებამ წარმოგვიდგინა მეტად საინტერესო
ლინგვოკულტუროლოგიური სურათი:**

1. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ენათა და დიალექტთა
ურთიერთშერევის ტენდენციები:

ა) **ენგურის ხეობის** ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტებზე
უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სახელმწიფო ენა —
წიგნის ენა სალიტერატურო ქართულის სახით. ამასთან, ეს გავლენა ბერო-
კალის ტერიტორიაზე გაცილებით დიდია, ვიდრე ხაიშ-ეცურის არეალში;

ბ) ბალსზემოური დიალექტის ლატალური კილოკავი, როგორც აქამ-
დეც იყო ცნობილი სპეციალური ლიტერატურიდან, გარდამავალი მეტყვე-
ლების ნიმუშია, სადაც ბალსზემოური დიალექტი დომინანტობს ბალსქვე-
მოურზე (ვ. თოფურია, თ. შარაძენიძე). იგივე სიტუაციაა ბეროურ მეტყვე-
ლებაშიც, ოღონდ იქ საქმე პირიქითაა: ბალსქვემოური ლექსიკა და გრამა-
ტიკული ფორმები წარმართავენ ბალსზემოური დიალექტის მონაცემებს
(მ. ქალდანი).

გ) **კოდორის (დალის)** ჩვიდმეტი სოფლიდან სახელმწიფო ენის გა-
ვლენას განიცდის თითოეული მათგანი, მაგრამ ზემოსვანურ დიალექტთა
ინტერფერენციები, ძირითადად, დადასტურდა იმ სოფლებში, სადაც ერთ-
დროულად ცხოვრობენ ბალსზემოურ და ბალსქვემოურ სვანთა შთამომავ-
ლები; თუ მათ მონაცემებს შევეუდარებთ მესტიის რაიონის ლატალისა და
ბეროს მეტყველებას, აღმოჩნდება, რომ აქ ბალსზემოური და ბალსქვემოურ
დიალექტების ლექსიკა, გრამატიკული ფორმები თუ სინტაქსური კონ-
სტრუქციები ერთმანეთს ერევა მეზობელ სოფლებში, ხოლო დალის ხეობაში —
ერთი და იმავე სოფლის შიგნით, რადგანაც ამ უკანასკნელში თითქმის საუკუ-
ნუნახევრის განმავლობაში თანაცხოვრობენ (**ზოგჯერ ერთსა და იმავე
ოჯახშიც კი!**) ორივე დიალექტის წარმომადგენლები. აქ მთავარ როლს ას-
რულებს სოციალური ვითარება (ქორწინება, ერთი **სამხუბის** ერთად
ცხოვრების სურვილი, სამსახურეობრივი ფაქტორი და ა. შ.);

2. გარდა ზემოაღნიშნულისა, კოდორის ხეობაში დადასტურდა ქვე-
მოსვანურის ზემოსვანურთან ინტერფერენციისა და მეგრულ-აფხაზურ ენა-
თა კონტაქტების კერძო შემთხვევები;

3. რუსული ენის გავლენა შედარებით უმნიშვნელოა ენგურის ხეობაში,
ხოლო კოდორში ეს პროცესი აისახება **მარტოოდენ** დარგობრივ ლექსიკაში;

4. შეინიშნება გრამატიკულ ფორმათა გაერთმნიშვნელობების, რთული ვითარებიდან მარტივისაკენ გადასვლის, მრავალი მორფემიდან თითო-ოროლას დამკვიდრების (უნიფორმაციის) პროცესები.

5. გაცილებით რთულადაა საქმე ფონოლოგიური ინტერფერენციების შემთხვევაში: ბალსქვემო სვანეთიდან თავის დროზე კოდორში ჩასახლებულთა მემკვიდრეები უკვე კარგა ხანია წარმოთქვამენ გრძელ ხმოვნებს, მაშინ, როდესაც ეცერელ (ისტორიულად!) გუჯეჯიანთა რძალი — ლაშხელი ირმა კოჭბიანი ნახევარსაათიან დიალოგში მხოლოდ ერთხელ (ჟნა! — „ვაი!“) იყენებს უმლაუტიან -ა-ს. როგორც ჩანს, შესაბამისი საარტიკულაციო ბაზისის წარმოქმნა უფრო რთულია უმლაუტის შემთხვევაში, ვიდრე გრძელ ხმოვნებთან დაკავშირებით. რაც შეეხება ისტორიულად ლენჩერელ წიფიანთა აფხაზ რძალს — მერი არშბას, ის ვერც ერთ შემთხვევაში ვერ წარმოთქვამს სვანურ ენაში ძალზე გავრცელებულ ფარინგალურ ჯ ნშულს (ჟან „ხარი“, შდრ. ძვ. ქ. ჯარი, მისთვის არის ხან), რადგანაც მის მშობლიურ ბზიფურ დიალექტში „დღეს ამ ფონემის მხოლოდ ბგერინაცვალი (ს. ჟანაშია), რელიქტი არსებობს თავისებური ენისძირისმიერი სპირანტის (ჟ) სახით“ (ლომთათიძე 1976: 171), თუმცა 1932 წელს სიმონ ჟანაშია საგანგებოდ მსჯელობდა ხორხისმიერი ჟ-ს არსებობის შესახებ აფხაზური ენის ბზიფურ მეტყველებაში, განსხვავებით აბუჯური დიალექტისაგან (ჟანაშია 1959: 227)¹

¹ მერი არშბას (აგრეთვე ხვა აფხაზებისაც) სვანური მეტყველება აუცილებლად უნდა იქნეს შესწავლილი ექსპერიმენტული ფონეტიკის თვალსაზრისით. შესაძლოა მოქმელი თავისებურ ჟ სპირანტს (და არა ჩვეულებრივ ლარინგალურ ხ-ს) წარმოთქვამს, ჩვენ კი, ქართველებს, თანამედროვე ქართული ენის ფონემატური სისტემის მახასიათებელი ბგერა გვემის? სპეციალური ლიტერატურის (ჟ. ლომთათიძე) მიხედვით, ჟ > ხ ცვლილების გზაზე არც ქართველურ ენებშია გამოირიცხული გარდამავალი ფარინგალური ჟ სპირანტის არსებობის დაშვება (ე. ი. ჟ > ხ; ეს უკანასკნელი კი დაემთხვა უკვე არსებულ უკანაენისმიერ ხ სპირანტს). საერთოდაც სპეციალური შესწავლა სჭირდება იბერიულ-კავკასიურ ენათა მთელ კონსონანტურ სისტემაში. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული მყვალა მიქელაძის მონოგრაფია „ინტერფერენტული პროცესები წოვათუშურ ენაში“ (2008), რომლის მიხედვითაც ერთმანეთისგან დიფერენცირდება საკუთარი და ნასესხები სიტყვები ჟ და ხ ფონემათა წარმოდგენის თვალსაზრისით: პირველ შემთხვევაში ისინი განსხვავებულ პოზიციებში გამოიყენებოდნენ, ხოლო ნასესხებ ლექსებში შესაძლებელია მათი თავისუფალი მონაცვლეობა, ანუ არაფონემური დამოკიდებულება (იხ. გვ. 150-152).

„გურიაში ძველად საცოლე ქალები მოჰყავდათ დაშორებული კუთხეებიდან, რადგან მეზობლის ცოლად შერთვა სირცხვილად ითვლებოდა (შდრ ძველი ხალხური ლექსი: „მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიო“)... სხვა კუთხიდან მოსულ ქალს თან მოჰქონდა იმ ადგილის ენობრივი თავისებურებანი. ამას კი მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც შვილი უფრო მეტად დედის ენობრივი გავლენის ქვეშაა, ვიდრე მამისა“ (ჯღენტი 1936: 42); ეთნოლოგ ნინო ხარჩილავას ცნობით, ამასწინათ, ზუგდიდის ავტობუსით მგზავრობისას, დაახლოებით 35-40 წლის ორი მამაკაცი ერთმანეთს ეკამათებოდა, რომელი გზით წასულიყვნენ ბათუმიდან — ქვალონით თუ თეკლათის გავლით. ერთმა უპასუხა მეორეს: ვარ, თეკლათით ართ სამოჯგირო შარა რე — „არა, თეკლათის გავლით („თეკლათიდან“) სამოყვრო („სამოკეთო“) გზა („შარა“) არის“. მოკამათე მიხვდა, რომ თეკლათის გავლით შორიდან უნდა მოევლოთ და მეტი შეკითხვა აღარ დაუსვა. მასანადამე, დღესაც კი იციან სამეგრელოში, რომ სამოყვრო გზა შორეულია. იგივე სიტუაციაა იმერეთშიც (შარაშენიძე 2008: 415), ალბათ, სხვაგანაც.

კოდორელ სვანთა ლაშხელ-ლენტეხელი, მეგრელი ან აფხაზი (ე. ი. შორიდან დამოყვრებული) რძლების (თუ სიძეების) შემთხვევაშიც უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ მათი ზემოსვანურად ამეტყველებისას წარმოქმნილი თავისებურებანი, არამედ მშობლიური დიალექტისა თუ ენის ინტერფერენციებიც თავიანთი ოჯახების წევრთა მეტყველებასთან, რასაც მომავალში აუცილებლად უნდა მიექცეს ჩეროვანი ყურადღება.

ბ. მეტად მნიშვნელოვანია გენდერული მოვლენა — ქალთა მეტყველებაში შედარებით ნაკლებია ინტერფერენციის პროცესი, ვიდრე მამაკაცებთან, რაც ყურადსაღებია სხვა ენებისთვისაც, ანუ საქმე გვაქვს უნივერსალიასთან.

7. კოდორის (დალის) ხეობაში დიალექტთა დაახლოებით ისეთი ინტერფერენცია ჩანს, როგორც ჩოლურულში, ოლონდ უკანასკნელ შემთხვევაში ამოსავალია ლაშხური და ლენტეხური მეტყველების შერწყმულ-შეჯვარების პროცესი. მომავალმა კვლევა-ძიებამ შესაძლოა ჩოლურული და კოდორული მეტყველება ხვანური ენის ცალკე დიალექტებად გამოგვაყოფინოს, მაგრამ ჩერჩვრობით ამაზე მსჯელობა ნაადრევია

(თუმცა უკანასკნელ ხანებში, სამწუხაროდ, სპეციალურ ლიტერატურაში ამგვარი დაუსაბუთებელი განცხადებებიც გაკეთდა).

8. ჩვენ ვაკვირდებოდით დალის ხეობიდან კუბერის ხეობასა თუ ქვემო ქართლში (აგრეთვე: თბილისში, წყნეთში, ვაზიანში) უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე შექმნილი მძიმე პოლიტიკური და სოციალური პირობების გამო, იძულებით ადგილნაცვალ სვანთა მეტყველებასაც, რომელშიც ჭერჭერობით შედარებით იშვიათად შეინიშნება დამხვედრ ენათა თუ დიალექტთა ინტერფერენციული მოვლენები (ლექსიკური უფრო, ვიდრე გრამატიკული), თუმცა ძალზე აშკარაა არაერთი ტკივილიანი ამოძახილი მათთან გასაუბრებისას: **ვანტანგ აფსუაშ გეზალ სუბელიან დალხენ (აჭარახენ) ხუი, ეჯურ — ცხგმარხენ, შუანოშ, ათხე ბოლნისს ხუიზგე — „ვანტანგ აფსუას ძე („შვილი“) სუბელიანი დალიდან (აჭარიდან) ვარ, ისე კი — ცხუმარიდან („სვანეთის“), ახლა ბოლნისში ვცხოვრობ“.**

მიუხედავად ჩვენი დიდი ოპტიმიზმისა, მაინც ძალიან ძნელია ამჟამად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაქსაქსულ კოდორელ სვანებთან მუშაობა — ისინი ხომ 17 სხვადასხვა სოფლის წარმომადგენლები არიან?

როდემდე გაგრძელდება ფორსმაჟორულ-ექსტრემალური სიტუაცია?! — ხალხს ხომ არაფერი დაუშავებია?!

უშგულის, ყორულდაშის, ცანისა და ზესხოს მცხოვრებთა მეტყველებასში აშკარაა ბალსზემოური და ლაშხური დიალექტების ურთიერთქმედების შედეგები; ამასთანავე, სოფელ ზესხოში, რაკილა იქ უშგულიდან და მულახიდან გადასახლებულნი ცხოვრობენ, ადგილი აქვს უშგულურ და მულახურ კილოკავთა შერევასაც;

ლატალური მეტყველება ზემოსვანურ კილოთა შესაყარზეა; იგივე ითქმის **ბეჩოური სვანურის** შესახებაც (ნაწილობრივ);

თეალურ მეტყველებაში აღინიშნება ჩოლურის საზოგადოების ჩრდილო და სამხრეთი ტერიტორიებისთვის დამახასიათებელ ფონოლოგიურ-გრამატიკულ თავისებურებათა თანდათანობითი შერწყმა.

ძველად ზემო სვანეთი ორ ნაწილად იყო დაყოფილი: პირველ მათგანს (უშგული, კალა, იფარი, მულახი, მესტია, ლენჯერი, ლატალი) **თავისუფალი სვანეთი** ეწოდებოდა, ხოლო მეორეს (ბეჩო, ცხუმარი, ეცერი,

ფარი, ლახამულა, ჩუბეხევი) — სადადეშქელიანო სვანეთი. რაც შეეხება ქვემო სვანეთს (ლაშხეთი, ჩოლური, ლენტეხი), მას სადადიანო სვანეთი ერქვა. ბოლო ორი სახელწოდება განპირობებული იყო მფლობელ მთავართა გვარების მიხედვით.

უმწერლობო ქართველურ ენათა, კერძოდ კი სვანურის მასალების ფიქსირება, როგორც ეს მრავალგზის აღნიშნულა, განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა. თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი ინტენსიური კონტაქტები განსაზღვრავენ ნებისმიერი ენის, განსაკუთრებით კი უმწერლობო ენების, სწრაფი ტემპით ცვლას. სწორედ ამიტომ ამგვარი ენების მასალის ფიქსირება არის არა მხოლოდ სადღეისო ამოცანა, არამედ ახლო და შორეული მომავალი თაობებისათვის ზრუნვის გამოვლენაც (ალექსანდრე ონიანი).

სვანური პროზაული თუ პოეტური ტექსტების გამოცემისა და მათი მაღალმეცნიერულ დონეზე შესწავლის საქმეს სათავეში ბუმბერაზი ლინგვისტები ედგნენ, რომელთაც ბევრი რამ გააკეთეს ამ თვალსაზრისით. რაც შეეხება კარპეზ დონდუას ნაშრომს (ლაშხური კილოს მონაცემების შემცველს), "Материалы для сванского словаря", რომელიც დამუშავდა პეტერბურგში კარგა ხნის წინ, მან მზის სინათლე მხოლოდ მოგვიანებით იხილა თამაზ გამყრელიძის, ზურაბ სარჯველაძისა და ალექსანდრე ონიანის დიდი გულმოდგინების წყალობით. საყურადღებოა, რომ უშგულური კილოკავის მასალა წარმოდგენილია საუკუნეზე მეტი ხნის წინ (1888 წ.) შექმნილ, მაგრამ დაგვიანებით გამოცემულ ბესარიონ ნიჟარაძის „ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში“ (2007 წ.), ხოლო ჩოლურულისა — ასლან ლიპარტელიანის „სვანურ-ქართულ ლექსიკონში“ (1994 წ.). ცნობილი კავკასიოლოგის ბერნარ უტიეს აზრით, „ბ. ნიჟარაძის ნაშრომში ძვირფასი მასალაა წარმოდგენილი და ბევრია ისეთი სიტყვა, რომლებიც არ გვხვდება სხვა ლექსიკონებში. მისი მდიდარი ლექსიკა ძალიან სასარგებლო იქნება არა მხოლოდ სვანური დიალექტოლოგიისათვის, არამედ ქართველურ ენათა უფრო ღრმად შესწავლისათვის“ (უტიე 2008: 210).

სვანური ლექსიკის ძირფესვიანი კვლევის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მიგვაჩნია ვარლამ თოფურიას და მაქსიმე ქალდანის ნახევარსაუკუნოვანი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგის პუბლიკაცია

(„სვანური ლექსიკონი“, თბილისი, 2000), რომელიც მათმა მოწაფეებმა და მოწაფეთა მოწაფეებმა განვახორციელეთ ბრწყინვალე წიგნის ავტორთა ნაადრევი გარდაცვალების გამო. დღემდე იგი არაერთი სადისერტაციო თუ ეტიმოლოგიური ნაშრომის საფუძველია ქართველოლოგიაში; მოვიყვანთ მხოლოდ ამონარიდს ერთ-ერთი მათგანიდან: „ჩვენი მონოგრაფიის გამოქვეყნებაზე ფიქრი შესაძლებელი გახდა ვ. თოფურიას და მ. ქალდანის ლექსიკონის წყალობით. მისგან დიდად არის დავალებული ჩვენი ნაშრომი. დანამდვილებით შეიძლება ითქვას: **სვანური ლექსიკონი სამელო (მუარი) საფუძველია ქართველურ ენა-კილოთა ლექსიკონის გადრმავებული ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევისა.** გვჭერა, რომ იგი საპატიო ადგილს დაიჭერს ამ რიგის სხვა ლექსიკონთა შორის“ (ჩუხუა 2000-2003: 5).

სვანებოდ გვინდა გავხაზოთ შედარებით ახალი პუბლიკაციები (მ. ჩუხუა „ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003; Г. Климов, М. Халилов, Словарь кавказских языков, Москва, 2003; მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძველები, თბილისი, 2007; H. Fähnrich, Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, Leiden-Boston, 2007; მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი, 2008), რომლებშიც .მეტად საინტერესო (თუმცა ხშირად სადავოც) ქართველურ-კავკასიურ-ბასკური ეტიმოლოგიებია გაანალიზებული.

მისასალმებელია, რომ სვანური ენის სტრუქტურული ანალიზითა და ლექსიკონის ეტიმოლოგიური გააზრებით არაერთი უცხოელი ქართველოლოგია დაინტერესებული. არსებობს ინგლისურ-სვანური და სვანურ-ინგლისური ლექსიკონების სხვადასხვა გამოცემა. ამ თვალსაზრისით მუშაობა მიმდინარეობს გერმანიაში, კანადაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, პოლონეთში, ლატვიაში, უკანასკნელ ხანებში კი — ავსტრიაში, შვეიცარიაში და იტალიაში. **განსაკუთრებით გამოირჩევა გერმანული ქართველოლოგიური სკოლა**, რომლის შემწეობით გერმანულ ენაზეც არსებობს კარლ შმიდტის, ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონები, სვანური პროზაული ტექსტებისა და პოეზიის პირველ ტომთა თუ სვანური ანდაზების ინდექსები, რომლებიც შეადგინა იოსტ გიპერტმა.

რაკილა საფრანგეთი შედარებით მოკრძალებულად გამოიყურებოდა სვანოლოგიური თვალსაზრისით, მე და ჩემმა მოწაფეებმა ვთხოვეთ პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის დირექტორს პროფესორ ჯანრი კაშიას, დაგვხმარებოდა ქართულ-სვანურ-ფრანგული ლექსიკონის შედგენა-გამოცემის საქმეში. მის მიერ ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე შესრულებული შრომები ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ შეიძლება ლინგვისტური ქართველოლოგიის განჭვრეტა ფილოსოფიურ-კულტუროლოგიური თვალსაზრისით. მან დიდი სიამოვნებით მიიღო ჩვენი წინადადება და 2002 წელს გამოსცა ძალზე ორიგინალური მონოგრაფია „ენა, საზრისი, ყოფიერება (ქართველურ ენათა ტოპოლოგია)“. მასში ნათქვამია: „დიდ მადლობას მოვახსენებ პროფესორ იზა ჩანტლაძეს სვანურ-ქართულ-ფრანგულ ლექსიკონზე სამუშაოდ მიწვევით და **სვანური ენით ჩემი ცდუნებისათვის**“ (კაშია 2002: 249). ბატონი ჯანრი ძალზე ჩაუღრმავდა მუშაობას თეორიული მიმართულებით, მაგრამ მას უპირველეს მოვალეობად მაინც ხსენებული სამეწარმეო ლექსიკონის შექმნა მიაჩნდა. წლების მანძილზე საოცარი რუდუნებით ნაღვაწი დასასრულს უახლოვდებოდა, რომ სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა მისი ერთ-ერთი ავტორი — სისხლის წვიმების საუკუნეში ემიგრანტული და პოლიტიკური ცხოვრების უმკაცრესმა სუსხმა სასიკვდილო დარტყმა მიაყენა ბატონი ჯანრის გულს. ამ წიგნის დანარჩენი ავტორები ჩვენი წილი პატივის მისაგებად ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მკითხველმა დროულად მიიღოს პუბლიკაცია, თუმცა უჩვენოდაც კარგა ხანია უკვდავყოფილია ნინო და კალისტრატე სალიების მამულიშვილურ საქმეთა დიდებული გამგრძელებლის სახელი ქართველი ერის ისტორიაში თავისი ჟურნალით „ივერია“. ჯანრი კაშია სულ იმას იმეორებდა, „**მეგრულ-ლაზური ქართული ენის გულია, ხოლო სვანური — გულისგული**“-ო.

ამჯერად ყველაზე საშურ საქმედ გვეჩვენება **კოდორის ხეობის** სვანურისა და **ჩოლურული** მეტყველების ლინგვისტური ანალიზი. გამოსაცემია აგრეთვე მოსე ჯანაშვილის „ქართველური სიტყვარი“ (1875-1925 წ.) და ალექსანდრე ლლონტის (თანაავტორები: იზა ჩანტლაძე, ოთარ ქაჩაია, ომარ მემიშივი) „მცირე ქართველური ლექსიკონი“ (2007 წ.), რომლებშიც

სვანური მასალა სოლიდურადაა წარმოდგენილი ქართულის, მეგრულისა და ლაზურის გვერდით.

უმწერლობო ენის ლექსიკონის შექმნა რთული საქმეა! ეს მით უფრო სვანურის შესახებ ითქმის, რომელსაც 48 ფონემა აქვს (ბგერითი სისტემის სირთულე, ძირითადად, განპირობებულია უმლაუტის, ხმოვანთა სიგრძისა და ანაპტიქსური ხმოვნის არსებობით აღნიშნულ ენაში).

„ენათა მეცნიერული შესწავლა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია. ყველაფერი, რაც კი მტკიცე მეცნიერულ მონაპოვრად ითვლება სხვადასხვა ენების წარსულის შესწავლისას, ისტორიულ-შედარებითი ძიების შედეგადაა მიღებული. არ არსებობდა და არ არსებობს სხვა გზა, რომელსაც შეეძლოს არათუ უკეთესი შედეგების მოცემა, არამედ თუნდაც დაახლოებით იმგვარივესი, როგორსაც ისტორიულ-შედარებითი ძიება იძლევა“ (ჩიქობავა 1938: 1). „შედარებამ ყოველთვის უნდა მიგვიყვანოს ფორმათა რეკონსტრუქციამდე“ (Saussure 1955: 300).

თანამედროვე სვანურ მეტყველებაში წარმოდგენილია როგორც უძველესი, საერთოქართველური ენის დიფერენციაციის შემდგომდროინდელი მასალა (ვთქვათ: ძვ. ქ. კუეს-ებ-ა-ე — სვან. (ლხმ./ჩბხ. ლი-კჷაშ-ე „შეთბობა“, ძვ. ქ. წული — სვან. ჭუშ „ჯაი“), ისე შედარებით გვიანდელი (მაგ.: კვეცა — სვან. ლი-კჷც-ე) ან სრულიად ახალი ნასესხობანიც (მაგ.: არხ-ი — სვან. ლგ-ლ-ჰენ ზს., აჩხ ლტ., ლგ-ლ-მენ ქს. || კანაო).¹

სვანურმა ენამ თავისი განვითარების გრძელ გზაზე, მას შემდეგ, რაც ის გამოეყო პრექართველურს, არაერთი ცვლილება განიცადა როგორც ფონოლოგიურ-გრამატიკული, ისე ლექსიკური თვალსაზრისით. ამიტომაც, სრულიად ბუნებრივია, რომ ერთმანეთის გვერდით გვხვდება არა მხოლოდ კანონზომიერ ფონემათშესატყვისობათა შემცველი ძირები (აცლევინებს — ბზ. ხ-ა-ჰრ-უნ-აჷ-ნ-ე „აყრევიწებს“ < „ა-ცარ-იელ-ებ-ინ-ებ-ს“), არამედ ნასესხები ფუძეები როგორც სხვადასხვა, ისე ერთსა და იმავე დიალექტშიც კი, ხოლო ზოგჯერ მარტოოდენ ნასესხები სიტყვებიცა შემოგვრჩა („აწვალებს“ — ზს. ა-წუალ-აჷ-ი, „აცოდვილებს“ — ბზ. ა-ცუდ-აჷ-ი, ხ-ა-ცუდ-ილ-ალ-უნ-ე“; „აძაღლებს“ — ბზ. ა-ძაღლ-აჷ-ი, შდრ. ჩოლ. ა-ყჯ-უნ-ე).

როცა ამა თუ იმ ლექსემის ფორმა განსხვავებულადაა წარმოდგენილი ძველსა და ახალ ქართულში, მაშინ სასურველია მიეთითოს ორივე მონაცემი, რათა მკითხველისთვის ნათელი იყოს, სვანური სიტყვა დიაქრონი-

¹ სესხება სახელებში უფრო ხშირია, ვიდრე ზმნებში.

ულად რომელი ეპოქის კუთვნილებაა, თუმცა ამის გარკვევა ყოველთვის არაა ადვილი — მაგალითად: ბზ., ლშხ. ლი-ტუს-ე („კმევა“) ძირისეული ხმოვნის სიგრძით ახ. ქ. ტრუს-ვ-ა'დან მომდინარედ უფროა მოსალოდნე-ლი, ვიდრე ძვ. ქ. ტუს-ვ-ა'დან (შდრ. აგრეთვე ქიზიყ. ტუს-ვ-ა), თუმცა ამოსავალი ეს უკანასკნელი ფორმაა.

კომპარატივისტები, ჩვეულებრივ, თავს არიდებენ ხოლმე სემანტიკურ რეკონსტრუქციებს (მათთვის გადამწყვეტია არქიფორმათა ფონოლოგიური სახე), რადგანაც ამას „თან ახლავს ნებისმიერობა, აბსტრაქტულ ცნებათა რეკონსტრუქცია“ (ფენრიხი-სარჩველაძე 2000: 25). არადა „შესატყვის ფუძეთა ძიებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს პირვანდელი სემანტიკის დადგენას“ (არაბული 2001: 29). რაკი ყოველ ენობრივ სისტემას სა-მყაროს ლინგვისტური ხატის აგებისას საფუძვლად მხოლოდ მისთვის და-მახასიათებელი სინტაქსურ-სემანტიკური დანაწევრების ალგორითმი უდევს, აუცილებელია მისი შესაძლო ინტერპრეტაცია პრაენის დონეზეც, თუმცა „მონათესავე ენებში შესადარებელ სიტყვათა განსხვავებული სემანტიკური ნიუანსები მრავალფეროვანია, პოზიციათა სიმრავლე გაცილებით კომპლექსურია და ნაკლები სიზშირისაა“ (ივანიშვილი 2005: 6), ვიდრე ეტიმოლოგიური ფონეტიკის შემთხვევაში. სემანტიკური რეკონსტრუქციის სირთულის მიუხედავად, მასზე უარი არ უნდა ვთქვათ, რადგანაც მაინც არსებობს შესაძლებლობა ცალკეულ ლექსემათა მნიშვნელობების გადაწე-ვის დაფიქსირებისა და გარკვეულ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფთან სისტე-მურ მიმართებაში მყოფი კონკრეტული სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელო-ბის დიდი ალბათობით აღდგენისა; მაგალითად: ადღუღებს — **ქაფუჟინე** ბზ. < „ა-ა-ფუ-ებ-ს“ იგივე ვითარებაა ნასესხებ სიტყვებთანაც: სუფთა — **წყუზარ** („თეთრი“ < ძვ. ქ. „მ-წყუზ-არ-ი“) ზს., დალოცვილი, კურთხეული — **წყულიან** ბზ. < „წყლ-იან-ი“, ათეთრებს — **აქათქათინე** ლშხ. < „ა-ქათ-ქათ-ებ-ს“, ნავაი — **ონრობა** ლნტ., < „ონრ-ობ-ა“, თუმცა „იმის გარკვევა ფუძეე-ნიდან მომდინარე ლექსიკური ერთეული გვაქვს, თუ ერთი ქართველური ენიდან სხვა ქართველურ ენაში ნასესხები, ზოგიერთ შემთხვევაში მეტად რთულია; განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე გვაქვს იდენტურ ფონემათ-შესატყვისობებთან, ხოლო სემანტიკა ერთნაირია ან სემანტიკური სხვაობა დასაშვებ ფარგლებს არ სცილდება“ (ფენრიხი-სარჩველაძე 2000: 28).

ზედმიწევნით გადმოქართულებული სწორი გრამატიკული ფორმა იშვიათად ხელოვნურობის შთაბეჭდილებასაც ტოვებს, ამიტომაც ლექსი-კონში უნდა აღვნიშნოთ ვარსკვლავით: ამტვრევს (პურს) — **აბენჯურე** (*„ანატეხებს“)ბქ. (შდრ. ბოჯ — პურის ნატეხი, რომელიც ყველა დიალექტში ერთგვარადაა წარმოდგენილი).

ზოგჯერ ესა თუ ის სვანური სიტყვა ამოსავალი სემანტიკითა და ქართულთან შესატყვისი ან იდენტური (მათ შორის ნასესხებიც) ძირითაა წარმოდგენილი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ამ უკანასკნელს ვერც დავშლით და ვერც გავზაზავთ, რათა არ დავარღვიოთ ლექსიკონის მარცხენა მხარეს მითითებულ ქართულ ლექსემათა „თეთრი“ შრიფტით აგებული სისტემა (ზაფხული — **ლუფხუ**, ლაწვი — **ღაჭა**, ირღვევა — **რედუნი**-ი, ქვისლი — **მეჭუმელ**, მირეკავს — **არკალო**, ოფლი — **უოფ/უიფ**, დასობა — **ჟი ლისუმ**, ღვიძლი — **ჟუიფე**, მშენიერი — **მუხგუნ**, სვანი — **მუშუნ**, მოჩვევა („მოშინაურება“) — **ლიჩქნე** ზს. (Fähnrich 1982: 37, 2007: 541; თოფ. ქალდ. 2000: 471), რბილი — **მენშგუ**, დაცვა — **ლილჩე**, ცოცხი — **ჩეჩხ/ჩანჩ**, ცაცხვი — **წანხუ**, ძარღვი — **ძარღუ**, აძიძიგებს — **აჭგენე**, ციცხვი — **ეიშხა**, ტუა — **ჩი/ჩგ** (ბჭ. ჭგ), მკედელი — **მეშოი**, ხელეპა — **ლისჟლიძი**...).

საგანგებოდ უნდა მოვეპყრათ ლეჩხუმურ კილოს, ე. წ. გაიმერლებულ სვანთა მეტყველებას. როცა ძირი დადასტურებულია მხოლოდ სვანურსა და ლეჩხუმურში, აბრევიატურა **შდრ**. ალბათ, უხერხულიცაა (წყარო — **ბინულ**, ლჩხ. **ბინულ**-ი,¹ განტოტვა — **ლიჩინხუ**, ლჩხ. **ჩინხვ**-ი „ნათესავი, მემკვიდრე“...) ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ ჰაინც ფენრიხმა ლეჩხუმური **ჩენდ**-არ-ი („მოჭრილი ხის გამხმარი ძირი“) ქართულ **ცენდ**-არს შეუპირისპირა როგორც სვანური მონაცემი.² იმედია, კომპარა-

¹ თუმცა **ბინული** რომ მხოლოდ ლეჩხუმური არაა, ამაზე შესაძლოა მიუთითებდეს არალეჩხუმელი ავთანდილ გაფრინდაშვილის ერთი ლექსის სტრიქონი: „ოქროცურვილ **ბინულიდან** მზეებს გიზიდავდი პეშვით“ (იხ. მისი ლექსები, თბილისი, 2004: 16).

² იხ. მისი Gedanken zur kartwelischen Rekonstruktion, Jena, 1998: 45 (აქვე გვინდა საგანგებოდ აღვნიშნოთ, რომ ძალზე დიდია გერმანული ქართველოლოგიური სკოლის დამსახურება ეტიმოლოგიურ ძიებათა დარგში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან პროფესორები: გერჰარდტ დეეტერსი, კარლ ჰორსტ შმიდტი და ჰაინც ფენრიხი. როგორც ცნობილია, ზურაბ სარჯვლაძესთან მრავალწლიანი თანამშრომლობის შედეგად ჰაინც ფენრიხმა არაერთი საყურადღებო არქიფორმა აღადგინა, ხოლო ქართველი კოლეგის გარდაცვალების შემდგომ დამოუკიდებლად წარმოადგინა არანაკლებ საინტერესო ეტიმოლოგიები ვ. თოფურაის და მ. ქალდანის „სვანური ლექსიკონისა“ და ო. ქაჭიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მასალაზე დაყრდნობით. ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ მისი გააზრება ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენსას დაემთხვა, რაც კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს ეტიმოლოგიებს, თუმცა იმასაც შევნიშნავთ, რომ კ. შმიდტისა და ჰ. ფენრიხის ცდებს საერთოქართველურ ენაში **ლ'** და **ტ'** ლატერალთა აღდგენასთან დაკავშირებით ვერ გავიზიარებთ. აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით და გულწრფელ მადლობას მოვასხუნებთ ბატონ ჰაინცს ჩვენთან თანამშრომლობისა და არაჩვეულებრივად კოლეგიალური დამოკიდებულებისათვის ჩოლურულ-გერმანულ ზნანთა საძიებლის იენაში გამოქვეყნების გამო (იხ. Iza Tschantladze, Heinz Fähnrich, Tscholurswanich-Deutsches Verbenverzeichnis, Jena, 2003).

ტივისტულ ლაბირინთებში ასე თუ ისე ჩახედული მკითხველი თავადაც გაერკვევა საქმის ვითარებაში.

„როდესაც შინაგანი თუ შედარებითი რეკონსტრუქციის შედეგად მიღებულ მატერიალურ მონაცემებზე დაყრდნობით ძირ-ფუძეთა შინაარსობრივი ურთიერთმიმართების საწყისებს ვეხებით, არსებითად წინ წამოიწევს სემანტიკური რეკონსტრუქციის პრობლემა, რომელსაც, საერთო აღიარებით, ფრიად სერიოზული, არცთუ იშვიათად — დაუძლეველი, სირთულეები ახლავს, თუმცა ანალოგიური პრობლემების კვლევის საყოველთაო გამოცდილება მაინც იძლევა გარკვეული კანონზომიერებების დანახვის შესაძლებლობას“ (არაბული 2001: 11). მართლაც ძალზე რთულია სემანტიკური ნიუანსთა ამოსავლების ძიება (შესაძლოა არქიტფორმათა აღდგენაზე პრობლემატურიც კი!), მაგრამ ჩვენ მაინც შევეცადეთ ამ მიმართულებითაც გვეწარმოებინა კვლევა-ძიება. ასეთ შემთხვევაში, თუ ვახერხებთ სპეციალური ლიტერატურის მიხედვით ან ჩვენი ვარაუდით თავდაპირველი სემანტიკის ეტიმოლოგიურ ჩვენებას, მისგან მომდინარე სემანტიკებს აღვნიშნავთ « სიმბოლოთი, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში მისი გამოყენება მთლად მოხერხებული არ უნდა იყოს. მაგ. გამოცალკეება — ქა **ლიმშე** ბზ., ქა **ლითში** ზს. („გამორჩევა“ < „გა-მო-თიშ-ვა“); გამოყვანილი — ქა **ლშე** ბზ., ქა **ლგვიდ** ლნტ. („გამოტანილი“ < ძვ. ქ. გან-მო-ვღ-ომ-ილ-ი“);¹ გააპრიალებს — ქა **ქწკირინე** < ქა **წკირინე** ბზ. (< „გა-ა-კრ-ილ-ებ-ს“); ქა **კიჟინე** ლნტ. („გააბრჭყვიალებს“); ქა **აფერჟწანი** ჩოლ. (< გურ. „გა-ფერ-ავ-ს“); გამოძახება — ქა **ლიპრიწე** ზს. („გამოხშიანება“), ქა **ლიმწლი** ბზ., („დაბარება, გამოხმობა, გამოტყუება“), გაავებული — ჩუ **ლგსრე** ბზ. („გაგიეებული“), ჩუ **ლგფთე** ბზ. (< „და-ფეთ-ებ-ულ-ი“), ჩუ **ლგტტურე** ზს. („გა-ტენ-ტერ-ებ-ულ-ი“), ჩუ **ლგქგჩიბე** ბქ. (< მოხ. „გა-და-ქმანჩ-ვა“ ან იმ. „ქანჩ-ვა“); ჭამა (დიდი ლუკმებით) — **ლიყუბე** ბზ., **ლიბლუჟუბე** ლნტ. („ტენვა“ < ლჩხ., რაჭ., გურ. **ბლაც-ნ-ა**, **ბლუყ-ნ-ა**, მოხ. **ბუყ-ნ-ა**).

¹ ძველი ქართული გან-ვედ „გადი“ და სვანური ლი-ვედ „სვლა“ არაერთ მკვლევარს დაუკავშირებია ერთმანეთთან როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით, იმდენად ნათელია მსგავსება მათ შორის, მაგრამ ჩვენი ყურადღება მიიქცია ავთანდილ არაბულის გააზრებამ, რომლის მიხედვითაც აქვე შემოვა თავ-ვედ- („ფიცხელი, თავასული“) კომპოზიტის მეორე კომპონენტში წარმოდგენილი -ვედ-ძირიც (არაბული 2001: 51).

სვანური ენის დიალექტები და კილოკავები ერთმანეთს უპირისპირდება ორგანულ ფორმათა და აღწერით კონსტრუქციითა გამოყენების თვალსაზრისითაც: გამოფაშვა — **ლიფშურე** ზს., **ფაშრე ქა ლიკედ** ბზ. („ფაშვ-ების გამოღება“ < „გა-მო-კიდ-ება“); ხუთვა — **ლიჭუბდერი** ბქ., **ქუინიშ ლისკოდე** ლხმ., ჩბხ. („სულის გალრმავება“); ხუქავს (თვალს მომაცვდავი) — **აშდრგნე** ბქ., **აშტაკუნე** ჩოლ. („*ა-უკუნ-ებ-ს“ ან „*აკბი-ლებს“), **თერარს უშხჭარჟი ხათხფე** ლხმ. („თვალებს ერთმანეთზე ოდნავ აფარებს“); დაწვა (მეტისმეტად) — **ლიჟჩე** ზს., **ლიგტაში** ზს. („*ქატო-ბა“?) **ლიგტასპე** ბქ., **ქიქიმდ ლიგნე** ლნტ. („ფერფლად ღგმა“); წინდახედული — **გაგფორ** ბზ., **ღემზალ** ზს. („მცოდნე“); **სგობდ მგსკდი** ლშხ. („წინ მხედველი“); წკავწკავი — **ლიწკაჟწკაჟი** ლშხ., **კაკჟი ლიკედ** ზს. (ძვ. ქ. „კაკარ-ების ა-კიდ-ება“?), უდგება — **ხეწუდი**, **ხეწენალ** ბზ. („შე-ე-წევ-ა“), **ეჩხენიუ ღგ** („იქითკენ ღგას“) ლხმ., უარყოფს — **აკურცხე**, **ამაქურე**, **აქაქურე** („ატყუებს“) ჩოლ., **ნაქჟ ღეშდ ესღჟა** („ნათქვამი უკან მიიქვს“) ლხმ., ძმისწული — **ნიბაშინ** („ნა-ბად-იშ-ეგ-ი“) ბზ., **მუხტბემი გეზალ** ბზ., საზვარაკო — **ლაჟუჟარ** უშგ., ერთი მხრივ, და **ჟუიჟა ლაჯდა არგი** „ზვარაკის მისატანი ადგილი“, მეორე მხრივ, **ტუტმწოვარა** (ბავშვი) — **მეჩიგჟ** („მრქენელი“, შდრ. ხეგს., ფშ. „ჩიგვ-ა“) ბქ., **ჟოქთაჟ** („ლორთქო“?) ლშხ., **ლუსს მექემ** („ტუტს 'მი'მდევარი, მიმყოლი“) ქს., ქათმის ჳირი — **თხგპ** (< ლხს., იმ., გურ., „თხიპე“, **თხიპა-ი**“) ჩოლ., **ქათლა ჳირ** ლშხ...

ზოგჯერ ერთი დიალექტის ან კილოკავის შიგნითაც შეიძლება მონაცვლეობდნენ ორგანული და აღწერითი მონაცემები (დამსხვრევა, დაყვლეფა — ბზ. **ლიჟუმფლანჟი**, ერთი მხრივ, და **ჟულანფდ ლიგნე** — „ყვლეფად ღგ-ომ-ა“, მეორე მხრივ).

ხანდახან რთულდება სვანური აბსტრაქტული სახელებისა და მასდარების ქართულად თარგმნის პროცესი, რადგანაც მათ ქართულში, ჩვეულებრივ, ერთი ეკვივალენტი აქვთ. ძირითადად ასეთ ტიპთან გვაქვს ხოლმე საქმე: აცდენა — **ქადა** (შდრ. ძვ. ქ. „სი-ქად-ული“) ზს., **ლიქდენი** (შდრ. ძვ. ქ. **ქად-ება**“) ზს., კლება — **ბა/ერა**, დაკლება — **ქა ლიბრე** („გა-მო-ბრა-ა“), ბანაობა — **ბა/ერა** ზს., დაბანვა — **ქა ლიბარ** ზს., ან მივმართავთ ასპექტობრივ ოპოზიციას: უსრული ასპექტის (უპრევერბო) ფორმა ალბათ, უფრო შეესაბამება აბსტრაქტულ შინაარსს, ხოლო სრული ასპექტისა —

მასდარს: მატება — ქამა, მომატება (მოიმატებს) — ლიქმე („ქმ-ნ-ა“), მომატება (მოემატება) — ლიქემ („ქმ-ნ-ა“), თუმცა ყოველთვის ამ სადემარკაციო ხაზის გავლება არაა ადვილი. შდრ. ქრობა — დჳგა ბზ. („დაგ-ვ-ა“), ქრობა (აქრობს) — ლიდგე ზს. („დაგ-ვ-ა“), ქრობა (ქრება) — ლიდგე ზს. („დაგ-ვ-ა“) და ჩაქრობა (ჩააქრობს) — ჩუ ლიდგე („და-დაგ-ვ-ა“), ჩაქრობა (ჩაქრება) — ჩუ ლიდგე („და-დაგ-ვ-ა“);

ასე რომ, ე. წ. წინდებულ-თანდებულები (ვარლამ თოფურიას ტერმინოლოგიით): ჩუ, უი, ქა, სგა ძალიან გვირთულებენ საქმეს სვანური მასდარებისა და აბსტრაქტული სახელების ერთმანეთისაგან გარჩევისას ქართულ თარგმანებში. თუ სხვა გამოსავალი არაა, ძალზე იშვიათად პრევერბი უნდა ჩავსვათ ნახევრად კვადრატულ ფრჩხილებში ან გამოვიყენოთ ხელოვნური მონაცემები:

‘გა’თავება (ან „თავება“) — შდჳხა (შდრ. ძვ. ქ. თხ-ევ-ა), გათავება (გათავებს) — ჩუ ლიშდხე („გა-თხ-ევ-ებ-ა“), გათავება (გათავდება) — ჩუ ლიშდხე („გა-თხ-ევ-ებ-ა“).

სადაც კი შესაძლებელია, სვანური ლექსემები უნდა შევადაროთ ძველი ქართულისა და თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში დადასტურებულ ბგერობრივ-შინაარსობრივად იდენტურ ძირებს. ირკვევა, რომ ყველაზე მეტი მასალა თანხვდება დასავლურქართულსა (ძირითადად, ლეჩხუმურ-რაჭულს) და აღმოსავლური მთის დიალექტებს. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ამგვარი ძირები ძალზე იშვიათად გვხვდება იმერხეულში, ინგილოურსა და ფერეიდნულში. თუ ესა თუ ის ფუძე დადასტურებულია ძველ ქართულში, პირველ რიგში ის უნდა მიეთითოს. მაგ: აკლის (თმას გასაყიდ საქონელს) — აფინჩორე ლზს. (შდრ. ძვ. ქ., მთიულ., მესხ., „ფიჩ-ი“, იმერ. „ფინჩქ-ი“, გურ. „ფინჩ-ი“).

გართულებულია პრევერბიან ფორმათა ქართულად თარგმნის საქმეც. ზოგჯერ ქართული ლექსემა არ იხმარება უზმნისწინოდ, ზოგჯერ კი პირიქით — ზანურსა და სვანურში პრევერბიანიც შეიძლება და უპრევერბოც. ასეთი შემთხვევებისთვის უნდა გამოვიყენოთ ნახევრადკვადრატული ფრჩხილები იშვიათად სვანური ენის დიალექტებიც გვიჩვენებენ სხვაობებს ზმნისწინთა ხმარების შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველოლოგიურ ლიტერატურასა და სვანური ტექსტების პუბლიკაციებში უმლაუტიანი ა ხმონის წინა კოზიციში მდებარე გუტურალ თანხმოვანთა (გ, ქ, კ) იოტიზაცია ტრადიციულად არ

აღინიშნებოდა,¹ ჩვენ მაინც ვთვლით, რომ ამაზე მინიშნება უპირიანი იქნება, მით უფრო, რომ უკანასკნელ ხანებში უცხოელი კავკასიოლოგები შესაბამის თანხმოდანთა მარჯვნივ (ზემოთ) j სიმბოლოთი გამოხატავენ აღნიშნულ ფონეტიკურ პროცესს (მაგ: გ¹ან — დანა ქ¹ან — კანაფი, კ¹აჟ — კაჟი,...). რასაკვირველია, ჩვენ ქართული ლ გვირჩევნია (გ¹ან, ქ¹ან, კ¹აჟ).

რაკილა კბილბაგისმიერი -გ სვანურში არ არსებობს (გამონაკლისია რამდენიმე სიტყვა ლენტეხურ-ლეჩხუმურ კილოთა საზღვარზე და იქაც ქართულის გავლენაა), ისევე, როგორც ვარლამ თოფურისა და მაქსიმე ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“, ჩვენ ყველგან სათანადო ადგილას ვიყენებთ წყვილბაგისმიერი ბგერის შესაბამის ჟ გრაფემას.

ეტიმოლოგია ისტორიული ლექსიკოლოგიის ნაწილია. მას საქმე აქვს ცალკეულ სიტყვათა მნიშვნელობის განვითარების უძველეს საფეხურთან — მნიშვნელობის წარმოქმნასთან... ამგვარი ძიება იძლევა სტიმულს ამა თუ იმ ენის ბგერითი და გრამატიკული აგებულების გაღრმავებული შესწავლისათვის. ეტიმოლოგიის, როგორც ენათმეცნიერების დარგის, წარმატება (თუ წარუმატებლობა), ასახავს დონეს, რაც მიღწეულია სათანადო ენის შესწავლაში: ეტიმოლოგიათა მეტ-ნაკლები სანდოობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად საფუძვლიანად ვიცით მოცემული ენის განვითარების გზები და რამდენად კარგად გვაქვს გათვალისწინებული ამა თუ იმ ლინგვისტური ფაქტის ისტორიული ბედ-იღბალი“ (ფონჩხუა 1974: 67).

¹ აკაკი შანიძის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „უმლაუტი სვანურში“ („არილი“, ტფილისი, 1925) ნათქვამია: როცა ანს წინ უძღვის ერთ-ერთი გუტურალთაგანი, მათ უთუოდ იოტაციას უჩენს: კაჟ, გაჟ, ქაჟ, კაჟ, გაჟ, ქაჟ (ოდნავი იოტაცია მოისმის, აგრეთვე, მაშინაც, როცა კანს და განსაკუთრებით კი განს ე მოსდევს. იშვიათად შემიმჩნევია სულ მცირეოდენი იოტაცია შინის შემდეგაც, როცა მას უმლაუტიანი ა მოსდევს). ამიტომაც წესად მაქვს მიღებული, რომ სვანური ტექსტების ჩაწერისა თუ დაბეჭდვის დროს იოტაცია ასეთ შემთხვევაში არ გამოვხატო არავითარი ნიშნით, რადგანაც იგი აღნიშნული ხაზი თანხმოდანის შემდეგ პალატალიზაციის წინ ყველგან და უოველოვს თავისთავად და უთუოდ იგულისხმება“ (ხაზი ჩვენია — ე. ჩ.). თანამედროვე სვანური უმლაუტი გარკვეულწილად განსხვავდება თითქმის საუკუნის წინ ფიქსირებული მონაცემებისაგან, ბუნებრივია, სხვაობა იქნება მისი თანამდევი პროცესის (იოტაზაციის) გამოხატვაში უკანაენისმიერ თანხმოდანთა მომდევნო პოზიციაში (ხაკითხს ხბეციალური შესწავლა ხპირდება). ძალზე საგულისხმოდ გვეჩვენება ნიკო მარის ერთი შენიშვნა: „Достаточно сказать, что я в Ушкуне не сразу вполне хорошо усвоил смягченный гласный ж, что первое время я часто смешивал даже его с га (Март 1922: VII). დასანანი, რომ ქართველოლოგიაში ეს შენიშვნა რატომღაც უუურადღებოდ დარჩა.

ქართველურ ენათა ძირეული ლექსიკის შესწავლისას „საგულისხმო პერსპექტივა იშლება როგორც ისტორიული მორფოლოგიის (ფლექსიისა და ღერივაციის), ასევე, განსაკუთრებით, სემანტიკური (სემასიოლოგიური და ონომასიოლოგიური) კვლევის თვალსაზრისით“ (არაბული 2001: 11). არც ჩვენ დაგვიწყია მშრალ ადგილას ამგვარი მუშაობა. ჩვენი მოღვაწეობის პირველი ნახევარი (თითქმის 30 წელი) მოვანდომეთ ქართველურ ენათა გრამატიკული სტრუქტურისა და ფონოტაქტიკის შესწავლის საქმეს, რამაც მიგვიყვანა ეტიმოლოგიურ კვლევა-ძიებამდე.

მოსალოდნელია, რომ დროთა ვითარებაში ჩვენს კონკრეტულ ეტიმოლოგიას ყველი გაუვიდეს და ის არათუ სხვისთვის, არამედ ჩვენთვისაც აღარ იყოს სარწმუნო. აქვე გავიხსენებთ დიდი ივანე ჭავჭავაძის ერთ შენიშვნასაც: „იშვიათად თუ მოიპოვება სიტყვა, რომლის ეტიმოლოგიაც აკად. მარსს ორჯერ-სამჯერაც თვითვე შეცვლილი არ ჰქონდეს“ (ჭავჭავაძის 1937: 59), რაც, რაღა თქმა უნდა, წარმოუდგენელია.

არახალია, ძველია, რომ ძალზე რთულია ლექსემათა ამოსავალი ვითარების გარკვევა, ამიტომაც ზოგჯერ ერთი და იმავე ძირის თავდაპირველი ისტორია შესაძლოა სხვადასხვაგვარად წარმოიდგინოს თვით ერთმა და იმავე პიროვნებამაც კი! მაგ: მკვდარი — ლგ-ღგ^{არ}, შდრ. ძვ. ქ. და-ღგ^{არ}-ომ-ილ-ი, მე-ღგ^{არ}-ი ან და-მ-ღგ^{არ}-ი; ლოცვა — ლი-მ-ზირ, შდრ. ძვ. ქ. ზორ-ვა ან მზერ-ა; კეთება — ლი-ჩუემ, შდრ. ძვ. ქ. ქმ-ნ-ა, მაგრამ: მომატება, შოვნა — ლი-ქმ-ე, შდრ. ძვ. ქ. ქმ-ნ-ა; წვა — ლი-შხ-ი, შდრ. სი-ცხ-ე, მაგრამ: ძვ. ქ. ნა-ვშ-ირ-ი > ნა-ყშ-ირ-ი, ახ. ქ. ნა-ხშ-ირ-ი/ნა-შხ-ირ-ი; ანადგურებს, ანგრევს — ა-პც-ე, შდრ. ძვ. ქ. „ა-მ-პც-ე-ბ-ს“ ან „ა-ვოც-ავ-ს“...); ამჯერად ჩვენ ყველა მეტნაკლებად შესაძლო ვარიანტს მივეციტ არსებობის უფლება და არჩევანი მკითხველს მივანდეთ, რაკილა წინამდებარე ნაშრომი სტუდენტ-მაგისტრანტთა და დოქტორანტთა სახელმძღვანელოდაც ივარაუდება.

თანამედროვე სვანურ მეტყველებაში აშკარად იგრძნობა ოდინდელი ფონემათშესატყვისობების შემცველ იმ ძირთა და მერმინდელ ნასესხობათა თანაარსებობა, რომლებიც ერთსა და იმავე სემანტიკას გადმოსცემენ (მაგ. ჭრა — ლი-ქჩ-ე < „და-ქუც-მაც-ე-ბ-ა“, ერთი მხრივ, და ლი-ქჷც-ე, მეორე მხრივ); ისე კი, ახალს არაფერს ვიტყვით, თუ საგანგებოდ კიდევ ერთხელ გავხაზავთ, რომ რომელიმე კონკრეტული სიტყვის ისტორიაში შესაძლოა გამოჩნდეს არა მხოლოდ ენის, არამედ ერის პრობლემებიც. მაგალითად ლაშხური ღაჭა („ლაწვი“) ქართული ღაწვი'ის ფონემატური შესა-

ტყვისია, იმ დროს, როდესაც ქართული **ღანჭი** („ყბა“), იმერული **ღრაწჭი** („ქვედა ყბა“), გურული **ღრანჭმოქცეული** („ყბამოქცეული“), **ღანჭი**-იპ-ა-ღ, **ღანჭი**-იპ-ორ-ე („ძალზე გამხდარი ადამიანი“), იმერული **ღანჭი**-აპ-ურ-ა („ლაზღანდარა“), ქართლური **ღანჭი**-ო („ულაზათო, უშნო“), იმერული **ღანჭი**-ვა („ღრეკა“), და-**ღრანჭი**-ულ-ი („დაღრეკილი“) და მისთანათა ძირები ლაშხურ **ღანჭა**-ს („ყბა“) კი არ შეესაბამება (რადგანაც დასავლური ქართულის, მეგრულისა და სვანურის შიშინა აფრიკატი, როგორც წესი, სალიტერატურო ქართულში შესატყვის სისინა ფონემას იძლევა), არამედ სვანური ლი-**ღჭკე** („ყბედობა“) მასდარის -**ღჭკე**- ძირს, რომელშიც სრულიად კანონზომიერადაა წარმოდგენილი თანხმოვანთკომპლექსი (შიშინა აფრიკატს + უქანანისმიერი მკვეთრი თანხმოვანი) ქართული შიშინა **ჭ** აფრიკატის შესატყვისად.

მეგრულ-ლაზურსა და სვანურში აშკარად იგრძნობა აბსტრაქტულ ცნებათა ნაკლებობა და ეს ბუნებრივიცაა — უმწერლობო ქართველურ ენებში განყენებული სახელები ძალზე იშვიათად გამოიყენება, რაც გარკვეული კულტუროლოგიური აზროვნების ანარეკლი ჩანს. ეს გათვალისწინებული უნდა იქნას ნებისმიერი ლექსიკონის შექმნისას.

ამრიგად, სვანური იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი წევრია, რომელიც ქართველურ ენათა შორის ყველაზე მეტი არქაულობით გამოირჩევა. იგი ოთხ დიალექტს მოიცავს, მაგრამ მას შემდეგ, რაც გამოწვლილვით შევისწავლით როგორც კოდორული, ისე ჩოლურული ინტერფერენცირებული მეტყველების სპეციფიკას, შესაძლოა ბალსზემოურ, ბალსქვემოურ (ზემო სვანეთი), ლაშხურ და ლენტეხურ (ქვემო სვანეთი) დიალექტებს დაემატოს კიდევ ორი ლინგვისტური ერთეული კოდორული (ზემო-სვანური) და ჩოლურული (ქვემოსვანური) მეტყველების სახით;

სახელმწიფო თუ სალიტერატურო ენებისგან გასამიჯნავად სვანურისა და ზანურის მსგავს უმწერლობო ერთეულებს შეიძლება ვუწოდოთ **რეგიონული ენები**, რათა ისინი ზოგი ეთნოლინგვისტის უკიდევანო ფანტაზიით წარმოსახულ დიალექტთა საოცარი კონგლომერატის წევრები არ გახდნენ, ხოლო ჩოლურულისა და კოდორულის შესახებ მსჯელობისას ჭერჯერობით გამოვიყენებთ შედარებით ზოგად ტერმინს „**მეტყველება**“, რათა მათი საფუძვლიანი შესწავლის შემდგომ ადვილად შევძლოთ სვანური ენის კილო-თქმათა დიფერენცირება.

Allgemeines zur swanischen Sprache¹

Resümee

Für die Erforschung der Struktur und Geschichte der georgischen Sprache haben neben den eintausendfünfhundert Jahre alten Schriftdenkmälern und den Dialekten auch die Daten der schriftlosen Kartwelsprachen große Bedeutung. Deshalb vermerkte Karpes Dondua: "Die swanische Sprache ist zwar ebenso wie das Mingrelisch-Lasische nicht auf Pergament vertreten, doch dies hindert weder sie noch das Mingrelisch-Lasische uralte Eigenheiten zu bewahren, die vielleicht einmal allen Vertretern der Kartwelsprachen gemeinsam gewesen sind, aber in den Schriftdenkmälern überhaupt keine Widerspiegelung gefunden haben".

Nicht hoch genug einzuschätzen ist die Rolle der durch Archaismen beeinflussten swanischen Sprache für das historisch-vergleichende Studium und die Rekonstruktion von Archetypen der Kartwelsprachen, denn das Swanische steht der kartwelischen Grundsprache recht nahe. Sein phonematisches System, die grammatischen Merkmale und die Dialektvielfalt sind aus allgemeinsprachwissenschaftlicher Sicht besonders wertvoll.

Warlam Topuria betonte: "Die im Swanischen bewahrte uralte Lexik und die Ausdrücke, die die alte Lebensweise und das Hcidentum wiedergeben, die Reste eines archaischen grammatischen Baus und die reiche Folklore gestatten es, sich eine Vorstellung von der intensiven Geisteswelt und der hohen Kultur der kartwelischen Stämme zu machen... Daher ist das große Interesse ganz natürlich, das das allseitige Studium des Swanischen begleitet. Dieses Interesse bedingt die Notwendigkeit der Beschreibung des phonetischen Systems und des grammatischen Baus der swanischen Sprache unter historischem Blickwinkel und das Erfordernis, eine vergleichende Grammatik der Kartwelsprachen sowie zwei- und mehrsprachige und vergleichende Wörterbücher zu verfassen".

Ihrem Ursprung nach steht die mingrelische, lasische und swanische Bevölkerung in dem gleichen Verhältnis zur Bevölkerung der verschiedenen Gegenden Georgiens (Kartlis, Kachetiens, Imeriens, Guriens, Atscharas, Chewsuriens...) wie die Bewohner dieser Gegenden selbst zueinander. In den Kartwel-

¹ Hier möchte ich Prof. Heinz Fähnrich und Nino Dobordshginidze für die Übersetzung dieses Textes herzlich danken (გულითად მადლობას მოვახსენებ პროფ. ჰაინც ფენრიხსა და ნინო დობორჯინიძეს ამ ტექსტის თარგმნისათვის).

sprachen sind im Unterschied zu vielen Gruppen verwandter Sprachen keine unterschiedlichen nationalen Kulturen, kein unterschiedliches Nationalbewußtsein und keine unterschiedlichen staatlichen Strukturen entstanden. Aus diesem Grund stellt die georgische Nation die Einheit aller in Kartwelsprachen Sprechenden dar. Zugleich war das Georgische immer die einzige Literatursprache der kartwelischen Bevölkerung und ein Pfeiler der Einheit, während die schriftlosen Kartwelsprachen nach Ansicht von Aleksandre Oniani in funktionaler Hinsicht Dialekten der georgischen Sprache gleichkommen.

So ist es durchaus natürlich, daß sich für die swanische Sprache mit ihrem reichen Wortschatz seit geraumer Zeit nicht nur Georgier, sondern auch Ausländer interessierten. Entsprechende Materialien finden sich bei J. Güldenstädt (1787-1791), P. Pallas (1786-1789), G. Edwards (1788), J. Klaproth (1807-1808), G. Rosen (1845-1847), F. Bopp (1846-1847), I. Bartholome (1855-1876), P. Uslar (1863-1887), F. Müller (1864), A. Zagareli (1872-1880), D. Peacock (1887), H. Schuchardt (1895), R. von Erckert (1895), M. Dshanaschwili (1895-1925), A. Stojanow, M. Sawadskij, A. Gren (1890-1902), O. Wardrop (1911), B. Nisharadze (1913), A. Dirr (1928) und anderen.

Unschätzbar ist das Wirken von N. Marr zur phonetischen und morphologischen sowie lexikalisch-etymologischen Erschließung der swanischen Sprache. In St. Petersburg gründete er die Reihe "Materialien zur japhetischen Sprachwissenschaft" (Materialy po jafetičeskomu jazykoznaniju), in deren Band VIII, IX und X er die Ergebnisse von vier wissenschaftlichen Expeditionen nach Swanetien veröffentlichte: Untersuchungen, Texte, die Pflanzennamensammlung des Laschchers Arsen Oniani (*megmareš i balxare žaxele xoraw*) und einen versuchsweisen Abschnitt eines Shanisch-Russischen Wörterbuchs (*Izvlačenie iz svansko-russkogo slovarja*). Leider war es Marr nicht vergönnt, die Erarbeitung und Publikation des swanischen Wörterbuchs zu Ende zu führen. Diese Arbeit vollendete sein Schüler Karpes Dondua, der nach 1917 in Petrograd veröffentlichten laschchischen Texten ein Swanisch-Georgisch-Russisches Wörterbuch (*Materialy dlja svanskogo slovarja*) zusammenstellte, doch auch dieser ausgezeichnete Forscher des Swanischen erlebte die Herausgabe seines Werkes nicht.

1910 veröffentlichte Iwane Nisharadze aus Uschgul in Tbilisi sein 520 Seiten umfassendes Russisch-Swanisches Wörterbuch. Seither haben mehrere Sprachwissenschaftler und Nichtlinguisten (O. Wardrop, M. Tschartolani, Ch. Gudjedjiani, L. Palmaitis, A. Liparteliani, A. Awaliani...) versucht, swanische Wörterbücher zu verlegen.

Mit der Gründung der Georgischen Staatsuniversität Tbilisi und der Akademie der Wissenschaften Georgiens begann eine völlig neue Etappe in der Erforschung der swanischen Sprache. Das Wirken von Akaki Schanidze, Giorgi Achwlediani, Simon Dshanaschia, Arnold Tschikobawa und Warlam Topuria einerseits und die fundamentalen Arbeiten von Gerhard Deeters andererseits schufen die Grundlage für ein hohes Niveau bei der Erschließung der Kartwelsprachen. Es wurde eine spezielle Reihe ins Leben gerufen, die "Materialien zum Studium der Kartwelsprachen" (masalebi kartvelur enata šešçavlisatvis), in der in den Jahren 1939-1979 ein Band mit swanischer Volkspoesie und fünf Bände mit folkloristischen Prosatexten (wovon einer eine Chrestomathie darstellt) im oberbalischen, niederbalischen, lentschischen und laschchischen Dialekt sowie Sprichwörter veröffentlicht wurden. Bedauerlich ist nur, daß meist weder ein Wörterverzeichnis, noch eine wortwörtliche Übersetzung beigelegt ist, was den Gebrauch erschwert.

Später erschienen zur swanischen Sprache überaus bedeutsame Arbeiten von Tamas Gamqrelidse, Giwi Matschawariani, Tinatin Scharadsenidse, Maksime Kaldani, Surab Tschumburidse, Bakar Gigineischwili, Surab Sardshweladse, Aleksandre Oniani, Micheil Kurdiani, Georgij Klimow, Karl Horst Schmidt, Jost Gippert, Winfried Boeder, Jan Braun, Letas Palmaitis, Kevin Tuite, Ekaterine Osidze, Nia Abesadse und anderen.

Heute sprechen etwa 30.000 Menschen in swanischer Sprache (Erfassung von 1997). Der größte Teil lebt im Nordwestteil Georgiens, am Fuß der Hauptkette des Kaukasus in den Tälern des Enguri, des Zcheniszqali und des Kodori, darüber hinaus in den größeren Städten wie Tbilisi, Kutaisi, Sugdidi, Zageri, Zqaltubo, Rustawi, Marneuli, Bonlisi, Dmanisi, Tetrizqaro, Gardabani, Kaspi u. a.

Im Swanischen unterscheidet man traditionell vier Dialekte (Oberbalisch, Niederbalisch, Laschchisch, Lentschisch), doch nach in letzter Zeit verfügbaren Materialien wird es möglich, auch das Tscholurische als eigenen Dialekt abzugrenzen (und nicht als Übergangszone von der laschchischen zur lentschischen Mundart zu betrachten, wie das A. Schanidse und W. Topuria taten). Für die Anerkennung des Tscholurischen als eigenständigen swanischen Dialekt sprechen sich Lamara Babluani, Aleksandre Oniani und Micheil Kurdiani aus. Oberbalisch und Niederbalisch sind auch unter der Bezeichnung Oberswanisch bekannt, während Laschchisch, Lentschisch und Tscholurisch das Niederswanische bilden. Diese fünf Dialekte stehen hinsichtlich des Umlauts, der Vokallänge, der Reduktion, der Grammatik (Deklinations- und Konjugationssysteme, Syntax) oder lexikalischer Besonderheiten zueinander in Opposition.

Der oberbalische Dialekt ist auf dem Territorium von Uschgul-Latal im Kreis Mestia verbreitet. Natürlich ist das hiesige Swanisch nicht völlig gleichartig, und daher unterscheidet man sowohl Subdialekte (Uschgulisch, Kala-Iparisch, Mulach-Mestiisch, Lendsherisch, Latalisch) als auch noch kleinere Einheiten (beispielsweise innerhalb von Mulach die Ortsdialekte von Mushal, Tscholasch, Lachir, Murschel, Arzchel und Ghwebra-Sard-lasch).

Auch der niederbalische Dialekt ist die Sprechweise der Bewohner des Kreises Mestia, allerdings vom Dorf Betscho (einschließlich Lencher) an bis zur Grenze Mingreliens. Die beiden oberswanischen Dialekte trennt der zwischen Latal und Betscho gelegene Bergrücken Bal. Im Vergleich zum Oberbalischen ist das Niederbalische noch stärker differenziert. Dies sind die Subdialekte Betschoisch, Zchumarisch,¹ Ezerisch, Parisch, Tschubechewisch und Lachamulisch. Letzterer ist derart verschieden von den anderen niederbalischen Subdialekten hinsichtlich seines Umlauts, der Aoristbildung, aber auch der Lexik, daß es nichts ausgemacht hätte, auch das Lachamulische als eigenen Dialekt zu werten. Natürlich lassen sich Ortsdialekte auch im niederbalischen Dialekt unterscheiden, beispielsweise im Betschoischen die Ortsdialekte von Dolaswip, Tschkidanar, Lanchwra, Maser, Kartwan, Gul, Uschchwanar, Bagwdanar, Hebud, Tschochuld, Naschtkol und Twibisch).

Oberswanisch sprechen 14.709 Menschen.

In der niederswanischen Sprechweise ist ein bedeutend geringerer Unterschied zwischen den Dörfern festzustellen als im Oberswanischen. Vielleicht spielt hier auch der stärkere Kontakt zur georgischen Sprache eine gewisse Rolle.

Der lentschische Dialekt, der im Zcheniszqali-Tal gesprochen wird, umfaßt vier Subdialekte: Rzhmelurisch, das eigentliche Lentschisch, Chopurisch und Cheledisch.

Im Kreis Lentechi ist auch der laschchische Dialekt verbreitet, der sehr kompakt zueinander angeordnete Dörfer vereint, was naturgemäß bedingt, daß keine Sub-

¹ Nach Ansicht von M. Kaldani, ist das Zchumarische ein Ortsdialekt des Ezerischen neben dem eigentlichen Ezerischen und dem Parischen, gleiches läßt sich vom Tschubechewischen sagen (Kaldani, M.: Svanuri enis čubčexuri mečvelebis taviseburebani, in: Iberiul-kavkasiuri enatmecniereba XI, Tbilisi 1959, S. 213-234). Doch wie kompliziert die Dialekt- und Subdialektgliederung schriftloser Sprachen ist, zeigt sich im zweiten Band der swanischen Prosatexte, an dessen Zusammenstellung auch M. Kaldani mitwirkte und wo es heißt: "Das Niederbalische umfaßt sämtliche je unterhalb vom Bal existenten Sprechweisen: Betschoisch, Zchumarisch, Ezerisch, Parisch, Tschubechewisch und Lachamulisch. Zwischen ihnen ist der subdialektale Unterschied derart groß, daß selbst die Ortsansässigen fehlerfrei das Betschoische vom Ezerischen und das Ezerische vom Lachamulischen unterscheiden... Das Zchumarische ist ein eigener Subdialekt". (Svanuri prozauli tekštebi, II, Balskvcemouri kilo, Tbilisi, 1957, S. XII).

dialekte entstehen, so daß sich die Redeweise von Sasasch, Shachunder, Tschicharesch, Tschukul, Achalschen, Schged, Mele, Cheria, Laschchrasch, Leghwan, Machasch, Lekosand, Ludsh, Nazul, Ghob, Margwisch, Lemsagor, Lampalash und Mebez nicht sehr voneinander unterscheidet.

Im Tscholur-Dialekt spricht man in dem Gebiet, das Lentechi und Laschcheti verbindet. Für seine Abtrennung als selbständiger Dialekt sprach sich seinerzeit auch N. Marr aus: Wir meinen, daß es im Tscholurischen drei Subdialekte gibt: Saqdrisch, Tekalisch und Panagisch, wo als Ortsdialekte die Sprechweisen von dreizehn verschiedenen Dörfern fungieren.

Niederswanisch sprechen 11.411 Menschen.

Die Umlaute ä, ö und ü begegnen überall außer im laschchischen Dialekt. Die langen vokalischen Phoneme \bar{a} , \bar{o} , \bar{u} , \bar{e} , \bar{i} , \bar{y} sind in drei Dialekten der swanischen Sprache vertreten: im Oberbalischen, Laschchischen und Tscholurischen. Die umgelauteten Langvokale $\bar{ä}$, $\bar{ö}$, $\bar{ü}$ charakterisieren den oberbalischen Dialekt sowie den zentralen Teil des Tscholur-Dialekts. Was die Reduktion betrifft, so liegt eine ungefähr gleichartige Situation im Oberswanischen, Laschchischen und im Nordteil des Tscholurischen vor, während den lentechischen Dialekt und den Südteil des Tscholurischen eine schwache Ausprägung der Reduktionsgesetze kennzeichnet.

Eine starke Besonderheit stellt die Umlautung im Tscholur-Dialekt dar. Das Toponym Tscholir selbst verkörpert ja deutlich einen umgelauteten Stamm ($\check{c}olir < \check{c}olwir < \check{c}olür < \check{c}olur+i$, Nominativ-Morphem). Was die an den laschchischen Dialekt angrenzender Dörfer betrifft (Leuscher, Panaga, Tschwelp), so ist hier wie im Laschchischen die letzte Stufe des Prozesses $a > \bar{ä} > e$ erhalten, vor allem bei den Präverben ($en\check{c}id$ "er hob es auf", vgl. oberswan. und lentech. $\check{a}n\check{c}id$), während die Umlaute ö und ü nur in Gestalt der Komplexe we und wi auftreten und auch dies nicht in allen Fällen, was eine spezielle Untersuchung erforderlich macht. Für den saqdrischen Subdialekt, der dem Lentechischen benachbart ist, ist der Vokal $\bar{ä}$ eine gewöhnliche Erscheinung, doch im zentralen Teil des Tscholurischen tritt an seiner Stelle das nichtpalatale a auf. Dazu bemerkt A. Oniani: "Nicht nur hinsichtlich des Vokalsystems, sondern auch im Hinblick auf andere sprachliche (grammatische, lexikalische, intonative...) Besonderheiten unterscheidet sich das Tscholurische ebenso von allen anderen Dialekten des Swanischen, wie jeder einzelne von ihnen sich von den anderen abgrenzt, was die Grundlage dafür gibt, das Tscholurische als unabhängigen Dialekt einzustufen... Was die sprachlichen Unterschiede zwischen Ober- und Niederscholarisch angeht, so überschreiten sie nicht den Rahmen subdialektaler Unterschiede".

In dem von W. Topuria und M. Kaldani herausgegebenen dritten Band der swanischen Prosatexte heißt es in einem 1962 in dem Dorf Saqdar aufgezeichneten

Text: "teḡali sabčos žwinald I atxe čolir xažxa; teḡali sabčojša asyri sopelar¹: saqdar, čolier² (Vgl. den offiziellen Dorfnamen Tschwelier – čwelier, der den Komplex -we- enthält), teḡal, leušer, mam, panaga i čwelp. saqdari xalxi nin merme saxiš li, merma sopelare namškidan" (Der Gemeindeverband von Takal heißt früher und jetzt Tscholur; zum Gemeindeverband von Tekal gehören die Dörfer: Saqdar, Tschwelier, Tekal, Leuscher, Mam, Panaga und Tschwelp. Die Sprache der Leute von Saqdar ist anderer Art im Vergleich zu den anderen Dörfern. S. Svanuri prozauli tekštebi III, Leḡtexuri kilo, Tbilisi, 1967, S. 320).

Diesen umfangreichen Auszug führten wir an, um zu zeigen, wie die Mischung der sprachlichen Codes im Swanischen vonstattengeht, und vor allem, daß die in dieser Sprache Sprechenden selbst diesen Prozeß im wesentlichen richtig wahrnehmen.

Unter diesem Blickwinkel ist überaus interessant:

1. die Sprechweise der etwa 2500 Menschen umfassenden Bevölkerung des Kodori-Tals (Dal-Swanetien), wo ein Prozeß der Vermischung des oberbalischen und des neiderbalischen Dialekts abläuft. In dieser Hinsicht zeichnet sich besonders die Sprache der Einwohner der Dörfer Lata, Tisch, Adshara (Ashara) und Chutia aus. Was Genzwisch betrifft, sprechen die dortigen Einwohner im wesentlichen im iparischen Subdialekt des oberbalischen Dialekts, weil sie seinerzeit aus Ipari nach Abchasien umsiedelten. Die Bevölkerung von Omarischal (Jalzunesga) stellen gewöhnlich ehemalige Mulacher, doch das Problem der Beziehungen der Subdialekte der neiderbalisch sprechenden Dörfer (Kwaptšchara, Šyma, Tschchalta, Butschukur, Bydsygyr, Adsgara, Gwandra, Barymba, Saken, Naharw) bedarf einer Untersuchung, was leider aufgrund der komplizierten politischen Situation bisher nicht gelungen ist.

2. die Sprechweise der Bewohner von Uschgul, Qoruldasch, Zana und Seskho, wo deutlich Interferenzen des oberbalischen und des laschchischen Dialekts vorliegen. Zugleich findet in dem Dorf Seskho, da hier aus Uschgul und Mulach umgesiedelte Swanen wohnen, eine Vermischung der Subdialekte von Uschgul und Mulach statt.

3. die Sprechweise von Latal an der Scheidelinie der oberswanischen Dialekte. Gleiches ist teilweise auch vom Betschoischen des Swanischen zu sagen.

¹ In den Dialekten, die den Umlaut besitzen (Oberbalisch, Niederbalisch, Lentechisch), wird das Pluralmorphem überall umgelautet (-är > äi durch Dissimilation), hier aber weicht der Befund ab, wohl deshalb, weil heir nicht die Position nach den velaren Konsonanten g, k, Ʒ vorliegt (Diese Frage bedarf einer experimentellen Untersuchung: Kann man in diesem Fall von Umlautung sprechen? Haben wir es nach Velaren vielleicht lediglich mit einer Jotierung zu tun?).

² Vgl. den offiziellen Dorfnamen Tschwelier (ywelier), der den Komplex -we- enthält.

4. die Sprechweise von Tekal, in der eine allmähliche Verschmelzung der für die nördlichen und die südlichen Gebiete des tscholorischen kennzeichnenden phonologischen und grammatischen Eigenheiten zu beobachten ist.

Früher war Oberswanetien in zwei Teile geteilt: Der erste (Uschgul, Kala, Ipar, Mulach, Mestia, Lendsher, Latal) wurde Freies Swanetien genannt, der andere (Betscho, Zchumar, Ezer, Par, Lachamul, Tschubechew) war als Dadeschkeliani-Swanetien bekannt. Was Niederswanetien betrifft (Laschcheti, Tscholur, Lentechi), so trug es die Bezeichnung Dadiani-Swanetien. Die beiden letzteren bezeichnungen waren durch die herrschenden Fürstengeschlechter bedingt.

Die Fixierung der schriftlosen Kartwelsprachen, darunter der Materialien des Swanischen, stellt eine Aufgabe von besonderer Bedeutung dar. Die für die gegenwärtige Epoche charakteristischen intensiven Kontakte führen zu einem raschen Wandel jeder Sprache, besonders der schriftlosen Sprachen. Aus diesem Grund ist die Bewahrung des Materials solcher Sprachen nicht nur eine Tagesaufgabe, sondern auch eine Fürsorgepflicht naher und ferner Generationen der Zukunft.

Die Edition der swanischen Prosa und Poesie und ihre Erforschung auf hohem Niveau leiteten georgische Linguisten, die eine gewaltige Arbeit leisteten. Ein ebenso grundlegendes Werk ist das erts vor kurzem gedruckte "Swanische Wörterbuch" von Warlam Topuria und Maksime Kaldani, das in langjähriger, mühevoller Arbeit zusammengestellt wurde und wo Material aller Dialekte mit Ausnahme des Tscholorischen zusammengefaßt ist.

Zusammenfassend kann man folgendes sagen: Das Swanische, eine durch ihre Altertümlichkeit kennzeichnende Kartwelsprache, gehört zur iberisch kaukasischen Sprachfamilie. Traditionell unterscheidet man im Swanischen vier Dialekte. Nach der genauen Untersuchung der Eigentümlichkeiten des Kodorischen und des Tscholorischen kann zu den oben erwähnten vier Dialekten des Swanischen (Oberbalisch, Niederbalisch, Laschchisch, Lentechisch) noch zwei gefügt werden: Das Kodorische (oberswanische Mundart) und das Tscholorische (unterswanische Mundart).

Um die Sprachen, wie das Swanische und Sanische von den Literatur- und Staatsprachen zu unterscheiden, kann man sie als Regionalsprachen bezeichnen; durch diese Unterscheidung könnte man sie vor der merkwürdigen Idee einiger Ethnolinguisten schützen, diese Sprachen als Dialekten zu betrachten. Was das Kodorische und das Tscholorische betrifft, werde ich sie bis zur genauen Untersuchung als Mundarten bezeichnen.

პრეპარტველური ენის დიფერენციაციის შემდგომდროინდელი პრობლემები

„საერთოპრეპარტველური ენა იმ ქრონოლოგიურ პერიოდში, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა მის დიფერენციაციას, წარმოგვიდგება როგორც დროსა და სივრცეში არსებული ერთობლიობა ისტორიულ პრეპარტველურ ენებში ტრანსფორმირებული სახით შემონახული სტრუქტურებისა... გენე-ტურ მიმართებათა დასადგენად უნდა დავიმუშაოთ არა მარტო ფონოლოგიურ, არამედ, აგრეთვე, მორფოლოგიურ და ლექსიკურ იზოგლოსებსაც. მხოლოდ ამგვარი კომპლექსური მიდგომა მოგვცემს საშუალებას, გავითვალისწინოთ ის რთული მოვლენები, რომლებსაც ფუძემდებელი დიფერენციაციის პროცესში უნდა ჰქონოდა ადგილი“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 4).

გერპარტ დეეტერსის ცნობილი სქემის (Deeters 1930: 2) მიხედვით, წინარეპრეპარტველურ ენას ყველაზე ადრე გამოეყო სვანური, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, იმ დროს, როდესაც ქართულ-ზანური ერთიანობა კვლავ განაგრძობდა არსებობას. გარკვეული ხნის შემდეგ ეს ერთიანობა დაიშალა საკუთრივ ქართულ და მეგრულ-ლაზურ ენებად. გერმანელი მკვლევრის ეს მიდგომა შემდგომში განავითარა ცნობილმა კავკასიოლოგმა გიორგი კლიმოვმა ჯერ თავის ფუნდამენტურ ლექსიკონებში "Этимологический словарь картвельских языков (1964 წ.)" და "Etymological Dictionary of the Kartvelian Languages (1988 წ.)", მერე კი მ. ხალილოვთან თანაავტორობით შექმნილ ნაშრომში "Словарь кавказских языков (Сопоставление основной лексики, 2003 წ.)", ოღონდ მცირეოდენი ტერმინოლოგიური განსხვავებით („ქართულ-ზანური ერთიანობა“ და „პრაპართულ-ზანური ერთიანობა“). იგივე მეთოდი განმეორებულია ზოგიერთ მომდევნო მკვლევართა შრომებში (ქართულსა თუ უცხოურ ენებზე).

ვფიქრობთ, ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქის ცალკე გამოყოფა საკმაოდ ართულებს პრეპარტველური ენის დიფერენციაციის შემდგომდროინდელი, ისედაც რთული ვითარების ნათლად წარმოდგენას, მით უფრო, თუ „ქართულ-ზანურ-სვანურ სიბილანტურ შესატყვისობათა სისტემა ინტერპრეტირებულ უნდა იქნეს როგორც შედეგი იმ დიალექტური დაპი-

რისპირებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ საერთოქართველური ენის ფარგლებში, მისი დაშლის და დამოუკიდებელ ენობრივ ერთეულთა ჩამოყალიბების პერიოდამდე“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 7). მიუხედავად იმისა, რომ საერთოქართველური დონისა და ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქათა¹ ერთმანეთისაგან გამიჯვნა სპეციალურ ლიტერატურაში შეფასდა როგორც „ახალი ეტაპი ქართველური ლექსიკის შესწავლის ისტორიაში“ (ფენრიხი-სარჯველაძე 2000: 13-14), რეკონსტრუქციებთან დაკავშირებული პრობლემები არათუ შემცირდა, არამედ პირიქით — კიდევ უფრო გართულდა საქმე, რადგანაც არქიფორმათა ეპოქების მიხედვით ვირტუალურ განაწილებას განსაზღვრავს არა კომპარატივისტული მეთოდებით წარმოსახული ვითარება, არამედ კვლევის დონე ისტორიულ-შედარებით ქართველოლოგიაში. თუ სისინა და შიშინა სიბილანტები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ თვით პრექართველური ენის დიალექტებშივე, მაშინ ამ დაპირისპირების მიხედვით გამოვლენილი ფონემათშესატყვისობის შემცველ არქიფორმებს ან შესაბამის ლექსემებს რალატომ მივაკუთვნებთ იმავე პრექართველური ენის დიფერენციაციის შემდგომ გამოყოფილ ქართულ-ზანური ერთიანობის ხანას, როცა შესატყვისი ძირი სვანურში ვერ დავადასტურებთ?! ხომ შეიძლება, რომ გარკვეული დროის შემდეგ მკვლევარებმა აღმოაჩინონ სავარაუდო ძირი სვანურ ენაშიც? — ასეც ხდება!

რამდენიმე წლის წინ იენაში გამოქვეყნდა ჰაინც ფენრიხის ნაშრომი "Kartwelische Wortschatzstudien", რომელშიც წარმოდგენილია 164 ძირის ახალი ანალიზი, ამასთანავე, ადრე მათი უმრავლესობა სპეციალურ ლიტერატურაში მხოლოდ ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქის მონაცემებად განიხილებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც კანონზომიერ რეგულარულ ფონემათშესატყვისობათა საფუძველზე გამოვლინდა შესაბამისი სვანური ძირები, მათ გადაინაცვლეს საერთოქართველურ დონეზე. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს: ქართ. **ა-ბურგძ-ნ-ა**: მეგრ. **ბუძგ-უ-ა/ბიძგ-უ-ა**: ლაზ. **ო-ბუძგ-უ/ო-ბუძგ-ინ-უ** ლექსემებში წარმოდგენილი **ბურგძ-** ძირი გიორგი კლიმოვმა თავის დროზე ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა (Климов 1973: 361); შდრ. არნოლდ ჩიქობავას ვარაუდი: ქართ. **ბუძგ-**ი „პატარა ზღარბი“:¹ მეგრ. **ბუძგ-**ა „ეკლები წაბლის ნაყოფ-

¹ შდრ. **ბუძგ-**ი — 1. წაბლის ეკლიანი ბუდე; 2. ზღარბის ეკლიანი გარეთა საფარი (ქველ), აქარ. **ბუძგ-**ი, იმერხ. **ბუზგ-**ი „ეკლიანი ბუჩქი“, გადატან. მწმ. **გა-ბუძგ-ვილი** (აქარ..), **გა-ბუძგ-ული** (გურ., იმერ.) თმები.

ზე“:1 კან. უ-ბუძგ-უნ „დაბუება“ (ჩიქობავა 1938: 256); ამ მასალას ჰაინც ფენრიხმა დაუკავშირა სვანური **ლი-ბუნძგ-ვ-ალ** (ლმზ.), **ლი-ბუნძგ-ანლ** (ლნტ.) ლექსემა („მობუზვა, მობუზული სიარული“) და სრულიად ბუნებრივია, რომ ***ბურძგ**- არქტიპი განიხილა ქართველური ფუძეების დონეზე, განსხვავებით ზურაბ სარჯველაძესთან ერთად შექმნილ ნაშრომში მოცემული მსჯელობისაგან.² უფრო მეტიც! — არა მარტო ჰაინც ფენრიხი, არამედ თავად გიორგი კლიმოვიც, მას შემდეგ, რაც სვანურში აღმოაჩინდა ხოლმე მხოლოდ ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქისათვის ნავარაუდები არქიფორმის შესატყვის ძირს, ქრონოლოგიურად მომდევნო შრომებში არაერთხელ ცვლიდა სათანადო დონეებს.

ვფიქრობთ, პრექართველური ეპოქისთვის უნდა აღდგეს ყველა ის არქიფორმა, რომელთა შესატყვისი ძირები დადასტურებულია ორ ენაში მაინც — ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს იმას, უმწერლობო ქართველურ ენათაგან რომელს ეხება საქმე — სვანურსა თუ ზანურს. სავარაუდო ძირი ქვემარტივბასთან ყველაზე მეტად მაშინ იქნება ახლოს, თუ მისი ამსახველი მასალა აღმოჩნდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში.

არანაკლები სირთულეები იჩენს თავს მეორეულ ფონემათშესატყვისობებთან დაკავშირებით. ამჯერად შევეხებით მხოლოდ ერთ მათგანს, რადგანაც მასზე მსჯელობისას სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა ამოსავალს ვარაუდობს ფუძეენაში.

პრექართვ. ***წ** > ქართ. **წ** ზან. **ჭ** სენ ***ჭ** > **ჭ** > **ღ** (გ. კლიმოვი, ვ. თოფურია, გ. როგავა, მ. ჩუხუა);

პრექართვ. ***წ**₁ > ქართ. **წ** ზან. **ჭ** სვ. **ჭ** > **ღ** (გ. მაჭავარიანი,³ თ. გამყრელიძე);

¹ ლეჩხუმურ დიალექტშიც **ბუძგვი** „წაბლის ეკლიანი საფარია“, ხოლო ქართლური **ბუძგ-ნარი** (/ **ბუწყ-ნარი** — ქართლ., ქიზ.) „ჩირგვნარს“ აღნიშნავს.

² ეს სიტყვა ზემოსვანურ დიალექტებშიც გვხვდება, ოღონდ სხვა მნიშვნელობით („კვილაობა, ბლაძენი“), ჩუბუხურში კი **ლგ-ბძგ-უნ-ე** „მობუზულს“ ან „აბურძენილ თმას“ ნიშნავს.

³ „ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკაში“, რომელიც გ. მაჭავარიანის ყოფილი სტუდენტების (მათ შორის ჩვენიც) სალექციო ჩანაწერების (1958-1961 წ.წ.) მიხედვით შეადგინა ზ. სარჯველაძემ, ამ შესატყვისობაში სვანურისთვის **ჭ** არის წარმოდგენილი (მაგალითების გარეშე — გვ. 54, 139), თუმცა ისიცაა აღნიშნული, რომ „ხმოვანთა წინ სვანურში **ჭ** დასაშვებია, მაგრამ, უნდა ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა ზოგი **ჭ** მეორეული იყოს“ (მაჭავარიანი 2001: 86).

პრექართვ. ტა > ქართ. წ ზან. ჰ სვ. ჰ > ღ (პ. ფენრიხი).¹

აღნიშნულ შეფარდებებში ზანურში ყველგან დაცულია ჰ ფონემა, თუმცა მ. ჩუხუა მას იქაც აღადგენს, სადაც არ დასტურდება (შდრ. ვ. თოფურას მიერ სვანური ენისთვის დადგენილი კანონზომიერება *ჰ > ჰ > ღ) — **ჟერ** (ზს., ლტ.), **ჟორ** ← ***ჟერ** (ლშხ.) „მიწა, თიხა“: ქართ. **წვირ**-ე „ნეხვი, ქუქყი, ნაკელი“: მეგრ. **წვირ**-ე „ნეხვი“ („მეგრული წვირ-ე ქართულთან ადაპტირებული ფუძეა — **წვირ**-ე < ***ჰვირ**-ე... ***ჰვირ**-ე ტიპის ფუძე სვანურშიც დასტურდებოდა. ბოლოკიდური -ე აქ დაკარგულა მას შემდეგ, რაც ასიმილირებული იქნა ძირისეული **ი**: ***ჰჟირ**-ე → ***ჰჟირ**-ე → ***ჟერ**-ე → **ჟერ**“ (ჩუხუა 2000-2003: 221). შევნიშნავთ, რომ ამოსავალია ლაშხური უმლაუტო **ჟორ** ფუძე და არა ის, რაც მ. ჩუხუას აქვს წარმოდგენილი.

ჯერ კიდევ 1960 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში "Опыт реконструкции фонемного состава общекартвельского языка-основы" გ. კლიმოვს წარმოდგენილი ჰქონდა ქართ. წ ზან. წ სვ. ღ (**წვირ**-ი **წვანჯ**-ი **ჟარ**-ე) შეფარდება, რომელიც გამეორდა მის ფუნდამენტურ ნაშრომში "Этимологический словарь картвельских языков" (1964 წ.) და შედარებით გვიანდელ ინგლისურენოვან პუბლიკაციაში "Etimological Dictionary of the Kartvelian Languages" (1998 წ.). შემდგომში ეს დაკავშირება გაიზიარეს ვ. თოფურამ (1960 წ.) და კ. შმიდტმა (1962 წ.), მაგრამ გ. მაჭავარიანმა (1965 წ.) იგი პრობლემატურად მიიჩნია ორი მიზეზის გამო:

- 1) მაგალითი ერთადერთი იყო;
- 2) აფრიკატების სპირანტიზაციას (და შემდეგ გაქრობას) სვანურში ადგილი არ უნდა ჰქონოდა **ჟ** სონანტის წინ.

ამიტომაც, ალბათ, „სიბილანტა სამი რიგის თეორიიდან“ ამოსვლით, სრულიად ბუნებრივია, რომ მ. ხალილოვთან ერთად გამოცემულ ლექსიკონში (გვ. 67, 192) გ. კლიმოვს ***წჟერ**- არქეტიპი საერთოქართველური ღონისთვის

¹ პ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში წარმოდგენილ ფონემათშესატყვისობათა ძირითადი ფორმულების ცხრილში საერთოდ არაა შეტანილი პრექართველური შუასიბილანტური წჟ-აფრიკატისაგან მომდინარე ქართ. წ ზან. ჰ სვან. ჰ შესატყვისობა (ფენრიხი-სარჯველაძე 1990: 14-15).

კი აღარ წარმოუდგენია, არამედ მხოლოდ პრეპარტულ-ზანური ეპოქისათვის. იგივე ვითარებაა ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონშიც“, მაგრამ ამასთანავე, მითითებულია გ. კლიმოვისეულ არქტიპებზეც *წუერ (1964 წ.) და *წუერ- (1998 წ.) საერთოქართველურში.

ზემოაღნიშნულ ერთადერთ მაგალითს 1960 წელსვე ვ. თოფურიამ დაუმატა როგორც ნ. მარის (ქართ. წაბ-ლ-ი სვან. ჰებ,¹ ქართ. წერ-ს სვან. ა-ბ-ი <*ა-ჰირ-ი...), ისე თავისი მასალა (სამწუხაროდ, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესიაზე 1956 წ. წაკითხული მოხსენების — „აფრიკატთა ცვლისა და შესატყვისობის ზოგი საკითხი ქართველურ ენებში“ — მხოლოდ სქემაა შემონახული ვ. თოფურიას არქივში), საიდანაც ჩანს, რომ მომხსენებელი საგანგებოდ ეხებოდა ქართ. წ სვან. ჰ სვ. *ჰ > ჰ > ო ფონემათშესატყვისობას მოსკოვში გამართულ ორიენტალისტთა XXV საერთაშორისო კონგრესის ჩატარებამდე 4 წლით ადრე). ამის შემდეგ უკვე არსებულ მონაცემებს დაემატა კიდევ ერთი მაგალითი (ჰუმ-ე „ხვალ“ ლაზ., ჰუმ-ენ „ხვალ დილას“ სვან. ჰამ „დილა“) გ. როგავას მიერ (როგავა 1977: 90),² ხოლო მ. ჩუხუამ კიდევ უფრო გაამდიდრა საანალიზო ბგერათშესატყვისობა ვ. თოფურიას და მ. ქალდანის „სვანური ლექსიკონიდან“ მოყვანილი რამდენიმე ახალი ილუსტრაციით (ოლონდ ზოგი რამ მაინც სადავოდ რჩება), რომელსაც ჩვენ ვუმატებთ სხვა მაგალითსაც: ძვ. ქ. უ-მ-რწ-ემ-ე-მ, მ-რწ-ემ-ი „უმცროსი“ / სვ. მა-ჰურ-ენ-ე³ <*მა-რჰურ-ენ-ე, თუ ჰურ-ი იგივე არაა, რაც -ხურ-, შდრ. ხო-ხურ-ა „უფრო პატარა“ (ონიანი 1998: 105-106), თუმცა მაინცდამაინც დიდ დაბრკოლებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, რადგანაც ქართველურ ენებსა და მათ დიალექტებში შეინიშნება ხორხისმიერ თანხმოვანთა სისტემის მოშლა; კერძოდ, ქვემოსვანურში ჰ ბგერა აღარ არსებობს, ის ან მ-დ იქცა, ან სულ დაიკარგა, ხოლო ზემოსვანურში ხშირად გადადის ხ-ში (ვ. თოფურია, გ. მაჭავარიანი). მამასადამე, ალბათ, მა-ჰურ-ენ-ე > მა-ხურ-ენ-ე.

¹ თუმცა ვ. თოფურია არც ქართ. ბალ-ი და სვ. ჰ-ე-ბ ფუძეთა დაკავშირებას გამოიციხავს, რომელშიც სვანურ ლექსემას არან. ჩიქობავა სხვაგვარად (ჰე-ბ) შლის და მასში ჰე- თავსართს გამოყოფს (ჩიქობავა 1938: 122).

² ეს შეპირისპირება, ქართული წამ- ფუძის გარეშე, ადრეც არსებობდა (შდრ. არნ. ჩიქობავა, ს. ულენტი, ტ. გუდავა, კ. შმილტი).

³ ვ. თოფურიას აზრით, ჰურ- (< *ჰორ-) უკავშირდება ქართულ უ-მ-ცრ-ო-ს-, მ-ცირ-ე ფუძეთა ძირებს.

ჰ. ფენრიხმა გამოიყენა სპეციალურ ლიტერატურაში უკვე მიგნებული მაგალითები [ქართ. და-წ-ე-ნ-ა, მო-წ-ე-ნ-ა, მო-წ-ი-ფ-ე-ბ-ა: მეგრ. (ნ)ჰ-ა-ფ-ა „დაწევა“, ლაზ. ო-მო-ნჰ-უ „დამწიფება“: სვ. ლი(შ)ჰ-ე „მოწევა (მოსავლისა)“; ქართ. წად-ილ-ი: სვ. ლი-ჰდ-ჟ-ი < *ლი-ჰად-ჟ-ი „ნატვრა, წადილი“; ქართ. მი-წოდ-ე-ბ-ა: სვ. ლი-ჰდ-ი < ლი-ჰოდ-ი „მიცემა, გაყიდვა“; ლაზ. ჰუმ-ენ „ხვალ დილას“: სვ. ჰამ „დილა“, თუმცა გ. როგავას მიერ მოყვანილი წამ-„წამი“ აღარაა გაანალიზებული], დაუმატა თავისი ორი შეპირისპირება (ქართ. წუნწ-უხ-ი „წყალში გახსნილი ნაკელი“: სვ. ლი-ჰგნწ-ი „ნაკელის გატანა ყანაში“ და ქართ. ამო-წვერ-ვ-ა: ზსვ. ლი-ჰწერ, ქსვ. ლი-ჟერ, შდრ. ლა-მ-ჰერ < *ლა-მ-ჰწერ „დასავლეთი“, ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ ლიჰწერ „ჩასვლაა მზისა“ და არა — „ამოსვლა“, შესაბამისად: ლამჰერ — „(ჩა)სასვლელი“) და ამოსავლად ლატერალი ტ' ივარაუდა. ლაზური ჰამ-უ („თეთრი ფითრი“) და სვანური ჰებ („ბალი“) ლექსემების შეპირისპირებისას ამოსავლად ლატერალური აფრიკატი იგულისხმება (Fähnrich 2002: 47), რადგანაც „არ არის ნათელი ის გარემოება, რომელიც შეაპირობებდა საერთოქართველური შუასიბილანტური წ-სგან მომდინარე ქართ. წ ზან. ჰ სვან. ჰ შესატყვისობას (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე 2000: 20). სხვა შესატყვისობებში პრექართველური დონისთვის ლატერალური არქტიპის ძიების ცდა აღრე კ. შმიდტსაც ჰქონდა (Schmidt 1961, 1962).

ამრიგად, საანალიზო ფონემათშესატყვისობა უკვე საკმაო მასალითაა წარმოდგენილი, თანაც სვანურისთვის დაძებნილია სავარაუდო *ჰ (< საერთოქართვ. წ) აფრიკატისაგან მიღებული ჰ თანხმოვნის შემცველი მაგალითებიც და ისეთებიც, სადაც ჰ > ხ > მ.

რასაკვირველია, არც ისე ადვილი წარმოსადგენია *ჰ > ჰ პროცესი ფონეტიკური თვალსაზრისით, ამიტომაც ვ. თოფურიას სვანური ჰ ისტორიულად სამეულთა (და არა მქლერი ცალის გარეშე დარჩენილი წყვილულის) სისტემის მკვეთრ (თუ პრერუბტივ) წარმომადგენლად მიაჩნდა, ხოლო არნ. ჩიქობავა გარკვეულ ეჭვს გამოთქვამდა — სხვა სპირანტი ხომ არ იყოო ჰაე? ვ. თოფურია ვარაუდობდა წ > ხ > ჰ > მ გარდამავალ პროცესსაც და საილუსტრაციოდ მოჰყავდა ლი-წჰ-ი / ლი-წს-ი („მიპატყება, მიწვევა“), ლი-ძჰ-ენ-ი / ლი-ძს-ენ-ი (დაკვლა“) ვარიანტები, მაგრამ შევნიშნავთ, რომ

არსებობს ლი-წც-ი, ლი-ძც-ენ-ი მონაცემებიც, რომელთა გათვალისწინებით ალბათ $\mathfrak{X} < \mathfrak{C}$ უფრო რეალურია. თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის-თვის \mathfrak{X} ყრუ სპირანტია ან სპირანტული ფონემა. „არაფერია გასაკვირი იმაში, რომ / $\ast\mathfrak{X}$ / ფონემის ალოფონი ხმოვნების წინ და ხმოვნებს შუა **ხშვის მოშლის შემდეგ** (ხაზი ჩვენია — **ე. ჩ.**) მოგვევლინა უბრალო ასპირაციის, ე. ი. \mathfrak{X} ბგერის სახით... ასევე აღვილია $\ast\mathfrak{X}$ ფონემის გადასვლა ასპირაციაში, რომელიც შეიძლება მოიშალოს ანლაუტში, ხმოვანთა წინა პოზიციაში“ (მაჭავარიანი 1965: 39).

უკანასკნელ ხანებში გამოითქვა გარკვეული ეჭვი \mathfrak{X} -ს სპირანტობას-თან დაკავშირებით: „ \mathfrak{X} ბგერა ხასიათდება დაბრკოლების უქონლობით, მსგავსად ხმოვნებისა და განსხვავებით თანხმოვნებისაგან. ამიტომაც **მისი სპირანტთა კლასში გაერთიანება არ ასახავს ფაქტობრივ ვითარებას**“ (ონიანი 1998: 11).

1975 წელს ბ. გიგინეიშვილმა საერთოქართველური $\ast\mathfrak{X}$ -ენ- არქეტიპი-დან ამოსვლით ერთმანეთს დაუკავშირა \mathfrak{X} -ან-/ \mathfrak{X} -ენ- (ზან.) და \mathfrak{X} -ენ- (< \mathfrak{X} -ენ-**იფ-ი**) ძირები. ეს უკანასკნელი მიჩნეულია \mathfrak{X} -ენ- ფორმის სვანურ ვარიანტად. მაშასადამე, თუ შეპირისპირება სწორია, მაშინ აქაც მეორეულ ფონემათშესატყვისობასთან გვაქვს საქმე (ქართ. \mathfrak{X} / ზან. \mathfrak{X} / სვან. $\mathfrak{X} < \mathfrak{X}$). მიუხედავად იმისა, რომ „წარმოდგენილ სახელთა დაკავშირება ლოგიკური ლინგვისტური წესებით ხდება, რთული წარმოსადგენია \mathfrak{X} -ანების სვანური სახელწოდების ურარტული სუფიქსით გაფორმება; ასევე, არალოგიკურია დასახელებულ ტომთა გაიგივება, ვინაიდან წელთაღრიცხვათა მიჯნაზე არი-ანეც და სტრაბონიც გვერდიგვერდ და სხვადასხვა ტომებად ადასტურებენ \mathfrak{X} -ანებს / სანებს, სანიგებს, ჰენიონებსა თუ სვანებს. \mathfrak{X} -ან- და \mathfrak{X} -ენ- ძირებს შორის \mathfrak{X} -ენ- ფორმის ძირითადობას ხელი შეიძლება შეუშალოს იმ ფაქტმაც, რომ ბერძნულ წყაროებში \mathfrak{X} -ენიფ- თითქმის 500 წლით ადრე ფიქსირდება, ვიდრე \mathfrak{X} -ან-“ (ფუტკარაძე 2005: 123).

მაშასადამე, ყოველი ახალი ეტიმოლოგიის წარმოდგენისას, თუნდაც საკმაოდ მკაცრად ვიცავდეთ ფონემათშესატყვისობის კანონზომიერებათა სისტემას, მუდამ ფრთხილად უნდა ვიყოთ ყველა შემთხვევაში, განსაკუთრებით კი ეთნონიმთა შეპირისპირების დროს.

როგორც ვხედავთ, სვანური მეორეული ჰ-ს წაერთოქართველური საფუძვლისა (მკვეთრი წ აფრიკატი, შუა სიბილანტური რიგის, აფხაზური სისინ-შიშინა ბგერათა ტიპის წარმომადგენელი *წ₁. თუ ლატერალი ტ') და მისი ბუნების შესახებ სრულიად საპირისპირო, ურთიერთგამომრიცხველი თვალსაზრისები არსებობს ქართველოლოგიაში. ვფიქრობთ, სავარაუდო ამოსავალ ფონემათა საგანგებო ექსპერიმენტული შესწავლა (როგორც აკუსტიკურ-პერცეფციული, ისე არტიკულატორული თვალსაზრისით) ძალზე დაეხმარება შინაგანი რეკონსტრუქციის შეთოდს ამ შემთხვევაშიც.

Posterior problems of Pre-Kartvelian language's differentiation

S u m m a r y

In order to determine genetic relations we should base not only on phonological isoglosses but on morphological and lexical ones. Only such complex approaching will give as possibility to take into account those complex appearances, that should have had taken place in the process of parent language's differentiation (Gamkrelidze, Machavariani 1965: 4). In spite of the fact that demarcation of the Common Kartvelian level and the epoches of Kartvelian-Zan unity by Giorgi Klimov was evaluated in the special literature as "a new stage in studying of the Kartvelian vocabulary" (Fährnich, Sarjveladze 2000: 13-14), the problems linked with reconstructions were not only decreased but they were complicated, as according to the epoches of archi-forms a virtual distribution is defined not by a comparativistic method but by a research level in historical-comparative Kartvelology.

If whistling and hushing sibilants opposed each others even in the dialects of Pre-Kartvelian language, then why the archi-forms of phonemes correspondance and relevant lexemes manifested according to this opposition that belong to the epoch of Kartvelian-Zan unity distinguished after the differentiation of the same Pre-Kartvelian language – when a corresponding root in Svan could not be confirmed! Is it possible that after a certain period researchers will discover a supposed stem in Svan? – But sometimes it happens!

All those archi-forms the corresponding roots of which are **confirmed still in two languages** should be reconstructed on a Common Kartvelian level – in addition, it does not matter – of unwritten Kartvelian languages which concerns it – Svan or Zan. A supposed stem will be near to the truth when its reflecting material is confirmed in old Georgian literary texts.

Difficulties of no less appear in connection with so called secondary correspondences.

The work represents the discourses on etymological relation of the roots of Old Georg. *m-ṛç-cin-i* and Svan *ma-pwr-ēn-e* ("junior") lexemes and it is noted that there are completely different, contradictory standpoints on the basis of Svan secondary **h** phoneme (a ***ç** affricate, ***ç**₁ of mid-sibilant or lateral ***ʃ**) and its nature in Kartvelology. Special experimental studying of supposed initial phonemes (from acoustic-perceptive as well as articulation viewpoint) will help greatly an inner reconstructive method even in this case.

ახალი ქართველური ეტიმოლოგიები და ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქის სავარაუდო მონაცემთა პრობლემა

ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის „ქართველურ ენათ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“, მიუხედავად იმისა, რომ სამეგრეო გამოიცა (ორჯერ ქართულად და ერთხელ გერმანულად), მაინც გამორჩენილი იყო ზოგი მეტად საინტერესო ლექსემის ძირი, რომელსაც დამატებითი კვლევა-ძიება სჭირდებოდა; რატომღაც უყურადღებოდ დარჩა აგრეთვე ერთმანეთთან ძალზე ადვილად დასაკავშირებელი თუ თითქმის სრულიად იდენტური მასალაც (მაგალითად, ქართული **გობი**-ი და სვანური **გობ** (ლშხ.) > **გუებ** (ბზ., ლტ.). სწორედ ამიტომ ძალზე მისასალმებელია იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის პროფესორის ჰაინც ფენრიხის მიერ *Kaukasien-Reihe*'ს სერიით გამოქვეყნებული მონოგრაფია "Kartwelische Wortschatzstudien" (2002 წ.), რომელშიც წარმოდგენილია 164 ძირის ანალიზი საერთოქართველური ფუძეების დონეზე. ამ ანალიზს ხელი შეუწყვეს ვარლამ თოფურას, მაქსიმე ქალდანის, კარპეზ დონდუას და ოთარ ქაჭაიას სვანურმა და მეგრულმა ლექსიკონებმა, რომელთა გამოქვეყნებას დიდხანს ელოდა ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილი ქართველოლოგი ჩვენში თუ საზღვარგარეთ. ახლა ჯერი ლაზურ ლექსიკონზეა, რომელიც წლების მანძილზე მზადდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

გერჰარდტ დეეტერსის ცნობილი სქემის მიხედვით, საერთოქართველურ ენას ყველაზე ადრე გამოეყო სვანური, როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეული, ხოლო უფრო გვიან, ქართულ-ზანური ერთიანობის დაშლის შედეგად, ჩამოყალიბდა საკუთრივ ქართული და მეგრულ-ლაზური (Deeters 1930: 2-3).

1964 წელს, მას შემდეგ, რაც მოსკოვში გამოვიდა გიორგი კლიმოვის "Этимологический словарь картвельских языков", ქართველოლოგიაში მოხდა ერთგვარი მეთოდოლოგიური დიფერენცირება საერთოქართველური დონისა და ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქათა რეკონსტრუქციებისა, „რითაც ახალი ეტაპი შეიქმნა ქართველური ლექსიკის შესწავლის ისტო-

რიაში“ (ფენრიხი-სარჯველაძე 2000: 12), მაგრამ ჩვენ მაშინაც ვფიქრობდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ განსაკუთრებით ფრთხილად უნდა ვიყოთ ხსენებული დონეების გამოყვანისას. რასაკვირველია, თუ თავისი არქაიზაციით გამორჩეულ ისეთ ენაში, როგორიცაა სვანური, დადასტურდა ესა თუ ის ქართული ძირი, ეს იმას ნიშნავს, რომ რეკონსტრუქცია შესაძლოა წარმოვადგინოთ პრეპარტველური ეპოქისთვის, მაშინაც კი, თუ შესაბამის ძირს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებსა ან ლექსიკონებში. ამის შესანიშნავი მაგალითია მასდარი **გურიზ-ვ-ა** („წუხილი, ტირილი, კმუნვა, დრტვინვა, ჩივილი“), რომელსაც ჰაინც ფენრიხი უდარებს სვანურ ლი-**გურიზ-წლ** („ბუტიაობა“)ს და შესაძლებლად მიაჩნია ***გურიზ** არქეტიპის აღდგენა საერთოქართველური ფუძეების დონეზე (იქვე: 13).

ვფიქრობთ, „ქართულ-ზანური ერთიანობა“ მხოლოდ პირობითი, რელატიური ცნებაა (გარკვეულ მასალასთან მიმართებით) და მას სამუშაო ტერმინად თუ გამოვიყენებთ (მოსახერხებელია და იმიტომ), თორემ დღეს ამ დონისად გამოცხადებულმა მონაცემმა ხვალ შესაძლო საერთოქართველურ დონეზე გადაინაცვლოს, თუ გაგრძელდა კვლევა-ძიება რომელიმე კონკრეტული ძირის მიმართულებით. ამის ნათელი მაგალითი კვლავ ჰაინც ფენრიხის დასახელებული ნაშრომია.

გიორგი კლიმოვის მიერ ქართ. **ბრდღვ-ნ-ა**, მეგრ. **გო-ბურდღ-ონ-უ-ა**, ლაზ. **ო-ბურ/ნდღ-ოლ-უ** მასდართა შეპირისპირებისას ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღდგენილ ***ბრდღუნ-** ძირთან (ფენრიხი-სარჯველაძე 2000: 54) ჰაინც ფენრიხმა დააკავშირა სვანური ენის ლაშხური დიალექტის მონაცემი ლი-**ბინდღ-ლ-აუ-ი** („გაბდღვნა, დახვევა“) და საერთოქართველური დონისთვის აღადგინა ***ბრდღუნ-** ძირი (იქვე: 10).

ალექსანდრე ცუგარლისა (Цугарели 1880: 2, 41) და გერჰარდტ დეეტერსის (Deeters 1926: 47) მიერ გაანალიზებული **ღამ-** ძირი (ქართ. **ღამ-ე**, სა-**ღამ-ო**, და-**ღამ-ებ-ა**; მეგრ. **ღუმი-ა** „წუხელ“; ლაზ. **ღომ-ა-წ** „გუშინ“) გიორგი კლიმოვმა (Klimov 1964: 200) ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქის მონაცემად მიიჩნია, რადგანაც შესაბამისი მასალა სვანურ ენაში მაშინ ვერ დადასტურდა, და აღადგინა ***ღამენ-** არქეტიპი. ბატონმა ჰაინცმა ეს ძირი დაუკავშირა კარპეზ დონდუას „სვანურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონში“

წარმოდგენილ ლაშხურ მასდარს ლი-ღწმ-ნ-ე („დროის მიცემა, დაცდა“) და საერთოქართველური ფუტყენის დონისთვის ივარაუდა *ღამ- ძირი (იქვე: 35), თუმცა, ვფიქრობთ, რომ სვანურში ა ხმოვნისეული სივრცე მაინც ასახსნელი რჩება (კომბინატორულია იგი თუ კომპენსატორული?).

ადრინდელ რეკონსტრუქციებში, იქ, სადაც რამდენადმე ძნელად დასაჯერებელი ვარაუდები იყო გამოთქმული, ჰაინც ფენრიხმა თავისი ახალი ნაშრომით მეტი სინათლე შეიტანა.

გერპარდტ დეტერსის ჯერ კიდევ 1926 წლისეული (Deeters 1926: 51) შეპირისპირება — ქართული ბრძ-ოლ-ა („შერკინება, შეკიდება“) და მეგრული ბურჯ-აფ-ი („ბლლარძენი, ჰიდაობა“) — თავის დროზე კარლ შორსტ შმიდტის (Schmidt 1962: 99), თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 97) მიერ დაკავშირებული იყო სვანურ ლი-ბგრგ-იელ (ბზ.)/ლი-ბორგ-ელ (ლნტ.) „ჰიდაობა“ ლექსემასთან, მაგრამ შემდეგ „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ ეს დაკავშირება დამაჯერებლად არ იქნა მიჩნეული (ფენრიხი-სარჯველაძე 2000: 62). საგულისხმოა, რომ რამდენიმე წლის მერე ამ ფუნდამენტური ნაშრომის ერთ-ერთმა თანაავტორმა ჰაინც ფენრიხმა გიორგი კლიმოვის მიერ ქართულ-ზანური ერთიანობისთვის აღდგენილი *ბრძ- ძირი (ოლონდ მისი სისინ-შიშინა ვარიანტი *ბრძი) ივარაუდა არა საერთოქართველური დონისთვისაც საეჭვო ლი-ბგრგ-იელ/ლი-ბორგ-ელ დაკავშირების საფუძველზე, არამედ ქვემოსვანურ ლი-ბურჯ-იელ (ლშხ.)/ლი-ბურჯ-იელ (ლნტ.) „ჰიდილი“ ლექსემებში წარმოდგენილი ბურჯ- ძირის გათვალისწინებით (იქვე: 11).

თავის დროზე არნოლდ ჩიქობავას (1938: 88) მიერ დაკავშირებულ ქართულ კიფ-ილ-სა და ლაზურ მ-კმ-აფ-უს („ტურა“, ეტიმოლოგიურად „მ-კიფ-ან-ი?“)¹ ჰაინც ფენრიხი უმატებს მეგრულ კმ-ფ-ინ-ი („კივილი“) და სვანურ (ლაშხურ) კიჭ-ან² („მოდახილი, გამკივანი ხმა“) ფორმებს. ამ უკანასკნელში დაცულია სავარაუდო საერთოქართველური *კმჭ- ძირი (შდრ. სვანური ლი-კმ-ლი „კივილი“).

თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანისეულ შეპირისპირებას (1965: 162): მეგრ. ბარგ-უ-ა, ლაზ. ო-ბერგ-უ „თოხნა“, მეგრ., ლაზ. ბერგ-ი

¹ აღნიშნულ შეპირისპირებაში თავად არნოლდ ჩიქობავასაც ეპარებოდა ეჭვი.

² კიჭან ბალსზემოურ დიალექტშიც გვხვდება.

„თოხი“, სვან ლი-ბერგ-ე „თოხნა“, ბერგ „თოხი“ ჰაინც ფენრიხი უმატებს ახალ მასალას სვანური ენიდან. ესაა ლი-ბერგ-ე/ლი-ბარგ-ე („თხრა“), მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ მას აქვე მიეთითებინა „თოხნის“ სემანტიკაზეც, რომელიც ამ მასდასს აქვს ბერგოსა და ლენტეხურ მეტყველებაში. ჩვენი მხრით, აღნიშნულ მონაცემებს დავუმატებთ ბარგ ლექსემის ჩოლურულ მნიშვნელობასაც (ლიპარტელიანი 1994: 64) — „თოხის მსგავსი იარაღი, ხისა“ და ქიზიყურ-ქართლურ-ფშაურ ბარგ-ე („თევზის საჭერი ჩანგლიანი ჯოხი“) ფორმასაც, თუმცა იმასაც შევნიშნავთ, რომ პრეპარატიული გ თანხმონის პალატალიზაცია სვანურში უფრო ადვილად აიხსნება სახელობითი ბრუნვის სავარაუდო მორფემის წინა პოზიციაში, ვიდრე ქართული ენის დიალექტებში.

ჩვენი ყურადღება მიიქცია, აგრეთვე, ჰაინც ფენრიხის ერთმა დაკავშირებამაც. ესაა მთიულური დიალექტისთვის დამახასიათებელი ნამყოდროის ვნებითი გვარის მიმღობა ა-მო-გვ-ილ-ი („ამოწყვეტილი“), რომლის -გვ- შედარებულია სვანური ენის ლაშხური კილოს ზმნურ, მასდარულ და მიმღობურ ფორმებში წარმოდგენილ -გუ- ძირთან: -ხუ-ა-გუ-ე-მ „ვფქვავ“, ლი-გუ-ე-მ „ფქვა“, ლუ-გუ-ე-მ „დაფქვილი“ (იქვე: 13). ჯერ ერთი, ლაშხურ მონაცემებში დადასტურებული -გ მეორეულია და მომდინარეობს ჰ თანხმონისაგან (ჰ > გ ფონეტიკური პროცესი ჩვეულებრივი მოვლენა ბალსზე-მოურიდან ლაშხურ ფორმებზე გადასვლის დროს), და მეორეც, მთიულურ დიალექტში არსებული მნიშვნელობაც მეორეული, გადატანითი ხასიათისაა, ამოსავალში კი აქ იგივე ძირი უნდა იყოს, რაც ქართულ და-გვ-ა, ნა-გვ-ი,... და სვანურ ლა-ნ-განუ („ცოცხი“, ე. „სა-გვ-ელ-ი“)/ნა-ნ-განუ ფორმებში გვაქვს. ამ უკანასკნელთა შესახებ თავის დროზე მსჯელობდა ზურაბ სარჯველაძე (Sardschweladze 1987: 18), ოღონდ შევნიშნავთ, რომ სვანური ნ- სონორი ძირისეული მორფემა კი არ უნდა იყოს (ნგანუ/ნგ- < *ნგუ), როგორც ამას მკვლევარი ფიქრობდა, არამედ ზს. ლა-ნ-განუ/ნა-ნ-განუ ისეთივე ორმაგპრეფიქსიანი ფორმებია, როგორიცაა სვანურ ენაში საკმაოდ გავრცელებული ანალოგიური მასალა: ზს/ლნტ. ლა-ნ-გუ-ლი-ი, ბქ. ნა-ნ-გუ-ლი-ი („ნაკელის გადასაყრელი ხერელი“), ზს. ლშხ. ლა-ნ-წანუ („საზაფხულო“), ბზ./ლშხ. ლა-ნ-წარ-ალ („საკრებულო“), ბქ. ლა-ნ-წუარ („ტლახიანი ადგილი“), ლნტ. ლა-ნ-ცუნ-არ, შდრ. ბზ. ლა-ცუნ-არ („სასაცილო“), ბზ. ნწ-ლ-მესგ-უ

(„ნაცეცხლარი“), ზს. ნა-მ-გებ („მონაგები“), ბზ. ნა-მ-შედ-ალ-თ („შე“ნაწე-ვარი“), ზს. ნა-მ-საღ-თ („ნარჩენი“), ლა-ლ-ზიგ-ა („სამოსახლო“), ლნტ. ნა-მ-ცაღ („სანაცვლო“), შდრ. ბზ. ნა-ცაღ დ ა. შ. პრეფიქსები ხშირად მონაცვლებენ, თანაც ისე, რომ წვეილთაგან ერთ-ერთს თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში ფუნქცია დაკარგულიც კი შეიძლება ჰქონდეს (ჩანტლაძე 1998: 106).

ჰაინც ფენრიხის წიგნი გამოირჩევა არა მხოლოდ საქართველოში გამოცემული სვანური და მეგრული ლექსიკონებიდან მოხდენილად ამოკრებილი მასალების საფუძველზე გამოტანილი სერიოზული დასკვნებით, რაც გულისხმობს ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქიდან საკმაოდ დიდი რაოდენობის მონაცემთა გადანაცვლებას საერთოქართველური ფუძეენის დონეზე, არამედ თვით ამ დონის შევსებითაც ძირთა ახალი შეპირისპირებებითა თუ ძველ დაკავშირებებზე სხვადასხვა მასალის დამატებით.

პრექართველურ დონეზე რეკონსტრუირებული *ფენ-/ფინ- (ქართ. გა-ფენ-ა, მეგრ. ფინ-უ-ა, ლაზ. ო-ფინ-უ „გაშლა, გაფენა“, სვან. ლი-ფინ-ე „ფენა“) არქეტიპი გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებდა, რადგანაც ქართულში ფან- ძირის შემცველი მყოფადის მიმღობაც გვაქვს (სა-ფან-ელი „ცომის გუნდაზე მოსაყრელი ფქვილი“; აჭარ., იმერხ. „წვნიანი საკმლის შესასქელებელი ფქვილი“), რომელსაც ბატონმა ჰაინცმა შეუდარა სვანური ლი-ფან-ე („საკურთხი სუფრის წადგმა მიცვალებულის სულის მოსახსენებლად“, შდრ. „სულ-თ-მო-ფენ-ა“) და ამის მიხედვით საერთოქართველური ფუძეენის ეპოქისთვის აღადგინა სამივე გახმოვანების შემცველი ძირი *-ფან-/*-ფენ-/*-ფინ- (იქვე: 29).

ჰაინც ფენრიხის დასახელებულ მონოგრაფიაში არაერთხელ გვხვდება სრულიად ახალი დაკავშირებანი. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს:

„ქართული ენის იმერული დიალექტის ლექსემა ზოკ-ია („აბაზანის ჰია“) შეპირისპირებულია სვანური ენის ლენტეხური კილოს ზგკ („მატლი“) ფორმასთან, რომელშიც ე. წ. ირაციონალური ხმოვანი -ო- ხმოვნისაგან მიღებულადაა მიჩნეული. მკვლევრის აზრით, ამავე ძირს შეიძლება დაუკავშირდეს აგრეთვე ქართული გველ-ზოკ-ერ-ა'ც (იქვე: 45).

ქართულ მ-ტვრ-ევ-აში დაცულ ძირს ჰაინც ფენრიხი უდარებს სვანური ენის ლაშხურ დიალექტში დადასტურებულ მონაცემს ლი-ტურ-ამი („დამტვრევა“) და საერთოქართველური ეპოქისთვის აღადგენს *-ტურ-არქეტის (იქვე: 27).

ქართული სხაპ-ან-ი და სვანური სხუიპ ლექსემების მიხედვით წიგნში რეკონსტრუირებულია *სხაპ- არქეტიპი (იქვე: 25-26), საიდანაც ჯერ ლაბიალური ასიმილაციის, მერე კი პალატალიზაციისა და ნაუმლაუტარი -ჟი- კომპლექსის დელაბიალიზაციის შედეგად მოსალოდნელი იყო სხიპ, მაგრამ თანამედროვე მეტყველება ასე შორს ჯერ არ წასულა, თუმცა დღეს სვანურში ჟ > ჟი > ი საკმაოდ გავრცელებულია.

ძველი ქართული კედ-ი (> ახ. ქ. კეტი-ი), ჰაინც ფენრიხის აზრით, შესაძლოა უკავშირდებოდეს სვანურ კად-ე/კად-ა („ნაჯახი“) ფორმათა ძირს, რომელშიც ხმოვნის სიგრძე ახსნილია, როგორც კომპენსაცია გაუჩინარებულ -ჰ- თანხმოვნისა (შდრ. ბქ. კა“ჰ“და). ჩვენთვის მთლად ნათელი არაა სვანური აუსლაუტის ცალკე გამოყოფა. ამ მონაცემებიდან ამოსავალი უნდა იყოს -ა ხმოვანი, რომელიც სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების მორფმათა პალატალურ -ე ელემენტთან ურთიერთობისას გვაძლევს ასიმილირებულ -ე ხმოვანს (*კადა+ე > *კადე > *კადე „ნაჯახი“; *კადა+ემ+იშ > *კადემიშ > კადემი „ნაჯახის“). საერთოქართველურ დონეზე აღდგენილია *კად- ძირი, რომლის ნაუმლაუტარ ვარიანტადაა მიჩნეული ძვ. ქ. კედ- (იქვე: 15).

*

*

*

...თავისი მონოგრაფიებით, ლექსიკონებითა და ცალკეული გამოკვლევებით იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის პროფესორმა, საერთაშორისო ქართველოლოგიური ჟურნალის „Georgica“ს რედაქტორმა ჰაინც ფენრიხმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ გამორჩეული ენათმეცნიერია. სწორედ ქართველოლოგიამ დააკავშირა ბატონი ჰაინცი პროფესორ ზურაბ სა-

რწველაძესთან. ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე და არაერთ სასიკეთო საქმეს დაუდეს სათავე. ამ აკადემიური ურთიერთთანამშრომლობის შედეგია არა მხოლოდ „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურნი: ლექსიკონის“ სამი ფუნდამენტური გამოცემის არსებობა, არამედ ოთარ ქაჯაიასთან ერთად მეგრულ-გერმანული ლექსიკონის (Kadshaia, Fähnrich 2001: 3-688), ხოლო ჩვენი თანაავტორობით ჩოლურულ ზმნათა ძირითადი პარადიგმატული სისტემის პუბლიკაციები ვისბადენსა და იენაში (Tschantlaze, Fähnrich 2003: 3-96).

New Kartvelian etymologies and the problem of supposed data of Georgian-Zan unity epoch

S u m m a r y

The research deals with the new materials withdrawn from Megrelian (Otar Kajaia) and Svan (Varlam Topuria, Maxime Kaldani) dictionaries and which were not known for any publication of Heinz Fähnrich and Zurab Sarjeladze's "Etymological dictionaries of the Kartvelian languages". On the basis of the fact that certain Georgian-Zan roots appeared in Svan Heinz Fähnrich in his work "Kartvelische Wortschatzstudien" (2005) discussed a supposed material for Georgian-Zan unity epoch on a Common Kartvelian level according to the results of early etymological research. It concerns Georgian **gob-i** ("flat wooden bowl"), **gurin-v-a** ("weeping"), **brdyv-n-a** ("tearing"), **gam-e** ("night"), **brz-ol-a** ("struggle"), **kiv-il-i** ("shrieking"), **a-mo-gv-il-i** ("destroyed, wiped out"), **xok-ia** ("cockvoach"), **m-tyr-ev-a** ("breaking"), **sxap-an-i** – ("blowing"). **ked-i** / **keḷ-i** ("wooden lever") and other lexemes. These new etymologies are critically discussed in Iza Chantladze's work.

ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში გამორჩენილ ფუძეთა ფონოლოგიურ-სემანტიკური ანალიზი

ამოუწურავია ნებისმიერი ენის ლექსიკური ფონდი, ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ არც ერთ ლექსიკონს არ შეიძლება ჰქონდეს სისრულის პრეტენზია. ეს მით უფრო ითქმის სიტყვათა ისეთ „კონებზე“, სადაც გენეტურად ერთი ფუძეების არქიფორმათაგან მომდინარე რამდენიმე ენის მასალაა წარმოდგენილი. აკი „ბრძენთა ვედრებით მოგუახსენებდა“ კიდევ მთელი სიცოცხლის მანძილზე „ფრიადი შრომითა და რუდუნებით“ შექმნილი ფუნდამენტური წიგნის შესახებ დიდებული სულხან-საბა ორბელიანი თავის დროზე: „ერთისა და ორის კლებისათვის ნუ დაიწუნებთ, სრული გვიან საბოვნელია“-ო.

მოკრძალებით მოგახსენებთ, რომ ჩვენ არათუ ვიწუნებთ, არამედ სამაგიდო წიგნებად გვიდევს ქართველოლოგიის კლასიკოსთა თუ თანამედროვე ქართველ და უცხოელ მკვლევართა ეტიმოლოგიური ძიებანი, მაგრამ, რაკი თავად საბა ბრძანებს — „გასწორება სჯობს“-ო, ამიტომ შევეცდებით, მოვამზადოთ ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის ისეთი პუბლიკაცია, რომელშიც აისახება წინა გამოცემებში შემთხვევით თუ შეგნებულად გამორჩენილი ლექსიკის ფონოლოგიურ-სემანტიკური ანალიზი ან მათგან განსხვავებულ ინტერპრეტაციები (განსაკუთრებით ქართული ენის სამხრული დიალექტების მონაცემებისა, რომელთაც დღემდე რატომღაც არ მიუქცევიათ შესაბამისი ყურადღება კომპარატივისტული თვალსაზრისით).

დაახლოებით ამგვარი სამუშაო უკვე ჩატარდა რამდენიმე წლის წინ ქართველურ ენათა ბრწყინვალე უცხოელი სპეციალისტის, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის პროფესორის ჰაინც ფენრიხის მიერ (იხ. Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, Leiden-Boston, 2007: 5-873), რომელმაც შეაჯამა აქამდე არსებული პოზიტიური შედეგები კომპარატივისტული ქართველოლოგიისა¹, დაუმატა ახალი კანონზომიერი ფონემათშესატყვისო-

¹ სამწუხაროდ, ჰაინც ფენრიხის ლექსიკონში ვერ მოხერხდა მერაბ ჩუხუას „იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკის“ (თბილისი, 2008: 8 — 761) გათვალისწინება, ალბათ იმის გამო, რომ გერმანელ და ქართველ ენათმეცნიერთა აკადემიური წიგნები ფაქტიურად ერთდროულად შეიქმნა. უფრო მეტად სამწუხაროა ის, რომ არც მერაბ ჩუხუას ეტიმოლოგიურ ლექსიკონებშია (2000-2003 წ., 2008 წ.) გამოყენებული ჰაინც ფენრიხის "Kartwelische Wortschatz"-ის სერიით 1971-2005 წლებში გამოცემული არაერთი ეტიმოლოგიური გამოკვლევა.

ბანი და წარმოდგინა სრულიად დამაჯერებელი ეტიმოლოგიები, რითაც ხშირ შემთხვევაში მოხერხდა ადრე ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქისთვის სავარაუდო არქიფორმათა გადატანა საერთოქართველური ფუძეების დონეზე; ეს კი შესაძლებელი გახდა შესაბამისი სვანური ეკვივალენტების მოძიების საფუძველზე.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვცდილობთ კვლევის გაგრძელებას ამ მიმართულებით (ქართველოლოგიაში სეფესიტევა ყოველთვის ქართველმა მეცნიერმა უნდა თქვას!), რადგანაც, როგორი ბრწყინვალეც უნდა იყოს უცხოელი სპეციალისტი, მას, როგორც არამშობლიურ, შესწავლილ ენაზე მეტყველს, მოსალოდნელია რაღაც გამორჩეს ჩვენი დედაენისა თუ რეგიონული უმწერლობო ენების ლექსიკის ფონოლოგიურ-სემანტიკური ანალიზისას.

საგამომცემლო რეგლამენტით შეზღუდულობის გამო, საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:

I — დღემდე არსებულ არც ერთ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში არაა შეტანილი „სიტყვის კონაში“ დადასტურებული ლექსემა **მაჩხი** („თულ-ჭრელი“, შდრ. ძვ. ქ. თუ-ალ-მა-ჩხ-ი „ჭრელთვალება“; იმერ. მა-ნ-ჩხ-ი „სხვადასხვა ფერის თვალება“, თვ-ალ-ჩი-ჩხ-ა, თვ-ალ-ჩხ-აკ-ა-ი „თვალჭრელა, კატის თვალება“; ჩი-ჩხ-ი „ღია ჭრელი“, მოხ. მა-ჩხ-ი „ცელქი, ემმაკი, მოუსვენარი“), რომელიც თანამედროვე ქართულსა და ხევსურულში მა-რ-ჩხ-ის სახით წარმოგვიდგება (სონორის ჩართვა ინლაუტში ჩვეულებრივი მოვლენაა ქართველურ ენებში). რაც შეეხება სვანურს, აქ მის ერთ-ერთ უძველეს (უშგულურ) მეტყველებაშია შემორჩენილი **ჩხ-** კომპლექსი (**ჩხ-ირ-ჰ-ჰ** „მარღი, ჭროლა, *чироглазъ, чероглазъ, сероглазъ*“ — ნიკარაძე 2007: 139-140, 248), სხვაგან კი გამჟღავნებული (ბზ. ჭღ-ირ-ჰ-ჰ, ბქ. ჭღ-ირ-ჰ-ჰ) ვარიანტი გვაქვს. **ჩხ-** გვხვდება ჩოლურულშიც, ოღონდ ლექსემის სტრუქტურა რამდენადმე განსხვავებულია (**ჩხ-ი-ჰ-ჰ** „ღია ფერის თვალება, თეთრთვალება“).

მეგრულში „ჭროლა“-ს ჭღ-ამ-ჰ ჰქვია. ქართველურ ენებში (განსაკუთრებით სვანურში) შეინიშნება მკლერ და ყრუ ჰარმონიულ კომპლექსთა მონაცვლეობის პროცესი (ზს., ლშხ. **შხ-ირ-ე** > ლნტ. **ჟღ-ირ-ე** „ხეთქს“,...). გამჟღავნება უფრო ბუნებრივია ხმოვნით დაწყებული სონორის შემცველი სუფიქსის წინ (შდრ. იმერხ. **ჩელხ-ი** II **შელხ-ი** „არეულ-დარეული გროვა“; ქართლ., ქიზიყ. **ჩელხ-ი**||**ჩელღ-ი** „გაულეწავი პურის თავთავები“; **ჩელხ-ი** „ხვარბლის ხვავის ულეწველი ანაკაზმი“ — საბა, სვან. **ლი-რ-ჩხ-ღ-ე** „ჩხა-

რუნი“, მაგრამ **ჟღ-ჯღ** „ჟღარუნი“). ზანიზმი. ჩანს ქართული ენის გურულ დიალექტში დადასტურებული **ჟღ-ამ-არ-ა'ც** („ჭროლა, ჭრელთვალეა“). სვანური ენის ბალსზემოურ კილოში ზოგჯერ ამოსავალი, არაასიმილირებული ფორმაც (**ჩხ-იჟ-ლ-ამ**) გვხვდება, ხოლო კომპოზიტი ღეზაფრიკატიზაციასაც [**ჟღ-იჟ-პარ-ბლ-იჟ-პარ<*ჟღ-იჟ-პარ-ბლ-იჟ-პარ**; შდრ. ქართული **ჟღ-ალ-ი** „შავ-მოწითალო“ (საბა); „შავ-თეთრი, მუქი ნაცრისფერი, რუხი||ჰალარა“ (ქეგლი); მეგრული **ჟღ-არ-ი** „ჭრელი“] აქვს ადგილი ყველა დიალექტში.

ვფიქრობთ, რომ „ჭროლა“-ს აღსანიშნავად საერთოქართველურ ფუძეენაში მხოლოდ **ჩხ-** ძირი გამოიყენებოდა, ხოლო მყდერი სპირანტიზებული ვარიანტები (**ჟღ<*ზღ**) მოწითალო თუ მოთეთრო შავს, რუხს, ანუ **მუქ ფერს** გამოხატავდნენ. რაც შეეხება **ჩხ-** კომპლექსს, თავდაპირველად ის მხოლოდ ღია ფერს აღნიშნავდა. მოსალოდნელია, რომ აქრომატული ფერის გადმომცემი **ჟ-** მართლაც შესაბამისი სისინა სპირანტიზგან მომდინარეობდეს ისე, როგორც ეს სპეციალური ლიტერატურიდანაა (ჩუხუა 2000-2003: 187) ცნობილი, მაგრამ სვანური **ჟღიჟპარ**-ისთვის ამოსავალი ჩანს **ჩხ-იჟ-პარ** („ღია ფერის თვალეა, თეთრთვალეა“), რომელიც დღეს ლაშხურსა და ჩოლურულ მეტყველებაშია დაცული, აგრეთვე უშგულურსა და იშვიათად ბალსზემოურში, ოღონდ მორფემათა განსხვავებული რანგით (**ჩხ-ირ-ჟ-პ, ჩხ-იჟ-ლ-ამ**); თავის მხრივ, იგი ზემოსვანური მეტყველებისთვის დამახასიათებელ ფორმათა (**ჟღ-ირ-ჟ-პ'ა'**) საფუძველი ჩანს.

მაშასადამე, საერთოქართველურ ფუძეენაში **აქრომატულ** ფერს გადმოსცემდა სპირანტული **ჟღ-<*ზღ-** კომპლექსი, ხოლო **ქრომატულს** — აფრიკატული **ჩხ-** (> **ჟღ-** ხმოვნით დაწყებული სონორის წინა პოზიციამი > **ჟღ** ღეზაფრიკატიზაციით).

რაკი **ჩხ-** კომპლექსის შემცველი ძირი ზოგჯერ ალბინოსის („ბეცის“, შდრ. ლათინური *albinos* „თეთრი“) სემანტიკასაც გადმოსცემს, სოფელ ხი-ზაბავრაში (ჯავახეთი) კი აღმაცერად დათესილი კარტოფილის კვალს „ჩხერას“ ეძახიან, მოსალოდნელია, რომ ეს მეორე ნიუანსი ქართულ „მე-ჩხერსაც“ უკავშირდებოდეს, რომელიც სვანურ ენაში **ჩხ-პარ** (ბქ.)/**ჟღ-პარ** (ბზ.) ფორმებითაა წარმოდგენილი. იგივე ლექსემა დასტურდება იმერულ დიალექტში სხვადასხვა ვახმოვანებით (**ჩხ-არ-ი/ჩხ-ერ-ი** „არახშირი, მეჩხერი, ალმაცერი“).

II — **კოწახური** ეკლიანი მცენარის სახელწოდებაა, ჰვლებში იცის. მისი ნაყოფისაგან მშენიერ საწებელას ამზადებენ (მაყაშვილი 1961: 41).

ქართველურ ენათა არც ერთ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ამ სიტყვის ანალიზი შეტანილი არ ყოფილა 2000 წლამდე, ანუ მანამდე, ვიდრე პროფესორმა ზურაბ სარჯველაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების მეორე სამეცნიერო სესიაზე 1999 წელს არ წაიკითხა „ეტიმოლოგიური შენიშვნები“, თუმცა სვანური **გოწხირ** და ლაზური **კაწახური** არც ამ მოხსენებაში ყოფილა მოხმობილი ქართული **კოწახური**ისა და მეგრული **კორწოხულ**'ის საპირისპიროდ; გასაოცარი კია, იმდენად ნათელია აღნიშნულ ფუძეთა ერთიანობა!¹ ანალოგიური ვითარებაა ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის ქართულ (2000 წ.) და გერმანულ (1995 წ.) ენებზე გამოცემულ ეტიმოლოგიურ ლექსიკონებშიც, აგრეთვე ჰაინც ფენრიხის "Kartwelisches Etymologisches Wörterbuch"-ში (2007 წ.).

სრულიად ბუნებრივია, რომ საანალიზო ლექსემაში ყველა ქართველოლოგის ყურადღებას მიიქცევდა ფუძის შედგენილობის საკითხი და ეს ასეც მოხდა! — ზურაბ სარჯველაძის თვალსაზრისით, „ცხადია, რომ **კოწახურ**-ფუძეა, ოღონდ მისი **შემდგომი სემანტიკაა ჭერჭერობით არ ხერხდება**“ (ფენრიხი-სარჯველაძე 2000: 290). ჰაინც ფენრიხის მიხედვითაც, ამ სიტყვის **ფუძე, რასაკვირველია, რთული სტრუქტურისაა** (Fähnrich 2007: 251).

შევეცდებით, ქართველურ ენათა დიალექტებში დადასტურებული, ფორმითა და შინაარსით მსგავსი ლექსემების არაერთი ფონეტიკური ვარიანტის წყალობით, მოვახდინოთ **კოწახური**ის სემანტიკა:

უშგულური **გოწხილ**'ის ქართულ შესატყვისად ბესარიონ ნიჟარაძეს მოაქვს **კვაწაროხი** (ნიჟარაძე 2007: 131), რომელიც ავტორს, როგორც ჩანს, დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით დაუმოწმებია, სადაც ერთმანეთის ვარიანტებადაა წარმოდგენილი **კოწახური** და **კვაწაროხი** (варварихъ), ბესარიონ ნიჟარაძესთან კი მხოლოდ უკანასკნელი გვხვდება; ეს ვარიანტი ჩვენ ჭერჭერობით ვერც წერილობით ძეგლებში დავადასტურეთ, მაგრამ ფაქტია, რომ **კვაწაროხი** ძალიან ჰგავს **კვაწარახს** (მოხარული მწიფე ტყემლის ცხრილზე გახეხვითა და დიდი ხნის დუღებით მიღებული მჟავე სქელი წვენი“ — ძოწენიძე 1974: 193). რაც შეეხება

¹ ვარლამ თოფურიას **გოწხირ** ქართულიდან ნასესხებადაც კი მიაჩნდა (თოფურია 2002: 32; 1979: 42).

მეგრულს, იოსებ ყიფშიძეს **კვარწახი** („კვარარახი“) და **კორწოხური** („კოწახური“) ერთ სიტყვა-სტატიად აქვს წარმოდგენილი (Кипшидзе 1914: 255) „კვარარახის“ მნიშვნელობით, ხოლო ოთარ ქაჭაიას **კვარწახ**-თან მითითებული აქვს: „შდრ. **კორწოხული**“-ო (ქაჭაია 2002: 127).

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მესტიის რაიონის ჩრდილო სოფლებში (მულახი, იფარი, იელი, წვირმი, ჰადიში, კალა,...) ტყემალი ვერ ასწრებს დამწიფებას და ამიტომ მისი საწებლისა თუ კვარარახის ნაცვლად სვანები ხმარობენ **გოწხირ**-ისგან დამზადებულ შესუნელებულ მყავე წვეს მოხარშულ ან შემწვარ ხორცზე მისატანებლად, მაშინ ჩვენი ვარაუდი უფრო გამყარდება.

როგორც **კაწ**-, ისე **კოწ**- ძირები სიმყავეზე ან სიმწარეზე მიუთითებენ (შდრ. ძვ. ქ. **კაწ-ახ-ი** „მყავე, მკვახე“, ინგილ. „უმწიფარი ხილი“, ხევს. **კოწ-ახ-ი** „მწარე“, და-**კონწ**-რ-ებ-ულ-ი, მთიულ. და-**კოწ**-მან-ებ-ულ-ი „ძალიან დამყავებული“, შდრ. მესხ. **კოწ**-**ა**'-მან-ი, მთიულ. **კოწ**-მან-ურ-ი „მეტად მყავე“ — საბა), ხოლო **-ახ**-, **-ოხ**-, **-არ**-, **-ორ**-, **-ურ**-, **-ირ**- შესაბამის ქართულურ ენებში ინფიქსებად ან სუფიქსებად წარმოგვიდგება. იგივე სიტუაციაა სვანური ენის ბალსქვემოურ დიალექტში, სადაც უმწიფარ მყავე ხილს, აგრეთვე მაქალოს, **გოწ**-**ო**ს უწოდებენ (შდრ. ლშხ. **გოწ** — ფეტვის მსგავსი ბალახი).

ქვემოთურულად კვარარახს **კონწ-ორ-ოხ-ი** ჰქვია, რომლისთვისაც ამოსავალი უნდა იყოს მეგრული **კონწ-არ-ი** („მწარე; ავი, ბოროტი“), ხოლო სვანური ენის ბალსქვემოური დიალექტის **კუარწ-ან** მეგრულ-ლახური (ხოფური) **კვარწახ**-ისაგან (Кипшидзе 1914: 255; ქაჭაია 2002: 127) უნდა მომდინარეობდეს. ყურადსაღებია, რომ რაქველები კოწახურს **კაწ-ახ-ურ**ს ეძახიან.

გადატანითი მნიშვნელობის შემთხვევაშიც „კვარარახი“ და „კოწახური“ ერთნაირად გამოიყენება. ასე მაგალითად: გურიაში ენამწარე ადამიანზე „კონწოროხსაც“ (ე. ი. **კვარარახ**'ს) იტყვიან და „კონწარსაც“, ხოლო სამეგრელოში „კორწოხულს“ (ე. ი. კოწახურს) ამბობენ ანალრგიურ კონტექსტებში (**კორწ-ოხ-ულ-ი-ჩგუა ნინა მილაძე** — „კოწახურივით ე. ძლიერ მწარე“ ენა უდევს „პირში“ — ქაჭაია 2002: 160); შდრ. აგრეთვე **კვარწ-ახ-ალ-ა** „გაცხარება“, **კვარწ-ახ-ენ-ს** „ცხარობს“ — იქვე).

„დიდ ლახურ ლექსიკონში“ (Bucaklışi 2007) **ქართული კოწახური დასახელებულია ლახურ ლექსემად**, რომელსაც ბექმეზის, ანუ „გადაღუ-

დებული ტკბილი სასმელის“ მნიშვნელობა აქვს, ხოლო **კოწ-ახ-ურ-ი-ში ფა-ფა** არის ამ „სასმელისგან გაკეთებული **ფელამუშის მსგავსი** შექამადი“ (შდრ. იმერული: ტყემლის წვეს დიდხანს რო ვადუღებთ, არი **ფელამუშით**, ესაა **კვაწარახი**“ — ძოწინიძე 1974: 193).

სვანეთის სულთა მატიანის (XIII საუკუნის I ნახევარი) მიხედვით, სოფელ ლენჯერის (ზემო სვანეთი) საეკლესიო კრებას „მოეგება მამაა **გოწახრიანისა**“ („სვანეთის ისტორიის ფურცლები“, 2011: 176). მაშასადამე, თანამედროვე სვანურ დიალექტებში (ლენტეხურშიც კი!) რედუცირებული ა ხმოვანი დაცულია ისტორიული დოკუმენტის ონომასტიკურ ლექსიკაში.

ამრიგად, როგორც სტრუქტურული (**კოწ-** და **კვაწ-** ძირთა მონაცვლეობა, ერთგვარი აფიქსები), ისე სემანტიკური ანალიზი **კვაწ-არ-ახ-** ფუძისა საფუძველს გვაძლევს, შევძლოთ „კოწახურის“ აღმნიშვნელი ლექსემის სემანტატიკა, რადგანაც ის უფრო მეტი ფონეტიკური ვარიანტებითაა წარმოდგენილი ქართველურ ენებში, ვიდრე ქართული **კოწახური** და სვანური **გოწხირ**. ვფიქრობთ, არ არის შეუძლებელი ამგვარი ვარაუდის არსებობა, თუმცა არც მეორე თეორიული დაშვების ალბათობაა გამორიცხული:

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **კოწახური** არის „ეკლიანი ბუჩქი (ან საშუალო ზომის ხე); იკეთებს ყვითელ ყვავილებს და ისხამს მუჯევი წითელ ნაყოფს, რომელიც იჭმება; ჩვეულებრივ, იზრდება ველად; ხმარობენ კულინარიაში“. აქედან ამოსვლით შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი ეტიმოლოგია:

***კოწ-ა-ხურგ-ი > *კოწ-ა-ხურ-ი > კოწახურ-ი**, სადაც კომპოზიტის პირველი კომპონენტი თანამედროვე ინგილოურ დიალექტში დაცული **კოწა** („წვრილწვეტიანი მრგვალი მსხალი“, შდრ. იმერ. **კოწა-ოლ-ი** „ნაყოფით დახუნძლული შტო“) უნდა იყოს (სონორის ინლაუტში გაჩენაც და გაუჩინარებაც ქართველურ ენათა ფონოტაქტიკის დამახასიათებელი თვისებაა!), ხოლო მეორე — „ჩირგვის“ (ე. ი. პატარა ბუჩქის) აღმნიშვნელი იმერული სიტყვა **ხურგ-ი** (თუმცა ძირის აუსლაუტში მქლერი თანხმოვნის დაკარგვის დაშვება არც ისე ადვილი ასახსნელია სონორის მომდევნო პოზიცი-აში. შდრ. **ჩქარ-ად > ჩქარ-ათ > ჩქარ-ა**, ე. ი. **ხურგ-ი > *ხურქ-ი > ხურ-ი?**).

რაც შეეხება **კოწახური/კოწოხურ** ლი/გოწხირ ლექსემის ფონემატურ მხარეს, ვფიქრობთ, რომ ყველაფერი რიგზეა როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა შესატყვისობის მხრივ. ოღონდ ლაზური (ხოფური) **კაწახური**, რომელიც დადასტურებულია ნიკო მარისა და ალექსანდრე მაყაშვილის შრომებში, თითქოს ერთგვარ დისონანსს ქმნის, რადგანაც მოსალოდნელი იყო ***კოწოხური/კოწოხული** ან რაღაც ამის მსგავსი. თუ ეს მონაცემი სწორია, მაშინ ა — ა ხმოვანთმიმდევრობა შესაძლოა გვიანდელიც იყოს და თურქული სინჰარმონიზმით აიხსნას. თუ ლაზურის გავრცელების რომელიმე არეალში დადასტურდება **კოწოხური/კოწოხული** ვარიანტებიდან რომელიმე, მაშინ ის ხვესურული **კაწახის** („ერთგვარი მცენარე“) შესატყვისი გამოვა, რომელიც ძველ ქართულშიც იხმარებოდა, ოღონდ სხვა („მეავე, მკვახე“) მნიშვნელობით.

სვანური ენის ყველა დიალექტში მხოლოდ ერთი (**გოწხირ**) ფორმაა დადასტურებული; ბესარიონ ნიჟარაძისეული **გოწხილ** (უშგ.) შესაძლოა კინობითობას გახაზავდეს (***გოწ-ხ-ირ-ილ > *გოწ-ხ-რ-ილ > გოწ-ხ-ილ**), რადგანაც იმავე მეტყველების წარმომადგენელ ივანე ნიჟარაძეს თავის „Русско-сванский словарь“-ში მთელ სვანეთში გავრცელებული ერთადერთი ფორმა აქვს მითითებული (**барбарисъ — гоххир**. კოწახური, გვ. 8). ნიჟარაძეთა ლექსიკონები ბითქმის ერთდროულადაა შექმნილი.

გოწხილ გვხვდება, აგრეთვე, 1878 წელს სოფელ მულახში ჩაწერილი ერთი ძველი ხალხური სიმღერის ტექსტში („მავლია“), რომლის მთქმელი თაისავ შარვაშიძეა, მაგრამ ეს ფორმა შესაძლოა ჩამწერის — ბესარიონ ნიჟარაძისეული იყოს (**ნამნაშუ გოწხილს ტიხეხ** — ნასვილარი ყანები კოწახურს აღმოაცენენ, სვ. პოეზ. 1939: 194, 7). ისიც საყურადღებოა, რომ ხელნაწერში რაჭულ-ლეჩხუმური „კვაწახური“ გვხვდება, რომელიც „სვანური პოეზიის“ გამომცემლებს (აკაკი შანიძეს ან ვარლამ თოფურიას) ჩაუსწორებიათ სალიტერატურო ფორმით.

სვანეთში ხარობს სუროს მსგავსი მცენარე, რომელიც წითელ მარცვლებს ისხამს და ხეებზეა შემოხვეული. მის სახელწოდებაშიც **გოწხირ** ფუძეა წარმოდგენილი: ლშხ. **მგ-გოწხ-ირ-ოლ** („მოკოწახურო“, ანუ „კოწახურის“ მსგავსი?) **ქა ხეჭონი მეგმარს, კაკლარს წგრანის იშნე; სუროს ხაჭეშ** (ონიანი 1917: 19).

სვანურისთვის დამახასიათებელი თანხმოვანთა დისიმილაციური გამჟღერება ან რედუქციისა თუ უმლაუტის წესები საანალიზო ლექსემაში კანონზომიერადაა წარმოდგენილი (კოწ-ახ-ურ-ი > კოწ-ახ-ურ > კოწ-ახ-ურ-ი > კოწ-ახ-ი > კოწ-ხ-ი > გოწ-ხ-ი). ეს გარდაქმნები იმაზე მიუთითებენ, რომ როგორც ყრუ თანხმოვანთა გამჟღერება, ისე ნაუმლაუტარ ხმოვანთა დელაბიალიზაციის პროცესი (უკანასკნელი დღეს მხოლოდ რამდენიმე კილოკავს ახასიათებს) საკმაოდ ძველია სვანურში. არქაულობის თვალსაზრისით, გოწხი ოდინდელი ხალხური სიმღერებისა და ანდაზების ენაში წარმოდგენილი ფორმების გვერდით დაიჭერს ადგილს.

III — „პაწია ბავშვების ყვილ-ხვილისა თუ ტირილის“ აღსანიშნავად ქართული ენის იმერულ დიალექტში გვხვდება ე. წ. პირველადი მასდარის (დეეტერსი, ჩიქობავა) ფორმა სხრ-იალ-ი, რომლის თანხმოვანთა მეტათეზისით მიიღება მეგრული რსხ-იალ-ი, ხოლო სვანურში ეს ძირი წარმოდგენილია რ სონორის გარეშე (სხ-გლ-ი, სხ-ამ-სხ-უმ), მაგრამ მის ოდინდელ არსებობაზე მიუთითებს გ ხმოვნის სიგრძე, რომელიც შეიძლება ასახავდეს როგორც -რ-, ისე -ოა- ელემენტთა გაუჩინარების კომპენსაციას. არც დიალექტურ ქართულშია სონორი: იმერ. სხ-ავ-ის („ტირის უსუსური ბავშვი“), სხ-ავ-ილ-ი („ტირილი ძუძუთა ბავშვისა“) — ქველი.

მეგრულში რსხილის გვერდით იხმარება სხარ-სხალ-ი/სხვარ-სხვალ-ი, რომელიც ერთცნებიანი კომპოზიტი ჩანს. იგივე ფუძე უნდა იყოს გამოყენებული აღნიშნული მასდარიდან ნაწარმოებ სახელში, რომელიც ყველა ქართველურ ენაში, ჩვეულებრივ, მრავლობითის ფორმით იხმარება:

ქ ა რ თ უ ლ ი

გურ. ბა-სარ-სხ-ლ-ებ-ი (< *ბა-სარ-სახ-ალ-ებ-ი) „წვრილი ბავშვები“, ბარტყები, ჩიტის მართვენი“ (მღრ. გურ. ჩი-ხარ-ხალ-ა/ჩი-ხურ-ხალ-ა „წვრილშვილიანი ოჯახი — დიდებიც, პატარებიც“)

იმერ. ბა-სა-სხ-ებ-ი (< *ბა-სარ-სახ-ებ-ი)

ლეჩხ. ბა-ხარ-ხ-ლ-ებ-ი (< *ბა-სარ-ხ-ლ-ებ-ი < *ბა-სარ-სხ-ლ-ებ-ი < *ბა-სარ-სახ-ლ-ებ-ი < *ბა-სარ-სახ-ალ-ებ-ი)

მ ე გ რ უ ლ ი

ბა-სარ-სხ-ლ-ეფ-ი/ბა-ხარ-ხ-ლ-ეფ-ი „ჩიტის ბარტყები; იტყვიან პატარა ბავშვებზეც“

ბი-სინ-სხ-ილ (ლშხ.) < *ბი-სინ-სიხ-ილ, ბი-სან-სხ-ჟ (ჩოლ.) < *ბი-სან-სახ-ჟ, ბე-სან-სხ (ლნტ.) < *ბი-სან-სახ „თოთო ბავშვი“, სიმ-სხ-აჟ (ჩოლ.) „პატარა გოგო-ბიჭები“.

ბუნებრივია, შეიძლებოდა **ბახარხლები**'ს **ბახალა**'სთან („ბარტყი ყვავისა, ყორნისა, კილყვავისა, კაჭკაჭისა და მისთ.“ — ქეგლი) დაკავშირება, მაგრამ იმერხელ დიალექტშიც და სულხან-საბას ლექსიკონშიც ეს ლექსემა წარმოდგენილია **ვ** გრაფემით (**ბავალა**¹ — გოგო, ქალიშვილი; ყვავთა, ყორანთა და მისთანათასა მართუფს **ბავალა** ეწოდება), რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ სვანურ **ბისანსხჟ**, **ბესანსხ** ფორმებსაც დავუკავშირებდით **ბავალა**'ს, მაშინ იქაც **ვ** ფონემა უნდა ყოფილიყო დღესაც.

სვანეთში პატარა ბავშვების ჯგუფს **სხ-ლ-იჟ-არ** ჰქვია, ანუ არაკომპოზიტური, ამოსავალი ძირი ჩანს გამოყენებული.

მაშასადამე, ყველა ქართველურ ენაში წარმოდგენილია **სხ-** კომპლექსი: ქართ. **სხ-ავ-ილ-ი/სხ-რ-იალ-ი** მეგრ. **რ-სხ-იალ-ი** („ჩვილი ბავშვების ტირილი“) სვან. **სხ-ლ-იჟ-არ** („პაწია ბავშვები“)

ზემოსვანურ **სგლ-ხგრ** („წრიალი“) ფორმაშიც, მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიტური წარმოება გვაქვს, ჩანს როგორც **ს-**, ისე **ხ-**, ოღონდ ისინი რთული ლექსემის სხვადასხვა კომპონენტებშია განაწილებული.

განხილულ მასალაში **ე. წ. იდენტურ შესატყვისობასთან კი არ გვაქვს საქმე. არამედ ფუძენიდან ყველა ქართველურ ენაში გადაყოლილ საერთო სხ- ძირთან, რომელიც განსხვავებულადაა გაფორმებული ქართულ-მეგრულ-სვანურში.**

პირველადი მასდარის შედარება მისგან მომდინარე სუბსტანტივებთან გამოგვაყოფინებს **ბა-** პრეფიქსს: შდრ. **ბა-ჭაჭყ-ან-ა/ბა-ჭაჭყ-ებ-ი** („პატარა ბავშვები“), ერთი მხრივ, და **ჭაჭყ-ან-ი/ჭიჭყ-ინ-ი**, მეორე მხრივ; აგრეთვე, ჯავახური **ბა-ჭყ-ალ-ა** („ცხოველის ნაშიერი“ ან „პაწია ბავშვი“), ერთი მხრივ, და **ჭყ-ავ-ის**, მეორე მხრივ. აქვე გავიხსენებთ ივანე ჯავახიშვილისეულ დაკავშირებას ქართულ **ბა-ღან-ა** და სვანურ **ღანაჟ** („ფენმძიმე“) ლექსემებს შორის (ჯავახიშვილი 1937: 211-212). ასე რომ, უნდა გაგრძელდეს მუშაობა **ბა-/ზო-** პრეფიქსთა გამოვლენის თვალსაზრისით ქართველურ ენებში (რამდენადმე რთულია სვანური **ბი-/ბგ-** ელემენტების გამოყოფის

¹ ზოგ მკვლევარს **ბავალა** თურქულ სიტყვად მიაჩნია (იხ. ჩოხარაძე 2007: 42).

საკითხი! — შდრ. ქართული ნე-კერჩხ-ალ-ი, მეგრული ლა-კინჩხ-ა და სვანური ბი-კენჩხ-ალ). **ბა-გშე**- ფუძეშიც ხომ არ უნდა დავინახოთ იგივე პრეფიქსი და „შობასთან“ დაკავშირებული სემანტიკა?!

IV — ზოგჯერ ქართველურ ენებში ფუძეების დიალექტთა ენებად დიფერენცირების (კანონზომიერი რეგულარული ფონემათშესატყვისობის ამსახველი) შედეგებიც (ანუ ძალზე არქაული პერიოდის მონაცემები) გვაქვს და საკმაოდ ძველი ნასესხობანიც ერთმანეთის გვერდით, თანაც ისე, რომ უკანასკნელ შემთხვევებში ერთ ენაში ქართული ფუძეები უცვლელადაა წარმოდგენილი, ხოლო სხვაგან სახეზეა რთული ფონეტიკური გარდაქმნები. მაგალითად:

სპეციალური ლიტერატურის (Кипишидзе 1914: 411) მიხედვით, ქართულ **მძევალ**- ფუძეს მეგრულში შეესატყვისება **ჯალ** < **ჯაალ**-, მაგრამ სვანური ეკვივალენტის შესახებ არაფერია ნათქვამი. იგივე მდგომარეობაა ჩვენთვის ცნობილ ყველა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში, ოღონდ მერაბ ჩუხუა გვთავაზობს განსხვავებულ თვალსაზრისს (ჩუხუა 2000-2003: 413), რომლის მიხედვითაც, ქართული **ძევ**- და მეგრული **ჯალ**- ძირები დაკავშირებულია სვანურ იდიომატურ გამოთქმაში (**ჯაჷშ ლიჷმინე** — „ძირფესვიანად ამოვდება, ამოწყვეტა“) დადასტურებულ ერთ-ერთ კომპონენტთან, ხოლო „მძევლის“ აღმნიშვნელი თანამედროვე ლექსემა **ჯა/ალ**, **ჯგლ** მიჩნეულია ზანიზმად (იქვე: 414). ჯერ ერთი, **ჯაჷშ** (<***ჯაჷა**-იშ) ფორმა იმაზე მიუთითებს, რომ ამ ლექსემას ისტორიულად აუსლაუტში -ა ხმოვანი უნდა ჰქონოდა [ამიტომ მისი წინამავალი -ა- არასდროს გაუმლაუტდებოდა (შდრ. **ჯალ**)], რომლის გაუჩინარებას ახსნა სჭირდება; მეორეცაადა — სვანურმა ზანურიდან **ჯალ**-ისესხა და ქართულიდან **ძევ**- (შდრ. ზს., ლნტ. **ძეჷწლ**, უშგ. **ძაჷწლ**, ლშხ. **ძეჷწლ**) ერთი და იმავე სემანტიკის გადმოსაცემად?!

ამასთანავე, მეგრულში ქართული „მძევლის“ სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტები გვაქვს (მათ შორის სპირანტიზებულიც), სვანურში კი — სემანტიკური:

მ ე გ რ უ ლ ი

რძიალი („საბუდარში საგანგებოდ დატოვებული კვერცხი“, შდრ. გურულ-იმერული **რძევალი** „მძევალი“) > **რზიალი** („ამანათი; ბე; მძევალი“); **რზიალება** („მძევლად გახდომა“)...

ძეწალ (1. კვერცხი; 2. ტყვე; 3. მაწვნის დედა/ძირი; 4. საფუარი; 5. ნადირის მისატყუებლად ხაფანგში საგანგებოდ ჩადებული ლეში; 6. დამხმარე სარი ღობის გასამაგრებლად... შდრ. იმერხ. **ძევალი**-ი 1. „ბუდეში დატოვებული კვერცხი“; 2. დიდხანს დარჩენილი სტუმარი“ — ფუტყარაძე 1993: 65).

ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის აზრით, ქართულ-მეგრულ მონაცემთა გათვალისწინების საფუძველზე ***მძევალ-** არქიფორმას წარმოადგენს, ხოლო მერაბ ჩუხუა სვამს მეტად საინტერესო კითხვას: „ხომ არ შეიცავს ქართული მ-ძევალ ფორმა ძე- („მემკვიდრე, ვაჟიშვილი“) ფუძეს?“ თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ **მძევალ-** შეიძლება იყოს ქართული ძ-ევ-ს ზმნის გასუბსტანტივებული მიმღეობა, ე. ი. მძევალი ისაა, ვინც ან რაც სადღაც საგანგებოდ ძევეს; შდრ. საბა — მძევალი არის „კაცი, წინდად დასმული“ მაშასადამე, **მძევალ-** ფუძეს როგორც მეგრულში, ისე სვანურში შეესატყვისება **ჟალ** ძირი. -ალ ქართულისთვის დამახასიათებელი დეტერმინანტი სუფიქსია, რომელიც სვანურში, ჩვეულებრივ, არ გადაჰყვება ხოლმე ფუძეს ან იძლევა -ჟ ფონემატურ შესატყვისს, რომელიც ძალზე ხშირად იკარგვის აუსლაუტში. რაც შეეხება მ- პრეფიქსს, თანხმოვნის წინა პოზიციაში მისი დაკარგვა სხვა შემთხვევებშიც ცნობილია ანლაუტში (გუდავა 1979: 82), ხოლო ძ-ეჟ-ისაგან, სვანური ფონოტაქტიკის გათვალისწინებით, კანონზომიერად მივიღეთ **ჟალ/ჟალ/ჟელ** („მძევალი“):

ძეჟ- > *ძჟ-/ძაჟ- > *ძალ-/ძალ- > ჟალ/ჟალ/ჟელ (ველარული უმლაუტისა და ქართული ჟ — სვანური ლ, ქართული ძ — სვანური ჟ ფონემათშესატყვისობათა წესების დაცვით).

მაშასადამე, შეპირისპირება ქართული მ-ძევალ- მეგრული **ჟალ-** (<*მ-ჟ-ავ-ოლ-) სვანური **ჟალ-/ჟალ-/ჟელ-** რეგულარულ ფონემათშესატყვისობათა ამსახველი და არქაული (საერთოქართველური ფუძეენის დაშლის შემდგომი) პერიოდის მონაცემია, ხოლო მეგრული **რძ-იალ- > რზ-იალ-** და სვანური **ძეწალ** — შედარებით გვიანდელია, უშუალოდ ქართულიდანაა ნასესხები, არანაირ შესატყვისობას არ ასახავენ და ამიტომაც არც უნდა განვიხილოთ ეტიმოლოგიურ გამოკვლევებში.

დღემდე არსებულ ისტორიულ-შედარებით ლექსიკონებში, სწორედ იმის გამო, რომ მათი ავტორებისთვის არ იყო ცნობილი საანალიზო ძირთა ყველა შესაძლო ვარიანტი როგორც ქართულში, ისე სვანურსა და მეგრულ-ლაზურში, ამჟამად უკვე გადასინჯვას საჭიროებს საერთოქართველურ თუ ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქებში სავარაუდო არქიფორმათა არსებობის საკითხი ყოველი ახალი მონაცემის აღმოჩენისას. როგორც წესი, აღრიხდელ ლექსიკონებში გამორჩენილი (უფრო ხშირად სვანური) მასალა აღდგენილ ძირებს ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქიდან გადაანაცვლებს ხოლმე უფრო შორეულ წარსულში, ე. ი. პრაენის დონეზე, რაც ხშირად ცვლის ქართველურ ენათა ისტორიული განვითარების სავარაუდო სიტუაციას.

კიდევ უფრო რთულადაა საქმე მაშინ, როცა საკითხს ასე ვსვამთ:

ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში უნდა შევიტანოთ თუ არა სხვა ენათგან ნასესხები სიტყვები და თუ შევიტანთ, მაშინ საილუსტრაციო ოთხი ქართველური ფორმიდან ერთ-ერთი მაინც უნდა იძლეოდეს ფონემათშესატყვისობის უდავო დადასტურებას; იმის მიხედვით, თუ რამდენ ქართველურ ენაშია ესა თუ ის ძირი წარმოდგენილი, სავარაუდო არქიფორმა აღდგება ან საერთოქართველური ენის, ან ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქის დონეზე — სხვა ენიდან სესხებაც შესაბამისი დროით განისაზღვრება.

ძალზე რთულადაა სიტუაცია მაშინ, როცა მეგრულიდან სვანურში ან ლაზურში თუ პირუკუ ნასესხობას ეხება საქმე, რადგანაც უმწერლობო ენებზე არსებული ისტორიული დოკუმენტაცია არც ისე ძველია ან უვარგისია (განსაკუთრებით უცხოელ მოგზაურთა სალექსიკონო ჩანაწერები).

რომ სვანურში **ჟარჩხილ**¹ („ვერცხლი, ფული“) მეგრულიდანაა (**ვარჩხილ-ი**) შესული, ეს სრულიად უდავოა ქართველური ფონოტაქტიკური წესების მიხედვით — ქართული **ე (ვერცხლ-ი)** ამ პოზიციაში სვანურში ა ხმოვანს არავეითარ შემთხვევაში არ მოგვცემდა; გარდა ამისა, სონორიანი ძირი ქართულში მხოლოდ XI-XII საუკუნეებიდან გვხვდება (სარჩველადე 1975: 110). მაშასადამე, ძველ წერილობით ძეგლებში დადასტურებული

¹ ოლივერ უორდროპისეული **vorchkil** („ვორჩხილ“) მცდარი ფიქსაციაა ენობრივი მასალისა, რაც დამახასიათებელია მისი ინგლისურ-სვანური ლექსიკონისთვის (იხ. O. Wardrop, *English-Svanetian Vocabulary: Journal of the Royal Asiatic Society, London, 1911*).

ვერცხლ-ის არსებობა გვიადვილებს სვანური **ჟარჩხილ** ძირის მეგრული-დან სესხების ვარაუდს, მაგრამ თავად მეგრულში **-რ-** როდის გაჩნდა? შესაბამისად, როგორ უნდა აღვადგინოთ ***ჟერცხლ-/ჟეცხლ-** არქიფორმები თუნდაც ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის, როგორც ეს გიორგი კლიმოვა (Климов 1964: 83) ივარაუდა მარი ბროსეს (Brosset 1849: 74) ცნობილი შეპირისპირების შემდეგ? სონორის ინლაუტში ჩართვა პრობლემა არ არის ქართველურ ენებში და შეიძლებოდა ეს ვარაუდი ამ შემთხვევაშიც დაგვეშვა მეგრულისთვის, მაგრამ რომელი ეპოქისთვის? თუ **-რ-** ქართულში მხოლოდ XI-XII საუკუნეთა ტექსტებიდან დასტურდება, ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქისთვის (ასე ძალიან დაშორებულ წარსულში) მისი არსებობა როგორ უნდა ვივარაუდოთ? თუ ლაზეთში, კაჩკარაის მთების ჩრდილოეთ ფერდობზე, მდებარე წყაროს სახელწოდებას (წარ-ი-ბაჩხ-ურ-ი „წყალვერცხლი“) მოვიხმობთ (ირფან ჩალათაი ალექსიში 2009: 75-78; შღრ. მეგრ. ტობა-ვარჩხილ-ი „ტბავერცხლი“ ვგრისის ქედზე — ცხადაია 2005: 72), მაშინ ძირში ჩართული სონორის საკითხი შედარებით იოლად გადაწყდება. მაშასადამე, ამ შემთხვევაში არქაული ფორმები დაუცავთ ძველ ქართულსა და, ალბათ, ლაზურს (თუ **წარიბაჩხური** არ მომდინარეობს ***წარიბარჩხური** საგან!), ხოლო შედარებით გვიანდელი — მეგრულსა და სვანურს.

ეტიმოლოგიური კვლევა-ძიების სანდოობისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ძველი ქართული ენის დოკუმენტაცია, მაგრამ, თუ ამგვარი რამ ყოველთვის არაა შესაძლებელი, მაშინ უნდა მივმართოთ ლინგვოკულტუროლოგიასა და ექსტრადისციპლინარულ კვლევას. ასე მაგალითად, ნიკო მარი-დან (Март 1912: 1095-1096) მოყოლებული ქართული **ანწლ-**ი, მეგრულ-ლაზური **ინჭირ-ი/ინჭკრ-ი** და სვანური **განჭჷ** ერთმანეთთანაა დაკავშირებული, მიუხედავად იმისა, რომ ძველ ქართულ ძეგლებში **ანწლ-** ძირი არ ჩანს. ასეთ შემთხვევაში მივმართავთ ხოლმე სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონას“ და თუ იქაც არ აღმოჩნდა ჩვენთვის საინტერესო მასალა, მაშინ მოვიშველიებთ ექსტრალინგვისტურ მეთოდებს და ვიტყვი: „სიტყვის არქაულობა ეჭვს სრულიად არ იწვევს“ (ფენრიხი-სარჯველაძე 2000: 83).

ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ გიორგი კლიმოვის მოსაზრებას ძველი ქართული **გუალ-ე** და სვანური **გჷნლ-ე** (ბზ.)/**გჷნალ** (ლზხ.)

„წადი, იარე“ ფორმათა შესახებ (1964: 60), სადაც სვანური მონაცემი ქართული ძირის კანონზომიერი შესატყვისი კი არ არის, როგორც ეს ჩვენს კოლეგას ჰგონია, არამედ ნასესხებია ძველი ქართულიდან: -**ჟაღ**-უთუოდ იგივეა, რაც მი-ვალ, მი-ხ-ვალ ზმნაში, **გ**- კი მეორეული ჩანს, რომელიც გარკვეული უნივერსალის ამსახველი უნდა იყოს. „ქართველურმა ენებმა იციან **ჟ**ს გუტურალიზაცია როგორც საკუთარ, ისე ნასესხებ სიტყვებში... მისი გადასვლა **ღჟ**, **გჟ** ან **ქჟ**-ში აიხსნება წყვილბაგისმიერი არტიკულაციით — ენის უფრო მეტი მიახლოებით სასასთან. აქაც იგივე ფონეტიკური პროცესია, რაც კარგა ხანია შენიშნულია სომხურში, სპარსულში და სხვა ენებში“ (თოფურია 1979: 59-62; 2002: 32-33). რაღა თქმა უნდა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ, განსხვავებით ქართულ-მეგრულ-ლაზურისაგან, ვალ-/ოლ-, ულ-, -ურ-/ველ- ძირი („სვლის, მოგზაურობის“ მნიშვნელობით) სვანურ ენაში არ არსებობს და მაინცადამაინც **გჟაღ-ე** (ბზ.)/**გჟაღ** (ლზს.)-ში წარმოდგენილი -**ჟაღ**- რატომ იქნება ძველ ქართულში დადასტურებული ზმნის კონკრეტული მწკრივის, ფორმითა და შინაარსით აბსოლუტურად იდენტური ლექსემის ფონეტიკური შესატყვისი?!

მაშასადამე, ძალიან ფრთხილად უნდა შევარჩიოთ საანალიზო მასალა მონათესავე ენათა ნებისმიერი ისტორიულ-შედარებითი ლექსიკონებისთვის, როცა საქმე ნასესხებ სიტყვებს ეხება და თუ ფუძეენის დიფერენციაციამდელ მონაცემს არ ვგულისხმობთ, რომელშიც, ბუნებრივია, კანონზომიერი ფონემათშესატყვისობაც შეიძლება აღმოჩნდეს (თუმც ამგვარ დონეზე სავარაუდოდ არც ისე ადვილია არქეტიპის აღდგენა!), სხვა შემთხვევები არ უნდა შევიტანოთ ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში. სამწუხაროდ, ქართველურ ენათა ისტორიული განვითარების ამსახველ პუბლიკაციებში ხშირია ნასესხებ ძირთა ფუძეენისა თუ ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქებისთვის მიკუთვნების შემთხვევები.

უფრო მეტიც! — სხვადასხვა ავტორს ერთი და იგივე ძირი ან ნასესხებად მიაჩნია (და მაინც შეაქვს ეტიმოლოგიურ ლექსიკონში!), ან ოდინდელი ფონემათშესატყვისობის ამსახველად:

1985 წელს გიორგი ჩიტაიასადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულში „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ ჰაინც ფენრიხმა გამოაქვეყნა სტატია (Fährnich, 1985: 296), რომელშიც სვანური **გჟემ** (<გომ) მან

ქართული გომ-ი/გომ-ურ-ი ლექსებში წარმოდგენილი ძირის შესატყვისად ჩათვალა (იგივე გაიმეორა უკანასკნელ ხანს გამოცემულ ფუნდამენტურ ეტიმოლოგიურ ლექსიკონშიც — Fähnrich 2007: 109), ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ანალოგიური მონაცემები იმათ რიგში უნდა განვიხილოთ, რომლებიც ფუძენიდან გადაჰყვება ყველა ქართველურ ენას, ანუ საერთო მოვლენაა და არა შესატყვისობა (თუნდაც იდენტური!); **გუმე** იგივე **გომ-** არის, ოღონდ სვანური ფონოტაქტიკით წარმოდგენილი — ასე რომ, ფონემათშესატყვისური კანონზომიერება აქ არაფერ შუაშია!

მას შემდეგ მერაბ ჩუხუამ იგივე **გომ-ი/გომ-ურ-ი** დაუკავშირა სვანურ **გჟალ**’ს („ბოსელი“), სადაც მინიშნებაა **მ/ლ** შესატყვისობაზე (შდრ. ქართ. ქათამ-ი სვან. ქათალ, ჩუხუა 2000-2003: 86) და იმავდროულად ნათქვამია, რომ სვანურში „სომხური **გომ** („ბოსელი“) ქართულიდან არის შეთვისებული“-ო. მას ფონოლოგიური გარდაქმნები ასე აქვს წარმოდგენილი: საერთოქართველური ***გომ-** „ბოსელი, გომური“ → ქართ. **გომ-ი, გომ-ურ-ი** სვან. **გჟალ** < ***გოლ**, მაგრამ **გჟალ**, ჯერ ერთი, მომდინარეობს ***გჟალა** ფუძისაგან და, მეორეც — ის არც „ბოსელია“ და არც „გომური“, ისევე, როგორც არც **გუმე** არის „ოთახი“ (ფენრიხი-სარჯველაძე 2000: 147); შდრ. **გომური** — სახლი გლეხური (საბა) და **გუმე** (ზს., ლნტ.) — გომური, მაჩვიბის ქვედა ნაწილი, სარდაფი (თოფურია, ქალდანი 2000: 180); ჩოლ. სახლის ნაწილი, სახლთან მიდგმული დამატებითი შენობის ქვედა სართული (ლიპარტელიანი 1994: 82); ბჟ. **გ^რუმე** („გომი“) — სახლის მინაშენი პურეულის მარაგის შესანახად, ბელელი (ბარდაველიძე 1939: 201).

ბესარიონ ნიჟარაძის ლექსიკონში „ბოსელთან“ შეცდომითაა მითითებული **კირაჟე** („საბჭელი“), ალბათ, იმიტომ, რომ სვანეთის ზოგ კუთხეში **გუმე** „ბელელსაც“ ეწოდება. რაც შეეხება ივანე ნიჟარაძეს, მას რუსული ХАНАБЪის შესაბამისად რამდენიმე ლექსემა (**კუმში ლარდა, გჟალ, ლაკუმაშ, ბაგ, ლახმირ**) აქვს წარმოდგენილი, მათ შორისაა **გჟალ** ფუძეც. სამწუხაროდ, ვარლამ თოფურიას და მაქსიმე ქალდანის „სვანურ ლექსიკონშიც“ გაბარულია შეცდომა — აქაც „ბოსელი“ არის **გჟალ**.

ახლა ვნახოთ, რა ხდება აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურიას და მერი გუჯეჯიანის მიერ გამოცემულ „სვანურ პოეზიაში“!

ძველი სვანური ხალხური სიმღერების შემკრებნი და შესაბამისი ტექსტების ქართული შესატყვისების ავტორები **გჟალ**’ს არასდროს თარგმ-

ნიან, უცვლელად ტოვებენ ქართულ ნაწილში და სქოლიოში შენიშნავენ: **გვალო** (გუალ, მრ. გუალუარ) — საქონლის ადგილი სახლის ქვედა სართულში (მაჩუბში, სვ. პოეზ. 1939: 153).

აფხნიკ-მარე გუალუარს ლახშედს — ამხანაგები გვალოებს მისცვიდნენ (იქვე: 148-149: 22);

მერმა კათხას გუალუარს ხოჯდე — მეორე კათხას გვალოებს მივუტან (იქვე 150-151: 30);

იმე მასტრედ? — **გუალა** ჟოკრს... სად დამსვამთ? — **გვალოს** ბოლოში...

იმე მაყუნედ? — **გუალისა**. სად დამაწვენთ? — **გვალოში** (იქვე 258-259: 12-15).

თითქმის იგივე განმარტებაა ეთნოლოგთა ნაშრომებშიც (**გუალუარ**, მხ. **გუალუ** „სვანური სახლის — მაჩუბის ის ნაწილი, რომელშიც საქონელი ჰყავთ“ — ხარაძე 1939: 117). თუ მაინცადამაინც მისი გადათარგმნა გვინდა ერთი ლექსემის სახით, „ბაგა“ უფრო აჯობებს, ვიდრე „ბოსელი“.

როცა ვმსჯელობთ **გომ**- ძირის კანონზომიერ ფონოლოგიურ შესატყვისზე სვანურში, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი სულხან-საბას ლექსიკონშიც კი არ გვხვდება, არათუ ჩვენთვის ცნობილ ძველ ქართულ ტექსტებში. ვერც ძველი სვანური ხალხური სიმღერების ენაში დავადასტურეთ **გომ** თუ **გუმე**. ქართულ-სვანური ბგერათფარდობა **მ/ლ** კი უფრო არქაული უნდა იყოს (შდრ. ჩუხუა 2000-2003: 86).

ძალზე რთულია სემანტიკური რეკონსტრუქციები გენეტურად ერთმანეთთან დაკავშირებულ ენებში, რაც, რა თქმა უნდა, ეხება ქართველურ ენებსაც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფონემათშესატყვისობათა ძიებებმა ისე არ უნდა გაგვიტაცოს, რომ მნიშვნელობის მიხედვით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ნიუანსებზე ვიმსჯელოთ. სამწუხაროდ, ამგვარ მსჯელობათა არაერთი შემთხვევა გვხვდება ღღემღე არსებულ ისტორიულ-შედარებით ლექსიკონებში.

ყოველთვის არ არის მძიმე ვითარება ნასესხებ სიტყვათა ანალიზისას: სრულიად აშკარაა, რომ ლაშხური **ძარღუ** შედარებით გვიანდელი შესულია ქართული ენიდან, ხოლო ზემოსვანურ-ლენტეხური **ჭარღუ** ქართული „ძარღვის“ ფონემატური შესატყვისია ადგილობრივი ფონოტაქტიკით მოდერნიზებული, მაგრამ მთელ სვანურში გავრცელებული; **ასუ** („სხეუ-

ლის ნაწილი“), რასაკვირველია, ფუძენიდან მომდინარე საერთო მასალაა (და არა იდენტური შესატყვისობის ნიმუში ან ნასესხობა!), თუმცა ზემოსვანურსა და ლენტეხურ დიალექტში „რბილი ხორცის“ აღსანიშნავად იხმარება **იშუ**, ხოლო ლაშხურში — **ისუ**:

იშუს ჩიქე იზობდა (სვან. პროზ. ტ., III, 1967: 226) — რბილ ხორცს სიძე კამდა; შდრ. **ფარშშაგს ბჰვი შელდეი თუთ ასუ ხაკუ ლედიდ** (სვან. პროზ. ტ., I, 1939: 247) — ფარშევანგს თითო ნაბიჯზე თითო რბილი ხორცი („ასო“) უნდა 'პირში' ჩასაღებად.

რასაკვირველია, თამაზ გამყრელიძისა (გამყრელიძე 1959) და გურამ კარტოზიას (კარტოზია 2005) წესის მიხედვით, **-ჟ** სონანტის წინა პოზიციაში გაშიშინება არ უნდა მომხდარიყო ზემოსვანურსა და ლენტეხურ დიალექტებში (შდრ. **ისუ**, ჩოლ. **ისჟიდასჟ** „რბილი ხორცი და ძვალი“). და საერთოდ, არაერთ მკვლევარს (მათ შორის ჩვენც) არაერთხელ შეუნიშნავს სისინ-შიშინა სიბილანტთა პარალელური ვარიანტები ერთსა და იმავე ძირში თვით ქართველური ენების დიალექტთა შიგნითაც კი, რომელთა პოზიტიური ახსნა ჭერჯერობით ვერ ხერხდება.

ასევე, ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ მეგრულ-ლაზური **გუგულ-** („გუგული“) იყოს ქართული **გუგულ-** ფუძის ფონემატური შესატყვისი (და არა ქართველური ფუძენიდან მომდინარე საერთო მონაცემი) და მისი აბსოლუტურად ერთგვარი სახეები ქართველურ ენებში განპირობებულნი იყოს მხოლოდ შესაბამისი ლექსემის ონომატოპოეტური ბუნებით (ფენრიხი-სარჯველაძე 2000: 154; Fährnich 2007: 115).

ქართველურ ენათა დღემდე არსებულ ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში ე. წ. იდენტურ შესატყვისობათა ამსახველი მასალები ხან წარმოდგენილია, ხან — არა, ამასთანავე, საილუსტრაციო ფუძეთა შერჩევის პრინციპი სრულიად სუბიექტურია. გამოტოვებული მასალა ნასესხებად ჩავთვალეთ და იმიტომ არ განვიხილეთ? მაგრამ რაც განვიხილეთ, ის დიდად რომ არ განსხვავდება გამოტოვებულისგან არც ფონოლოგიურად და არც სემანტიკურად?! „საზოგადოდ, იმის გარკვევა, ფუძენიდან მომდინარე ლექსიკური ერთეული გვაქვს, თუ ერთი ქართველური ენიდან სხვა ქართველურ ენაში ნასესხები, ზოგიერთ შემთხვევაში მეტად რთულია. ჩვენ არ ძალგვიძს, განვასხვაოთ ქართველურ ენებში ნასესხები სიტყვები (მაგალი-

თად, ქართულიდან მეგრულში და პირიქით) ფუძენისეული მასალისაგან, როცა იგი „იდენტური“ სახის შესატყვისობებს გვიჩვენებს, ხოლო სემანტიკა ერთნაირია ან სემანტიკური სხვაობა დასაშვებ ფარგლებს არ სცილდება“ (ფენრიხი-სარჯველაძე 2000: 28). ასეთი შემთხვევები (**კვლავ ვიმეორებთ!**) უნდა განვიხილოთ არა შესატყვისობებად (თუნდაც „იდენტურებად“), არამედ იმ საერთო მონაცემებად, რომლებიც ფუძენიდან უცვლელი სახით გადავიდნენ ყველა (ორში მაინც!) ქართველურ ენაში — მათი უმრავლესობა აუცილებლად შეგვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში! რაც შეეხება ნასესხებ სიტყვებს, ისინი შედარებით გვიანდელ ეპოქას განეკუთვნებიან და, ამასთანავე, თითოეულ ქართველურ ენაში თავისებური ფონეტიკურ-სემანტიკური ცვლილებები განუცლიათ, ძველ ტექსტებშიც იშვიათად გვხვდებიან. ამგვარი მასალა არ უნდა განვიხილოთ ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში.

მაშასადამე, **ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევა უნდა წარიმართოს სამი ძირითადი მონაცემის მიხედვით:**

1. ფუძენის დიფერენცირების შედეგად მიღებულ რეგულარულ ფონეტიკურ კანონზომიერებათა ამსახველი ქართველური ლექსიკა;
2. სხვა ენათაგან ფუძენის ან ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქისთვის ნასესხები მასალა, რომელიც ერთ-ერთ ქართველურ ენაში მაინც იძლევა ფონემათშესატყვისობას;
3. ფუძენიდან მომდინარე ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვათა ძირები, რომლებიც ყველა ქართველურ ენაში წარმოდგენილია უცვლელი სახით და არსად მოიპოვება არანაირი ფონემათშესატყვისობა (მაგ. ქართ. **ფოლ-ი**, მეგრ. **ფოლ-ო**, სვან. **ფოლ** „ჩლიქი“, ლაზ. **ფოლ-ო** „ფეხი“), თუმცა დასაშვებია რამდენადმე განსხვავებული სემანტიკური ნიუანსები.

ყველაზე არქაული ჩანს ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში (უკიდურეს შემთხვევაში სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მაინც!) დადასტურებულ მონაცემებთან შეპირისპირებული სვანური და მეგრულ-ლაზური ეკვივალენტები.

უკიდევანოა ფონეტიკური პროცესები თუ ლექსემათა სემანტიკური ნიუანსები რეგიონულ ენათა დიალექტებში, თუმცა, რაკი ყველა ენა ქმნის

გარკვეულ სისტემას, ჩვენს შემთხვევებშიც შეინიშნება შესაბამისი კანონ-ზომიერებანი, რასაც არამხოლოდ ლინგვისტიკისთვის აქვს მნიშვნელობა. ამიტომაც უნდა ვეცადოთ, არ გამოგვრჩეს ინტერდისციპლინარული თვალ-საზრისით საინტერესო ფუძეები ქართველურ ენათა ისტორიულ-მედარებითი კვლევების დროს, რადგანაც „ენათმეცნიერების უველაზე არსებითი მიღწევები ენის ისტორიას უკავშირდება“ (ჩიქობავა 1979: 5).

Phonological and semantic analysis of the stems omitted in the etymological dictionaries of the Kartvelian languages

S u m m a r y

In the present paper the author continues a historical-comparative research of the (especially Svan) roots which are omitted accidentally in the etymological dictionaries of the Kartvelian languages existing up today and due to loss of relevant material by that time. This research results a noteworthy outcome – the arche-forms which were assumed for a Georgian-Zan unity epoch up today and thanks to confirmation of Svan equivalents go back into more archaic past, in particular – on a Common Kartvelian parent-language level.

According to the author a historical-comparative research of the Kartvelian vocabulary should be carried out according to three basic data:

1. Kartvelian vocabulary that reflects regular phonetic regularities and is derived from the differentiation of a parent-language;
2. borrowed material from other languages for a parent-language and Georgian-Zan unity epoch and which still gives a phonemes correspondence in one of the Kartvelian languages;
3. The roots of the words of a core lexical fund originated from a parent-language and which are represented in all Kartvelian languages unchangeably and have no phonemes correspondence in any language (e.g. Georg. *pol-i* - Megr. *pol-o* – Svan. *pol* "hooves", Laz. *pol-o* "leg").

Svan and Megrelian-Laz equivalents compared with the data that is attested in old Georgian written sources (in the extreme case at least in Sulikhan-Saba Orbeliani's dictionary) seem to be the most archaic.

ქართული ენის სამხრული დიალექტები კომპარატივისტიკის თვალსაზრისით

დღემდე ცნობილი ყველა ისტორიულ-მედარებითი ლექსიკონის ავტორები (მ. ჯანაშვილი, არნ. ჩიქობავა, კ. შმიდტი, გ. კლიმოვი, ზ. სარჯველაძე, პ. ფენრიხი, მ. ჩუხუა, მ. ქურდიანი) კონკრეტულ ძირთა ეტიმოლოგიური კვლევისას ძალზე ხშირად მიმართავდნენ არა მხოლოდ სალიტერატურო ქართულსა თუ ზანურ-სვანური ენების მონაცემებს, არამედ თანამედროვე ცოცხალი დიალექტების მასალებსაც, რომლებშიც არაერთი არქაიზმია შემონახული.

ამ მხრივ მეტად სპეციფიკურია სამხრული დიალექტების ვითარება, სადაც თურქულ-სპარსულ ენათა გავლენით დაფიქსირებული ინოვაციების გვერდით გარკვეული მორფონოლოგიური არქაიზმებიცაა დადასტურებული, რომელთაც შეუძლიათ ესა თუ ის კორექტივი შეიტანონ თვით კლასიკურ ბგერათმესატყვისობათა ამსახველ ილუსტრაციებშიც კი.

ამჯერად შევვხებით „ძალის“ აღმნიშვნელ ძალ- (ქართ.), ჯალ- (ზან.) და ჟელ- (სვან.) ძირებს. ჯერ კიდევ გ. როზენისა (1847 წ.) და ნ. მარის (1914 წ.) შრომების შემდეგ ცნობილია, რომ სვანური ლექსემის ანლაუტში თანხმოვნის დეზაფრიკატიზაცია ხდება: ქართველურ სიბილანტთა ფონოტაქტიკური წესების მოქმედების შედეგად (ძ > ჯ > ჟ) ვლბულობით შიშინა მყლერ სპირანტს, რომელიც მომდინარეობს შესაბამისი სისინა მყლერი აფრიკატისგან. მათ შორის გარდამავალია შიშინა მყლერი აფრიკატი, რომელიც დღეს დადასტურებულია მეგრულ-ლაზურში.

სპირანტული ვარიანტი ზალ-არ-ი („მეძებარი, მშიერი, მოხეტიალე ძალი“) გვხვდება ქართული ენის ჯავახურ მეტყველებაში (ბერიძე 1981: 56), რომელიც დღემდე არც ერთ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში არ ყოფილა ასახული ფორმათა შეპირისპირებისას.¹ ბუნებრივია, რომ იგივე ვითარებაა

¹ უკანასკნელ ხანებში აჰმედ ოზქან მელაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებაში პროფესორი შალვა გაბესკირია შეეხო ზალარის ეტიმოლოგიას, ოღონდ სხვაგვარი ინტერპრეტაციით (გაბესკირია 2012: 130):

ანლაუტის თანხმობანთან დაკავშირებით ინგილოურ და იმერხეულ დიალექტებში („ზალი“), ხოლო აჭარულსა და ფერეიდნულში დაცულია ამოსავალი აფრიკატი („ძალი“).

რალა თქმა უნდა, ერთი მხრივ, სვანური ენის, ხოლო, მეორე მხრივ, ქართული ენის სამხრული დიალექტების მონაცემები სხვადასხვა ქრონოლოგიურ სიბრტყეს ასახავენ: პირველი სპირანტიზაცია (ძ > ჯ > ჭ) უძველესი საფეხურის ანარეკლია, შეპირობებული ქართველურ ენათა ისტორიული განვითარების შინაგანი კანონებით, ხოლო მეორე (ძ > ზ) შედარებით ახალია, გამოწვეული გარეგანი ფაქტორებით (უცხო ენათა გავლენით).

საყურადღებოა, რომ ძალ- ძირი ჭავახურის არაერთ ლექსემასა და სინტაგმაშია დადასტურებული („ძალი“, „ძალაჰინქარი“, „ძალბალახა“, „ძალი კუდი“, „ძალი ყეფა“, „ძალი ძუძუ“, „ძალი მეცხვისა“, „ძალმარწყვა“, „ძალნიორა“, „ძალხახვა“, „ძალყურძენა“, „ძალური“,...), ხოლო იმერხეულში ფონემა ძ ჯერჯერობით მაინც გვხვდება, ოღონდ არა „ძალის“ აღმნიშვნელ სიტყვაში. მოსალოდნელია, რომ „ზალი, ზალი-მარწყვაი, ზალაი“ და მისთანები თავდაპირველად საუკუნეების წინ თურქეთის არეალში მოხვედრილი ჭავახების შთამომავალთა მეტყველებაში დასტურდებოდა და მერე აქედან გავრცელდა ისტორიული ტაო-კლარჯეთის მთელ ტერიტორიაზე.

ვერ დავეთანხმებით სპეციალურ ლიტერატურაში (ნ. ბერიძე, მ. ბერიძე 2005: 44-46) გამოთქმულ ვარაუდს სპირანტული ფორმის პირველადობის შესახებ, რომელიც ეყრდნობა არნოლდ ჩიქობავას ადრე გამოთქმულ მოსაზრებას: „ძალ-ს კანონზომიერად შესატყვისება ჯალ- კანურსა და მეგრულში; სვანური ეედ-ის შესახებაც იგივე უნდა ითქვას, ოღონდ თავკიდური ე, თუ ის მეორეული არაა (ე- < ჯ-), გვაფიქრებინებს, რომ ქართულში უნდა ყოფილიყო ზალ- (ჩიქობავა 1938: 83). ჩვენ შემთხვევით არ გავვიხაზავს ბოლო ფრაზა: არნოლდ ჩიქობავა სვანური სპირანტის აფრიკატისგან მომდინარეობის შესაძლებლობასაც უშვებს. გარდა ამისა, ყველა მკვლევარი (ჩვენში თუ უცხოეთში), ვინც კი ამ ძირის ეტიმოლოგიას შეხებია, ამოსავლად სწორედ აფრიკატს მიიჩნევს როგორც ქართულში, ისე მეგრულ-ლაზურსა და სვანურში (შდრ. ნ. ბერიძე, მ. ბერიძე 2005: 45). ასე რომ, ზალ- არქიფორმას ვერავითარ შემთხვევაში ვერ აღვადგენთ საერთოქართველური ფუძეების დონეზე!

საჭიროა ექსპერიმენტული ფონეტიკის მეთოდებით იქნეს შესწავლილი, აჭარულ დიალექტში რატომ ვლინდება ასე იშვიათად $\text{ძ} > \text{ჯ}$ პროცესი, ხოლო იმავე თურქული ენის გავლენით იმერხეულში იგივე მოვლენა ხან გვაქვს და ხან — არა. რასაც ადასტურებს შ. ფუტყარაძის „ჩვენებურების ქართლის“ შესაბამისი ტექსტები და ლექსიკონი (ფუტყარაძე 1993: 456-461, 650-652 და ა. შ.). რაც შეეხება ინგილოურ დიალექტს, აქ აზერბაიჯანულისა და მეზობელი ხუნძური ენის ზემოქმედება ქართული ენის ისტორიულ კახურ მეტყველებაზე იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ამ სისტემიდან საერთოდ გამოიღვენა ძ და ჯ აფრიკატები.

სპარსული ენის გარემოცვაში ფუნქციონირებული ფერეიდნული დიალექტი ცდილობს, შეინარჩუნოს ძ ფონემა.

ზად-არი საინტერესოა სუფიქსის თვალსაზრისითაც, რომელიც მეგრული **ჯოდ-ორ**'ის ანალოგიური ჩანს თანხმონის მხრივ. ამგვარი რამ სრულიადაც არ არის გასაკვირი სამცხურ-ჯავახურ დიალექტში, სადაც კარგა ხანია შენიშნულია მეგრულ გრამატიკულ მოვლენებთან ინტერფერენცირებული ფაქტები სპეციალურ ლიტერატურაში. რაც შეეხება **-ა-** ხმოვანს, ის შესაძლოა უძველესი საფეხურის (**ძად-ლ- < *ძად-ალ- ან *ძად-ლ-**) ამსახველიც იყოს. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ ფორმის არსებობაში რამე წვლილი თურქულ სინპარმონიზმსაც მიუძღოდეს.

იყო თუ არა სვანურ ენაში ანალოგიური სუფიქსი „ძადლის“ აღმნიშვნელ სიტყვასთან? დიახ, იყო და ესაა **-ჟ** სონანტი.

სხვადასხვა დროს არაერთ მკვლევარს უმსჯელია აღნიშნული მონაცემის როგორც ენობრივი ფაქტის (და არა როგორც ენათმეცნიერის მიერ აღდგენილი სავარაუდო ფორმის) შესახებ; 1969 წლამდე არც არავის შეუტანია ეჭვი **ჟედ-ჟ** ფორმის რეალობაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ნაშრომს „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (1965 წ.), რომელშიც მხოლოდ 85-ე გვერდზეა ნათქვამი, რომ „**ჟედჟ** თითქმის გამოსულია ხმარებიდან, ჩვეულებრივია „**ჟედ**“, სხვაგან კი **ჟედჟ** განიხილება იმ ფორმათა შორის, სადაც წარმოდგენილია ქართულ-სვანური **ლ ჟ** შესატყვისობის ამსახველი მასალა. ბუნებრივია, თუ ამ დროისათვის **ჟედჟ** თითქმის გამოსულია ხმარებიდან, სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ 1938 წელს არნ. ჩიქობავამ

ეს ფორმა საგანგებოდ წარმოადგინა **შელ^ეჭ**-ის სახით „ქანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონზე“ დართულ შეცდომათა გასწორებაში, რითაც ხაზი გაუსვა იმას, რომ, მაშინ სვანურში იხმარებოდა როგორც **შელ^ეჭ**, ისე **შელ** ვარიანტები და არამც და არამც მხოლოდ **შელ^ეჭ**, რომელიც, წიგნის ასოთამწყოებისა თუ კორექტორის დაუკვირველობის გამო, ნაშრომის ძირითად ტექსტშია გაპარული.

მაშასადამე, საქმე გვექონია არა **თანამედროვე ენობრივი ფაქტის მცდარ ჩაწერასთან**, როგორც ეს ალ. ონიანის მონოგრაფიაშია („ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები“, გვ.169) კვალიფიცირებული (მაშინ იგივე ბრალდება მით უფრო წაეყენებათ თითქმის სამი ათეული წლით გვიან გამოცემული ნაშრომების ავტორებს — თ. გამყრელიძეს, გ. მაკავარიანს — 1965 წ., მ.ქალდანს — 1969 წ.), არამედ მცდარად დაბეჭდილი მასალისადმი ძალიან ფრთხილ დამოკიდებულებასთან. რომ ეს ასეა, ჩანს არნ. ჩიქობავას მომდევნო გამოკვლევებიდან „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, სადაც 1938 წელს **არასწორად ფიქსირებული ენობრივი ფაქტი კი არ დაზუსტდა** (ონიანი 1989: 198), არამედ აუსლატში წარმოდგენილი **-ჭ** ბგერის არამდგრადმა ბუნებამ განაპირობა შესაბამისი ფორმის მრავალჯერადი შემოწმება მთქმელებთან, რათა ნაჩვენები ყოფილიყო, ორი შესაძლო ვარიანტიდან (**შელ^ეჭ/შელ**) რომელს ჰქონდა თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში დამკვიდრების ტენდენცია.

დიდ ენათმეცნიერს, რომელიც სულ იმაზე ოცნებობდა — ნეტავ შეიძლებოდეს სამეცნიერო მივლინებებისა და ექსპედიციების მოწყობა ცოცხალ მეტყველებაზე სამუშაოდ არა წელიწადში ერთ თვეს, არამედ — თერთმეტსო, სწორედ რომ არ შეეშლებოდა ლინგვისტურ მონაცემთა ფიქსირება. **პიროვნება, ვინც მოწაფეებისგან მკაცრად მოითხოვდა უმწერლობო ენათა გამოწვლილვით, სოფელ-სოფელ შესწავლას (რადგანაც ეს ძალზე საშურ საქმედ მიიჩნდა!) თავის გამოკვლევებში საანალიზო მასალას ჰაიპარად არ შეიტანდა.**

აქვე შევნიშნავთ, რომ ვ. თოფურის ნაშრომში „ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით“ (1944 წ.) განხილულია მხოლოდ **შელ** ფორმა. იგივე მდგომარეობაა გ. მაკავარიანის მიერ 1950 წელს ჩაწერილ ლაშხურ ტექსტებშიც (ინახება

არნოდ ზიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების არქივში). ვფიქრობთ, რომ ლაშხურ-ლენტეხურში, საზოგადოდ, უფრო ადრე დაიკარგა აუსლაუტის -ჟ (მათ შორის **ჟელჟ** ფუძეშიც), ვიდრე ზემოსვანურ დიალექტებში.

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ XXI და XXIII ტომებში გამოქვეყნებული ფერეიდნული ტექსტების ძალზე მცირე (13 გვ.) ლექსიკონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, **ძ** გრაფემა დადასტურებულია ოცზე მეტ შემთხვევაში, ამათგან ყველაზე ხშირად ლექსემაში „ძმა“ (**გაძაბვა** — ქსლის ძაფების გაბმა საქსოვ დაზგაზე; **ძივების** გორვება — გოგონების თამაში, **მამაძადლი** — სალანძღავია, **ძროხა¹**, **ბიძას ბიჯი** — ბიძაშვილი ვაჟი, **ანანძალი** — პატარძალი, **ძმის დედაკაცი** — რძალი, **მინაძლა** — ვინ, **რძაძლა** — რა, **დაძმავდითო** — დამძობილდითო), ხოლო მისი დეზაფრიკატიზებული ვარიანტი — **ჯ** სპირანტი გვხვდება მხოლოდ ორჯერ (**წალი** „რძალი“, **ზე** „რძე“).

ალბათ, სპარსულის გარკვეული გავლენის ბრალია ისიც, რომ **ძ/ზ** ფონემები ერთმანეთს კანონზომიერად (სპირანტიზაციის გზით) კი არ ენაცვლება, არამედ ისინი თითქმის 400 წლის წინ დედასამშობლოდან სპარსეთში გადაკარგულ ქართველებს შეიძლება ერთმანეთშიც კი აერიოთ:

თაის **საძლოჭარასაყე** გადდალა და თამაშობა წააგო (იკვ, XXIII: 183, 3), შდრ. ძვ. ქ. **საზღვარი/საზღუარი**, ახ. ქ. **საზღვარი**.

თუმცა საანალიზო ლექსემაში **ძ** შეიძლება სხვაგანაც დადასტურდეს. ასე მაგალითად:

„**საზღუარი** არს სიტყვა მოკლე საცნაურ მყოფელი საქმისა წინა მდებარისა, არსებობისა მსწრაფლ გარე შემცველი, ძალსა გულის ხმის მყოფისასა; ხოლო **საზღვარი განსაძღურებასაცა** დაპნიშნავს და **საზღვრის** დადებასა და დასასრულსა, ვითარ იგი **საზღვრად** ადგილისა სხვათა ადგილი და რიცხვ, რომელ **საზღვარ** ყოს ვინმე“ (საბა).

ქართველოლოგთა (ვ. თოფურია, გ. როგავა, გ. მაჭავარიანი, ზ. სარჯველაძე, პ. ფენრიხი,...) შორის აღიარებულ კიდევ ერთ ფონემათშესატყვისობას

¹ არც **წროხა** იყო მოულოდნელი (შდრ. ძვ. ქ. და თანამედროვე კახური დიალექტის **წროხა/ძროხა** „ძროხა, საქონელი“). ზემოაქარულშიც, მოხუცთა მეტყველებაში, ყველგან **წროხა** გვაქვს და არა **ძროხა**, პროფესორ შ. ფუტყარაძის ცნობით.

თუ გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ იქაც ყოფილა აუცილებელი ქართული ენის სამხრული დიალექტების ჩვენებათა გათვალისწინება. ესაა ძვ. ქ., ხევს., ქიზ. **ჩხიბ-ვ-ა** „ხლართვა, გრძნება“ და სვანური ლი-**შხბ-ი** (ზს., ლშხ.) < ლი-**შხებ-ი** (ლნტ) „ყერვა“, რომელშიც მეგრულ-ლაზური მონაცემები არასდროს ყოფილა გათვალისწინებული, თუმცა იქაც **ჩხ**-კომპლექსი ივარაუდებოდა ამოსავლად, ოღონდ ლაზურისა და სვანურისთვის კითხვის ნიშნის ქვეშ (მაჭავარიანი 1965: 85). თუ „გრძნეულების“ სემანტიკიდან ამოვალთ, მაშინ შეიძლებოდა გაგვეთვალისწინებინა მეგრული ზმნური ფორმები და ნაზმნარი სახელები: **ჩხიბ-უნ-ს** („თვალავს“), მა-**ჩხიბ-ა**-ლი („გამთვალავი“), გო-**ჩხიბ-ირ-ი** („გათვალული“), შდრ. ძვ. ქ. **ჩხიბ-ავ-ს** („ათვალიერებს, უკვირდება, სინჯავს“).

ვფიქრობთ, ფერეიდნული დიალექტის მონამობა მეტ სინათლეს მოჰტენს ზემოაღნიშნულ ფონემათშესატყვისობას:

ჩა-**ცხიბ-ვ-ა** („ქალქიტის ჩარტყმა ქსლის ქსოვის დროს“);

„ოთხი ყალიჩა („ხალიჩა“) მაქ, ძალიან კარგებია... ერთი დანა გუჭირავ, ერთი სავარცხელი გუჭირავ, ერთიც მაკრატელი. ექით ამოიღეთ, ემას ომოვართევ დემასაც მოვკერენჭავ, ქირქიტიც („ირმის ან ჭიხვის რქისაგან გაკეთებული საქსოვი ხელსაწყო) გოქ, „ჩა-ვ-**ცხებ-ავ-თ**“¹ (იკე 1985: 209, 220).

ფერეიდნული დიალექტის მონაცემთა გათვალისწინება, ალბათ, გადაგვასინჯინებს ქართ. **ჩხ** — ზან. **ჩხ** — სვან. **შხ** ფონემათშესატყვისობას და საერთოქართველური ფუძეენისთვის სავარაუდო არქექტიპსაც. შესაბამისად, შუასიბილიანტური რიგიდან ამოსვლით ჩანაწერიც განსხვავებული იქნება:

ფუძეენა ***ცხებ-*/ცხიბ-**, ქართ. **ცხებ-/ცხიბ-**, ზან. **ჩხებ-/ჩხიბ-**, სვან. **შხებ-/შხიბ-** < ***ჩხებ-/ჩხიბ-** ძველ ქართულში, ხევსურულსა და ქიზიყურში შემორჩენილი **ჩხებ-/ჩხიბ-** ძირი ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქის კუთვნილება ჩანს.

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ მეტად საინტერესო გამოკვლევებია ჩატარებული, დღემდე მონოგრაფიულად არ გვაქვს შესწავლილი არც სამცხურ-ჯავახური და არც ფერეიდნული ლექსიკა, რაც ძალზე აღარბეებს ქართველოლოგიას.

¹ ცხადია, თუ „ჩავცხებთ“ (= ჩავარტყამთ) არ იგულისხმება, მაგრამ **ცხებ-/ცხიბ-** ძირის ამ მნიშვნელობას ძველ ქართულში ჩერჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

შემთხვევითი არ იყო, რომ ჯერ კიდევ 1927 წელს წერდა არნოლდ ჩიქობავა: „უცხო ტომთა შორის მოქცეული, ქართულ კილოებს მოწყვეტილი და მათთან ურთიერთობას მოკლებული, სამწერლობო ქართულის ზეგავლენისაგან სრულიად განთავისუფლებული ფერეიდნული პრინციპულად უნიკუმს წარმოადგენს ქართულ კილოთა შორის. მისი სახეობა არის შედეგი ცოცხალ თქმაზე მოხდენილის ექსპერიმენტისა: საშუალება გვეძლევა მის მიხედვით გავითვალისწინოთ, რა სახეს მიიღებს ქართული მეტყველება გარკვეულს უცხო ენობრივ წრეში მოქცეული, როგორ გაიშლება მისი იმანენტი ყოფის დამახასიათებელი ტენდენციები და როგორ იმოქმედებს მასზე უცხო ენობრივი გარემო“ (ჩიქობავა 1927: 199).

სვანურად კა ეწოდება „ფიქალ ქვას“, ხოლო მეგრულად — „კლდეს“. ქართული ენის ჯავახურ მეტყველებაში „კარკალი“ არის „ქვალორლი“. ამჟამად, რომ კარ-კალი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტია, კარ- (დისიმილაციით კალ-) კომპონენტისგან შემდგარი. სწორედ ეს ძირი უნდა ყოფილიყო სვანურშიც, სადაც იგი მარტო მრავლობით რიცხვშია დაცული დღეს: კარანლ<*კა-არ-ალ-ე/ი (ბზ.), კარალ (ლშხ.), კარარ (ბქ.) — „ფიქალი ქვები“. იგივე ძირი მონაწილეობს დერივაციულ ფორმებშიც (ლე-კარ-ე ბზ., ლშხ., ლე-კარ-ე ბქ. „საფიქალე ადგილი“, ლგ-კერ-ა ბზ., ლშხ., ლგ-კერ-ა ბქ. „ფიქალიანი სხვენი“).

შესაძლოა იმერხეულ და გურულ კარ-იე, აგრეთვე მეგრულ ო-კარ-იე („საქათმე“) ლექსემებშიც დავინახოთ იგივე კარ-ძირი¹ მეგრულის ა (და არა ო) გახმოვანება მიუთითებს იმაზე, რომ ძირიცა და წარმოების წესიც (შდრ. გურული სა-კარ-იე) ნასეხებია ქართული ენიდან. საყურადღებოა, რომ სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ გვხვდება სამცხურ-ჯავახურ დიალექტში დადასტურებული კომპოზიტის ანალოგიური ლექსემები: კარ-კალ-ი („დიდი ქვანარი“) და კარ-კარ-ი („წყლტუ კლდე“). ამასთანავე, თუ გურულ კარჩხალ- („კლდოვანი მთა“) და კარწახ- („დიდი აღმართი“) ფუძეებს შევუპირისპირებთ ერთმანეთს, ალბათ, მოხერხდება მათი სემანტიკა კარ-ჩხალ- და კარ-წახ- ელემენტებად, სადაც კარ-, როგორც ჩანს, „ქვას“ აღნიშნავს.

ი. მაისურაძეს მესხურ დიალექტში დადასტურებული აქვს „კარკნალი“ („ქვების გროვა, ქვაყრილი“), რომელიც იგივეა, რაც ჩვენ მიერ გაანა-

¹ განსხვავებული ეტიმოლოგიისათვის იხ. მ. ჩუხუა (2000-2003: 118).

ლიზებული ჯავახური და საბასეული **ქარ-კალ**-ი, ოღონდ სონორჩართული. ინლაუტში წს ჩართვაც დამახასიათებელია ყველა ქართველური ენისთვის.

მეგრულში რომ ამოსავალი არქიფორმა დარჩენილიყო, მაშინ კანონზომიერი ფონემათშესატყვისობის წესების მიხედვით უნდა გვქონოდა ***კორ**-, მაგრამ, რაკილა **კა** გვაქვს, უნდა ვივარაუდოთ, რომ აუსლაუტის ცვეთა გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო, ვიდრე **აჟ** ხმოვანთგადაწევა, სახელთა (გარდა რიცხვითებისა) აბსოლუტურ ბოლოში კი ქართულ -ა ხმოვანს მეგრულ-ლაზურში რეგულარულად შეესატყვისება -ა.

ჯავახურ და ქიზიურ ლექსიკონებში გვხვდება **გოხ**- ძირის შემცველი ზმნური თუ სახელური ერთეულები:

მო-**გოხ**-ვა („მწიფე და მკვახე ხილის ერთად მოკრეფა განურჩევლად“), მო-**გოხ**-ილ-ი, მო-**უგოხ**-ი-ა-თ... შდრ. სვანური (ჩოლურული) **გუხ** („უმწიფარი მაგარი ხილი“), თუ აქ „მკვახე“-ს დასავლურქართული ვარიანტის („კუხე“) გამჟღერებულ ფორმასთან არ გვაქვს საქმე, რაც სვანური ენისთვის ბუნებრივი პროცესია.

ჯავახურსა და კახურ დიალექტებში „აცდენის, გაცდენის, სამუშაოსგან თავის არიდების, საქმეზე გულის აყრის“ მნიშვნელობით იხმარება მო-**ქედ**-ურ-ებ-ა ზმნის როგორც პირიანი, ისე უპირო ფორმები. სვანური ენის ყველა დიალექტში გამოიყენება იმავე ძირის ნაუმლაუტარი **ქად**- ძირი როგორც რედუცირებული, ისე არარედუცირებული სახით:

ჯავახ. „**კოტა** ხან კარქათ იმუშავა, მერე მო-**იქედ**-ურ-ა და გამოიქცა“ (ბერიძე 1981: 91).

სვან. (ბზ.) დ^აშდ^აშ^ა ფინდხი ლი-**ქედ**-ენ-ი ლი შგუირ, ადო ნაპრლან ლი-**ქედ**-ენ-ის მამედ ხოჰირ! — დათვისთვის ტყვიის („**ფინდინ**-ი^ს“) აცდენაა სირცხვილი, თორემ ჩიტის^ა აცდენას არა უქირს-რა!

(ლნტ.) ლიმშაუი ლი-**ქად**-ნ-ე ნომ ჯამთქუა! — სამუშაოს გაცდენა ნუ გჩვევია!

შდრ. ჩოლურული ლი-**ქად**-ურ-ანლ („საქმისთვის თავის არიდება“) (თოფ., ქალდ. 2000: 453).

იმერხელში შ. ფუტკარაძეს (1993: 414) დადასტურებული აქვს ენებითი გვარის მიმღობის ერთი ფორმა: ესაა **გა-ძუნ-ძლ**-ლი-ილი („დასვე-

ლებული“), ხოლო გურიაში ჩვეულებრივია მასდარი და-ძან-ძღ-ვა („ერთიანად დასველება“), რომელიც სპირანტიზებულ ვარიანტსაც (და-ზუნ-ზღ-ვა) გვაძლევს ხოლმე. იგივე ხდება დღეს იმერხეულშიც (გა-ზუნ-ზღ-ლ-ილი-ი „დასველებული“). ეს მონაცემები შეიძლება დავუკავშიროთ ქვემოსვანური მიმდევობისა (მგ-ძღ-ირ „სველი“) და მასდარის (მოქმ. გვ. ლი-ძღ-რ-ე „დასველება“, ვნებ. გვ. ლი-ძღ-ირ „სველება“) ძირს (შდრ. აგრეთვე, მესხ. დან-ძალი-ქართლ. დან-ძახ-ი „წვიმა და დიდი ტალახი, ჭყაპი“), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სვანურში მას დერივაციული სტრუქტურა აქვს, ქართულში კი — კომპოზიციური (ძღ < ძალ).

აქამდე ჩვენ ვიცოდით იმერულ-გურულ-აქართული ღარ-ღალ-ი/ღარ-ღილი-ი („ხმამაღალი ლაპარაკი“) და ლეჩხუმური რაგად-ი („ქალების ლაპარაკი“); ორივე მათგანს ვუკავშირებდით სვანურ გარ-გლ-ა (ბზ.), გარ-გლ-ა (ლშხ.), გარ-გალ-ა (ლნტ.) და რაგად-ს (ბქ.) „ლაპარაკი“ ახლა კი ამ ლექსემებს დაემატა იმერხეული გირ-გილ-ობ-ა („დაწოლამდი ერთათ ვ-გირ-გილ-ოფ-თ“), რომელიც „ტვილ საუბარს“ აღნიშნავს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მასში დაცულია არა მეგრულსა თუ ქართული ენის დასავლურ კილოებში გავრცელებულ ლექსემათა თავკიდური თანხმოვანი, არამედ სწორედ სვანურ ენასთან იდენტური ანლაუტი, ვფიქრობთ, შედარებით უფრო არქაული გ- (შდრ. მეგრული ღარ-ღალ-ი და მ. ჩუხუას განსხვავებული ეტიმოლოგია — 2000-2003: 265).

იმერხეულ დიალექტში „პირუტყვის მკბენარის“ მნიშვნელობით შეგვხვდა გიჭღ-იბ-ა-მ, რომელიც ძალიან ჰგავს სვანურ გარჭღ'ნ' (ლხმ., ჩზხ.), გგ'რ'ჭღ (ქს.), ლაჭგ (ბქ.), ლგჭგ (ბზ.) „ტკიპა“-ს აღმნიშვნელ სიტყვას. შ. ფუტყარაძეს (ფუტყარაძე 1993: 417) მასთან შესადარებლად მოჰყავს „სიტყვის კონაში“ დადასტურებული ერთ-ერთი მნიშვნელობა კირჩხ-იბ-ისა („მუწუკი მჭამელი“).

საანალიზო ძირს შესაძლოა უკავშირდებოდეს სულხან-საბას ლექსიკონშივე მოცემული ჭღ-იბ-ა („ტკიპასავით ტილი“), რომელიც დღეს გურულ დიალექტში გვხვდება „ტკიპას“, „მკბენარის“ მნიშვნელობით. იგი „ტკიპას მსგავსი მწერია“ ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში, ხოლო ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ბოქვენის მკბენარიცაა“ და „ტკიპას“ სინონიმიც.

მოსალოდნელია, რომ ქვემოვანური გვარჯღ მიღებული იყოს ძველი ქართული გრძლ-აბ-ისაგან („ზღარბი“), შდრ., აგრეთვე, ბალსქვემოური გვარჯღ-აბ („ბალღინჯო“), ერთი მხრივ, და გარჯღ-ნ („ტკიპა“), მეორე მხრივ. ეს უკანასკნელი გამოყენებული იყო ანთროპონიმის (გარჯღ-უ-ელ-ა) ფუძე-დაც სამეგრელოში 1628-1639 შედგენილი დოკუმენტის მიხედვით (გარჯღუელა გაბუნია თავის სახლიკაცებთან ერთად ლევან დადიანმა შესწირა ხონის ტაძარს — პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1991: 587).

ძველ ქართულში ქარახსი „ერთგვარ საწყაოს“ აღნიშნავდა. სულხან-საბა ორბელიანისთვის ის „დიდი ყანწია“. იგივე მნიშვნელობა აქვს მას სვანური ენის ბალსზემოურსა (ქარახს) და ლაშხურ (ქერახს) დიალექტებში. ვაჟა-ფშაველას მიხედვით, „ქარახსა სტვირის მთავარი ნაწილია რქისა, რომელიც ოდნავ მოკაცვულია და ბოლოსკენ მსხვილდება“, ხოლო იმერხეულ დიალექტში ქარაჯს-ი არის „დიდი რქა, ფრჩხილი“.

თავის დროზე (1938 წ.) არნ. ჩიქობავამ ერთმანეთს შეუღარა ქართული ღრძ-ილ-ი და ლაზური ღინჯგ-ილ-ი/ღენჯგ-ილ-ი, ხოლო გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა *ღრჯ- არქეტიპი (Климов 1964: 207), რაც პრობლემატურად მიიჩნის ჰ. ფენრიხმა და ზ. სარჯველაძემ (ფენრიხი-სარჯველაძე 2000: 522). იმ დროისთვის არც სვანური (ჩოლურული) ღჯილ („ღრძილი“) იყო ცნობილი და არც იმერხეული ღძილ-ი/ღჯილ-ი. ეს უკანასკნელი ფორმა ქართული ენის დასავლურ დიალექტებშიც (ლეჩხუმური, იმერული, გურული) დასტურდება. რაც შეეხება იმერხეულის ვარიანტებს, ისინი არ წარმოადგენენ ერთი და იმავე მოსახლეობის მეტყველებას: სისინა ვარიანტი ინეგოლის (ბურსის ვილაიეთი) რეგიონისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო შიშინა — ქალაქ ადაფაზარისა. ორივე მუჰაჯირთა ქართულია, მაგრამ, ვფიქრობთ, სისინა აფრიკატის შემცველი ლექსემა აღმოსავლეთ საქართველოდან თურქეთში იძულებით გადასახლებულთა შთამომავლებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო შიშინა ვარიანტი — დასავლეთ საქართველოდან იქ მოხვედრილთა მემკვიდრეების მეტყველების ნიმუშია. ამგვარი რამ ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა ინტერფერენცირებული ენებისა თუ დიალექტებისთვის!

რაც შეეხება სვანურს, თუ ღჯილ- ფუძე დასავლური ქართულიდან არაა ჩოლურულში შესული, ის გამოგვადგებოდა ქართ. ძ — ზან. ჯ — სვან. ჯ ფონემათშესატყვისობის საილუსტრაციოდ და მაშინ შესაბამისი მა-

სალა უნდა განვიხილოთ ქართველური ფუძეების (და არა მხოლოდ ქართულ-ზანური ერთიანობის, როგორც დღემდე იყო) დონეზე. საგულისხმოა, რომ ძველ ქართულში გვაქვს **გრძ-ილ-ი/ გძ-ილ-ი. გ/ღ მონაცვლეობა** უცხო არაა ქართველური ენებისთვის (**გაგანია — გურ. ღაღაღური** „დიდი ცეცხლი“; სვან. (ლნტ.) **გარგალა — გურ., იმერ., აქარ. ღარღალი** „ლაპარაკი“; ჭავჭავ. **გღერძა — ქართლ. ღღღერძა** „მცენარის სახეობა“; **გიზგიზა — ლეჩხ. ღიზღიზა**, ქიზ. **გოჭიკანა/ლოჭიკანა** „ტიტილიკანა ბავშვი“...).

სპეციალურ ლიტერატურაში „ჩიყვის“ აღმნიშვნელ სვანურ სიტყვასთან **ყუყუ/ყუყუ** დაკავშირებულია იმავე მნიშვნელობის ქიზიყური **ყიყვი**-ი და „ჩინჩახვის“ სემანტიკის მქონე ფშაური ლექსემა (ჩუხუა 2000-2003: 281). ეს ძირი დასტურდება ქართული ენის სამხრულ დიალექტებშიც (იმერხეულში, აჭარულში) და არა მარტო აქ (იხ. იმერული, რაჭული, ხევსურული ლექსიკონები).

ზ. სარჯველაძეს ქართული **ჩიჩვი**-ი („ღრუნჩი, ტუჩი“) შეპირისპირებული აქვს მეგრულ **ჩიჩქე**- ფუძესთან („უშნო სახე“) და ***ჩიჩუ**- არქეტიპი აღდგენილი აქვს ქართულ-ზანური ერთიანობის დონისთვის (Sardschweladze 1985: 24). მას რომ სვანური ენის მონაცემებიც (ბზ., ლშხ. **ჩიჩუ**, ბქ., ლნტ. **ჩინჩუ** „პირისახე; ღრუნჩი, დინგი“) გაეთვალისწინებინა, თავისთავად ცხადია, არქეტიპი აღდგებოდა საერთოქართველურ დონეზე. გარდა ამისა, იმერხეულ და გურულ დიალექტებში დასტურდება ისეთივე ასიმილირებული ვარიანტი (**ჩიჩვი-ირ-ი — სქელი ბაგე, ტუჩი, ლაში; ცხენის ქვედა ტუჩი**), როგორც „სიტყვის კონაშია“ მოცემული რამდენადმე განსხვავებული სემანტიკით („სპილოს ხორთუმი“). სულხან-საბა ამოსავალ ფორმაზეც მიუთითებს, ესაა **ჩიჩვი-რ-ი**, ხოლო დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ გვხვდება **ჩიჩვი-ირ-ი** (შდრ. ძვ. ქ., ქიზიყ. **ჩიჩ-ურ-ი** „ნესტო, ხორთუმი“, იმერ. **ჩიჩბი** „დინგი ღორისა“, **ჩიჩვი** „ცხვირი, დინგი“, ლეჩხ./იმერ. **ჩიჩქე**-ი „უშნო სახე“,...). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ჩიჩვირ“-ს ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ცხენისა და მისთანათა ქვედა ტუჩი; 2. გრძელი ბიბილოსებური წანაზარდი ინდაურის ნისკარტზე.

საინტერესოა, რომ ქართული ენის ჭავჭავურსა და რაჭულ დიალექტებში **წკვ-რ-ელ-ვა** „ყმაწვილის მიერ თავისი საცოლის (ან ქალისგან საქმროს) ყურადღებით დათვალეირებას, ნახვას“ ნიშნავს (ბერიძე 1981: 95): სარძლოს **წკვ-რ-ელ-ამ-დ-ენ** (კობახიძე 1987: 128), სვანური ენის ჩოლუ-

რულ მეტყველებაში კი „წვრილთვალება“-ს აღსანიშნავად **წკუ-ირ-ა-ე** იხმარება, სადაც სისინა კომპლექსის არსებობა ამ მეტყველების რაქულთან განსაკუთრებული სიახლოვით შეიძლება აიხსნას ან „თვალების **წკ-ერ-ვა**“-ს უკავშირდებოდეს, რომლის ძირი ყველა ქართველურ ენაში სისინა თანხმოვანს შეიცავს (შდრ. მეგრული **წკ-ურ-უ-ა** „თვალების დახუჭვა“, **წკ-ურ-ილ-ი** „თვალდახუჭული < ქართ. თვალ-და-წკ-ურ-ულ-ი“).

მაშასადამე, ქართული ენის დასავლურ თუ სამხრულ დიალექტებსა (ძირითადად!) და სვანურში გავრცელებული შიშინა **ჰჟ-** კომპლექსის შემცველი ძირი („თვალთვალის მნიშვნელობით“) უნდა შეესატყვისებოდეს დღევანდელ ჭავჭავურსა და რაქულში შემორჩენილ იმავე სემანტიკის სისინა **წკ-** კომპლექსიან ძირს (მომავალმა კვლევა-ძიებამ შესაძლოა ქართულის სხვა დიალექტებშიც და მეგრულ-ლაზურშიც დაადასტუროს შესაბამისი მონაცემები).

ჭავჭავურ, იმერხეულ, აჭარულ, იმერულ და გურულ დიალექტებში საკმაოდ გავრცელებულია **ჰჟ-ერ-** ფუძე „დაჟინებული ცქერის, გაბედული ყურების“ მნიშვნელობით:

იმერხ: მაგან ქალებზე უშნოდ **ჰჟ-ერ-ა** იცის (ფუტკარაძე 1993: 665). სვანეთში „ბრუტიან, ელამ, ბეც“ ადამიანს **ჰჟ-იჟ-წარ**ს უწოდებენ.

ჭავჭავურ მეტყველებაში **ფშანს** ორი მნიშვნელობა აქვს:

1. **მინდვრიაანი ადგილი** კლდის ძირში, სადაც რამდენიმე ადგილას წყარო გამოდის (მარტიროსოვი 1984: 247);
2. კლდეებიდან გამოსული პატარა **წყაროები**, რომლებიც ბალახითაა დაფარული (ბერიძე 1981: 132).

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც“ ამ სიტყვის ორი მნიშვნელობაა მითითებული, ოღონდ ცოტაოდენი სემანტიკურ-ნოუსური გადახრებით:

ფშა/ფშანი „მდინარის პირას გამომდინარე წყარო ან მდინარის პატარა შენაკადია“, ხოლო ზოგ ადგილას **ფშანი** „ხის ფესვებიდან ახალ-ამოყრილ მცენარეს, ნერგს“ აღნიშნავენ.

ეს ლექსემა საქართველოს ბევრ კუთხეში იხმარება, დადასტურებულია „სიტყვის კონაშიც“. სვანური ენის ბალსქვემოურსა (**ფშალ**) და ლაშხურ (**ფშალაჲ**) დიალექტებშიც მას ორი მნიშვნელობა აქვს (1. ყლორტი, მორჩი; ნორჩი; 2. სვია), ამასთანავე, სხვა სონორია წარმოდგენილი და როგორც ფორ-

მით, ისე შინაარსით, ძალიან ახლოს დგას იმერული დიალექტის მონაცემთან: **ფშალა** — სვია (ხვიარა ბალახოვანი მცენარე, იზრდება ღელეების პირას, მის ნორჩ ყლორტებს მხლად ხმარობენ — გაჩეჩილაძე 1976: 138).

იმერხეულ დიალექტში „**ხბო**“-ს აღსანიშნავად გამოიყენება **ხობო** (||**ვბო**), რომლის ძირისეული **ო** მრავლობით რიცხვში ხან წარმოდგენილია და ხან — არა.

„**ხობო**-ები ეფეიჯა (თურქ. epeyce — ძალიან) გაზდილან“ (ფუტკარაძე 1993: 675), შდრ. „**ხბო**-ები (< **ხობო**-ები) ჭალაში იყენენ“ (იქვე).

ეს ძირი არა მხოლოდ თანხმოვნების, არამედ ხმოვნების მხრივაც პრობლემატურია ქართველურ ენებში, ლაზურისგან მომდინარე იმერხეული მონაცემი კი აძლიერებს სვანური **ხაბ-ნ-ა** (ზს.), **ღაბ-ნ-ა** (ლშხ.), **ღაბ-ენ-ა** (ლნტ.) ფორმათა მიხედვით საერთოქართველურისთვის სავარაუდო არქიფორმაში (და არა -ე-¹) ხმოვნის აღდგენის შესაძლებლობას, რალა თქმა უნდა, თუ **ხობო** თურქული სინჰარმონიზმით გამოწვეული მონაცემები არ არის. სპეციალურ ლიტერატურაში (ჩუხუა 2000-2003: 262) ეს ძირები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ოღონდ საილუსტრაციო მასალაში გამოტოვებულია: სვანური **ხაბ-ნ-ა** („მოზვერი“), მეგრული **ხაფა** („დოლი“, შდრ. **ხაფა**-ს „ხბოების მოგების დროზე“ — გახარია 2005: 142, ქაჯია 2009: 589), **ქაბ-ულ-ა** („მოზრდილი ხბო“), ძველი ქართული **ვბო-გ-რ-ედ-ი** („ხბოიანი“), **ვბო-შ-ერ-ი** („ვბო რჩეული, გინა ხის ახალი ყლორტი“ — საბა), დიალექტური **ხბო-ჯორ-ი** (ჩავახ. „ხბოებისა და ვირების ჯოგი“ || **ხბო** — სოფელი ხიზაბაგრა), **ვბ-ე-ები** (მოხ. „ხბო¹რ¹ები), **ვბო-დე-და-ფური** (ქიზიყ. „ხბოიანი ფური“), **ვბო-სა-სუქა** (ხევს. „სათიბი ბალახი“), **ხბო-შუბ-ლა** (რაჭ., ლეჩხ., იმერ., ქართლ., „ცერცველა“, **ხფო-ფ** (გურ. „ხბო“)...

არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით (ჩიქობავა 1938: 198), ქართულ **ღამ-ე**ში -ე სუფიქსური წარმომავლობისაა მეგრულ-ქანური მონაცემების მიხედვით (ჰან. **ღომ-ან-ღომ-ა** „გუშინ“, **ღომ-ან-ერ-ი** „გუშინდელი“, მეგრ. **ღუმ-ა** „წუხელ“, **ღუმ-ან-ერ-ი** „წუხანდელი“). მოგვიანებით მ. ჩუხუამ ამ ძირს ძალზე საინტერესოდ დაუკავშირა სვანური ლი-**ღაშ-ნ-ე** „დროის მიცემა, დალოდება“ (ჩუხუა 2000-2003: 262), ახლა კი შესაბამის მასალებს ჩვენ ვუმატებთ იმერხეულ **მო-ღამ-ებ-ა**საც („ცხოვრების უქმად გატარება“):

¹ შდრ. მ. ჩუხუას თვალსაზრისი (2000-2003: 262).

ჩვენ ისე მუ-ა-ლამ-ე-თ, გაბუკვან: („გაბუტვა“) არ ვიცით (ფალავა, ცინცაძე 2007: 293,301).

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლებმა 2005 წელს იმერხევში დააფიქსირეს ლექსება ჰოჭ-ე „ტუნწის მნიშვნელობით“. თუ ვივარაუდებთ, რომ ამ შემთხვევაშიც შესაძლოა ლაზურის გავლენით მიღებულ მონაცემთან გვქონდეს საქმე, მაშინ ქართულ ენაში უნდა დავიწყოთ სისინა აფრიკატის ძიება. და მართლაც, ასეთი უნდა იყოს „წუწ-ურ-აქ“- ფუძეში წარმოდგენილი წ; შდრ. ლეჩხ. წუწ-უნ-აქ-ი („ტუნწი“) და ქიზიყ. წურ-იკ-ა („ძალიან ტუნწი“). „წუწურაქის“ პარალელურად ქართლურ და ქიზიყურ დიალექტებში ო განმოვანებიათი ფუძეც იხმარება (წოწ-ონ-აქ-ი) იმერხეულის მსგავსად. რაც შეეხება სვანურს, აქ სირთულეები გვაქვს ძირეულ თანხმონებთან დაკავშირებით — მოსალოდნელი ვიშინას ნაცვლად სისინაა: წუინწყ (ჩოლ.), წუნწ (ლშხ.).

გათხოვილ ქალს ჭავახეთში „ნაწვევი“ ეწოდება, რომელიც, ვფიქრობთ, უნდა უკავშირდებოდეს ქართულ, სვანურ და მეგრულ-ლაზურ ენებში დღემდე დაცულ მასდარისეულ ფორმათა წუ-/წვ- ძირს (ძვ. ქ. წუ-ევ-ა „მოწოდება, იძულება, მიწვევა, წაქეზება, ახ. ქ. მი-წვ-ევ-ა „მიპატიყება, დაპატიყება“; მეგრ. გი-მო-წვ-ი-ება „მოწვევა, მოპატიყება“; სვან. ლი-წუ-ი-ლ-ე „გათხოვება“). ქართული ენის ფშაურ დიალექტში ნა-წ-ევ-ი (< ნა-წვ-ევ-ი) „მოწვეულს, მოპატიყებულს“ ნიშნავს, ხოლო ბალსქვემო სვანეთში (სოფელი ლახამულა) ჩაწერილ ერთ-ერთ ანდაზაში [ნაწენტუ ო ნაშდებუ ლაღი-ბაწიშ გარ ესერ ლი — „ნათხოვარი და ნასესხები მხოლოდ ერთი-ორი დღის საკმარისი არისო“ — დავითიანი 1973: 113)], ნა-წ-ენ-ტუ < ბქ.ნა-წუ-ენ-ტუ (დელაბიალიზაცია ჩვეულებრივი მოვლენაა ლახამულურ კილოკავში)]. „ნათხოვარია“ (< „შე-ნა-წევ-არ-ი“?).

სვანურ ენაში „მიწვევა-მიპატიყების“ სემანტიკას გადმოსცემს, აგრეთვე: ლი-წჰ-ი (ზს.), ლი-წს-ი, ლი-წც-ი (ბქ.), ლი-წჰ-ენ-ი (ლშხ.), ლი-წი-ი (ლნტ.), მაგრამ, როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაც ცნობილი (Топуриа 1960: 155, Fähnrich 1998: 94), ის მომდინარეობს -წეს- ძირიდან, რომლისთვისაც „დაძახების, მოხმობის“ მნიშვნელობა უფრო უნდა იყოს

ამოსავალი (შდრ. ძვ. ქ. უ-წეს-ს „უძახის, უხმობს“, მეგრ. წის-აფა „დაპატი-
ება“), ვიღრე „მოწვევისა“.

ჭერჭერობით პრობლემატურია **o** ხმოვნის სიგრძის საკითხი სვანურში „გათხოვების“ აღმნიშვნელი ზმნის პირიანსა თუ უპირო ფორმებში, ისე კი აშკარაა, რომ **-ელ** (<**o**+**გლ**) ქართული **-ევ** და მეგრული **-o** (<**ივ**) სუფიქსთა მორფონოლოგიური შესატყვისია.

ჩვენ გვაქვს მცდელობა ლი-წუნლ-ე-ს დაკავშირებისა სვანურ წუნლ („პატარძალი; დედოფალი“) და ქართულ წულ- („ახალშობილი; ვაჟი; მამა-
კაცი“) ძირებთან. ამ კონტექსტში უპირიანი იქნებოდა ყმა-წვილ-ის მოხმო-
ბაც, მაგრამ იგი არათუ ძველ ქართულ ტექსტებში, არამედ „სიტყვის კო-
ნაშიც“ კი არაა დადასტურებული, რადგანაც შედარებით გვიან შექმნილი
კომპოზიტი ჩანს. და, რაც მთავარია, სვანური ლიწული და წული ფორ-
მათა წულ- ძირიდან მომდინარეობის ვარაუდს ალბათ რამდენადმე მაინც
უშლის ხელს ის ფაქტი, რომ თანამედროვე უშუღაუტო დიალექტებში არ-
სად არაა დაცული ამოსავალი **-უ**- ხმოვანი! როგორც ზემო, ისე ქვემოსვა-
ნურში ეს ორი ლექსემა ერთიანობადაა (სწორედ **-წი**- კომპლექსით)
წარმოდგენილი, რაც სემანტიკურადაც შესაძლოა „პატარძლის“ აღმნიშ-
ვნელ ჯავახურ ნა-წვე-ე-ს უკავშირდება [შდრ. ჭუმ — ვაჟიშვილი, რომე-
ლიც მხოლოდ ლაშხური ფორმაა, სხვაგან კი უშუღაუტიზებული ჭუმე
გვხვდება ქართული წულ- ძირის შესატყვისად, მაგრამ ქართული ლ სვა-
ნური შ შესატყვისობის გვერდით იმავე ძირთან ნა-ჭულ-შე („ურვალი“)
ლექსემის დაკავშირება რამდენადმე პრობლემატური ჩანს, რადგანაც, მიუ-
ხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პოზიციასთან გვაქვს საქმე (ერთი მხრივ,
აუსლაუტთან, ხოლო, მეორე მხრივ, ინლაუტთან), მაინც ერთსა და იმავე
ძირში ხან ლ/შ და ხანაც ლ/ლ შესატყვისობის დაშვება, რბილად რომ
ვთქვათ, უხერხულია].

ქართული ენის სამხრულ დიალექტებს დანარჩენ ქართველურ ენებ-
თან საერთო აქვთ ფრაზეოლოგიაც. ასე მაგალითად:

ჯავახურში „სუფრის აღება“ გამოიხატება არა მაგიდის ალაგებით
თუ რისამე მოკლებით, არამედ სინტაგმით „სუფრის ამატება“, შდრ. სვა-
ნური „ტაბგი უი ლი-ღაწე-ე (ტაბაკის და-წყ-ობ-ა და არა „ალაგება“), უი
ლი-ნჭურ-ე („აგროვება, მატება“ და არა „კლება“). ქვემოსვანურში ქარ-

თულიდან შედარებით გვიან შესული ლექსემებიც გვაქვს: ლი-ლ-გ-აჟ-ე (ლშხ.) < ლი-ლა-გ-აჟ-ე (ლნტ.) „ალაგება“.

ჯავახეთში „ერთ თავ ყველს“ ქალლა ჰქვია, რომელიც მოგვაგონებს ჯერ კიდევ ძველი ქართული ტექსტებიდან („კირიონი“) ცნობილ კომპოზიტს ქალა-ლო („დოს შექამანდი“); შდრ. ქალა-ჯომი „დოს კონჩოლი“ (საბა 1949: 701), დღესაც დადასტურებული რომაა ქართლურ, აჭარულ, იმერხეულ და ფერეიდნულ დიალექტებში. სვანეთში „ერთ წველა ყველს“ ეწოდება ქიჟ და, ვფიქრობთ, რომ ის „ჭურჭლის აღმნიშვნელ არაბულ-თურქულ ქილა“¹ კი არ უნდა უკავშირდებოდეს, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია (ჩუხუა 2000-2003: 254) აღნიშნული, არამედ ქართული ენის სამხრულ დიალექტებში დაცულ ქალა'ს. აუსლაუტის ხმოვნის მოკვეცისა და ღიამარცვლიანი სტრუქტურების დახურულმარცვლიანად გარდაქმნის ტენდენცია სვანურში აღიარებული ფაქტია სპეციალისტთა მიერ. ასე რომ, ფონეტიკურ მოვლენათა განვითარების უწინარესობა-შემდგომადობის პროცესი შესაძლოა შემდეგნაირად წარმოვადგინოთ, თუ **ლ > ლ** ფონემათშესატყვისობასაც გავითვალისწინებთ:

ქართ. ქალა > სვან. ქალ > ქაჟ+ი > ქაჟ > ქეჟ > ქიჟ

არც ქალლა უნდა იყოს საკუთრივ ქართული სიტყვა (შდრ. სპარსული კალაქუჟ), მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველურ ენათა დიფერენციაციამდელი (ე. ი. უძველესი) ეპოქისაა.

1984 წელს ჰაინც ფენრიხმა ერთმანეთს შეუპირისპირა სვანური კოლ („განავალი“), იმერული კელ-ა („ნაკელი, ნეხვი“) და ქიზიყურ-ფშაურ-თუშური კელ-ა („მწერი“) — ეს უკანასკნელი „სიტყვის კონაშიცაა“ დაცული „მწერის“ აღმნიშვნელი სიმბოლოს მითითებით, ოღონდ განმარტების გარეშე. იქვე გვხვდება კელ-ი'ც („ნეხვი“). ამ მასალას ჩვენ ვუმატებთ ლეჩხუმურ კელ-ა'ს („ნაკელი“), აჭარულსა და იმერხეულ და-კელ-ვ-ა'ს („გროვად დაყრილი ნაკელის დატკეპნა საწვავად გამოყენების მიზნით“) და, რაც მთავარია, ჯავახურ კილ-ს („ქათმის განავალი თეთრად“ — მარტიროსოვი 1984: 236), რომელსაც ზემოსვანურად კინ-კულ ჰქვია. „თხისა და ცხვრის განავლის“ აღსანიშნავად ლაშხურ დიალექტში კურ-კულ იხმარება, ხოლო ჩოლურულ მეტყველებაში — მისი ნაუმლაუტარი კურ-კჟილ, ლენტეხურში

¹ ჩოლურულ მეტყველებაში ქილა'ს სწორედ ქართულიდან შესული ქილა-მ აღნიშნავს (ლიპარტელიანი 1994: 285), სადაც არ მომხდარა **ლ > ლ** პროცესი.

კი კირ-კოლ. მაშასადამე, როგორც საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, არ არის სავალდებულო, რომ ამ ძირში ქართულშიც დავუშვათ უმლაუტის (კელ- < *კოლ-) არსებობა (სარჩველადე 1985: 197-199), რადგანაც მასში თითქმის ყველა ხმოვანი (ე — ე — ო — უ) ენაცვლება ერთმანეთს ქართველურ ენებში (შდრ. აგრეთვე კელ-ი „კამბეჩთ სკორე“ — საბა).

ქართველოლოგიაში კარგა ხანია (Mapp 1913: 10) აღიარებულია ძვ. ქართ. თხევ-ლა („თევზაობა“), მ-თხევ-ლ-არი („მოთევზავე“) და სა-თხევ-ელი („ბადე“) ლექსემათა კავშირი სვანურ ლი-თხჷ-ლი („ძებნა“), მე-თხჷ-მ-არ („მონადირე“) და ლა-თხჷ-მ-არ („სანადირო“) ფუძეებთან. ამ მონაცემებიდან არ ჩანს, რომ საანალიზო თხევ- ძირი დღესაც იხმარება ქართულის ჭავახურ მეტყველებაში დადასტურებული მე-სა-ნ-თხევ-ლ-ე („მებადური“) ფორმის სახით.

აჭარულში, მესხურ-ჭავახურში, იმერხეულში და სხვა (ძირითადად, მთის) დიალექტებში გვხვდება მეტად საინტერესო კომპოზიტი, რომელიც მთლიანადაა შესული სვანურ ენაში. ესაა ხერ-ტალ-ი (აჭარ., მესხ.-ჭავახ., იმერხ., ქართლ., თუშ., ხევს.) < ხელ-ტარ-ი („ძაფის დასაძახავი თითისტარი, კვირისთავი); ზოგან იგი წარმოდგენილია ჳ ფონემით. სვანურში არა მხოლოდ არსებითი სახელია საანალიზო ლექსემა, არამედ ზმნაც (როგორც პირიანი, ისე უპირი): ჳელ-ტარ („ხელსაქმე“), მგ-ჳგლ-ტარ-ი („ფეიქარი, მქსოველი“), ჳს. ლი-ჳგლ-ტარ-ი/ლი-ჳგლ-ტარ-ე (1. „რთვა“; 2. „რთვა-ქსოვა, ხელსაქმე“), ა-ჳგლ-ტარ-ი (1. „რთავს“; 2. „რთავს და ქსოვს, ხელსაქმობას ეწევა“). სვანურის ყველა დიალექტში დაცულია ამოსავალი, უმეტათეზისო ფორმები და არქაული ჳ თანხმოვანი, ხოლო ქართული ენის დიალექტებში ზოგი ამოსავალ ვარიანტს უჩვენებს, ზოგი კი — შედარებით ახალს.

ჩჩ-ოლ- ფუძე სხვადასხვა მნიშვნელობისაა ქართული ენის დიალექტებში: იმერულსა და ლჩხუმურში იგი „კვამლს“ ნიშნავს (და ჩჩჩ-ოლ-ვ-ას უკავშირდება), აჭარულში — „წნელის რგოლებით ასხმულ ჭაჭვს, რომელსაც პირუტყვის ბაგაზე დასაბმელად იყენებდნენ“, ხოლო ჭავახურში — „წნელს“. გურიაში „ჩიტის ბადის საქსოვ ხელსაწყოს“ ეწოდება ჩჩ-არ-ი, ხოლო თავად „საქსოვ ჩხირს“ — ჩჩ-აშ-ი / ჩჩ-აჟ-ი; იმერეთში „წვირილ ჩხირს“ ჩჩ-იჟ-ი ჰქვია, „გამხმარი წნელისაგან გაკეთებულ ცოცხს“ კი ჩჩ-ოჟ-ს უწოდებენ გურიაში. ხუთივე ლექსემა ძალიან ჰგავს ზანური სტრუქტურის ფუძეს (შდრ. ო-ნ-ჩჩ-აჟ-ალ-ე „თხილის საბერტყი ჯონი“).

აშკარაა, რომ ძირში ყველგან **ჩხ-** კომპლექსია ან მეტათეზისის შედეგი **ჩჩ-**; სვანური **ლი-შხ-ერ** („პობა, სკდომა“). შეიძლება იყოს ქართული **ჩხ-ერ/ჩხ-ირ** ძირის სპირანტიზებული სახე. მოსალოდნელია, რომ **ლი-ჩხ-ინ-ე** („ვაჩხირვა, გარკობა“) იმავე **ჩხ-** ძირის შემცველი მასდარია.

ამავე ჰარმონიული კომპლექსის სისინა ვარიანტიც (**ცხ-**) გვხვდება ყველა ქართველურ ენაში: ძველ ქართულში „სართავი მოწყობილობის ჯობი“ არის **ცხ-ემ-ლ-ო**, **ცხ-ემ-ლ-ა** კი გურულ დიალექტში „რცხილა“-ა. ჭავ-ხეთში **ცხ-ემ-ლ-ო** არის „ქსელში ნართის გასაყრელი ხე“, ხოლო თუშეთში „წინდისა და ხელთათმნის საქსოვ რკინის ჩხირებს“ **ცხ-ემ-ლ-ემ-ო** ჰქვია (მხ. რ. **ცხ-ემ-ლ-ო**). „ფიჩხის“ აღსანიშნავად მეგრულში **ცხ-გ-ეკ** იხმარება, ხოლო ლაზურში — **ცხ-იკ**. სვანურში **ცხ-ეკ** (ბზ., ქს.)/**ცხ-იკ** (ზს.) „ტყეს“ აღნიშნავს. იგივე ძირი ჩანს ჩოლურული მეტყველების **ცხ-გმ-ერთ** („წვრილი წნელი“), **ცხ-გნტ-რ-ჰლ** („წვრილი გამხმარი შტოები“) ფორმებში და ზემოსვანურ **ცხ-ირ** („ხიწვი, ხიჭვი“) ფუძეში. **ცხ-ეკ-ნ-ელ-ა** ტოპონიმია (გაუქმებული სოფლის სახელწოდებაა) სამცხეში (ბერიძე გრიგოლი 1981: 148; ბერიძე მერაბი 2011: 43-47).¹

მაშასადამე, „წნელის > ჯობის > ჩხირის > ტყის“ აღსანიშნავად ქართველურ ენებში გამოიყენება ერთი და იმავე ჰარმონიული კომპლექსის როგორც სისინა (**ცხ-**), ისე შიშინა (**ჩხ-**) ვარიანტები ქართულშიც, მეგრულშიც, ლაზურშიც და სვანურშიც, რაც ერთგვარად არღვევს კომპარატივისტული ქართველოლოგიის ძირითად პრინციპებს.

როცა სამხრულქართულის ყველა პუბლიკაცია და ველზე მოპოვებული მასალა დამუშავდება კომპარატივისტიკის თვალსაზრისით (რისთვისაც დღემდე სპეციალისტებს უურადღება არ მიუქცევიათ), ცხადია, უფრო მეტი ფონემათშესატყვისობა გამოვლინდება ქართველურ ენებში ან დაზუსტდება დღემდე არსებული ფონოტაქტიკური წესები...

ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას ამ მიმართულებით...

¹ მერაბ ბერიძე არ იზიარებს **ცხეკნელა**'ს გრიგოლ ბერიძისეულ (1988: 149) ეტიმოლოგიას საანალიზო ლექსემის „ცხენ“-თან დაკავშირების შესახებ და თავად გვთავაზობს სხვაგვარ გააზრებას: **ცხეკნელა** <°ცხენ-სკნელა-ა (ე. ი. ციხის მხარე“ — 2011: 46-47).

Georgian southern dialects from comparativistic viewpoint

S u m m a r y

The paper deals with the fact, that today the data of Georgian southern dialects is not taken into account in comparativistic Kartvelology. Some new etymological connections are given for illustration and it is assumed, that when all publications of south Georgian are processed from the comparativistic standpoint (on what specialists have not focused their attention) more phoneme correspondences will be revealed in the Kartvelian languages and phonotactic rules existing till today will be defined.

On the contrary of the views expressed in the special literature (N. Beridze, M. Beridze), the paper represents the standpoint, that Javakhian *zay-ar-i* "a hungry, roaming, gun-dog") is not initial for *zay-l-i* "dog" lexeme. Spirantization is characteristic of this root even in Svan (*žey*) but it is a reflection of a following stage of differentiation of the ancient Kartvelian languages ($\zeta > \xi > \zeta$), but a voiced anlaut of the southern dialects is of later phenomenon that seems to be the influence result of the Oriental languages (Turkish, Persian, Arabian).

The paper represents the new etymologies, which are based on the material obtained in the South-West and South-East speech of Georgian. They are: Fereidianian *ča-cxib-va* ("striking of a knitting tool"), Javakhian (and Kiziqian) *mogox-va* ("gathering of ripe and unripe fruit together"), Javakhian (and Kakhian) *moked-ur-eb-a* ("avoiding, missing"), Imerkhebian *ga-junzy-l-il-i > ga-zunzy-l-il-i* ("very wetted"), Javakhian *kar-ka-l-i* ("stone and rubble"), Imerkhebian *gir-gil-ob-a* ("warm conversation"), *gižy-ib-a-j* ("a beast's biter"), Imerkhebian (and Gurian) *čičv-ir-i* ("a thick lip, animal's lip"), Javakhian (and Rachian) *çkvr-el-v-a* ("attentive examine of a fiance by a fiancee"), Javakhian, Ajarian, Imerkhebian (and Gurian, Imerian) *çq-er-a* ("insistent watching"), Javakhian *pšan-i* ("a field, springs covered with grass"), *na-čv-čv-i* ("a married woman"), Ajarian, Imerkhebian, Fereidianian (and Kartlian) *kala-do / kala-žo* ("buttermilk food"), Javakhian *kil* ("hen's white excrement"), *me-sa-n-txev-l-c* ("fisherman"), Meskhian-Javakhian, Imerkhebian (and Kartlian, Tushian, Khevsurian) *xer-çal-i* ("hand-spinning spindle"), *xč-ol-i* ("a tying rope pleated with a cane rings" – Ajarian, *çneli* "cane, osier" – Javakhian), *cxek-n-el-a* ("cancelled name of a village in Samtskhe")...

კვლავ შუასიბილანტური აფრიკატის რეფლექსებისათვის ქართველურ ენებში

ძველი ქართული მკცე („ჰალარა“) ძირის ეტიმოლოგიური ანალიზი არაერთ მკვლევარს (ა. გრენი, ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. როგავა, ს. ჟლენტი, თ. გამყრელიძე, გ. მაქავეარიანი, გ. კლიმოვი, ზ. სარჯველაძე, პ. ფენრიხი) ჩაუტარებია;

გამოყოფილია *მკცე-თან-, *მკცე-ე (კლიმოვი 1964: 267) და *მკცე-ე (გამყრელიძე 1968: 11) არქეტიპები, ამასთანავე, პირველი მათგანი მხოლოდ ქართულ-ზანური ერთიანობის ხანას ასახავს, ხოლო მეორე საერთო-ქართველური ფუძეების დონეს შეესაბამება. მათ უპირისპირდება *მკცე არქეტიპი (სარჯველაძე, ფენრიხი 2000: 723), რომელიც გამორიცხავს სვანური ენის მონაცემს მ-ე-ჩ-ი („მოხუცი“). ამ უკანასკნელთან შედარებულია ლაზური უ-მჩ-ან-ე („უფროსი“) და გამოტანილია დასკვნა, რომ მეგრულსა და ქართულ ენებში შესატყვისი ძირი არ ჩანსო; შესაბამისად აღდგენილია *მეცე- არქეტიპი (სარჯველაძე 2000: 327);

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სვანური მეჩი არ უნდა დავაცილოთ ქართულ მკცე-ე, მეგრულ ჩ-ე („თეთრი“), რჩ-ინ-უ („მოხუცი“); ო-რჩ-ინ-უ-ე („სიბერე“), უ-ჩ-ა („შავი ← არათეთრი“)... და ლაზურ ქჩ-ე || ხჩ-ე || ჩქ-ე („თეთრი“), ქჩ-ინ-ი || ხჩ-ინ-ი („დედაბერი“), უ-ჩ-ა („შავი, მწუხარე“) || უ-შ-ა (ტრაპიზონულ მეტყველებაში — პ. აქარიანი, ნ. მარი) მონაცემებს.

საერთოქართველურ *მკცე-ე ფორმას, თ. გამყრელიძის აზრით, სვანურში განვითარების შემდეგი გზა უნდა გაველო: *მჩე > *ჩე > *მეჩე+ი *მეჩე+ჲ > მეჩი. ვფიქრობთ, გარდამავალი *მეჩე+ჲ საფეხურის ვარაუდი არ არის აუცილებელი, რადგანაც არაერთი მაგალითია სვანურში სახელობითი ბრუნვისა ან ატრიბუტივთა -ი მაწარმოებლის შემონახვისა წინა პოზიციაში მდებარე ფუძისეული თუ სუფიქსისეული ელემენტის დაკარგვის ხარჯზე (შდრ. ნაგზი < ნაგზა+ი „კვირეული“, ნარპი < ნარპა+ი „სინათლე“...). მოსალოდნელი სპირანტიზაცია (ჩ > შ) არ განხორციელდა მარცვლოვან სონანტთან მეზობლობის გამო (შდრ. სვანური ხ-ო-შ-ა „დიდი, უფროსი“ > მა-ხჷშ-ი — ნ. მარი, ქართული ხ-უ-ც-ე-ხ-ი, მეგრულ-ლაზური უ-ჩ-ჩაშ-ი);

***მეჭჩე**ში სავარაუდო ***ჭ** ფონემა, რომელიც დღესაცაა დაცული სვანურ **ჭასგ** (ზს., ლაშხ.) / **ჭასკ** (ლნტ.) — „ქალარა“ და **ჭასგაჭ** (ბზ.), **ჭასგაჭ** (ბქ.), **ჭასგაჭ** (ლშხ.); **ჭასკაჭ** (ლნტ.) — „ქალარა, ქალაროსანი“ ლექსემათა ძირში, გარკვეულ სიძნელეებს ქმნის — თითქოს უნდა მიგველო **ე** ხმოვნის კომპენსატორული სიგრძე, მაგრამ, ამგვარი ფონოლოგიური მოვლენა სვანური ენის განვითარების შედარებით გვიანდელ დონეს ასახავს (ალ. ონიანი, ბ. გიგინეიშვილი), ხოლო ***ჭ** თანხმოვანი სავარაუდო ***მეჭჩე** არქექტიპში პრესვანურშივე უნდა ჩავარდნილიყო (თ. გამყრელიძე),

***ჭ** ფონემის დაკარგვისათვის, ვფიქრობთ, ხელი უნდა შეეწყო იმ ფაქტსაც, რომ **ჭჩ** ბგერათმომდევრობა შედარებით იშვიათად უნდა ყოფილიყო რეალიზებული სვანურში. თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში, ძველი სვანური სიმღერებისა თუ ანდაზების ენაში და ე. წ. გაქვავებულ საქცევებში (წყველა-ლოცვის ფორმულები, იდიომატური გამოთქმები...), ვ. თოფურიას და მ. ქალდანის „სვანური ლექსიკონის“ მიხედვით, სულ რამდენიმე ძირში თუ დასტურდება აღნიშნული ფონემათმომდევრობა: **ლი-ჭჩ-ე** „ცვეთა“, **ლი-ჭჩ-ოჟი** „გამოკეთება, გამოჭანმრთელება, **ლი-ჭჩ-ი-არ** „საკვესი“, **ნა-ჭჩ-ოლ** „კანგაცლილი კანაფი“; ამასთანავე, **ლი-ჭჩ-ოჟი**ში ეს ძირისეული თანხმოვანთკომპლექსი სრულიად მოულოდნელია, რადგანაც შესაბამისი მასდარი თუ ზმნის პირიანი ფორმები ნაწარმოებია ზედსართავი სახელის ერთ-ერთი ხარისხის გაქვავებული ფორმისაგან (**ხ-ო-ჩ-ა** „კარგი“), სადაც ფარინგალური ფონემა საერთოდ არ ფიგურირებს.

Again on reflexes of a midsibilant affricate in the Kartvelian languages

S u m m a r y

An etymological analysis of old Georgian **mqce** ("grey hair") root was carried out by many scholars (A. Gren, N. Marr, Am. Chikobava, V. Topuria, G. Rogava, S. Zhgenti, T. Gamkrelidze, G. Machavariani, G. Klimov, Z. Sarjveladze, H. Fähnrich).

The archetypes ***mqc₁-e** (Klimov 1964: 267) and ***mqc₂-e** (Gamkrelidze 1968: 11) are distinguished. The first one reflects only the epoch of Kartvelian-Zan

unity and the second one is relevant with a level of Common Kartvelian parent-language. They are opposed by *qc₁ archetype (Sarjveladze, Fähnrich 2000: 723), that deducts Svan data m-e-č-i ("old-man"). The latter is compared with Laz u-mč-an-e ("elder") and a conclusion is made: there is no corresponding root in Megrelian and in Georgian; accordingly a *mec₁ arche-type is reconstructed (Sarjveladze 2000: 327).

I believe, that Svan meči should not be isolated from Georgian m-qc-e, Megrelian č-e ("white"), rč-in-u ("old-man"); o-rč-in-u-e ("old age"), u-č-a ("black ← not white")... and Laz kč-e // xč-e // čk-e ("white"), kč-in-i // rč-in-i ("old woman"), u-č-a ("black, mournful") // u-š-a (in Trapson speech – H. Acharian, N. Marr) data.

According to T. Gamkrelidze, Common Kartvelian *mqc₁e form in Svan should have passed a following developing way: *-qče > *če > *me-če+j > meči. I think, there is no need to suppose a transitive *meče+j stage as in Svan there are many examples of preserving of nominative case and lossing of -i formant of attributives at the expensive of a root and suffix element in front position (cf.: nagzi < nagza+i "weekly", nārhi < narha+i "light"...). An expected spirantization (č > š) has not taken place due to a syllabic sonants in neighbourhood (cf.: Svan x-o-š-a ("big, elder") > ma-xwš-i – N. Marr, Georgian x-u-c-e-s-i, Megrelian-Laz u-^rn'čaš-i);

In *meqče a supposed phoneme *q, that is preserved even today in the roots of Svan qasg (US, Lashkh.) / qasq (Lent.) – "grey hair" and qasgār (UB.), qasgār (LB.), qasgār (Lashkh.), qasqār (Lent.) – "grey hair, having grey hair" lexemes makes certain difficulties – as if there should have occurred a compensatory length of e vowel. But such phonological phenomenon reflects a later developing level of Svan (Al. Oniani, B. Gigineishvili), and *q consonant should have appeared in *meqče archetype in pre-Svan (T. Gamkrelidze).

I believe, that lossing of *q phoneme should be caused by the fact, that qč sound-order should be rarely realized in Svan. According to V. Topuria and M. Kaldani's "Svan dictionary" in the modern alive speech, in the language of old Svan songs and proverbs and in so called fossilized phraseological expressions (formulas of cursing and blessing, idiomatic expressions...), a mentioned phoneme-order is attested only in some roots: li-qč-e "wearing out", li-qč-ow-i "recovering", lā-qč-i-ār "pouch for flint and steel" nā-qč-ol "skinned cannabis". In addition, in li-qč-ow-i this root consonant complex is absolutely unexpected as a relevant masdar and personal forms of a verb are formed from one of fossilized forms of one degree of an adjective (x-o-č-a "good"), in which a pharyngeal phoneme does not occur at all.

პირველად და მეორეულ ფონემათშესატყვისობათა ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში

ქართ. წ ზან. ჭ სვან. *ჭ > ჭ > *ო ფონემათშესატყვისობა დღემდე გარკვეული პრობლემატურობით გამოირჩევა, რადგანაც, ჯერ ერთი, სხვადასხვა მკვლევართან (ნ. მარი, ვ. თოფურია, გ. როგავა, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, გ. კლიმოვი, პ. ფენრიხი, მ. ჩუხუა) სხვადასხვა არქიფონემა (*წ, *წ₁ ან ტ') ივარაუდება ამოსავალში და, მეორეც, — სვანური ენისთვის მხოლოდ მეორეულ, გარდამავალ საფეხურთა (ჭ > ო) ამსახველი მასალაა დაძებნილი. რაკილა თავდაპირველი ჭ ფონემის შემცველი მონაცემები სვანურში ვერ დადასტურდა, საანალიზო შესატყვისობა სპეციალურ ლიტერატურაში საექვოდ იქნა მიჩნეული (სარჩველად, ფენრიხი 2000: 20).

უკანასკნელ ხანებში ამ შესატყვისობაზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მ. ჩუხუამ, რომელმაც არაერთი ახალი მაგალითი მოიშველია მის გასამყარებლად. ჩვენი თვალსაზრისისთვის ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ერთი სვანურ-ქართული დაპირისპირება (ჩუხუა 2000-2003: 424):

ბქ. ჰერდეღ, ქს. ჟერდეღ („ერთგვარი მხალი, გრძელღეროიანი, მომყავო“): ქართ. წერთხალ-ი || წართხალ-ი („ხაქოლი, ერთგვარი მცენარე“).

საყურადღებოა, რომ ეს მონაცემი არსენ ონიანს ბალსზემოური დიალექტისთვისაც აქვს დასახელებული, ოღონდ -ა- გახმოვანებით (ჰარდლი — კალა, მულახი, შდრ. ჰარდეღ — ბეჩო). ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ ოხზივარის (ან პაპანაქების) მნიშვნელობით გვხვდება ჰარდალ ბზ., არდალ ლშზ., არდალ ლნტ., რომელიც შესაძლოა დაუკავშირდეს ჰარდეღ, ჰარდლი ლექსემებს (ამ მცენარეს, როცა მისი საღებავად გამოყენება სურთ, მაღალ ტემპერატურაზე ხარშავენ). თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ მ. ჩუხუასეული ტრანსფორმაცია ჭ ზს. > ჟ ქს., რომელიც ეწინააღმდეგება სვანური ფონოტაქტიკის წესებს, მოხსნილი იქნება, ზს. ჭ > ქს. ო კი სრულიად ბუნებრივი მოვლენაა.

საგულისხმოა, რომ დასახელებული მცენარის სახელწოდება თანამედროვე ქართული ენის მთის დიალექტებში შეიცავს როგორც სისინა, ისე შიშინა აფრიკატებს:

ხევს. წართხ-ალ-ი || წერთხ-ალ-ი || წერთხ-ალ-ა, მოხ. წერთხ-ალ-ი || ჰერთხ-ალ-ი, მთიულ. ჰერთხ-ალ-ი, ჰერთხ-ელ-ა, შდრ. სალიტერატურო ქართულის წართხ-ალ-ი (Roigonum alpinum: მრავალწლოვანი ბალახი მათიკულასებრთა ოჯახისა — აქვს თეთრი ყვავილების მტევნებით დაბოლოებული ტოტები; ღერო და ფოთლები ყვითელ საღებავად იხმარება) და თუშური წყალ-წართხ-ალ-ა („წითელი წალიკა“).

როგორც ვხედავთ, არათუ სხვადასხვა, არამედ ერთსა და იმავე (მაგ. მოხეურ) დიალექტშიც კი ერთსა და იმავე სემანტიკას გადმოსცემენ წ || ჰ ვარიანტები.

მაშასადამე, აქამდე ქართ. წ ზან. ჰ სვან. *ჰ > ჰ > ღ ფონემათ-შესატყვისობის ამსახველ მასალაში სვანურისთვის არსად ჩანდა ამოსავალი ჰ ფონემა, ხოლო წერთხალ-/წართხალ-: ჰერდელ/ჰარდელ შეპირისპირებაში ცარიელია ზანურის ადგილი, რომლის შესავსებად, ვფიქრობთ, გამოგვადგება ქართული ენის მთის დიალექტებში დადასტურებული შიშინა ჰ აფრიკატის შემცველი მონაცემები, მით უფრო, რომ მოხ., ხევს. წერთხალ-: *ზან. ჰერთხელ || ჰერთხალ სრულიად ბუნებრივი კანონზომიერების გამომხატულებაა გახმოვანების თვალსაზრისითაც.

მთის კილოებში შიშინა სიბილანტების გამოვლენა არ უნდა იყოს მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ ძველი ქართულისა და თანამედროვე ქართველურ ენათა დიალექტების პარალელურ მონაცემებს:

ძვ. ქ. მე-ყურწ-უმ-ე || მე-ყურჰ-უმ-ე „მყვინთავი“

თუშ. და-წუხ-ვა, ძვ. ქ. და-წუხ-ვა || და-ხუჰ-ვა < *და-ჰუხ-ვა

ძვ. ქ. სი-ჩხინ-ტ-ე, შდრ. ცხიმ-ი

მესხ. წირ-ან-ი „ჰერ-ამ-ი“

გურ., იმ. ზაბ-უნ-ი, ქართლ. ჟაბ-უნ-ი/ჟაბ-ა-ჟუბ-ი

(შდრ. გურ., იმ. ჟაჟ-უნ-ი) „ცემა“

წვეთ-ებ-ა, გურ. ჰუვართ-უნ-ი

სუსხ-ვა, გურ., იმ. შუშხ-ვა

ზარნაშო, გურ. ჟარნაჟო

აქ. ძიძგ-აჟ, გურ. ჰიჰგე-ი

მესხ. ზორზალ-ი, ჟრჟოლ-ა

ქართ. ჰიხვ-ი, მეგრ. ძიხვ-ი, მაგრამ: ლაზ. ჰიხვ-ი

სვან. ლგ-ფინცხ-ლ-აჷ-ე (ლზმ.)/ლგ-მგჩხ-ლ-აჷ-ე

(ბზ.) „ღამსხვერული“

ზს. ლზმ. ჩხირ / ლზმ. ცხირ „ჩხირი, ხიწვი/ხიჭვი“

ფეიქრობთ, ზემოაღნიშნული სიჭრელე საერთოქართველური ფუძეენის დიფერენციაციამდელი ვითარების ამსახველი უნდა იყოს ძველ ქართულსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში. რაც შეეხება გურულის, იმერულის, აჭარულის, მესხურისა და მისთანათა შიშინა სიბილანტებს სისინების ნაცვლად ან პარალელურად, აქ, ალბათ, მთავარი წვლილი მაინც ზანურ ენას ეკუთვნის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში არც სინქრონიული ასიმილაციაა გამორიცხული საკუთრივ ქართულ დიალექტებში.

ყველაზე რთულად გვესახება ვითარება მაშინ, როდესაც ერთსა და იმავე დიალექტშია წარმოდგენილი ერთი და იმავე ძირების სისინა და შიშინა ვარიანტები:

გურ. ძირკო, ერთი მხრივ, და ჭირკო, მეორე მხრივ

გურ. ზრინვა, ერთი მხრივ, და ჟრინვა, მეორე მხრივ

იმერ. ზუნდრვა, ერთი მხრივ, და ჯუნდვრა („ძლიერი დარტყმა“), მეორე მხრივ

გურ., იმერს. წეწკილა, ერთი მხრივ, და გურ. ჭეჭკილა, მეორე მხრივ (შდრ. იმერ. ჭეჭკილა)

გურ., იმერ. ცხუნება, ერთი მხრივ, და შხუნება, მეორე მხრივ

ქიზიყ. ყბაცა, ერთი მხრივ, და ყბაჩუა, მეორე მხრივ

მოს. ვინცვა, ერთი მხრივ, და ვინჩი, მეორე მხრივ

ბზ. ლიკცე („შექრა“, შდრ. ქართ. „კეცვა“), ერთი მხრივ, და ლიკჩე („მოწყვეტა“), მეორე მხრივ

ლზმ. ჭირცაჲ კირ („მოშავო, აქერცლილი კირი“), ერთი მხრივ, და ჭერჩ („ქერცლი“), მეორე მხრივ

ქართ. ლასხიშვილი, ერთი მხრივ, და ლაშხი, მეორე მხრივ...

ასეთ შემთხვევებში, ალბათ, ვერც ექსპრესიულობაზე გავამახვილებთ ყურადღებას და ვერც ასიმილაციურ პროცესზე. უფრო მართებული იქნებოდა ჩვენი თვალთახედვა მიგვემართა კილოკაური სხვაობებისკენ.

ერთი ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემა ჩნდება როგორც ქართველოლოგთა, ისე კავკასიოლოგთა წინაშე: ცნობილია, რომ, თუ პრექართვე-

ლურ სიბილანტთა სამი რიგის თეორიიდან (გ. მაქავარიანი, თ. გამყრელიძე) ამოვალთ, ისტორიული წინასიბილანტები *ძ, *ც, *წ, *ზ, *ს ყველა ქართველურ ენაში იმავე ფონემათა სახით გვევლინებიან, შუასიბილანტები *ძი, *ცი, *წი, *ზი, *სი ქართულში გვაძლევენ სისინა ეკვივალენტებს, ზანურსა და სვანურში კი — უქანასიბილანტებს; რაც შეეხება ისტორიულ *ჭ, *ჩ, *ჭი, *ჟ (აბაშია 2003: 5; შენგელია 2006: 13-25), *შ ფონემებს, ქართულში ისინი წარმოგვიდგებიან ისევე უქანასიბილანტთა სახით, ხოლო ზანურ-სვანურში გარკვეულ ბგერათკომპლექსთა (უქანასიბილანტებს + ველარული ხშულები) შემცველობით.

ბალსზემოურად „წნელის, მათრახის, შოლტისა თუ მისთანათა დარტყმა“ გამოიხატება ლი-სხჟპ-ი მასდარით, ხოლო ბალსქვემოურ დიალექტში მას ლი-შხპ-ი შეესაბამება. იგივე ვითარებაა ქართულშიც: სალიტერატურო ენაში აღნიშნულ სემანტიკას გადმოსცემს მასდარი სხპ-უნ-ი, ხოლო შხპ-უნ-ის ერთ-ერთი მნიშვნელობა არის „ტყლაშუნი“-ც. იმერულსა და გურულ დიალექტებში კი გვხვდება სხიპ-ება; წკებ-ლ-ას გურულში შეესაბამება შხეფ-ელ-ა, ფშაურში — შხეპ-ლ-ა.

რა ვუყოთ ქართული ენის სისინა და შიშინა სპირანტების შემცველ ძირებს? — ცალ-ცალკე შევუდაროთ სვანურ დიალექტებს, თუ როგორ მოვიქცეთ?!

ასეთი მასალა არაერთია! ეს პრობლემა ეხება კავკასიურ ენებსაც. წინააღმდეგობა ვერ მოიხსნება ვერც მაშინ, თუ სიბილანტთა მხოლოდ ორი რიგიდან ამოვალთ. ხშირ შემთხვევაში, ალბათ, წინარექართველური ენის სხვადასხვა სავარაუდო დიალექტური მონაცემებიც უნდა გავითვა-ლისწინოთ.

არც მაშინ წყდება იოლად პრობლემა, როცა აღმოსავლურ ქართულში, განსაკუთრებით კი მთის დიალექტებში, მოსალოდნელი სისინა ფონემის ნაცვლად შიშინა გვაქვს:

მთიულ. ჭონჭი || ჭენჭი || ჭინჭი („ძონძი“);

ფშ., მთიულ.-გულ., ქართლ., მესხ. დაჭოჭვა, შდრ. გურ. დაწუნწვევა („წყლის მისხმა, დასველება“);

მობ. შკამი („სკამი“);

ქიზ. ჭუჭუა („ძუძუა“)...

თითქოს გასაოცარია, მაგრამ თუშურსა და ფშაურ დიალექტებში შეიძლება შეგვხვდეს ნათესაობითი ბრუნვის მორფემის შიშინა ვარიანტიც კი ლექსემაში **კუშტავი**, **კვიშტავი**, შდრ. მთიულ. კვირტავი („კვირისტავი“).

სპეციალურ ლიტერატურაში (Fähnrich 1991: 17) სვანური **ლი-ცინცჳრე** („ფლეთა, ცრეცა“) დაკავშირებულია ქართულ **ცინცვლა**-სთან, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ გაცილებით ადვილია მისი შესატყვისობის დაშვება იმერულ, გურულ და მესხურ დიალექტებში დადასტურებულ **ჩინჩი**-ძირთან (**ჩინჩვა** — „ცრეცა, ძენძვა“), როგორც ფონემატურ-სტრუქტურული, ისე სემანტიკური თვალსაზრისით. ჩვეულებრივ, ლეჩხუმური ძირები იმეორებენ ხოლმე სვანურს, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი ჩვენება (**ჩიმჩი-ვა** „დაჩრჩილვა“) ქართული ენის დიალექტთა შიშინა ვარიანტებს ასახავს და, ბუნებრივია, სვანურ **ჩიმჩი-ჰა** („ჩრჩილი“)ს უფრო უკავშირდება, ვიდრე სალიტერატურო ქართულის **ჩრჩი-ლ**-ს.

მოსალოდნელი სისინას ნაცვლად შიშინა ფონემის არსებობა ხშირად შესაძლოა აიხსნას პოზიციურ-კომბინატორული წესების მიხედვით ქართველურ ენებში, მაგრამ არა ყოველთვის! საგულისხმოა, რომ, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მთის კავკასიურ ენათა უმრავლესობა (33-დან დაახლოებით 20) ე. წ. „სისინა ჯგუფისაა“, ქართველურ ენათა შორის კი სხვაგვარი განაწილებაა: თუ აკად. ნ. მარის ტერმინოლოგიას მოვიშველიებთ, ე. წ. „შიშინა ჯგუფის“ ენები მეტია, ვიდრე „სისინა ჯგუფისა“ — დღემდე არსებული კომპარატივისტული გამოკვლევების მიხედვით.

სამწუხაროდ, ცხოველთა, ფრინველთა და მცენარეთა ამსახველი ლექსიკა ძალზე მწირად არის წარმოდგენილი ქართველოლოგიურ ლექსიკონებში. თუ საგანგებოდ შევისწავლით ამ თვალსაზრისით მთიან სამეგრელოს, შესაძლოა აქ აღმოჩნდეს კიდევც **ხაქოლი** (**წართხალი**)ს აღმნიშვნელი ლექსემა (**ჭ** აფრიკატის შემცველი).

სპეციალური დაკვირვებების (ხოჭოლავა 2000: 418) მიხედვით, „ქართული ენის კილოურ მონაცემებში საკმაოდ ხელშესახებია ზანიშმები მცენარეთა სახელწოდებებში. ივარაუდება, რომ მეგრული წარმომავლობის სიტყვები მეტწილად სუბსტრატულია... არაერთი სახელწოდების ეტიმოლოგია (ასევე მოტივაციის საფუძველი) გამკვირვალე ხდება მხოლოდ ზანურ მონაცემთა გათვალისწინებით. ამასთანავე, დასტურდება ისეთი

შემთხვევებიც, როდესაც ესა თუ ის ზანური წარმოშობის სახელწოდება არ ჩანს არც მეგრულში და არც ლაზურში, მაგრამ დაცულია ქართული ენის რომელიმე დიალექტში“.

ძველ საქართველოში ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ რეგიონს უწოდებდნენ **ქართ-ალ-ეთ**-ს (შდრ. სოფ. **ქართ-ალ**-ი ახმეტისა და დუშეთის რაიონებში, აგრეთვე **ქარტ-ალ**-ი ხარაგაულის რაიონში). რაკი ჩვენი განსახილველი ბალახი თუ მცენარე, როგორც ჩანს, მხოლოდ მთაში ხარობს, მოსალოდნელია, რომ ამ ტოპონიმშიც იყოს ასახული მისი სახელწოდება (< ***წართხ-ლ-ეთ-ი?**). ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ქედის მწვერვალთა მასივის სახელწოდება **ჭუთხარო** (ქართულად) ან **ჭითხარი** (სვანურად), რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში (ონიანი 1998: 4) დაკავშირებულია **წუთხალ**-თან (მნიშვნელობის მიუთითებლად). **ჭითხარი** შესაძლოა **წართხ-ალ/წუთხ-ალ**-ის ძირთა სვანურ პირველად (შიშინა მკვეთრი აფრიკატის შემცველ) შესატყვისად წარმოვიდგინოთ (რ სონორის ინლაუტში დაკარგვა ჩვეულებრივი მოვლენაა ქართველურ ენებში). მაშასადამე, ჩვენი ვარაუდის შედეგი ასეთ სახეს იღებს:

ქართ. **წერთხ-/წართხ-/წუ^რთხ-** ზან. **ქართ^ხ** > **ჭერთხ-** (ქართულ მთის კილოებში დადასტურებული): სვან. ***ქართხ-** > ***ჭერთხ-** > ***ჭერთ-** > **ჭერლ-** (ზოგ დიალექტში) ან ***ჭერთხ-** > ***ჭირთხ-** > **ჭითხ-** (სხვა კილოებში).

ე > ი პროცესისათვის სვანური ენის დიალექტებში შდრ.: ზს. **ნებჭუა** და **ლშხ. ნიბჭუა**, **ლნტ. ნიგობა**.

რაკი ამოსავალი ფონემათშესატყვისობით წარმოდგენილ მონაცემებში ზანური და სვანური ერთმანეთს დაემთხვა, ამიტომაც ამ უკანასკნელმარიგ დიალექტებში გაიჩინა მეორეული (**ჭ** თანხმოვნის შემცველი) შესატყვისობა, ხოლო ქვემოსვანურში, რომელშიც, ალბათ არც არასდროს ყოფილა ხორხისმიერი ფშინივიერი ბგერა, გარკვეული ფონეტიკური პროცესების (ე > ი, რ სონორის დაკარგვა) შედეგად მივიღეთ ზანურისგან განსხვავებული ძირი, ოღონდ პირველადი **ჭ** (ქართული **წ** ფონემის შესატყვისი) არ შეცვლილა (**ჭითხ-**).

ე. ი. ჩვენმა ჰიპოთეზებმა ქართ. **წ**: ზან. **ჭ**: სვან. **ჭ** > **ჭ** > **ღ** შესატყვისობაში ქართ. **წართხ-ალ** ფუძეში წარმოდგენილი ძირის ცარიელი ადგილიც შეავსეს ზანურში, ხოლო სვანურში **ჭ** აფრიკატს „ვარსკვლავი“

მოსხნეს — მართალია, ძალზე რთული გარდაქმნებით, მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც მივაკვლიეთ მეორეულ შესატყვისობათა ამოსავალ დადასტურებულ ვითარებას სვანურში.

სულ ახლახან ჩვენი ყურადღება მიიქცია მ. ჩუხუას ერთმა მეტად საინტერესო, თუმცა საკმაოდ პრობლემატურმა დაკავშირებამ (ჩუხუა 2004: 118-119). ესაა:

ქართული (ზემოაჭარ.) წაბლ-ა-ღ „თეთრი ჭიშის გოგრა“;

ზანური (ჟან.) ჭაბ-უ „თეთრი ფითრი“.

სვანური (ჩუბეხ.) ჭაბ-რ „თეთრი ფითრი“

სირთულე ჩნდება ძირისეულ ხმოვანთან დაკავშირებით ზანურში ისევე, როგორც ქართ. წამ-ალ-ი: ზან. (ჟან.) ჭამ-ი შეპირისპირებათა შემთხვევაში — მოსალოდნელი -ო- ხმოვნის ნაცვლად გვაქვს -ა-; ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ მ. ჩუხუა სვამს ძალზე- სერიოზულ კითხვას: „რატომ არ მოხდა ა → ო გარდაქმნა?! იქნებ საერთოქართველურ ენაში ამოსავალი ვოკალი იყო ე და არა ა?“ საკითხი შემდეგ კვლევა-ძიებას საჭიროებსო — განაზავს გამოკვლევის ავტორი და პირობითად (ხაზი ჩვენია — ი. ჩ.) აღადგენს *წებ-ლ- არქეტიპს.

საგულისხმოა, რომ ქართული ენის გურულ დიალექტში (რომელიც ძალიან ახლოს დგას აჭარულთან), იმერულსა და ლეჩხუმურ კილოებში დადასტურებულ ლექსემას ხოკ-ერ-ა („სქელკანიანი გოგრა“) შეესაბამება წებ-არ-ი (მყააშვილი 1961: 315), რომელშიც დაცულია სწორედ ქართველურ ენათა მონაცემების ამოსავალი -ე- ხმოვანი. გარდა ამისა, მისი -არ- სეგმენტი, რომელიც სუფიქსი ჩანს, შესაბამისობაში მოდის სვანური ენის ბალსქვემოური დიალექტის ჩუბეხური კილოკავის ჭაბ-რ ფორმასთან. ასე რომ წებ- ძირი აღსადგენი აღარ იქნება და მ. ჩუხუას საანალიზო დაკავშირება ჩადგება პირველად ფონემათშესატყვისობათა ქართ. წ ზან. ჭ სვან. ჭ რიგში.

რაც შეეხება ნ. მარისეულ (ქართ. წაბ-ლ-ი ზან. ჭუბ-ურ-ი სვან. ჭებ — Mapp 1914: 3-4) ან ვ. თოფურიასა (თოფურია 1979: 191) და არნ. ჩიქობავას (ქართ. ბალ-ი ზან. ბულ-ი სვან. ჭ-ე-ბ / ჭებ — ჩიქობავა 1938: 122) დაკავშირებებს, აქ შესაძლოა ვიმსჯელოთ მეორეული ფონემათშესატყვისობის შესახებ, რომელიც საერთოქართველური ენის განვითარების შედეგებით გვიანდელი პერიოდისთვის უნდა ყოფილიყო და-

მასახიათებელი. იმდენად რთული აღმოჩნდა საქმის ვითარება, რომ 1995 წელს გერმანიაში (გერმანულ ენაზე) და 2000 წელს საქართველოში (ქართულ ენაზე) გამოცემულ პ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ ბალ- ძირთან სვანური ეკვივალენტი არაა ნაჩვენები და აღნიშნულია, რომ იგი ნასესხებია ჯერ კიდევ ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე. მიუხედავად ამისა, 2002 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში "Kartwelische Wortschatzstudien", პ. ფენრიხი კვლავ უბრუნდება სვანურ ჰებს, უკავშირებს მას ზემოხსენებულ ლაზურ ჰებს („თეთრი ფითრი“) ძირს და საერთოქართველურ დონეზე აღადგენს ტებ- არქიმორფემას, სადაც ანლაუტში ლატერალური ფონემა ივარაუდება.

ამრიგად, დიდი სიფრთხილე და ძალზე სკრუპულოზური სტრუქტურულ-სემანტიკური რეკონსტრუქციებია საჭირო პირველად და მეორეულ ფონემათმესატყვისობათა ურთიერთმიმართებების კვლევისას. თუ გავიზიარებთ სპეციალურ ლიტერატურაში (სუხიშვილი 1985: 134) გამოთქმულ მოსაზრებას ძველი ქართული მ-რწ-ემ-ი („უმცროსი“) და სვანური მე-ჰემ („მიმდევარი“) ლექსემების ძირთა დაკავშირების შესახებ, მაშინ საქმე გვექნება პირველად ფონემათმესატყვისობაასთან, ხოლო, თუ ძველ ქართულ მონაცემებს სხვა სეგმენტაციით წარმოვადგენთ (მ-რწ-ემ-ი, უ-მ-რწ-ემ-ე-ე) და მათ შევუპირისპირებთ სვანურ მა-ჰურ-ენ-ე < *მა-რჰურ-ენ-ე („უმცროსი“) ლექსემას, მაშინ უკვე უნდა ვიმსჯელოთ მეორეულ ფონემათმესატყვისობაზე.

Toward the interrelation of primary and secondary phonemes correspondences in the Kartvelian languages

S u m m a r y

Georg. ც: Zan ც: Svan *ჯ > ხ > Ø phonemes correspondence still stands out by problematic nature, as firstly, different researches (N. Marr, V. Topuria, G. Rogava, T. Gamkrelidze, G. Machavariani, G. Klimov, H. Fähnrich, M. Chukhua) suppose different archi-phonemes (*c₁ *c₂ or tã) in origin and secondary – for Svan only the material reflecting a secondary, transitive stage

(**h** > **Ø**) has been obtained. Since the data containing primary **ç** phoneme has not been attested in Svan an analytical correspondence was considered to be doubtful in special literature (Z. Sarjveladze).

Recently on this correspondence was focused special attention by M. Chukhua who brought many examples in order to confirm it. For my standpoint I consider to be noteworthy one Svan-Georgian opposition:

LB **herdel**, LS **erdel** ("kind of edible greens, with a long stalk, slightly sour");
Georg. **çertxal-i** / **çartxal-i** ("alpine knotweed, a kind of plant).

It is noteworthy, that Arsen Oniani brought these data even for Upper Bal dialect, but with **-a** vowel (**hardli** – Kala, Mulakhi, cf.: **hardel** – Becho). In V. Topuria and M. Kaldani's "Svan dictionary" **hardal** (UB), **ardal** (Lashkh), **ardal** (Lent.) occur with the meaning of "heat haze" (scorching heat) and which could be connected with **hardel** / **hardli** lexemes (when this plant is needed for paint it is boiled on high temperature). If my supposition is right then M. Chukhua's transformation **h** US > **w** LS that opposes Svan phonotactic rules will be cancelled. US **h** > LS **Ø** is a natural phenomenon.

It is noteworthy, that the name of the mentioned plant includes whistling as well as hushing affricates in the mountain dialects of modern Georgian:

Khevs. **çartxal-i** // **çertxal-i** // **çertxal-a**, Mokh. **çertxal-i** // **çertxal-i**; Mtiul. **çertxal-i**, **çertxal-a** cf.: literary Georgian **çartxal-i** (*Polygonum alpinum*: perennial knot-grass of Polygonaceae family – with branches ending with bunches of white flowers: its stalk and leaves are used as yellow paint).

As it is seen, **ç** // **ç** variants express the same semantics not only in different dialects but even in same (e. g. Mokhebian) ones.

Thus, till now for Svan an initial **ç** phoneme was not observed in the material reflecting Georg. **ç**: Zan **ç**: Svan. ***ç** > **h** > **Ø** phonemes correspondence and in **çertxal-çartxal-**: **herdel/hardel** opposition a place for Zan is empty for filling of which, I think is suitable the data containing a hushing **ç** affricate that was attested in the mountain dialects of Georgian, especially Mokh., Khevs. **çertxal-**: *Zan **çertxal** / **çertxal** demonstrate natural regularity even from voicing standpoint.

Manifesting of hushing sibilants in the mountain dialects should not be unexpected if we take into account parallel data of old Georgian and the dialects of the modern Kartvelian languages:

I consider, that abovementioned diversity should reflect pre-differentiate period of Common Kartvelian parent language in old Georgian and in the mountain dialects of East Georgia. As regard hushing sibilants instead of or in parallel with whistling ones in Gurian, Imeretian, Ajarian, Meskhurian and so on in this case a

main contribution still belongs to Zvan, though in some cases neither synchronic assimilation is excluded in prop. Georgian dialects.

Unfortunately, the vocabulary reflecting animals, birds and plants is poor in the Kartvelological dictionaries. If mountainous Samegrelo is especially studied from this view, it is possible that a lexeme (containing $\check{\text{c}}$ affricate) expressing *xakoli* ($\check{\text{c}}\text{artxali}$) would occur.

In old Georgia one of regions of the North Caucasus was called $\check{\text{c}}\text{art-al-}^{\text{r}}\text{et}^{\text{r}}$ (cf.: village $\check{\text{c}}\text{art-al-i}$ in Dusheti region). As it is seen since an analytical plant or grass grows only in mountain, it is expected that its name ($\langle * \check{\text{c}}\text{artx-l-et-i?} \rangle$) would be reflected in this toponym.

From this view, the name of massif of peaks of ridge of Svaneti and Racha-Lechkhumi $\check{\text{c}}\text{utxaro}$ (in Georgian) or $\check{\text{c}}\text{utxal}$ (in Svan) is noteworthy and is linked with $\check{\text{c}}\text{utxal}$ (without pointing of meaning) in the special literature (Al. Oniani); $\check{\text{c}}\text{itxari}$ could be considered to be a Svan primary correspondence (containing a hushing affricate) of $\check{\text{c}}\text{artx/al}/\check{\text{c}}\text{utx-al}$ roots (lossing of *r* sonor in inlaut is a natural phenomenon in the Kartvelian languages). Thus, a result of my supposition is thus:

Georg. $\check{\text{c}}\text{ertx-}/\check{\text{c}}\text{artx-}/\check{\text{c}}\text{u}^{\text{r}}\text{t}^{\text{r}}\text{x-}$: Zan $\check{\text{c}}\text{art}^{\text{r}}\text{x}^{\text{r}}$ > $\check{\text{c}}\text{ertx-}$ (attested in the mount. dialects of Georgian) : Svan $* \check{\text{c}}\text{artx-}$ > $* \check{\text{c}}\text{ertx-}$ > $* \check{\text{c}}\text{ert-}$ > *herd-* (in some dialects) or $* \check{\text{c}}\text{ertx-}$ > $* \check{\text{c}}\text{irtx-}$ > $\check{\text{c}}\text{itx-}$ (in other sub-dialects). For $\text{e} > \text{i}$ process in Svan dialects cf.: US *nebgwa* and Lashk. *nibgwa*, Lent. *nigoba*.

As in the data represented origin phonemes correspondence Zan and Svan coincided to each other, due to it in some Svan dialects a secondary correspondence (containing of *h* consonant) appeared and in Lower Svan in which a laryngeal aspirated sound is possible it has never occurred, as a result of certain phonetic processes ($\text{e} > \text{i}$, losing of a *r* sonor) there occurred a root different from Zan, but primary $\check{\text{c}}$ (correspondence of Georgian $\check{\text{c}}$ phoneme) was not changed ($\check{\text{c}}\text{itx-}$).

Thus, my hypothesis on Georg. $\check{\text{c}}$: Zan $\check{\text{c}}$: Svan $\check{\text{c}} > \text{h} > \emptyset$ correspondence in Zan even filled an empty place of a root represented in Georg. $\check{\text{c}}\text{artx-al}$ stem, as for in Svan an "asterisk" was moved from $\check{\text{c}}$ affricate – though through complicated transformations, but, I think, an origin attested situation of secondary correspondences has been researched in Svan.

ფონემატურ შესატყვისობათა დამატებითი საილუსტრაციო მონაცემები ქართველურ ენებში

თავის დროზე ეთნონიმი **სომეხ**-ი და მეგრული გვარი **შომახ**-ია ბაქარ გიგინეიშვილმა ერთმანეთს დაუკავშირა, რაც ფონემატურ შესატყვისობათა კანონებიდან ამოსვლით, ძირითადად, დამაჯერებელია (გიგინეიშვილი 1975). თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ სვანურის ლაშხურ დიალექტში დადასტურებულია **შამახ**-ია-ე („მეტად შავგვრემანი“ — დონდუა 2001: 330) ფორმა, მაშინ ეს ფუძე ყველა ქართველურ ენაში კანონზომიერი შესატყვისებით იქნება წარმოდგენილი. სვანურის მიხედვით ქართულშიც **-ა**-ხმოვანი აღდგება (შდრ. **სვამეხ**-ი ლელთ ლუნისას მეტყველებაში ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან“), რომლის ფონემატური ანარეკლია მეგრული **ო**). თუ არარატის ძველი სახელწოდებიდან („მასის მთა“) ამოვალთ, მაშინაც **-ა**- ხმოვანია სავარაუდო (***სო-მას-ხ > *სო-მეს-ხ > სომეხ-ი** — ნ. მარი ან ***მას-ხ > *სამ-ხ > *სომხ-ხ** — ფუტკარაძე 2005: 156).

კარგა ხნის წინ არლი თაყაიშვილმა გამოთქვა ძალზე ფრთხილი ვარაუდი **ქვა** ლექსემის ფონოლოგიური დაკავშირების შესახებ იმავე სემანტიკის სვანურ სიტყვასთან (ბზ., ლნტ. **ბჰჩ**, ლშხ. **ბეჩ**):

***ბაჰავ > *ბაჩჰ > *ბაჩჰ > ბჰჩ**, რაც ძნელად სარწმუნოა (თაყაიშვილი 1966: 243-250).

ბჰჩ ფუძის არქეტიპად ივარაუდება ***ბეჩა** (> ***ბჰჩა > ბჰჩ** — ვ. თოფური, მ. ქალდნი), შდრ. ნათ. ბრ. **ბჰჩაშ < *ბჰჩა-აშ < *ბჰჩაიშ** „ქვ-ის“, ამიტომაც მას ვერ დაუკავშირდება ზემო სვანეთის ერთ-ერთი სოფლის (**ბეჩო > ბეჩჰი**) სახელწოდება. მით უფრო, რომ ლექსემა **ბეჩო** დღეს თავად სვანურში გამოიყენება „დათვის ბუნაგის“ მნიშვნელობით: ლშხ. სგა ღვრი ლელუნთად დემდუ მიჩა ლარდა **ბეჩოთჰა < ბეჩო-თე-ისა** (სვ. პროზ. ტ., IV, 1979: 12, 21) — „შედის საზამთროდ დათვი თავის სამყოფ ბუნაგში“.

არსებითად იმავე სემანტიკისაა ქართული ენის ლეჩხუმურსა და იმერულ დიალექტებში დადასტურებული **ბეჩო**ც:

- ა) დათვის ბუნაგი გამოქვაბულში (მ. ალაიძე, მ. ჩიქოვანი);
- ბ) თევზისა და კიბოს საბუდებელი ღრუ ადგილი მდინარეში (ვ. ბერიძე).

ვერ გავიზიარებთ სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ ტოპონიმ ბათომის გა-
აზრებას „კლდოვან, ქვიან ქალაქად“, მის ორსეგმენტოვან ფუძედ დაშლას
და პირველი კომპონენტის (ბათ-) დაკავშირებას სვანურ ბაჩთან.

Additional illustrative data of phonematic correspondences in the Kartvelian languages

S u m m a r y

At some time Bakur Gigineishvili connected an ethnonym *somex-i* and
Megrelian *šomax-ia* to each other that according to the laws of phonemes
correspondence is mainly, convincing (Gigineishvili 1975). If we remember, that in
the Lashkian dialect of Svan a form *šamax-ia-j* ("too swarthy" – Dondua 2001:
330) is attested then this stem will be represented with regular correspondence in all
Kartvelian languages.

A long time ago Arli Taqaishvili expressed a cautious supposition on
phonological connection of a *kva* lexeme with a Svan word of the same semantics
(UB., Lent. *bāč*, Lashkh. *beč*).

**bakav > *bačāw > *bačw > bāč* is not extremely trustworthy.

**beča* /(> **bāča > bāč* – V. Topuria, M. Kaldani) is supposed to be an arche-
type of *bāč* stem, cf.: gen. case *bāčāš* < **bāčā-jš* < **bāčaiš* "of a stone", owing to
this the name of one village of Upper Svan (*bečo > bečwi*) can not be connected
with it. Moreover, in Svan the lexeme *bečo* is used with the meaning of "a bear's
den": Lashkh.: *sga γəri lcluntad dešdw miča larda bečotējsa* < *bečo-te-isa*
(Sv. prose, v. IV, 19..., 12: 21) – "In winter a bear enters its den".

Basically *bečo* attested in the Lechkhumian and Imerian dialects of Georgian
is also of same semantics:

- a) a bear's den in a cave (M. Alavidze, M. Chikovani);
- b) a cavity dwelling place for a fish and crab (V. Beridze).

I can not share Simon Qaukhchishvili's interpretation on a toponym *batom*
as "a rocky, stony town", its decompositing into two-segmented stem and
connecting of the first component (*bat-*) with Svan *bāč*.

თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსის ამოსავალი ვითარებისათვის ქართველურ ენებში

ჰარმონიული კომპლექსები წარმოადგენენ ქართველურ ენათა ფონოლოგიური სისტემის მახასიათებელ სპეციფიკურ ელემენტებს, ამიტომაც ისინი, ჩვეულებრივ, სტაბილურობით გამოირჩევიან ქართულში, სვანურში, მეგრულსა თუ ლაზურში, თუმცა მონაწილეობენ ფონემათშესატყვისობებშიც გარკვეული ვარიაციებით; სავარაუდოა, რომ **კომპლექსთა კომპონენტებს შორის ქართველურ ფუძეენაში რაღაც ხმოვანიც უოფილიყო.**

ამჯერად განვიხილავთ **ფხ-** კომპლექსს და ჩვენი დებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შესაბამის მაგალითებს ქართული და სვანური ენებიდან:

ა) ქართული ენის ფშაურსა და ხევსურულ დიალექტებში გვხვდება **-ფხრ-** ძირის შემცველი ლექსემები: **ფხრ-ე** („ღია“), **გა-ფხრ-ევ-ებ-ა** („გაღება“), რომლებიც ჰაინც ფენრიხმა დაუკავშირა სვანურ **ფხერ-ა**, **ლი-ფხერ**, **ლი-ფხრ-ე** („თვალის გახელა“) ფუძეებს (Fährnich 2002: 33; 2007: 452).

ბ) ჩვენ ვფიქრობთ, რომ როგორც ქართულ, ისე სვანურ ლექსემათა **-ფხ-** ძირი შეიძლება დავუკავშიროთ ქართ. **და-ფახ-ულ-ებ-ა**, იმერ. **ფახ-ურ-ი**, **და-ფახ-ურ-ებ-ა** ფუძეებსაც. ვვარაუდობთ, რომ სვანური ლექსემა თავის დროზე „თვალს“ აღნიშნავდა (შდრ. თანამედროვე **ფხულე** „თითი“). ასე რომ, **ფხ-ულ-ე < *ფახ-ულ-ე < *ფახ-ულ-ე-ა < *ფახ-ულ-ე-ი < *ფახ-ულ-ა-ი**. იმავე პროცესებს ვგულისხმობთ უშგულური **ფხ-ოლ-ე**’ს შემთხვევაშიც. ამ ძირში რომ **-ა-** ხმოვანია საგულვებელი, კარგად ჩანს ლაშხური **ფოხ** („თითი“) ვარიანტიდან, რომელიც ***ფახ-** ძირისგან უნდა მომდინარეობდეს ანლაუტის ლაბიალურ ფონემასთან კონტაქტის შედეგად. საყურადღებოა ლენტეხური **ფხ-წილ-ე**’ც, რომელშიც **უ** ხმოვნის უმლაუტი (**-წი-**) გამოუწვევია მეორეულ **-ე** ხმოვანს, რაც სვანური ენის ამ დიალექტისთვის სრულიადაც არაა უცხო მოვლენა: ***ფახ-ულ-ა-ი > *ფახ-ულ-ე-ი > *ფახ-ულ-ე-ა > *ფახ-ულ-ე > ფხ-ულ-ე > ლნტ. ფხ-წილ-ე** (შდრ. ფუტყარაძე 2005: 294).

გ) მერაბ ჩუხუა სვანურ **ფხერა**’ს უკავშირებს ქართულ **-მხელ-/ -მხილ-** ფუძეებს (შდრ. **ა-მხელ-ს**, **ა-მხილ-ა**, **მა-მხილ-ებ-ელ-ი**, **სა-მხილ-ი**) და მიაჩნია, რომ ამოსავალია სონორი **ლ** (ჩუხუა 2000-2003: 246).

Towards the initial picture of harmonic complex of consonants in the Kartvelian languages

S u m m a r y

Harmonic complexes are specific elements characteristic of a phonological system of the Kartvelian languages. Owing to it they usually are distinguished by stability in Georgian, Svan, Megrelian and Laz, though they take part in phonemes correspondences in certain variations. It is assumed, that there should have been a vowel among complex components in a Kartvelian parent language.

At present I will discuss *px-* complex and bring relevant examples from Georgian and Svan in order to illustrate my proposition:

a) In the Pshavian and Khevsurian dialects of Georgian there occur the lexemes containing *-pxr-* root: *pxr-e* "open", *ga-pxr-ev-cb-a* "to open". Heinz Fähnrich connected these lexemes with Svan stems *pxēr-a*, *li-pxer*, *li-pxr-c* "opening an eye".

b) I believe, that a *-px-* root of Georgian as well as Svan lexemes could be linked with Georg. *da-pax-ul-eba*, Imer. *pax-ur-l*, *da-pax-ur-cb-a*, (Ushg.) stems. I suppose, that at some time Svan lexeme denoted "an eye" (cf.: modern **titi* "finger"). Thus, *px-ul-e* < **pax-ul-e* < **pax-ul-e-j* < **pax-ul-e-i* < **pax-ul-a-i*. I suppose the same processes in Ushgulian *px-ol-e*. The fact that in this root *a-*vowel is supposed is clearly seen from Lashkhan *pox-* "finger" variant and that should have been originated from **pax-* root. Lentekhan *px-wil-e* is also noteworthy in which an umlaut of a *u-* vowel (*-wi-*) was caused by a secondary *-e* vowel that is not unfamiliar for this dialect of Svan: **pax-ul-a-i* > **pax-ul-e-i* > **pax-ul-e-j* > **pax-ül-e* > **px-ul-e* > Lent. *px-wil-e*.

c) Mr. M. Chukhua connects Svan *pxēra* with Georgian *-mxel-/mxil-* stem (cf.: *-a-mxel-s*, *a-mxil-a*, *ma-mxil-cb-el-i*, *sa-mxil-i*) and considers, that a sonor phoneme is initial (Chukhua 2000-2003: 246).

ძირის სემანტიკური ვარიაციები ქართველურ ენებში

„სხვადასხვა ჯგუფის ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისას ამოსავალი ენობრივი სტრუქტურების შინაგანი თუ შედარებითი რეკონსტრუქციის თვალსაზრისით, იმთავითვე არსებითი ყურადღება მიექცა სიტყვის პირველადი ფუძის (resp. ძირის) აგებულების, მისი გენეზისის ფორმალურ და სემანტიკურ საფუძვლებს... ხშირად ის, რაც მონათესავე ენების მონაცემებით პერსპექტივის სახით იკვეთება, სრულიად ადვილად იკითხება რეტროსპექტული თვალსაზრისითაც“ (არაბული 20001: 309, 319).

თანამედროვე ქართველურ ენებში **დეგ-** > **ღგ-** > **-გ-** ძირი პოლისემიურობით გამოირჩევა. ამჟერად ჩვენი ყურადღება მიიქცია მისმა სამმა მნიშვნელობამ („დგომა; აგება“ და „დაბრმაგება“), რომელთაგან მესამე ალევორიული ხასიათისა ჩანს.

პირველი სემანტიკური მახასიათებელი თავის დროზე გაანალიზეს: მოსე ჭანაშვილმა, გერპარდტ დეეტერსმა, არნოლდ ჩიქობავამ და გიორგი კლიმოვმა, ხოლო პაინც ფენრიხმა და ზურაბ სარჯველაძემ **დეგ-/ღგ-** ძირი ამ მნიშვნელობით ივარაუდეს მხოლოდ ქართულ-ზანურ ენათა ერთიანობის ეპოქისათვის (ფენრიხი-სარჯველაძე, 1990: 98-99). მოგვიანებით ზურაბ სარჯველაძემ ცალკე წარმოადგინა ამ ძირის მესამე ნიუანსი („დაბრმაგება“), დაუკავშირა ის „ქრობის“ აღმნიშვნელ სვანურ ლი-**დეგ** (ენებ. გვ.), ლი-**ღგ**-ე (მოქმ.გვ.) მასდარებსა თუ მათგან მომდინარე პირიან ფორმებს და დასვა საკითხი ორი ომონიმური **დეგ-/ღგ-** ძირის ურთიერთმიმართების შესახებ (სარჯველაძე, 1999), მაგრამ შემდეგ ამაზე მსჯელობა აღარ გაუგრძელებია.

გიორგი კლიმოვისთვის ლი-**გემ** („ა-გ-ებ-ა, აშენება“) მომდინარეობს პრექართველური ***ღგემ**: **ღგემ** არქიტორმისაგან, რომელიც იმთავითვე ნიშნავდა „დგომა“ს“ (შდრ. მეგრული **ღგ-უმ-ა** „დადგმა“, ლაზური **ღღ-ღგ-ინ-უ** „დადგომა“; „გაჩერება“, სვანური ლი-**გნ-ე** < **ღნტ**. ლი-**გენ-ე** „დგომა, გაჩერება“).

ვეიქრობთ, რომ **-ომ**, **-უმ**, **-ემ**, **-ენ**, **-ინ** ქართულ-ზანურ-სვანურში ისეთი სუფიქსებია, რომლებიც საერთოქართველურ ენაშივე უნდა არსებულებოდა, ხოლო **დეგ-** > **ღგ-** > **-გ-** ვარიანტები ოდითგანვე უნდა გვექონოდა.

მათ შორის ისეთივე მიმართება შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ქართული **ა-ღგ-ილ-ა-ლა-გ-** ფუძეების (ამგვარი დისტრიბუციისათვის იხ. ი. ყიფშიძე, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ჰ. ფოგტი, მ. ბერიძე) შემთხვევაში; შდრ. გურ., იმერ., ლეჩხ., მეგრ. **ა-რ^აღ^ა-ილ-ი**, ზემოსვან., **ლნტ. ა-ღგ-ილ**, ქვემოსვან. **ა-ღგ-ილ-ა-რგ-ილ** „ადგილი“, **ლნტ. ა-რგ-ილ** „სალოცავი ადგილი“, უშგ. **ა-რგ-ი-ს**, ზს., **ლნტ. ა-გ-ი-ს** „შინ“, ჩოლ. **უ-რგ-ილ ა-გ-ი-ს** „უადგილო ადგილას“, ბზ. **ა-რგ-ლ-იშ-არ/აგ^ან^აშარ** < ***აღგ^ან^აშარ** < ***ა-ღგ-ი-იშ-არ** < ***ა-ღგ-ილ-იშ-არ** < ***ა-ღგ-ილ-იშ-არ-ე** „სახლეულის, შინაურები, ოჯახის წევრები“ < ქართ. „**ა-ღგ-ილ-ის-ან-ი**“; უშგ. **ნა-ი-რგ-ილ-უ**, **ლშხ. ნა-რგ-ილ** „შინაური < „**ნა-ა-ღგ-ილ-ევი** (ცხოველი ან ფრინველი)“, ბქ. **ლა-ნა-გ/ნა-ნა-გ** „დედულეთი“ (< „**სა-დე-ლო ადგილი**“, შდრ. ზს. **ნანა** „დედა, ბებია“ + **ა-გ-ი** „ადგილი“). როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, ძველ ქართულ წერილობით ძეგლებსა და თანამედროვე ქართველურ ენებში სონორთა ინლაუტში ჩართვა ჩვეულებრივი მოვლენაა, ასე რომ, **-რ-** თავდაპირველად ზემოაღნიშნულ მონაცემებში, ალბათ, არც უნდა ყოფილიყო.

ეგების **ღ/რ** მონაცვლეობასთანაც გვაქვს საქმე?! — შდრ. ქართ. **სა-ღგ-ის-ი** — სვან. (ჩოლ.) **სა-რგ-ის**. ეს ფუძეები თავის დროზე ქართულ-მეგრულ მონაცემებზე დაყრდნობით (სა-ღგ-ის-ი—ო-ღგ-იშ-ი) ერთმანეთს შეუპირისპირა ალექსანდრე ცაგარელმა (1880: 11), ხოლო გიორგი კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღადგინა *(ს)**ა-ღგ-ის**, არქეტები (1964: 168; 1998: 173) და მისი ძირი დაუკავშირა **ღეგ-/ღგ-'ს**. ამ შესაძლებლობას არ უარყოფენ ჰაინც ფენრიხი და ზურაბ სარაჯველაძე, თუმცა შესაბამისი ლექსემები მაინც ცალკე სტატიებადაა გამოყოფილი მათ „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ (2000: 166-168).

¹ მოსალოდნელი იყო **აგ^ან^აშარ** (შდრ. უშგ. **ა-რგ-ი** „შინ“), თუ, რასაკვირველია, ჩვენი მორფონოლოგიური ანალიზი სწორია, მაგრამ **აგ^ა** ფუძის ანლაუტი არასოდეს შეიცავს გრძელ ხმოვანს, გარდა ელიზიური შემთხვევებისა (ამ მხრივ ძალზე საგულისხმოა აკაკი შანიძის მიერ 1921 წელს მესტიაში გაკეთებული შენიშვნა: **ლაბგგ აგ^აის/ლაბგგ აგ^აის** გამოითქმის: **ლაბგაგ^აის** (განის იოტაციით. სრულად იქნებოდა: **ლაბგა აგ^აის** („სვანური პროზაული ტექსტები, I, 1939: 449). მაინცდამაინც იოტაცია რატომაც ხაზგასმული, რამდენადმე გაუგებარია, რადგანაც **ლა-ბგ-ა ა-გ-ი-ს** („სამაგრ ადგილას“) სინტაგმის შერწყმა სრულიად ბუნებრივად მოგვეცემა უმლაუტიან ხმოვანს ინლაუტში.

ძველ. ქართულში გ-ებ-ა მასდარს შვიდი მნიშვნელობა აქვს, მათ შორისაა და-ღგ-მ-ა'ც. „ღამის გასათევ ადგილს“ ბალსზემოურად ლა-გ-ნ-ა („სა-ღგ-ომ-ი“) ეწოდება, რომელსაც ბალსკვემოურ დიალექტში ლა-ს-ღგ-ომ („სა-სა-ღგ-ომ-ე“) შეესაბამება. ჩოლურულ კილოკავში „სა-ღგ-ამ-ი“ არის სა-ღგ-ამ, ხოლო „სა-ღგ-მ-ელ-ი“ — ლე-გ-ემ. „ზღურბლის“ აღსანიშნავად გამოყენებულია ლა-გ-წ-გ-ი („სა-ღგ-ამ-ი ა-ღგ-ილ-ი“).

მხოლოდ სვანურ ენაში არ დასტურდება ღგ- > ღგ- > -გ- საფეხურები (შდრ. ძველი ქართული სა-გ-არ-ი — „ბრძოლის ადგილი“, რომელიც, შესაძლოა, მომდინარეობდეს მიმღეობისაგან სა-ღგ-არ-ი, თუ აქ ამოსავლად არ ივარაუდება სა-ნგ-არ-ი ან სა-გრ-ობა — „ბრძოლა, ღვაწლი“). ღგ- > -გ- დადასტურებულია ლაზურის ათინურ კილოკავშიც (ჩიქობავა 1938: 268). საგულისხმოა, რომ მეგრულში გვხვდება როგორც ღგ-ინ-ა, ისე გ-ერ-ინ-ა („ღგ-ომ-ა“).

ვფიქრობთ, -ღგ- ძირი უნდა ივარაუდებოდეს ჩოლურულ ფორმაში ა-და-ღგ-მ-ილ-ე („აბინავებს“, შდრ. ძვ. ქ. ა-ღგ-ომ-ილი „ამღგარი“, ღგ-ომ-ილ-ი „თეხმძიმე“ და ქართული დიალექტური ვარიანტი „ა-ღგ-ომ-ილ-ებ-ს“). ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ „ღგომის, გაჩერების, ქრობის, კვდომის, აგებისა თუ აშენების“ სემანტიკას საერთოქართველურ ენაში გადმოსცემდა სხვადასხვა სუფიქსით გართულებული როგორც ღგ- > ღგ-, ისე -გ- ძირი, რომელთაგან ქრონოლოგიურად, ალბათ, პირველი უსწრებდა მეორეს (შდრ. აგრეთვე აფხაზური აგგლარა „ღგომა“).

და-ღგ-ომ-ა და და-ღგ-რ-ომ-ა ძველ ტექსტებში ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება იდენტური სემანტიკით („გაჩერება, დაბანაკება, შეწყვეტა, გაძლება, დაბრმავება“). „დაღგომა“ რ სონორის მეტათეზისის ვარიანტებსაც წარმოგვიდგენს: „დაღგომაღ, დაღგომილი, დააღგა, დავაღგეთ, დააღგეს, დავაღგეთ, დააღგეთ, დააღგრ“... შესაძლოა, ეს იგივე რ იყოს, რომელიც ქართული ენის გურულ, იმერულ, ლეჩხუმურ დიალექტებში (არღგოლი), მეგრულსა (არღ'გილი) და სვანურშია (არგილი) დადასტურებული.

რომ სვანური ლიგნე (< ლნტ. ლი-გ-ენ-ე) „ადგომა, რდა'დგომა“ და ლიგემ „რა'შენება, აგება; დადგმა“ ისტორიულად მხოლოდ სუფიქსებით განსხვავებული ერთიდაიგივე -გ- (< ღგ-) ძირია, კარგად ჩანს ბალსზემოუ-

რი და ლენტეხური დიალექტების სინტაგმებიდან (თე-ს ხ-წ-გ-წე < ლნტ. ხ-წ-გ-წნ-ე. ერთი მხრივ, და თე-ს ხ-წ-გ-ემ, მეორე მხრივ — „თვალს აღვანს“).

ყურადღებას იქცევს სვანური ლ-გგ („დგას“), ლ-გგ-ან-დ-ა („იღვა“) ფორმები, სადაც პირისეულ პრეფიქსსა და ძირს შორის წარმოდგენილი გ. შესაძლოა იყოს დგ- ძირში ანლაუტის თანხმოვნის დაკარგვის შედეგად მიღებული საკომპენსაციო სიგრძის ასახვა. მოსალოდნელია, ვინმეს გაუჩნდეს ექვი მისი ანაპტიქსურობის შესახებაც¹, მაგრამ სულაც არ იყო აუცილებელი ამგვარი ფონემის სიგრძე. ა-გ-ს/ლა-გ-ა-ს ხ-წ-გ ან ხ-წ-გ-წ-ი („ქვეშმარიტ გზას ადგას“ ან „ედგომება“) სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ა და ე ხმოვნების სიგრძე ა+გ, ე+გ კომპლექსისგან მომდინარეობს.

ახლა, რაც შეეხება ე. წ. პირველად მასდარისეულ ბქ., ქს. დეგ-ა, ბზ. დწგ-ა („ქრობა, დავსება, გაღატაკება“, შდრ. ლი-დეგ, ლი-დგ-ე) და დგ-არ, დგ-რ-ა („სიკვდილი“, შდრ. ლი-დგ-არ-ი < ლი-დგ-არ-ი „კვდობა“) ფორმათა ურთიერთმიმართებებს: ვფიქრობთ, რომ აქაც ერთსადიამავე ძირთან გვაქვს საქმე; დგარა, ალბათ, მივიღეთ დეგ- ძირისაგან (*დეგ-არ-ა > *დგ-არ-ა > დგ-რ-ა) ე. წ. ველარული უმლაუტის (ე+ა > წ+ა > აა) საფუძველზე (ქალდანი 1969). ყოველივე ამას, თავის მხრივ, ეხმიანება ძველ ქართულ ენაში დადასტურებული და-დგ-რ-ომ-ილ-ი < *და-დეგ-ერ-ომ-ილ-ი („დამდგარი, დაყენებული, გაჩერებული, შეწყვეტილი), შდრ. და-გ-ა-დგ-ერ, და-ა-დგ-ერ,

უკანასკნელ ხანებში საანალიზო ძირმა მკვლევართა ყურადღება კიდევ ერთხელ მიიპყრო. წარმოდგენილია მეტად საინტერესო მსჯელობა, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გავიზიარებთ, სვანური წრგო ლექსემის მეგრული არდგოლი²დან განვითარებულობის (გორდუზიანი 1985: 99) ვარაუდს, ვერც დგ- ძირის -გგ- (შდრ. სვან. ლი-გგ-ე „სახლობა“ — ჩუხუა 2000-2003: 103) ან არსებობის აღმნიშვნელ -გ- (შდრ. ძვ. ქ. ჰგ-ი-ე-ს)² ძირებთან დაკავშირებას (თოფურია 1942: 150; არაბული 2001: 238-239; ბერიძე 2005: 235), რადგანაც ქართველურ ენათა დღემდე დადგენილი კანონზომიერი ფონე-

¹ შდრ. სვანურ ფუძედრეკად ზმნებში (დეგ-ნი „ქრება“, ხედ-ნი „რჩება“, ...) ძირისეული ხმოვანთკომპლექსის ანაპტიქსური ხმოვნიტ გათიშვით ახსნის შესაძლებლობა (დეგ-ნი < ლნტ. დეგ-წ-ნი < *დგ-წ-ნი: გამურელიძე, მაკავარიანი 1965: 212).

მათშესატყვისობების სისტემა, სვანური ფონოტაქტიკისათვის დამახასიათებელი წესები და სემანტიკური წილსვლები არ იძლევა ამის შესაძლებლობას. მართალია, ძველ ქართულში **ღგ-რმ-ა** „არსებობასაც“ აღნიშნავს, ხოლო **ღგ-მ-ა** „კონა-ყოლასაც“, მაგრამ, ძირითადად, მეტაფორული ხასიათის ფრაზებსა და იდიომატურ გამოთქმებში.

ღგ- > ზგ- > -გ- გადასვლები სვანურ ენაში არ დასტურდება. გარდა ამისა, გაუგებარია, რატომ უნდა მომდინარეობდეს **ზისყ- გისყ-** ფორმისაგან (რომელსაც, ალბათ, აღდგენის ნიშანიც უნდა ჰქონოდა!)?! ფონეტიკურად გაცილებით ადვილი წარმოსადგენია ის ქრონოლოგიური საფეხურები, რომლებიც დღემდე ცნობილი იყო სპეციალურ ლიტერატურაში: ***გრწყილ- > *გირწყილ- > *ჯისყ- > ზისყ** „რწყილი“ (მაქეარიანი 1965: 65).

თავის დროზე **-გ-** ძირს ხედავდნენ ვარლამ თოფურია და ვუკოლ ბერიძე არაერთ ქართულსა და სვანურ სიტყვაში: **ა-გ-ებ-ს, მი-ა-გ-ებ-ს, და-ა-გ-ებ-ს, გ-ან-ი, სა-გ-ან-ი, გა-გ-ნ-ებ-ა, მი-გ-ნ-ებ-ა, შე-გ-ნ-ებ-ა, გა-გ-ებ-ა; წ-გ-ი** „ადგილი, სახლი“, **იშგნ-წ-გ** „სხვაგან“, **ჩი-წ-გ** „ყველგან“, **ი-მ-ს-გ-იშ** „სადაური“, **ე-ჩ-გ-იშ** „იქაური“ (ბერიძე 1940: 381-388; თოფური 1942, 147-151).

ამრიგად, **ღგ-** > **ღგ-** > **-გ-** ძირის ვარიაციები საერთოქართველური დონის კუთვნილებაა, სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის მოქმედების შედეგად მიღებული; მისი ნაირ-ნაირი სემანტიკური ნიუანსებიც („დგომა, დაყენება, გაჩერება, შეწყვეტა, კვდომა, დაბრმავება, ჩაქრობა, აგება, აშენება“) იმთავითვე უნდა არსებულებოდა.

სართოქართველური ***ღგ-ერ**, რომელიც ძველ ქართულში **ღგ-ერ** ფორმითაა წარმოდგენილი, სვანურ **-ა** სუფიქსიან აბსტრაქტულ სახელში (resp. პირველად მასდარში) აუცილებლად მოგვეცემა **ღგარ-ა** (მდრ. ზს., ლშხ. **ღგარ** „სიკვდილი“).

მაშასადამე, ამოსავალია **ღგ-** ძირი, რომელიც შესაძლოა გართულდეს **-ომ** (ქართ. **ღგ-ომ-ა** < ***ღგ-ომ-ა**), **-ერ-ომ** (ქართ. **ღგ-რ-ომ-ა** < ***ღგ-რ-ომ-ა** < ***ღგ-ერ-ომ-ა**), **-ემ** (სვან. **ლი-გ-ემ** < ***ლი-ღგ-ემ** < ***ლი-ღგ-ემ**), **-ენ** (ზემოსვან., ლშხ. **ლი-გ-ნ-ე** < **ლნტ. ლი-გენ-ე** < ***ლი-ღგ-ენ-ე** < ***ლი-ღგ-ენ-ე**); **-ერ** (სვან. **ღგ-რ-ა** < ***ღგ-არ-ა** < ***ღგ-არ-ა** < ***ღგ-ერ-ა**) სუფიქსებით.

Semantic variations of the root in the Kartvelian languages

S u m m a r y

The variations of roots *deg-* > *dg-* > *g* belong to the Common Kartvelian level. These alternations are the result of different phonetic processes. Various semantic forms of these variations such as : to stand , to stop , to die, to put out, to build should have existed from the beginning. Common Georgian **deg-er* which in Old Georgian is represented in the form *dger*, would inevitably give *dagra* (comp. *dagar*) in Svan abstract nouns with suffix *-a* on the basis of the rule of velar umlaut.

In the modern Kartvelian languages *deg-/dg-* roots are distinguished by polysemantic features. At present my attention was focused on two meanings ("rising, constructing" and "turning blind") of which the second seems to be allegoric.

The first semantic nuance in Georgian-Zan has already been analyzed by: Mose Janashvili, Gerhard Deeters, Arnold Chikobava and Giorgi Klimov. Heinz Fähnrich and Zurab Sarjveladze supposed *deg-/dg-* root with this meaning only for unity epoch of the Georgian-Zan languages. Later (1999) Zurab Sarjveladze represented the second nuance of this root separately ("turning blind"), he connected it with Svan *li-deg* (Passive voice), *li-dg-e* (Active voice) masdars and with the forms originated from them denoting "disappearing" and put a question on interrelation of two omonymic **deg-/dg-* roots, but he did not continue discussion on it.

For Giorgi Klimov, *li-gem* ("a-g-eb-a" – "constructing", "building") is originated from pre-Kartvelian **dgem*: *dgm* archi-form, that means *dg-om-a* "standing" (cf.: Megrelian *dg-um-a*, "putting"; Laz *do-dg-in-u* "standing, stopping"; Svan *li-g-ne* < Lent. *li-g-en-e* "standing, stopping").

I believe, that *-om*, *-um*, *-em*, *-en*, *-in* in Georgian-Zan-Svan are such suffixes which should have existed in Common Kartvelian language and *dg-* > *-g-* variants should have occurred since then (in other case for compensatory of a lost consonant in Svan there should have been a long vowel). Between them should have been such relation like between Georgian *a-dg-il-/a-la-g-* stems (for such distribution see I. Qipshidze, V. Topuria, I. Kavtaradze, H. Vogt, M. Beridze): cf.: Gur., Imer., Lechkh., Megr. *ar'd'gil-i*, LS *ar-gil* "a place", Lent. *ärgil*. "praying place", Ushg. *argi-s*, UB, Lent. *ägi* "at home", Chol. *u-rg-il a-g-i-s* "inappropriate place", UB *ärg-l-iš-är/ä-g-iš-är*, Lashkh. *a-rg-l-iš-ar/a-g-iš-ar* "family members < *a-dg-il-is-an-i*; Ushg. *na-i-rg-il-w*, Lashkh. *nä-rg-il* "domestic < *na-a-dg-il-ev-i*

(animal or bird); in UB "an overnight place" is called *lä-g-n-a* ("sa-dg-om-i" – "dwelling place"). In LB dialect it is corresponded by *l-a-s-dg-om* ("sa-sa-dg-om-e", "dwelling place").

As it is well known from the special literature in old Georgian written texts and in modern Kartvelian languages occurring of *r* in inlaut is natural. Thus, firstly *r* should have not occurred in abovementioned data.

Recently an analytical root again focused researchers' attention. A very noteworthy discussion is represented, but I can not share the supposition on originating of a Svan *ārgi* lexeme from Megrelian *argil-iä* (R. Gordeziani), either the connecting of *dg-* root with *-zg-* (cf. Svan *li-zg-e* "family members") and with *-g-* denoting "existing" (cf. Old Georg. *h-g-i-e-s*) roots (V. Topuria, A. Arabuli, M. Beridze) as a system of natural phonemes correspondences of the Kartvelian languages established up today, the rules characteristic of Svan phono-tactics and semantic researches can not give such opportunity.

წულ- / ქუშ- ძირთა ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში

თავის დროზე (1999 წ.) ჩვენ ვეხებოდით წულ- > წუილ და ქუშ > ქუშ ძირთა არსებობის რელატიური ქრონოლოგიის საკითხებს ქართველურ საზოგადო სახელებში, ახლა კი ყურადღებას მივაქცევთ იმავე ძირებიდან ნაწარმოებ ანთროპონიმებს.

პირველივე ტექსტში, რომელიც ჩვენ კოდორის (resp. დალის) ხეობაში ჩავიწერეთ, ლაპარაკია ცნობილ მონადირესა და სახელგანთქმულ მოჭიდავეზე ბათალბი წულუკიძეზე, ვისაც რვა ენა (სვანური, ქართული, მეგრული, აფხაზური, ყარაჩაული, რუსული, ბერძნული, სომხური) სცოდნია. დღეს ამ გვარის წარმომადგენლები ქვემო აჟარაში ცხოვრობენ და მოიცავენ ხუთ შტო-გვარს, რომელთაგან სამი ფილრაციური სისტემა ემყარება ნაგენეტივარ წარმოებას (ხუხუ-შერ < ხუხუ-შა-ერ, ომანა-შერ < ომანა-შა-ერ, ჩაგო-შერ < ჩაგო-შა-ერ), ხოლო ორი — მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმას (ბათაღლი-წარ, ქაშ-ილდ-წარ).

ნაცვლად წულუკიძისა, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია საქართველოში, განსაკუთრებით კი — იმერეთსა და აჭარაში (2272 სული), სვანეთში მოსალოდნელი იყო წულუკიანი; გვაქვს კიდეც — 65 ადამიანიდან 28 ცხოვრობს მესტიის რაიონში (ძირითადად, სოფელ ფარში), ხოლო დანარჩენები — ლეჩხუმში, თბილისსა და ზუგდიდში.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ წულ- ძირიდან ნაწარმოები არც ერთი სვანური გვარი არ გვხვდება ძველ წარწერებსა თუ ისტორიულ დოკუმენტებში, საოქახო-საგვარეულო მოსახსენებლებში, ე. წ. სულთა მატიაწებებსა თუ გარკვეულ სიგელ-გუჯრებში. სამაგიეროდ, XIII საუკუნეში კნინობითობის -ილ სუფიქსის შემცველი გვარია დადასტურებული — ესაა ქუშ-ილ-იანი-ი (ინგოროყვა 1941: 129), რომელიც ქართული, სვანური და მეგრული გვარებისა (წულ-ა-ძე, წულ-უკ-ი-ძე, წულ-უკ-იანი-ი, წულ-უკ-ია || წულ-იკ-ია, წულ-ე-ი-სკირ-ი, წულ-ა-ია, იშვიათად რ-წულ-ა-ია) და ტოპონიმების (წულ-იშ-ი „მთა ჩრდილოეთ სამეგრელოში“, ნა-რ-წულ-უ „ვაკე-ფერდობები არჩანების სამოსახლოსთან“) კონტექსტში უნდა განვიხილოთ. „მე-

სხეთში დღეს ნაწისქვილარს ჰქვია **წულ-უკ-ა-თ** წისქვილი, ხოლო ჰალას — **ქულ-უკ-ა-თ** ჰალა. 1944 წლამდე სოფელ ტატანისში ცხოვრობდნენ **წულ-უკ-ი-ქე-ებ-ი** და **ქულ-უკ-ა-შე-ილ-ებ-ი**. ამ გვარის ხალხი დღევანდელ მესხეთში აღარაა, მაგრამ ტოპონიმია მათი კვალი შემოგვინახა — საგვარეულო სახელები **წულ-უკ-ა-ან-ი** და **ქულ-უკ-ა-ან-ი** ნათესაობითი ბრუნვის ფორმით შემოგვრჩა“ (ბერიძე 2010: 183).

ლაშხეთში, სოფელ ჩიხარეში, ოქონ-დაბიშის ეკლესიის ერთ წარწერაში (XVII ს.), დასახელებულია თეთრუა ლაშხიშვილის ქალი, რომელიც თავის შვილთან — ქაიხოსრო წულუკიძესთან ერთად მოხსენიებულია ნიკორწმინდის ტაძრის XVII საუკუნის მხედრულ წარწერაშიც (სილოგავა 1988: 659), ხოლო ვინმე მერაბ წულუკიძეს უშუალოდ „დედამღვთისას“ ეკლესიისთვის (იგულისხმება ლამარია — **ი. ჩ.**) შეუწირავს ვერცხლის სურა (თაყაიშვილი 1937: 147). როგორც ჩანს, ორივე წულუკიძე დედით ქვემო სვანები იყვნენ.

ბესარიონ ნიჟარაძის „ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონსა“ და ეგნატე გაბლიანის „ძველსა და ახალ სვანეთში“, რომლებშიც საუკუნენახევრის წინანდელი სვანურისა და სვანეთის მონაცემებია წარმოდგენილი, **წულუკიანი** შეკუმშული ფორმითაა (**წულ-კ-იანი**) დადასტურებული, ხოლო ქართულსა და მეგრულში **-უ-** ხმოვანი რედუქციას არ განიცდის, ამიტომაც **წულ-** ძირისაგან ნაწარმოებ გვარებში ის ყველგან დაცულია.

წულ-ა-ია პირველად დადასტურებულია 1621 წელს შედგენილ „სადაცამლო გამოსავლის დაფთარში“ (ცხადაია 2000: 100), ანუ დაახლოებით იმ დროს, როცა მერაბ წულუკიძემ ლამარიას ძღვენი მიართვა, ხოლო ლევან დადიანის ვეზირის პაატა წულუკიძის გვარი გვხვდება იტალიელ მისიონერთა წერილში 1655 წელს *zulochia* და *zulachia* ფორმით (ჯანაშია 1959: 19).

ბუნებრივია, რომ ოფიციალური ქართული გვარები არ არის იმ ეპოქისა, როდესაც საერთოქართველურმა ენამ დიფერენციაციის პროცესი განიცადა და, ძირითადად, ფონემათშესატყვისობათა კანონზომიერი სისტემის საფუძველზე წარმოიშვა მონათესავე (ქართული, სვანური, ზანური) ენები, მაგრამ ჩვენ ვმსჯელობთ ისეთ მონაცემებზე, რომლებიც ეყრდნობიან საზოგადო სახელთაგან მომდინარე კინობითის სუფიქსების შემცველ საკუთარ სახელებს.

სპეციალური ლიტერატურის (გ. როგავა, გ. კლიმოვი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე) მიხედვით, ქართული წულ-ძირისთვის სვანურ ენაში, ბგერათშესატყვისობის წესების დაცვით, ორი მონაცემია გათვალისწინებული — **ჭუშ** „ვაჟი“ და ***ჭულ-**. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია დერიავაციული ლექსემის (**ნა-ჭულ-ა-შ** „ურვადი“ < ***ნა-წულ-ის-ი**) რედუცირებული კომპონენტის სახით. არაერთი მკვლევრის აზრით, სვანური ფუძის აუსლაუტში **-შ** საერთოქართველური ***-ლ** ფონემის შესატყვისია. რაც შეეხება მესხეთის ონომასტიკაში დღემდე შემორჩენილი ტოპონიმისა (**ჭულ-უკ-ა-თ** ჰალა) თუ ანთროპონიმის (**ჭულ-უკ-ა-შვილ-ებ-ი/ჭულ-უკ-ა-ან-ი**) **ჭულ-** ძირს, მასში ოდინდელი სვანური (ან სულაც მეგრულ-ლაზური) დასახლების კვალი უნდა ჩანდეს.

თუ სვანურ **წუილ** (< **წულ**) — „პატარძალი, დედოფალი“ ძირსაც გავითვალისწინებთ, მაშინ, ალბათ, გადასინჯვა დასჭირდება გ. კლიმოვისა და პ. ფენრიხის მიერ საერთოქართველური ფუძეების დონისთვის ნაგარაუდევ არქეტაპებს (***წიუზ** — Климов 1964: 252 და ***წიულ** — Fähnrich 1998, 22-23). ამავე აზრისაა რ. აბაშიაძე (აბაშია 2001, 8).

ძველი ქართულის სხვადასხვა კონტექსტში **წულ-** გამოიყენება როგორც კონკრეტული, ისე ზოგადი მნიშვნელობით „ყრმა, ვაჟი“; — შდრ. **წულ-ებრ-ივ-ი** — „მამრი“, **ძ-ის-წულ-ი** — შვილიშვილი, **ძმ-ის-წულ-ი** — ძმისშვილი, **დ-ის-წულ-ი** — დისშვილი, **უ-ფლ-ის-წულ-ი** — აზნაურთა შვილი, **დედ-ის-დ-ის-წულ-ი** — დეიდაშვილი, **ქალ-წულ-ი** — ქალიშვილი, გაუთხოვარი ქალი, **დედა-წულ-ი** — ოჯახი, ქალაბობა, დედა-შვილი: ამასთანავე, იგი შესაძლოა კნინობითის ფორმითაც შეგვხვდეს (**ძმ-ის-წულ-აკ-ი**).

სულხან-საბა ორბელიანისთვის **წულ-ი მხოლოდ ვაჟია**; ალბათ ამიტომაც (და იქნებ სხვა მიზეზითაც), რომ „სიტყვის კონაში“ შემდეგი გააზრება გვხვდება: **ქალ-წულ-ი** — ვაჟი უბიწო, **ქალ-წულ-ა** — ქალი უბიწო, **ძმ-ის-წულ-ი** — ძმის ვაჟი, **დ-ის-წულ-ი** — დის ვაჟი, **სე-ფე-წულ-ი** — დიდებულთ ვაჟი (თუმცა „დედა-წულ-ი“ საბასთვისაც „სახლის ქალაბობას“ აღნიშნავს).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **წულ-ი** რთულ ლექსემათა მეორე კომპონენტი: **დედა-წულ-იან-ად** — „ცოლშვილიანად“, **უ-ფლ-ის-წულ-ი** — „მეფის შვილი, ბატონიშვილი“, **წულ-ის-წულ-ი** — „შვილიშვი-

ლი“, **ქალ-წულ-ი** — „გაუთხოვარი, უბიწო ქალი“, **დ-ის-წულ-ი**, **ძმ-ის-წულ-ი**, **ბიძ-ა-ძმ-ის-წულ-ი**, **მაზლ-ის-წულ-ი**, **მულ-ის-წულ-ი**... გარდა **სე-ფე-წულ-ისა**, ყველა კომპოზიტიში საანალიზო ძირი მხოლოდ ზოგადი („შვილი“) მნიშვნელობითაა გამოყენებული (შდრ. აგრეთვე მოხეური **ქალ-წუ-ა** < ***ქალ-წულ-ა** „ქალაჩუნა; მექალთანე“).

ქართულ ენაში ყურადღებას იქცევს **-წვილ** ელემენტის შემცველი კომპოზიტი **ჟმა-წვილ-ი**: 1. ბავშვი; 2. ახალგაზრდა (ვაყი, ქალი); 3. ვაყი, ჭაბუკი; ვფიქრობთ, ამ ლექსემის მეორე მნიშვნელობა უნდა იყოს ასახული სვანურ **წჷილ**ში „პატარძალი“ (ოლივერ უორდროპისთვის **ქwil** „საცოლვა“ — Wardrop 1911), ორივე ერთად კი უნდა უკავშირდებოდეს ქართულ **ქორ-წილს** (<* **ქორ-ის-წვილ-ი**? ეტიმოლოგიურად „სახლ-ის-შვილი“, შდრ. ძვ. ქ. **ქალ-სახლ-ის-ი** „ქალიშვილი“) და სვანურ **ლი-წჷილ-ე**ს [„გათხოვება“, ეტიმოლოგიურად „გა-წულ-ეზ-ა“; „გაშვილება?“ შდრ. ძვ. ქ. **ქალ-წულ-ეზ-ა** „შეუფლავლობა“, **ქორ-წილ-ი** — სძლის (ძის ცოლის) მოყვანა — საბა].

ნიკო მარის „ქანური ენის გრამატიკაში“ განუმარტავად დადასტურებული **წულუ ბერე**“ (Mapp 1910: 130) ივანე ჭავჭავიძელის აზრით, „ქალწულის“ მსგავსი სიტყვაა და „პატარა შვილს“ უნდა ნიშნავდეს (ჭავჭავიძელი 1937: 209), შდრ. არქაბული **წულ-უ კით-ი** („ნეკი“, ე. „პატარა თითი“ — ჩიქობავა 1942: 61), მაგრამ მოგვიანებით **წულ-უ** ლეილა ნადარეიშვილმა დაუკავშირა ძველ ქართულ **წულ-ილ-ი** („წვრილი“) და **სი-წლ-ო** („სიმცირე“) ლექსემებში წარმოდგენილ ძირს (ნადარეიშვილი 1978: 145).

ძველ ქართულში **წვილ-** ძირი არ ჩანს, ხოლო „ვეფხისტყაოსანში“ „ჟმაწვილი“ და „ჟმაშვილი“ ერთმანეთის სინონიმებია. რაც შეეხება ხევსურულ დიალექტს, იქ ინვერსიული რიგი გვაქვს და თანაც ამოსავალი **-უ** ხმოვნის შემცველი; ესაა **წულ-ჟმა** (II **წულ-ი**), რომელიც მხოლოდ „ვაყი-შვილს“ აღნიშნავს (ჭინჭარაული 2005), შდრ. ქვემოსვანური **წჷილ-ასუშ** (ლმხ.) — „წულასული“: „ისტორიულ ტაო-კლარჯეთში კი **წულ-ი** „შვილია“ — ძეც, ასულიც (ფუტყარაძე 1993: 658).

ყურადღებას იქცევს ქართული მთის დიალექტების **წილ-** ვარიანტი, რომლის ამოსავალი უნდა იყოს **წვილ-** ფორმა:

მოხეური **წილ-ობ-ა** „ჩამომავლობა“, მთიულური **წილ-იან-ობ-ა** „შვილიერება“, შდრ. ხევსურული **წულ-იან-ობ-ა** „ვაჟიშვილიანობა“.

ფშაურ-ხევსურული **წილ-ბოლო-და-ღ-ე-უღ-ი / წილ-ბედ-და-ღ-ე-უღ-ი** „უმემკვიდროდ დარჩენილი“

მოხეური **წი-წილ-ა-ჲ < *წილ-წილ-ა-ჲ < *წვილ-წვილ-ა-ჲ < *წულ-წულ-ა-ჲ** „ემემკვიდრე“, შდრ. ლეჩხუმური **წი-წილ-ი** „ნორჩი სანერგე მცენარე“.

აქვე შეიძლება გაგვახსენდეს ძველი ქართული **მო-წილ-ვ-ა'ც** („ნაყოფის მოკრეფა“), რომელიც, არნოდდ ჩიქობავას თვალსაზრისით, მეგრულ-ქანურშიც იმავე **წილ-** ძირითაა წარმოდგენილი (ჩიქობავა 1938: 395), და მეგრული ტოპონიმი **ნა-რ-წულ-უ/ნა-წილ-უ** (ვაკე-ფერდობების სახელწოდ.). ბალსზემოური დიალექტის ლატალურ კილოკავში გვაქვს **წილ** (< **წჳილ** < **წულ**) და **აღ-წილ-ან < აღ-წჳილ-ან** „გათხოვდა“.

საგულისხმოა, რომ დღეს სვანური ენის ყველა დიალექტში „პატარძლის, დედოფლის“ აღსანიშნავად გვაქვს **წჳილ**, მოსალოდნელი უუძლავტო **წულ** არც სახელში გვაქვს და არც ზმნაში ლაშხურში. ბესარიონ ნიჟარაძის ერთ სტატიაში („ოთხი დღე მდ. ენგურის, ცხენისწყლის და რიონის სათავეებში“), რომელშიც აღწერილია ავტორის მოგზაურობა უშგულიდან ქუთაისამდე, ლაშხეთში, ღვეგმარის ხეობაში, დასახლებულია მთა **წულ-ილა-სგურ-ა** „წულის საჯდომი“, რომელიც, ბალსზემოელი მიხეილ ჩართოლანის განმარტებით, „წულის, სარძლოს დასაჯდომს“ ნიშნავს და პარალელურად უძლავტიანი ფორმითაც (**წჳილ-ი-ლა-სგურ-ა**) იხმარება (ნიჟარაძე 1964: 22, 229). მაშასადამე, 1885 წლისთვის უშგულურ მეტყველებაში (და, რაღა თქმა უნდა, ლაშხურშიც) „პატარძლის“ აღმნიშვნელი ლექსემა უუძლავტო იყო.

„ვაჟის“ აღსანიშნავად ზემოსვანურსა და ლენტეხურ დიალექტებში უძლავტიანი (მეორეული) **ჳჳიშ** ფორმა გამოიყენება, ლაშხურში კი შესაბამისად — ამოსავალი **ჳჳუშ**, ხოლო უორდროპს **წwiš** (**ჳჳიშ**) აჩქაულ მონაცემად მიაჩნია „სიძის“ მნიშვნელობით (Wardrop 1911). ჩოლურულ **ჳჳუშგეზალ**'ს სხვა კილოებში **ჳჳინტგეზალ** ან უბრალოდ **ჳჳინტ** („ბიჭი“) ცვლის (შდრ. აჭარული „ბიჭიშვილი“). მიმართვისას ლაშხეთში დღესაც განსაკუთრებული სიყვარულით წარმოთქვამენ ლექსემას **ჳჳუშ-ე** „ჩემო ბატონო, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო“.

ვერ გავიზიარებთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას **ჭუიშ** და **წვილ** ფორმათა ***ჭ-ეუ-იშ** და ***წ-ევ-ილ** ფუძეთაგან მომდინარეობის შესახებ (ჩუხუა 2000-2003: 326), რადგანაც ორსავე შემთხვევაში ამოსავალია უშუალოდ **(ჭუშ < წულ)** ძირი.

მაშასადამე, იკვეთება ორი ცენტრალური ხაზი:

1. საანალიზო ძირი „შვილის“ აღსანიშნავად გვხვდება **წ** (ქართული) — **ჭ** (სვანური, მეგრული) შესატყვისობით, რომლისთვისაც ამოსავალია სისინ-შიშინა აფრიკატი ***წი**;

2. **წ**, რომელიც ყველა ქართველურ ენაშია წარმოდგენილი, თავდაპირველად მხოლოდ ერთი კონკრეტული მნიშვნელობით („პატარა“ — შდრ. ლაზური **წულ-ე**) გამოიყენებოდა და მომდინარეობდა სისინა სიბილანტისაგან.

ვფიქრობთ, ორივე ფონემათმესატყვისობა უძველესია და მომდინარეობს პრექართველური ენიდან, ხოლო **წვილ- > წილ-** შედარებით გვიანდელი გარდაქმნებია, დელაბილიზაციით განპირობებული ყველა ქართველურ ენაში. როგორც ჩანს, **წ-** თანხმოვნის ვარიანტი უფრო გავრცელდა და ალბათ ამიტომ მივიღეთ სვანეთში გვარ-სახელი **წულ-კ-იან** შედარებით ადრინდელი **ჭუშ-ილ-იან-ის** ნაცვლად.

იგივე ვითარება უნდა ყოფილიყო სამეგრელოშიც, სადაც ქალის სახელად გამოყენებულია **წუ-ია**, რომელიც **წულ-ია**-სგან უნდა მომდინარეობდეს და, ალბათ, უკავშირდება ლაზურ **წულ-უ** „პატარა“, მეგრულ **წუ-კალ-ი/ე** „პაწია ქვაბი“ და მეგრულ-ლაზურ **წი-ე** „ბიჭი“ ლექსემებს. იმავდროულად გურიასა და სამეგრელოში გვხვდება ფუძეგაორკეცებული **ჭუ-ჭულ-ია < *ჭულ-ჭულ-ია** ვარიანტიც და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, იგივე სახელი იხმარება ხევში კაცისთვისაც. ისტორიულ დოკუმენტებში უკვე XV საუკუნიდანაა დადასტურებული აღნიშნული ანთროპონიმი დასავლეთ საქართველოში. **ჭულ-ია** ქარელში კაცის თიკუნია, რომელიც საკუთარ სახელადაა წარმოდგენილი ხევსურეთში **ჭულ-ო** ფორმის სახით.

სამეგრელოში იმავე ძირში შესაძლოა სხვა სონორიც შეგვხვდეს; მაგალითად, ქალის სახელად გვხვდება როგორც **ჭურ-ია** (შდრ. იქვე კაცის სახელი **ჭულ-ია**), ისე **ჭურ-ა** და **ჭურ-ო** (შდრ. ტოპონიმი **ნა-ჭილ-უ / ნა-ჭირ-უ**).

საგულისხმოა ისიც, რომ **ჭ** თანხმოვნის შემცველი ძირიც (ისევე, როგორც **წ** თანხმოვნიანი ქართული ენის მთის დიალექტებში) შეიძლება ლაზურში წარმოდგენილი იყოს დელაბიალიზებული სახით — სოფელ სარფში **ჭილ-ილ-ი** (***ჭულ-ილ-ი**) კაცის სახელია.

ვეიქრობთ, რომ **ჭილ-ა-ვა**'სა და **ჭილ-ა-ია**'ში აუცილებელი არაა ქართული „ჭაობის მცენარის“ ან მეგრული „წენგოს“ სახელწოდების გააზრება, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია (ცხადაია 2000: 163) მითითებული. აქაც, ისევე, როგორც **წ** თანხმოვნის შემცველ ძირებთან დანარჩენ ქართველურ ენებში, შესაძლოა ამოსავალი **წულ > წუილ** ძირის დელაბიალიზებული **ჭილ (< წილ < წუილ)** ვარიანტი წარმოვიდგინოთ.

ქართული ენის ქიზიყურსა და ინგილოურ დიალექტებში „ცელქი ბავშვის“ აღსანიშნავად **ჭულ-უკ-ი** გამოიყენება. თითქოს ერთგვარად მოულოდნელია აღმოსავლურ დიალექტებში შიშინა აფრიკატის გამოვლენა, მაგრამ აქ მხოლოდ ერთეულ ფაქტთან როდი გვაქვს საქმე! მსგავსი შემთხვევები ერთ სისტემაში უნდა გაერთიანდეს და ისე გადაწყდეს ქართულში დადასტურებულ შიშინა სიბილანტთა საკითხი უმწერლობო ქართველურ ენათა შესაბამის სისინა თანხმოვნებთან მიმართებით, მით უფრო, რომ გვხვდება მეორე უკიდურესობაც — ლაზურ-მეგრულ-სვანურ-შივე შეინიშნება შიშინა და სისინა ფონემათა მონაცვლეობა: **ლ ა ზ უ რ ი ჭ ა ნ ი წ უ ა რ ი / ჭ ე ნ ი წ უ ა რ ი / წ ე ნ ი წ უ ა რ ი** („ჭანისწყალი“), **ჭ ა რ ხ ა / წ ა რ ხ ა** („ჩარხი“), **ჭ უ ა ნ ი | წ უ ა ლ ი** „დიდი ქვაბი“, **ჭ უ ბ უ ტ ა | წ უ ბ უ ტ ა / ი** „პაწია“... **მ ე გ რ უ ლ ი ჭ უ მ ა / წ უ მ ა** „წვიმა“ **ს ვ ა ნ უ რ ი ლ ი შ ხ ა ი / ლ ი ს ხ ა ი** „შოლტის დარტყმა“ (ჩანტლაძე 2004-2005: 186-192).

On interrelation of *çul-/çuš* roots in the Kartvelian languages

S u m m a r y

The paper deals with two sound correspondences in the Kartvelian languages:
Pre-Kartvelian *ç > Georgian ç, Megrelian-Laz ç, Svan ç
Pre-Kartvelian *ç₁ > Georgian ç, Megrelian-Laz ç̣, Svan ç̣

According to special literature (G. Rogava, G. Klimov, T. Gamkrelidze, G. Machavariani, H. Fähnrich, Z. Sarjveladze) for Georgian *çul*- root in Svan according to phonemes correspondence rule two data are considered: *çuš*- (son) and *çul*-. The latter is represented in the form of a reduced component of a derivative lexeme (*na-çwl-aš* "marriage pladge" <*na-çul-is-i). According to many researchers an auslaut -š of a Svan root is a correspondence of Pre- Common Kartvelian *-l phoneme.

If we take into account a Svan root *çvwl*- (< *çul*) – "bride, queen") then the archetypes assumed for Common Kartvelian parent language's level by G. Klimov (*ç₁uz) and H. Fähnrich (*ç₁u'z-) should be reconsidered.

It is expected that old Georgian *kal-çul-eb-a* ("not to get married", "maidenhood"), *kor-çil-i* "wedding" (<*kor-is-çvil-i i. e. "relative (of family)'), Laz *çul-c* "little, small" and Svan *li-çwil-j* "getting married (woman only)", *ga-çul-cb-a* "adopting") should be originated from same data etymologically.

Not one Svan surnames derived from a *çul*- root does not occur in old manuscripts and historical documents. But in the 13th c. *çuš-il-ian-i* is confirmed that should be a correspondece of *-çul*- root represented in the modern Georgian-Svan and Megrelian anthroponymia (*çul-a-ze*, *çul-uç-i-ze*, *çul-uç-ian-i*, *çul-uç-ia*, *çul-iç-i-a*, *çul-c-işkir-i*, *çul-a-ia*...) and toponymy, (*çul-i-ş-i*, *na-r-çul-i* "mountain", plain in Samgrelo). As in the sphere of Zan-Svan vocabulary *-ç̣-* can not be confirmed today, consequently analogous data leave impression of borrowing from Georgian so far.

საერთოქართველური *ჭუე ფორმის რეფლექსები სვანურში

საუკუნენახევრის ისტორია აქვს ქართული შევ-/შვ- („შობა“) ძირის ეკვივალენტთა ძიებას დანარჩენ ქართველურ ენებში. გეორგ როზენიდან (Rozen 1847: 408) მოყოლებული შესაბამისი საკითხები უკვლევიათ: ალექსანდრე ცაგარელს, ნიკო მარს, გერპარდტ დეეტერსს, არნოლდ ჩიქობავას, თამაზ გამყრელიძეს, გივი მაჭავარიანს, ავთანდილ არაბულს, ეკატერინე ოსიძეს, გიორგი კლიმოვს, მიკოლას პალმაიტისს,¹ ზურაბ სარჯველაძეს, ჰაინც ფენრიხს...

დღეისათვის სტრუქტურულ-კომპარატივისტული ქართველოლოგია (ფენრიხი-სარჯველაძე 2000: 548-549; Fähnrich 2007: 526-527) შემდეგ შეპირისპირებას იძლევა:

ქართული შევ-/შვ-/შ- (ვ.შევ, შვ-ა, შვ-ილ-ი, შ-ობ-ა, ნა-შ-ობ-ი, პირ-მ-შ-ო...);

მეგრული სქუ-/სქ- [სქუ-ალ-ა „კვერცხის დადება“, ქო-სქ-უ „კვერცხი დაღო“, მა-სქუ-ალ-ი „კვერცხის მდებელი ქათამი“, ნა-სქუ „დადებული“, სქ-გლ-ედ-ი „ცოცხალი არსება, შობილი“, სქუ-ა „შვილი“, ნა-სქუ-უ „ნაშვილები“, სქ-ი „ვაჟი (საქებური)“...];

ჭანური სქუ-/სქვ-/სქ- [ქო-გე-სქუ-ამ-ს „ღებს კვერცხს“, ქო-ღო-სქუ-უ „კვერცხი დაღო“, ღო-სქვ-ა-ს „დაღოს (კვერცხი“), სქ-ირ-ი „შვილი“...].

სვანური სჷ [გმ-სგ-ე „ძე“, სგ-ე-მ „შვილი“, ღრ-მ-სგ-ჰ-მლი-მ-სგ-ა-უ „ვაჟიშვილის შეძენა“...].

¹ პალმაიტისის აზრით, ქართულ შვ-ილ და ჭანურ სქ-ირ ფუძეებში წარმოდგენილი ძირები შეიძლება უკავშირდებოდეს ინდოევროპულ *seu(H)ს („შობა“) და ბალტიურ-გოთურ-არიანულ *sinus*ს („ვაჟი“ – Gudjedjani, Palmaitis 1986: 103).

„ქართულსა და ზანურში დასტურდება გარდამავალი **შეუ-** ფუძისაგან ნაწარმოები ორი პარტიციპიალური ფორმა — სუფიქსური (ქართ. **შვ-ილ-ი** — კან. **სქ-ირ-ი** ←***სქვ-ირ-ი**, მეგრ. **სქნ** (←**სქ-ირ-ი**) და პრეფიქს-სუფიქსური (ქართ. **პირ-მ-შო**, მეგრ. **სქუ-ა** ←***მ-სქუ-ა**). სვანურში მხოლოდ პრეფიქს-სუფიქსური წარმოება შემოგვრჩა, რომელიც უფრო არქაული ჩანს: ***მ-შვ-ე** → **გ-მ-სგ-ე** || **სგ-ე-ა**“ (გამყრელიძე 1959: 60).

თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის თვალსაზრისის (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 13) მიხედვით, „**შვილი**“-ს საერთოქართველური სახელწოდება უნდა ყოფილიყო ***ჭშუ-ე**. ნაზმნარ ატრიბუტივთა სუფიქსური წარმოების გავრცელებამ ქართულსა და ზანურში წარმოშვა ***შუ-ილ** სიტყვა, ხოლო სვანურში ***ჭ-შუ-ე**'ს სემანტიკური ველი შეიზღუდა უცნობი ეტიმოლოგიის ახალი სიტყვის (**გეზალ**) შემოსვლით. უკანასკნელმა დაიმკვიდრა ზოგადად „შვილის“ მნიშვნელობა, არქაულმა საერთოქართველური წარმომავლობის **გმსგე**, **სგეა** სიტყვამ კი მნიშვნელობის დავიწროების შედეგად „ვაჟიშვილის“ სემანტიკა შეიძინა.

ეს რომ ასეა, აშკარად ჩანს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს მიერ 1864 წელს გამოცემულ „**Личны аннах**“-ში გამოქვეყნებული ტექსტებიდან თუ სალექსიკონო მასალებიდან, სადაც ქართულ „ძეს“ და რუსულ **сын**-ს ყველგან სვანური „**გეზალ**“ შეესაბამება. ისიც საგულისხმოა, რომ „მშობიარობის“ აღმნიშვნელი სიტყვა სვანურში **ღუაჟ** ძირიდანაა ნაწარმოები (**ლი-ღუჟ-წლ** „ვაჟიანობა“). საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ: **ღღესაც ძის, მემკვიდრის, ვაჟიშვილის** (და აგრეთვე, თუ კნინობითის ფორმითაა — **სგე/ლდ** — წარმოდგენილი, **მამრობითი სქესის შვილიშვილის, მოზარდის**) სემანტიკის გადმოცემი ლექსემის სიხშირე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სიტყვისა **გეზალ** (ლზმ. **გეზაჟ**), რომელსაც ზოგჯერ ვიწრო, კონკრეტული („ვაჟიშვილის“) მნიშვნელობითაც ხმარობენ (Gudjejani, Palmaitis 1986: 26-27, 33).

სგეა და **გმსგე** ფორმათა თავდაპირველი სემანტიკა უნდა იყოს შემორჩენილი სვანურ ანდაზებში:

სგეიშ მოწოხნიშუ დინა ი ნალჟუჟურ მჰგ ესერ ლჷკთილჷრ ლი — „**შვილის** მონატრულისათვის ქალიშვილი და ვაჟი ორივე ამშენებელიაო“ („სა-კეთ-ილ-ო არის“).

მეზგემ, უომ ესერ გმსგე აწწესენეს, ეჭმელდ დაბოტუ ლაქიმ — „ოჯახმა, რამდენი შვილიც ეყოლოს, იმდენი ყანა (დაბა) შეიძინოს“ (დავითიანი 1973: 132, 88).

რასაკვირველია, დინაგეზალ (II ბზ. გეზალ-დინა „ქალიშვილი“) და ნალუჟურგეზალ, ჰეინტგეზალ (II ბზ. გეზალ-ჰეინტ) „ვაჟიშვილი“ შედარებით გვიანდელი კომპოზიტებია.

რაც შეეხება სვანური ენის დიალექტებს, სგეი/სგე¹ მხოლოდ ბალს-ზემოურსა და ლაშხურში გვხვდება, ხოლო გმსგე/ემსგე — ბალსქვემოურში. უშგულური სგაჰ ფორმა შეესაბამება ამ კილოკავისათვის დამახასიათებელ ცნობილ ფონოლოგიურ გარდაქმნებს (ე > ა, მ > ჰ).¹ სგეა ბალსზემოურ კილოში „ძის, ვაჟიშვილის“ აღმნიშვნელია, ხოლო „მემკვიდრეს, შთამომავალს“ სხვა, ზმნური ძირისაგან ნაწარმოები მიმლეობა (ეს-გ-მ-სედ-ე/ეს-გ-მ-სედ-ა, ე-მ-სედ-ე, შდრ. ლი-სედ „დარჩენა, დატოვება“) გადმოსცემს.

მოზარდ საქონელს სვანეთში სგაჰ ჰქვია (ლგსბრაღე სგაჰს მგჰფია ესერ ხესგუარი — „დასაწყლებულ მოზარდს მკბენარი დაესევა“; აპრილისგაჰ სგაჰ ნაჷად ესერ ლი — „აპრილის ნამატი ნანატრიო“, დავითიანი 1973: 64, 14), თუმცა იშვიათად იგივე ლექსემა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ადამიანის მიმართაც (მეზგა სგაჰ ესერ ხაჷცმუნე — „ოჯახს შთამომავლობა ზრდისო“, იქვე: გვ. 88).

დღემდე სპეციალურ ლიტერატურაში ჩვენს საანალიზო მასალასთან დაკავშირებით განიხილავდნენ: ბჟ. გმსგე/ემსგე, ბზ., ლშხ. სგეი/სგე¹, ბზ. ლიმსგაჰ II ლიმსგაჷ („ვაჟიშვილის შეძენა“), ბჟ. ლგმსგე/ლგმსგაჷ („ვაჟიშვილ¹ებ¹იანი“) ფორმებს, ხოლო ბჟ. ნა-მ-სგ-ი („მემკვიდრე“), სგაჰ („მოზარდი, ნამატი საქონელი“ — ჩვეულებრივ) და უშგ. სგაჰ („ძე, ვაჟიშვილი, მემკვიდრე“) მსჯელობის საგანი არ ყოფილა; ამიტომაც, ბუნებრივია, გაჩნდა გარკვეული კორექტირების აუცილებლობა.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას მივაქცევთ მიმლეობათა წარმოებას სვანურში, სადაც აქტიური (და ზოგჯერ. პასიური) ფორმებისათვის გამოყენებულია მ-პრეფიქსი სხვადასხვა განზოგანებით (თოფურია 1967: 88-89, 213-215, 220-221); ჩიქობავა 1942: 79, 125; შანიძე 1972: 422, 585;

¹ თუმცა არც ისე ადვილია მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მ-ს წარმომავლობის გარკვევა.

არაბული 2001: 176-186) მოყველგან მეორეულია, მას შეიძლება შეენაცვლოს მგ-, მე-, ალბათ იმიტომ, რომ ო- ტემბრიანი სრული საფეხური არ არის დამახასიათებელი არც ერთი ქართველური აფიქსისათვის (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 322) ბევრ შემთხვევაში -ო- ხმოვანი ფონეტიკურ ნიადაგზეა მიღებული (ოსიძე 1957: 190). ასე რომ, ანალოგიურ ვითარებაში თანამედროვე სვანურის არც ერთ დიალექტში არ დასტურდება შემდეგი კონსონანტური ჯგუფები: მბ, მგ, მდ, მზ, მთ, მკ, მლ, მმ, მნ, მპ, მე, მრ, მს, მტ, მწ, მფ, მქ, მღ, მშ, მჩ, მც, მძ, მწ, მპ, მზ, მვ, მჯ, მჭ, მპ — აღნიშნულ თანხმონებს შორის ყოველთვისაა ესა თუ ის ხმოვანი (იქვე: 189), მათ შორის გ-ც,¹ რომელიც თანხმონთანგამყარი ფონემის როლს ასრულებს (შდრ. ქართული მ-ქედ-ელ-ი, მეგრული ჭკად-უ || ჭკად-გ, სვანური მგ-შკიდ). ამიტომაც მოსალოდნელი იყო, რომ საერთოქართველურ *მ-შ-ე ფორმას სვანურში (თამაზ გამყრელიძის წესის მიხედვით, რომელიც უ ფონემის მეზობლობაში შიშინა ხშულთანხმონიანი კომპლექსის სისინად ქცევას გულისხმობს — გამყრელიძე 1959: 28) მოეცა *მგ-შგ-ე > *მგ-სგ-ე > *მგ-სგ-ე, ე. ი. ანლაუტში მოქცეულ მსგ კომპლექსს გასუბსტანტივებულ *მსგე ფორმაში კი არ დაერთო პროთეტული გ ხმოვანი, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია (იქვე: 59) ნაჩვენები, არამედ შეიქმნა სვანური მოქმედებითი (ზოგჯერ ვნებითი) გვარის მიმღეობისათვის დამახასიათებელი ბგერათმომღევრობა. მაშ, როგორღა მივიღეთ გმსგე? ვფიქრობთ, ამის გასაღებს გვაძლევს ბალსქვემოური ნაშსგო:

ბაჯუს სურუ ხოლა ნაშსგაწრ ოთსად — ბაჯუს მეტად ცუდი მემკვიდრეები დარჩა.

ზს., ლშხ. ნამაზუ (შდრ. ხევსურული ნა-მ-ზგ-ელ-ი,² კინჰარაული 1960: 232) — „ნამაკები, ხბონაყოლი, ხბომონაგები, ნაშიერნაყოლი ძროხა“. აქედან ამოსვლით ნაშსგო მემკვიდრეს კი არ აღნიშნავდა, ალბათ, არამედ აღამიანს, ვისაც მემკვიდრე ეყოლა ან ჰყავდა — მიმღეობის ორმაგი პრეფიქსაცია სწორედ ამ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

¹ მგუ არ გვხვდება, რადგანაც, როგორც ჩანს, მუ < *მგუ.

² ასლან ლიპარტელიანს ჩოლურულისთვის მითითებული აქვს ნამაზუელი (ლიპარტელიანი 1994: 235. შდრ. ლნტ. ნა-ლ-მა-ზ-ა-ლ).

ბალსქვემოური ნაშგო და გმსგე (<*ლგ-მგ-სგ-ე) „მემკვიდრე“ ლექსე-მების სტრუქტურულ-სემანტიკურ პარალელად შეიძლება გამოგვადგეს ნა-გზელი-ი, რომელსაც დღემდე დაუცავს ორივე (როგორც ამოსავალი, ისე მეორეული) მნიშვნელობა:

1. ა ზურალ ეჯზუ ნაგზელი^ი ლი, ერე ცხირცვლ გარ სიდ — „ეს ქალი იმდენჯერაა ნამშობიარევი („შვილნაყოლი“), რომ ჩხირის ტოლადა დარჩენილი.

2. სი ი ისგუი ნაგზელი მაგოჲ ხოჩამდ ხარიდ! — შენ და შენი შვილები (და არა „ნაშვილები“ ან „შვილიანობა“ || „შვილობა“) ყველა კარგად ყოფილიყავით!

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „გ ფონემა სვანურ ენაში მეორეულია, მიღებული სხვა ხმოვნების რედუქციის შედეგად. ძალზე ცოტაა ისეთი ფაქტები, სადაც გ გვექონდეს და იგი რომელიმე ხმოვნის რედუქციის გზით მიღებულად არ ითვლებოდეს... გ თანხმოვანთგასაყარი ბგერაც, მეტწილად მ, ნ, რ, ლ სონანტებთან მეზობლობაშია გვხვდება (ქალდანი 1955: 140, 177-178; ნიკოლაიშვილი 1984: 5-85). ვარლამ თოფურიას აზრით, სვანურ ენაში არ შეიმჩნევა თანხმოვანთა თავმოყრა ანლაუტში. ამის თავიდან ასაცილებლად თანხმოვნებს შორის ჩაისმის გ ან სიტყვას დასაწყისში ემატება ა-ე- ხმოვნები თუ ჰა- მარცვალი (თოფურია 1967: 78). ჩვენს შემთხვევაში *მგსგე ფორმაში -გ- ფონემას რომელიმე ხმოვიდან მომდინარეობის არანაირი საფუძველი არ უჩანს, რადგანაც ამოსავალი მ- — ე აფიქსიანი მიმღეობა ძალზე არქაულია (ჯერ კიდევ სამწერლო ტრადიციის დაწყებამდე) ძველი ქართულისათვის (Deeters 1930: 231; თოფურია 1967: 213-221; ოსიძე 1958: 5; არდოტელი 1996: 38-39; არაბული 2001: 176-186; 315-316). აღნიშნულ ცირკუმფექს ზუსტად შეესატყვისება სვანური მგ- — ე (Климов, 1964: 123-124), სადაც გ თანხმოვანთგამყარი (ანაპტიქსური) ბგერაა.

რაც შეეხება ბქ. ემსგე ფორმას, მოსალოდნელია, რომ იგი მარცლოვანი სონანტის რელიზაციაა, რრდესაც განვითარებულ ხმოვანს, ჩვეულებრივ, მომდევნო მარცვლის ტემბრი განაპირობებდა (გამყრელიძე-მაკავარიანი 1965: 349), ოღონდ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვე სვანური დიალექტებისა თუ კილოკავებისათვის სხვა შემთხვევებშიცაა (არა მხოლოდ სონანტთა მეზობლობაში — გულედანი 1995: 17-20) დამახასია-

თებელი გ ფონემის მონაცვლეობა ნებისმიერ ხმოვანთან (ქალდანი 1954: 18; 1958: 211-212; 1959: 226-227; 1962: 203-204).

თავის დროზე აკაკი შანიძე აღნიშნავდა: „არსად არ არის არეული ერთმანეთში სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა კილოს ქონება, როგორც მიმღეობითს ფორმებში“ (შანიძე 1953: 588). ეს გამონათქვამი მით უფრო ეხება სვანურს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მასში გაცილებით მეტია ორმაგპრეფიქსიანი წარმოება მიმღეობა-მასდარისა ან დერივაციული სახელისა, ვიდრე ქართულ ენაში (შდრ. ნა-მ-წვ-ი || ნა-წვ-ავ-ი...). უმრავლეს შემთხვევაში ინფიქსად ქცეული პრეფიქსის მიმღეობური მნიშვნელობა დაჩრდილულია და ამიტომაც ერთვის ფორმას ახალი პრეფიქსი (ფონოლოგიურად ხან იდენტური, ხანაც განსხვავებული). ამასთანავე, ორმაგ და ცალმაგპრეფიქსიანი მიმღეობათა (აგრეთვე მასდართა თუ დერივაციულ სახელთა) შეპირისპირება მეტად საინტერესო სურათს (თოფურია 1967: 231, ქალდანი 1954: 183-186) გვიჩვენებს სემანტიკური თვალსაზრისით: წყვილთა კომპონენტებს შორის ან აბსოლუტური იდენტიფიკაციაა მნიშვნელობის მხრივ ან მხოლოდ ნიუანსურ სხვაობასთან გვაქვს საქმე (ჩანტლაძე 1981: 23-25);

ლა-სგურ-ა || ლა-ლ-სგურ-ა (ზს., ლშხ.), ლა-სკურა || ლა-ლ-სკურ-ა (ლნტ.) „საჯდომი“ (სკამი); ლა-ზგა-ა (ზს., ლშხ.) „სამოსახლო“, შდრ. ლა-ლ-ზიგ-ა (ზს., ლშხ.) ლა-ლ-ზიგ-ა (უშგ., ლნტ.) „სასახლე“, ლე-ზუნებ || ლე-ლე-ზუნებ (ბზ.) „საქმელი“, ნა-ზორ || ნა-ნ-ზორ (ბზ.) ნა-ნა-ზორ (ლნტ.) „ნაკრები“

იმდენად იჩრდილება თავდაპირველი პრეფიქსის ფუნქცია, რომ ზოგჯერ ის საერთოდ გამქრალია ან მხოლოდ ერთ რომელსამე დიალექტშია შემონახული:

ბქ. ლა-წხ-ა, ბზ. ლა-მ-წხ || სა-მ-წხ „საპირო რამ“, ზს. ლგ-ვმამ, ლშხ. ლგ-ვამ, ლნტ. ლგ-ლ-ვამამ „ძლიერი“, „ლონიერი“, ზს., ლშხ. ნა-მა-ზ'უნ, ლნტ. ნა-ლ-მა-ზალ „ნაშიერნაყოლი პირუტყვი“, ბზ. ნა-შათუ-პარ < *ნა-მა-ათუ-პარ, ბქ. ნა-თალ-პარ, ლშხ. ნათუ-არ < *ნა-ათუ-არ, ლნტ. ნა-თუ-პარ „განაყოფი“, ზს., ლშხ. ნა-ბგ-ი || ნა-მ-ბგ-ი „სიმაგრე“...

ასეთ შემთხვევაში მიმღეობისა თუ მასდარის პრეფიქსებში ხანდახან ლ-ნ- მონაცვლეობაც შეინიშნება: ბზ. ლა-მ-პარ / ბქ. ნა-მ-პარ „ფრინველი“; ზს. ლი-ლ-ჩაღ / ლშხ. ლი-ნ-ჩაღ „დიდმარხვა“...

Zu den Reflexen der gesamtgeorgischen $\text{m}\check{s}\text{ue}$ Form im Swanischen

R e s ü m e e

Die Suche nach den Äquivalenten des georgischen Stammes $\check{s}\text{ev}/\check{s}\text{v}$ ("Weihnachten") in anderen kartvelischen Sprachen zählt schon ein halbes Jahrhundert. Seit G. Rosen beschäftigten sich mit diesem Problem A. Zagareli, N. Marr, G. Deeters, Arn. Tchikobawa, T. Gamkrelidse, G. Matshawariani, E. Osidse, G. Klimow, M. Palmaitis, S. Sardshweladse, H. Fähnrich.

Im untersuchten Stoff sind bis heute die dialektischen Formen des Niederbaltischen Mundart des Swanischen nicht untersucht worden: $\text{n}\check{\text{a}}\text{m}\text{s}\text{g}\text{i}$ ("der Erbe", "der Geborene"), $\text{s}\check{\text{g}}\check{\text{ä}}\text{d}$ ("der Junge", "der Zuwachs"-gewöhnlich Rindvieh) und a uschgulisch $\text{s}\check{\text{g}}\check{\text{ä}}\text{h}$ ("der Sohn", "der Erbe"). Deshalb besteht die Notwendigkeit der gewissen Korrektur.

Der Ausgangspunkt ist auch für uns der gesamtgeorgische $-\text{m}\check{s}\text{u}-\text{e}$, der im Swanischen nach dem bekannten Regel von T. Gamkrelidse $*\text{m}\check{\text{a}}-\check{s}\text{g}\text{w}\text{e}- > \text{m}\check{\text{a}}-\text{s}\text{g}-\text{e}$ Lexem geben würde. Dem msg -Komplex im Anlaut wird also der prothetische ə -Vokal nicht in der substantivierten Form $*\text{m}\check{\text{s}}\text{g}\text{e}$ zugefügt, wie es in der Fachliteratur angegeben ist (T. Gamkrelidse), sondern es entsteht die für das Swanische charakteristische Lautreihe $\text{m}+\text{ə}+\text{Vokal}$ (ausser w). In solcher Position ist eine andere Situation unmöglich.

Is Stamm, der von der Silbenvariante des Sonanten hervorgeht $*\text{m}\check{\text{a}}-\text{s}\text{g}-\text{e}$, wurde die Funktion des m -Präfixes als des bildenden Elements des Partizips allmählich verdunkelt. Deshalb wurde vom verbalen Stamm noch einmal das Partizip mit l-Morphem mit derselben Bedeutung parallel zur Form $\text{n}\check{\text{ä}}-\text{m}-\text{s}\text{g}-\text{i}$ ($<*\text{n}\check{\text{a}}-\text{m}\check{\text{a}}-\text{s}\text{g}-\text{e}-\text{i}$) gebildet, dessen Struktur folgenden Bedeutungen entspricht: "der einen Sohn bekommen hat", "die einen Sohn geboren hat" oder "das Erbe", aber $\text{n}\check{\text{ä}}\text{m}\text{s}\text{g}\text{i}$ bedeutet auch "der Erbe". Dieselbe Situation sollten wir in der Form mit l-Präfix haben: $*\text{l}\check{\text{ə}}-\text{m}\check{\text{a}}-\text{s}\text{g}-\text{e} > \text{l}\check{\text{ə}}-\text{m}-\text{s}\text{g}-\text{e}$ ("der einen Sohn bekommen hat, die einen Sohn geboren hat") $> \text{ə}-\text{m}-\text{s}\text{g}-\text{e}$ ("der Sohn", "der Erbe").

$\text{s}\check{\text{g}}\check{\text{ä}}\text{h}$ ist das Ergebnis der für die uschgulische Mundart (und nicht nur für sie) spezifische phonologische Änderungen; dafür muß oberbaltische $\text{s}\text{g}\text{e}-\text{i}/\text{s}\text{g}\text{e}-\text{'}\text{j}'$ ("der Sohn", "der Erbe") sein, dessen Form im Lachamulischen $\text{s}\check{\text{g}}\check{\text{ä}}\text{d}$: $\text{s}\text{g}\text{e}+\text{w} > \text{s}\check{\text{g}}\check{\text{ä}}\text{w}$ (vgl. $> \text{NB. l}\check{\text{ə}}\text{m}\text{s}\text{g}\text{e} \parallel \text{l}\check{\text{ə}}\text{m}\text{s}\check{\text{g}}\check{\text{ä}}\text{w}$ "der einen Sohn bekommen hat") $> \text{s}\check{\text{g}}\check{\text{ä}} > \text{s}\check{\text{g}}\check{\text{ä}} + \text{id} > \text{s}\check{\text{g}}\check{\text{ä}}\text{d}$.

უფრ-/ ფირ-/ ფერ- ძირი ქართველურ ენებში

სპეციალურ ლიტერატურაში (ჩუხუა 2000-2003: 183) „სისველისა“ და „წყალობის“ აღმნიშვნელი სვანური -**ფირ-/ფერ-** ძირი დაკავშირებულია ქართული ენის ფშაური დიალექტის ლექსემასთან **ზალა** („ყველის შესანახი მარილიანი, მლაშე წყალი; წათხი“), მაგრამ ის არ დასტურდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, რაც ართულებს მის ჩათვლას საერთო-ქართველური დონის მონაცემად.

სულხან-საბა ორბელიანისთვის **ზალა** იგივე **წალაა** („მარავი, ვითა წყალი“), რომელიც გვხვდება როგორც ძველ ქართულში, ისე თანამედროვე ქართულ დიალექტებსა და სვანურში „გაწყალებული ჩირქის“ მნიშვნელობით. აქვე შეიძლება გაგვხსენებოდა ლექსემა **მო-წალ-ვა'ც** („დასაძმარავი მხალეულის ცხელ წყალში მოთუთქვა“). ამ ძირის უგულებელყოფა, ვფიქრობთ, უხერხულია, მაშინ, როცა „სისველის, სითხის“ აღმნიშვნელ სიტყვათა ეტიმოლოგიაზე ვმსჯელობთ. **წალ** ნასესხები უნდა იყოს სვანურ ენაში ძველი ქართულიდანვე (განსხვავებული თვალსაზრისისათვის იხ. Fähnrich 1991: 17) და გამოიყენება მხოლოდ ლენტეხურ დიალექტში. აქაც და სვანურის დანარჩენ კილოებშიც უფრო გავრცელებულია იმავე მნიშვნელობის **თწრ/თწრ/თწრ**.

ჩვენი აზრით, საანალიზო ძირთა შეპირისპირებისას აუცილებელი არ არის, ამოვიდეთ თანხმოვნის მაინცადამაინც სისინა ვარიანტიდან, რადგანაც ყველა ქართველურ ენაში „სისველისა“ თუ რაიმე „სითხის“ აღმნიშვნელ ლექსემებში სწორედ **ფ** ფონემა ფიგურირებს, ძირითადად, სონორ ბგერათა და უძველეს სუფიქსთა გარემოცვაში:

ქ ა რ თ უ ლ ი

ნიფი (ძვ. ქ.) „ცვარი, სისველე“; „**ნიფი** არის ცვარის უმცირესი ნაწილი“ (საბა); შდრ. **ფინ-ფლ-ვა**, **ფონ-ვა**, **მ-ფონ-ავი**, **გა-ფონ-ილ-ი**, **ნა-ფონ-ი**, **ნა-ფურ-ი**, **ფვან-ი** (ქართლ.) „ნაყური“, **ფლმ-უტ-ი** (ძვ. ქ.) „წვიმის სახეობა“, **ფლვ-იკ-ი** (გურ.) „წვიმიანი ამინდი“, **ფინ-ფლლ-ი** (საბა) „წვირილი თქორი“, **ფან-ქ-ი** (იმერხ.), **ფვან-ქ-ი** (გურ.) „ცვარი, ნამი, წვეთი“, **ფო-ქ-ო** (გურ.) „წყალწყალა ღვინო“, **ფან-ტ-ი** (საბა) „მცირე რამ სისუელე“, **ფა-ტყ-ი** (საბა) „წყლიანი თოვლი“, **ფალ-ტ-ამ-ი** (გურ.) „თოვლქყაპი“, **ფაფ-უნ-ი**

(თუ ***ჟან-ჟუნ**-ი? — ქიზიყ. „სხმა წვიმისა, სმა ღვინისა“, **ჟგლ**-ეთ-ი (იმერ., გურ.), **ჟ**-ეთ-ქ-ი (ლენჩ.) „კოკისპირული წვიმა“, **ჟვ**-ავ-ი (გურ.) „ნამი, ცვარი“, **ჟვ**-იპ-ინ-ი (ლენჩ.) „სისველე“, შდრ. იმერ. **ჟვე**-პ-ო „სითხის ქაფი; ოფლი“, **ჟვრინ**-ტი (თუშ.), **ჟრინ**-ტი (მთიულ., ქიზიყ.) „წვეთი“, **ჟით**-ქ-ი „წვრილი წვიმა“, **ჟმ**-ორ-ი (რაჭ.) „თქორი“, **მო-ჟრ**-ობ-ა (გურ.) „ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი სითხის — სველის წამოდუღება და თავზე მოყენებული ხაჭოსებრი მასის გაწურვა“, **ჟონ**-ტ-ორ-ო (გურ.) „სველი შეშა“, **ჟრინ**-ვა (ფშ.) „ჩუხჩუხი, რაკრაკი“, **ჟუნ**-ტ-ა-მ (ინგილ.) „სურდო“, **ჟუ-ჟღ**-ო (ქიზიყ.) „წყლულის ნადენი“, **ჟუ-ჟღ**-ნ-ა (იმერ.) „უხეიროდ რეცხვა“...

მ ე გ რ უ ლ ი

ჟვარ-ი „სველი, წყლიანი“ (შდრ. გურ./იმერ. **ჟვერ**-ო), **ჟვარ**-უ-ა || **ჟვარ-ჟვალ**-ი „წვეთება, წყლის სხმა“, მეგრ. ი-**ჟვარ-ჟვალ**-უ-რ „სველდება“...

ვეიქრობთ, რომ საერთოქართველური ენის დონეზე უნდა აღვადგინოთ ***ჟურ**- ძირი (შდრ. ნა-**ჟურ**-ი „ნაწვეთი, წვეთ-წვეთად გამოდენილი“; გურ. **ჟურ**-ი „საარაყე მასალა — როცა წყალს დაამატებენ, იტყვიან: **ჟური** მივეციო“; ქიზიყ. **ჟურ**-ი „წვეთი“, აჭარ. **ჟურ**-ი „მკვანხე ყურძნის წვენი“), საიდანაც სვანურ ენაში უმლაუტის შედეგად წარმოქმნილი დელაბიალიზაციის პროცესითა და რედუქციის (თოფურია 1931: 155-156; 1979: 167) გზით (***ჟურ**+ი > ***ჟურ** > ***ჟურ** > **ჟირ** > **ჟერ**) მივიღებდით თანამედროვე მეტყველებაში დადასტურებულ ლექსემებს: მგ-**ჟირ** „სველი“, ლი-**ჟრ**-ე (< ლნტ. ლგ-**ჟირ**-ე) „სველება“, ნა-მ-**ჟირ**-ი „სისველე“, ლგ-**ჟრ**-ე (< ლნტ. ლგ-**ჟირ**-ე) „დასველებული“, ბზ. ლწ-ნ-**ჟირ**, ბქ. ლწ-მ-**ჟირ** „ნოტიო ადგილი; საწვიმარი ღარი“, ნა-**ჟრ**-ე (ჩოლ. ნა-**ჟირ**-ე) „ოდნავ სდის“, მა-**ჟერ** „მოწყალება“, ლი-**ჟგ**-რ-ე „წყალობის ქმნა“, ნა-ლ-**ჟგ** „ნაწყალობევი, შეცოდებული“, ლე-**ჟრ**-ი (< ლნტ. ლე-**ჟგ**-რ-ი) „საწყალობელი, საცოდავი“, მგ-**ჟირ** „შემწყალებელი, შემცოდებელი“, მგ-**ჟრ**-ი (< ლნტ. მგ-**ჟგ**-რ-ი) „მოწყალე“... — როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ფონეტიკური პროცესი (-**ჟირ**-, ერთი მხრივ, და -**ჟგ**-, მეორე მხრივ) საფუძველია ერთი და იმავე -**ჟურ**- ძირის სემანტიკური დიფერენცირებისა.

ქართველურ ენებში გამოვლენილი რეგულარული ფონემათშესატყვი-სობების სისტემიდან ამოსვლით ზანურ-სვანურში მოსალოდნელი იყო -**ჟღ**-კომპლექსი, მითუმეტეს, თუ შევეუდარებთ ერთმანეთს ქართული ენის

აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტთა ზოგ მონაცემს: თუშურ-ფშაურ-ქიზიყური **ჟინ-ჟლ-ი**, ერთი მხრივ, და გურული **ჟინ-ჟლლ-ი**, მეორე მხრივ („წვირილი წვიმა“); თუშური **ჟვრინ-ტ-ი**, მთიულ-ქიზიყური **ჟრინ-ტ-ი**, ერთი მხრივ, და ქართლური **ჟღინ-ტ-ი**, მეორე მხრივ („წყლის წვეთი“). საგულისხმაო, რომ სვანური ენის ერთ-ერთ დიალექტში სწორედ მთიულურ-ქიზიყური ფორმაა შესული (შდრ. ლშხ. **ჟრინტ** „წვეთი, ყლუპი“). იქვე გვაქვს **-ჟლ-** კომპლექსის შემცველი მონაცემიც (ლშხ. **ჟღერ** „თქეში“). ეს უკანასკნელი ლეჩხუმურ დიალექტშიც გამოიყენება „ძლიერი წვიმის“ აღსანიშნავად, რაც სვანურის (ლაშხურის) ანარეკლია. ლოგიკურად სულაც არ იქნება გასაკვირი, რომ საანალიზო ფორმებისათვის (**-ჟირ-**, **-ჟვრ-**, **-ჟღერ-**) საკუთრივ სვანურში ამოსავლად ვივარაუდოთ ***-ჟღურ-**, რომელშიც თანდათანობით დაიშალა ბგერათკომპლექსი. ლექსემები, რომლებიც გადმოგვცემენ „სისველისა“ და „წყალობა > შეცოდების“ სემანტიკას, შეიძლება მიგვეღო როგორც **-ჟურ-**, ისე **-ჟერ-** ძირიდან, თუ მეგრულ მასალასაც გავითვალისწინებთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საერთოქართველური ენის დონეზევე ამ ძირში უნდა დავუშვათ **-ჟ/ე-** ხმოვანთმონაცვლეობა.

ქართველურ ენებში ღღესაც შეინიშნება ბგერათკომპლექსების გამარტივების პროცესი:

გურული: **ჟღეპ-ი > *ღეპ-ი > *ღეპ-ი > ეეპ-ი** („ოდნავ წვიმიანი, ნისლიანი ამინდი“);

სვანური (ბზ.): **ლი-ჟღამ-ურ-წლ > *ლი-ჟამ-ურ-წლ > ლი-ჟემ-ურ-წლ** („ჟღავილი > აშლილობა, არეულობა“);

სვანური (ბქ., ლნტ.): **ბჟღერ** („ჩვილი, ყრმა“), იმერ.-გურ.-ლეჩხ. **ბჟღარტი > ბღარტი**, აჭარ. **ბღაშტი** („ბარტყი, ბავშვი, შვილი, უსუსური“).

იმერულ-გურული: **ჟგლ-ეთ-ი > ლეჩხუმური ჟ-ეთ-ქ-ი** („კოკისპირული წვიმა“); **ბჟღილ** (ჩოლ.) — მჩუტე, უნაყოფო თავთავი, შდრ. **ბჟირ-ი** — „უბულო ფეტვი და მისთანანი“ (საბა);

ჟა-ტყ-ი > ჟან-ტ-ი „წყლიანი თოვლი“ (საბა)...

ასე რომ, სრულიადაც არ არის შეუძლებელი არქექტიპიდან ***ჟურ** მიგვეღო ზანური **ჟღურ** და სვანური **ჟღურ/ჟღერ/ჟღირ/ჟღვრ** ფუძეები. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სომხური **ჭურ** („წყალი“) საერთო-ქართველური ***-ჟურ-** ძირის გააფრიკატებული ვარიანტია? (ეს ისე, სხვათა შორის!).

The roots žur-/žir-/žar- in the Kartvelian languages

S u m m a r y

In the special literature (Chukhua 2000-2003: 183) the Svan -žir-/žar- root denoting "wetness" and "benevolence" is connected with a lexeme of Pshavian dialect of Georgian *zala* ("salted whey"), but it is not (so far) attested in old Georgian written sources that complicates its consideration to be as Common Kartvelian data.

During comparing the analytical roots it is not necessary to consider a whistling variant of a sibilant consonant as in all Kartvelian languages in the lexemes denoting "wetness" and any "liquid" occurs just ž phoneme – mainly in surrounding of sonor sounds and old suffixes.

Georgian žur- ("drop, souce") of course would give the variant with žy complex in the regional languages, of which in some lexemes a complex is still preserved, in some ones it is simplified. Thus, on Common Kartvelian level a *žur-archiform can be reconstructed without any problem.

კვლავ წყ-ალ, წყ-არ, წყ-ერ-, წყ-ურ და ლიც/ნიც ფუძეთა ურთიერმიმართებისათვის ქართველურ ენებში

ქართული წყ-ალ, წყ-არ, წყ-ერ-, წყ-ურ, ერთი მხრივ, და სვანური ლიც/ნიც, მეორე მხრივ, სინონიმურ ლექსემებში გამოყენებული სემანტიკები, რომლებიც ფორმალურად სრულიად განსხვავებული სემანტიკით ხასიათდებიან.

სვანური ლიც შესაძლოა უკავშირდებოდეს ქართულ ფუძეგაორკეცულ ერთცნებიან კომპოზიტს ლიც-ლიც-ი (ე. გაბლიანი, ა. ლიპარტელიანი).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „ლიცლიცს“ ორი მნიშვნელობა აქვს: ა) წყლის ზედაპირის ნელი მოძრაობა, რხევა; ბ) ციმციმი (ლიცლიცებს — 1. პირამდე სავსეა სითხით; 2. ლიცლიცი გააქვს).

ქართული ენის ფშაურსა და ქართლურ დიალექტებში ლიც-ლიც-ი „პირამდე სითხით სავსე ჭურჭელია“

ლიც ზოგიერთ სვანურ გრამატიკულ (განსაკუთრებით მრ. რ-ისა და თანდებულის) ფორმაში ლგც ვარიანტის სახითაც გვხვდება, სადაც ე. წ. ნეიტრალური ხმოვანი ინის ნარედუქციალი ჩანს.

ლიც არაერთი სვანური სიტყვის შემადგენელი კომპონენტია (ლილცგრ < *ლი-ლიც-ე-გრ-ე, ლილცუნე < *ლი-ლიც-ე-უნ-ე „მორწყვა“, ლა-ლც-უნ-ა „სარწყავი“, ლგ-ლიც „წყლიანი, წყალნარევი; აუფუებელი“, მგ-ლც-ი „წყლის მზიდავი“, ლშხ. ლი-ლც-გმ-ე „წვიმისგან თავშეფარება“, ჩოლ. ლი-ნც-ულ-ე „რძეში პურის ან მკადის ჩაფშვნა“, ლა-ლც-ი ლიპდე „ძროხის წყლიანი მომყოლის დაბადება“ < *,სა-ლიც-ლიც-ე-ს მო-ვდ-ომ-ა“. უკანასკნელ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ სემანტიკურ რეკონსტრუქციებს თან ახლავს ხოლმე ნებისმიერობა, ანუ აბსტრაქტულ ცნებათა აღდგენა, ვფიქრობთ, დაუჭერბელი არაფერია).

ლიც ფუძის ნარიანი ვარიანტი უნდა იყოს კომპონენტი ზემოსვანურ და ლაშხურ დიალექტებში დადასტურებული ლიცნცე („გაპიპინება, ჭურჭლის პირამდე გავსება სითხით“) მასდარისა, რომელშიც ძირითადი ჩანს მთელ სვანურში (უფრო ხშირად კი ლაშხურ დიალექტში) გავრცე-

ლებული ნიცი ფორმა. ზემოაღნიშნულ მასდარში ქრონოლოგიური უწინა-
 რესობა-შემდგომადობის თვალსაზრისით საგულეველი ფონემატური
 გარდაქმნები შემდეგნაირად გვესახება: *ლი-ლიცი-ლიცი-ე > *ლი-ნიცი-ნიცი-ე >
 *ლი-ნიცი-ნიცი-ე > *ლი-ნიცი-გ-ნიცი-ე ან ლი-ნიცი-ი-ნიცი-ე > ლი-ცინიცი-ე (სონანტთა
 თუ სონორთა მონაცვლეობა ჩვეულებრივი მოვლენაა ქართველურ ენებში,
 მითუმეტეს სვანურში).

ბალსკვემოური დიალექტის არაერთი ფონეტიკურ-მორფონოლოგიური
 თავისებურებით გამორჩეულ კილოკავში — ლახამულურში სითხით პირამდე
 ავსებულ (გურ. „გაპიინებულ“) კურკელზე იტყვიან ქა ლიჟელცგნე¹ს,
 რომელიც ეტიმოლოგიურად შესაძლოა „ყელ-ლიცი-ლიცი-ა“ს გულისხმობდეს.
 მოსალოდნელია *ლიჟელ-ლიცი-გნე > *ლიჟელ-ლცი-გნე > *ლი-ყელ-ცი-გნე-გ >
 ლი-ჟელ-ცი-გნე-ე.

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ლიცი ფუძე ქართულიდანაა
 ნასესხები სვანურში (შდრ. აგრეთვე ჰიდრონიმი ლიცი-ეულ-ა რაჭაში),
 სადაც იმავე სემანტიკის -წყ- კომპლექსის შემცველი მონაცემიც შეიძლება
 შეგვხვდეს (შდრ. წყელ-აწ — 1. წმინდა, სუფთა < „წყელ-იანი“; 2. ვერცხლი).
 საგულისხმოა, რომ ამ ძირთა გამოყენების თვალსაზრისით არათუ ქართული,
 არამედ სვანური ენის დიალექტები ან კილოკავებიც შეიძლება დაუპირის-
 პირდნენ ერთმანეთს: შდრ. ბზ. ა-ლწყ-ე, ზს. ა-ლწყ-გნ-ე („აწყლიანებს“),
 ერთი მხრივ, და ქს. ა-ლცი-ე („აწყლიანებს, რწყავს“), მეორე მხრივ. პირველ
 შემთხვევაში -ლ- ინფიქსია, ორმაგი პრეფიქსის რედუცირებული ვარიანტი
 (რაც ჩვეულებრივი მოვლენაა სვანურში), ხოლო მეორე შემთხვევაში —
 ძირისეული ელემენტი.

უკანასკნელ ხანებში სპეციალურ ლიტერატურაში (გივლემიანი 2006: 18)
 გამოითქვა სრულიად ორიგინალური (თუმცა, სამწუხაროდ, მცდარი)
 თვალსაზრისი ლიცი ფუძის წარმომავლობისა და სეგმენტაციის შესახებ:

ლი-ცი < *ლი-წ < *ლი-წყ < *ლი-წყ-ალ

ლიცი ფუძეს ნიკო მარიც ანაწევრებდა და ის ნიცი ვარიანტიდან
 მომდინარედ მიაჩნდა, მაგრამ, ჯერ ერთი, მასდარისეულ თუ აბსტრაქტულ
 სახელთა ლი- პრეფიქსს სვანურში არასდროს ენაცვლება ნი- და, მეორეც,
 სვანური წყ კომპლექსი, ჩვეულებრივ, არც მარტივდება და არც გადადის ც
 ფონემაში არც ანლაუტში, არც ინლაუტსა და არც აუსლაუტში.

ვეტიკრობთ, რომ სვანურ ზმნებში (და სახელზმნებშიც) წარმოდგენილი -წყ- ძირი მომდინარეობს. საერთოქართველური ენიდან და იმ ე. წ. „იდენტურ“ ფონემათშესატყვისობათა რეფლექსებს განეკუთვნება, რომლებიც ყველა ქართველურ ენაში ერთგვარად, წინა რიგის სიბილანტთა სახით რეალიზდებიან (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ზ. სარჯველაძე, პ. ფენრიხი). სავარაუდოა, რომ პარმონიული კომპლექსები ჯერ კიდევ ქართველურ ენათა ერთიანობის ეპოქისათვის იყვნენ ჩამოყალიბებულნი იმ სახით, რომელსაც დღეს A და B სისტემებს ვეწოდებთ (ქუთელია 1986: 72-97). „ყველა ეს ჯგუფი მარკირებულია საერთოქართველური ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით“ (მაჭავარიანი 1965: 82). მიუხედავად იმისა, რომ პარმონიული კომპლექსები კარგადაა შესწავლილი ქართველოლოგიაში (გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, პ. ფოგტი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ნ. ქუთელია, მ. ქურდიანი, მ. ჩუხუა), მაინც სვანური მასალა ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გაანალიზებული, რაც, რასაკვირველია, ენათმეცნიერთა მხოლოდ უფროსი თაობის გასაკეთებელი არ არის. ამ მხრივ თავისი ყურადღება უნდა გაამახვილოს ახალგაზრდობამაც.

Again towards the interrelation of *ყყ-al*, *ყყ-ar*, *ყყ-er-*, *ყყ-ur* and *lic/nic* stems in the Kartvelian languages

S u m m a r y

Georgian *ყყ-al*, *ყყ-ar*, *ყყ-er*, *ყყ-ur* on the one hand and Svan *lic/nic* on the other hand are the semantemes used in synonymic lexemes and are characterized by different segmentation.

Svan *lic* could be connected with Georgian stem-doubled composite *lic-lic-i* having only one conception (Gabliani 1925: 183; Liparteliani 1994: 195). In the modern special literature (Giglemiani) this connection is represented incorrectly.

According to Georgian Explanatory Dictionary *licici* has two meanings: a) slow moving of a water's surface, waving; b) flickering (shimmers – 1. smth is full of liquid; 2. smth is brimming over).

In the Pshavian and Kartlian dialects of Georgian *lic-lic-i* denotes "smth full of liquid".

In some Svan grammatical (especially in plular and prepositional) forms *lic* occurs in the form of *læc* variant in which so called neutral vowel seems to be reduced by *i*.

lic is a consisting component of many Svan words (*liicære* < **li-lic-e-ær-e*, *liicune* < **li-lic-e-əne* "watering", *la-lic-un-a* "to be watered", *læ-lic* "mixed/diluted with water, non risen", *mæ-lic-i* "a water-carrier", Lashkh. *li-lic-'m-e* "sheltering from rain", Chol. *li-nc-ul-e* "crumbling of bread or maize-bread in milk", *la-lic-i liqde* "borning of watery placenta of a cow" < **sa-lic-'lic'-e-s mo-qd-om-a*) (in the latter case, even though semantic reconstructions are accompanied by consciousness – *i. e.* reconstruction of abstract concepts, there is nothing untrustworthy).

It is noteworthy, that in Low Svan "a shelter from rain" is called *la-lic-əm* and in Upper Svan – *lasim* (UB)/*lasim*, *lasəm* (LB). Thus, dialects are connected to each other by desaffrication process (*ç* > *s*).

A variant with *n* of *lic* stem could be an initial in masdar *licince* ("filling to the brim, filling of a dish with liquid") confirmed in the Upper Svan and Lashkhanian dialects for what an initial seems to be a *nic* form spread in whole Svan (mostly in Lashkhanian dialect). In abovementioned masdar the assumed phonematic changes according to chronological interior-posterior standpoint are pictured as thus: **li-lic-lic-e* > **li-nic-nic-e* > **li-nic-nic-e* > **li-nc-ə-nc-e* and *li-nc-i-nc-e* > *li-cinc-e* (alternation of sonants and sonorants is natural in the Kartvelian languages, especially in Svan).

In Lakhamulian subdialect of Low Bal dialect that is distinguished by many phonetical and morphological peculiarities they say *ka wiqəlcəne* about "a dish full of liquid" (Gur. *gapipinebuli* "full to the brim") that etymologically could mean *qel-lic-lic-a*. It is expected: **læ-qel-lic-ən-e* > **læ-qel-lic-ən-e* > **li-qel-c-ən-ə* > **li-qəl-c-ən-e*.

In all abovementioned examples *lic* stem borrowed from Georgian (cf.: hydronym *lic-eul-a* in Racha) in which data containing *-çq-* complex of the same semantics could occur (cf.: *qçəl-jän* – 1. clean, pure < *çq-l-ian-i*; 2. silver). It is noteworthy that from the standpoint of using of these stems not only Georgian dialects but Svan dialects and sub-dialects could oppose to each other: cf.: UB *ā-l-çq-e*, US *ä-l-çq-ən-e* "makes smth watery", on the one hand and LS. *a-l-c-e* "makes smth. watery, waters" on the other hand. In the first case *-l* is infix, a reduced variant of double prefix (that is natural in Svan), in the second one – it is a root element.

Recently in the special literature (L. Giglemiani...) original (but unfortunately wrong) view on origin and segmentation of lic stem was expressed: li-c < *li-ç < *li-çq < *li-çq-al.

Even Niko Marr dismembered lic stem and considered it to be originated from ni-c variant. But firstly, li- prefix of masdar and abstract nouns is never alternated by ni- in Svan; secondly, usually Svan çq complex neither is simplified nor transformed into c phoneme in anlaut as well as auslaut.

I believe, that -çq- root represented in Svan verbs (and deverbative nouns) is originated from Common Kartvelian language and belongs to so called "identical" phonemes correspondence reflexes which in all Kartvelian languages are realized similarly in the form of front sibilants (T. Gamkrelidze, G. Machavariani, Z. Sarjeladze, H. Fähnrich). It is assumed, that by the epoch of the Kartvelian languages unity the harmonic complexes have been formed in the form that is called A and B systems today (N. Kutelia 1986: 72-97). "All these groups are marked from the viewpoint of Common Kartvelian phonological system" (Machavariani 1965: 82).

Even though harmonic complexes are investigated well in kartvelology (G. Akhvlediani, Am. Chikobava, V. Topuria, H. Vogt, T. Gamkrelidze, G. Machavariani, N. Kutelia, M. Chukhua), still Svan material is not relevantly analysed, that should be carried out not only by elder generation of linguists – young ones should focus their attention on this issue as well.

ძირ-ფუძეთა ანლაუტში ცვეთის ტენდენციები ქართველურ ენებში

ყველა აგლუტინაციურ თუ ფლექსიურ ენაში არსებობს **ბუნებრივი, შეზღუდული და აკრძალული ბგერათმომდევრობანი**. მიუხედავად იმისა, რომ ქართულისთვის სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა თანხმომავნა თავმოყრა ანლაუტში, მაინც ზოგიერთ შემთხვევაში ენა ცდილობს, აირიდოს გარკვეული კომპლექსები. ამ თვალსაზრისით უმწერლობო ქართველურ ენებში უფრო მეტი გასაქანია, ვიდრე სალიტერატუროში.

შეინიშნება სამი ტენდენცია:

1. რთული კომპლექსის გამარტივება ერთ-ერთი კომპონენტის დაკარგვის გზით;
2. ხმოვანთა (ი, ა, უ, გ) ჩართვა თანხმომენებს შორის;
3. ბგერათგადასმა.

ამ მხრივ საინტერესო სურათი გვიჩვენა ლექსემა „ბრტყელის“ ანალიზმა: ქართული: **ბრტყ-ელ-ი** (II ძვ. ქ. **ტყრპ-ელ-ი**), სი-**ბრტყ-ე**, გა-**ბრტყ-ელ-ებ-ა**, ა-**ბრტყ-ელ-ებ-ს**, მეგრული: **ბირტყ-** („ბრტყელი“), ლა-**პარტყ-ია** („მობრტყელო, წაბრტყელო“), **პარტყ-ი** II **პერტყ-ი** ლებია (ჰუინტი, ნედლი ლობიოს მარცვალი, ბრტყელი ფორმისა), ლა-**ბარტყ-უა** („გაბრტყელება, წაბრტყელება“), ლა-**ბარტყ-ან-ს** („აბრტყელებს“): სვანური: **ტყ-ელ** (ლშხ.), **ტყფ-რი** (ბქ.) „ბრტყელი“, ბზ. ლი-**პტყ-გნ-ე**, ბქ. ლი-**ტყფ-გნ-ე** („გაბრტყელება“), ა-**პტყ-გნ-ე** ჩოლ („აბრტყელებს“; „პატარა გოგო კვერებს ცუდად აცხობს“). **ბრტყ-** ძირი ყველა ქართველურ ენაში გვხვდება როგორც სახელებში, ისე ზმნებში (შდრ. ჩუხუა 2000-2003: 179, რომლის მიხედვითაც „სვანურში სახელური ფუძე არ ჩანს“).

ვფიქრობთ, **ბრტყ-** ძირის მდგრადობას ხელს უწყობს მასში სონორის არსებობა (შდრ. **პრტყ-ელ-ი**, თუმცა **პტყ-ელ-ი**ც გვხვდება, ოღონდ შედარებით იშვიათად. ანალოგიისთვის მოგვყავს ძვ. ქ. **ბრპენი** და საბასეული **პრპენი** — „ტყვია“).

საანალიზო ძირში სვანურში სონორი ფონემა არსად გვაქვს, ამიტომაც ბუნებრივია, რომ მკვეთრი თანხმომენები გამოიყენება (ლი-**პტყ-გნ-ე**), რომლებიც კიდევ უფრო მარტივდება სახელურ ძირებში: **ტყ-ელ**, **ტყფ-რი**,

ტ^აფ-შუ, ტ^აფ-ხელ („ბრტყელი“), სადაც ბოლო ორი ლექსემა კომპოზიტური წარმომავლობისა ჩანს, ხოლო -ფ-, ალბათ, საერთოქართველური ძირის მედერი ანლაუტის მეტათეზისირებული ყრუ ვარიანტია.

საგულისხმოა, რომ სევანურსა და ქართული ენის ინგილოურ დიალექტში ერთი და იგივე მონაცემი (ტყ-ელ) გვაქვს.

თანხმოვანთმიმდევრობის დაძლევის თვალსაზრისით საინტერესოა ბალსქვემოური პრიტ^ა და ჩოლურული პრიტ-აჲ („ფართო თხელი ფოთოლი, ყური ან ტუჩი“) და ზემოსევანურ-ლაშხური პიტ („თხელი მჭადი ან პური, კვერი“), აგრეთვე, ქართული ენის დასავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი პორტყ-იალ-ი, იმერული პოტ-იალ-ი („ხეტიალი, უგზოუკვლოდ სიარული“) და ჩოლურული პიტ-პიტ („უაზრო სიარული ქალისა“).

სალიტერატურო ქართულის ბერყ-ენ-ა'ს („ველური მსხლის ჩიში; ისხამს მწკლარტე ნაყოფს; იხმარება მსხლის საძირედ“ — *Pyrus salicifolia*), რომელიც, ალბათ, *ბერტყ-ენ-ა'საგან მომდინარეობს, კახურ დიალექტში შეესაბამება პტყ-ენ-ა. მისი წარმომავლობა ძალიან გამკვირვალე ჩანს: *ბრტყ-ენ-ა > *ბერტყ-ენ-ა > *ბეტყ-ენ-ა > *ბტყ-ენ-ა > პტყ-ენ-ა ჩვეულებრივი ამბავია:

ფ. ქ. ტყრ^ა-ელ-ი < პრტყ-ელ-ი < ბრტყ-ელ-ი, სვან. (ჩოლ.) ა-ტყმ^ა-ენ-ე < ა-პტყ-ენ-ე (ზს.) < *ა-ბტყ-ენ-ე < *ა-ბრტყ-ენ-ე.

ქართლში უფუარ, სველ, გამოუშუმებელ ცომს ან ნედლ, ჭყინტ რასმე უწოდებენ ტინტყლ'ს, ხოლო გურიამი თხელი ცომის მოზელის დროს გოგონებს ეკითხებიან: „რას ი-ტიტყ-ენ-ებ-ით-ო?“ (შდრ. სვან. ა-ტგრტყ-ე „თხლად ზელს ფქვილს“). ფეიქრობთ, აღნიშნული მონაცემი ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტს წარმოადგენს და ისიც „ბრტყელ“ ლექსემის ბრტყ- ძირს უნდა უკავშირდებოდეს, რომელშიც რთული თანხმოვანთმიმდევრობის დასაძლევად გამოყენებულ იქნა -ი- ხმოვანი (სევანურში ანაპ-ტიქსური გ):

ზემოსევანური დიალექტები ერთმანეთს უპირისპირდებიან მეტათეზისირებული ძირით და ანლაუტის კონსონანტთა მედერობა-სიყრუით:

ბზ.: ლი-პტყ-ენ-ე < ლი-ბტყ-ენ-ე < *ლი-ბრტყ-ენ-ე;

ბქ. ლი-ტყფ-ენ-ე < ლი-ტყმ-ენ-ე < ლი-ბტყ-ენ-ე < *ლი-ბრტყ-ენ-ე („გა'ბრტყელება“).

რაც შეეხება ლაშხურს, აქ საანალიზო სემანტიკის შესაბამისი მას-
დარი იწარმოება კიდევ უფრო გამარტივებული ძირიდან:

ლი-ნ-ტყ-ელ-ე < *ლი-ნ-ბრტყ-ელ-ე („გაბრტყელება“).

ორმაგპრეფიქსიანი წარმოება უცხო არაა სვანური ენისთვის. ამ
მხრივ არც მასდარული ფორმებია გამონაკლისი (ლი-ნ-ზორ-ე „შეგროვება,
შეკრება, თავმოყრა“; ლი-ნ-გრ-ე „კვერცხის დება“, ლი-ნ-თხლ-წლ „გა-
ფრთხილება“, ლი-ნ-ჩრ-ე „დაძახვა“, ლნტ. ლი-ნ-ცუ „სიცილი“, შდრ. ბზ.,
ლშხ. ლწცუ, ბქ. ლაცუ / ლიციუ და ა. შ.).

ანალოგიურ კომპლექსთა შემცველ ძირებთან დაკავშირებით სპეციალურ
ლიტერატურაში ორი ურთიერთგამომრიცხველი თვალსაზრისი არსებობს.

1. ამოსავალია საერთოქართველური *ტ სონანტი (გამყრელიძე, მაქავა-
რიანი 1965: 94-95; Klimov 1998: 19), რომელიც იძლევა სხვადასხვა ხმოვნით
რეფლექსს ქართველურ ენებში;

2. რთული თანხმოვანთკომპლექსი იმთავითვე უნდა ყოფილიყო
ფუძენაში, ხოლო ზანურის ა/ო პროთეტულ ხმოვნებად უნდა ჩაითვალოს
(ჩუხუა 2000-2003: 179).

ვარაუდის დონეზე ორივე თვალსაზრისი დასაშვებია, გააჩნია, ვის
როგორ წარმოუდგენია ფუძენის ფონემათა სისტემა (ხმოვანი — სონანტი —
თანხმოვანი თუ ხმოვანი — ნახვეარხმოვანი — თანხმოვანი). ჩვენ ვფიქ-
რობთ, რომ გაცილებით მარტივი იქნება სურათი, თუ რთულ კომპლექსთა
შემცველ ძირებში დღემდე არსებულ ხმოვნებს ანაპტიქსურად ჩავთვლით
(განსაკუთრებით გ'ს შემთხვევაში) ყველა ქართველურ (დამწერლობის
მქონე თუ უდამწერლობო) ენაში (და არა მხოლოდ ზანურში, როგორც ეს
სპეციალურ ლიტერატურაშია შენიშნული).

შესაძლოა „ბრტყელ“ ლექსემის სემანტიკაც და ფორმაც უკავშირდე-
ბოდეს და-ბერტყ-ე-ბა („დახეთქება, დანარცხება“)¹ს ძირსაც, რაზედაც სვა-
ნური ენის დიალექტები აშკარად მიუთითებენ: ბზ., ლშხ. **ხაპტყერე** <
*ხ-ა-პტყ-ე-გრ-ე და კიდევ უფრო გამარტივებული ბქ. ხ-ან-ტყ-ო („აკრავს“);
ჩოლურულ ლექსიკონში **ხაპტყერე** ასეა განმარტებული: „თხლადაა
დაგდებული ან აკრული“, ანუ „გაბრტყელებულია, ბრტყლად აგდია,
ბრტყლად აკრავს“.

ე. ი. *ბრტყ-ება > ბერტყ-ება > ბეტყ-ება > პეტყ-ება გლოტა-ლიზებულ თანხმოვნიათი ვარიანტი მხოლოდ სვანურში კი არ გვაქვს, არამედ ქართული ენის დასავლურ დიალექტებშიც (და-ა-პე^რტყ-ა, შდრ. აღმოსავლურქართული და-ა-ბღერტ-ა და ხევსურული ბღატ-ება „ბლოტვა, ბლოტიალი; ბლაუჭით ცოცვა აღმართზე“, ფშაური ბარტყ-ანი).

ამავე ძირთან შეიძლება დავაკავშიროთ ბარტყ-ი, ბლარტ-ი, ბჟლარტ-ი (იმერ., ლჩხ.).

მაშასადამე, ამოსავალი ბრტყ- ძირი გამარტივების ტენდენციას ამჟღავნებს ყველა ქართველურ ენაში, მაგრამ სალიტერატურო ქართულში ვარიანტთა რაოდენობა მაინც უფრო შეზღუდულია, ვიდრე ზანურ-სვანურში. ჩვენი ვარაუდის მიხედვით, ოთხთანხმოვნიანი (resp. სამთანხმოვნიანი, რადგანაც ერთ-ერთი კომპონენტი პარამონიული კომპლექსია) ძირი გარკვეული ფონოლოგიური გარდაქმნების შედეგად შეიძლება დავიდეს სამ, ორ და ცალთანხმოვნიან მონაცემამდე და ეს მონაცემი, როგორც წესი, მკვეთრი ტ ფონემაა (შდრ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მოხსენიებული ჯავახური ტოპონიმები პრტ-ენ-ა/პტ-ენ-ა/ფრტ-ენ-ა, რომლებიც ზ. ჰიჭინაძისეული ბერტ-ენ-ა ლექსემის ფონეტიკურ ვარიანტებს წარმოადგენენ — ჯიქია 1958: 244-252, 311; ჟამადაძე 2007: 25).

სპეციალურ ლიტერატურაში სვანური პიტ („კვერი“, უშგ. ლუქმაბური“) დაკავშირებულია სვანურისავე ლექსემასთან ფურთ-ინ-ა ქართულ ფათ- ძირიდან ამოსვლით და მიჩნეულია, რომ მისი ზანური ვარიანტი ფურთ- (<* ფოთ-) შემონახულია სვანურში (ჩუხუა 2000-2003: 178).

ვეიქრობთ, რომ ზანური ძირი საძებარია, რადგანაც ფურთ- საერთო-ქართველური ჩანს; ფურთ-უნ-ა ქართული ენის ისეთ არქაულ დიალექტში იხმარება, როგორცაა იმერხეული („ქარიშხალი“), ხოლო იგივე ძირი „გამჟღეღი წვიმის“ აღსანიშნავად გურულშიც გამოიყენება (ფურთხ-ი). სვანურ ენაში ლიფურთინე (<*ლი-ფურთ-ი-ენ-ე), ფურთინა (<*ფურთ-ი-ენ-ა) „არეულობა“ („სხვადასხვა ნივთიერების ერთმანეთში აღრევა“), ხოლო, ბალსზემოურ-ლაშხური დიალექტების ჩვენებათა მიხედვით, ფურთინა „ერთგვარი გულიანი პურია“. ეს სახელწოდებაც სწორედ იმიტომ ჰქვია, რომ მასში შეიგთავსია არეული.

მაშასადამე, ყველა ზემოაღნიშნულ ქართულსა და სვანურ ძირში ხაზგასმულია რალაც: საგნების, ნივთიერებებისა თუ მოვლენების ერთმანეთში აღრევა. ასე რომ, ფურთ- სხვა სემანტიკის გადმომცემია, ხოლო პიტ — სხვისა. ამ უკანასკნელის ფორმათა განვითარება დროსა და სივრცეში უწინარესობა-შემდგომადობის თვალსაზრისით შემდეგნაირად გვესახება:

ა) საერთოქართვ. *ბრტყ-ელ > სვან. *ბრტყ-უ > *ბირტყ-ჟ > *ბიტყ-ჟ > *პიტყ-ჟ > *პიტყ > პიტ („ბრტყელი კვერი“); შეიძლება პტ ვარიანტიც.

ბ) საერთოქართველური *ბრტყ-ელ > სვან. *ბრტყ-უ > *ბრიტყ-ჟ > *ბრიტ-ჟ > *ბრიტ > პრიტ+ჲ-ჲ („ფართო თხელი ფოთოლი“); შეიძლება პრტ-ჲ-ჲც.

ერთი კია — ბ > პ > ფ შესაბამის პოზიციებში სხვა ლექსემებთანაც დასტურდება: ბუტ-ბუტ-ი > პუტ-უნ-ი („ჩურჩული, ფუჩუნი“), ფუთ-ფუთ-ი („მრავალი წვრილი ჭიალუის ერთ ადგილას მოძრაობა და ერთმანეთში არევა“ — გადატანით ითქმის ადამიანებსა და ცხოველებზედაც).

Reducing tendencies roots and stems in anlaut in the Kartvelian languages

S u m m a r y

In all aglutinative and inflexional languages there are natural, limited and forbidden sound orders. In spite of the fact that for Georgian collecting of consonants in anlaut is natural still in some cases a language tries to avoid certain complexes. From this standpoint in unwritten Kartvelian languages there are more range than in literary ones.

Three tendencies are noticeable:

1. simplifying of a compound complex through losing of one component;
2. adding of vowels (i, a, u, ə) between consonants;
3. sound-changing.

In this point a noteworthy picture showed an analyze of a lexeme brtq-el "flat, even" in the Kartvelian languages: four-consonante root of which manifests simplifying and as a result of certain phonological changes it should go down to three-two-single-consonante (and containing an harmonic complex) root. As a rule it is a t phoneme (cf.: Ingiloian and Svan tq-el "flat, even", Upper Bal x-an-tq-i "surrounds", Upper Svan, Lashkhan – pit thin "loaf of bread or a maize-bread") and not aspirated t, as it is represented in the special literature (Chukhua 2000-2003: 178).

პირველი ეტიმოლოგიური გამოკვლევა ჩოლურული ლექსიკის შესახებ

ცნობილია, რომ სვანურ ენაში ტრადიციულად ოთხ დიალექტს გამოყოფენ: ბალსზემოურს, ბალსქვემოურს (ზემოსვანური), ლაშხურსა და ლენტეხურს (ქვემოსვანური), მაგრამ მას შემდეგ, რაც დაიბეჭდა ალექსანდრე ონიანის მონოგრაფია „სვანური ენა“, რომელიც გერმანულად თარგმნა და 2005 წელს იენაში გამოაქვეყნა ჰაინც ფენრიხმა, ჩვენმა უცხოელმა კოლეგამ რამდენადმე შეცვალა თავისი დამოკიდებულება საკმაოდ რთული პრობლემისადმი. ამას დაემატა ისიც, რომ ცოტა ხნით ადრე (2003 წ.) იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტმა გერმანულ ენაზე გამოსცა ჰაინც ფენრიხთან თანაავტორობით შექმნილი ჩვენი წიგნი "Tscholurswanisch-Deutsches Verbenverzeichnis". იმავე წელს თავის მონოგრაფიაში "Kleine Schriften" შესანიშნავმა ქართველოლოგმა შეიტანა საკმაოდ მოკლე, მაგრამ ბევრისმთქმელი სტატია "Einige tscholurswanische Ergänzungen des kartwelischen Wortschatzes" („რამდენიმე ჩოლურულსვანური დამატება ქართველურ ენათა ლექსიკაში“), სადაც აღნიშნულია: „ჩოლურული აქამდე არ განიხილებოდა დამოუკიდებელ დიალექტად: ზემოჩოლურული მიაკუთვნეს ლაშხურ კილოს, ხოლო ქვემოჩოლურული — ლენტეხურს. ალექსანდრე ონიანის მტკიცებით, ეს მოსაზრება უარყოფილ უნდა იქნეს და ჩოლურული დანარჩენი ოთხის მსგავსად ცალკე დიალექტად უნდა განიხილებოდეს. ამ თვალსაზრისის გათვალისწინებით მისი ლექსიკაც იმსახურებს ყურადღებას, რომლის განსახორციელებლად პირველი მცდელობა იყო ჩოლურულსვანური ზმნების ერთი ნაწილისა და მისი ძირითადი გრამატიკული ფორმების ჩამონათვალის (Tschantladze, Fähnrich 2003) შექმნა. ამ ახალდამუშავებული მასალის გამოყენებას მივყავართ ქართველურ ენათა ლექსიკის ანალიზის სრულყოფისაკენ“. 2007 წელს გამოცემული ფუნდამენტური ლექსიკონის ("Kartwelisches Etymologisches Wörterbuch") შესავალ ნაწილში სვანური ენა ხუთი დიალექტითაა წარმოდგენილი (იხ. გვ. 6), თუმცა ცალკეულ ეტიმოლოგიებზე მსჯელობისას ჰაინც ფენრიხი, ძირითადად, ტრადიციული (ოთხი) დიალექტების მასალებს მიმართავს.

1998 წელს ალექსანდრე ონიანმა კატეგორიულად განაცხადა: „ფონოლოგიური, გრამატიკული, ლექსიკური და ინტონაციური თავისებურებებით ჩოლურული ისევე განსხვავდება სვანურის ყველა სხვა დიალექტისაგან, როგორც თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან. ეს კი, ვფიქრობთ, საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ ჩოლურული დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულად მივიჩნიოთ“-ო (გვ. 8). მიუხედავად ამისა, ის მკვლევრებს სიფრთხილისაყენ მოუწოდებდა: „სვანური ენის დიალექტთა შორის ჩოლურულის ადგილის საბოლოო განსაზღვრისათვის აუცილებელია მისი სპეციალური შესწავლა“ (ხაზი ჩვენია — ო. ჩ.).

2003 წლის გამოკვლევაში და 2007 წლის ლექსიკონში ჰაინც ფენრიხის მიერ გაანალიზებული მასალიდან ზოგი მხოლოდ ჩოლურულ მეტყველებას ასახავს, თუმცა გვხვდება ისეთი ლექსიკაც, რომელიც სვანურის სხვა დიალექტებშიც გამოიყენება და, მაშასადამე, დანარჩენ ქართველურ ენებშიც.

ჰაინც ფენრიხმა ერთმანეთს შეუდარა ქართული ბეთქ- („ძლიერად ცემა“), მეგრული ბათქ- („ძლიერად და შეუწყვეტლივ ცემა“)¹ და სვანური ბეთქ- („ცემა“) ძირები და საერთოქართველური დონისთვის აღადგინა *ბეთქ- არქეტიპი ჯერ კიდევ 1985 წელს (იხ. ფენრიხის დასახ. ნაშრ.: 26), მაგრამ შემდეგ იგი ამ მასალას უმატებს ჩოლურულ ლი-ბათქ-ილი-ბთქ-ი („დარტყმა გაშლილი ხელით“)ს, ლაშხურ ლი-ბეთქ (აფეთქება, გასკდომა“)ს და მიაჩნია „ნამდვილ სვანურ შესატყვისებად“. თუ ადრე (ფენრიხის სარჩველადე 2000: 102) სვანურ ეკვივალენტად მკვლევარი თვლიდა ბეთქჷ-(/ბთქჷ- (ლა-ხ-ბეთქჷ-ე „დარტყა“, ლი-ბთქჷ-ე „დარტყმა“) მონაცემს, ახლა ის გარკვეულ ექვს გამოთქვამს ლი-ბეთქჷ-ე/ლი-ბთქჷ-ე ფორმათა სვანურობის გამო, რადგანაც აუსლაუტის -ჷ- თანხმოვნის არსებობა გვიბიძგებს იქითკენ, რომ ისინი უფრო ქართული ენიდან ნასესხებად ჩავთვალოთ, ვიდრე საკუთრივ სვანურადო (ფენრიხი 2003: 39; 2007: 56).

შეგნიშნავთ, რომ სვანურ ზმნაში -ავ თემის ნიშნის არსებობა მართლაც მიუთითებს იმაზე, რომ შესაბამისი ფუძე მთლიანადაა ნასესხები ქართულიდან, რადგანაც ამგვარი თემის ნიშანი საკუთრივ სვანურის გრამატიკულ სისტემას არ ახასიათებს (მაგალითად: ლშხ. ლი-ბაგ-აჷ-ი, შდრ. ქართლური ა-მო-ბაგ-ვა „საქონლის ბაგის ამოწმენდა ნარჩენთაგან“).

¹ ამავე ძირს უკავშირებს ავტორი სვანურ ანთროპონიმსაც ბეთქ-ილ, სადაც ილ კინობითობის აღმნიშვნელი სუფიქსია (Fähnrich 1985: 26; 2003: 39; 2007: 57).

ვფიქრობთ, რომ საანალიზო ძირში ამოსავალი ხმოვნის საკითხი არც ისე ადვილი გადასაწყვეტია, რადგანაც არა მხოლოდ მეგრულში დასტურდება -ა- (რომელიც ქართული -ე- ხმოვნის კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისია), არამედ თავად ქართულსა და სვანურ ენებშიც: ქართ. **ბათქი**, **ბათქ-ა-ბუთქი**“ („თოფის, ზარბაზნისა და მისთანათა გასროლის ხმა), ჩოლ. ლი-**ბათქი** („გაშლილი ხელის რბილ საგანზე დარტყმა“), **ბათქ-უნ-ე** („ფეხების ბაკუნით დადის“), თუმცა ისიც მოსალოდნელია, რომ **ბათქი** / **ბათქ-უნ-ი** და **ფათქ-ან-ი** / **ფათქ-უნ-ი** (გურ./იმერ. „სროლა, ხმაური; ცემა-ტყეპა, რტყმევა“) ფონეტიკურადაც იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი ასიმილაციის საფუძველზე (**ბათქ-უნ-ი** > **ფათქ-უნ-ი**).

ძველი ქართულიდან მომდინარე **ბერტყ-** და მეგრულ **ბარტყ-** („ბერტყვა“) ძირები თავის დროზე ერთმანეთს დაუკავშირა ჰაინც ფენრიხმა (ფენრიხი 1985: 26), როგორც კანონზომიერი შესატყვისები, მაგრამ მაშინ მისთვის ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო შესაბამისი სვანური მონაცემი და ამიტომაც, სრულიად ბუნებრივია, რომ ***ბერტყ-** არქეტიპი აღდგა ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე. ვარლამ თოფურიას და მაქსიმე ქალდანის „სვანური ლექსიკონის“ გამოქვეყნების (2000 წ.) შემდეგ უცხოელმა ქართველოლოგმა შესადარებლად მოიხმო ბალსქვემოური **ლი-პტყ-გნ-ე**, რომელიც ამ დიალექტში „პენტვა“-ს ნიშნავს, ქვემოსვანურში კი „გაბრტყელება“-ს. მისი აზრით, სვანურმა ფორმამ სუფიქსაციის შედეგად დაკარგა ფუძისეული ხმოვანი, რის საფუძველზეც წარმოქმნილი თანხმოვნების ჯგუფიდან (**ბრტყ-**) ამოვარდა სონორი და ძირის დანარჩენი ნაწილი ასიმილაციის შედეგად აბრუპტიულ თანხმოვანთა ჯგუფით (**პტყ-**) შეიცვალა (ფენრიხი 2002: 8; 2003: 38-39). მოგვიანებით ჰაინც ფენრიხმა ამ მასალას დაამატა ჩოლურული **ლი-ბგნტყ-ე** II **ლი-ბგნტყ-ე** („დაჩურჩნა, გათელვა, გაცეხვა“) ჩვენი კოლექტიური ნაშრომიდან „ჩოლურულსვანურ-გერმანული ზმნების აღწერა“ (ჩანტლაძე, ფენრიხი 2003: 17). ბალსქემოურ დიალექტშიც **ლიბგნტყე** გვაქვს, კბილისმიერი **ტ** თანხმოვნის წინა პოზიციაში დისიმილაციის შედეგად მივიღეთ **ნ**, რომელიც ამოსავალი სონორისგან (**რ**) მომდინარეობს.

მაშასადამე, ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ არც ერთ გამოცემაში (ქართულ თუ

გერმანულ ენებზე) ბერტუ- ძირი არ იყო აღდგენილი საერთოქართველური ფუძეების დონეზე შესაბამისი სვანური მასალების მოუძიებლობის გამო.

რაც შეეხება ძირისეულ ხმოვანთა სიგრძეს, ჰაინც ფენრიხი ხაზგასმით აღნიშნავს: **ქართველურ ენებში გრძელ ხმოვანთა რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ საკითხს აქ არ შეეხებიან.** ეს განცხადება არ არის მოულოდნელი, რადგანაც სპეციალისტებისთვის ცნობილია მისი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი. განსხვავებით სხვა ქართველოლოგთაგან (თამაზ გამყრელიძე, გივი მაჭავარიანი, ალექსანდრე ონიანი, ზურაბ სარჯველაძე...) ჰაინც ფენრიხი ხმოვანთა სიგრძეს საერთოქართველურ დონეზე არ აღადგენს. ამ მხრივ ყურადსაღებია ერთი ადგილი „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ 1990 წლისეული გამოცემიდან: „ზოგიერთ პრობლემას, რომლებიც დღესაც არაა გარკვეული, განზრახ ავუარეთ გვერდი... საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი გვიანდელ საერთოქართველურ ფუძენაში გრძელ ხმოვანთა არსებობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომში ჩვენ არ ვასხვავებთ გვიანდელი საერთოქართველურის დონეზე გრძელ და მოკლესმოვნის ვარიანტებს, სრულებით არ გამოირიცხება მათი არსებობის შესაძლებლობა“ (ფენრიხი-სარჯველაძე 1990: 22); იმავე წიგნის მომდევნო (2000 წ.) გამოცემაში კი აღნიშნულია: „ასეთი ნაშრომი გონივრული კომპრომისების გარეშე არ შეიძლება შეიქმნას, რაც, ბუნებრივია, ავტორებს შორის ცალკეულ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობას გულისხმობს (ფენრიხი-სარჯველაძე 2000: 32)“. აქ, ფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, ხმოვანთა სიგრძის პრობლემის არაერთგვაროვანი გააზრება ივარაუდება.

ბრტუ- ძირი სპეციალურ ლიტერატურაში (შენგელია 2001: 112; ჩუხუა 2000-2003: 179) რამდენადმე სხვაგვარადაა გაანალიზებული, სადაც ამოსავალია სახელური (და არა ზმნური) მონაცემი: ქართ. ბტუ-ელ-ი, ძვ. ქ. პრტუ-ელ-ი, ა-ბრტუ-ელ-ებ-ს, სი-ბრტუ-ე; ზან. (მეგრ.) ბირტუ-ა („ბრტუ-ელი“), ლა-პატუ-ია („ბრტუელი“). მერაბ ჩუხუას აზრით, სვანური ზმნური ბტუ-გნ- ფორმალურად ახლოს დგას ქართულის გლოტალიზებულ ალომორფებთან, ხოლო ზანურში ა/ი ხმოვანი პროთეტულია. კარგი იქნებოდა, საანალიზო შეპირისპირების ავტორს მხედველობიდან არ გამოეჩინოდა ძველი ქართული ტურპელ- ვარიანტი.

ვეტიკობთ, **ბრტყ-** ძირის იზოლირებულ განხილვაზე უფრო დამაჯერებელია მისი ჰაინც ფენრიხისეული გააზრება და **ბერტყ-**თან დაკავშირება. ამავე მონაცემს გულისხმობს ამოსავლად ვაჟა შენგელიაც მეგრული **ბარტყ-** II > **პარტყ-** (შდრ. **ლა-ბარტყ-ია** II > **ლა-პარტყ-ია** „ბრტყელი, მობრტყო“) ძირისთვის (შენგელია 2001: 112-113).

"Kleine Schriften"-ის ავტორის ყურადღებას იქცევს არნოლდ ჩიქობავას (1938: 158) და გერპარდტ დეეტერსის (1926: 82) ერთი დაკავშირება. ესაა ქართული **ბერწყ-/ბრწყ-** (**ნა-ბერწყ-ალ-ი**, **ბრწყ-ინ-ვ-ა**), მეგრული **რწყ-** (**რწყ-ი-ნა/რწყ-ინ-უ-ა/რწყ-ინ-ამ-ი**) და ლაზური **პი'ნ'წყ-** (**ნო-პი'ნ'წყ-ალ-ე**). გიორგი კლიმოვმა (1964: 50) სვანურ **ნა-ბერწყ**ში („ნაპერწყალი“) გამოვლენილი **ბერწყ-**ის მიხედვით შესაძლებლად მიიჩნია, რომ საანალიზო მონაცემი აღდგენილიყო საერთოქართველური დონისთვის, მაგრამ ჰაინც ფენრიხმა და ზურაბ სარჯველაძემ მისი ქართულიდან ნასესხობა ივარაუდეს და ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის ყველა გამოცემაში ***ბერწყ-/ბრწყ-** არქეტიპი აღდგენილია მხოლოდ ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქისთვის, ოღონდ გაუგებარი იყო, რატომ მიაჩნდათ **ბერწყ** სვანურში იზოლირებულ ლექსემად? (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 106), მით უფრო, რომ უშუალოდ კილოკავში ბესარიონ ნიჟარაძეს დადასტურებული ჰქონდა არა **ნაბერწყ** ან **ბერწყ**, არამედ **ნაბერწყალ**¹ (ნიჟარაძე 2007: 157), შდრ. ძვ. ქ. **ნაბერწყალი / ნაპერწყალი**. მაშასადამე, ჭეშმარიტებასთან ახლოს იდგა ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის ვარაუდი იმის შესახებ, რომ სვანური **ბერწყ** ნასესხები უნდა ყოფილიყო ქართულიდან მანამ, სანამ იგი გარდაიქმნებოდა **პერწყ**ად (ფენრიხი, სარჯველაძე: იქვე). ჰაინც ფენრიხი 2003 – 2007 წლებში კვლავ უბრუნდება ამ ძირს, საილუსტრაციო მასალებს უმატებს ჩოლურულ **ლი-ბგრჰყ-ალ-ე**'ს („ბრწყინვა“) და ფუძეენის დონეზე შესაძლებლად მიიჩნევს **წყ-წყ-** დუბლეტური ბგერათკომპლექსის არსებობასაც (მოსალოდნელია, **ლი-ბგრჰყ-ალ-ი** ნასესხებიც იყოს, შდრ. ქართული **ბრჰყვ-ი**ალ-ი ან ონომატოპოეტური ლექსიკის სპეციფიკით შეპირობებული მონაცემი).

¹ ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონების ავტორებისთვის ეს ლექსემა უცნობი იყო, რადგანაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბესარიონ ნიჟარაძის ნაშრომი თითქმის საუკუნის დაგვიანებით გამოქვეყნდა.

ნაბერწყელ (ბზ.), **ნაბარწყ** (ბქ.), **ნაბერწყელ** (ლბტ.) სვანურ ენაში სხვა მნიშვნელობითაც იხმარება — ესაა „შთამომავლობა, ჩამომავალი“, რომელიც ასევე ნასესხები ჩანს ქართულიდან, ოღონდ სხვა სიტყვიდან (ალბათ **ნა-ბარტყ**-იდან).

ბალსზემოურსა და ქვემოსვანურ დიალექტებში „ნაბერწყელს“ **წყუმ** ეწოდება. საგულისხმოა, რომ ეს ძირი სვანურის არაერთ კილოში შიშინა (მგ-ჭკამ) ფორმითაც გვხვდება როგორც იმავე, ისე მსგავსი მნიშვნელობით („ნაბერწყალი“, „ციცინათელა“, „ცეცხლი“ — მონადირის ენაზე). სვანურ-სვანური **ჭკუ** > **წყუ** პროცესი საინტერესოდაა ახსნილი სპეციალურ ლიტერატურაში (ჩუხუა 2000-2003: 381), რაც, სამწუხაროდ, არ არის გათვალისწინებული ჰაინც ფენრიხის არც ერთ იმ ნაშრომში, რომლებზედაც ვმსჯელობთ.

ყურადსაღებია, რომ „ნაბერწყალი“ მხოლოდ XI-XII საუკუნეთა ძეგლებში გვხვდება, მაგრამ ეს ლექსემა ადრეც რომ უნდა ყოფილიყო ქართველურ სამყაროში, ამაზე გურული **ბერწყ**-ალ-ი („ნაბერწყალი“), **პწყ**-ინ-ვა („ბრწყინვა“), **პრწყ**-ალ-ი („მზის პირველი სხივი“), იმერული **ნა-პწყ**-იელ-ი და ლეჩხუმური **ნა-პწყ**-იალ-ი („ნაბერწყალი“), **პწყ**-იალ-ი („ბრწყინვა“) მიუთითებენ.

ჰაინც ფენრიხი ერთმანეთს უკავშირებს ჩოლურულ **ლი-გზ-ე** („ბურღვა, ჩხვლეტა“) და ქართულ **და-გაზ-ვა** ზმნათა **გაზ-გზ-** ძირს; განსხვავებული სემანტიკის გამო, მისი აზრით, ქართული ენიდან სესხება გამორიცხულია. ბალსზემოურ დიალექტში ამ ფუძეს სრულიად სხვა მნიშვნელობა („ნადირის მოკვლა“) აქვს. არა გვგონია, ძალიან დიდი სემანტიკური სხვაობა იყოს ქართულ და ჩოლურულ მონაცემებს შორის: **შღრ. და-გაზ-ავ-ს** („დაკაწრავს, დაფაჭნის ბრჭყალებით ან წვეტიანი საგნით“), ერთი მხრივ, და **ლი-გზ-ე-ნ-ი** („ჩასობა კბილისა,...“), **გაზ-ა** („დასობა“), მეორე მხრივ; თუმცა ქართული **გაზ-ა**, **გაზ-ი** („ბრჭყალები“), **გაზ-ე-ბი** („წვივები“) სპეციალურ ლიტერატურაში სხვაგვარი ეტიმოლოგიისაა (ჩუხუა 2000-2003: 76).

საანალიზო ნაშრომში წარმოდგენილია ბალსზემოურ-ჩოლურული ზმნა **ლი-ღურ-ე** („გასკდომა, გაფანტვა“), რომელიც შეპირისპირებულია ალექსანდრე ლლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ დადასტურებულ ქართლური დიალექტისთვის დამახასიათებელ ფორმასთან **გა-ღღრ-ენ-ა** („უშნოდ გაგანიერება მეტისმეტი სიმსუქნისაგან“).

ზემოიშვებულ და ჩოლურულ (მო-ხუპ-ვა „ბადის აკრეფა მებადურის მიერ“ — ლი-ხუპ-ე „მოგროვება, თავმოყრა, შექუჩება“) მონაცემთა მიხედვით, ჰაინც ფენრიხი საერთოქართველური ფუძეების დონეზე აღადგენს -ხუპ-ძირს, ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ზმნა სვანური ენის ყველა დიალექტშია გავრცელებული. ალბათ, სალიტერატურო ქართულის მო-ხუფ-ვა ლექსემაც იმავე ძირის გაფშვინვიერების შედეგადაა მიღებული (მღრ. რაჭული მო-ხუფ-ვა „მოგროვება, შექუჩება“)...

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული მასალა აშკარად მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ სკრუპულოზურია გერმანელი კოლეგის, პროფესორ ჰაინც ფენრიხის მეთოდი ქართველოლოგიის პრობლემებზე მსჯელობისას. ის სხვადასხვა ნაშრომში არაერთხელ უბრუნდება ადრე გაანალიზებულ ძირებს ყოველი ახალი ფაქტის აღმოჩენისას, რაც მას ძალიან უწყობს ხელს უფრო ზუსტი დასკვნების გაკეთებაში — წარმატებები კი ეფუძნება გერმანული კომპარატივისტული სკოლის დიდებულ ტრადიციებს.

Первое этимологическое исследование чолурской (сванской) лексики

Резюме

Как известно, в сванском языке, по традиции, выделяют четыре диалекта: верхнебальский, нижнебальский (Верхняя Сванетия), лашхский и лентехский (Нижняя Сванетия), но после того, как была напечатана монография Александра Ониани "Сванский язык", которую перевёл на немецкий язык и издал в городе Иена Хейнц Фенрих (2005 г.), до некоторой степени он изменил своё отношение к этой сложной проблеме. Кроме того, в 2003 году Иенский университет имени Фридриха Шиллера опубликовал наше исследование "Tscholurswanisch-Deutsches Verbenverzeichnis". В то же время в своей монографии "Kleine Schriften" известный картвелолог Хейнц Фенрих включил небольшую, но важную статью "Einige tscholurswanische Ergänzungen des kartwelischen Wortschatzes", где подчёркивается следующее: "Чолурскую речь до сих пор не рассматривали в виде самостоятельного диалекта: В специальной литературе верхнечолурский относится к лашхскому диалекту, а нижнечолурский — к

лентехскому; По мнению Александра Ониани, эту точку зрения мы должны отвергнуть и чолурский надо рассмотреть подобно остальным сванским диалектам. Это подтверждает и лексика; первым опытом осуществления такого исследования было создание перечня основных грамматических форм чолурских глаголов. Этот новообработанный материал ведёт нас к совершенствованию анализа лексики картвелских языков". В фундаментальном словаре Наннца Фенриха "Kartwelisches Etymologisches Wörterbuch (Leiden-Boston, 2007)" некоторые сванские лексемы представлены формами 5 диалектов.

В 1998 году Александр Ониани категорически заявил: "По специфике фонологии, интонации, грамматики и лексики чолурская речь также отличается от других диалектов сванского языка, как каждый из этих диалектов друг от друга, а это достаточное основание для того, чтобы чолурский признать самостоятельным диалектом". Несмотря на это, автор монографии "Сванский язык" предупреждал исследователей: "Для окончательного определения места чолурской речи в сванском языке, в первую очередь, обязательно её всестороннее изучение".

К сожалению, в отношении исследования чолурской речи пока очень мало сделано в картвелологии. Это видно и из работы нашей зарубежной коллеги, где анализируемые некоторые лексемы существуют не только в чолурском диалекте.

Наше внимание привлекли следующие корни: ბეტჱ- betk- ("избить"), ბერტჱ- berṭq ("выпрягнуть"; "плоский"), ბერწჱ-/ბრწჱ- berçk/brçk ("блестеть"; "искра"), გაზ- gaz ("сверлить", "колоть"), დღიბ-/დღბ dṭir/dṭr ("набить, наполнить"), ხუბ- хур ("собрать"). Все они восстановлены на уровне общекартвельского языка – основы. Анализ, в основном, проведен успешно; о некоторых замечаниях идет обсуждение в статье.

Мы думаем, что квалификация кодорской (Абхазия) и чолурской речи сванского языка должна быть одинакова после глубочайшего изучения этих лингвистических единиц – они обе произошли от смещения верхне (кодорск.) или нижнесванских (чолурск.) диалектов.

სისინა და შიშინა სიბილანტთა პრობლემა ქართველურ ენებში

ქართველურ ენებში ფონემათშესატყვისობანი ვლინდება ხმოვნებსა და სიბილანტებში, აგრეთვე **თ, ლ, რ** თანხმოვნებთან. გადახვევები სპონტანურ, რეგულარულ კანონზომიერებათაგან **თითქმის ყოველთვის** იხსნება კომბინატორული ცვლილებებით.

პრექართველურ ენაში ისტორიულად ივარაუდება თანხმოვანთა წინასიბილანტური (**სისინა**), შუასიბილანტური (**სისინ-შიშინა**, შდრ. აფხაზური ენის ფონოტაქტიკა) და უკანასიბილანტური (**შიშინა**) რიგები, რომელთაგან პირველი მათგანი იდენტურ რეფლექსებს იძლეოდა ფონემათშესატყვისობის დონეზე, მეორე — უკანასიბილანტური რიგის ეკვივალენტებს წარმოადგენდა, ხოლო მესამე — უკანასიბილანტურ და ველარულ თანხმოვანთა კომპლექსებს (გ. მაჭავარიანი). ზოგჯერ მიმდინარეობდა გასისინების (ზანური **შგ** > სვანური **სგ**) პროცესიც, ოღონდ მხოლოდ ბილაბიალი უსონანტის წინა პოზიციაში (თ. გამყრელიძე, გ. კარტოზია).

მონათესავე ენათა დიფერენციაცია დიალექტების დონეზე იწყება. ბგერათა ცვლილებების პირველი საფეხური, რამაც შემდეგ რეგულარული შესატყვისობანი მოგვცა, ქართველურ ენათა ისტორიულ კილოებში უნდა ვეძიოთ.

ამგვარი პოტენცია სხვადასხვა დიალექტში სხვადასხვა დროს ერთსა და იმავე შედეგს იძლევა. ამიტომაც ქართველური ენების **კანონზომიერ ფონემათშესატყვისობათა ანალოგები დღესაც არსებობენ თანამედროვე დიალექტებში, თუმცა მათ სპორადული (და არა რეგულარული) ხასიათი აქვთ** ხშირად ის, რაც კილოებში სუბსტიტუციის, ანუ აუხსნელი ბგერათ-ცვლილების ნიმუშად განიმარტება, **ზედმიწევნით ემსგავსება** იმას, რასაც ქართველურ ენათა დონეზე ბგერათშესატყვისობად განიხილავენ (ჯორბენაძე 1995: 50-56, 90-93).

ხანდახან მოსალოდნელი სისინა სპირანტისა თუ აფრიკატის ნაცვლად ქართველურ ენათა დიალექტებში შეიძლება შიშინაც შეგვხვდეს ან — პირიქით:

ხჩ-ოლ- ფუძე სხვადასხვა მნიშვნელობისაა ქართული ენის დიალექტებში: იმერულსა და ლეჩხუმურში იგი „კვამლს“ ნიშნავს (და **ხჩ-ოლ-ვ-ა**ს

უკავშირდება), აჭარულში — „წნელის რგოლებით ასხმულ საბმელს“, ხოლო ჯავახურში — „წნელს“. გურიაში „ჩიტის ბადის საქსოვ ხელსაწყოს“ ეწოდება **ჩხ-არ-ი**, თავად „საქსოვ ჩხირს“ კი — **ჩხ-აშ-ი / ჩხ-აჟ-ი**; იმერეთში „წვრილ ჩხირს“ **ჩხ-იკ-ი** ჰქვია, ხოლო „გამხმარი წნელისაგან გაკეთებულ ცოცხს“ **ჩხ-ოკ**ს უწოდებენ გურიაში. ხუთივე ლექსემა ძალიან ჰგავს ზანური სტრუქტურის ფუძეს (შდრ. **ო-ნ-ჩხ-აკ-ალ-ე** „თხილის საბერტყე ჯობი“).

ამკარაა, რომ ძირში ყველგან **ჩხ-** კომპლექსია ან მეტათეზისის შედეგი **ჩჩ-**; სვანური **ლი-შხ-ერ** („პობა, სკდომა“) შეიძლება იყოს ქართული **ჩხ-ერ/ჩხ-ირ** ძირის სპირანტიზებული სახე. მოსალოდნელია, რომ **ლი-ჩხ-ინ-ე** („გაჩხირვა, გარჯობა“) იმავე **ჩხ-** ძირის შემცველი მასდარია.

პარმონიული კომპლექსის სისინა ვარიანტიც (**ცხ-**) გვხვდება ყველა ქართველურ ენაში: ძველ ქართულში „სართავი მოწყობილობის ჯობი“ არის **ცხ-ემ-ლ-ი**, **ცხ-ემ-ლ-ა** კი გურულ დიალექტში „რცხილა“-ა. ჯავახეთში **ცხ-ემ-ლ-ი** არის „ქსელში ნართის გასაყრელი ხე“, ხოლო თუშეთში „წინდისა და ხელთათმანის საქსოვ რკინის ჩხირებს“ **ცხ-ემ-ლ-ებ-ი** ჰქვია (შხ. რ. **ცხ-ემ-ლ-ი**). „ფიჩხის“ აღსანიშნავად მეგრულში **ცხ-ვ-ეკ** იხმარება, ლაზურში კი — **ცხ-იკ**. სვანურში **ცხეკ** (ზს., ქს.)/**ცხიკ** (ბზ.) „ტყეს“ აღნიშნავს. იგივე ძირი ჩანს ჩოლურული მეტყველების **ცხ-გა-ერტ** („წვრილი წნელი“), **ცხ-გნტ-რ-წლ** („წვრილი გამხმარი შტოები“) ფორმებში და ზემოსვანურ **ცხ-ირ** („ხიწვი, ხიჭვი“) ფუძეში. **ცხ-ეკ-ნ-ელ-ა** ტომონიმია (გაუქმებული სოფლის სახელწოდება) სამცხეში (ბერიძე 2005: 148).

მამასადამე, „წნელის > ჯობის > ჩხირის > ტყის“ აღსანიშნავად ქართველურ ენებში გამოიყენება ერთი და იმავე პარმონიული კომპლექსის როგორც სისინა (**ცხ-**), ისე შიშინა (**ჩხ-**) ვარიანტები ქართულშიც, მეგრულშიც, ლაზურშიც და სვანურშიც, რაც **ერთგვარად არღვევს კომპარატივისტული ქართველოლოგიის ძირითად პრინციპებს**. ამიტომაც საჭიროა მეთოდების გამკაცრება, თორემ, ანტუან მეიეს თქმისა არ იყოს, „ახალი ეტიმოლოგია ძალიან ბევრია, მაგრამ მათი უმრავლესობა იმ რიგისაა, რომ მათში **შეუძლებელია აღმოაჩინო რაიმე, მტკიცებულების საწყისიც კი** (Meïe 1954: 9)“. ეს ეხება უკანასკნელ ხანებში გამოცემულ ზოგ ქართველოლოგიურ ლექსიკონსაც.

არც ისაა მოსაწონი, რომ გადავაჭარბოთ სისინ-შიშინა ფონემათა არსისა და პოზიტიურ მიმართებათა შეფასებაში; ვთქვათ, ასე: „საქართველოში ყველა თაობაში იბადებიან ბავშვები, რომელთა კლასიფიკაცია დასაშვებია სიბილანტთა „გასისინების“ ან „გაშიშინების“ ნიშნით... თანაც თაობათა მონაცვლეობით ხან „გასისინების“ ტენდენციაა დომინანტური და ხან „გაშიშინებისა“ (ქურდიანი 2007: 226).

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართველურ ენათა შორის შიშინა სიბილანტური რიგის ფონემების მარტივი, უძველესი სახე შემოგვინახა ქართულმა, ხოლო მასთან შედარებით მეორეული, შქ-/შგ-, ჭგ-/ძგ- ბგერათკომპლექსების შემცველი მონაცემები დადასტურებულია ზანურსა და სვანურში (განსხვავებული პოზიციისთვის შდრ. Schmidt 1962); ამ უკანასკნელში კი სპირანტიზაციის საფუძველზე, -ჟ სონანტის წინა პოზიციაში, ვლელობთ სგ- ვარიანტს, თამაზ გამყრელიძის მიერ შენიშნული მეტად მნიშვნელოვანი კომპინატორული კანონზომიერების მიხედვით (გამყრელიძე 1959). ეს წესი გატარებულია ლექსმათა უმრავლესობაში, მაგრამ, როგორც ცნობილია, ლინგვისტური კანონზომიერებანი, ჩვეულებრივ, აბსოლუტურ ხასიათს არ ატარებენ. ამგვარ კანონზომიერებებს ყოველთვის განსაზღვრავს დრო და ენობრივ სისტემაში გავრცელების არეალი. მათზე შემაფერხებლად მოქმედებენ სხვადასხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორები. გარკვეული ფონეტიკური კანონი ვერ მოიცავს სისტემაში არსებულ მთელ მასალას, რითაც აიხსნება მისი რელატიური ხასიათი. ამიტომ ენობრივი კანონზომიერების ხარისხი განისაზღვრება მისი განხორციელების ალბათობით.

ერთი შეხედვით, თითქოს არღვევენ სიბილანტთა შესატყვისობებს ქართული ჭაგ-არ-ი, მეგრული ძაგვ-არ-ი (გურ. ძაგ-არ-ი); ქართული ფ-რ-ჩხ-ილ-ი, ქანური ბუ-ცხ-ა, მეგრ. ბი-რ-ცხ-ა; ქართული ჭიპ-ი, მეგრული ჭიპ-ი, ლაზური წიპ-ა... შდრ. აგრეთვე სისინ-შიშინა ფონემათა მონაცვლეობა ერთი ენის ფარგლებში ან მის სხვადასხვა დიალექტურ არეალში:

ძვ. ქ. და-ვს-ვა || და-ვშ-ვა; სხამ-ი || შხამ-ი (საბა); ხიწვი-ი || ხიჰვი-ი; ისხარ-ი („ჩქარი წვიმა, აღრე მომდარებელი“ — საბა) / ქარ-იშხალ-ი; ლაზ. წუტ-ა || ჭუტ-ა, სვან. კოტ-რლ || კოწ-რლ || კოქ-რლ („პატარა, პაწია“); ძვ. ქ. სჯ-ულ-ი / შჯ-ულ-ი / შჩ-ულ-ი / რჩ-ულ-ი („კანონი, სასჯელი;

მოძღვრება); ძვ. ქ. **სხამ-ეან-ი** / ახ. ქ. **შხამ-იან-ი**, ძვ. ქ. **მე-ყურწ-უმ-ე** || **მე-ყურტ-უმ-ე** („მყვინთავი“); ძვ. ქ. **სხივ-ილ-ი** / ახ. ქ. **შიშხ-ინ-ი** (ქიზ. **შხიპ-შხიპ-ი**); ძვ. ქ. **ქულ-ელ-ი** / ახ. ქ. **წყვ-ილ-ი** (ძველ ქართულში **წყვილი** „ბარძაყებსაც“ ნიშნავს და „ლუწისაც“); ქიზ. **წია-კოკ-ოლა** / **ჭია-კოკ-ონ-ა**; მონ. **ა-წია-წია** („აფორიაქება, აწიოყება“) / თუშ. **აჟ-ი** / **ბაჟ-ია-ც** („დავი-დარაბა, ორომტრიალი“); მთიულ. **ბეწ-უკ-ა** („შალის ქსოვის სახეობა“) / ძვ. ქ., ქიზ., ლეჩხ. **ბეჟ-ვა** („ქსოვილის თავის მომაგრება“); ხევს. **ბირწკნ-ილ-ი** („ფრჩხ-ილ-ი“); ქართლ. **გა-და-ხრეს-ილ-ი** / ფშ. **გა-და-ხრეშ-ილ-ი** („გადა-ხეხილი“); ქიზ., ხევს. **და-რისხ-ვა** / ფშ. **და-რისხ-ვ-ნ-ა** („დაწყველა“); ძვ. ქ., თუშ. **და-წუნ-ვა-ა-მ** — ძვ. ქ. **და-ქუნ-ვა-ა-მ** („თვალის დახუჭვა“); მესხ. **ზორზ-ალ-ი** („ფრფ-ოლ-ა“); აქარ. **-იშ** („ის“ — ალბათ, ლაზურის გავლენით); ი-შ-თე/ი-შ-ტე („ისე, იმგვარად“); ლეჩხ. **კანწ-რახ-ებ-ი** („მალალი წვივები“) / გურ. იმერ. **კანჭ-ი** („ფეხი“), **კაჭ-ა** („მრუდფეხებიანი“); რაჭ., იმერ. **კებრაწ-ი** / აქარ. **კებრაჭ-ი** („მკვახე, ძლიერ ცხარე ტყემალი“); იმერ. **კვირძლ-ი**, ქიზ. **კვირწლ-ი** („კვიფრ-ი“ <***კვიჭრ-ი**); ქართლ., ქიზ. **კვნიწ-ი**, ფშ. **კვრინწ-ა** / ლეჩხ. **კვნიჭ-ი** („კვნიტ-ი — ნატეხი შაქრისა ან მარილისა“); ლეჩხ. **კობჭ-ილ-ი** („მო-კობწ-ილ-ებ-ა“); ქიზ. **კრინცხ-ვა** || **კრინჩხ-ვა** („გაკილევა, გაკორვა“); კახ. **კუმს-ი** / ქიზ. **კუმში-ი** („ვაზის ერთ-ერთი ჯიში“); მთიულ. **ლა-ჟღანდ-არ-ა** („ლა-ზღანდ-არ-ა“); გურ. **მო-კანწ-ვა** („ნახევრად მოხარშვა“) / რაჭ., ლეჩხ. **მო-კანჭ-ვა** („ღვინის ცოტათი შეძმარება“); იმერ. **ო-ცხან-ურ-ი** / ლეჩხ. **ო-ჩხამ-ურ-ი** („ვაზის ჯიში“); აღმოს. დიალექტ. **პაწ-უ-ა** || **პაჭ-უა** („მოკლე ცხვირბრტყელი“); იმერ. გურ. **პორწ-ილ-ი** / **პორტ-ილ-ი** („ჩამოყიდებული ქანაობა, სვლა“); გურ. **ჟრანჟ-ნ-ა** („ზლაზ-ვ-ნ-ა“); იმერხ. **ჟღვაჯ-ი** / გურ. **შვაჯ-ი** („ზვაჯ-ი“); ქართლ./მესხ. **ჟღმარტლ-ი** („ზღმარტლ-ი“); ფშ. **უსტარ-ი** / ფშ., ხევს., ქართლ. **უსტარ-ი** („ბრმა“); ლეჩხ. **ფარჩხ-ვა** („ფარცხ-ვა“), შდრ. სვან. (ლშხ.) **ფარცხ**, ლნტ. **ფანცხ** („თივისა და ნამჯის მარხილზე დასადები ხელსაწყო, ლასტი“), **ფარჩხ** („უფოთლო, ნედლი, წვრილი შტო“) / გურ. **ფორჩხ-ი** („ჩლებიანი შტო ხისა, მოჭრილი და ფოთლებჩამოცლილი, კიტრის ლერწის სამაგრი“), რომელიც იმერულ დიალექტში **ფოცხს** აღნიშნავს, კახურში კი — **ფარცხს** / შდრ. ქიზიყ. **ფორცხ-ი**; ეს უკანასკნელი ქართლსა და რაჭაში **ფოჩხ**- ძირითაა წარმოდგენილი და ნიშნავს როგორც

„ფარცხს“; ისე „ფოცხს“ (ქართველურ ენათა დიალექტებში შენიშნული სემანტიკური გადაწვევები მეორეული ჩანს); გურ. **ქაჭვი** („ქაცვი“); ფშ. **ღაშ-ღაში** („ღაჟ-ღაჟი“); იმერ. **შხ-უნ-ებ-ა** || **ცხ-უნ-ებ-ა** („წნელის, მათრახისა და მისთანათა მორტყმა“); მთიულ-გუდამ. **ჩიბა** / **ქიზიყ. ციბა** („პატარა ძაღლი“); ფშ-იმერ. **ცენდ-არ-ი** („მოპრილი ხის გამხმარი ძირი“) / **ლეჩხ. ჩენდ-არ-ი**; გურ. **ძაბ-უნ-ი** || **ჩაბ-უნ-ი** („სუსტი, ჯაბანი, მშიშარა“); **ლეჩხ. ძეგვი** („გაუვალი ეკლიანი ჩირგვი“), **ტობ. აღმ. საქ-ში ძეგვი** / **ქართლ., ქიზ., იმერ., ფშ. ჭაგ-ი** („დაბალი ეკლიანი ჩირგვი“); **გურ. ძიგ-რა** („ჭაგ-რცხ-ილა“); **იმერ. ძიბ-ძიბ-ა** („ჩიბ-ლიბ-ო“); **გურ. ძირკ-ი** („ჩირკ-ი, კუნძი“); **ინგილ. წეკ-ა** („ჩეკ-ა“); **გურ. წეწკ-ილა-ა** / **იმერ. ჰეჰკ-ილა-ა** („წვრილი ლერლილი“); **ლეჩხ. წიკარტ-ი** („აბზინდა“) / **შღრ. ჰიკარტ-ი** („ტანსაცმლის ერთგვარი შესაკერელი“ — ქეგლი); **ფშ. წინწკ-ილა-ა** („ნაპერწკალი“), **გურ., იმერ. ლეჩხ., ფშ. ჩინჩხ-ალ-ი** („ნაპერწკლებიანი მუგუზალი“); **მესხ. წირან-ი** („ქერამ-ი“); **მესხ. წმახე** („მჭახე“); **გურ. წუმ-ი** („ყურძნის მტევანი“), **ქუმ-უტ-ა** („ვაზის ადგილობრივი ჯიში“), **გურ. ჭურ-მამული** („მამულ-დედული“, შესაძლოა **ჭურ წულ**’ისგან მოდიოდეს!), **ლეჩხ. ჰყ-ენ-ა** („წყ-ენ-ა“); **ქართლ., ქიზ., იმერ. ხარვეზ-ი** (**ხარიოზ-ი**) / **მესხ., ქართლ. ხარვეჯ-ი** > **ხარვეთ-ი** („უხნავად დარჩენილი ადგილი“); **იმერ. გურ. ხიც-ინ-ი** / **ხიჩ-ინ-ი** („ლიტინი“); **ქართლ. ხორო-ვიწი-ი** || **ხორო-ვიჰი-ი** („საპყარი, მონა“); **მთიულ. ჭანჭ-ი** („ძონძ-ი“) / **იმერ., გურ. ჭენჭ-ი** („ძენძ-ი“) და ა. შ.

წ/ჭ(ტ) თანხმოვანთმონაცვლეობა, ჩვეულებრივ, ექსპარესიულ ძირებშია გამოყენებული და სიტყვის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობაზე გავლენას არ ახდენს, თუმცა იშვიათად ესეცაა შესაძლებელი (იხ. ავთანდილ არაბულის ვრცელი მსჯელობა **მორფონოლოგიურ ალტერნაციასთან** დაკავშირებით — 2001: 321):

იმერ. ელურწ-ვა || **ელუნჰ-ვა**, **გურ. ელუნწ-ვა**, **ელინწ-ვა** („სასმელის ერთბაშად დაღვეა“); **იმერ. ღოწ-იალ-ი**, **ღანწ-იალ-ი** („წანწალი, წოწიალი; ჩანჩალი“) || **ღანჰ-იალ-ი** („ჭრიალი, ჭრიჭინი“), **რაჭ. ღოჰ-იალ-ი** („ერთ ადგილას ტრიალი“), მაგრამ ამას ვერ ვიტყვით **ძ** / **ჯ** ფონემებზე. ასე მაგალითად: **ქიზიყური ღრჯ-ილ-ი** („ბალახის თავთავი, პურეულის თავთავის მსგავსი“) შესაძლოა უკავშირდებოდეს **ღრძ-ილ**’ს, **შღრ. იმერული ღჯ-ილ-ავ-ს** („კრეკს კბილებს“), **ღჯ-ილ-ი** „ღრძილი“ (გურული), „ემვი —

დიდი საღეჭი კბილი“ (ლეჩხუმური) და ღჯნა „უშნოდ ჰამა ხილისა“ (აჭარული), აგრეთვე ღირძგ-ნ-ა „ბლაგვი დანით უხეიროდ რისამე ჰრა“ (იმერული) და ღირძგ-ნ-ა/ღირღ-ნ-ა „ღრღნა, კბენა, უშნოდ ჰრა ან ჰამა“ (გურული).

წ/ვ/ჯ თანხმოვანთონაცვლეობა ზოგჯერ გამოყენებულია გარკვეული ოდენობის გამოსახატავადაც; მაგალითად: გურულში წიწკ-ილა-ა || ჰეჰკ-ილა-ა და იმერულში ჰეჰკ-ილა-ა არის „წვირილი ღერდილი“, ხოლო „მსხვილ ღერდილს“ იმერეთში ჰეჰკ-ილა-ა-ს ეძახიან (შდრ. ანალოგიური მოვლენები სვანურში). შესაძლოა იგივე მიმართება იყოს იმერულ ზუნდგრა/ჯუნდგრა-ს შორის („ლონივრად ცემა, დარტყმა“).

ქართველოლოგიაში სრულიად სამართლიანადაა გაზიარებული არნოლდ ჩიქობავას მიერ ჯერ კიდევ 1954 წელს გამოთქმული ფუნდამენტური თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ისტორიულად დამოწმებული თანხმოვანთშესატყვისობა ქართველურ ენებში სმოვანთგადაწევაზე უფრო ადრინდელ ეპოქაში მომხდარი ბგერათცვლილებების ანარეკლს წარმოადგენს (ჩიქობავა 1954: 11-14).

„ის ზანური და სვანური ფორმები, რომელთათვისაც საერთოა სისინა კომპლექსები (შქ-ვ-შქ-ჟ, შგ-უ- → სგ-ჟ, ჯგ-ჟ- → ძგ-ჟ → სგ-ჟ) ქართული შიშინა სპირანტებისა და აფრიკატების შესატყვისად, განხილულ უნდა იქნეს როგორც შედეგი ზანურ-სვანური არეალისთვის დამახასიათებელი საერთო ფონეტიკური ტენდენციისა — სისინა ნშულთანხმოვნის კომპლექსთა ჩამოყალიბებისა შესატყვისი შიშინა კომპლექსებისაგან მომდევნო ვ/ჟ ფონემის გავლენით. ეს ფონეტიკური პროცესი, რომელიც ზანურ-სვანურ არეალში წარმოიშვა, გაგრძელდა შემდგომ (დამოუკიდებლად ზანურისა) სვანურ ენაში, რის შედეგადაც აქ ცალკეულ ფორმებში ზანურისაგან განსხვავებული სისინა კომპლექსები ჩამოყალიბდა. ეს პროცესი სვანურში უფრო რეგულარულად არის გატარებული (გამყრელიძე 1959: 36).

ამ კატეგორიული განცხადების შემდეგ მით უფრო მოულოდნელია სვანურში ბანძჳ (და არა *ბანძგჳნჳ ან > *ბანსგჳნჳ) ფორმის არსებობა!

რაშია საქმე?! —

ზემოთ განხილულ პარალელურ ფორმათაგან ზოგიერთი მათგანი შედარებით გვიანდელი ეპოქისა უნდა იყოს, სხვადასხვა კომბინატორული წესის (ჩვეულებრივ, ასიმილაციის) მოქმედების შედეგად მიღებული, ზოგიც ექსპრესიული ხასიათისა ჩანს. ამიტომაც ამგვარი ფონეტიკუ-

რი ცვლილებები ვერ არღვევენ იმ კანონზომიერ შეფარდებათა სქემას, რომელიც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო პრეკართველური ენის განვითარების გვიანდელი საფეხურისთვის დამოუკიდებელ (სვანურ, ქართულ და ზანურ) ენებად მისი დაშლის წინა პერიოდში, თუმცა, თუ ბევრი გადახვევა დაგროვდა საერთო წესიდან (განსაკუთრებით კი შიშინა სპირანტაფრიკატთა შემცველი ძირები ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში), მაშინ, თავისთავად ცხადია, კომპარატივისტულ ქართველოლოგიას არაერთი თავსატეხი გაუჩნდება. საილუსტრაციოდ დავასახელებთ რევაზ აბაშიას მიერ ერთმანეთთან დაკავშირებულ ქართულ **ბანჯვ-ლ-ი** („ხშირი თმა“, „ავი ბალანი“ — საბა) და მეგრულ **ბონჯვ-ორს** („ბანჯვლიანი“). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **ბანჯვ-ლ-ი** არის „მსხვილი, ხშირი და გრძელი ბალანი ძაღლისა, დათვისა“ ან „ხშირი თმა ადამიანის ტანზე“. საგულისხმოა, რომ თანამედროვე სვანურის ყველა დიალექტში „გრძელბეწვა ბანჯვლიან ადამიანსა თუ პირუტყვს“ **ბანძჲ** (ზს., ლნტ.), **ბანძაჲ** (ლშხ.) ჰქვია, მაგრამ ეს ფორმა არ შეუპირისპირებია რევაზ აბაშიას შესაბამისი შიშინა აფრიკატის შემცველი მონაცემისთვის და ეს არც უნდა გაგვიკვირდეს! საქმე ისაა, რომ ძველ ქართულ ტექსტებში არც **ბანჯვლ-ი** გვხვდება და არც მისი სისინა ვარიანტი (ეთქვათ, ***ბანძვლ-ი!**), მაგრამ სულხან-საბამ იცის **ბანჯვლ-ი** („ავი ბალანი“). თუ აქედან ამოვალთ და პრეკართველურისთვისაც დავუშვებთ **ბანჯვლ-** ფუძეს, მაშინ სვანურში, -**ჟს** წინა პოზიციაში, მომხდარა გასისინების პროცესი, ოღონდ მისი გამომწვევი ფონემა დაკარგულა, ე. ი.: **ბანძ-ჲ** < ***ბანჯ-ჲ** < ***ბანჯუ-ჲ** < ქართ. **ბანჯვ-ლ-ი**.¹

იგივე სიტუაციაა სისინ-შიშინა თანხმოვანთა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით სვანური ენის დიალექტებშიც: **ფანჩხუ** (ზს.) / **ფაცხ** (ბქ.) / **ფანჩხუ** (ლშხ.) — „ნამსხვრევი, ნაფშენი“. შდრ. **ფანჩხუდ/ფაცხდ ლიგნე** (ზს.) — „დანამცეცება, დაფშენა“ (რაკი იდიომატურ გამოთქმაშიც გვხვდება **ცხ/ჩხ** კომპლექსთა მონაცვლეობა, ეს იმას ნიშნავს, რომ ფშენიერიობის მიხედვით ასიმილაციასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ძველ პროცესთან — სისინ-შიშინა თანხმოვანთა აღრევისთან დიალექტთა ან კილოკავთა მიხედვით).

¹ ჟს დაკარგვის შესახებ სვანურში იხ. ჩენი. "Некоторые явления лабиализации в сванских диалектах и говорах" (Лингвистическая география, диалектология и история языка, Ереван, 1976: 441-449) და „ქართველოლოგიური ძიებანი“, I, თბილისი, 1998: 6-39).

ჭერჭერობით გვიჭირს საბოლოო დასკვნის გამოტანა ქართველურ ენათა სისინა და შიშინა სიბილანტებთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე. ვფიქრობთ, რომ ამ კარდინალურ საკითხს არც ისე ადვილად მოეწეება ქართველოლოგიაში, თუმცა ჩაღრმავებული კვლევა-ძიება და ახალი მასალები მომავალში ბევრ რამეს მოჰფენენ ნათელს.

Problem of whistling and hushing sibilants in the Kartvelian languages

S u m m a r y

Differentiation of kindred languages begins on a dialectal level. The first stage of sound changing that then gave regular correspondences should be researched in historical sub-dialects of the Kartvelian languages. Such potency in different dialects has same result in different time. Owing to this analogies of regular phonemes correspondence of the Kartvelian languages exist in the modern dialects even today though they have sporadic (and not regular) character. Frequently the fact that is defined as a model of substitution or unexplained sound-changing in sub-dialects exactly resembles the fact that is discussed as a sound correspondence on the Kartvelian languages level.

Deviations from regular regularities are explained by combinatory changes. The paper represents whistling as well as hushing variants of same root from different dialects of Georgian, Svan and Zan (also from different sub-dialects of same dialect) of which some are result of assimilation and some seem to belong to different epochs, some are of expressive character and belong to onomatopoeic vocabulary or they similar to morphonology alternation. Accordingly it is clear that the quality of linguistic regularities is defined by probability of its implementing.

Historically confirmed consonants correspondence in the Kartvelian languages is the reflection of sounds correspondence that took place in early epoch than vowels-moving (Chikobava 1954: 11-14). And still the cases of inter-alternation of whistling and hushing phonemes exist even up today not only in the Kartvelian languages but in any dialect as well and explanation of what is not always easy – it needs to be analyzed as transparency is less expected on a surface.

გავანურებული ქართული ძირები

ცნობილია, რომ ქართულიდან სვანურ ენაში არაერთი ძირია ნასესხები; ამასთანავე, სახელური უფრო ბევრია, ვიდრე ზმნური. ლექსემათა ნაწილი ქართული გრამატიკული ინვენტარითაა შესული, ზოგი კი გავანურებულია. ამ მხრივ ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ სვანეთის ქართულ ენაზე შესრულებული ისტორიული დოკუმენტები (ვთქვათ, „მატიანე სუანეთისა კრებისაჲ“), სადაც ქართულ სიტყვებში სვანური მორფოლოგიური ინვენტარიც კი შეგვხვდება („სულსა მის დიასახლიშს ყაზმაქვას შეუნდოს ღმერთმან“, -**იშ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია — „სვანეთის ისტორიის ფურცლები“ 2011: 186).

კაც- ძირი ქართველურ ენებში რეგულარული ფონემათშესატყვისებითაა წარმოდგენილი (ქართული **კაც-**, ზანური **კოჩ-**, სვანური **ჭაშ**), რაც, რაღა თქმა უნდა, პრაენის დიფერენცირების მახასიათებლად გვევლინება და არქაული სისტემის ამსახველია.

ქრონოლოგიურად უფრო ახალი დონის მონაცემი უნდა იყოს ქართული **კაც-** ძირი ისეთ სვანურ ლექსემაებში, როგორიცაა: უშგულური **უ-კც-რ-აჟ-ს** ← ***უ-კაც-ურ-აჟ-ს**, ბალსქვემოური **უ-კაც-რ-აჟ-დ** ← ***უ-კაც-ურ-აჟ-დ** „უკაცრავად“, ჩოლურული **უ-კჟც-ირ** ← **უ-კც-ჟ-ირ** ← **უ-კც-ჟრ** ← **უ-კაც-ურ+ი** „უკაცრიელი“ და ზემოსვანური **სა-კარცხ** || **სა-კცხ**, ლაშხური **სა-კაცხ**, ლენტეხური **სა-კაც** „საკაცე, ჯალამბარი“, ბალსქვემოური **მ-ი-ს-კარცხ-ა-ხ** ← ***მ-ი-სა-კარცხ-ა-ხ** „საკაცით წამიღონ“, ბალსზემოური **ლე-ს-კაცხ-ი** ← ***ლე-სა-კაცხ-ი** „სასაკაცე“.

ამეი **უკცრანჟს** ხი — ამაზე **უკაცრავად** ხარ (ბზ., 82: 6);

ისგუაყანან **უკაცრანჟდ** — შენთან **უკაცრავად** [ვარ] (ბქ., 5: 9);

საკარცხჟშუ ხი ლეჟსგი — **საკაცით** ხარ წასადები (ბზ.);

ფუსდა **საკაცხჟშ** ესლუახ — ბატონი **საკაცით** მიაქვთ (სვ. პოეზ., ბზ., 104: 17-18);

საკცხ ქორთ' ესერ ესპილ — **ცხედარი** შინ მიიჩქარისო (დავითიანი 1973: 130, 8). (ბქ.);

ლეღარ **საკაცხჟშ** ანჯიდხ — მიცვალებული **საკაცით** მოასვენეს (ლშხ.);

შიშტ ანასყეს **საკც** — სწრაფად გააკეთეს **საკაცე** (ლნტ.);

გეგი **ადსაკცხეხ** — გეგი **საკაცით** წაიღეს (ბზ.);

ლაცლად მიშგუა უი მისკარცხან — ჩემა ტოლებმა საკაცით წამიღონ (სვ. პოეზ., ბქ., 288: 47);

ლესკეცხილწ აშვედელხი! — სასაკაცედ გამხდარიყავ! (ბზ. წყველაა).

საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, რომ ქართული კაც- ძირი გვხვდება სვანურის ოთხსავე დიალექტში, როგორც ძველი ხალხური სიმღერებისა თუ ანდაზა-გამოცანების ენაში, ისე თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში, ქართულ ორგანულ ან აღწერით ფორმათა შესაბამისად ნასახელარსა თუ ნაზმნარ წარმოებაში.

საკაც || **საკარცხ** || **საკაცხ** ლექსემები საინტერესოა როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური თვალსაზრისით. ერთი შეხედვით, აქ თითქოს თანხმოვანთა განვითარებასთან გვაქვს საქმე სვანურში, რაც, განსაკუთრებით უკანაენისმიერთა შემთხვევაში, საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, სვანური ფონოლოგიური სისტემის სპეციფიკურ მოვლენად ითვლება (თოფურია 1979: 268); შდრ.: ზემოსვანური **ხელწიფხ** || **ხელწიფ** „ხელმწიფე“, ზემოსვანური **საკაცხ**, ლაშხური **საკაცხ**, ლენტეხური **საკაც** „საკაცე“, ლახამულური **ჟესკაცხ** (ქართული ვაც-კაც-ი, მეგრული ოჩო-კოჩი-ი).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სონორი განვითარებული უნდა იყოს არა სვანურში, არამედ ქართულშივე, რადგან პირველ შემთხვევაში, სხვა ქართველურ ენებთან შედარებით, ჩქამიერი თანხმოვნების წინ რ უფრო იშვიათად დასტურდება (ყლენტი 1960: 47); შდრ. ჩოლ. უ-კირცხ-ალ „უტიფარი“ და ქართული უ-კიცხ-ავი, გა-კიცხ-ვა; სამაგიეროდ, ძველ ქართულში უცხო არაა ინლაუტში სონორთა, მათ შორის რ-ს, ჩართვის შემთხვევები (ძიძიშვილი 1960: 118-119; სარჯველაძე 1984: 347), რაც გამოწვეულია წინამავალი ხმოვნის რეკურსიისა და მომდევნო ხშულის ექსკურსიის შეხვედრის მომენტებით (ყლენტი 1949: 185). ქართულიდან გადაყოლილი რ ჩანართი სვანურში შეიძლება დაიკარგოს კიდევ (ლაშხური **საკაცხულ** || **საკარცხულ**).

ვფიქრობთ, რომ ამოსავალში უნდა გვექნოდა ***სა-კაც-ურ-ი**,¹ რომლისგანაც მივიღეთ ***სა-კარც-ულ-ი**, ხოლო შემდეგ უკანაენისმიერი ფონემის განვითარებით ძველ ქართულშივე **სა-კარცხ-ულ-ი**, რომელიც მხოლოდ მცირეოდენი სემანტიკური ნიუანსითლა თუ განსხვავდება **საკაც**-ისაგან.

¹ ჩვენი აღდგენილი ფორმა დაემთხვა ეგნატე გაბლიანის წიგნზე დართულ მცირე ლექსიკონში წარმოდგენილი სვანური **საკარცხუილ**-ის ქართულ თარგმანს „სკამი (საკაცური)“ — (გაბლიანი 1925: 188).

რაც შეეხება თავად ძვ. ქ. **საკაცი** ო **საკაცე**ს, აქ არანაირი ბგერა არ განვითარებულა ქართულში არც ინლაუტში და არც აუსლაუტში, ხოლო ზემოსვანურსა და ლაშხურ დიალექტებში მხოლოდ უკანაენისმიერი თანხმოვანია განვითარებული აუსლაუტში (**საკაცხ**), რომელსაც პარალელურად ინლაუტში ჩართული სონორიც შეიძლება ჰქონდეს, ოღონდ მარტო ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში (**საკარცხ**); ლენტეხურ კილოში პალატალური ხმოვნის გაუჩინარებამ ძირისეული ხმოვნის უმლაუტი გამოიწვია, მაგრამ ქართულ ენობრივ სამყაროსთან უფრო ახლო კონტაქტმა, ალბათ, განაპირობა ის ფაქტი, რომ აუსლაუტში -**ხ** აღარ განვითარდა (**საკაც**).

ე. ი. ერთი და იმავე ძირის ორი ვარიანტი იმთავითვე გვექონდა ძველ ქართულში — მარტივი (**კაც**-) და ჩანართთანხმოვნიანები (**კარცხ**-). ქრონოლოგიური უწინარესობა-შემდგომადობის თვალსაზრისით პირველი მათგანი, რომლისგანაც **სა-** — **ე** კონფიქსით იწარმოა „საკაცის“ აღმნიშვნელი სიტყვა, ალბათ, წინ უსწრებს **სა-** — **ურ** კონფიქსით წარმოქმნილ მეორე ლექსემას. თავდაპირველად შესაძლოა ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ წყვილის კომპონენტები (**საკაცე** — ***სა-კაც-ურ-ი** → ***სა-კარც-ულ-ი** → **სა-კარცხ-ულ-ი**) მცირეოდენი სემანტიკური ნიუანსებით (**საკაცე** — „კაცისთვის დანიშნული საწოლი“, **საკარცხული** — „კაცისთვის დანიშნული დასაჯდომი, რომლის საწოლად გამოყენებაც შეიძლება“).

საყურადღებოა, რომ **კაც-რ-იელ-ი** ძველ ქართულში დასახლებულ, ადამიანს შეჩვეულ ადგილს აღნიშნავს (სარჩველამე 2001: 104), შდრ. **უკაცრ-იელი** ← ***უ-კაც-ურ-იელი** ო **უ-კაც-ურ-ი** ო **უ-კაც-რ-ული**-ი „დაუსახლებელი, მოსახლეობისგან დაცლილი (აბულამე 1973: 98) და **სა-კაც-რ-ავ-ი** „საქციელმართებული“ (სულხან-საბა ორბელიანი 1949: 292). აქ, რაღა თქმა უნდა, **-რ-** ინფიქსისეული ელემენტია (და არა ინლაუტში განვითარებული).

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, ქართული **საკარცხული**, რომელიც უკვე XI-XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში დასტურდება, და სვანური **საკარცხჷილ** ო **საკერცხჷილ** (ბზ.), **საკურცხილ** (უშგ.),¹ **საკარცხჷილ** (ლნტ.), **საკარცხულ** (ლშხ.), შესაძლოა, დავეუკავშიროთ ქართულ **სა-კაც-ე**ს როგორც სტრუქტურულად, ისე სემანტიკურადაც:

¹ ფორმა დადასტურებული აქვს გ. ბარდაველიძეს (1939: 215);

მუქტუთერ **საკარცხუილენ** ხოსგურხ — თურმე ქურდი **საკარცხულ-ზე** უზით (ბზ., 26: 22);

მახტუშმარ **საკარცხულარენ** ისგუროლხ — ოჯახის უფროსები („მახ-ვშები“) **საკარცხულეზე** სხდებოდნენ (ქრესტ., ბზ., 29: 19);

საკარცხულს მაჩენემ აგის აგმდახ — **საუფროსო სკამს** საუკეთესო ადგილას დგამდნენ (ლშხ.).

უშგულურ **საკურცხილ** და ბალსზემოურ **საკგრცხილ** ფორმათა ურთიერთმიმართება შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ქართული **საკარ-ცხულ+ი** (სახელობითი ბრუნვის მორფემა) → სვანური **საკარცხულ** → **საკარცხუილ** → **საკურცხილ** → **საკურცხილ** (ერთი მხრივ, უშგულური) და **საკგრცხილ** (მეორე მხრივ, ბზალსზემოური).

ფვიქრობთ, ანალოგიური სემანტიკური ნიუანსების გამომხატველია ძველი ქართული **ცხედარი** (მდრ., ბქ. **საკაცხ**), რომელსაც აქვს როგორც „ლოგინის, საწოლის, ტახტის“, ისე „საკაცის“ მნიშვნელობაც („მოილეს იგი ცხედრითა“). საგულისხმოა, რომ **ცხედარი** და **საკაცე** შეიძლება ერთსა და იმავე კონტექსტშიც კი შეგვხვდეს („დასდგმიდეს ცხედრებითა და საკაცებითა“ (აბულაძე 1973: 521). საწოლის მნიშვნელობით ძველ ქართულში დადასტურებულია **მცხედარი**ც (სარჯველაძე 2001: 263 — მთითქოს მოულოდნელია **ჩა** ჯგუფის სახელში).

ქსნის ხეობის ქართლურ მეტყველებაში ცხედარი **კუბო**ს აღნიშნავს (სომხიშვილი 1968: 80), ხოლო რუსთველისეული „კუბო“ **სავარძელი** („ხის სკამი, კეთილ ჭრელბული დასადგმელი“ — საბა), **ჩასაჯლომი საწოლი** ან **ტახტრევანია** („მდიდრულად მორთული გადახურული სატარებელი დიდებულთა და მანდილოსანთათვის, ცხენებშებმული“ — ქეგლი).

სულხან-საბა ორბელიანის განმარტების მიხედვით, **ცხედარი** „შიშვე-ლია საგებელთაგან“, **სარეცელი** „დაგებულია და გარდაგებული“, ხოლო **საკაცე** „მკუდრის წასადებია“. რაც შეეხება **საკარცხულს**, ის „**მცირე სკამლოგინია**“ ან „სახლის უფროსისა თუ მოხუცის დასაჯლომი მოხარატე-ბული სავარძელი“ (ქეგლი).

რადღა **სკამლოგინი**? — ქართული ენის იმერულ, გურულ და რა-ჭულ დიალექტებში ესაა მთლიანი ხისგან გამოჭრილი გრძელი ფართო **სკამი**, რომელსაც ცალ ან ორივე მხარეს აქვს ხის მუთაქა, მას **საწოლა-დაც** ხმარობენ“ (ლონტი 1984: 496; ძიძიგური 1954: 214).

რომ **საკაცე** და **საკარცხული** ამოსავალში ერთსა და იმავე **კაც-** ძირს გულისხმობს, ამაზე არა მხოლოდ შესაბამისი სვანური ლექსემები მიუთითებენ, არამედ რაჭულში დადასტურებული **სკამ-ს-კაცე**'ც („კერიასთან დადგმული საპატიო საეარძელი უფროსისათვის“ — ძიძიგური 1954: 214) < ***სკამ-სა-კაც-ე**.

რაც შეეხება ნასახელარ ზმნურ თუ ნაზმნარ სახელთა წარმოებას სვანურში, ქართულ ენაშივე გამოვლენილ ჩანართ თანზომონებს შორის **-რ-** მხოლოდ ერთხელ დადასტურდა (ბქ. **მისკარცხან** — „საკაცით წამიღონ“), ხოლო **-ხ**, როგორც აუსლაუტში განვითარებული უკანაენისმიერი თანზომონი და სვანური ფონოლოგიური სისტემის სპეციფიკური მახასიათებელი, ყოველთვის დაცულია (ბზ. **ადსაკცხეხ** — „საკაცით წაიღეს“, **ამხაკცხედ** — „საკაცით წამიღეთ“, **ლესკაცხიდ** — „სასაკაცედ“...).

Svanized Georgian roots

Summary

The paper deals with a Svan lexeme **sa-ḱäc-e / sa-ḱärcx / sa-ḱäcx** ("stretcher; corse") that is connected with a derivative entry **sa-ḱäc-e** originated from Georgian **ḱac-** ("ḱaci" "man") root. Svan **sa-ḱärcx-wil** ("a chair for a family head") is also connected with it. Including of a sonor in inlaut is natural in the Kartvelian languages (cf.: Georgian **u-ḱicx-av-i** – Cholorian **u-ḱircx-al** "rude"), that is caused by encountering moments of a off-gliding of a preceding vowel and on-gliding of a following plosive.

Occuring of a **-x** consonant in auslaut of Svan words (cf.: Georgian **xel-mçip-e** – Svan **qel-çip-x**, Georgian **vac-ḱac-i** "forest ogre" – Lakhmian **wes-ḱäc-x...**) is also natural.

ლექსემა „ხარჯ“-ის სემანტიკისათვის ქართველურ ენებში

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, არაბული წარმომავლობის **ხარჯ**- ფუძეს ხუთი მნიშვნელობა აქვს:

1. გასავალი, დანახარჯი;
2. მინარევი, ნაკმაზი;
3. სასმელ-საჭმელი, სანოვაგე;
4. ქელები („რიგი“);
5. გადასახადი.

იგი გვხვდება ნაირ-ნაირ კომპოზიტთა (**ხარჯ-ბორჯი/ხარჯ-ბარჯი/ხარჯ-ობარჯი** „ხარჯი, გასავალი“; **ხარჯ-გადასახადი** — „ხარჯი და გადასახადი“; **ხარჯ-თაღრიცხვა** „მომავალი ხარჯებისა და შემოსავლის სავარაუდო გამოანგარიშება“;...) და ზმნურ ფორმათა (**დაიხარჯება** — 1. „მოიხმარება რამეზე ფული, სანოვაგე, შრომა“;...; 2. ხარჯს გასწევს; შდრ. ფშაური **იხარჯებოდეს „კვდებოდეს“**) შემადგენელ ნაწილად.

სვანურ ენაში **ხარჯ** „სასმელ-საჭმლის ან ფულის გასავალია“, ხოლო მისგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი **ხარჯ-ობ** (ბზ.; ქს.), **ხარჯ-ობ** (ბქ.) „პურობისა თუ სადილობა-ვახშმობის ან მიცვალებულის ხარჯის („რიგის“) აღმნიშვნელი.

მკვლევარ ნინო ხარჩილაეას აზრით, ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში სამურზაყანოელ გლეხთა სხვადასხვა უფლებრივი კატეგორია (**ფიოში, დელმანორე, მოქალაბე, მოინალე, შინაყმა**) ქორწინებისას გარკვეულ გადასახადს გაიღებდა ხოლმე, რომელსაც **ხარჯი** ეწოდებოდა. ფიოშიც („ნავარდი, თავისუფალი მოძრაობა“) — იურიდიულად თუმცა თავისუფალი, მაგრამ ეკონომიკურად მაინც მებატონეზე დამოკიდებული გლეხი — ვალდებული იყო მისთვის ერთი ძროხა ან ათი „რუბლი“ გადაეხადა ქალიშვილის გათხოვების შემთხვევაში. ეთნოგრაფიული და საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მაღალი სოციალური წრეც (**უინოსკუა**) იხდიდა ხარჯს, რომელიც მხოლოდ საქონლისა ან ფულის გადასახადს არ გულისხმობდა. ასეთი იყო, მაგალითად, მიხეილ შარვაშიძის მიერ ნიკო

დადიანისადმი გამოგზავნილი ხარჯი, რომელიც მოიცავდა: ცხენებს, თოფებს, დამბაჩებსა და საათს, რაც საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ შარვაშიძეთა სათავადო, რომელიც ბზიფის ტერიტორიაში შედიოდა, სამეგრელოს უბრალო მოხარკე კი არა, უშუალოდ ამ სამთავროში შემავალი ერთეული იყო (ხარჩილავა 2011: 274-265).

ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **ხარჯ-** და **ხარკ-** ისტორიულად ერთიდაიგივე ფუძეა, აუსლაუტის თანხმოვანში პალატალიზაციის პროცესის მოქმედების მიხედვით გარდაქმნილი? მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ საბასეულ განმარტებას: **ხარკი** — „სამეუფეო ხარჯი“ (შდრ. **ხარჯი** — „წარსაგებელი“, **ხარკვა** — „წარგება“). ფონეტიკურ გარდაქმნათა საფეხურების უწინარესობა-შემდგომადობა ასე წარმოგვიდგენია:

ხარკ-ი > *ხარჭ-ი > ხარჯ-ი

(ე. ი. სახელობითი ბრუნვის ფორმანტისეულმა პალატალურმა -ი ხმოვანმა მოგვცა პალატალურობისკენ გადახრილი -ჭ- თანხმოვანი, რომელიც შემდეგ გამეღერდა იმავე ხმოვნის წინა პოზიციაში).

Towards the semantics of the lexeme **xarǰ** in the Kartvelian languages

S u m m a r y

According to Georgian Explanatory Dictionary the stem of the Arabian origin **xarǰ-** has five meanings: 1. expenses, spent; 2. admittance, chaff; 3. food, drink, groceries; 4. funeral wake (on burial day); 5. tax, fee. It occurs as a consisting part of different composites (**xarǰ-** / **borǰi** / **xarǰ-** **barǰi** / **xarǰ-i** – **barǰi** **xarǰi** „expenses“; **xarǰ-gadašaxadi** „expenses and fee“; **xarǰ-t-aγicxva** „to calculate supposed expenses and income“) and verbal forms (**daixarǰeba** 1. using of money for smth, food groceries, labour“...; 2. incurring expense; cf.: Pshavian **ixarǰvebodes** „to die“).

In Svan **xarǰ** is the expenses of money and of food and drink and an abstract name **xarǰ-ob** (UB., LS), **xarǰ-ob** (LB) derived from it denotes „the expenses form feasting, dinner, supper, for diseased“.

According to researcher Nino Kharchilava, in Georgian feudal society different lawful category of the Samurzaqanian peasants (*pioshi*, *delmakhore*, *mojalabe*, *moinale*, *shinaqma*) payed a certain fee in wedding that was called *xarǰ-i*. *Pioshi* ("running, moving freely") – a peasant judicially free but economically depended on a lord, was obliged to pay him one cow or ten "rubles" for getting marriage his daughter. As ethnographic and archive documents show, even a high social circle (*žinosq̄ua*) paid the expense that did not mean only cattle or money fee. Such was e. g.: the expenses sent by Mikheil Sharvashidze to Niko Dadiani. It included: horses, guns, pistols and a clock. This fact gives us ground to consider, that the Sharvashidzes' princely that was included in the Bzip territory, was not only a simple tax-payer of Samegrelo, but it directly entered in this principality (Kharchilava 2011: 274-265).

Can it be supposed, that historically *xarǰ* and *xarǰ-* are the same stems changed as a result of palatalization process in an auslaut consonant? Moreover if we take into account Saba's explanation: *xarǰi* – "royal expenses" (cf.: *xarǰi* – "to be spent", *xarǰva* – "spending" (money)). I submit the first and following phonetic changing stages as thus:

xarǰ-i* > **xarǰ̣-i* > *xarǰ̣̣-i

(i. e. formative palatal -i vowel of a nominative case gave a *ǰ̣* consonant deviated to palatality and which then became voiced in the front position of the same vowel).

ა) ანთროპონიმია

I

*სუფ-ელ / სუბ-არ ფუძეთა ურთიერთმიმართებისათვის

სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ იყო მცდელობა ერთი ცნობილი სვანური შტო-გვარის ხურიტების სახელწოდებასთან (სუბარ-ი) და თვით **ო-ბერ** ფუძესთან დაკავშირებისა (ვ. დონდუა, გ. მელიქიშვილი, თ. მიბზუანი, ა. ლიპარტელიანი, რ. ბლაიხშტაინერი...). ვფიქრობთ, მისი ეტიმოლოგია გაცილებით იოლად აიხსნება თვით სვანური ენის ლექსიკისა და მორფონოლოგიის გათვალისწინებით.

საანალიზო ანთროპონიმის აღსანიშნავად საუკუნენახევრის წინანდელ სვანურში შემდეგი ლექსემები გვხვდება: **სუბარი**, **ასუმბარი**, **ასუმბანი**, **სუბელიანი** (იხ. ბ. ნიქარაძის „ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი“).

ქართულ ენაზე შესრულებულ სვანეთის წერილობით ძეგლებში, რომლებშიც არაერთი სვანური სიტყვა თუ გრამატიკული ფორმა გამოიყენება (აღბათ იმიტომ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელ მდივან-მწიგნობრებს შორის სვანებიც იყვნენ), **სუბ-** ძირი არც ერთხელ არ შეგვხვდრია არც ეპიგრაფიკაში, არც ისტორიულ დოკუმენტებში, არც სულთა მათიანეებსა თუ საგვარეულო მოსახსენებლებში. ბუნებრივია, ეს ვითარება გარკვეულ ეჭვებს აღძრავს სუბარებთან ან იბერებთან მისი შესაძლო დაკავშირების შესახებ.

ვფიქრობთ, რომ განსახილველი გვარი უნდა მომდინარეობდეს **სუფ > სჟიფ** ძირისგან (შდრ. მარგიანი 2000: 95), რომელიც სვანური ენის ყველა დიალექტში დღესაც აღნიშნავს „სასოფლო მოედანს, ხალხის თავშესაყრელ ადგილს, საფიხნოს“ და აქა-იქ ტოპონიმადაც გამოიყენება.

XIV საუკუნეში შედგენილ „ეზულის ჯევის საბუთში“ (№ 24), რომელიც ეხება ამ სოფლის მცხოვრებთა პარასკეობით მუშაობის საკითხს, ნათქვა-

მია: „ამისნი მოწამენი არიან: თავად ღმერთი, **სუთისა** (შეცდომა! — შდრ. აგრეთვე **სუბისა**, თაყაიშვილი, 1937 — ორივეგან უნდა ყოფილიყო **სუფისა**) ღმრთისმშობელი, მოწამე ლალეერისა და **სუფისა** (სილოგავა 1986: 126)“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **უ** ხმოვანს უმლაუტი შედარებით გვიან განუცდია, თორემ ბალს ქვემოთ შედგენილ დოკუმენტში აუცილებლად გვექნებოდა **სვიფ** (შდრ. XVIII საუკუნის ერთ მოსახსენებელში დაცული „**სვიფიშის** წმინდა გიორგი“, რომელიც ვ. სილოგავას მონოგრაფიაზე დართულ საძიებელში წარმოდგენილია, როგორც ხელახლა ნაბრუნები ნაგენეტივარი სახელი (**სვიფიშ** < ***სვიფ-იშ-იშ** < **სვიფ-ის-ა'-ის**). იმავეს ვერ ვიტყოდით **ო** ხმოვანზე [შდრ. XII საუკუნის ნუსხური წარწერა უშგულის წმინდა მარიამის ეკლესიის დასავლეთის კედლის შიგნით: „წმინდაო ღმრთისმშობელო, შეიწყალე მიქაელ **ქვერებისკობოსი**“; აგრეთვე, მესტიის (სოფ. ლეხთაგის) ღვთისმშობლის ეკლესიის მშენებლის მიერ XIV საუკუნის პირველ ნახევარში შესრულებული ფრესკის წარწერა „ღემეტრე **ჩართველანი**“ < ***ჩართ-ჲლ-იან**, შდრ. თანამედროვე სვანური **ჩართოლან**].

XIII საუკუნის ძველი „მატიანე სუანეთისა კრებისაჲ“ ასახელებს ვინმე „იოვანე **სუფელ**ს (და არა **სუიფ-ელ**ს). „მიუხედავად იმისა, რომ მასალობრივად შეზღუდული ვართ, მაინც შესაძლებლად მიგვაჩნია დავასკვნათ: XIII საუკუნის სვანური ენის ენგურის ხეობის დიალექტებში უკვე გვექონდა როგორც წინა, ისე უკანა მიმართულების უმლაუტი“ (ქალდანი, 1969: 139), თუმცა „შედარებით იშვიათობას წარმოადგენდა უს უმლაუტის შემთხვევები“ (იქვე: 134-135).

ჩვენთვის საინტერესო სახელგვარული სინტაგმები (ქუჩუ **სუფ-ლ-იან-ი**, ყალუ **სუფ-ლ-იან-ი**) გვხვდება XVIII საუკუნის საოჯახო მოსახსენებლებში. ერთ-ერთ მათგანში (ლაზარე სვიფლიანის სახლის მოსახსენებელში) გაბატონებულია უმლაუტიანი ფორმა, რომელიც წარმოდგენილია ხუთჯერ (მხოლოდ ერთხელ გვაქვს უუმლაუტო **სუფ-ლ-იან-ი** ვარიანტი), მეორე შემთხვევაში (ჩხუმიანთა სახლის მოსახსენებელში) კი საპირისპირო ვითარებაა — **ჩხუმიან-ი** სჭარბობს **ჩხვიმიან**ს. აქვეა „ქუჩუ **სუფ-ლ-იან-ი**“ (ისტორიულად ჩხვიმიანები და სუბელიანები ერთად ცხოვრობდნენ, ასეა დღესაც); XVI საუკუნის ორ მოსახსენებელსა თუ „სულთა მათიანეში“ დადასტურებულია **ჩხომ-იან-ი**ც (სილოგავა 1986: 286-300).

მაშასადამე, უმლაუტი, როგორც ფონოლოგიური მოვლენა, XVIII საუკუნეში საბოლოოდ ჯერ კიდევ არაა სვანურში ჩამოყალიბებული. ყურადსაღებია, რომ ლაზარე სვიფელიანის ოჯახის მოსახსენებელში, რომელშიც ღმერთს ევედრებიან „ყმაშვილის“ მოცემას, დასახელებულია ორი ქალბატონიც **სვიფ-ლ-ი-ფხე** ფორმით (შდრ. ქალთა აღმნიშვნელი **-ფხე-ხე** სუფიქსი გურულში, აჭარულში, იმერულსა და მეგრულში).

ვფიქრობთ, რომ შტოგვარად ჩამოყალიბებული **სუბ-არ-ი** არის საბოლოოდ გასვანურებული ლექსემა **სუფ-ელ-ი** (შდრ. **ცაგ-არ-ელ-ი** „ცაგერელი“, **ოპიზ-არ-ი** „ოპიზელი“...) ორ ხმოვანს შორის წარმოდგენილი ფშვინვიერი ფონემის გამჟღერებთა და სონორთა მონაცვლეობით, ხოლო **სუბ-ელ-იან-ი** ოფიციალურ გვარად იქნა აღიარებული, რაკი მას სვანური გვარების მაწარმოებელი **-იან** მორფემა დაერთო. მოსალოდნელი იყო **სუბლიანი**, რადგანაც, ჩვენი ვარაუდით, ეს გვარი ისტორიულად დადასტურებული ფორმიდან (***სუფ-ელ-იან-ი > *სუფ-ელ-იან-ი > სუფ-ლ-იან-ი**) უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ, რაკი **-ე-** ხმოვნის რედუქცია არ განხორციელდა, ამიტომ ვერც ნაუმლაუტარი **სუბ-** ძირი მივიღეთ. ესეც რომ არ იყოს, სარედუქციო პოზიციის შედეგები სხვა ანთროპონიმებშიცაა ასახული სვანური ენის დიაქრონიული განვითარების რთულ გზაზე (შდრ. X-XI საუკუნეებში დადასტურებული **გვარამ-ელ-იან-ი > *გუარამ-ლ-იან-ი > *გუარამ-იან-ი > გუარამ-იან-ი; გი-გა-ლომ-იან-ი > *გი-გა-ლუმ-იან-ი > *გი-გა-ლემ-იან-ი > გი-გ-ლემ-იან-ი; XIV საუკუნიდან ცნობილი მო-ბეჩვ-იან-ი ან მუ-ბეჩუ-ან-ი > *მუ-ბეჩუ-ან-ი > *მუ-ბჩუ-ან-ი > *მუ-ბჩუ-ან-ი; XV საუკუნეში დადასტურებული *მარეგ-ელ-იან-ი > *მარეგ-ლ-იან-ი > *მარეგ-იან-ი ან *მარგ-ლ-იან-ი > მარგ-იან-ი**).

სვანეთში გვარის მოკლე და გრძელი ფორმებიც არსებობდა და არსებობს, რაც ქართულად გაფორმებულ გვარებსაც ეხება (ჩაქსან და ჩარქსელ^იან, გალფხან და გარდაფხაძე, დაჩქელან და დადეშქელიან, ჯაფრან და ჯაფარიძე, უარდან და უარდანისძე, ჩხიკუიან, ჩხიკუაძე და ჩხიკუიშვილი, კუიარია-იან, კუიარიაძე და კვიარიაშვილი, ანჩაბან და ანჩაბაძე, თომანიან, თომაძე და თომაშვილი...) ამიტომ ვფიქრობთ, რომ **სუბ-არ/სუმბ-არ/ა-სუმბ-ან/სუბ-ელ-იან** ანთროპონიმებში არა მხოლოდ ფილიაციური საფეხურებია ასახული, არამედ სვანური გვარის მოკლე და გრძელი

ვარიანტების ანარეკლიც (ანლაუტში ა/შ ოპოზიციისთვის შდრ. XV საუკუნეში დადასტურებული უ-ხოჯ-ელ-[ი]ან-ი და თანამედროვე ხოჯ-ელ-ან).

ჩვენი ვარაუდის დასტურად შეიძლება გამოგვადგეს „სულთა მატინეში“ წარმოდგენილი საკუთარი სახელი ა-სიბ-ერ-ი, რომლისგანაც იწარმოება ა-სიბ-ერ-იან-ი. ორივე მათგანი, ალბათ, უკავშირდება ბესარიონ ნიჟარაძისეულ ვარიანტებს ა-სუმბ-არ-ი/ა-სუმბ-ან-ი, თუ ვივარაუდებთ, რომ ოდესღაც ურედუქციო ე'საც შეეძლო წინა მარცვლის ხმოვნის მოდიფიკაცია მისი არტიკულაციის მომდევნო მარცვლისეული ხმოვნის არტიკულაციასთან მიახლოების გზით (შდრ. XII საუკუნეში დადასტურებული ქვერებისკომოს-ი < ქორ-ებისკომოს-ი და თანამედროვე ლენტეხური დიალექტი ან ლახამულური კილოკავი, სადაც ამგვარი რამ დღესაც ჩვეულებრივი მოვლენაა), მაშინ სუბ-არ-ი, ა-სუმბ-არ-ი ან ა-სუმბ-ან-ი, სუბ-ელ-იან-ი ნაწარმოები იქნება უუმლაუტო სუფ- ძირისაგან ლაბიალურ თანხმოვანთა განვითარებით, ხოლო ა-სიბ-ერ-ი თუ ა-სიბ-ერ-იან-ი იმავე ძირის ნაუმლაუტარი (სჟიფ-) ვარიანტიდან (ა-სიბ-ერ-ი < *ა-სჟიბ-ერ-ი < *ა-სჟიფ-ერ-ი < *ა-სუფ-ერ-ი).

თუ ძველ ქართულში დადასტურებულ მ-ტბ-ევ-არ — ტბ-ელ ოპოზიციას და შესაბამის სვანურ მონაცემებს (მ-არუშ-იან-ი — არიშ-ის-ქე, XII—XIII ს.ს., მ-კან-ელ-ი — კან-იან-ი, XIII ს.; მ-ჯაფარ-ა-ის-ქე — ჯაფარ-ა-ის-ქე, XIV ს.; მ-სავ-იან-ი — სავ-იან-ი, XIV—XV ს.ს...) გავითვალისწინებთ, მაშინ სუბარ/ნი შესაძლოა მგ-სუბ-არ/ნი ან მა-სუბ-არ/ნი ფორმისგანაც მომდინარეობდეს და პრეფიქსისეული თანხმოვანი გადასმული იყოს ფუძეში უშგულურ მონაცემებში.

II

*ქალდ-არ / *ქარდ-არ / ქალდ-ან ფუძე

მეორე სვანური გვარი, რომელიც არაერთხელ დააკავშირეს საუკუნეთა მიღმა გადაშენებული შუამდინარეთის ეთნოსთა ქვეყნებთან (ქალდეა/ხალდე), გახლავთ ქალდანი, რომელიც გავრცელებულია როგორც ბალსზემო, ისე ბალსქვემო სვანეთში. ქალდანები ცხოვრობენ, აგრეთვე, სოფელ ზესხომი — ლაშხეთის უკიდურეს ჩრდილოეთში.

სვანეთის ისტორიულ დოკუმენტებში, ქართულ ენაზე შესრულებულ საგვარეულო მოსახსენებლებსა და სულთა მატთანებში, წარმოდგენილი ოფიციალური გვარის სუფიქსები განსხვავებულადაა დაფიქსირებული: **ქალდ-იან-ი**, **ქალდ-იან-ი**, **ქალდ-ან-ი** („სვანეთის ისტორიის ფურცლები“, 2011: 115-180). ფონეტიკური გადასვლები **იან > იან > ან** ცნობილია ქართველურ ენებში.

რალა თქმა უნდა, ამ გვარის ამოსავალი ძირი ადამიანის (კაცის) რქმევის სახელს გულისხმობს და ეს დოკუმენტურადაცაა დადასტურებული. ამგვარ სახელებად გვხვდება როგორც **ქალდი**, ისე **ქელდი**, **ქალდია** ან **ქიელდაი**. საყურადღებოა, რომ „სვანურ პალიმფსესტად“ წოდებულ კტაშიანთა მოსახსენებელში (XVII–XVIII ს.ს.) **ბიქელდინ ქალდანი** ქალის სახელი და გვარია (სილოგავა 1986: 292).

ქართველურ ენათა ფონოტაქტიკიდან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ ძირისეული სონორი თანხმოვნები მონაცვლეობდნენ; და ეს ასეცაა! — ჩოლურში, თეკალის მაცხოვრის ეკლესიაში, დაცულია XI–XII საუკუნეებში სავარაუდოდ შესრულებული წარწერა, რომელშიც ვინმე **ქარდა** ღმერთს ევედრება — შემეწყალო.

სეტის ხევის (ზემო სვანეთი) საბუთებში გვხვდება დოკუმენტი ნასყიდობის შესახებ, რომლის მიხედვითაც XIV საუკუნის შუა ხანებში სარგის და ფარცმან **ქარდან**ებს მიუყიდათ ყანა სეტიელი ივანესთვის. ძალზე საყურადღებოა მათი ლოცვა სვანთა ქართულენოვანი მეტყველების გასათვალისწინებლადაც: „ყანაი მოგყიდე, ავიღე შენგან ფასი სრული, რომლითა შევეჩრდი. ღმერთმან **გიბედინეროს** მკუიდრად, სამამულოდ, ჩემგან და ყოვლისა კაცისაგან უცილობლად; გინდა გაპყიდე, გასცვალე, რაი გინდა უყავი, ვითა ნასყიდსა კმართებს; არას ჩემი გუარისა კაცმან არ **გიჰსენოს**“.

მაშასადამე, ანთროპონიმი **ქარდა** გვხვდება XI საუკუნიდან სვანეთში, ხოლო **ქალდა** — XIV საუკუნიდან, ამასთანავე ეს ფუძე, ბუნებრივია, ჯერ საკუთარ სახელებადაა მოცემული ისტორიულ ძეგლებში, მერე კი — გვარებად (შდრ. **ქარდა-ვა** სამეგრელოში, ხოლო მესტიის რაიონის სოფელ ნაკრაში დღემდე ცხოვრობდა **ქარდა გვარშიანი**, რომელიც სულ ახლახან გარდაიცვალა).

პავლე ინგოროყვას მიერ XIII საუკუნის II ნახევრისად მიჩნეულ ძეგლში „მატიანე სუანეთისა კრებისად“ **ქალდ-იან-ი** არაერთხელ გვხვდება, შედარებით იშვიათია **ქალდ-ევ-ან-ი > ქალდ-იან-ი**, ხოლო დღეს გავრცელებული **ქალდ-ან-ი** მხოლოდ ორჯერ დასტურდება („სვანეთის ისტორიის

ფურცლები“, 2011: 180), ისიც მოგვიანო (XV—XVIII ს.ს.) ხანის საოჯახო-საგვარეულო მოსახსენებელში და იენაშის ხევის ერთ საბუთში (XV ს. I ნახ., იქვე: 147). პირველი მათგანია გირგბი ქალდანი, ხოლო მეორე — არდაშელო ქალდანი.

გარდა ამისა, იმავე ძეგლში გვხვდება **მ-ქალოდ-იან-ი, მა-ქალოდ-ან-ი, მ-ქლოდ-ან-ი, მ-ქლოდ-იან-ი, მ-ქალოდ-ონ-იან-ი** („სვანეთის ისტორიის ფურცლები“, 2011: 125-165) ვარიანტებიც, რომლებიც, ვფიქრობთ, დაგვეხმარება სვანეთში დღეს საკმაოდ გავრცელებული ერთ-ერთი ოფიციალური გვარის ეტიმოლოგიის გარკვევაში:

მა-/მ- და, ალბათ, **მგ-/მუ-** პრეფიქსი (გახმოვანებით თუ გაუხმოვანებლად) ქართველურ ენებში ადამიანის აღმნიშვნელ ლექსემათა მახასიათებელია, რომელიც ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდში შეიძლება დაიკარგოს კიდევ (შდრ. „სულთა მატინის“ **მჭაფარიანი, მჭაფარიძე, მჭაფარასძე, მულატალიანი, მლატალიანი, მკახელი** და ა. შ.).

რაც შეეხება თავად ძირს, ის უნდა უკავშირდებოდეს მამაკაცის საკუთარ სახელს **ქალმა**, რომელიც შემონახულია ნადირობის ქალღმერთისაგან — დალისაგან განწირული ერთ-ერთი მონადირის თემაზე შექმნილ სიმღერაში, და რომელიც 1936 წელს ჩაწერა მერი გუჯეჯიანიმა ზემო სვანეთის ულამაზეს და უძველეს სოფელ ხალდეში, სამწუხაროდ, დღეს უკვე ნასახლარად ქცეულ გაპარტახებულ ტერიტორიაზე („სვანური პოეზია“, 1939: 302-305). იმავე სახელს მოვიაზრებთ, აგრეთვე, ლაშხეთში, ნასოფლარ ლაფურის მახლობლად მდებარე სახნავ-სათესი ადგილის აღმნიშვნელ ტოპონიმში **ქალაიდაშ** (სვანური პროზაული ტექსტები, IV, 1979: 192). ანთროპონიმისეული ძირი **ქალოდ**, ალბათ, ამ საკუთარი სახელის კინობითი ფორმაა (***ქალა+ოლდა > *ქალა+ოლდ > ქალოლდ > ქალოდ**).

თუ **სუბ-ელ-იან / სუბ-პრის** შემთხვევაში ოფიციალურ გვართა და შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება უპირისპირდება ერთმანეთს, აქ ეს უკანასკნელი (ვთქვათ, **ქალოდ-პრ** ან რაღაც ამის მსგავსი მონაცემი) აღარ გვაქვს, რადგანაც **ქალოდანარ** „ქალოდანებს“ ნიშნავს (და არა **ქალოდას** შთამომავლებს) და წარმოადგენს ოფიციალური გვარის ჩვეულებრივი მრავლობითი რიცხვის ფორმას (და არა ერთი და იმავე ოფიციალური გვარის ფილიაციურ დაჯგუფებას. — ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ჩანტლაძე 1998: 126-132).

Analysis of onomastic lexemes from diachronic perspective

a) anthroponymy

I

Towards the interrelation of *sup-el/sub-ar stems

S u m m a r y

The author researches two Svan surnames and represents their etymologies:

The author believes, that **sub-ar** would not be connected with the root **sub-/swib** (with umlaut!) denoting "dancing", as it is well known in the special literature, but it should be a voiced variant of Georgian **sop-el-** and Svan **sup/swip** ("a people's gathering place in a village"). It is confirmed by the fact that in "Chronicles of souls" of the 13-14th cc. **subar** is not mentioned anywhere, but anthroponyms: "**sup-el-i**, **sup-l-ean-i** / **sup-l-ian-i** occur many times in the family reports confirmed in Svaneti church meetings.

II

Towards the stem *kald-är/*kar-är/kald-an

S u m m a r y

An anthroponym **kalda** in **kald-än** has been used in Svan since the 14th c, and **karda** – since the 11th c (Karda Gvarmiani had been living in v. Nakra of Mestia region up to today). The latter then became a basis for a Megrelian surname **Kard-a-v-a**.

Kald-ian-i often occurs in "Chronicles of souls", but **Kaldän** < ***kald-a-an** / ***kald-e-an** widely spread today occurs rarely and only in the later period, it is confirmed in family-clan reports of the 15-18th cc.

Of course, in **Kaldan** I do not mean either **kaldea** or **xaldea** as some consider so, but a Svan prop. name **kal-ä-e** the diminutive form of which would be **kald** < ***kal-a** + **old** > **kalöd**.

ბენ'დ- / ბენ'ლ'- ძირი ანთროპონიმებში

ბედ- ძირი და მისი ფონეტიკური ვარიანტი **ბენდ-** არაერთ ქართულ ანთროპონიმულ ლექსემათა დასაყრდენია. სონანტთა განვითარება ინლა-უტში ჩვეულებრივი მოვლენაა ძველ ქართულ ტექსტებსა და ქართველურ ენებში. რაც შეეხება **-ნ-** თანხმოვანს, ის წინაენისმიერთა წინა პოზიციაში ასიმილაციურად ვითარდება (სარჯველაძე 1984: 344-346). ჩვენი საანალიზო ძირი სწორედ ამგვარი თანხმოვნით თავდება, ამიტომაც მივიჩნით **ბენდ-** **ბედ-**ის ფონეტიკურ ვარიანტად.

ამჟერად შევეხებით სვანეთის ქართულ ენაზე შესრულებულ წერილობით ძეგლებში დადასტურებულ ორ გვარს — **ბენდიანი** (რომელიც დღეს ოფიციალურად ფუნქციონირებს როგორც **ბენდიანიშვილი**) და **ბენდელიანი**. ეს უკანასკნელი მხოლოდ ერთხელ გვხვდება „სულთა მატიანეში“ სინტაგმაში **უშეგო ბენდელიანი** (ინგოროყვა 1941: 48). რაც შეეხება პირველ მათგანს, ის რამდენიმეჯერ დასტურდება XV—XVI საუკუნეთა სხვადასხვა სახის ისტორიულსა თუ იურიდიულ დოკუმენტებში არაერთი ვარიანტით, თანაც ხან საკუთარ სახელადაა გამოყენებული, ხანაც — გვარად:

ბენდ-ან ვახთაგიანი / ვახთანგანი, **ბენდ-იან-ი** ვახდა'ნგიანი, **ბენდ-ე** ვახთაგანი (სილოგავა 1986: 117-118, 191-192).

გვხვდება აგრეთვე **ბენდე** ამროლვანი (სოფელ მუჟალში ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიის აშენებისა და მოწერის კტიტორი — სილოგავა 1988: 489), **ბუნდე** ცხუმიანი (იქვე: 491) < **ბენდ-ე**, **ბენდე** გაბილდიანი („სვანეთის ისტორიის ფურცლები“, 2011: 165) და ა. შ.

ამკარაა, რომ **ბენდ-** **ბედ-** ძირის ერთ-ერთი ვარიანტია, **-ელ** კინობითობის აღმნიშვნელი სუფიქსია (შდრ. **ბედ-უკ-ა-ქე**, **ბენდ-უქ-ი-ქე**, **ბედ-ინ-ეი-შე-ილ-ი**), ხოლო **-იან** — კრებითობის, სიმრავლის, წარმომავლობა-ჩამომავლობის მაჩვენებელი, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც ანთროფორმანტი სვანური ოფიციალური გვარებისა (ჯანაშია 1959: 45).

ბენდ-ე ფორმა, როგორც ჩანს, სახელობითი ბრუნვის ერთ-ერთი მაწარმოებლის (**-ე**) დართვით მიღებული მონაცემია (შდრ. ძველი სვანური სიმღერების ანალოგიური მასალა: **დალ-ე** „დალი“, **თამარ-ე** „თამარი“, **სო-**

ზარ-ე „სოზარი“, ანუთანდილ-ე „ავთანდილი“, ბიმურზოლ-ე „ბიმურზოლა“, ყიფიან-ე „ყიფიანი“, ნაწერიან-ე „ნავერიანი“, იოსელიან-ე „იოსელიანი“ და ა. შ. — ჩანტლაძე 1973: 269-270).

უმუხიანთა (შდრ. თანამედროვე უშხუწან) სახლის მოსახსენებელში გვხვდება გავრცობილი მიცემითი ბრუნვის ფორმა **ბ(ე)ლდ-ან-ა-ს-ა** (სილოგავა 1986: 301). ვფიქრობთ, ესეც **ბედ-** ძირის ერთ-ერთი ვარიანტია **ბენდ'**თან ერთად. ძველი ქართული ძეგლებიდან ჩვენთვის ცნობილი არ არის **ნ/ლ** თანხმოვანთა მონაცვლეობა, მაგრამ არა მხოლოდ **ნ/ლ**, არამედ **ნ/ლ/რ** სონორთა სუბსტიტუცია აშკარად შეინიშნება სვანეთის წერილობით ძეგლებში: **ლიპარტ-იან-ი / ნიპარტ-იან-ი / ნიპარტ-ოლ-იან-ი / რიპარტ-იან-ი** (შდრ. თანამედროვე ოფიციალური გვარი **ლიპარტ-ელ-იან-ი**).

„სულთა მათიანეში“ **ბენიდ-ან** ჯოხიანი (შდრ. დღევანდელი **ჯოხან, ჯოხაძე**)¹ცაა მოხსენიებული (ინგოროყვა 1941: 51). ვფიქრობთ, რომ აქ ან შეცდომაა (უნდა ყოფილიყო **ბენდ-ან**), ან ქართულ ანბანში არასწორადაა ასახული **-ნდ-** თანხმოვანთა გამყარი ფონემა, სვანური ანაპტიქსური **გ** ხმოვანი.

ერთი და იმავე **ბედ-** ძირის სხვადასხვაგვარად წარმოქმნილ კნინობით ფორმათა დაპირისპირებაც გვხვდება სვანეთის წერილობით ძეგლებში:

XIV საუკუნის პირველი ნახევრის ერთ ისტორიულ, „სეტეილებს მიერ ჯათვარიძებისადმი დაწერილ“ დოკუმენტში სხვებთან ერთად „დამხდურად“ მოხსენიებულია ბაბილო¹ვანი¹ **ბედ-ია-ი** (სილოგავა 1986: 170-198). მეტად საყურადღებოა „მეფო-ზეგენელთა და ყიფიანთა ერთობის საბუთი“, რომლის შედგენის „თავსდებად“ ჯერ ღმერთთა დასახელებული, მერე კი **ბედ-ილ-ა** „ამ¹ო¹ნიანი კაცთაგან“.

მაშასადამე, **ბენდიანიშვილი** და **ბენდელიანი** თავის დროზე, ალბათ, ერთი და იმავე სემანტიმიდან მომდინარე გვარი იყო, რომლის ამოსავალი ძირი უნდა ყოფილიყო საზოგადო სახელის (**ბედ-ი**) ფონეტიკურად სახეცვლილი მონაცემი (**ბენდ-ი**) როგორც მოფერებით-ალერსობითი (**ბენდ-ელ-იან-ი**), ისე არაკნინობითი (**ბენდ-იან-ი-შვილ-ი**, შდრ. **ბედ-იან-ი-ძე, ბედ-ო-შვილ-ი...**) სემანტიკით.

¹ ეს დოკუმენტი სხვა მხრივაცაა საინტერესო: როგორც ჩანს, თანამედროვე ჩოლურელი ბაბლუანები XIV საუკუნეში მესტიაში ცხოვრობდნენ.

არც ბენდ- და არც ბელდ- ძველ ქართულ ტექსტებსა და სვანურში ჭერ-ჭერობით დადასტურებული არ არის. რაც შეეხება ბედ- ძირს, როგორც ჩანს, ის სვანურში აღნიშნული სახელადაც ყოფილა გამოყენებული, რაზედაც მიუთითებს 1938 წელს ჩაწერილი ერთი ძველი სახუმარო სიმღერა **საყდურალ ლილგაცალა კაფდ** („საყვედურები ხუმრობის სახით“):

ყორღცუანე ბედ-ილ-უ-შა — „ქარდაკეტილი ბედილუსანები“ (სვანური პოეზია, 1939: 206).

ქართულ თარგმანში აჯობებდა ყოფილიყო **ბედ-უნ-ა-ს-ან-ი**, რადგანაც **-ილ** კნინობითის სუფიქსია, **-უ** — მრავლობითობისა, ხოლო **-შა** შტო-გვარზე (**ბედ-უნ-ა-ს** შთამომავლებზე, შდრ. ქართული ენის გურული დიალექტის **ბედ-უნ-ია**) მიუთითებს. ასლან ლიპარტელიანის ცნობით (ლიპარტელიანი 1994: 66), მუკბანიანთა შტო **ბედილშერ** დღეს ჩოლურში, სოფელ ჭველიერში, ცხოვრობს და აქაურ უძველეს მკვიდრ მოსახლეობად ითვლება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ონომასტიკის პრობლემური კვლევის ლაბორატორიაში ძალზე ძვირფასი მასალა მოიპოვება **ბედ-ბენდ-** ძირის შემცველი ოფიციალური გვარების, შტო-გვარებისა თუ ე. წ. თიკუნების შესახებ, სამწუხაროდ, ჭერ-ჭერობით მხოლოდ ბარათებზე ამოწერილი. რაკი სტამბურ პუბლიკაციებთან დაკავშირებით უკანასკნელ ხანებში არაერთი ფინანსური სიძნელე შეინიშნება, ეგების კომპიუტერულად მაინც დამუშავდეს საქართველოში (და მის ფარგლებს გარეთაც) გავრცელებულ ქართულ გვართა სია, რაც ყველა დაინტერესებულ პირს (არამხოლოდ ენათმეცნიერს) მისცემდა შესაძლებლობას შესაბამისი ელექტრონული გამოცემის გამოყენებისა.

ჩვენ გავცანით ზემოაღნიშნულ მასალებს და გაირკვა, რომ **ბედ** ძირში **წს** ჩართვის ვარაუდი მხოლოდ ლინგვისტის ჰიპოთეტურ საფუძველს კი არ ემყარება, არამედ — ისტორიულ ძეგლებსა და დიალექტურ მასალებში დადასტურებულ მყარ მონაცემებს:

„საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლების“ მიხედვით (I, გვ. 166), სოფელ ტაბახმელაში გავრცელებულია გვარი **ბედ-იან-ა-შვილ-ი** (ე. ი. **ბენდ-იან-ა/ი-შვილ-ი**-ს უნარო ვარიანტი), რომელიც უნდა მომდინარეობდეს

ისტორიულ სიგელ-გუჯრებში დადასტურებული ბედ-იან-ა-ს-შვ-ილ-ი¹საგან (1665, 1690, 1692 წლები); შდრ., აგრეთვე, ზემოიბერული ბედ-იან-ი/ა-ქე, ბედ-ინ-ა-შვ-ილ-ი, ბედ-ენ-ა-შვ-ილ-ი, ბედ-ია-შვ-ილ-ი... (ძოწენიძე 1974: 618, 625).

იშვიათად ბენდ-იან-ი/ა-შვ-ილ-ი შეიძლება შეგვხედეს შემოკლებული სახითაც, ანუ -იან სუფიქსის გარეშეც. ვფიქრობთ, ბენდ-ია-შვ-ილ-ი ასახავს საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობის დიფერენცირების ცდას; მაშასადამე, *ბენდ-ია ფორმა კნინობითის სემანტიკისა კი არ ჩანს, არამედ ბენდ-იან- ფუძისგან მომდინარე. თუ გაზნეთ „თრიალეთში“ ოდესღაც გამოქვეყნებულ ცნობასაც დაფუჯრებთ, არსებობს ნ¹ს მეტათეზისის შედეგად მიღებული ბედნ-ია-შვ-ილ-ი²ც.

ლენტეხის რაიონში დღემდე ბენდ- ძირის ნაგენეტივარი წარმოება გამოიყენება ერთ-ერთი სოფლის სახელწოდებად (ბენდაშ).

რაც შეეხება ბე¹ლ¹- ძირს, რომელიც ბენდ-ის აშკარად სონორ-შეცვლილი ვარიანტია, ის ჭერჯერობით მხოლოდ XV საუკუნეში დადასტურებულ სვანურ საკუთარ სახელშია (ბელდ-ან-ა) წარმოდგენილი. მომავალმა ძიებამ შესაძლოა ბელდ- ძირს სხვაგანაც მიაკვლიოს...

The roots be¹n¹d-/be¹l¹d- in anthroponyms

S u m m a r y

The paper analyses the surnames **Bendianishvili** (with different variants) and **Bendeliani**, also one of toponyms of Lentekhi region **bendäš** which are originated from a root of Georgian common name (**bed-** "bedi" – "fate") as a result of an assimilative developing of **n** sonor in a front position of a dental-alveolar.

Bend-ian-i with many variants occurs for several times in historical and juridical documents of the 15-16th cc – it was sometime used as a proper name and surname. In anthroponym **Bend-e** one of the ancient nominative case morpheme (-e) should have been preserved. As regard **Bend-el-ian-** it is confirmed only once in "Chronicles of souls" and it seems to be added later.

Beld-an-a is clearly a sonor-changed variant of a **bend-** root and as the author concepts it is confirmed still in the 15th c.

კიდევ ერთხელ -ზე > -ხე, -ფზე > -ფხ სუფიქსისათვის ქართულ-სლავურ ონომასტიკონში

საანალიზო სუფიქსს, რომელიც ქართველურ ანთროპონიმთა გენდერული დიფერენცირებისთვის გამოიყენება დასავლეთ საქართველოში, არაერთი მკვლევარი (ნ. მარი, პ. ჭარაია, ი. ყიფშიძე, პ. ინგოროყვა, ს. ჯანაშია, არნ. ჩიქობავა, ი. მეშჩანინოვი, თ. უორდანია, ქ. ლომთათიძე, შ. ძიძგური, ი. მეგრელიძე, ალ. ლლონტი, ი. ზიცარი, ზ. ჭუმბურიძე, ბ. ჭორბენაძე, გ. გასვიანი, რ. თოფჩიშვილი, პ. ცხადაია, ნ. მგელაძე, ო. ჭურღულია, ქ. მარგიანი, ც. ბენდელიანი) შეხება. საკითხს იკვლევდნენ როგორც ენათმეცნიერები, ისე ეთნოლოგები. იყო მცდელობა ნაირ-ნაირ ეტიმოლოგიათა წარმოდგენისა და სხვადასხვა (მეგრული, აფხაზური, უბიხური, ადიღური, ბასკური, ურარტული...) ენის მონაცემებთან -**ფზე** სუფიქსის მატერიალური დაკავშირებისა.

პარხლის ტაძრის ერთ-ერთ წარწერაში (X ს.) დადასტურებული ფორმანტი (ე. თაყაიშვილი) დღეს მაინცდამაინც პროდუქტული აღარ არის — სვანურში ნაწილობრივ (Мегрелидзе 1938: 154) კი არა, არამედ საერთოდ აღარ იხმარება ქალის მამისეული გვარის აღსანიშნავად, ხოლო მეგრულში, ძირითადად, ტოპონიმებშია შემორჩენილი. ჩვენ საგანგებოდ შევამოწმეთ კოდორის (resp. დალის) ხეობაში ჩაწერილი 800 გვერდის მოცულობის ტექსტები, სადაც არც ერთხელ არ შეგვხვდრია **-ფზე** დაბოლოებული ლექსემა (არც სახელი, არც ზმნა ან არასრულმნიშვნელოვანი სიტყვა). ვერ გავიზიარებთ „ხელმწიფის“ სვანური ვარიანტის ნ. მარისეულ სემანტიკასა და გააზრებას. **ხელწიფ-ჰე** მისთვის არის "царевна, царь женщина", ჯერ ერთი, არც ერთ დიალექტურ ლექსემაში აქ ფარინგალური თანხმოვანი აღარსად იხმარება, და მეორეც, **ხელწიფზე/ხემწიფზე/ხელწიფზე** (მოთხ. **ხელწიფზე-ღ**; მიც. **ხელწიფზე-ს...**) მხოლოდ ბალსქვემოურში გვხვდება (ლახამულური კილოკავის გამოკლებით) და აქაც ხანის გაჩენას ფონეტიკური საფუძველი აქვს (ფშვინვიერ თანხმოვანთა მომდევნო პოზიციას — შღრ. ბზ. **საკაწხ**, ბქ. **საკაწრ**ცხ, ლშხ. **საკაც**წ, ლნტ. **საკაწ** „საკაცე“). რაც შეეხება აუსლაუტში -ე ხმოვნის გაუჩინარებას, ეს ჩვეუ-

ლებრივი მოვლენა სვანურში. გარდა ამისა, ყველა ბალსქვემოურ ზღაპარში „ხელმწიფე“ მამაკაცია, (შდრ. აგრეთვე ბქ. **სახელწიფხ**, სადაც, რაღა თქმა უნდა, გენდერული პრობლემა ვერ დადგება)...

მეტად საინტერესოა ც. ბენდელიანის დაკვირვება ქვემოიმერული დიალექტის მონაცემებზე, სადაც **-ხე** სუფიქსი, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, არ ერთვის ლეჩხუმიდან, სვანეთიდან და ადიგენიდან გადმოსახლებულ ქალთა გვარებს (ბენდელიანი 1997: 35-39).

მკვლევართა უმრავლესობა საანალიზო სუფიქსისთვის ამოსავლად მიიჩნევს ძველ ქართულ ლექსემას **მწევალი** („მონა, მსახური ქალი“); სულხან-საბა ორბელიანის აზრით, „მწვეალი **ყრმაა; ესე არს ქალი ნასყიდი, გინა ნაწითვი**“. **მწე > მხე > ფხე > ხე** ჩვეულებრივი ფონეტიკური პროცესებია ქართველურ ენებში. ალბათ ამ სიტყვის სემანტიკაა განმსაზღვრელი შ. ძიძიგურის (1954: 163) ერთი დაკვირვებისთვის: ქართული ენის დასავლურ დიალექტებში „სათანადო სუფიქსაცია ახასიათებთ ისეთ გვარებს, რომელთა წარმომადგენლები გლეხურ ფენას განეკუთვნებოდნენ; აზნაურთა თუ თავადთა გვარებს ეს სუფიქსი არ მოუდიოდა“. თუ აქედან ამოვალთ, მაშინ ქალის სვანურ სახელთან **დაჩქილწფხ** თან კითხვის ნიშნით წარმოდგენილი გააზრება აკაკი შანიძისა („დადიშქელიანთ გომბიო“?) თითქოს ერთი შეხედვით სრულიად დამაჯერებელია, ოღონდ „გომბიო“-ში სვანური **აფხჷ** (ბაყაყი) კი არ უნდა დავინახოთ, არამედ **ფხე** სუფიქსისგან მომდინარე **-ფხ** ელემენტი (შდრ. ლეჩხუმურ-აჭარული **გომბიო-გოგო დამცირებით** და არა გურული **გომბიე** — „ბაყაყი“), სადაც სწორედ აუსლაუტში დაკარგული **-ე** იწვევს წინამავალი **-ა-** ხმოვნის უმლაუტს — **დაჩქილწფხ**; ამასთანავე, იგი ზღაპრული პერსონაჟის სახელი კი არ არის, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია (ჭუმბურიძე 1964: 175) აღნიშნული, არამედ სვანეთის ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებული **დაჩქ-ილ-ა-ფხე** ს შეკვეცილი ვარიანტი. ასე რომ, XIII-XVIII საუკუნეთა საგვარეულო მოსახსენებლებში არაერთხელ წარმოდგენილი „დაჩქელაფხე“ ყველგან რომელიმე დიდი ფეოდალის მეუღლე ან სვანეთის მთავრის ასულია. თუ ამასაც გავითვალისწინებთ, მაშინ, ცხადია, **დაჩქილწფხ** ანთროპონიმს ვერ გავიაზრებთ „დადეშქელიანთ მსახურად“ და ვერც **-ფხე > -ფხ** სუფიქსში დავინახავთ საზოგადოების სოციალური დიფერენცირების ფუნქციას.

1866 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში (ქუთაისის სახელმწიფო არქივი, ფონდი 21, საქმე №10254, ფფ1-20) 13 წლის გოგონას სახელად რ. თოფჩიშვილმა დაადასტურა **დადიშკელაფხ**, მაგრამ სვანებმა გაუსწორეს — **„დაჩქელაფხ უნდაო“** (თოფჩიშვილი 2008: 179-180). ზემო სვანეთის სამ საგვარეულო მოსახსენებელში მითითებულია გელახსან დადიჩქელიანის მეუღლე, დიდებული ქალბატონი კაკუ დადიშქელაფხე (**დაჩქელაფხე**) არამამისეული წარმომავლობით (სილოგავა 1988: 519). თუმცა ეს გვარი სვანურ ისტორიულ დოკუმენტებში გვხვდება ნაირ-ნაირი (ურედუქციო, რედუქცირებული, მქლერი ან ყრუ თანხმონის, სპირანტის, აფრიკატისა თუ აბრუპტივის შემცველი) ვარიანტებით: დადიშგელიანი, დადიშკელიანი, დადიშქელიანი, დადიჩქელიანი (შდრ. თანამედროვე დადიშქელიანი), დაჩქელანი, დაჩქელიანი, დაჩქლიანი.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს სვანურ ენაში **-ფხე** სუფიქსი ქალთა წარმომავლობის გვარებს აღარ აწარმოებს, ვფიქრობთ, ისეთი ფორმები, როგორცაა: **ბედიფხ, გალდფხ, გულიფხ/გუილიფხ/გუინიფხ, გერნიფხ, დაჩქილფხ, დერზუფხ, ელდარუფხ, ხიდიფხ, ჭაჭიფხ/ჭაჭიფხ, გირგულფხ, ქალდფხ** (ორი უკანასკნელი აშკარად გირგვლიანისა და ქალდანის ოჯახების ქალები არიან) და ა. შ., რომლებიც ახლაც გამოიყენებიან სვანეთში ანთროპონიმებად, წარმოადგენენ ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებული **-ფხე** სუფიქსის შემცველი ონომასტიკონის ანარეკლს.

უფრო მეტიც! — გარდაფხაძეთა ოფიციალური გვარის სვანური გაფორმება **გალფხან** კარგად ასახავს ისტორიულ ვითარებას, სადაც არც „გარდაფხაძე“ გვხვდება და არც „გალფხანი“, მაგრამ გვაქვს **გადრაფხე**, რომელიც ამოსავალი უნდა იყოს „გარდაფხაძე/გალფხანისთვის“: **გადრაფხე > *გარდა-ფხე > *გარდ-ფხე > *გარ-ფხე > *გალ-ფხე+ან** (სვანურ ოფიციალურ გვართა მორფემა) > **გალფხან**, შდრ. **ჭაფარ-ი-ძე** (კაცი), **ჭაფარ-ი-ფხე** (ქალი), **ჭაფრ-ან** (კაციც, ქალიც); ასევეა, ალბათ, ***გადრა-ფხე-ა-ძე > გარდა-ფხე-ა-ძე** (კაცი), **გადრა-ფხე** (ქალი), **გადრან** (კაციც, ქალიც).

ქვემოსვანური **გალფხან**ის მსგავსი ჩანს დღეს მესტიის ონომასტიკონში დადასტურებული **მჰაფხან < *მჰა-ფხე-ან** (შდრ. ქალის სახელი **მჰა. კნინ. ფ. მჰილ**). ორივე ფორმა „ტბეთის სულთა მატიანეში“ (XII-XVII ს.) მამაკაცთა აღსანიშნავად გამოყენებული ორმაგსუფიქსიანი წარმოების

[მაგალითად, ნიკოლა-ფხე-შვილი-ი (ენუქიძე 1977; ქამადაძე 1987; კუკულაძე 1987); შღრ. აგრეთვე ლაზ. კეტ-ი-ფხე-ში, წულ-უ-ფხე-ში, ქუთ-უ-ფხე-ში; მეგრ. კორძ-ა-ხ-ია < *კორძ-ა-ხე-იან, შღრ. კორძ-ა-ია] ანალოგიურია, -ან სუფიქსი ხომ ოდესღაც „შვილის“ აღმნიშვნელი სიტყვის შესაბამისი უნდა ყოფილიყო (ა. შანიძე, ჟ. ონიანნი)! შებრუნებული რიგი (გოშუ-ან-ი-ფხე, ბეუთმ-ან-ი-ფხე) ძალზე იშვიათია ისტორიულ დოკუმენტებშიც კი (ქ. მარგიანი), იმ დროს, როდესაც მეგრულში ოფიციალურ ქართულ გვარებს სწორედ ბოლოში დაერთვის -ხე სუფიქსი (ქავკავაძეხე, წერეთელ^იხე, იაშვილ^იხე...).

როგორც ჩანს, სვანურში აუსლაუტის ცვეთის პროცესი აღრევე და იწყო ქალთა მამისეულ გვარებში: XVII-XVIII საუკუნეთა ერთ-საოჯახო მოსახსენებელში გვხვდება **შგვილ-ი-ფხე^ე** (ილამაზ დადემშქელიანის მეუღლე) და **ელდარ-უ-ფხე^ე** (დედარიანის ქალი და სორთმან დადემშქელიანის მეუღლე), რაც სვანური ფონოტაქტიკისთვის დამახასიათებელი ზოგადი წესის — ღიაპარაცლოვანი სტრუქტურების დახურულმარცვლიანებად გარდაქმნის ტენდენციის (ს. ჟლენტი) გამოხატულებაა.

-ფხე/-ხე სუფიქსს, გარდა ძირითადი (გენდერული დიფერენცირების) ფუნქციისა, ლაზურსა და ქართული ენის დასავლურ დიალექტებში შექმნილი აქვს დამატებითი სემანტიკური ნიუანსები: გურულში ქალის კაპასობისა და ჰირვეულობის (Мегрелидзе 1928, 1938; ჟორბენაძე 1989: 535), ხოლო იმერულში ენაკვიმატობის, გაკილვა-დამცირების, დაცივნისა თუ ძალზე იშვიათად შექების (ბენდელიანი 1997: 35-39) ხაზგასმა, რაც სხვა უმწერლობო ქართველურ ენებში არ შეგვინიშნავს.

სპეციალურ ლიტერატურაში (Март 1936: 239; გასვიანი 1972: 115; ჰურდულია 1992: 177) სვან ქალთა გვარის მაწარმოებლად დასახელებულია **-ფხუ** სუფიქსიც, მაგრამ ქართულ ენაზე შესრულებულ სვანეთის ისტორიულ დოკუმენტებში ეს ვარიანტი სულ ხუთჯერაა დადასტურებული და, ალბათ, მოსალოდნელი -ე ხმოვნის წინამავალ ბილაბიალურ **-უ-** ფონემასთან ასიმილაციის შედეგია ან კორექტურული (ან სხვაგვარიც — ვთქვათ, ხელნაწერისა და შესაბამისი პუბლიკაციის განსხვავებული წაკითხვა) შეცდომაა (**გელუაფხუ, ელდარ^უფხუ, ჩარკუფხუ**; შღრ. იქვე: **გელ-უ-ფხე, ელდარ-ფხე, ჩერაკ-უ-ფხე**).

ქართველურ ენათა დიალექტებში ო. ჭურღულიას მიერ შენიშნული -მხე სუფიქსი არ ჩანს.

XIX საუკუნეში რ წლის გოგონას სახელად -ფხა სუფიქსიანი ფორმაცაა (გიორგ-ულ-ა-ფხ-ა) წარმოდგენილი ზემო სვანეთში (თოფჩიშვილი¹ 2008: 180).

გასათვალისწინებელია, რომ ჩოლურულ მეტყველებაში ფხა „ჯილაგს“ აღნიშნავს. შესაძლოა მას რამე კავშირი ჰქონდეს ქართულ მკვეალ²თან: (შლრ. Мapp 1938: 42; Чарана 1912: 35; ჩიქობავა 1942: 26):

მკვეალ- > მხევალ- > *მხეჟ- > *მხაჟ- > *ფხაჟ- > ფხა.

ეს ლექსემა სვანეთში სხვაგან აღარ იხმარება ამ მნიშვნელობით, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მულახურ, კალურ და ლაშხურ სიმღერებში ზოგიერთი გვარის საწყევარ ფორმულად წარმოდგენილი სინტაგმა **ჟიჟჟი < *ჟიჟ-ემ-იშ/ჟიჟი < ჟიჟ-იშ ფხა** „გველის ფხას“ კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ — „გველის მოდმას, ჯიშს, ჯილაგს“. საინტერესოა, რომ აბაზურ, უბიხურ და ადიღურ ენებში იგივე ფუძე (ფხ³ლ⁴ა, ფხა, ფხუი) „ქალს“ აღნიშნავს (შლრ. აფხაზური ა-ფჰა).

პირნათელ ელედანის საოჯახო მოსახსენებელში (XV ს.) ჩვენ -ფხა⁵ც დავადასტურეთ (სილოგავა 1986: 288). თუ აქ კალმისმიერი შეცდომა არ არის (იქვე გვხვდება **ჯაფარიფხე**), მაშინ შესაძლოა საზოგადოების გენდერულად მადიფერენცირებელი სუფიქსის ამოსავალი სწორედ -ფხა იყოს, სახელობითი ბრუნვის არქაულ -ე მორფემასთან ასიმილაციის წესით გარდაქმნილი, მით უფრო, რომ **თინათი ასაფხა** „სვანეთის სულთა მატია-ნეში“ **თინათე ასიანი**⁶ს (შლრ. თანამედროვე ოფიციალური გვარი **ანსიანი**)

¹ 2008 წელს ამ საკითხზე ვმსჯელობდით არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, თეზისებიც დაიბეჭდა, მაგრამ, როგორც ჩანს, პროფესორ როლანდ თოფჩიშვილს მხედველობიდან გამოიჩა ჩვენი მოხსენება, თორემ თავის სტატიაში არ განაცხადებდა: „რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სვანურ მეტყველებაში გვარებთან დაკავშირებით -ფხე (-ხე) ხუფიქსი არც ერთ მკვლევარს არ დაუფიქსირებია, თუმცა ქართული საისტორიო ძეგლებით ირკვევა, რომ -ფხე (-ხე) სუფიქსი ოდესღაც სვანური მეტყველებისთვისაც იყო დამახასიათებელი (თოფჩიშვილი 2008: 178). ბუნებრივია, რომ ჩვენს ნაშრომებში ერთი და იგივე მასალაა გაანალიზებული, ოღონდ სხვადასხვა კუთხით (ჩემი მოხსენების თეზისები გაცილებით ადრე გამოქვეყნდა, ვიდრე ბატონი როლანდის სტატია, თუმცა ორივე ერთსა და იმავე წელს!)

სახითაც გვხვდება („სვანეთის ისტორიის ფურცლები“, 2011: 150), ე. ი.

***ფზა+ე > *ფზე¹ > ფზე.**

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ **-ზე** სუფიქსი მხოლოდ „უძველეს ზანთა ენობრივი კუთვნილება არ ყოფილა“, წინააღმდეგ სპეციალურ ლიტერატურაში (ე. თაყაიშვილი, ი. მეგრელიძე, ო. ჭურღულია,...) გამოთქმული მოსაზრებისა. იყო თუ არა **ფზე > ზე** საერთოქართველურ ენაში ან შესაძლებელია თუ არა **შვევალ-** ფუძის სეგმენტაცია, ამას დამატებითი კვლევა-ძიება სჭირდება.

რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა სრულიად ორიგინალური თვალსაზრისი როლანდ თოფჩიშვილისა (2008: 177-182), რომელშიც ფორმათა უწინარესობა-შემდგომადობის ქრონოლოგიური გარდაქმნები შებრუნებულადაა წარმოდგენილი (***ფზევ-ალ-ი > მზევ-ალ-ი**); ფონეტიკა-ფონოლოგია რომ არ გვიშლიდეს ხელს, ეთნოლოგიური მსჯელობა მეტად საინტერესოა. ასე მაგალითად: 2004 წელს XXIV რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სესიაზე ჩვენ მიერ წაკითხულ მოხსენებასა და პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის მონოგრაფიაში (2005 წ.) წარმოდგენილ ეტიმოლოგიათა საფუძველზე ავტორი ასკვნის: „**ფზ** საერთოქართველურ ენაში თავდაპირველად „მზის (ცის)“ აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ქართველების უძველესი მზის ღვთაება მდედრობითი სქესის არსება იყო და მზისა თუ ცის კულტი ერთობლიობაში წარმოიდგინებოდა, „ფზე“ კომპლექსიდან **ფზევალ-ის** (**მზევალ-ის**) მიღება გამორიცხული არ უნდა იყოს. არც ისაა გამორიცხული, რომ უძველესი ქართველური „ფზ“ ლექსემა (აღნიშნული გაგებით) ედოს საფუძველად საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების **ფზოვ-ისა** და **აფზაზეთ-ის** სახელწოდებებსაც (თოფჩიშვილი 2008: 182); მაგრამ ჩვენ რომ არც „მზეზე“ გვიმსჯელია და არც „ცაზე“?! — შდრ. ფუტკარაძე 2005: 294) — სალიტე-

¹ სვანური ფონოტაქტიკის მიხედვით, სიტყვის აუსლაუტში გრძელი ხმოვანი დაუშვებელია. „სვანური ენის ევოლუციის გარკვეულ ეტაპზე სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში წარმოდგენილ ხმოვანს მიღრეკილება ჰქონდა რაოდენობრივი კლებისაკენ, ე. ი. გრძელი ხმოვანი მოკლდებოდა, ხოლო მოკლე ნულს გვაძლევდა... თანამედროვე სვანურში აუსლაუტი არის სიგრძის მიხედვით დაპირისპირების ნეიტრალიზაციის პოზიცია, რომელშიც არქიფონემის წარმომადგენლად გვევლინება ფონეტიკურად მოკლე ხმოვანი“ (გიგინეიშვილი 1973: 153).

რატურო ქართული და-ფან-ულ/რ-ებ-ა, ხევსურული ფხ-რ-ე („ლია“), და სვანური ფხ-ულ-ე („თითი“) ან ლი-ფხ-ერ („თვალის გახელა“) მხოლოდ „თულის“ სემანტიკიდან ამოსვლით განვიხილეთ და, რაც მთავარია, მათი ძირები ქალთა წარმომავლობის აღმნიშვნელ -**ფხე** სუფიქსთან არ დაგვიკავშირებია. აგრეთვე ლაზურ მა-ფხ-ა („დარი“) და სვანურ მე-ფხ-ე („მოწმენდილი, უღრუბლო ზეცა“) ლექსემათა სემანტიკაში არსებითია „გამოდარება, ამინდი“ და არა „ცა“ ან „მზე“, შდრ. ძველი ქართული ნე-ფხ-**უგა** („ყინვა“), რომელიც, სამწუხაროდ, გამორჩათ როგორც ქართველ, ისე უცხოელ ეტიმოლოგისტებს (Чарана — 1912, Кротов — 1964, ფენრიხისარჯველაძე — 1990, 2000) ზანურ-სვანურ -**ფხ**- ძირზე მსჯელობისას.

Again on -pxe > -xe, -pxe > -px suffix in Kartvelian onomastics

S u m m a r y

An analytical suffix that is used for gender differentiating of Kartvelian anthroponyms in Western Georgia, since Acad. Niko Marr up today many Georgian and foreign scholars have been investigating but none of them has not researched Svan material especially.

Today in Svan the origin of a woman from any clan is not marked by special suffix, but I think, the endings of old anthroponyms (dačkilāpx, girgwłāpx, galdāpx, bedipx, gulipx // gwilipx, derzupx, eldarupx, sidipx, ჭაჭიპხ...) point to an analytical morpheme **px**- < - **pxe**.

Most of researchers connect a mentioned suffix to old Georgian lexeme **mqevali** ("slave, a servant woman"), the semantic of which is close with the data of Abaza, Ubykh and Adyge languages (**px**ᶜᶜ'a, **pxui** – "woman"). In Cholorian dialect of Svan **pxa** denotes "clan". Thus, I believe that they can be phonologically connected to each other:

Georg. **mqeval-** > **mxeval-** > Svan. ***mxew-** > ***mxaw-** > * **pxaw** > **pxa**. In the Svan clan reports of the 15th c. there occurs -**pxa** (and -**pxu** as well!).

გურულ-აჭარული მატ-ატ-ი/მატ-ატ-ა და ქართველური ანთროპონიმია¹

2000 წლის 8 აგვისტოს გაზეთ „აჭარაში“ გამოქვეყნდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის აკაკი ბერიძის სტატია „მატატა, ენამატატა“, რომელშიც ნათქვამი იყო:

„ასე იტყვიან აჭარაში ადამიანზე, ბევრს რომ ლაპარაკობს... მატატა არ არის ენაბილწი, ენამყრალი, ენაჭარტალა, ენატანია. იგი, უბრალოდ, უხვსიტყვიანია, უბოროტო, უწყინარი; ბევრს ქადაგებს, მაგრამ არამომაბეზრებლად, არც უგუნურად. საინტერესოა, რომ „მატატა (ენამატატა)“ აჭარაში თითქმის ყველგან იხმარება — მთაშიც და ბარშიც, საქართველოს სხვა კუთხეთა მოსახლეობაში კი ეს სიტყვა არ მომისმენია (ხაზი ჩვენია — ე. ჩ.); ის არც მეზობელი ხალხების ენაში ჩანს და ამდენად, ჩვენეულია, მაგრამ საიდან მომდინარეობს?... ეს სიტყვა ქრისტეს ერთ-ერთი (მეცამეტე) მოციქულის, მატათას, სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. იგი აჭარაში პირველ საუკუნეში ქრისტიანობას ქადაგებდა და, ალბათ, ბევრი ლაპარაკიც უხდებოდა ახალი რელიგიის გავრცელება-დამკვიდრებისათვის. ისიც ცნობილია, რომ მატათა აჭარაში აღესრულა და სოფელ გონიოშია დაკრძალული, ხოლო მატატაში ჩვენმა მოსახლეობამ მისი სახელი სამუდამოდ შემოინახა“ (თურმანიძე 2009: 336).

რაკი სტატიის ავტორი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ, თავისთავად ცხადია, რომ ის ითხოვდა, იქნებ სპეციალისტები (ენათმეცნიერები, ეთნოგრაფები,...) დაინტერესებულყვნენ ამ საკითხითო, მაგრამ მას შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ არაერთი მძიმე წელი გადაიტანა და, ბუნებრივია, „მატატაც“ ყველას მიავიწყდა. ამიტომ თორმეტი წლის მერე ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით საანალიზო ლექსემის ეტიმოლოგიას:

¹ ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის აკაკი ბერიძის თანავტორობით.

მატათია (ματθαῖος) ბერძნული სიტყვაა და, სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „უფლის ფარვას“ ნიშნავს; იმავდროულად აჭარული „მატატას“ სემანტიკის მისადაგება ქრისტეს მოციქულისთვის (თუნდაც იუდას მონაც-ვლისთვის) თითქოს უხერხულიცაა. ალბათ, აუსლაუტში ან ინტერგოკა-ლურ პოზიციაში ბერძნული სიტყვის ფშვინიერი ფონემა აჭარულში მკვეთრად ვერ გადაიქცეოდა. როგორც ჩანს, ქართველისთვის საკმაოდ ძნე-ლად წარმოსათქმელი **მ** თანხმოვანთკომპლექსის დასაძლევად მოხმობილ იქნა მომდევნო პოზიციაში მყოფი ხმოვნის იდენტური მონაცემი და ასე მივიღეთ ქრისტეს ერთ-ერთი მოციქულის ქართული სახელწოდება **მატა-თა**, რომელიც იგივეა, რაც ზეპირი არაწიგნური გზით წარმოქმნილი ანთროპონიმი **მათეოს/შ-**ი, ანა ხარანაულის განმარტებით. ასე რომ, ამჯე-რად სემანტიკურადაც და ფონეტიკურადაც გამოვირიცხეთ **მატათია/მატატა** ლექსემათა კავშირს, თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ დღეს მეგრულსა და ქართულის ქობულეთურ მეტყველებაში დადასტურებული **მატათია**, რომე-ლიც „ხისძირიან ქოშსა“ თუ „ფლოსტს“ აღნიშნავს, რამდენადმე მაცდუნე-ბელი მონაცემიცაა, რომ სემანტიკა არ გვიშლიდეს ხელს (ეგების ასეთი ფეხსაცმელი ჰქონდა ქრისტეს მოციქულს?!).

მატათა/მატათია'ს შესახებ მოგვიანებით (2010: 223) მსჯელობს მერაბ ბერიძე: „წმიდა მოციქულმა, ერთ-ერთმა „თორმეტთავანმა“, საეკლესიო თუ საისტორიო ტრადიციით, იქადაგა საქართველოში, იმოგზაურა ანდრია მოციქულთან ერთად და, ზოგი ვერსიის მიხედვით, აღესრულა კოლხეთში. სოფელ უღეში (მესხეთი) უცხოვრია ორ **მათათა**'ს. ვფიქრობთ, მათი სახე-ლის ამოსავალი ფორმა არის **მატათა**. მომდევნო **თ-**ს გავლენით მოხდა ყრუ მკვეთრი ბგერის გაფშვინიერება“. ორივე პროფესორი ბერიძე (ერთი — ექიმი და მეორე ენათმეცნიერი) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთსა და იმავე ამოსავალს (მოციქულის საკუთარ სახელს) ვარაუდობს [ბათუმში ახლაც არის წმიდა **მათათა** მოციქულის (და არა **მატათა**'ს) სახელობის ტაძარი].

გურულ დიალექტში **მატატ**-ი „მოტიტინე ბავშვია“; იგივე ლექსემა ოზურგეთის რაიონში ქალის საკუთარ სახელად აქვს მითითებული ალექ-სანდრე ლლონტს (1967: 190), ხოლო **მატ**-ა დღესაც ჰქვია ერთ ბათუმელ გოგონას, რომელსაც მოფერებით **მატ-ატ-ო**'საც ეძახიან ხოლმე. სოფელ მამათში დობორჯინიძეთა წინაპარ ქალბატონს **ნა-მატ-ი**'ც კი რქმევია.

ვფიქრობთ, რომ როგორც აქარული, ისე გურული მონაცემები უნდა მომდინარეობდეს ძველი ქართული **მატა**-ა მასდარიდან, რომელიც „გაღამე-ტებას, მოქარბებას“ ნიშნავს.

აქარული **მატატა** <***მატ-მატა** („ენატლიკინა, ყბედი, ლაქლაქა“) და გურული **მატ-ატ-ი** <***მატ-მატ-ი** („მოტიტინე ბავშვი“) უნდა წარმოადგენდეს ფუძეგაორკეცებულ ერთსენებიან კომპოზიტს. **მატა**-ა ძირი დღესაც ყველა ქართველურ ენაშია წარმოდგენილი: ამასთანავე, ქართულში საზოგადო სახელებში **მეტ-** ფორმის გვერდით (**მატ-ებ-ა, ნა-მატ-ი, სა-მატ-ი**, ხევსურული **ფურ-თ-უ-მატ-ე || უ-მეტ-ე...**), ხოლო ზანურ-სვანურში მხოლოდ ანთროპონიმებშია შემოგვრჩა **მატ-** (მეგრული: **მატ-ი, მატ-ია, მატ-უნ-ა, მატ-ოა/მატ-უა, მატ-ატ-ია**,... სვანური: **მატ-ია,¹ მარ-მატ-ა**).² მოსალოდნელია, რომ ამათ რიგში ჩადგეს ქართული საკუთარი სახელი **მარტ-ია** და გვარები: **მარტ-ია-შვ-ილ-ი, მარტ-ა-შვ-ილ-ი**.

იაკობ ახუაშვილს **მატიაშვილი** და **მათიაშვილი** ერთი და იმავე ძირიდან მომდინარე გვარები ჰგონია (ახუაშვილი 1994: 435), მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ინტერვოკალურ პოზიციაში სონორის მომდევნოდ მკვეთრი **ტ** არ გაფშვინვიერდებოდა (მოსალოდნელი იყო თანხმოვნის გამჟღერება, თუმცა არც ეს მომხდარა).

ონომასტიკური **მათატა** გვხვდება ფშავშიც, სოფელ გომეწორის ერთ-ერთ ციხეზე („ყელყვითელა“) ამოკვეთილ ლაპიდარულ წარწერაში, რომელიც ნუსხახატეური ანბანითაა წარმოდგენილი და შესრულებული უნდა იყოს 1010-1014 წლებში (გოგოლაური 1997).

პაატა ცხადაია საგანგებოდ გახაზავს: გვარი **მატუა** (და არა **მათუა**) გვხვდება წალენჯიხის რაიონში. **მატო** ძველ ქართულ მწერლობაში, ხოლო **მატუ / მანტუ, მატუნა** თანამედროვე კოლხეთში გავრცელებული სახელებია (ცხადაია 2000: 109-110).

¹ **მატია** ძველთავანვე ყოფილა გავრცელებული მთელ საქართველოში. ერთ-ერთი მათგანი (მატია ბირმაშვილი) 1620 წლის 9 აგვისტოს შედგენილი სახლ-კარის ნასყიდობის წიგნის მოწმეა (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991: 546).

² ჩვენი საილუსტრაციო ონომასტიკური მასალის გვერდით განიხილავს მერაბ ბერიძე გრიგოლ ხანძთელის ერთ-ერთი მოწაფის სახელსაც, ოღონდ **მატო** მისთვის, როგორც ჩანს, არ ემორჩილება სეგმენტაციას და **-ი** ხმოვანფუძიანი მონაცემია აკაკი შანიძის მსჯელობიდან ამოსვლით (ბერიძე 2010: 245-248)..

„მატატა“-ს ამოსავალი *მატ-მატ-ა დაკული უნდა იყოს XIV საუკუნის I ნახევრის ერთ ზემოსვანურ დოკუმენტში, რომელშიც დუდა და გიო სეტიელთა (ე. ი. მესტიელთა) დედას მარმატა ჰქვია (სილოგავა 1986: 169). ვფიქრობთ, რომ ეს ანთროპონიმი იგივე ფუძეგაორკეცებული კომპოზიტია (<*მატ-რ-მატ-ა), ოღონდ ინლაუტში სონორჩართული (ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენა ქართველურ ენათა დიალექტებში), რაც აჭარულ და გურულ საზოგადო სახელებში გვაქვს (შდრ. 1578 ერთ-ერთ დოკუმენტში დადასტურებული უსონორო მესხური ანთროპონიმი მამატა < *მატ-მატ-ა — პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991: 708). XI საუკუნის I ნახევრის ძეგლის მიხედვით („მატიანე სუანეთისა კრებისაჲ“), სოფელ ცხუმარის კრებას „მოეგებნენ და სული შეაედრეს“ ჩოლოგა მატ-იან-მა და მისმა მეუღლემ. მასასადამე, მატ ძირი ძველ სვანურ გვარშიცაა დადასტურებული ისტორიულად.

მოსალოდნელია, „მატატა“-ს უკავშირდებოდეს სულხან-საბა ორბელიანის, დავით ჩუბინაშვილისა და ალექსი ჭინჭარაულის ლექსიკონებში ფიქსირებული ლექსემა მატ-ა-რ-ოც-ი („უთქმელის წამთქმელი“, „არამკითხე მოამბე“, „ენაჭარტალა“), მატ-რ-ა-ოც-ი („ცელქი, დაუდეგარი“), სადაც ინლაუტში ისევ რ სონორია ჩართული (შდრ. ლეჩხუმური მატ-ა-ოც-ი „ეშმაკუნა, მოუსვენარი“). „უბედის, ენატარტალას, ჳორიკანას“ (ნიართუ) მნიშვნელობით იგი გვხვდება ბესარიონ ნიჭარაძის „ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონშიც“ სვანური ბირტლაჟჷს შესაბამისად.

საყურადღებოა, რომ სიხშირის თვალსაზრისით თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უპირატესობა ენიჭება მეტ- ვარიანტს, ოღონდ ანთროპონიმებში მაინც ჳარბობს ძველი (მატ-) სახეობა, მეტ- კი ძალზე იშვიათია (სამეგრელოში, სოფელ ბანძაში, კაცის სახელად გამოყენებული მეტ-ია გურიაში, სოფელ დაბლაციხეში, ჳალს ეწოდება).

თუ ანალოგიისთვის მივმართავთ „ვეფხისტყაოსანს“, აღმოჩნდება, რომ საზოგადო სახელებსა და ჳმნებში -მატ- ძირი მხოლოდ 12-ჯერ შეგვხვდება, ხოლო -მეტ- 115-ჯერ, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს არნოლდ ჩიქობავას დებულებას იმის თაობაზე, რომ გენიალური შოთას ქმნილება — „მწვერვალი ქართული პოეტური შემოქმედებისა, საპატიოდ სახსენებელი მსოფლიო ლიტერატურის შედეგთა შორის“ — ახალი სალიტერატურო ენის ძეგლია და არა საშუალი ან ძველი ქართულისა (ჩიქობავა 2011: 22-113).

ქართული **მატ-ებ-ა/მეტ-**ი და სვანური **ლი-მტ-ე** ჰაინც ფენრიხმა (Fährnich 1981: 98) ერთმანეთის ფონემატურ შესატყვისებად წარმოგვიდგინა, ხოლო ზურაბ სარჯველაძემ (1985: 197) ქართულშივე ივარაუდა **მეტ- < მატ-** ძირთა უმლაუტი; მაგრამ როდის ჰქონდა ამ ფონოლოგიურ პროცესს ადგილი? — თუ საერთოქართველური ენის ქართულ-ზანურ-სვანურად დაშლის პერიოდში, მაშინ მეგრულში **ო (< ა)** უნდა გვქონოდა, ხოლო სვანურში სადმე მაინც ხომ უნდა შემორჩენილიყო ქართული **ა** ხმოვნის რეგულარული კანონზომიერი შესატყვისი (ვთქვათ, არასაუმლაუტო პოზიციაში!)?! ყველა ქართველურ ენაში **ე** გვაქვს (შდრ. მეგრულ-ლაზური **მეტ-ი**, სვანური **მეტ** „ზედმეტი“ და ლენტეხური **ლი-მეტ-ე** „გამობრანჭვა“ = „გადამეტებულად ჩაცმა?“).

რომ ზანურ-სვანური ანთროპონიმები არა, რომელთაც ჩვენ „მატების“ სემანტიკით გააზრებულ გურულ **მატატ-ი** და აჭარულ **მატატა** ფორმებს ვუკავშირებთ, მოსალოდნელი იყო, რომ **მეტ-** ძირი შედარებით გვიანდელ ნასესხობად ჩაგვეთვალა ქართულიდან ზანურ-სვანურში.

ბუნებრივია, გვკითხავენ: აქვს თუ არა საანალიზო ლექსემას რაიმე კავშირი აჭარულ **მა-ტარ-ტალ-ა** („ყბელი“)'სთან? სამწუხაროდ, შესაბამის ლექსიკონებში ვერც **მატატა** დავადასტურეთ და ვერც **მატარტალა**.

რალა თქმა უნდა, **მატარტალა**-ს სხვა სეგმენტაცია შეესაბამება და სრულიად აშკარაა, რომ იგი ე. წ. პირველადი მასდარის (არნ. ჩიქობავა, გ. დეეტერსი) შესაბამისი სემანტიკიდან (**ტარ-ტალ-ი**, **ტარ-ტარ-ი**) მოდის, მაგრამ, ჯერ ერთი, ჯერჯერობით გაურკვეველია თავად „ტარტალი“-ს ეტიმოლოგია [ონომატოპოეტური ლექსიკის სირთულეები იჩენს თავს! — შდრ. ქართული **ჭარ-ტალ-ი**, **რატ-რატ-ებ-ს**; სვანური (ლენტეხური) **რატ-რატ-ე**] და მეორეც — ძნელად წარმოსადგენია, რომ **მატარტალა** ინლაუტშიც გამარტივდა და აუსლაუტშიც გაცვდა ისე, რომ მისგან **მატატა** მიგველო.

გურულ-აჭარულმა **მატატი/მატატა**მ შეიძლება გაგვახსენოს ერთი მცენარის სახელი სამეგრელოსა და სვანეთში, რომელიც ფორმალურად იმეორებს კიდევ ჩვენს საანალიზო ლექსემას, ოღონდ საკმაოდ რთული სემანტიკური წიაღსვლები დაგვჭირდება მათ მნიშვნელობათა ერთმანეთთან დასაკავშირებლად: **მატა** პირველად რაფიელ ერისთავის „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინურ ლექსიკონში“ გამოჩნდა, რომელშიც წარმოდგენილი იყო მცენარეთა, ცხოველთა და სხვათა აღმნიშვნელი სიტყვები (Эристовъ

1884). ის სინონიმია **ლაქაშა**'სი, რომელიც გაცილებით ადრე, საუკუნეზე მეტი ხნის წინ, ჰქონდა შეტანილი სულხან-საბა ორბელიანს თავის „სიტყვის კონაში“, ყოველგვარი განმარტების გარეშე, ოღონდ „ბალახის“ აღმნიშვნელი სიმბოლოთი (ა). რაფიელ ერისთავისთვის **მატა** არის „шалочник широколистый“. ეს ლექსემა იმავე მნიშვნელობით განმეორდა სამი წლის შემდეგ, ე. ი. 1887 წელს, დავით ჩუბინაშვილის (ჩუბინოვის) ქართულ-რუსულ ლექსიკონში, ხოლო მეგრულ ლექსიკაში **მატა** პირველად გამოიყენა იოსებ ყიფშიძემ (Кипшидзе 1914: 278) ერისთავისეული ფორმისა და სემანტიკის სრული დაცვით. ალექსანდრე მაყაშვილისთვის **ლაქაშა** სრულიად სხვა მცენარეა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული 17 სახელწოდებით (1991: 43). **მატა** არ გვხვდება „ბოტანიკური ლექსიკონის“ არც ერთი გამოცემის არც ქართულ, არც მეგრულ და არც სვანურ ნაწილში, მაგრამ სვანური **მატატა** ქართულ **შმაგა**'ს შეესაბამება, რომელიც წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული 9 სახელწოდებით. **მატატას** ნაყოფი ძალიან ჰგავს მოცვის და ფლორის უცოდინარი ადამიანები (განსაკუთრებით ბავშვები) მას შეცდომით მიირთმევენ ხოლმე, რაც იწვევს მათ რამდენიმედღიან გაშმაგებას. ამიტომაც ფშავში ამ მცენარეს „გიჟანა“-საც უწოდებენ, ხოლო კახეთში — „კოფის ბალახს“ თუ ბავშვი რაღაც უცნაურად იქცევა, მას ზემო სვანეთში გაოცებით ეკითხებიან: იმ ხისოყაღ **მატატა** შ' ნაზობშალ? — „რას გიჟობ **მატატას** ნაჭამივით?“

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „გიჟი“ გადატანითი მნიშვნელობით „გაშმაგებულსაც“ ნიშნავს და „ონავარ, ძალზე ცელქ ადამიანსაც“, მაშინ მცენარის ქართულ-მეგრული (**მატა**) და სვანური (**მატატა**) სახელწოდებანი შესაძლოა ამ მხრივაც დაუკავშირდეს გურულ-აჭარულ **მატატი/მატატა** („ყბედი, ჭორიკანა, ენატიკტიკა, მოუსვენარი, ეშმაკი“ და ა. შ.) ლექსემებს (ბოლოსდაბოლოს ერთ უმშვენიერეს „საკიდელა“ ყვავილოვან ბალახს საქართველოში „ჭორიკანაც“ კი ჰქვია!) და მოსალოდნელია, რომ „მატიტელა“-ს ქვემოიპერულ-ინგილოური სახელწოდება „მატატელა“ და გურული „მატანტალა“ როგორღაც უკავშირდებოდეს სვანურ „მატატა“-ს, თუმცა კიდევ ერთხელ გავხაზავთ — **კომპარატივისტიკაში ურთულესი პრობლემაა (თითქმის გადაუჭრელიც კი!) სემანტიკური შეპირისპირებანი, გაცილებით უფრო რთული, ვიდრე რეგულარულ კანონზომიერ ფონემათ-შესატყვისობათა საფუძველზე აღდგენილ არქიფორმათა სისტემები.**

თუ ჩვენი სემასიოლოგიური წიაღსვლები რამდენადმე მაინც დამაჯერებელია, ძველი ქართული შატ- ძირი არამხოლოდ ქართველურ ანთროპონიმიკაში აღმოჩნდება შენარჩუნებული.

IZA CHANTLADZE, AKAKI BERIDZE

Gurian/Ajarian maṭ-aṭ-i/maṭ-aṭ-a and Kartvelian anthroponymia

S u m m a r y

Ajarian *matata* <**maṭ-maṭ-a* ("chutter-box, gossiping") and Gurian *maṭ-aṭ-i* <**maṭ-maṭ-i* ("a babbling child") should be a stem-doubled composit with one conception. A root *maṭ-* occurs in all Kartvelian languages even today. Besides, it occurs in Georgian common nouns along with *met-* form (*maṭ-eb-a*, *na-maṭ-i*, *sa-maṭ-i*, *pur-t-u-maṭ-e* // *u-met-e...*), in Zan-Svan only in anthroponyms *maṭ-* is preserved (Megr.: *maṭ-i*, *maṭ-ia*, *maṭ-un-a*, *maṭ-oa* // *maṭ-ua*, *maṭ-aṭ-ia...*, Svan.: *maṭ-ia*, *mar-maṭ-a...*)

The origin of *maṭata* **maṭ-maṭ-a* seems to be preserved in one Upper Svan document of the 14th century. The document tells that the name of Duda and Gio Setiels' mother (i. e. Mestians) was *Marmata* (Silogava 1986: 169). I believe, that this anthroponym is the same stem-doubled composit (<**maṭ-r-maṭ-a*) but in inlaut here occurs a sonor (an usual phonetic phenomenon in the Kartvelian dialects) and that occurs in Ajarian and Gurian common names. According to the source of the 11th c. ("Chronicle of Svaneti meeting") Chologa *Maṭ-ian-ma* and his wife "met the meeting and commended soul to God". Thus, the root *maṭ-* is attested in old Svan surname, as well.

It is expected, that the lexeme *maṭ-a-r-oc-i* ("chatter-box") fixed in the dictionaries by Sul Khan-Saba Orbeliani and Davit Chubinashvili is connected with *maṭata*. In this lexeme a *r* sonor occurs in inlaut (cf.: *maṭ-a-r-oc-i* "long-winted" – Georgian Explanatory Dictionary and Lechkhumian *maṭ-a-oc-i* "a-little devil, fidgety"). It occurs in Besarion Nizharadze's "Georgian-Svan-Russian dictionary" with the meaning of "chatter-box, gossip (болтун)", in relevance with Svan *pirṭlaw*.

It is noteworthy that from the standpoint of frequency in the modern literary language *meṭ-* variant has priority, but in anthroponyms the number of old (*maṭ-*) variant is more, and *meṭ-* occurs rarely (in Samegrelo, in village *Baṇdza*, a man's name *Meṭ-ia* is used in Guria, in the village *Dablatsikhe* as a woman's name).

სამედიცინო ლექსიკა ქართველურ ანთროპონიმიაში

ცალკეულ საგანთა, მოვლენათა, ცხოველთა, ფრინველთა, მცენარეთა, ნივთიერებათა, **ხელობა-საქმიანობათა** ან სოციალური ყოფის ამსახველი ლექსიკა, ჩვეულებრივ, ისტორიული დასაბამია ონომასტიკონისა. მთელ მსოფლიოში, თითქმის ყველა ერსა თუ ენაში, საზოგადო სახელი გაცილებით ადრე შეიქმნა, ვიდრე საკუთარი, ეს უკანასკნელი კი საფუძვლად დაედო ოფიციალური გვარის წარმოშობას.

„გვარსახელი ადამიანის საკუთარი სახელის ისტორიული კატეგორიაა. მისი გრამატიკულ-სემანტიკური მოდელები საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურებს შეესაბამება. გვარსახელი თავად იძენს სოციალური მახასიათებლის ფუნქციას“ (მ. სურგულაძე, ჟ. ოდიშელი 1991: 6). მოსახლეობის ზრდა, ტომებს შორის ურთიერთობის გაცხოველება და ხალხის მრავალრიცხოვან კოლექტივად ჩამოყალიბება აუცილებელს ხდიდა არა მარტო იმის ცოდნას, თუ რა ჰქვია ამა თუ იმ პირს, არამედ — რა **ხელობის კაცია** იგი, ვისი შთამომავალია, სადაურია ა. შ. ამრიგად, სახელის გვერდით გაჩნდა კიდევ მეორე, **დამატებითი სახელი**, რომელიც აზუსტებდა პიროვნების ვინაობას, მეტ ცნობებს იძლეოდა მასზე და თანაც აავდილებდა ერთი სახელის მქონე პირების — სენიების გარჩევას. სწორედ ამ დამატებითი სახელისგან წარმოიშვა გვარი, როგორც პიროვნული სახელის თანმხლები, განუყრელი ნაწილი (ზ. ჭუმბურიძე).

„ქართველური ანთროპონიმია იმდენად სუსტადაა შესწავლილი, რომ ჯერ კიდევ ნაადრევია მის გენეზისსა და სპეციფიკურ ნიშნებზე მსჯელობა. ჩვენი ძველი, ქრისტიანობამდელი ანთროპონიმები ფრაგმენტულადაა შემონახული და არავის უცდია მათი ცოტად თუ ბევრად სრული ნომენკლატურის აღდგენა. **სრულიად გაუთვალისწინებელია საკუთარ სახელთა ხალხური ტრადიცია** და თვით ის მასალაც კი, რაც შედარებით მდიდრულადაა ასახული ძველ საისტორიო თხზულებებსა და სიგელ-გუჯრებში. ასე რომ, **ქართველური ანთროპონიმია არ ხარგებლობის იმ უურადლებით, რისი უეჭველი ღირსიც არის**“ — წერდა ალ. ლლონტი 1965 წელს. მას შემდეგ გავიდა თითქმის ნახევარი საუკუნე და, რაღა თქმა უნდა, რამდენადმე შეიცვალა საქმის ვითარება: გამოქვეყნდა ცალკე-

ული ლექსიკონები და გამოკვლევები ქართული, სვანური თუ მეგრული მასალების გათვალისწინებით. რაც შეეხება ლაზურს და ქართული ენის ისტორიულ ან თანამედროვე სამხრულ დიალექტებს, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ძალზე ცოტაა გაკეთებული; ხალხური სამედიცინო ტერმინოლოგიის კვლევის თვალსაზრისით კი ბოლო არეალში მხოლოდ სქემატურად გვაქვს შესწავლილი სამეცნიერო პრობლემები. ამიტომ ამჟერად ჩვენ დავინტერესდით იმ სამედიცინო ლექსიკით, რომელიც ქართველური ანთროპონიმიკის ერთ-ერთი კომპონენტი აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველოლოგთა უმრავლესობა მხარს უჭერს ოფიციალურ ქართულ გვართა შუასაუკუნეობრივ ისტორიას, ჯერ ერთი, „მატიანე ქართლისაჲ“ VI-X საუკუნეებშიც წარმოგვიდგენს მათ (რომელთაგან ზოგი დღესაც იხმარება!), და მეორეც, როგორ შეეუხამოთ გავრცელებულ თეორიას ისეთი სტრუქტურები, რომელთა ფუძეები უთუოდ აღდგება საერთოქართველურ დონეზე, რადგანაც დღემდე ზუსტი ფონოლოგიური კანონზომიერებით გამოირჩევიან და ქართველურ ენათა კლასიკურ ბგერათშესატყვისობებს ამჟღავნებენ?

ქართული მ-ჰედ-ლ-ი-ძე / მ-ჰედ-ლ-ი-შვ-ი-ლი-ი / მ-ჰედ-ლ-ურ-ი
 მეგრული ჰკად-უ-ა
 სვანური მუ-შკუდ-ი-ან-ი ← მგ-შკად

ან კიდევ:

ქართული კაც-ა-ძე / კაც-ი-ა-შვ-ი-ლი-ი / კაც-ელ-ა-შვ-ი-ლი-ი / კაც-ო-შვ-ი-ლი-ი / კაც-ობ-ა-შვ-ი-ლი-ი / კაც-იტ-ა-ძე / კაც-იტა-ნ-შვ-ი-ლი-ი
 მეგრული კონ-ია / კონ-ია; კონ-ალ-ა-ძე / კონ-ალ-ი-ძე (აჭარა, მესხეთ-ჩავახეთი), კონ-უა-შვ-ი-ლი-ი / კონ-ი-ა-შვ-ი-ლი-ი / კონ-ჩ-ა-ძე / კონ-ი-ძე (ტაო-კლარჯეთი)
 სვანური ჰუშ-ი-ლ-ი-ან-ი (XIII ს.) ← ჰან-შ-ი-ლ-ი-ან-ი (?)

რასაკვირველია, უთუოდ მიგვითითებენ: პირველად საზოგადო სახელში (კაც-ი, ჰედ-ვ-ა,...) გაჩნდა კანონზომიერი ფონემატშესატყვისობა, რომელიც შემდეგ აქედან მექანიკურად გადავიდა ჯერ საკუთარ სახელში

(კაც-ა / კაც-ია, 'შ'-ჭედ-ელ-ა,...), მერე კი გვარშიო, მაგრამ მხოლოდ ქართულძირიანი სტრუქტურებიც რომ გვაქვს მეგრული, ლაზური ან სვანური გრამატიკული ინვენტარით (შდრ. მეგრული **ჭედ-ია**, სვანური **მ-ჭედ-ლი-იან-ი** ← **ჭედ-ელ-იან-ი**, მეგრული **კაც-ია**, სვანური **კაც-ან-ი...**) და თანაც უძველეს გვარებში?! ყველაზე მეტად კი საინტერესოა **კოც-ია-შვილი-ი** (ქართულ-მეგრული კონტამინირებული ფორმა?), რომელიც აშკარად ადასტურებს ქართველოლოგიის ერთ-ერთ დებულებას იმის შესახებ, რომ კონსონანტური ბგერადგადაწევები უფრო ძველი ეპოქისაა, ვიდრე ვოკალური, ე. წ. **კოციაშვილზე** უადრესია **კოჩიაშვილი**!

მაშასადამე, აუცილებელია ფუძის ფონოლოგიური სტრუქტურის გათვალისწინება ანთროპონიმთა ისტორიის კვლევისას არა მხოლოდ ქართველურ ენებში, რასაც შესაბამის გამოკვლევებში (ლინგვისტთა თუ არალინგვისტთა) ვერ ვამჩნევთ! ძველი მასალების ამ თვალსაზრისით გადახედვაც კი, ვიქრობთ, უთუოდ შეგვაცვლევინებს აზრს ოფიციალურ გვართა გვიანდელი წარმომავლობის შესახებ.

რაც შეეხება სამედიცინო ტერმინოლოგიის შემცველ ქართულ გვარებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი რაოდენობა საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება დანარჩენ პროფესიათა აღმნიშვნელი ფუძეებიდან მომდინარე გვარსახელებთან შედარებით, აქაც დაახლოებით იგივე სიტუაციაა: **გამოი-ყოფა სამი ძირითადი ფენა** — **ძველი** (მკურნალიძე, წამალაიძე / წამალაშვილი, მახლაური), **მოგვიანო ეპოქისა** (აქიმიშვილი / აქიმაძე) და **ახალი** (ექიმიშვილი, დოქტურიშვილი, ფერშანაშვილი).

სხვადასხვა დროს სამხრეთ საქართველოს მაღალ არისტოკრატიას წარმოადგენდნენ: მხარგრძელები, ორბელები, თორელები, ჭაყულები და **მანკაბერდელები**. ჩვენი ყურადღება მიიქცია ბოლო გვარმა თუ ზედწოდებაში, რომელიც შესაძლოა (ძალზე ფრთხილი ვარაუდის საფუძველზე!) კარაბადინის, ანუ სამკურნალო წიგნის მცოდნე საგვარეულოზე მიუთითებდეს (თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მანკაბერდი ტოპონიმიც იყოს). გარკვეულ ფონეტიკურ გარდაქმნათა უწინარესობა-შემდგომადობის პროცესი ასე წარმოგვიდგენა:

***მა-კარაბადინ-ე** → ***მა-კარაბადნ-ე** → ***მა-კარაბად-ე** → ***მა-კარაბდ-ე** → ***კარებდ-ე** → ***მა-კაბერდ-ე** → ***მან-კაბერდ-ე** → ***მან-კაბერდ-ე** → **მანკაბერდელი**

მოსალოდნელია, რომ **ჟამი^არ^აშვილი / ჟამიერაშვილი** და **ჟვავილა-ძე / ჟვავილაშვილი** სამედიცინო ლექსიკის ამსახველი გვარები იყოს (შდრ. ჟამ-ობა „მომსვრელი სენი“, ნ. ჩუბინაშვილი; **ჟუავილ-ი** „სენია“, საბა).

1546 წლის ერთ-ერთ საბუთში გვხვდება **ამპუტაშვილი**, ხოლო XVII-XVIII საუკუნეებში გვაქვს **ამპეტაშვილი** („პირთა ანოტირებული ლექსიკონი“, I, 1991: 140). ხომ არ შეიძლებოდა ეს გვარი დაგვეკავშირებინა „ამპუტაციასთან“? (ანალოგიისთვის შდრ. ძველი ქართული **მოკუეთილი**).

ვფიქრობთ, რომ **მანლაური** ← ***მა-ხალ-ა-ური-ი**, რომლის ძირი დღემდე დაცული მეგრულ **ლა-ხალ-ა / ლა-ხარ-ა** ლექსემაში, ავადმყოფობას რომ აღნიშნავს (შდრ. ქართული ენთროპონიმი **ლა-ხურ-ა**) და სვანური სტრუქტურის სიტყვაა.

ალბათ, ქართული **წამალაიძის** შესატყვისი უნდა იყოს სვანეთის საეკლესიო კრების „სულთა მათიანეს“ პალიმფსესტურ (XI ს.) მოსახსენებელში დადასტურებული გვარი **ჭამ-არ-იან** (სილოგავა 1986: 302). თუ ეს ასეა, მაშინ სპეციალურ ლიტერატურაში (როგავა 1945: 231-232) დღემდე არსებული ვარაუდი ქართული **წამ-ალ-** და სვანური **ჭემ-** („თივა“) ფუძეთა ფონოლოგიური კავშირის შესახებ უნდა გადაისინჯოს, გაიხაზოს **წამ- / ჭამ-** ძირთა მიმართების საკითხი და საერთოქარველური ენის დონეზე უნდა აღდგეს არა **წემ-** (Климов 1964: 249) ან **წამ- / წემ-** (Klimov 1998: 306) არქიფორმები, არამედ მხოლოდ **წამ**.

ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ კვლევას ამ მიმართულებით და შევეცდებით დავადასტუროთ „აქიმობის“ შესაბამისი ლექსიკა არა მხოლოდ ქართული, არმედ სვანური, მეგრული და ლაზური მასალების იხედვითაც, როგორც ანამედროვე, ისე ისტორიულ კრილში. რაც ერთობ რთული (არა მარტო ლინგვისტური) პრობლემების წინაშე გვაყენებს; სამაგიეროდ, მუშაობის პროცესში ძალას შეგვმატებს დიდებული სულხან-საბას განმარტება: „**აქიმი სხუათა ენაა, ქართულად მკურნალი ჰქვიან, - რომელიც სნეულთ მლხენელია**“.

Medical vocabulary in the Kartvelian anthroponymy

S u m m a r y

In the Georgian surnames containing the medical terminology, in spite of the fact that their number is less than of the surnames originated from the stems denoting other professions, are distinguished three main layers - old (Mkurnalidze, Tsamalaidze/Tsamalaishvili, Makhauri), later epoch (Akimishvili / Akimadze) and new (Ekimishvili, Tokhturishvili, Pershanashvili).

Studying the history of anthroponymy it is needed to take into account phonological structure of a stem not only in the Kartvelian languages, that is not shown in the relevant studies (of linguists as well as non-linguists)! I believe that the reviewing of the old material from this standpoint will change the view on ancient origin of official surnames.

კვლავ „კოდორ“-ის ეტიმოლოგიისათვის

ენა ერთადერთი ისტორიაა, რომლის გაყალბებაც შეუძლებელია (ა. შლაიხერი)

„ენა ხალხის ისტორიის ძველი და ალალმართალი მოწმეა“ (ჩიქობავა 2011: 8). ამიტომ სულაც არაა გასაკვირი, რომ დაღვლილ სვანები თავინთ ხეობას არც აფხაზეთს უწოდებენ და არც სვანეთს. მავანნი ამბობენ, რომ ეს ტერიტორია მარშანიების სამფლობელო იყო — კი, მაგრამ მარშანიები მარუშიანები (ე. ი. სვანები) არ იყვნენ ისტორიულად?! არც სვანს უწოდებენ თავიანთ თავს — ისინი არიან **დალზრ** („დალ-ელ-ებ-ი“, **მგ-დალ** „დალ-ელ-ი“): „ვეტვს **დალში** აღარავინ თესავს, **სვანეთიდან** გვიგზავნიანო“ — გვითხრეს ხეობაში. საველე სამუშაოების დროს გავარკვეეთ, რომ სვანები დღესაც კი არ აღიქვამენ კოდორის ხეობას აფხაზეთის ტერიტორიად, ამიტომაც უწოდებენ მას მათთვის უფრო ახლობელ, ანუ სვანური სამყაროსთვის ბუნებრივ ტოპონიმს **დალ** და არა **კოდორ** — ეს უკანასკნელი რომ სვანური წარმომავლობისა იყოს, მაშინ უმლაუტიანი ფორმა ***კოდურ** უნდა გვქონოდა; ამიტომაც ჭეთევან მარგიანი-დადვანისა (1998: 95) და ზურაბ ჭუმბურიძისეული გააზრება სვანური **სკოდი** („ღრმა“) ლექსემიდან საანალიზო ტოპონიმის მომდინარეობის შესახებ, საექვო ჩანს (ჭუმბურიძე 2007: 34); აუხსნელი რჩება, აგრეთვე, როგორც ძირისეული **ო** ხმოვნის სიგრძის დაკარგვის, ისე ანლაუტის **ს** თანხმოვნის უკვალოდ გაუჩინარების საკითხი. ესეც რომ არ იყოს, რაჭული **სკოდორი**ს (მდინარე რიონის ერთი მონაკვეთის სახელწოდება ონსა და ამბროლაურს შორის) ანალოგიური ტოპონიმები დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ესენია სოფლები: **სკინდ-ორ-ი**, **სკანდ-ე** (ჭიათურა), **კუდ-არ-ო** (რაჭა), **კვად-ო-ურ-ა** (მცირე მდინარე სოფელ ლორეშაში) და **კოდ-ა-ურ-ა** (ტყე ზემო იმერეთში). ვფიქრობთ, აღნიშნულ ტოპონიმთა თუ ჰიდრონიმთა გათვალისწინების გარეშე „კოდორის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობა სრულყოფილი ვერ იქნება.

აბაშის რაიონის მიკროტოპონიშიაში რამდენიმეჯერ დასტურდება ფორმა **კოდორე**: თუ ამოვალთ ქართველურ ენათა ქრესტომათიული ხმოვანთშესატყვისობიდან (ქართ. ა: ზან. ო: სვან. ა) და ანგარიშს გავუწევთ როგორც **კად-** ძირის სემანტიკას, ისე **-ორ** სუფიქსის განსაკუთრებულად ფართო გავრცელებულობას მეგრულში, მაშინ შესაძლოა ამ ლექსემისთვის საერთოქართველურ დონეზე აღვადგინოთ ***კად-** ძირი, რომელიც თანამედროვე ქართულის ყველა დიალექტსა თუ სალიტერატურო ენაში წარმოდგენილია **ნა-კად-** და **ნა-კად-ულ-** ფუძეთა სახით. მისი ზანური შესატყვისი იქნებოდა **კოდ-ორ-**, ხოლო სვანური — **ლა-კად-ა** ან **ლა-კად-ურ/ლი** (შდრ. ტოპონიმი **ლა-კად-ა** აფხაზეთში და ჰიდრონიმი **ლა-კად-ურ-ი** ჩხოროწყუს რაიონში). ვფიქრობთ, რომ **კოდორი** სვანური **კადარ** („მშრალი, ხმელი ადგილი, ხმელეთი“) სიტყვის „ზანიზებული ფორმა კი არ უნდა იყოს (მიბჩუანი 1989: 132)“, არამედ საერთოქართველური ***კად-**ძირის ამსახველი, რომელიც, ალბათ, „წყალს“ აღნიშნავდა თავის დროზე, ოღონდ ისეთ წყალს, მზის გულზე მდებარე მთისძირა გორაკ-ფერდობებიდან რომ იღებდა სათავეს (**ლა-კად-ა**'ს მნიშვნელობის განმარტებისთვის იხ. ვუკოლ ბერიძის, ქეთევან ძოწენიძის, ოთარ ქაჯიას, პაატა ცხადაიასა და ვილენა ჯოჯუას იმერული და მეგრული ლექსიკონები). რომ **კოდორი** „წყლის“ სემანტიკას შეიცავს და არა „მთის ფერდობის ან ხმელეთისას“, უნდა ჩანდეს სამეგრელოს ტერიტორიაზე დაცული ერთი ტოპონიმიდანაც, ესაა **კოდ-ორ-ფონ-ი** (აბაშაში). საყურადღებოა, რომ **ნა-კად-ელ-ი** მოხეურ დიალექტში აღნიშნავს „ფშანს, მდინარის განტოტებას“; ქართლში ის „სარწყავი წყლის ერთეულია“ ან „ნაკვეთის რწყვის დროს წყლის მიმართულების შესაცვლელი ტიხარი“ (შდრ. გურული **ნა-კად-ი** „ჩამოთხრილი ან ჩამოქცეული ფერდი“ და **კოდ-მე** „მთის კონცხი, ფერდობი, მდინარის ამალღებული ნაპირი“).

Toponymy

Again towards the etymology of "kodor"

Summary

"A language is an ancient and sincere witness of people's history" (Chikobava 200: 8).

That is why it is natural that the Dalian Svans call their gorge neither Abkhazia nor Svaneti. Some people say that this territory was a domain of Marshanias. But were Marshanias Marushians (i. e. Svans) historically? They do not call themselves Svans – they are **Dalär**, (**dal-el-eb-i** "Dalians", **mə-däl** – "**dal-el-i**" "Dalian"): **peṭvs dalši ayaravin tesavs, svanetidən gvigzavniano** – "Nobody sows millet in Dali. They send it from Svaneti" – they told us. During the field work we cleared out that even today the Svans do not percept Kodori Gorge as a territory of Abkhazia. That is why they call it – close to them and natural for the Svan world toponym **Däl** and not **Kodor** – if the latter is of Svan origin then there would have occurred the form with umlaut ***ḳodwer**. That is why the conception by Ketevan Margiani-Dadvani (1998: 95) and Zurab Chumburidze on origin of an analytical toponym from Svan **ḣōdi** ("deep") lexeme is doubtful (Chumburidze, 2007: 34). Unexplained is also an issue of losing of length of a vowel **o** as well as disappearing of a consonant **s** of anlaut without trace. If it is not so, analogical toponyms of Rachian **ḣodori** (name of one part of the river Rioni between Oni and Abrolauri) are confirmed in different parts of Georgia. These villages are: **Skind-or-i**, **Skand-e** (Chiatura), **Kud-ar-o** (Racha), **Kvad-o-ur-a** (a small river in vil. Goresha) and **Kod-a-ur-a** (forest in Upper Imereti). I believe, that without taking into account the mentioned toponyms and hydronyms our discussion on the etymology of **Kodori** should not be perfect.

In the micro-toponym of the Abasha region the form **Kodore** is confirmed for several times. If we take into account chrestomatic vowels correspondence of the Kartvelian languages (Georg. **a**: Zan **o**: Svan **a**) and the semantics of a **ḳad-** root as well as especially wide spreading of a **-or** suffix in Megrelian, then it is possible to reconstruct on a Common Kartvelian level for this lexeme ***ḳad-** root that in all modern Georgian dialects and literary language occurs in the form of **na-ḳad-** and **na-ḳad-ul** stems. Its Zan correspondence would be **kod-or-** and Svan one – **la-ḳad-a** (cf.: toponym **La-ḳad-a** in Abkhazia and hydronym **La-ḳad-uri** in

Chkhorotsqu region). I think, that Kodori "should not be a Zanized form" of Svan **kadar** ("a dry place, dry land") (Mibchvani 1989: 132) but it should reflect a Common Kartvelian *-**kad-** root that perhaps at some time would have denoted "water" the source of which was a sunny hill slope at a mountain bottom (for explanation of the meaning of **la-kad-a** see Imerian and Megrelian dictionaries by Vukol Beridze, Ketevan Dzotsenidze, Otar Kajaia, Paata Tskhadaia and Vilena Jojua). The fact that Kodori contains the semantics of "water" and not of "slope and dry land" should be seen from one toponym preserved on Samegrelo territory – it is **Kod-or-pon-i** (Abasha). It is noteworthy, that **na-kad-el-i** in Mokhebian dialect denotes "branch of a river". In Kartli it is "an irrigation system" or "a partition for changing a direction of water during watering" (cf.: Gurian **na-kad-i** "a dug out and collapsed slope" and **kod-me** "rocky cray, slope, uplifted river bank").

ლაბიალიზაცია-დელაბიალიზაციის ურთიერთმიმართებისათვის კოდორულ ტოპონიმიში

სვანურ ენაში ძალზე გავრცელებულია როგორც ლაბიალიზაციის, ისე დელაბიალიზაციის ურთიერთგამომრიცხველი პროცესები (Чантлаძე 1976: 441-449). ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად ახასიათებს ბალსქვემოური დიალექტის ლაბამულურ კილოკავს (მ. ქალდანის), მაგრამ იგი მეტნაკლებად ყველა დიალექტში რომ იყო გავრცელებული, ამაზე მიუთითებენ ძველი სვანური ხალხური სიმღერები და ანდაზა-გამოცანები, აგრეთვე ცალკეული იდიომატური გამოთქმები და „დედამიწის ენის“ ამსახველი ერთეულები.

1889 წლის მონაცემების მიხედვით, დალის, კვანის, გვანდრისა და ჩხალთის ხეობებს შორის ულამაზესია და უმდიდრესი პირველი მათგანი. „კვანი ქარტაზე საკენია“ (ნიჟარაძე 1964: 161), რაც ძალზე მნიშვნელოვნად გვეჩვენება სა-კენ'-ის ეტიმოლოგიის გარკვევისათვის („საკვერნე“ > *სა-კუერნ > *ხა-კუენ > სა-კენ — აუსლაუტის გამარტივება სვანურში და რ სონორის დაკარგვა ინლაუტში ჩვეულებრივი მოვლენაა ქართველურ ენებში). კუან, ვფიქრობთ, უშუალოდ უნდა იყოს, თუმცა ის ერთ ბალს-ზემოურ ანდაზაშიც აქვს დადასტურებული მესტიელ მიხეილ ჩართოლანს (კუან-ოლ ლჷქმათე ამჩედლო, ტუფ ეჩე ათხედა — „კვერნა საშოვარზე წასულა, ტყავი იქ დარჩენია“ — ნიჟარაძე 1964: 224; შდრ. იფარული: კუენ ლჷქმათესერ აშჩედ ო ტუფ ესერ ეჩ'ოტცუენრა — „კვერნა საშოვარზე წავიდა („წასულა“ უნდა ყოფილიყო, თარგმანში შეცდომაა!) და ტყავი იქ დატოვაო“ (უნდა „დაუტოვებიაო“!) — კორძაია 2000: 90; და ლაბამულური: კენ ურინ დან ესერ ნოტმურა — „კვერნა ორჭერ არავის გაუტყავებიაო“ — დავითიანი 1973: 46).

კუან და სა-კენ ფორმათა ურთიერთშეპირისპირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დელაბიალიზაციის პროცესის ისტორიისათვის სვანურში. აშკარაა, რომ საკენ ტოპონიმი ბალსქვემო სვანეთიდან კოდორის ხეობაში ჩასახლებულთა მიერაა შექმნილი. სპეციალური ლიტერატურიდან (მ. ქალდანის) კარგა ხანია ცნობილია, რომ თანამედროვე ლაბამულური კილოკავის ფონოტაქტიკას სპეციფიკურს ხდის დელაბიალიზაცია, რითაც

ის საგრძნობლად უპირისპირდება ბალსქვემოური კილოკავების (აგრეთვე სვანურის სხვა დიალექტების) მონაცემებს, მაგრამ ლახამულელებს არასოდეს უცხოვრიათ კოდორის ხეობაში (გუჯეჯიანი 1939: 274), ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ საანალიზო ტოპონიმი ქუბერელ — ფარელ — ეცერელ — ცხუმარელ — ბეჩოელთა ნაღვწი უნდა იყოს.

ძველ ქართულში გვქონდა **კორნა**, ე. ი., თუ გავიზიარებთ ზურაბ სარჯველაძის თვალსაზრისს ქართული უმლაუტის შესახებ (იხ. სარჯველაძე 1985), მაშინ გამოდის, რომ ეს ფუძე სვანურში კი არ გაუმლაუტებულა, არამედ **-ო-** ხმოვანი მასში საერთოქართველურ დონეზევე იყო წარმოდგენილი, თუმცა ქართულში რამ განაპირობა მისი უმლაუტი (**კორნა > კვერნა?**), თითქოს რამდენადმე გაუგებარი იყო (არც ეს ფუძე და არც **კუერნ-ი** გაანალიზებული არ არის ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ — იხ. 2000: 279), ახლა კი ნათელია, რომ ძვ. ქ. **კვერნ-ი < *კორნ-ი** საგან).

ზოგი ჩვენი კოდორელი ინფორმატორის მეტყველებაში ძალზე იშვიათად **კუწან** წარმოდგენილია **ყუწან** ვარიანტის სახითაც. იმავე ტექსტებში გვხვდება **ლე-კუა** ტოპონიმიც, რომელიც, ვფიქრობთ, იგივე ქართული **ხა-კენ-ია**, ოღონდ სვანური გაფორმებით. ძალზე საინტერესოა, რომ სვანურ ვარიანტში ლაბიალური ელემენტი **-ჭ-** დაცულია, რაც ამ ძირის არქაულობაზე მეტყველებს კოდორულ სვანურში.

აქა-იქ გაიგონებთ **რე-კუა** ვარიანტსაც; **ლ > რ** გარკვეული პოზიციით შეპირობებული ფონეტიკური პროცესია ზანურში (გ. როგავა), თუმცა ამას ვერ ვიტყვით სვანური ენის შესახებ, ყოველ შემთხვევაში ჩერჩერობით მაინც, ვიდრე საკითხი სპეციალურად არ იქნება შესწავლილი, ისე კი ანალოგიური ფაქტები აქაც დასტურდება: **ცილ** (ზს., ლშხ.) / **ცირ** (ლნტ.) — 1. კანი, ქერქი; 2. ცილა; 3. ტყავი..., **ცილ** (ჩოლ.) — ხის კანის შიგნითა წვნიანი ლორწო, ცილა. შდრ. ქართ. **ცილ-ა** — კვერცხის თეთრი გული, გინა ხის ქერქის შიგნითი კანი (საბა), **ცილ-ი** (იბერ.) — გოგრის ან საზამთროს კანის თეთრი ნაწილი, **ცილ-ა-მ-პ-ალ-ი** (ქიზ.), **ცილ-ა-მ-პ-ალ-ა** (ფშ.) — ქერქ და ცილაშემომპალი ჭიგო ვაზისა, ერთი მხრივ, და „კანის გა-ცლ-ა“, **ლი-ცირ-ე** (ბზ., ლშხ.) / **ლი-ცირ-ე** (ბქ., ლნტ.) / **ცირ-ა** (ჩოლ.) „აღლეტვა, კანის გაცლა, გაფუჭება“; **ცილ-ე** (ზს., ლნტ.) / **ცელ-ე** (ლშხ.)

„აპობს, ხეეს, ხლეჩს, გლეჯს, ხეთქს“. ამ ფორმებისთვის შესაძლოა ამოსავალი იყოს *ცილ-ირ-ა, მაშინ ადვილად აიხსნება ძირისეული ხმოვნის სიგრძე.

ასე რომ, სპეციალურ ლიტერატურაში (ჩუხუა 2000-2003: 337) გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ სვანური ცილ („კანი, ქერქი“) და ქართული (იმერული) ცილ-ი („გოგრის ან საზამთროს კანის თეთრი ნაწილი“) ლექსემებისთვის ამოსავალი უნდა იყოს შიშინა სიბილანტის შემცველი ვარიანტი (*ჩილ), მთლად სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს, რადგანაც, როგორც დავინახეთ, ქართველურ ენებში ცილ-ი და ცილ-ა ისტორიულად სინონიმები ჩანს (ბოლოს და ბოლოს „ცილა“-ც ხომ „კანია, გამკვირვალე მასაა კვერცხის გულის გარშემო“, ის ნაწილია, რომელიც ს-ცილ-დ-ებ-ა, ე-ცლ-ებ-ა კვერცხის გულს?), რომლებიც ყველგან სწორედ სისინა სიბილანტითაა წარმოდგენილი.

ვიდრე ლ > რ თანხმოვანთგადაწვევის საკითხს საგანგებოდ არ შევისწავლით სვანურში, მანამდე სრულიად ბუნებრივია, უნდა გავიზიაროთ სპეციალურ ლიტერატურაში (ჩუხუა 2000-2003: 18) გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლ > რ ფაკულტატიური ფონეტიკური პროცესია სვანურში, რომელიც არ არის შეპირობებული გარკვეული პოზიციით. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ როგორც ცილ-/ცილ- ძირის, ისე ლე-კჷ-არე-კჷ-ა ლექსემის შემთხვევაში ლ > რ მეორეული, შედარებით გვიანდელი პროცესი ჩანს.

Towards the interrelation of labialization and delabialization in Kodorian toponymy

S u m m a r y

Contradictory processes of labialization as well as delabialization are widely spread in Svan (Chantladze 1976: 441-449). The latter is mostly characteristic of the Lakhamulian sub-dialect of the Lower Bal dialect (M. Kaldani) but old Svan folk songs, proverbs and riddles as well as separate idiomatic expressions and the entries reflecting a "world's language" point to the fact that it was spread in all dialects.

According to 1889 data among the Dali, Kvani, Gvandri and Chkhalta gorges the most beautiful and the richest is Dali gorge: "kʷani kʷaʒe sʷəɲia"

(Nizharadze 1964: 161), that seems to be noteworthy for researching the etymology of *sa-ḳen* (**saḳverne* > **sa-ḳwern* > **sa-ḳwen* > *sa-ḳen* – simplifying of auslaut in Svan and losing of *r* sonor in inlaut is a natural phenomenon in the Kartvelian languages). I believe, that *ḳwan* should be Ushgulian though Mestian Mikheil Chartolani confirmed it in one Upper Bal proverb (*ḳwān-ol lākmat amčēdli, ṭup eče atxeda* – "The marten went hunting and left its own skin there" – Nizharadze 1964: 224; cf.: Iparian: *ḳwen lākmat ēser amčed i ṭup eser eč ötcwira* – Kordzaia 2000: 90, and Lakhamulian, *ḳen urin dās eser xoṭmura* – "Nobody has skinned a marten twice" – Davitiani 1973: 46).

Mutual comparison of *ḳwān* and *sa-ḳen* forms has decisive importance for the history of delabialization process in Svan. It is obvious that *saḳen* toponymy was created by the migrants migrated from Upper Bal Svaneti to Kodori gorge. It is well known from special literature (M. Kaldani) that delabialization makes specific a phonotactics of the modern Lakhamulian sub-dialect by what it significantly opposes with the data of Lower Bal subdialects (also with other Svan dialects). But the Lakhamulians have never lived in Kodori gorge (Gujejani 1934: 274). Due to it we should assume that an analytical toponym is the fruits of the Chuberians, Parelans, Etserians, Tskhumians and Bechoians.

In the speech of some Kodorian informants *ḳwān* rarely occurs in the form of *qwān* variant. In the same texts *le-ḳw-a* toponym also occurs that, in my mind, is the same Georgian *sa-ḳen* but with Svan formation. It is noteworthy that in Svan variant a labial element *-w-* is preserved that points to archaic character of this root in Kodorian Svan.

Here and there one can hear *re-ḳw-a* variant: *l > r* in a certain position is a conditioned phonetic process in Zan (G. Rogava). But it can not be said about Svan, at least not yet still the issue is not be specially researched. But analogous facts are also confirmed: *cil* (US., Lashkh) / *cir* (Lent.) – 1. skin; 2. albumen; 3. skin..., *cil* (Chol) – inner liquid slime of a tree's skin, cf.: Georg. *cil-a* – white of egg, inner skin of a tree's bark (Saba), *cil-i* (Imer.) – a white part of a pumpkin and water-melon's skin, *cil-a-m-p-al-i* (Kiz.), *cil-a-m-p-al-a* (Psh.) – first: "high vine stake with rotten sapwood and bark" and second "removing of skin", *li-cir-e* (UB., Lashkh.), *li-cir-e* (LB., Lent.), *cir-a* (Chol.) "stripping, removing of skin, peeling"; *cil-c* (US., Lent.), *cāl-e* (Lashkh) "smb is splitting, ripping, hitting, tearing". For these forms **cil-ir-a* is possible to be initial, then the length of a root vowel will be easily explained.

Thus, the view (Chukhua 2000-2003: 337) expressed in the special literature on the fact, that for the Svan *cil* ("skin, bark") and Georgian (Imerian) *cil-i* ("white part of a pumpkin and water-melon's skin") lexemes an initial should be a variant

containing a hushing sibilant (*čil) is not entirely correct as we saw, in the Kartvelian languages cil-i and cil-a seems to be synonyms historically (finally "cila" – albumen is also a "skin, a transparent substance around an egg's kernel", the part that can be moved (s-cil-d-e-b-a, e-cl-eb-a) from an egg's kernel) and are represented in all Kartvelian languages just with a whistling sibilant.

While an issue of l > r vowels-moving is not especially researched in Svan, it is natural that the standpoint (Chukhua 2000-2003: 18) expressed in the special literature should be shared on the fact that l > r is a facultative phonetic process in Svan that is not conditioned by a certain position. Due to it I assume, that in cil-/cir-root as well as le-~~kw~~-a / re-~~kw~~-a lexeme l > r seems to be a secondary process of later period.

ზესხო და ჭითხარო/ჭუთხარო

ზესხო, ქართული ენციკლოპედიის მიხედვით (1979: 517), ოთხი გეოგრაფიული პუნქტის (კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ-დასავლეთი განშტოება, უღელტეხილი, მდინარე, სოფელი) აღმნიშვნელი სახელწოდებაა ქვემო სვანეთში, ლაშხეთში. ვფიქრობთ, განსახილველი ტოპონიმი უნდა მომდინარეობდეს საერთოქართველური *ძაცხუ- („ცაცხვი“) ძირისაგან და მას არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს სვანურ **ზისხ** („სისხლი“) ფორმასთან, წინააღმდეგ ზოგი პუბლიკაციისა (გოზალიშვილი 1995: 26).

თანამედროვე ზემოსვანურში, ჩოლურულსა და ლენტეხურ მეტყველებებში გვხვდება **ზასხუ** მონაცემი, რომლის შესაბამისია ნაუმლაუტარი ლაშხური **ზესხუ**:

ბ.ზ. ჭათარანწარ რაქს ლგმზიგზ, ჩართოლანწარ — **ზასხუს** (ქრესტ. 74: 9) — ჭათარაძეები რაჭაში სახლებულან, ჩართოლანები — ზესხოში;

ბეფშუ ქწხწრდა ხოშამ **ზასხუთე** (იქვე, 74: 13) — ბავშვი გამოუყვანია უფროსს ზესხოში;

ზასხუნან მესტიათ¹ აშვეღლის (იქვე, 74: 14) — ზესხოდან მესტიაში ამოსულან;

ლ შ ხ. **ზესხუ** უშგულარდ ახაყრედ (იქვე, 258: 19) — ზესხო უშგულელებმა გაიყავით;

ზესხუს ასად მარე (იქვე, 258: 22) — ზესხოში დარჩა კაცი;

ზესხუარ უშგულარდ აღდებ (იქვე, 258: 21-22) — ზესხოელები¹ უშგულელებმა წაიყვანეს;

ზესხუარდ ანვიღზ უშგულარ (იქვე, 258, 17) — ზესხოელებმა მოიყვანეს უშგულელები;

ალდაყრელის **ზესხუი** მეზგელწ (სვ. პროზ. ტ., IV, 210: 28-29) — აყრილან ზესხოს მოსახლენიც;

ეჯმარ **ზესხუნენ** ნავედ ლიხ (იქვე, 210: 30) — ისინი ზესხოდან არიან მოსულნი;

¹ საგულისხმოა, რომ უშგულელი ბ. ნიკარაძე ზესხოს მოსახლეობას ქართულად „ზესხველებს“ უწოდებს (ნიკარაძე 1964: 21).

ზესხუნენ ანლრი ეზრისგალა ლიც — **ზესხურაჲ** ი ცენშურს ხენჩგდი (იქვე, 211: 1-2) — ზესხოდან მოდის მოზრდილი წყალი — ზესხურა და ერთვის ცენშურს.

ყველა ზემოაღნიშნული ილუსტრაცია ჩაწერილია 1920-1940 წლებში აკაკი შანიძის, არსენ ონიანისა და მაქსიმე ქალდანის მიერ ღრმად მოხუცებულ მთქმელთაგან. საყურადღებოა ერთ-ერთი უშგულური სიმღერის ტექსტში დადასტურებული ფორმები, რომლებიც ივანე ნიჟარაძემ გამოაქვეყნა CMOMPK-ის XXXI ტომის IV განყოფილებაში 1902 წელს:

ზასხუ-ახო ისგა ონლური — ზესხვაში შემოვდივარ (სვ. პოეზ., 22: 24);

სადილობა **ზასხუს** მადა — სადილობა ზესხვაში მქონდა (იქვე, 22: 25);

-ა ან პროსოდიული ხმოვანია აუსლაუტში, ან მარტივსა თუ თანდებუ-ლიან მიცემითში ლოკატივის ფუნქციით გამოვლენილი არქაული მორფემის (-ას) ხმოვნითი კომპონენტი.

ქართულ საისტორიო ქრონიკებში **ზესხო**-ს გვერდით გვხვდება **ზოსხო** ვარიანტიც: „ქვენიფლეველმა აიღო **ზესხო**“, „დვალთა თავხედობით მობეზრებული ერისთავი ქვენიფნეველი ჯარითურთ **ზოსხოს** მივიდა, სულ ერთიანად მოსპო დვალი და დაარღვივნა ციხენი მათნი და მოსწვა ქვეყანა მათი“ (ლიპარტელიანი 1994: 106).

რთულ ფონოლოგიურ გარდაქმნათა გზა (დეზაფრიკატიზაცია, პალატალური უმლაუტი, აუსლაუტის არამდგრადი ფონემის გაუჩინარება, ტოპოფორმანტისა და ნაუმლაუტარი ფუძისეული ხმოვნის ასიმილაცია) უნდა გაეგლო აღნიშნულ ტოპონიმს:

***ძაცხუ** → **ზასხუ**+ი → **ზასხუ** (ზსვ., ლნტ., ჩოლ.), **ზესხუ** (ლშხ.)

„ცაცხვი“+ო → **ზესხო** → **ზოსხო**

აუსლაუტში წარმოდგენილი -ო გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი ჩანს, რომელიც ამ ფუნქციით მეტად გავრცელებულია მთელ კავკასიაში, მათ შორის საქართველოშიც (მაკალათია 1976: 48), ოღონდ სვანეთში ძალზე იშვიათად (ზაქარო, ბორბალო, იყალთო, დამხხერალო, მალარო, უძო, არბო, გოფანთო, ერწო, ომალო, შენაქო, თრუსო, კუდარო, კუმურდო, ზროგო, ბორჩალო || ბორჩალუ, არახლო || არახლუ, ბოჟანო, ზაგარო, ჭითხარო...).

ასე რომ, ლეჩხუმურ ტოპონიმს **ზესხუ-იშ-ი** („ცაცხვისა, ცაცხვიანი, ცაცხვნარი“), ჩვენი ვარაუდის მიხედვით, ამიერიდან გვერდით უნდა დაუდგეს

სვანური **ზესხო**-ც და საერთოქართველურ ***ძაცხუ-** ძირზე მსჯელობისას ისიც უნდა გავითვალისწინოთ ხოლმე ქართველურ ენათა შედარებითსა თუ ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში (Schmidt 1962: 148; გუდავა 1964: 449; Климов 1964: 233; ფენრიხი-სარჯველაძე 2000: 610).

რაც შეეხება მდინარის აღმნიშვნელ სახელწოდებას, ის არასწორადაა მითითებული ქართული ენციკლოპედიის IV ტომში (იხ. გვ. 517) და ამიტომაც ვაგზაზავთ: ცანის მარცხენა შენაკადს **ზესხურა** (← **ზესხუ+ურა**) ეწოდება, რომელშიც, წესისამებრ, წარმოდგენილია ქართველურ ჰიდრონიმთა სუფიქსი **-ურა**.

გვინდა შევხვთ **-ო** მაწარმოებლიან კიდევ ერთ ტოპონიმს. ესაა **ჭითხარო** (მწვერვალთა მასივი სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ქედზე), რომელიც, ალბათ, შეიცავს საერთოქართველურ ***წყურთა** ძირის რეფლექსსა (Климов 1960: 24; 1964: 254; მაჭავარიანი 1965: 20; გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965: 96-99; ფენრიხი-სარჯველაძე 2000: 679-680) და ტოპოფორმანტიან მრავლობითობის აღმნიშვნელ მორფემას:

***წყურთა** → ***ჭრთხა** → ***ჭითხა** → **ჭითხ** „წყურთა, იდაყვი“+**არ+ო**

თანამედროვე სვანურში „წყურთის, იდაყვის“ აღმნიშვნელი სიტყვა მრავლობით რიცხვში არ წარმოგვიდგენს გრძელ ხმოვანს (**ჭითხ—ჭითხარ**), ტოპონიმში კი იგი დაცულია:

ჭითხარი რაჭეშ ი ამხნ შტანმა ლნღურ ლი (სვ. პროზ. ტ., IV, 1979: 204, 7-8) — ჭითხარი რაჭისა და აქეთა სვანეთის საზღვარია.

დერსკნალ ლოქ არიხ **ჭითხარო** კოჯა ქუაბუარისა (იქვე, 204: 4) — შუნები არიანო ჭითხარის კლდის გამოქვაბულებში.

ჭითხარიეი ძირღ გარ ხაზ მუს (იქვე, 204: 3) — ჭითხარზე იშვიათადლა (ა)დევს თოვლი.

უშბის **ორი მწვერვალის** შემაერთებელ კლდოვან ნაწილს, ე. წ. უნაგირას სვანურად **ზღუდ-არ** („ზღუდეები“) ეწოდება, ასე რომ სრულიადაც არაა მოულოდნელი სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის **მწვერვალთა მასივის** სახელდებისთვის მრავლობითის ფორმა გამოყენებინათ. ვფიქრობთ, ტოპონიმში ასახულია სვანურ სახელთა აუსლაუტის ის საფეხური, როდესაც ღიაპარცვლიან სტრუქტურათა დახურულმარცვლიანებად გარდაქმნის ტენდენცია (სვანური ფონოლოგიური სისტემისთვის ესოდენ სპეციფიკური) ან

არ იყო ჯერ კიდევ მძლავრი, ან ინტერვოკალურ პოზიციაში (*ჭითხა+არ) სხვა ფონეტიკური პროცესი (შერწყმულ ხმოვანთა საკომპენსაციო სიგრძე) განხორციელდა (ჭითხნარ), რასაც დაერთო ტოპოფორმანტი -ო.

ქართული ენის რაჭულ დიალექტში ეს ტოპონიმი რამდენადმე განსხვავებული განხმოვანებით გვხვდება. „საქართველოს გეოგრაფიული სახელეუბის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (1987: 133) ორჯერაა დასახელებული **ჭუთხარო**: პირველი აღნიშნავს ამბროლაურის რაიონის მთას, ხოლო მეორე — ლეჩხუმის ქედის უღელტეხილს. ვფიქრობთ, რომ **ო** ხმოვნის ნაცვლად უ-ს გაჩენა ბოლოკიდურ **ო**-სთან ასიმილაციის შედეგია (შდრ. ზესხო → ზოსხო).

განსახილველი ტოპონიმი სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას არქაულობის თვალსაზრისით — მასში შემონახულია სახელობითი ბრუნვის -ო მორფემა, რაც ძალზე იშვიათია თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში (შდრ. **ღორ-ო** „ორი“, **სემ-ო** „სამი“, **ზნ-ღ** „წელიწადი“, **მეშნ-ღ** „მუშა“...). აღსანიშნავია, რომ -ო დაცულია მრავლობითის წარმოებაში.

დაბოლოს, ისმის ერთი კითხვაც: **ზესხო**'სა და **ჭითხარო**'ში დადასტურებული აუსლაუტისეული ხმოვანი არის კი საკუთრივ სვანური ტოპოფორმანტი? — ვფიქრობთ, რომ — არა! არც ერთი ამ ტოპონიმთაგანი სვანურად მეტყველი მოსახლეობის ენაში -ო სუფიქსს არ შეიცავს (ზსვ., ლნტ., ჩოლ. **ზასხწ**, ლშხ. **ზესხწ** — ზს. **ჭითხარ/ლშხ. ჭითხარო**), მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ (რალა თქმა უნდა, სხვა ენებზე შედგენილ) დოკუმენტებში თუ რუკებზე მთელ კავკასიაში გავრცელებული ტოპოფორმანტი ყველგან დაცულია.

სპეციალურ ლიტერატურაში (ონიანი 1998: 4-5) განსხვავებული ეტიმოლოგიაც გვხვდება: **ჭითხარ** დაკავშირებულია ქართულ **წუთხალ**'თან (მნიშვნელობის მიუთითებლად!); იქვე მოცემულია ქართული **ჭუთახისი**, მეგრული **ჭუთეში** და სვანური **ჭუთწშ** ლექსემების ანალიზი და ორი ტოპონიმის ეტიმოლოგიური კვლევის საფუძველზე გამოტანილია ძალზე სერიოზული დასკვნა: „ამ შესატყვისთა არსებობა იმას ნიშნავს, რომ ქართველური ტომები ამჟამინდელ საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ქართველურ ენათა დიფერენციაციამდე ცხოვრობდნენ. ეს ორი ტოპონიმი უტყუარი მაჩვენებელია იმისა, რომ ქართველური ტომები საქართველოს ტერიტორიაზე იმ დროიდან მოსახლეობენ, რომლის იქითაც თანამედროვე მეცნიერების თვალთახედვის ისარი ვერ სწვდება“

On zesxo and čitxaro/čutxaro

S u m m a r y

The paper represents the history of two toponyms. The first toponym (zesxo) should be originated from Common Kartvelian *zaxw ("lime") root. Today an analytical lexeme is a name of geographical place in Lower Svaneti, Lashkheti.

As regard the toponym of a massif of Racha-Lechkhumian ridge peaks čitx-ar-o, Common Kartvelian *çiqra "elbow" seems to be initial for it.

The author represents a convincing picture of interior-posterior phonetic transformations of relevant roots.

ლაზურ ტიპონიმთა სისტემა „დიდი ნენაფონას“ მიხედვით*

2000 წელს ქალაქ ფროიდენშტატში კავკასიის გამომცემლობამ დაბეჭდა ოთხენოვანი (ლაზურ-გერმანულ-თურქულ-ქართული) ლექსიკონი, რომელსაც „დიდი ლაზური ლექსიკონი“ ჰქვია, თუმცა 148 გვერდს მოიცავს. წიგნის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო რვა პიროვნებამ (ტინე ამსე-დე იონგი, ჰემუ ჩუპინა, ვოლფგანგ ფოიერშტაინი, ფაპრი კაპრამანი, ჯემალ კარადენიზლი, სელმა კოჩივა, ციალა ნარაკიძე) გერმანიის, თურქეთისა და საქართველოს რესპუბლიკებიდან. მათ შორის ზოგი ენათმეცნიერია, ზოგიც — ბიზნესმენი. ლექსიკონის პუბლიკაცია ეკუთვნის ვოლფგანგ ფოიერშტაინს, ხოლო ნაშრომი მიეძღვნა „ლაზური ენისა და კულტურის ოსტატს“ ფაპრი კაპრამანს, რომელმაც ყველაზე მეტი გააკეთა ამ წიგნის არსებობისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ მის გამომცემამდე გარდაიცვალა.

ლექსიკონი იწყება ფაპრი კაპრამანის დახასიათებით, რომელსაც თანახლავს დიდი ლაზი სწავლულის ფოტოც და მისი ცნობილი გამონათქვამიც: **ლაზიშენი ოხენონ დიდო დულმაფე ქორენ** („ლაზისათვის გასაკეთებელი დიდი საქმეები არის“); და მართლაც ასეა!

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ შევვხებით „დიდი ნენაფონას“-ში წარმოდგენილ ლაზურ ტიპონიმებს, რადგანაც „დედამიწის ენის“ ამსახველი ლექსემები დიდ პერსპექტივებს გვისახავენ ძველი საქართველოს ისტორიის ნათელსაყოფად. წიგნს ახლავს გერმანულენოვანი წინასიტყვაობა, რომლის მიხედვითაც ლაზური ნაწილია სამხრეთკავკასიურ ენათა ჯგუფისა, რომელსაც განეკუთვნება, აგრეთვე, ქართული, მეგრული და სვანური. მასში ოთხი დიდი დიალექტი გამოიყოფა. ესენია: ათინური, ართაშენული, არქაბულ-ვიწური (ან შუალაზური) და ხოფური. ლექსემებს მიწერილი აქვთ შესაბამისი დიალექტური ფორმები, მათ შორის ტიპონიმებსაც, თუმცა, რასაკვირველია, ყველა შემთხვევაში ოთხივე მონაცემი მითითებული არაა. ზოგჯერ გამოტოვებულია ქართული შესატყვისებიც.

* ნაშრომი დამუშავდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერმუშაკთან, ლაზ გუბაზ ვანილიშთან თანამშრომლობით.

სამწუხაროდ, ლაზური ტოპონიმები დღემდე სრულყოფილად არ არის შესწავლილი. მხოლოდ იური სიხარულიძის მონოგრაფია, რომელშიც აღწერილია ეთნოგრაფიულ-ისტორიული ლაზეთის ტოპონიმია სოფელ კვარიათიდან მდინარე კალაშამდე, და ნუგზარ ცეცხლაძის შრომები საკმარისი არ გახლავთ. ამჯერად ჩვენ შევეცდებით ვიმსჯელოთ „დიდ ლაზურ ლექსიკონში“ შეტანილ ტოპონიმთა სისტემის შესახებ:

როგორც ცნობილია, ყველა ქართველურ ენაში აშკარად იგრძნობა ბრუნვაში მართულმსაზღვრელიან ტოპონიმთა სიმრავლე — იგივე ვითარებაა ლაზურშიც; ამასთანავე ნათესაობითი ბრუნვის მორფემა ხან დაცულია, ხანაც მოკვეცილი (სრულად ან ნაწილობრივ): **აზოთ-იშ-ღალი** („აზოტის ღელე“), **ბად-იშ-ყონა** („ბებრის ყანა“), **ბარდ-იშ-ღალი** („ზვინის < ბარდის ღელე“), **შდრ. ბარდ-ი-ბინენ-ი** (<***ბარდ-იშ-ბინენ-ი** „ველური მცენარის ვენახი, ტანი“), **ყურძენ-იშ-ბინენ-ი** („ყურძნის ვენახი“), **ბურბუ-შ-ონვამე** („ღამურას სალოცავი“), **ღეჯ-ი-ტალახ-ონ-ა** (<***ღეჯ-იშ ტალახ-ონ-ა** „ღორის ტალახიანი“), **ჭერკეზ-იშ ოფუტე** („ჩერქეზის უბანი“, დასახლება; ჩ > ჭ ფონეტიკური გადასვლა ადვილი ასახსნელია ლაზურისათვის დამახასიათებელი გამკვეთრების პროცესით, რომელიც კიდევ უფრო შორსაა წასული ამ ტოპონიმის რედუცირებულ ვარიანტში **ჭეკე-შ ო-პტ-ე**); **ო-ფუტ-ე** [(შდრ. აჭარულ-გურულ **ფუტ-ი** („კვამლი“)] ხშირად გამოიყენება ლაზურ ტოპონიმებში კომპოზიტის მეორე კომპონენტად (**მარ-ი-სკირ-იშ < *მარ-იშ-სკირ-იშ ოფუტე** „მარის შვილის უბანი“, **დად-იშ ოფუტე** „ბიცოლას უბანი“, **ხალბა-შ-იშ|ხარბა-შ-იშ ოფუტე** „ხალბაშის < ხალვაშის უბანი“ და ა. შ.).

„დიდი ნენაფონაში“ გვხვდება, აგრეთვე, კომპოზიტური აგებულების ისეთი მართულმსაზღვრელიანი ტოპონიმები, რომელთა პირველი კომპონენტი ანთროპონიმული წარმომავლობისა უნდა იყოს. ასეთია, მაგალითად **ჭკემ-იშ-იშ ღალი**, **ტოპ-იშ-ონა < ტოპ-იშ-ყონა < ტოპ-იშ-ყონა** („ტოპიშის ყანა“); **შდრ. ლაზური გვარები მემ-იშ-იშ-ი, ვან-ილ-იშ-ი...**). აგრეთვე: **პაპ-ათ-ი** (სოფ. სარფი), **პაპ-ილ-ათ-ი** (არქაბი, ათინა), **შდრ. ძველი ლაზური გვარი პაპილა**.

არქაბეში, სოფელ ფილარგეში, გვხვდება მეტად საინტერესო ტოპონიმი **დად-იშ-ონა** („ბიცოლას ყანა“), რომელიც უნდა მომდინარეობდეს ***დად-იშ-ყონა** < ***დად-იშ-ყონა**-სგან. იგი საყურადრებოა არა მხოლოდ ლინ-

გვისტური, არამედ ეთნოლოგიური თვალსაზრისითაც **დად-იშ ო-ფუტ-ე** („ბიცოლას კომლი“) და **დად-იშ ო-ხორ-ი** („ბიცოლას სახლი“) სინტაგმებთან ერთად. ამგვარ ტოპონიმებსა თუ შესიტყვებებს ლაზები მხოლოდ მაშინ ქმნიდნენ, როდესაც ოჯახში, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, სხვა მამაკაცთა მცირეწლოვანების გამო **დად-ი** („ბიცოლა“, შდრ. ქართული **მ-დად-ე, და, დე-ი-და** და ა. შ.) იყო უფროსი. ამ მხრივ საგულისხმოა აგრეთვე, ათინაში, სოფელ ფაზარში, დადასტურებული ტოპონიმი **დად-ივ-ათ-ი**, რომლის ძირი და **დად-იან-ი**’ს ამოსავალი ფუძე შესაძლოა „ბიცოლას“ ლაზური სახელწოდებიდან მომდინარეობდეს, თავის მხრივ, საერთოქართველური დონისა რომ ჩანს.

„ლაზეთში“ (ტოპონიმი პირობითია!) ძალზე გავრცელებულია, აგრეთვე, ატრიბუტული მსახლვრელის შემცველ კომპოზიტაგან მომდინარე ტოპონიმები, ჩვეულებრივ, პრეპოზიციური წყობისა, მაგრამ გვხვდება პოსტაპოზიციაც: **დიდი ოჯალი**, მაგრამ: **დობრადიდი < დობრა + დიდი, ღალდიდი < ღალ-ი დიდი** და ა. შ.

ლაზურ ტოპონიმთა წარმოებაში მონაწილეობენ დერივაციული აფიქსები (**ჭუბერ-ე-ფუნა** „წაბლნარი“, **ნო-ბინჯ-ენ-ი** „ნაბრინჯალი“, **ნო-ბაგ-ენ-ე** „ნა-ნალი-ევ-ი“, **ო-ბურბ-ე** „სადამურე“) ან თადებულები (**წკარ-მელე** „წყალგალმა“, **ჭკონ-ი-კალა** „მუხასთან“, **მსქიბუ-კალა** „წისქვილთან“) და ა. შ.

ზოგჯერ ერთი და იმავე გეოგრაფიული პუნქტისათვის ორი, ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებული სახელწოდება გვაქვს. მაგალითად, სოფელ ბორჩხაში ერთმანეთის პარალელურად გვხვდება **ფურ-ჩინჯ-ი** („ორხიდი“) და **წკარ-უა** (< ***წკარ-იშ უა** „წყლის ტოტი“).

ტოპონიმებში აისახება ცოცხალ მეტყველებაში მიმდინარე ფონეტიკური პროცესებიც:

ჩ/ლ სონორთა **მ**-ში გადასვლა და მერე სრულად გაქრობა დამახასიათებელია მეგრულ-ლაზურისათვის. საანალიზო ლექსიკონის მიხედვით, ვიწეს (დღევანდელი ფინდიკლი) სოფელ აბუულაში ფიქსირებულია ტოპონიმი **მონტრაცერი** („მეწყერი“ < „მოწყვეტილი“ < „დამეწყრილი“), რომელიც სარფშიც (საქართველოს ტერიტორიაზე) გვხვდება, ოღონდ **მონტრაცე-ის** სახით.

ართაშენში ერთმანეთის პარალელურად გვაქვს დეზაფორიკატიზაციის პროცესის ამსახველი ლექსემები **ძღემი > ზღემი**, ხოლო სოფელ ბაშქაშიში დადასტურებულია **მხიგი** და მისგან ასიმილაციის გზით მიღებული **ფხიგი** ასევე ერთმანეთის პარალელურად.

აღნიშნულ ლექსიკონში იშვიათად გაპარულია შეცდომებიც: სოფელ სარფში (მოლენი სარფი) არის ადგილი, რომელსაც **ო-ქაღან-ე** ეწოდება („სა-კიბორჩხალ-ე“); შდრ. ანალოგიური **ო-ჩხომურ-ე < ო-ჩხამურ-ე** ქობულეთის რაიონში. სარფელი არ იტყვის **ჭაღანს-ს** („კიბორჩხალა“) ან **ოჭაღან-ს**, რომელიც გვხვდება საანალიზო ლექსიკონში (გვ. 102), თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებულია როგორც **ოჭაღანე**, ისე **ოქაღანე-ც** (სიხარულიძე 1958).

არქაბსა და ართაშენში გამოიყენება ტოპონიმები **სი-დერი-ი**, **სი-დერი-ე** [შდრ. თურქ. **dare** „ხეობა, მდინარე“ და სვანური დერე („ნაპრალი ყინულში“); **სი-** პრეფიქსის ფუნქცია ჩვენთვის მთლად ნათელი არაა].

ჩვენ ხელთ გვაქვს აგრეთვე 2007 წელს სტამბულში გამოცემული 1160 გვერდიანი „დიდი ლაზური ნენაფუნა“, შედგენილი თურქი მკვლევარების — ისმაილ ბუჯაკლიშის, ჰასან უზუნჰასანოღლუს და ირფან ალექსივას — მიერ. ვაპირებთ გავაგრძელოთ მუშაობა ტოპონიმთა შესწავლის თვალსაზრისით არა მხოლოდ ლექსიკონების მიხედვით, არამედ ადგილზე (როგორც საქართველოს, ისე თურქეთის ტერიტორიაზე დასახლებულ ლაზთა შორის) მოვიძიოთ მაკრო და მიკროტოპონიმები, რათა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქართველოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად გამოვცეთ ლაზურ ტოპონიმთა ვრცელი აკადემიური ლექსიკონი.

The system of Laz toponyms according to "Great Nenafoñ"

S u m m a r y

In 2000 in the city of Froidenstadt The Caucasus Press published a four-language (Laz-German-Turkish-Georgian) dictionary – the **Big Laz Dictionary**, containing 148 pages. The work is co-authored by eight authors (Tine Amse-de Yong, Ch'emü Chupin, Wolfgang Foierstein, Fahri Kahraman, Jemal Uaradenizli, Selma Kochiva, Tsiala Narakidze) from Germany, Turkey, and Georgia. Some of them are linguists, and some are businessmen. The dictionary was published by Wolfgang Foierstein and was dedicated to Fahri Kahraman, the "master of the Laz language and culture", who contributed "the lion's share" to the making of the book, but unfortunately, died before its publication.

The dictionary starts with Fahri Kahraman's portrait accompanied by a photo of the great Laz scholar and his well-known phrase: "Lazisheni okhenon dido dulyafe koren ("There are great things to be done for Laz"); it is to indeed!

First, I will touch upon the toponyms featuring in the Great Nenafoñ. The foreword of the book written in German attributes Laz to the South Caucasian language group. The latter also incorporates Georgian, Megrelian and Svan. Four big dialects are singled out in Laz: Atinian, Artashenian, Arkabul-Vitsoviañ (or Middle Laz), and Khofian. Lexemes have their respective dialectal forms including toponyms. Nevertheless, not all four language data are always given. Sometimes Georgian equivalents are not supplied.

Unfortunately, Laz toponyms have not been studied completely; only I. Sikharulidze's monograph describing the toponyms of ethnographic and historical Lazeti from the village of Kvariati to the river of Kalasha, is not sufficient. Therefore, the subject of my discussion is the system of toponyms in the Great Laz Dictionary:

It is a well-known fact that all Kartvelian languages contain a number of toponyms with attributes in clearly defined oblique cases. The same is true of Laz. The genitive case marker is sometimes preserved, and sometimes (partially or fully) shortened: **burbu-š-oxvame** ("the sanctuary of the owl"), **azot-iš-; yali** ("the stream of azot") **bad-iš-qona** ("old man's field"), **bard-iš-yali** ("stream of hay stack), cf. **bard-i-bines-i** (< ***bard-iš-binesi** "wild plants' vineyard", cf. **qurzen-isch-bines-i** "vineyard"), **yej-i-talax-on-a** (< ***yej-ischtalax-i**), **č'erkez-iš ofute** ("the district,

settlement of the Cherkez"; -č > č' phonetic shift is easily explained by a Laz feature of changing into a glottalized consonant. The process is furthered in the reduced variant č'eke-š o-pt-e); o-fut-e (cf. Ajarian-Gurian fut-i "smoke") is often used in composite Laz place-names as their second component (**mar-i-skir-iš** < ***mar-isch-skir-iš** ofute "district of Mar's son", **dad-iš** ofute "aunt's district", **xalba-š-iš** || **xarba-š-iš** ofute "district of khalbash < khalvash, and so on).

Great Nenafoņa features composite place-names with adjuncts in oblique cases whose first constituents should be of anthroponymic origin. To this group belong such items as, e. g. č'kem-iš-iš **γali**, **top-iš-ona** < top-ish-qona < **top-iš-qona** ("the topishi field"); cf. Laz surnames **mem-iš-iš-i**, **van-il-iš-i**, ... also: **p'ap'at-i** ("the village of Sarpi), **p'ap'-il-at-i** (Arkab and Atina), cf. Old Laz surname **p'ap'illa**.

In the village of Filarget in Arkab we came across a very interesting place-name **dad-iš-ona** ("Aunt's Field") which should derive from ***dad-iš-qona** < ***dad-iš-qona**. Syntagmas like **dad-iš o-fut-e** ("Aunt's Family") and **dad-iš o-xor-i** ("Aunt's House") are interesting not only from linguistic but also from ethnological viewpoint. In Laz similar toponyms or phrases are created only when after the death of the head of the family the remaining male members of the family are very young, and only **dad-i** (aunt, cf.: Georgian **m-dad-e**, **da**, **deida**, and so on) is the only oldest member left. In this context it is interesting to note that place-names **dad-iv-at-i** and **dad-ian-i** are attested in the village Fazara in Atina; they have the same root **dad**, whose original source may be the Laz "aunt", belonging, as it seems, to the Common Kartvelian level.

Composites place-names containing adjunct elements in pre-position are usually widely spread in Lazeti (the place name is conventional!). Nevertheless, composites with post-positional order are also found: e. g. **didi ojayi** but **dobradidi** < **dobra+didi**, **γaldidi** < **γl-i+didi**, etc.

Laz toponym formation makes use of derivational affixes (**ch'uber-e-funa** "Chestnut Area", **no-binj-en-i** "Place where rice had been sown", **no-bagen-e** "Place where there had been a horseshoe", **o-burb-e** "Place of owls") or prepositions (**ts'kar-mele** "on the other bank of the river", **ch'kon-i-kala** "at the oak", **mskibu-kala** "at the mill"), and so on.

Sometimes there are two different names for the same geographical place; e. g. in the village of Borchkha there are two parallel names **Zhur-xinj-i** ("Two bridges") and **ts'kar-qa** (< **tskari-š qa** "Water branch").

Place-names reflect the phonetic processes going on in speech: in Laz and Megrelian the change of r/l sonants into Y being followed by their complete

disappearance is a typical feature. **Montratseri** ("landslide" < "broken off" < "place where there had been a landslide"), which is one of the entries in the dictionary under discussion, is situated in Vitse (modern Findikli) in the village of Abul. A similar name **montratsel** is found in Sarpi on the territory of Georgia. In Artashen we find lexemes reflecting a parallel process of "de-affrication" (**dzɣemi** > **zɣemi**), while the name **Mkhigi** is recorded in the village of **BoshkYoishi**, and **Fghigi** is derived from it through assimilation producing a parallel formation.

The mentioned dictionary has some mistakes. In the village of Sarpi (Moleni Sarpi) there is a place called **o-ç'ayan-e** ("Place of Crabs"), cf. analogous **o-çxomur-e/o-çxam-ur-e** in the region of Kobuleti. Nobody in Sarpi will say **jayhana** ("crab") or **ojayhane**, which is found in the discussed dictionary (p. 102), even though both names **ojayhane** and **oççayhane** can be found in special literature (I. Sikharulidze).

In Arkab and Ardasheni there are place-names **si-der-i**, **si-der-e** (cf. Turk. **Dare** "valley, river") and Svan **dare** ("cleft in the ice"); the function of the **si-** prefix is not quite clear.

Great Laz **Nenafona** compiled by Turk scholars (Islmail Bujaklish, Hasan Uzinhasanoghlu and Ifan Aleksiva) and published in Istanbul in 2007 is also at our disposal. I plan to continue the study of place names not only according to dictionaries but also on the place (both on the Georgian territory and among the Laz population living in Turkey) to record all micro and macro toponyms with the aim of publishing a large scale academic dictionary in collaboration with the scientific fellows of the Institute of Kartvelology at the Shota Rustaveli University.

**იფხ-/იმფხ-/იმხ- ძირი ნიგალის ხეობაში, იმერხევეში
(შავშეთში), ლაზეთში, აჭარაში, სვანეთსა და რაჭაში¹**

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული დღემდე არ განელეულა მეცნიერთა თუ მოგზაურ-მკვლევართა ინტერესი ნიგალის ხეობის ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით შესწავლისადმი. მარტო ნიკო მარის, ექვთიმე თაყაიშვილის, თედო სახოკიას, დიმიტრი ბაქრაძისა და გიორგი ყაზბეგის დასახელება რად ღირს! მათ ღირსეულად ამოუდგნენ გვერდით ცნობილი პროფესორები: შუშანა და ტარიელ ფუტყარაძეები, იური სიხარულიძე, მამია ფაღავა, ნუგზარ ცეცხლაძე, თავიანთი ახალგაზრდა კოლეგებითურთ (როინ მალაყმაძე, ეთერ ბერიძე, შორენა ფუტყარაძე და სხვები), რომელთა შრომებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ადგილობრივ ტოპონიმსას. ეს სრულიადაც არაა გასაკვირი! — ქალაქთა, სოფელთა, ციხეთა, წყარო-მდინარეთა, ტბა-ზღვათა, საძოვართა, სათიბთა, ტყეთა თუ სხვათა სახელწოდებებში ხომ არეკლილია თავად ერის ისტორიული ქარტეხილები! არა მხოლოდ იქაური „ქართული ხუროთმოძღვრების სიდიადე გიჩერებს სისხლს ძარღვებში“ (ფაღავა 2011: 3), არამედ „დედამიწის ენის“ ამსახველი ლექსემები თითქოს ღაღადებენ დედასამშობლოდაკარგული ხალხის ჭირ-ვარამზე საუკუნეთა მიღმა. ამ მხრივ გასაოცარია, რომ ართვინის რეგიონის ერთადერთ ქართულ სოფელს დღემდე ქართლა ჰქვია, ხოლო კირნათის ერთ-ერთი ტყის სახელწოდება ნახსენი შესაძლოა შესხეთში წარმოდგენილ ძირს უკავშირდებოდეს (<*ნა-მესხ-ეთ-არ-ი?).

ყოფილობის ნა- — არ აფიქსის პარალელურად ნიგალში ნა- — ევ-ავ-იც გვხვდება, რომელიც უფრო ძველი უნდა იყოს.

სოფელ ზედა ქლასკურში ჩვენი ყურადღება მიიქცია „ჩაის პლანტაციის“ აღმნიშვნელმა სახელწოდებამ ნაიშფხრევი (შდრ. ზემო იმერეთის ტყე ნაიფხ-ლ-ებ-ი), რომლის სტრუქტურული ანალიზი ტაო-კლარჯეთისადმი მიძღვნილ არც ერთ ლინგვისტურ წიგნში არაა წარმოდგენილი. მასში

¹ გამოკვლევა შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთან, ფილოლოგიის აკადემიურ დოქტორთან ეთერ ბერიძესთან თანამშრომლობით.

დაცული უნდა იყოს საერთოქართველური ძირი ***იფხ**-. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ დადასტურებულია ლექსემა „**იფხლი**“, რომელიც „გვიმრას“ აღნიშნავს. თავის დროზე ნ. ქუთელიამ (1986: 78) ეს ძირი დაუკავშირა ლაზურ **ლიმხუნა**ში („გვიმრის სახეობა“) წარმოდგენილ **ლიმხ**-კომპონენტს, სადაც ანლაუტში სონორია განვითარებული, ხოლო მოგვიანებით ჰ. ფენრიხმა ამ მასალებს დაუმატა სვანური **იფხ** („გვიმრის მსგავსი მაგარლეროიანი მცენარე“ — Fähnrich 1987: 34).

საგულისხმოა, რომ ზემო სვანეთში ლატალის ტერიტორიაში შემავალ ერთ სოფელს **იფხ** ჰქვია. სწორედ აქ, წმინდა გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე, X საუკუნის II ნახევრის ქართული წარწერაა ამოკაწრული (სილოგავა 1988: 274), ხოლო ლენტეხში, მდინარე ხელედურას ხეობაში, იგივე ტოპონიმი წარმოდგენილია კნინობითის ფორმით (**იფხ-აღღ**) სოფელ ქვედა წანაშის ერთ-ერთი კუთხის სახელწოდებად. საინტერესოა, რომ ქვემოსვანურის ტოპონიმიში ერთდროულად გვხვდება როგორც საერთოქართველური ფუძეებიდან მომდინარე მონაცემი (**იფხ-აღღ**), ისე დასავლური ქართული დიალექტებიდან შესული ლექსემა (**გუიმბრ-აღღ**) სოფლების დასახელებებში, რაც, რაღა თქმა უნდა, უწინარესობა-შემდგომადობის მიხედვით სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის ანარეკლია.

ძველ ქართულში **ლიფხი** „ერთგვარ მცენარეს“ აღნიშნავს და მოსალოდნელია, რომ იგი ***ლიფხ** ფორმისგან მომდინარეობდეს. მაშასადამე, ზედა ქლასკურში დღემდე დაცული „ნაიმფხრევი“ ისტორიულად „ნაგვიმრალს“ უდრის [შდრ. სოფლის სახელწოდება ლანჩხუთის რაიონში **გვიმბალაური** <***გვიმბრ-აღღ-ა-ურ-ი** — ზ. სარჯველაძე 2000: 258; აგრეთვე, **გვიმბრ-ონ-ი** („გვიმრნარი“) — მიკროტოპონიმი ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში და **გვიმბრ-ონ-ა** — სამოვრის სახელწოდება ხობისწყლის ხეობაში — ცხადაია 2008: 105] სემანტიკური თვალსაზრისით, ხოლო სტრუქტურულად ამოსავალი ჩანს ***ნა-იფხ-არ-ევ-ი** (მ სონორი თითქოს ლაზური ჩანართია, რაც ინლაუტში დღესაც ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ქართველურ ენასა და მათ დიალექტებში, თუმცა მთარაქულის **იფხლა** || **იმხლა** (მაყაშვილი 1991: 82) საც თუ გავითვალისწინებთ, მაშინ დისიმილაციური მომენტი — **ფხ** > **მხ** — უნდა გავხაზოთ.), ე. ი. **ორმაგსუფიქსურ** წარმოებასთან გვაქვს საქმე. მას შემდეგ, რაც ყოფილობის აღმნიშვნელი აფიქსის

-არ ელემენტში დაიჩრდილა ძირითადი ფუნქცია, საჭირო გახდა ქართული ენის ისტორიული განვითარების შედარებით უფრო ძველი პერიოდიდან მომდინარე -ევ სუფიქსის დართვა, რომელიც დღესაც პროდუქტულია ქართულ დიალექტებში, მათ შორის ტაო-კლარჯეთშიც; თუმცა იმასაც გავხაზავთ, რომ ნიგალის ხეობის ტოპონიმიში მორფემათა შებრუნებული რანგია (გ-არ < *-ევ/ავ-არ და არა რ-ევ/-ავ<*არ-ევ/-ავ) უფრო გავრცელებული ორმაგსუფიქსიან წარმოებაში („ნახელვარი“ < *ნა-ხელ-ავ-არ-ი, „ნაყანვარი“ < *ნა-ყან-ევ-არ-ი, „ნალომვარი II ნალუმვარი“ < *ნა-ლო/უმ-ევ-არ-ი, „ნათუთუნვარი“ < *ნა-თუთუნ-ევ-არ-ი და ა. შ.). მაშასადამე, -ვ-, რომელიც ხან წარმოდგენილია და ხან — არა ამა თუ იმ მიკროტოპონიმში, ფონეტიკური ჩანართი კი არ უნდა იყოს, როგორც ეს შესაძლოა ერთი შეხედვით მოეჩვენოს ვინმეს, არამედ მწყობრი დერივაციული სისტემის წარმომადგენელი მონაცემი.

ამავე ძირისა და მაწარმოებელთა შემცველი ჩანს იმერხევის ერთ-ერთი სოფლის სახელწოდებაც. ესაა **იფხრევილი** (ცეცხლაძე 2000) <***იფხ-არ-ევ-ალ-ი**, რომელიც არათუ ორი, არამედ **სამსუფიქსიანი ტიპის** შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა არა მხოლოდ სამხრული დიალექტებისთვის, არამედ მთელი ქართულისათვის (ფ. მაკალათია). სპეციალურ ლიტერატურაში ეს ტოპონიმი განსხვავებულადაა ფიქსირებული: ხან **ვ II ზ** გრაფემებით (შ. ფუტკარაძე), ხანაც მხოლოდ ხანით (მ. ფალავა, ე. ბერიძე). ასევე, შავშურ ტექსტებში იგი წარმოდგენილია ხან **ვ** გრაფემით (შ. მამულაძე), ხანაც უ'თი (**იფხრეული II იფხრეველი** — მ. ფალავა). იქნებ უმარცვლო უ ისმის იმერხეველთა მეტყველებაში? (**საკითხს სჭირდება ექსპერიმენტული ფონეტიკის მეთოდებით შესწავლა**).

მ. ფალავა არ ახდენს **იფხლი/იფხრი** ფუძის სეგმენტაციას, თუმცა საგანგებოდ გახაზავს, რომ შავშურ სოფელში არავინ იცის „გვიმრის“ ეს სახელწოდება, მაგრამ ტოპონიმმა შემოინახა ძველი ფორმაო. იგივე ვითარებაა ნიგალის ხეობაშიც, ოღონდ იქ უფრო რთულ წარმოებასა (ნა-ი'შ'ფხ-რ-ევ-ი „ჩაის პლანტაცია“) და მონათესავე სემანტიკის მქონე ლექსემაში შემოგვრჩა საერთოქართველური **იფხ-** ძირი. ამასთანავე, ნიგალური მონაცემი **იფხ > იმხ** ფორმაცვალეზადობის გარდამავალ საფეხურსაც (**ი'შ'ფხ**) უნდა ასახავდეს. საყურადღებოა, რომ იგივე სიტუაციაა ლაზურ-

შიც (ლ-იმფხ-ვ-ან-ა¹), „ბოტანიკურ ლექსიკონში“ კი დასახელებულია, აგრეთვე, **ლიმხუნა** „ეწრის გვიმრა“ (მაყაშვილი 1991: 26). **ფხ > მფხ > მხ** ფონეტიკურ გარდაქმნათა შუა საფეხური შემონახულია ქართული ენის რაჭულ დიალექტშიც (კობახიძე 1987: 36).

შინაარსობრივად სულხან-საბასეული **იფხლი** „გვიმრაა“, ნიკო მარის მიერ დადასტურებული სვანური **იფხ** კი — „გვიმრის სახეობა“ („вид папоротника“ — 1922: 30). რაც შეეხება არსენ ონიანს (1917: 2), ის ერთმანეთისგან განარჩევს **იფხ** ლექსემას [რომელსაც სოფელ კალაში (ე. ი. მესტიის რაიონში) ხმარობენ, ხოლო სხვაგან მას **თხვალშაპაძე** ჰქვია („ძალიან მაღალი ბალახი, რომელიც თავში წვრილ და მოგრძო პარკებს იკეთებს; პარკები რომ გაიშლება, შიგნით ბამბაა“)] და **უღგარჭა იფხ'ს** („ძალიან მწვანეა ზამთარში, გვიმრას ჰგავს, მაგრამ უფრო ფაქიზია“)²

ზემო იმერეთში „გვიმრაჭა, გვივრაჭა, გვიმროჭა, გვიმრუჭა“ არის გვიმრის მსგავსი მცენარე, რომლის ფესვებს ხმარობენ ღორის ჭირის წამლად“ „**გვივრა** (ე. ი. გვიმრა) **სხგაა**; გვიმრაჭა ამოდის ბევრი, ფოთელი ჯოჯღბათ (ე. ი. ბორჯღლუბად) არი“ (ძოწენიძე 1974: 99).

შალალრეპრეზენტატულ ლექსიკონში (მაყაშვილი 1991: 5) ცალკე სიტყვა-სტატიებადაა მოცემული: გვიმრა (папоротник), ეწრის გვიმრა, ოთახის გვიმრა, შავი გვიმრა და გვიმრუჭა. პირველი მათგანი კახურად **ჩადუნაა**, თუშურად და ინგილოურად — **ჩადა**, ჭანურად — **ბილონცა**, მეგრულად — **გვიმარა**, ხოლო სვანურად — **გვიმორ**, **გვრამა**. ჩადუნა (щитовник, Dryopteris) კი ასეა წარმოდგენილი: თუშური **მჩადა/ჩადა**; ფშაურ-ხევსურული **დათვის ჩადუნა**; ზემოიმერული **ღორთიფქლა**; მთარაჭული **იფხლა/იმხლა**; ლეჩხუმური **მუჩუ**; გურული **ტყის გვიმრაი**; სომხითური **დათვის-საგებელა**; ჭანური **ლიმხონა**; მეგრული **ლაგვამორია**, **ლაგუმარია**, **მაგვიმარია**; სვანური **მიჩვიშ გვიმორ**.

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, ამ საოცარ მრავალფეროვნებაში სვანური **იფხ** არსად ჩანს, ეს ძირი მხოლოდ მთარაჭულ **იფხლა/იმხლა** და ლაზურ

¹ ნ. მარის სემანტიკა განსხვავებულია (ლ-მფხვან/ლი-მხონა/ლი-მხანა; თუმცა შდრ. იქვე **ლი-მხ-ონ-ა**, **ლი-მხ-ან-ა** — Март 1910: 163, 173).

² ასლან ლიპარტელიანის მიხედვით, პირიქით: „**იფხ** გვიმრანაირი მცენარეა, მაგრამ უფრო მაგარდეროიანი“ (ლიპარტელიანი 1994: 139).

ლიმონა'შია წარმოდგენილი. რაც შეეხება ლექსემას ნა-ი'შ'ფხ-რ-ეგ-ი, მას ძველ ქართულ იფქლ'თან („ხორბალი“) არაერთი კავშირი არ აქვს (შდრ. ბერიძე 2009: 397); ამ კომპოზიტის მეორე შემადგენელი ელემენტი მომდინარეობს გვიმრის ერთ-ერთ (ძველქართულ-რაქულ-იმერხეულ/შავ-შურ-სვანურ-ლაზურ) სახელწოდებაში დაცული ძირიდან იფხ-ლ-ი გარკვეული ფონეტიკური პროცესის შედეგად. მართალია, მთის გვიმრის ერთ-ერთი სახეობის ზემოიშერული ნომენკლატურის კომპონენტი არის „იფქლიც“ (დორ-თ-იფქ-ლ-ა), მაგრამ აქ გადამწყვეტია ფონეტიკური პროცესი (იფხლ- > იფქლ-), ანუ საანალიზო კომპოზიტში -ფქ- კომპლექსი მეორეული ჩანს (-ფქ- < -ფხ-). მთავარი ისაა, რომ იფხ-ლ- („გვიმრის ერთ-ერთი სახეობა“) და იფქ-ლ- („ხორბალი“) ფუძეები ქართველურ ენებში სხვადასხვა შესატყვისებით არიან წარმოდგენილნი.

ვარლამ თოფურის და მაქსიმე ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ იფხ ლექსემასთან მხოლოდ ლაშხურ-ლენტეხური ილუსტრაციებია მოყვანილი, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსენ ონიანი ჯერ კიდევ 1917 წელს აფიქსირებდა „გვიმრის“ ამ სახელწოდებას მესტიის რაიონის სოფელ კალაში. ამასთანავე, XI საუკუნის I ნახევრის „სვანეთის კრების სულთა მათიანეში“, სოფელ დოლის (მესტიის რაიონი) საეკლესიო კრების „მომგებელთა“ სიაში, დამოწმებულია სარგის იფხისძე (სილოგავა 1988: 541; „სვანეთის ისტორიის ფურცლები“ 2011: 164). დღეს ზემო სვანეთში ძალზე იშვიათად შეხვდებით ამ სიტყვის მცოდნეს, მაგრამ ისევე, როგორც ტოკლარჯეთის ტოპონიმიაში, აქაც, ოლონდ ძველ ანთროპონიმიაში, შემოგვრჩა იფხ. სპეციალურ ლიტერატურაში მას სხვაგვარი ეტიმოლოგია ეძებნება (ქართულ ფხ-ალ/მხ-ალ'სა და მეგრულ ხულ'ს უკავშირებენ — ოსიძე 1987: 30-31), მაგრამ ამაზე სხვაგან და სხვა დროს ვიმსჯელებთ.

ზემო აჭარაში, სხალთის ხეობაში, სათესი ადგილის სახელწოდებაა იფხ-ლ-ან-ა (სოფ. ჰერი — სიხარულიძე 1958: 100), ხოლო ქვემო მაჭახელაში ერთ-ერთ დღელს ჰქვია იფხ-ნარ-ი კული დელე (იქვე: 129).

A root *ipx-/impx-/imx-* in Nigali gorge, Imerkhevi (Shavsheti), Lazeti, Ajara, Svaneti and Racha

S u m m a r y

Since the second half of the 19th c interest of scholars and travelers towards researching of the Nigali gorge's ethno-linguistics has not been weakened. It is worth to name: Niko Marr, Ekvtime Taqaishvili, Tedo Sakhokia, Dimitri Bakradze and Giorgi Qazbegi! Outstanding professors stood worthily aside them: Shushana and Tariel Putkaradzēs, Yuri Sikharulidze, Mamia Pagava, Nugzar Tsetskhladze, Roin Malaqmadze and others in the works of who local toponymy was paid special attention and this is natural – the names of towns, villages, castles, rivers, springs, lakes, seas, pasture fields, hay meadows, forests and others reflect a nation's history! "Not only the greatness of local Georgian architecture beats one's hearts faster" (M. Pagava), but as though toponyms call out the trouble and woe of motherland-lost people centuries ago. In this respect it is noteworthy that only Georgian village of the Artvini region is still called **Kartla**, and the name of one Kimati's forest **Naskhēti** can be connected with the root in **Mesxēta** (<***na-mesx-et-ar-i**?).

In parallel with **na-** – **-ar** affix denoting "to be" in Nigali also **na-** – **-ev/-avā** occurs that could be more older.

In the village Upper Klaskuri my attention was focused on **naim¹pxrevi** denoting "tea plantation" a structural analyses of which has not been represented in any linguistic book dedicated to Tao-Klarjeti. Common Kartvelian root ***ipx-** could be preserved in it. In Sulxhan-Saba Orbeliani's glossary a lexeme **ipxli** is confirmed that denotes "fern". At some time (1986) N. Kutelia linked this root with a **limx-** component in Laz **limxunaā** ("a kind of fern") in which in anlaut a sonor occurs. Later on (1987) H. Fähnrich added to this material Svan **ipx** ("plant like fern with hard trunk"). It is noteworthy that in Upper Svan the name of one village on the territory of Latal is **Ipkh**. In Old Georgian **lipi** denotes "a kind of plant" and it is expected that it should be originated from ***lipx** form. Thus, **naimpxrevi** preserved up today in Upper Klaskuri historically is equal to "place where ferns grew" (cf. a village's name in Lanchkhuti region **Gvimbauri** < ***gvimr-al-a-ur-i** – Z. Sarjveladze) from semantic viewpoint and structurally ***na-ipx-ar-ev-i** (**m** sonor is a Laz addition that is a natural phenomenon in anlaut in the Kartvelian languages and in their dialects even today), i. e. it is a double-suffixal formation. After then when

in **-ar** element of an affix denoting "to be" its core function was overshadowed it was essential to add **-ev** suffix sourced from more older historical development period of Georgian and that is productive even today in Georgian dialects – among them in Tao-Klarjeti, as well, though it should be underlined that in Nigali gorge's toponymy an inversive type of morphemes (**v-ar** <*-ev/-av-ar and not **r-ev/-av** <*ar-ev/-av) is more spread in double-suffixal formation ("naxelvari" <*na-xel-av-ar-i, "naqan^vari" <*na-qan-ev-ar-i, "nayom^vari // nayum^vari" <*na-yo/um-ev-ar-i, "natutunvari" <*na-tutun-ev-ar-i, etc.). Thus, **-v-** that sometimes occurs and sometimes does not occur in any microtoponym should not be a phonetical addition – as it seems at a glance, but a representative data of an arranged derivative system.

The name of one Imerkhevan village could contain the same root and formative marker. This is **Ipkhrevli** <*ipx-ar-ev-al-i that leaves the impression of not with two- but three-suffixal type that is a natural phenomenon not only for southern dialects but for whole Georgian (P. Makalatia). In special literature this toponym is differently fixed-sometimes by **q** // **x** graphemes (Sh. Putkaradze) and sometimes by **-x** (M. Pagava, E. Beridze). In Shavshian texts it is represented sometimes by **v** grapheme (Sh. Mamuladze) and sometime by **u'** (M. Rogava). Maybe an unsyllable **u** is heard in the speech of Imerkhevians? **(an issue needs to be researched using experimental phonetic methods).**

M. Pagava does not carry out the segmentation of **ipxli/ipxri** stem, though a researcher especially underlines that in Shavshian village nobody knows this name of "fern", but the toponym preserved an old form. Analogous situation occurs in Nigali gorge but a Common Kartvelian **ipx-** root is preserved in more complex formation (**na-i^mpx-r-ev-i** "tea plantation") and in a lexeme with related semantics.

ლიტერატურა

- აბაშვილი (კუზიბაბაშვილი) ვ.**, ქართული ენის ინგილოური დიალექტი, თბილისი, 2009
- აბაშია რ.**, საერთოქართველური ლექსიკიდან, VIII, „ქუთაისური საუბრები“, ქუთაისი, 1998
- აბაშია რ.**, ქართველური ეტიმოლოგიები, „არნ. ჩიქობავას საკითხავები — XII“, თბილისი, 2001
- აბაშია რ.**, ბგერათმეცატყვისობის ახალი რიგისათვის ქართველურ ენებში, „ქართველოლოგიური კრებული“, III, თბილისი, 2004
- აბულაძე ი.**, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი, 1973
- ალექსიში ი.**, ჰიდრონიმ „წარბაჩხურის“ ეტიმოლოგიისათვის, პროფესორ გურამ კარტოზიას 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 2009
- არაბული ა.**, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი, 2001
- არდოტელი ნ.**, „მღე“ ტიპის მიმღეობათა წარმოებისა და წარმომავლობისათვის ხევსურულში ძველ ქართულთან მიმართებით, „ქუთაისური საუბრები“, III, ქუთაისი, 1996
- ბარდაველიძე ვ.**, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ტფილისი, 1937
- ბენდელიანი ც.**, -ხე სუფიქსი ქვემოიმერულ დიალექტში, „ქართველური მემკვიდრეობა“, I, ქუთაისი, 1997
- ბერიძე გრ.**, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1981
- ბერიძე გრ.**, ქართული ენის ჯავახური კილო, თბილისი, 1988
- ბერიძე ე.**, ნიგალი, თბილისი, 2009
- ბერიძე ვ.**, საგან სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, №4, თბილისი, 1940
- ბერიძე მარინე.** ალაგის ეტიმოლოგიისათვის, სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, 6, თბილისი, 2005

ბერიძე მერაბი, ბერიძე ნათელა, ზანურ-მესხური შეხვედრები, „საენათმეცნიერო ძიებანი“, XIX, თბილისი, 2005

ბერიძე მერაბი, ღელე მთიან აჭარაში, თსუ შრომები, 267, თბილისი, 1986

ბერიძე მერაბი, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის, თბილისი, 2008

ბერიძე მერაბი, ტაძრები და სახელები, თბილისი, 2010

ბერიძე მერაბი, სოფლები და ნასოფლარები მოგვიტხრობენ, თბილისი, 2011

გაბესკირია შ., რამდენიმე ქართველური ლექსიკური ნასესხობის შესახებ თურქულ ენებში, „საქართველო და თურქეთი“, თბილისი, 2012

გაბლიანი ეგნ., ძველი და ახალი სვანეთი, ტფილისი, 1925

გამყრელიძე თ., სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის საკითხი, თბილისი, 1959

გამყრელიძე თ., დეზაფრიკატიზაცია სვანურში, „გადაწერის წესები“ დიაქრონიულ ფონოლოგიაში, თბილისი, 1968

გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965

გასვიანი გ., სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატთანე, „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), №2, თბილისი, 1972

გაფრინდაშვილი ა., ლექსები, თბილისი, 2004

გაჩეჩილაძე პ., იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1976

გახარია ლ., ირიათონი, თბილისი-პარიზი, 2005

გიგინეიშვილი ბ., ხმოვანთა სიგრძე და აუსლაუტის საკითხი სვანურში, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), №2, თბილისი, 1973

გიგინეიშვილი ბ., ეთონიმ „ჰენიოხის“ წარმომავლობისათვის, „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), №1, თბილისი, 1975

გიგლემიანი ლ., ჰიდრო-ლექსიკა ქართულ ენაში (ავტორეფერატი), თბილისი, 2006

გიგლეშიანი ლ., წყლის ხმიანობასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართველურ ენებში, „ქართველური კრებული“, IV, თბილისი, 2005

გოგოლაური რ., გომეწირის წარწერის დათარიღებისათვის, საისტორიო კრებული „მესხეთიკ“, ახალციხე, 1997

გოზალიშვილი დ., ჯოკია, თბილისი, 1995

გორდეზიანი რ., წინარებერძნული და ქართველური, თბილისი, 1985

გუდავა ტ., რეგრესული ღეზატრიკატიზაციის ერთი შემთხვევა ზანურ ენაში, საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 33, №2, თბილისი, 1964

გუდავა ტ., ბაგისმიერი თანხმოვნები ჩქამიერთა წინ მეგრულში, საენათმეცნიერო კრებული, თბილისი, 1979

გულედანი ლ., გ ფონემის დისტრიბუციისათვის სვანურში, „საენათმეცნიერო ძიებანი“, IV, თბილისი, 1995

გუჭეჭიანი მ., საანგარიშო მოხსენება აფხაზეთის სვანეთში (დალში) მივლინების შესახებ, „ენიმკის მოამბე“, IV₃, თბილისი, 1939

დავითიანი ა., სვანური ანდაზები, თბილისი, 1973

დონდუა კ., სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2001

ენუქიძე თ., ტბეთის სულთა მატიანე, თბილისი, 1977

თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937

თაყაიშვილი ა., ქვა- სიტყვის აგებულებისათვის, „იკვ“, XV, თბილისი, 1966

თოფურია ვ., სვანური ენა, I, ზმნა, ტფილისი, 1931 (1967 — II გამოცემა)

თოფურია ვ., დ-თავსართიანი ზმნები ქართულში, თსუ შრომები, ტ. XV, თბილისი, 1942

თოფურია ვ., ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, შრომები, III, თბილისი, 1979

თოფურია ვ., უკანაენისმიერ თანხმოვანთა ცვლის პროცესებისათვის ქართველურ ენებში, შრომები, III, თბილისი, 1979

თოფურია ვ., გარდამავალი დიალექტის საკითხისათვის სვანურში კილოების მონაცემთა მიხედვით, თსუ შრომები, ტ. 114, 1965; შრომები, II, თბილისი, 2002

თოფურია ვ., კვლავ უმლაუტისათვის სვანურში, შრომები, II, თბილისი, 2002

თოფურია ვ., ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით, შრომები, II, თბილისი, 2002

თოფურია ვ., **ქალდანი მ.**, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000

თოფჩიშვილი რ., -**ფხე (-ხე)** სუფიქსის უცნობი ფუნქციის შესახებ ქართულ ანთროპონიმიაში, „სვანეთი – ქართული კულტურის სავანე“, თბილისი, 2008

თურმანიძე გ., „ძმები“, სამეცნიერო-პოპულარული კრებული, მიძღვნილი პროფესორების აკაკი და ჯემალ ბერიძეების საიუბილეო თარიღებისადმი, ბათუმი, 2009

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXI, თბილისი, 1979

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXIII, თბილისი, 1985

ივანიშვილი მ., ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და სემანტიკური რეკონსტრუქციები (ავტორეფერატი), თბილისი, 2005

ინგოროყვა მ., სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, თბილისი, 1941

კაკიტაძე კ., სიტყვის მნიშვნელობის ცვლის საკითხები ქართულში, თბილისი, 2005

კარტოზია გ., ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბილისი, 2005

კაშია ჯ., ენა, საზრისი, ყოფიერება (ქართველურ ენათა ტოპოლოგია), პარიზი-თბილისი, 2002

კახიძე ნ., **კახიძე დ.**, მაჭახლის ხეობის ონომასტიკა, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, V, ბათუმი, 2007

კობახიძე ალ., რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბილისი, 1887

კორძაია ა., ლაპარაკდ ვრი (სვანური ანდაზები), თბილისი, 2000

კუკულაძე თ., „ტბეთის სულთა მატინანს“ ონომასტიკის ერთი საკითხი, „აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“, ბათუმი, 1987

ლაბარტყავა მ., წყალთან დაკავშირებული ლექსიკის ზოგი საკითხისათვის ქართულში, „საენათმეცნიერო ძიებანი“, XXI, თბილისი, 2006

ლიპარტელიანი ა., სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1994
ლომთათიძე ქ., აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I, თბილისი, 1976

მაკალათია ფ., ფშავის ტოპონიმია, „ტოპონიმია“, I, თბილისი, 1976

მალაზონია შ., მალაზონია თ., გურული (მამათური) ლექსიკონი, თბილისი, 2010

მარგიანი ქ., დალ-სვანეთის ტოპონიმია, „ქართველური ონომასტიკა“, I, თბილისი, 1998

მარგიანი ქ., დალ-სვანეთის ონომასტიკისათვის, „იკე“, XXXIV, თბილისი, 2000

მარგიანი ქ., რამდენიმე გვარის წარმომავლობისათვის (სვანეთის წერილობითი ძეგლების მიხედვით), თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, IV, თბილისი, 2000

მარტიროსოვი ა., ქართული ენის ჭავახური დიალექტი, თბილისი, 1984

მალრაძე ვ., ქართველური ტოპონიმებისა და გვარების წარმოება, თბილისი, 2006

მაყაშვილი ა., ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1961 (1991 — II გამოცემა)

მაჭავარიანი გ., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი, 2001

მაჭავარიანი გ., საერთოქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965

მეგრელიძე ე., ღლონტი აღ., ნიკო მარის ლექცია „ქართული ენათმეცნიერებაში“, თსუ შრომები, VI, თბილისი, 1937

მიბჩუანი თ., დასავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგენეზისის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1989

მიქელაძე შ., ინტერფერენტული პროცესები წოვათუშურ ენაში, თბილისი, 2008

ნადარეიშვილი ლ., ჰანურში დაცული ძველი ქართული ლექსიკონიდან, „იკე“, XX, თბილისი, 1978

ნიკოლაიშვილი შ., ხმოვანთა რედუქციის სტრუქტურული ანალიზი, თბილისი, 1984

ნიკოლაიშვილი მ., ქართველურ ენათა შესწავლისა და სწავლების საკითხები, თბილისი, 2009

ნიუარაძე ბ., ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2007

ნიუარაძე ბ., ეთნოგრაფიული წერილები, I-II, თბილისი, 1962-1964

ნიუარაძე შ., ქართული ენის აპარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი, 1975

ონიანი ალ., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბილისი, 1989

ონიანი ალ., სვანური ენა, თბილისი, 1998

ონიანი არს.(არსენაძე უონძან), მეგმარეშ ი ბალხარე ეახნელე ხორაჟ, МЯЯ, VIII, Петроград, 1917

ონიანი არს., ლუშნუ ამბჟარ ლგლშუხუ შუმი ნინშჳ, МЯЯ, IX, Петроград, 1917

ონიანი ჯ., სვანური გვარის ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), №2, თბილისი, 1973

ორბელიანი სულხან-საბა, სიტყვის კონა, თბილისი, 1949

ოსიძე ეკ., მიმღეობის წარმოება ქართულში, თსუ შრომები, ტ. 67, თბილისი, 1957

ოსიძე ეკ., სვანური ენის ლექსიკის შესწავლისათვის ისტორიული თვალსაზრისით, „ეტიმოლოგიური ძიებანი“, თბილისი, 1987

ბირთა ანოტირებული ლექსიკონი (XI-XVII ს.ს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით), ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს: **დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა**, ტ. I, თბილისი, 1991

ჟღენტი ს., გურული კილო, ტფილისი, 1936

ჟღენტი ს., სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949

ჟღენტი ს., ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, თბილისი, 1960

როგავა გ., ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები, „იკე“, IV, თბილისი, 1952

როგავა გ., წამ და წუთ სიტყვათა ამოსავალი სემანტიკა, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), №3, თბილისი, 1977

სარჩველადე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1975

სარჩველადე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი, 1984

სარჩველადე ზ., უმლაუტის კვალი ქართულში, საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1201, თბილისი, 1985

სარჩველადე ზ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1995

სარჩველადე ზ., ეტიმოლოგიური შენიშვნები, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების II სამეცნიერო სესია, თბილისი, 1999

სარჩველადე ზ., ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი 2001

საქართველოს ტოპონიმია, გამოსაცემად მოამზადეს: ვ. ჭოჭუამ, ს. მელიქიძემ, მ. კემულარიამ, ბ. ცხადაიამ, ტ. II, თბილისი, 1999

სვანეთის ისტორიის ფურცლები, თბილისი, 2011

სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. I-II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. ხილოჯავამ, თბილისი, 1986, 1988

სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს: შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, 1978

სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს: ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჩუაძემ, თბილისი, 1939

სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსწემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი, 1939

სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს: ა. დავითიანმა, მ. ქალდანმა და ვ. თოფურიამ, თბილისი, 1957

სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1967

სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს: არს. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი, 1979

სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, ბათუმი, 1958

სიხარულიძე ი., კანეთი (ლაზეთი), „საისტორიო გეოგრაფიის მასალები“, II, ბათუმი, 1979

სიხარულიძე ი., შავშეთ-იმერხევი, ბათუმი, 1988

სომხიშვილი ვ., ქსნის ხეობის მეტყველება, ცხინვალი, 1968

სუხიშვილი მ., ქართული მრწემ-ის სვანური შესატყვისისათვის, „იკე“ XXIII, თბილისი, 1985

ტუბიტო კ. (თუთიი ქ.), წაწლობის ეტიმოლოგიისა და უძველესი საზოგადოებრივი მნიშვნელობისათვის, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, IV, თბილისი, 1998

უთურგაძე თ., ჩხუბიანიშვილი დ., გიუნაშვილი ჯ., ფერეიდნული მეტყველების შესწავლისათვის, „იკე“, XXI, თბილისი, 1979

უთურგაძე თ., ჩხუბიანიშვილი დ., გიუნაშვილი ჯ., ფერეიდნული ტექსტები, „იკე“, XXIII, თბილისი, 1985

უტიე ბ., ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, „ენათმეცნიერების საკითხები“, I, თბილისი, 2008

ფაღავა მ., შავშური ჩანაწერები, თბილისი, 2011

ფაღავა მ., ცინცაძე მ., იმერხეული ტექსტები, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, ტ. V, ბათუმი, 2007

ფაღავა მ., შიოშვილი თ., მამულაძე შ., ცინცაძე მ., ჩოხარაძე მ., შაშიკაძე ზ., ცეცხლაძე ნ., ფუტკარაძე თ., ბარამიძე მ., კარალაძე ჯ., ჩოხარაძე ვ., შავშეთი, თბილისი, 2011

ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1990 (2000 – II გამოცემა)

ფონხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974

ფუტკარაძე ტ., ქართველები, ტ. I, თბილისი, 2005

ფუტკარაძე ტ., სვანები: საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები, „სვანეთი-ქართული კულტურის სავანე“, თბილისი, 2008

ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ტ. I, ბათუმი, 1993

ქალდანი მ., სვანური ენის ფონეტიკა, ტ. I, უმლაუტის სისტემა სვანურში, თბილისი, 1969

ქალდანი მ., სვანური ენის ლაზამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, „იკე“, VII, 1955

ქალდანი შ., სვანური ენის ბალსქვემოური კილოს ეცერული თავისებურებანი, „იკე“, IX-X, თბილისი, 1958

ქალდანი შ., სვანური ენის ჩუბებური მეტყველების თავისებურებანი, „იკე“, XI, თბილისი, 1959

ქალდანი შ., სვანური ენის ბეჩოური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, „იკე“, XIII, თბილისი, 1962

ქალდანი შ., მესამე სუბიექტური პირის ნიშნის საკითხისათვის სვანურში, „საენათმეცნიერო კრებული“, თბილისი, 1979

ქაშადაძე მ., ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები ზემოაჭარულში; „აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“, ბათუმი, 1987

ქაშადაძე მ., საცხე-ჩავახეთის ოიკონიმები ზ. კიკინაძის აღწერის მიხედვით, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, V, ბათუმი, 2007

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1990

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, IV, თბილისი, 1979

ქაჩაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, II, III, IV, თბილისი, 2001-2003-2009

ქირია ე., ვერცხლ-ფუძის აგებულებისათვის, „საენათმეცნიერო ძიებანი“, XIX, 2005

ქუთელია ნ., კონსონანტური ჯგუფები ქანურში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდული“, XIII, თბილისი, 1986

ქუთელია ნ., ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 2005

ქურდიანი მ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, თბილისი, 2007

ღლონტი აღ., ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი, 1967

ღლონტი აღ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984

ღლონტი აღ., ჩანტლაძე ი., ქაჩაია ო., მემიშიში ო., ქართველურ ენათა მცირე ლექსიკონი (ელექტრონული ვერსია), თბილისი, 2007

შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953

- შანიძე ა.**, თხზულებანი თორმეტ ტომად, III, თბილისი, 1972
- შანიძე ა.**, უმლაუტი სვანურში, „არილი“, ტფილისი, 1925 (თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1981)
- შარაშენიძე ნ.**, საჩინოური ქართული, თბილისი, 2008
- შარაშიძე გ.**, გურული ლექსიკონი, თბილისი, 1938
- შარაძენიძე თ.**, სვანურ-ქართულ-ზანური შესატყვისობის ზოგიერთი საკითხი, „იკე“, XXX, თბილისი, 1991
- შენგელია ვ.**, რამდენიმე ქართველური ფუძის ისტორიიდან, XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, თბილისი, 2001
- შენგელია ვ.**, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი, თბილისი, 2006
- ჩანტლაძე ი.**, სახელობითის ე ფორმანტის შესახებ სვანურში, „იკე“, XVIII, თბილისი, 1973
- ჩანტლაძე ი.**, ქართველოლოგიური ძიებანი, I, თბილისი, 1998
- ჩანტლაძე ი.**, წულ- > წუილ და ჰუმ- > ჰუმ ძირთა ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში, „ქუთაისური საუბრები“, VI, ქუთაისი, 1999
- ჩანტლაძე ი.**, ორმაგი აფიქსაციისათვის სვანურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXVII სამეცნიერო სესია, თბილისი, 1981
- ჩანტლაძე ი.**, თანხმომანთა პარმონიული კომპლექსის ამოსავალი ვითარებისათვის ქართველურ ენებში, XXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესია, თბილისი, 2004
- ჩანტლაძე ი.**, პირველად და მეორეულ ფონემათშესატყვისობათა ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში, „ივერია“, XII-XIII, პარიზი, 2004-2005
- ჩანტლაძე ი., მარგიანი-დადვანი ქ., მარგიანი-სუბარი ქ., საღლიანი მ., იოსელიანი რ.**, კოდორული ქრონიკები, თბილისი, 2007-2010
- ჩიქობავა არნ.**, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, „ტუმ“, VII, ტფილისი, 1927
- ჩიქობავა არნ.**, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938
- ჩიქობავა არნ.**, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942

ჩიქობავა არნ., ქართულ-ზანურ ბერათმესატყვისობათა ისტორიისათვის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI (XII) სამეცნიერო სესია, თბილისი, 1954

ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1979

ჩიქობავა არნ., პროფ. იოსებ ყიფშიძე და ჯანუარის მეცნიერული შესწავლა, შრომები, III, თბილისი, 2008

ჩიქობავა არნ., „ვეფხისტყაოსნის“ ენის ადგილისათვის ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში, შრომები, V, თბილისი, 2011

ჩიქობავა არნ., ხალხის ენა ხალხის ისტორიაა, შრომები, V, თბილისი, 2011

ჩიქობავა არნ., **ცერცვაძე ე.**, ხუნძური ენა, თბილისი, 1962

ჩოხარაძე ვ., თურქული ლექსიკა იმერზეულში, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, V, ბათუმი, 2007

ჩუბინაშვილი დ., ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984 (1987 — II გამოცემა)

ჩუხუა მ., ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003

ჩუხუა მ., საერთოქართველური ეტიმოლოგიები, „კავკასიოლოგიური კრებული“, თბილისი, 2004

ჩუხუა მ., ქართველურ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი, 2008

ცეცხლაძე ნ., შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი, 2000

ცეცხლაძე ნ., ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმებიდან,, ბათუმი, 2004

ცხადაია ბ., გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბილისი, 2000

ცხადაია ბ., ათასი მეგრული ტოპონიმი, თბილისი, 2005

ცხადაია ბ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი, 2008

ძიძიგური შ., ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბილისი, 1954

ძიძიშვილი მ., ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბილისი, 1960

ძოწენიძე ქ., ზემომიერული ლექსიკონი, თბილისი, 1974

ქანეთი, I, ბათუმი, 1977

ქინჭარაული ალ., ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1979

- ქინჰარაული ალ.**, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი 2005
- ქუმბურიძე ზ.**, საკუთარ სახელთა ბრუნება სვანურში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, თბილისი, 1964
- ქურდულია ო.**, სიტყვა ფიქრის სხეულია, თბილისი, 1992
- ხარაძე რ.**, დიდი ოჯახის გარდმონაშთები სვანეთში, ტფილისი, 1939
- ხარჩილავა ნ.**, სოციალურ წოდებათა მიხედვით დიფერენცირებული საქორწინო გადასახადები სამურზაყანოში, „ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი“, ტ. II, ბათუმი, 2011
- ხოჟოლავა ნ.**, ზანიზმები მცენარეთა სახელწოდებებში, „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. IV, ქუთაისი, 2000
- ჩავახიშვილი ი.**, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I-II, ტფილისი, 1914
- ჩავახიშვილი ი.**, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937
- ჩანაშვილი მ.**, ქართველური სიტყვარი (ხელნაწერი), ტფილისი, 1875-1925
- ჩანაშია ს.**, შრომები, III, თბილისი, 1959
- ჩიქია ს.**, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბილისი, 1958
- ჯორბენაძე ბ.**, ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, თბილისი, 1989
- ჯორბენაძე ბ.**, ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისი, 1995
- Gippert, Language Endangerment in the Caucasus A Case Study from Georgia**, პროფესორ გურამ კარტოზიას 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 2009
- Gudjedjiani CH., Palmaitis M., Upper Svan: Grammar and Texts, Kalbotyra, XXXVII(4), Vilnius, 1986**
- Klimov G., Etimological Dictionary of the Kartvelian languages, Berlin/ New York, 1998**
- Tuite K., Svan, "Languages of the World/Materials", vol. 139, München-Newcastle, 1997**
- Tuite K., Passive and perfect in prehistoric Kartvelian, "Paper read at LSA annual meeting", Chicago, 1997**
- Tuite K., Kartvelian Morphosyntax, "Studies in Caucasian Linguistics", vol. 12, München, 1998**
- Tuite K., The Cambridge Encyclopedia of the World's Ancient Languages, Cambridge University Press, 2004**

Wardrop O., English-Svanetian Vocabulary: Jurnal of the Royal Asiatic Society, London, 1911

Deeters G., Das khartwelische Verbum, Leipzig, 1930

Deeters G., Armenisch und Südkaukasisch, Caucasia, III, Leipzig, 1926

Fährlich H., Kartwelischer Wortschatz, II: "Georgica", 6, Jena-Tbilissi, 1984

Fährlich H., Kartwelischer Wortschatz, III, "Georgica", 7, Jena-Tbilissi, 1985

Fährlich H., Aus dem kartwelischen Wortschatz: ხელეურო — გიორგი ჩიტაიასადმი მიძღვნილი „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, თბილისი, 1985

Fährlich H., Kartwelischer Wortschatz, IV, "Georgica", 10, Jena-Tbilissi, 1987

Fährlich H., Kartwelischer Wortschatz, V, "Georgica", 13/14, Konstanz, 1991

Fährlich H., Gedanken zur kartwelischen Rekonstruktion, Jena, 1998

Fährlich H., Kartwelische Wortschatzstudien, Jena, 2002

Fährlich H., Einige tscholarswanische Ergänzungen des kartwelischen Wortschatzes, "Kleine Schriften", Jena, 2003

Fährlich H., Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, Leiden-Boston, 2007

Kadshaia O., Fährlich H., Mingrelisch-deutsches Wörterbuch, Wiesbaden, 2011

Sardsbweladze S., Forschungen zur Lexik der Kartwelsprachen, "Georgica", 10, Jena-Tbilissi, 1987

Schmidt K. H., Sibilanten- und Affrikatenkorrespondenzen in den kartvelspachen, "Bedi Kartlisa", XI-XII, Paris, 1961

Schmidt K. H., Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962

Rosen G., Über das Mingrelische, Suanische und Abchasische, Berlin, 1847

Tschantladse I., Fährlich H., Tscholarswanisch-deutsches Verbenverzeichnis, Jena, 2003

Brosset M., Rapports sur uhe voyage archéologique dans la Géorgie et dans L'Armenie, Rapport, VII, St. – Pétersbourg, 1849

F. de Saussure, Cours de linguistique générale, Paris, 1955

Ismail Bucaklışı, Hasan Uzunhasanoğlu, İrfan Aleksiva, Büyük Lazca Sözlük (didi lazuri Nenapuna), Lazca-Türkçe/Türkçe-Lazca, Istanbul, 2007

Гониашвили Т., К истории одного звука в грузинском языке, „ენიმკის მოამბე“, II, ტფილისი, 1937

Калдани М. М., Фонетические особенности лахамульского поднаречия сванского языка, Автореферат кандидатской диссертации, Тбилиси, 1954

Кипшидзе И. А., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, Санкт-Петербург, 1914

Климов Г. А., Опыт реконструкции фонемного состава общекартвельского языка-основы, изв. АН СССР, ОЛЯ, т. XIX, вып. I, Москва, 1960

Климов Г. А., Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964

Климов Г. А., Дополнения к этимологическому словарю картвельских языков, "Этимология", Москва, 1973

Климов Г., Халилов М., Словарь кавказских языков (Сопоставление основной лексики), Москва, 2003

Лушну анбан, Сванетская абзука, Тифлиси, 1864

Марр Н. Я., Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, Санкт-Петербург, 1910

Марр Н. Я., Тубал-каинский вклад в сванском, "ИИАН", Санкт-Петербург, 1912

Марр Н. Я., Древнегрузинско-русский словарь к 1-2 главам Евангелия Марка, Санкт-Петербург, 1913

Марр Н. Я., Определение языка второй категории Ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкознания, "ЗВОРАО", XXII, Санкт-Петербург, 1914

Марр Н. Я., Извлечение из сванско-русского словаря, "Материалы по яфетическому языкознанию", X, Петроградъ, 1922

Марр Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925

Марр Н. Я., Орудивный и исходный подежи в кабардинском и абхазском, "Избранные работы", т. II, М.-Л., 1936

Марр Н. Я., О языке и истории абхазов, М.-Л., 1938

Мегрелидзе И. В., Женские фамильные окончания в южнокавказских яфетических языках и фольклоре, "Сборник Памяти академика Н. Я. Марра", М.-Л., 1938

Мегрелидзе И. В., Лазский и мегрельский слой в гурийском, Труды ИАМ, кн. XX, "Caucasica", №1, Л., 1928

Мейе А., Сравнительный метод в историческом языкознании, Москва, 1954

Нижарадзе И. И., Русско-сванский словарь, "Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа", 41, Тифлиси, 2010

Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, XXXI, Тифлиς, 1902

Топуриа В. Т., Сванский язык, Языки народов СССР, IV, Москва, 1967

Топуриа В. Т., Некоторые вопросы сравнительной фонетики картвельских языков, XXV Международный конгресс востоковедов, Москва, 1960; აგრეთვე: ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, თოფურია ვ., შრომები, III, თბილისი, 1979

Цагарели А., Мингрельские этюды, вып. II, Опыт фонетики мингрельского языка, Санкт-Петербург, 1880

Чантладзе И. И., Некоторые явления лабялизации в сванских диалектах и говорах, "Лингвистическая география, диалектология и история языка", Ереван, 1976

Чарана П., Об отношении абхазского языка к яфетическим, С.-Петербург, 1912

Эристовъ Д., Краткій грузино-русско-латинскій словарь изъ трехъ естественныхъ царствъ природы, Тифлиς, 1884

სეკვინცია

Requiem



პროფესორები იზა ჩანტლაძე და ზურაბ სარჯველაძე

პროფესორ ზურაბ სარჯველაძის ეტიმოლოგიათა მნიშვნელობა ქართველოლოგიაში

როგორც ცნობილია, ენათა ნათესაობის განმსაზღვრელი კრიტერიუმია ძირითად ლექსიკურ ფონდში გამოვლენილი სისტემური ხასიათის რეგულარული ფონემათშესატყვისობანი. ქართველოლოგიაში ამგვარი მონაცემების კვლევას უკვე საკმაო ხნის ისტორია ჰქონდა, დადგენილი იყო მთავარი კანონზომიერებანი თუ არქეტიპები, არსებობდა რამდენიმე შედარებითი და ეტიმოლოგიური ლექსიკონიც ქართულსა თუ უცხოურ ენებზე. მაგრამ იმის გამო, რომ შეიცვალა დამოკიდებულება სიბილანტურ ფონემათა მიმართ და ძველი ქართული ტექსტებისა თუ ყველა თანამედროვე ქართველური ენის ძირ-ფუძეების ანალიზის საფუძველზე შეიქმნა სამი (სისინა, სისინ-შიშინა, შიშინა) რიგისა და სონანტა¹ კლასის დაშვების აუცილებლობა ფუძენაში, ზურაბ სარჯველაძემ სწორედ მაშინ მოჰკიდა ხელი ურთულეს საქმეს — კომპარატივისტული მეთოდებით ეწარმოებინა ქართველური ლექსიკის კვლევა, რაშიც მას დიდად უწყობდა ხელს ფენომენტური მეხსიერება, ძველ ქართულ ხელნაწერებზე მრავალწლიან ტექსტოლოგიურ სამუშაოთა ჩატარების გამოცდილება და უმწერლობო ქართველურ ენა-კილოთა პრაქტიკული ცოდნა. გარკვეულ ეტიმოლოგიათა ახალი გააზრება აუცილებელი იყო იმის გამოც, რომ თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის ერთობლივი ნაშრომის პუბლიკაციის (1965 წ.) შემდეგ მალევე (1969 წ.) გამოქვეყნდა მაქსიმე ქალდანის აღმოჩენა სვანური ენის უკანა მიმართულების, ე. წ. ველარული უმლაუტის შესახებ.

სამწუხაროდ, დღემდე არაა გამოცემული მოსე ჭანაშვილის „ქართველური სიტყვარი“. ზურაბ სარჯველაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მკითხველს გაუცოცხლა შესანიშნავი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მკვლევრის ნააზრევი. თუკი რამ არის ამ ხელნაწერში პოზიტიური და მისაღები თანამედროვე ქართველოლოგიის დონეზე, ყველაფერს მიჩენილი აქვს თავისი კუთვნილი ადგილი ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის

¹ თავის დროზე ნიკო მარმაც დაუშვა შესაძლებლობა კ, ე, ი, თ სონანტების ოდესღაც არსებობისა ქართულში (Mapp 1925: 4, 41)

„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“, რომლის სამი გამოცემა არსებობს (ორი — ქართულად, ერთი — გერმანულად) და რომელიც კიდევ დიდხანს დარჩება ყველა ჩვენგანის სამაგიდო წიგნად.

გარდა ფორმალური მხარისა, ამ გამოკვლევა-ლექსიკონში ყურადღება ექცევა ცალკეულ ლექსემათა სემანტიკურ ნიუანსებსაც, თუმცა ცნობილია, რომ ფონემათა რეალიზაცია მკაცრად ზუსტ წესებს ექვემდებარება მაშინ, როდესაც სემანტიკური რეკონსტრუქცია ძალზე რთულია, რადგანაც ასეთ შემთხვევებში გამორიცხული არ არის ნებისმიერობა, მაგრამ სემანტიკურ ცვლილებათა კრიტერიუმების დადგენა ისევე აუცილებელია, როგორც ფონეტიკურისა. „მონათესავე ენებში მრავალფეროვანია შესაღარებელ სიტყვათა განსხვავებული ნიუანსები, სემანტიკურ პოზიციათა სიმრავლე გაცილებით კომპლექსურია და ნაკლები სიზშირისაა, ვიდრე ფონეტიკური. თითოეულ ენობრივ სისტემას სამყაროს ლინგვისტური ხატის აგებისას საფუძვლად მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სინტაქსურ-სემანტიკური ალგორითმი უდევს“ (ივანიშვილი 2005: 6).

საუკუნეთა სიღრმეში სავარაუდო ამოსავალ ფორმათა კვლევისას დიდ დაბრკოლებას ქმნიან ის ნასესხები სიტყვები, რომელთაც აქვთ რეგულარული ფონემათშესატყვისობანი ქართველურ ენებში; განსაკუთრებით რთულია ვითარება მაშინ, როდესაც გასაანალიზებელია ე. წ. იდენტურ შესატყვისობათა შემცველი ლექსემები.

ზურაბ სარჯველაძის მოღვაწეობის დროისთვის ქართველოლოგიაში არაერთი პრობლემა იდგა; ყველაფერი არც დღესაა მოგვარებული, მაგრამ **ე** რომ საერთოქართველური ფონემატური სისტემის შემადგენელ კომპონენტად უნდა ვივარაუდოთ, რევაზ აბაშიას შრომების (აბაშია 2004: 3-10) შემდგომ უკვე საეჭვო აღარ უნდა იყოს; მაშინ კი სრულიად საპირისპირო თვალსაზრისი (თინათინ გონიაშვილისა — Гониашвили: 1937) იყო გაბატონებული და, თავისთავად ცხადია, განსხვავებულად წარმოგვიდგებოდა ფუძეენის სავარაუდო ფონოტაქტიკა.

დღემდე არაა საბოლოოდ გადაწყვეტილი, აგრეთვე, მუდგერი ფარინგალის არსებობის საკითხი წინარექართველურ ენაში, თუმცა თავის დროზე გივი მაჭავარიანი გარკვეულ გაფრთხილებასაც იძლეოდა: „**არა გვაქვს უფლება მთლიანად გამოვრიცხოთ /ფ/ და /ლ/ ფონემათა არსებობის შე-**

საძლებლობა ჩვენთვის საინტერესო ქრონოლოგიურ დონეზე“ (მაქავარიანი 1965: 12, 39, 74-75).

ცხადია, ზემოაღნიშნული და სხვა არაერთი პრობლემის გამო, ძალზე გართულდა მუშაობა ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონზე, მაგრამ მან მაინც იხილა მზის სინათლე 1990 წელს ავტორთა საოცარი ძალისხმევებისა და უანგარო თავგანწირვის წყალობით. პროფ. ჰაინც ფენრიხთან თანამშრომლობით შექმნილი დიდებული ნაშრომი გამოქვეყნებისთანავე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და ლინგვისტა, ფოლკლორისტა, ეთნოლოგთა, არქეოლოგთა, ისტორიკოსთა თუ სტუდენტ-ასპირანტთა მოთხოვნით ქართველმა და გერმანელმა კოლეგებმა კვლავ გააგრძელეს მუშაობა ამ მიმართულებით — დაზუსტდა ბევრი ადრინდელი ეტიმოლოგია მოგვიანებით გამოქვეყნებული ნაშრომებისა თუ სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებების მიხედვით. ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სხვისი არც ერთი ფასეული მიგნება მათ უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ, ამიტომაც საანალიზო ნაშრომი მხოლოდ სამეცნიერო გამოკვლევად კი არ აღიქმება, არამედ, თავისი მნიშვნელობითა და კოლეგებისადმი კეთილგანწყობილებით აღსავსე დამოკიდებულების გამო, 1350-ზე მეტი არქეტაიპის შემცველი 815 გვერდიანი პუბლიკაცია ჩვენ წარმოგვიდგენია ერთგვარ **ეტიმოლოგიურ ენციკლოპედიად**.

ზურაბ სარჩველაძეს ხშირად ჰქონია მწვავე კამათი საპირისპირო შეხედულებათა ავტორებთან და ამიტომ გარედან მაყურებელი თვალისთვის ზოგჯერ თითქოს ძალზე მკაცრ კრიტიკოსადაც კი გამოიყურებოდა ხოლმე, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით — მას არასოდეს არავინ შესტულებია შედარებით ნაკლები განსწავლულობისა ან ნიჭის გამო — ყველანი ვუყვარდით, მაგრამ, თუ ვინმეს მაინც „მტრად“ მიაჩნდა, ეს თავად იმ ვინმეს პრობლემა იყო და არა სარჩველაძისა. აი, როგორი „მკაცრი“ იყო ის თავისი ოპონენტების მიმართ: „ამ ლექსიკონს მოჰყვა გარკვეული გამოხმაურება როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. ჩემთვის უაღრესად ფასეულია ელიშერ ჭელიძის საკმაოდ ვრცელი რეცენზია, რომელშიც გამოთქმულია მკაცრი, მაგრამ სამართლიანი შენიშვნები, დიდად სასარგებლო არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველასთვის, ვინც ლექსიკის შესწავლას მიჰყოფს ხელს“, — წერდა ზურაბ სარჩველაძე 2001 წელს.

საკმაოდ რთულად იდგა საკითხი გვიანდელი ეპოქის ფუძენაში გრძელ ხმოვანთა სავარაუდო არსებობის შესახებ. მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“, რომელშიც საგანგებოდაა დასაბუთებული სიგრძის სხვადასხვა საფეხურის არსებობა არამხოლოდ სვანურში; რასაკვირველია, სადაც სავარაუდო იყო, თავისუფლად შეიძლებოდა არქექტივთა ესა თუ ის ხმოვანი წარმოდგენილიყო შესაბამისად, მაგრამ საკითხი დიდ პრობლემად იქცა „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ ავტორთათვის — გერმანელი კოლეგა კატეგორიულად უარყოფდა გრძელი ხმოვნების არსებობას საერთოქართველურ ენაში, ამიტომ ქართველმა თანაავტორმა ერთგვარად დათმო თავისი პოზიციები და „დაკმაყოფილდა“ ორივე გამოცემის წინასიტყვაობებში წარმოდგენილი განცხადებებით: „ასეთი ნაშრომი გონივრული კომპრომისების გარეშე არ შეიძლება შეიქმნას, რაც, ბუნებრივია, ავტორებს შორის ცალკეულ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობას გულისხმობს (ფენრიხი-სარჯველაძე 2000: 32)... საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი ფუძენაში გრძელ ხმოვანთა არსებობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომში ჩვენ არ ვასხვავებთ გვიანდელ საერთოქართველურ დონეზე გრძელ და მოკლესმოვნის ვარიანტებს, სრულებით არ გამოირიცხება მათი არსებობის შესაძლებლობა“ (იქვე 25).

დღეს ჩვენმა ზოგმა კოლეგამ საპაექროდ აქცია გიორგი კლიმოვის მეთოდი, ერთი მხრივ, საერთოქართველური, ხოლო, მეორე მხრივ, ქართულ-ზანური ერთიანობის სავარაუდო ეპოქათა დონეების შესახებ. საანალიზო ლექსიკონის როგორც ქართულ, ისე გერმანულ პუბლიკაციებში, ყველა ეტიმოლოგიის შემთხვევაში, ამოსავალია დიდი ენათმეცნიერის გერპარდტ დეეტერსის სქემა, რომლის თანახმადაც დიფერენციაციის პროცესში ფუძენას ყველაზე ადრე გამოეყო სვანური. ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ, თუ ამა თუ იმ ლექსემის ძირი დღეს დასტურდება სვანურში, მისი არქექტივი უნდა დაიშვებოდეს. საერთოქართველურ დონეზე, ხოლო თუ არა — მაშინ ის უნდა ჩავთვალოთ ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქის მონაცემად. ვინც გ. დეეტერსის სქემას არ ეყრდნობა, თავისთავად ცხადია, მას შედეგებიც განსხვავებული ექნება.

ჩვენი აზრით, ამ ორი დონის გამოყოფა ქართველური ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესწავლისას ბევრ დაბრკოლებას გვიხსნის, თუმცა მსჯელობა შესაძლოა ზოგჯერ პირობითიც გამოგვივიდეს. ქართულ-მეგრულ-ლაზურ ლექსემათა ურთიერთშეპირისპირებისას სავარაუდო არქეტიპი შეიძლება შეიცვალოს მას შემდეგ, თუ კვლევას გავაგრძელებთ ამ მიმართულებით და სვანურშიც დავადასტურებთ მოსალოდნელ ძირს. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში ქართულ-ზანური ერთიანობის დონისთვის აღდგენილი ძირი გადაინაცვლებს საერთოქართველურ დონეზე, ზოგჯერ გარკვეული კორექტივებითაც. ამ მეთოდის ილუსტრაცია არაერთია „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ სხვადასხვა გამოცემის ურთიერთშედარებისას. მაგალითად:

ქართული **გრეხ-/გრიხ-** მეგრულ **გირახ-/გოროხ-/გირიხ-** ძირებს დაუკავშირეს თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა და ამოსავლად მიიჩნიეს ***გრახ-** არქეტიპი, რომლის შესატყვისი, ზურაბ სარჯველაძის აზრით, გახლავთ ლაზური **ნგრიხ-** (< **გრიხ-**). შესაბამისი ძირი ჭერჭერობით გამოვლენილი არ არის სვანურში, ამიტომაც **გრეხ-/გრიხ-** საერთოქართველურ დონეზე არ განიხილება (ასლან ლიპარტელიანის „სვანურ-ქართულ ლექსიკონში“ წარმოდგენილი ჩოლურული **აგრიხე** ქართულის მიხედვით შექმნილი ხელოვნური ფორმა ჩანს).

არნოლდ ჩიქობავას (1938 წ.) მიერ შეპირისპირებული ქართული **წელ-**, მეგრული **ჭი-ჭე-** და ლაზური **ჭუ-მჭუ-** („ნაწლავი“) ძირების მიხედვით, გიორგი კლიმოვა (1964 წ.) ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა ***წელ-** არქეტიპი, ხოლო მას შემდეგ, რაც ჰაინც ფენრიხმა (1987 წ.) ყველა ეს მასალა დაუკავშირა სვანურ **ჭინ-ჭილ'**, იმავე არქეტიპმა გადაინაცვლა საერთოქართველური ფუძეების დონეზე.

1985 წელს ზურაბ სარჯველაძემ ერთმანეთს შეუდარა ქართული **ჭუფ-** და მეგრული **ჭუფ-** ძირები („ჭყვილი, ყვირილი“). ბუნებრივია, რაკი სვანური შესატყვისი აკლდა, არც დასმულა საკითხი **ჭუფ-** არქეტიპის საერთოქართველური დონისთვის მიკუთვნებულობის შესახებ, მაგრამ მას შემდეგ, რაც გიორგი კლიმოვა ლაზურშიც დაადასტურა იგივე **ჭუფი-** ძირი, ხოლო ჰაინც ფენრიხმა გამოავლინა სვანური **ჭუფ-**, რასაკვირველია, იმავე არქეტიპმა გადაინაცვლა ფუძეების დონეზე, თუმცა გიორგი კლიმოვმა

მანც გამოთქვა ექვი ამ ფუძის ქართულიდან ნასესხობის შესახებ (ლი-
ქუგ-ლ-ი / ლი-ქუ-ელ-ი).

ჩენი ყურადღება მიიქცია „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექ-
სიკონში“ წარმოდგენილმა მსჯელობამ ჯერ კიდევ ალექსანდრე ცაგარლის
(1880 წ.) მიერ გაანალიზებული ქართული **ბაგა** („გომი“) და მეგრული
ბოგა („გომის იატაკი“; „ხის ხიდი“) ლექსემების შესახებ; თავის დროზე
(1964 წ.) მათი ლაზური ეკვივალენტი **ბოგა** („გომი“), **ბოგანჩი** („ხის
პატარა ხიდი“) გამოავლინა გიორგი კლიმოვმა და, შესაბამისად, ქართულ-
ზანური ერთიანობის ეპოქისათვის აღადგინა ***ბაგ** არქეტიპი. ზურაბ
სარჯველაძე და ჰაინც ფენრიხი ამ ლექსემას ადასტურებენ ძველი ქართუ-
ლიდანვე, აგრეთვე ტოპონიმში **ბაგ-უბ-ი**. მათი აზრით, მეგრული და იქიდან
მომდინარე გურული **ბოგა** „ხის ხიდის“ მნიშვნელობით მეორეული ჩანს.
მეგრული ვარიანტი უნდა იყოს ამოსავალი, აგრეთვე, ქართული **ბოგ-**
ორისთვისაც. რაც შეეხება სვანურ **ბაგ** („გომი“) ფორმას, ის მიღებულია
ამ ენისთვის სპეციფიკური ფონოლოგიური მოვლენის — ლიამარცვლიან
სტრუქტურათა დახურულმარცვლიანებად გარდაქმნის ტენდენციის —
მოქმედების შედეგად. „თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რეალთა მეტად
ძველია და შესაბამისი ძირი კანონზომიერი ფონემური შესატყვისებით
არის ასახული ყველა ქართველურ ენაში, შესაძლოა ***ბაგ**-საერთოქართვე-
ლური ფუძენის დონეზე აღვადგინოთ და მას „გომის“ მნიშვნელობა მივა-
წეროთ“ — აღნიშნულია საანალიზო წიგნში (იხ. გვ. 91).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთი ექვი მანც ჩნდება: **ბოგ-ორ** სვანურშიც
არის, თანაც უშგულურში, ანუ უძველეს მეტყველებაში, რომელიც მეგრუ-
ლის გავრცელების არეალიდან ძალიანაა დაშორებული (ალბათ ასე იყო
ადრეც!); ამიტომ ძნელად დასაჯერებელია მისი მეგრულიდან სესხება ქარ-
თულშიც და სვანურშიც. შესაძლოა აქაც ამოსავალი იყოს ***ბაგ**-, რომლის-
განაც ლაზილური ფონემის მომდევნო პოზიციაში ა ხმოვნისაგან **ლ**-ს
მიღება შეუძლებელი არ იქნებოდა. სწორედ ასიმილირებული ძირი უნდა
იყოს გამოყენებული სვანურ მასდარში **ლიბრგე** „ხიდის გაღება“ (აგრეთვე
მისგან ნაწარმოებ ზმნათა პირიან ფორმებსა და მიმღებებში). ეს რომ
ასეა, ამაზე მიუთითებს ბესარიონ ნიჟარაძის მიერ უშგულურ **ლი-ბგუ-ი**
მასდართან დადასტურებული ქართლური შესატყვისი **მო-ბაგ-ვ-ა** („დაგება
იატაკისა, მოკირწყვლა ქუჩისა“), ძვ. ქ. **მო-ბაგ-ულ-ი** („სახურავი“, „გარ

სარკმელმოვლებული“ — საბა), **ბაგ-ოვ-ნ-ებ-ი** („სართულები“) და ზემორაკული **ბაგ-არ-ი** („პურეულის ნამცხვრის ქერქი“), აგრეთვე, ქართლურ დიალექტში დადასტურებული, გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული ლექსემა **ბოგ-ირ-ა** („გუთლელი, ახირებული“). მაშასადამე, ***ბაგ-** არქეტიპი ფუძენაშივე ომონიმური მნიშვნელობისა ჩანს: 1. გომი; 2. ხის საფარი — ა) იატაკი, ბ) სახურავი, გ) ხიდი.

სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს **ბოგა**-ს იმერხეულ დიალექტში: „საზაფხულო სადგომებში მარტივად გაკეთებული ჭურჭლის თარო“, ხოლო მუჰაჯირთა მეტყველებაში (ინეგოლი) იგი „მალლარი ვაზის გასაყვანად გამზადებული ჭერია“ (ფუტკარაძე 1993: 400)

პაინც ფენრიხმა და ზურაბ სარჯველაძემ მართლაც დიდებული ლექსიკონი შექმნეს, მაგრამ არამხოლოდ ლინგვისტათვის და არამხოლოდ ენათმეცნიერულ ანალიზზე დამყარებული დასკვნების გამოტანის საფუძველზე. წიგნში გამოვლენილი ძირების უბრალო გადათვლიერებაც კი ერთგვარ წარმოდგენას იძლევა საერთოქართველურ ფუძენაზე მეტყველი ეთნოსის კულტურის, ყოფის, საცხოვრებელი გარემოს (არეალი, კლიმატური პირობები,...) შესახებ. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება ქართულ **ვეცხლ-ი** / **ვერცხლ-ი** და მეგრულ **ვარჩხილ-ი** ლექსემათა ანალიზი. ეს დაკავშირება ჯერ კიდევ 1849 წლიდანაა ცნობილი და ეკუთვნის მარი ბროსეს. ზურაბ სარჯველაძის ცნობით, **ვერცხლ-** ფუძე XI-XII საუკუნეებამდე არ გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში. მაშასადამე, გიორგი კლიმოვის მიერ ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღდგენილი **ჟერცხლ** არქეტიპი (1964: 83) ანაქრონიზმი ჩანს — თავისთავად ცხადია, ახ. წ.-ის XI-XII საუკუნეებისთვის გამოირიცხება ამგვარი ერთიანობა. რაც შეეხება სვანურ **ჟარჩხილ**-ს („ვერცხლი; ფული“), ის ნასესხები ჩანს მეგრულიდან. შესაბამისად, ყველა ქართველურ ენაში **-რ-** სონორით წარმოდგენილი ფუძე შედარებით გვიანდელია, მიღებული **ჟერცხლ-** ძირის ინლაუტში **რ-**ს ჩართვის შედეგად, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა როგორც ძველ ქართულ ტექსტებში, ისე თანამედროვე ცოცხალ ქართველურ ენა-კილოებში. ასე რომ „ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის არ არის საკმარისი ოდენ ფონემათშესატყვისობების საფუძველზე აღდგენილი არქეტიპებისა და თანამედროვე ენებში წარმოდგენილ სემანტიკათა მიმართების დადგენა“ (ფენრიხი-სარჯველაძე 2000: 31).

„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ ავტორები მომავალში ფიქრობდნენ ლინგვოკულტუროლოგიურ სამუშაოთა ვრცლად ჩატარებას. მათ შესანიშნავად იცოდნენ, რომ აუცილებელი იყო ისტორიის, არქეოლოგიის, ქართული და უცხოენოვანი წყაროების, მითოლოგიის, ბუნებათმცოდნეობის მონაცემთა რაც შეიძლება სრულად გათვალისწინება, ანუ ინტერდისციპლინარულ კვლევათა წარმოება. ზურაბ სარჯველაძეს გული სწყდებოდა იმის გამო, რომ ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არ არსებობს ქართველური ენებისა და მათი დიალექტების ლექსიკური ფონდის ბანკი — განძი, ე. წ. თეზაურუსი, რაც შესაძლებელს გახდიდა მრავალი საერთო ძირის გამოვლენას.

ქართველი და გერმანელი კოლეგების მრავალწლოვანი რუდუნებით შექმნილი წიგნის პუბლიკაციები, სრულიად ბუნებრივია, რომ ზოგჯერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად: 1990 წლის გამოცემაში არ არის გათვალისწინებული კარლ ჰორსტ შმიდტისა და ჰაინც ფენრიხის თვალსაზრისები საერთოქართველური ფუძეების ფონემატურ სისტემაში /***ლ**/, /***ტ**/ ლატერალთა შესაძლო არსებობის შესახებ, ხოლო 2000 წელს გამოქვეყნებულ შევსებულ ვარიანტში რამდენიმეჯერაა (გვ. 87, 732-739) წარმოდგენილი ამ ფონემათა შემცველი არქეტიპები (***ასულ**-, ***ლ'ეთ**-, ***ლ'ძე**-, ***ტ'ამ**-, ***ტ'ურ**-, ***ტ'ოდ**-,...), დღეს სპეციალისტებს შორის ზემოაღნიშნული თეორია მაინცდამაინც დიდი პოპულარობით არ სარგებლობს, მაგრამ ფაქტია, რომ იგი შედარებით უმტკივნეულოდ ხსნის **ს — ლ, ლ — შ და წ — ჳ — ჴ** შესატყვისობათა ამოსავალ ვითარებას ქართველურ ენებში.

რასაკვირველია, 2000 წლის შემდეგდროინდელ სამეცნიერო გამოკვლევებსა და ლექსიკონებში არ არის გაზიარებული ზურაბ სარჯველაძის ყველა მოსაზრება, რაც წარმოუდგენელია კიდევ, მაგრამ გერმანელ კოლეგასთან ერთად შექმნილი ლექსიკონი არა მხოლოდ თითქმის ყველაზე ვრცელია ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ გამოკვლევებს შორის, არამედ თანამედროვე ლინგვისტიკის უახლესი მეთოდების გამოყენებით გაანალიზებულ მასალა, ძირითადად, დამაჯერებელია და სარწმუნო, ხოლო ორიგინალური თვალსაზრისები ძალზე მომხიბლავია და მათემატიკური სიზუსტით გამყარებული.

„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ არც ერთი გამოცემის დროს ჯერ კიდევ არ იყო დასტამბული ვარლამ თოფურიას და მაქსიმე ქალდანის სვანური და ოთარ ჭაჭაიას მეგრული აკადემიური ლექსიკონები, ამიტომაც ზურაბ სარჯველაძეს თავადვე მოუხდა უმძიმესი სამუშაოს ჩატარება არა მხოლოდ ქართველურ ტექსტებზე, არამედ უშუალოდ ცოცხალ მეტყველებაზე, რამაც, რაღა თქმა უნდა, ბევრი რამ შესძინა კოლექტიურ ნაშრომს, მაგრამ, სამწუხაროდ, სვანურ-მეგრულ-ქართულ ლექსიკონებში გათვალისწინებული არაერთი მეტად საინტერესო ლექსემის ეტიმოლოგია მოაკლდა ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის ნაღვაწს. ამჟამად არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ლაზ კოლეგებთან ერთად მთავრდება მუშაობა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაწყებულ ლაზურ ლექსიკონზე და როცა ისიც დაიბეჭდება, მაშინ ქართველოლოგთა ახალგაზრდა თაობამ აუცილებლად უნდა იფიქროს ქართველურ ენათა ახალი, შედარებით სრული ეტიმოლოგიური ლექსიკონის შედგენასა და გამოცემაზე.

სამწუხაროდ, ზურაბ სარჯველაძეს ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგში დაწყებული არაერთი მნიშვნელოვანი საქმე დარჩა დაუმთავრებელი; ეს მით უფრო ლექსიკოლოგიაზე ითქმის. სხვამ ვინ, თუ არა მან, ძალიან კარგად იცოდა, რომ **„ქართველთა ენაჲ უფსკრულ ღრმა არს“** და ამიტომაც, მიუხედავად ოთხი ათეული წლის მუხლჩაუხრელი შრომისა, ქართველურ ენათა ლექსიკური მარაგის ამოწურვა შეუძლებელი იყო. მას შედგენილი ჰქონდა ძველი ქართულის ვრცელი დოკუმენტური ლექსიკონი, რომელსაც ყოველდღიურად ავსებდა, მაგრამ გამოქვეყნებას მაინც არ ჩქარობდა, თუმცა ისიც უწყოდა, რომ „უამსა მიმცხოვნებისასა“ ყველაფერი შესაძლოა საშური ყოფილიყო. ზურაბ სარჯველაძეს მიაჩნდა, რომ ქართველურ ენათა მრავალტომეული სრული ლექსიკონის შექმნამდე თაობათა დიდი სამუშაო უნდა ჩატარებულყო, მათ კი ასე შეახსენა დიდებული სულხან-საბას ანდერძი: **„რომელნიცა ვიცოდი, დავწერე; თქუნენ იგულისმოდგინეთ, რომელთა მოგცესთ უფალმან ხიბრქნე და მეცნაიერება, თქუნენ შეასრულეთ“**...



პროფესორები იზა ჩანტლაძე, გურამ კარტოზია
და ქალბატონი ცისანა თოდუა-კარტოზია

დიდი ენათმეცნიერი და ლირსეული მამულიშვილი

პროფესორ გურამ კარტოზიას სამეცნიერო-შემოქმედებითი მოღვაწეობის ათვლის წერტილად ჩვენ მიგვაჩნია 1954 წელი, როცა მან თელავში გამართულ პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა მეექვსე სამეცნიერო კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე „კახური კილოს თავისებურებანი სოფელ გავაზის მეტყველების მიხედვით“ იმ დღიდან დაიწყო ბატონი გურამის ტრიუმფალური სვლა ქართველოლოგიაში, რომელიც დაგვირგვინდა უბრწყინვალესი მონოგრაფიით „ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში“. წიგნი ეძღვნება დიდი მასწავლებლის — აკადემიკოს ვარლამ თოფურიას, არაჩვეულებრივი ლაზი მასპინძლის — ზურაბ თანდილაეას და განუყრელი მეგობრის — პროფესორ ზურაბ სარჯველაძის ნათელ ხსოვნას.

როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს, ალბათ გადაწყდა ორი საუკუნის საპაექრო პრობლემა — ლაზური დამოუკიდებელი ენაა თუ ზანურის ან კოლხურის ერთ-ერთი დიალექტი? ამ წიგნში წარმოდგენილი კვლევა-ძიება ეფუძნება არა მხოლოდ დღემდე არსებულ ყველა ტექსტს, არამედ თავად ავტორის მიერ წლების მანძილზე ლაზეთში შეგროვილ უამრავ მასალას. მასში ყველა საკითხი გადაწყვეტილია თანამედროვე საერთაშორისო ლინგვისტიკაში დამკვიდრებული მეთოდოლოგიის საფუძველზე და თანაც ისე, რომ საკამათო პრობლემები განხილულია მაღალმეცნიერულ დონეზე ძალზე დელიკატურად, კორექტულად, ყოველგვარი მიკბ-მოკიბვისა და რომელიმე მოსაზრების ავტორისათვის პიროვნული ტკივილის მიყენების გარეშე.

პროფესორ გურამ კარტოზიას წიგნში ლაზური ენის სამივე დიალექტისა და ექვსივე კილოკავის მონაცემებია გათვალისწინებული ფონოლოგია-ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკვანძო საკითხების კვლევისას. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, ერთი მხრივ, მეგრული და ხოფურ-ჩხალური მეტყველების დიალექტური ერთიანობის ჩვენებამ, ხოლო, მეორე მხრივ, ტერმინ „კოლხურის“ სრულიად ახლებურმა გააზრებამ. პროფესორ გურამ კარტოზიას თვალსაზრისის მიხედვით, ეს ტერმინი „ზანურის“ მონაცვლე ცნება კი არაა, როგორც აქამდე სპეციალური ლიტერატურიდან იყო ცნობილი, არამედ — საერთოქართველური

ფუძენის დასავლური დიალექტი, რომლის კილოკავებს წარმოადგენდნენ ზანური და სვანური ენების წინაპარი ენობრივი დანაყოფები. კოლხური, ალბათ, სხვა კილოკავებისა თუ თქმებისგანაც შედგებოდა. ერთი ასეთი კილოკავი. შესაძლოა ყოფილიყო დღევანდელი ათინურ-ართაშენული დიალექტის წინაპარი, რომელიც ტერიტორიულად სვანურსა და ზანურს შორის უნდა მოქცეულიყო. სწორედ შუალედური პოზიცია განაპირობებდა საერთო ფონოლოგიურ მოვლენებს. ქართველურ ტომთა სავარაუდო მიგრაციული ტალღების შედეგად ზანური კილოკავების მატარებლები, როგორც ჩანს, მოექცნენ სვანურისა და ათინურ-ართაშენულის წინაპარ კილოკავებზე მეტყველთა შორის, რამაც განაპირობა შემდგომში ათინურ-ართაშენულზე ზანურის დიდი გავლენა და მათი დიალექტური ერთობა.

აქვე ბატონი გურამი გვთავაზობს მეორე დასაშვებ ვარაუდსაც: შესაძლოა, ათინურ-ართაშენულის წინაპარი მეტყველება საერთოქართველური ენის კოლხური დიალექტის სვანური კილოკავის შემადგენლობაში შედიოდა და ზანურ კილოკავზე მეტყველთა გადაადგილების შედეგად ზანურმა ჩრდილოურ და სამხრულ არეალებად გახლიჩა სვანური ენა, რამაც მნიშვნელოვნად შეკვეცა მისი გავრცელების არე. **სამხრულმა სვანურმა საერთოქართველური ენის ზანური დიალექტის დიდი გავლენა განიცადა და საბოლოოდ ლაზური ენის დიალექტად იქცა, თუმცა შეინარჩუნა სვანურთან საერთო ზოგი თავისებურება.**

ორივე ვარაუდი ღრმა მეცნიერული განსჯის ანარეკლია, მიღებული საპირისპირო თვალსაზრისთა არა ჩასაფრებული კრიტიკოსის თვალთა განხილვის შედეგად, არამედ დელიკატური კამათის წესით წარმოდგენილი დებულებებით, რაც სანიმუშოა ყველა ფილოლოგისთვის, განსაკუთრებით კი ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

პროფესორი გურამ კარტოზია შვიდი წიგნისა და ქართულ, რუსულ თუ გერმანულ ენებზე გამოქვეყნებული ასზე მეტი გამოკვლევის ავტორია. მკვლევრის არაჩვეულებრივი ერულიცია და ფართო დიაპაზონი განსაკუთრებით გამოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენასა და მის გამოცემებზე რუღუნებისას, რომელშიც წარმმართველი ძალა იყო არა მხოლოდ ძველი ქართული ხელნაწერებისა და ყველა ქართველური ენის ღრმა ცოდნა, არამედ თავად მეცნიერის პიროვნული თვისებები, პრინციპულობის

გვერდით საოცარი მოკრძალებულობა, დიდი ადამიანური სითბო, უმწიკვლო პატიოსნება და ქართველი ერის ღირსეულ წინაპართათვის დამახასიათებელი გამორჩეული თავმდაბლობა. ვფიქრობთ, სწორედ ამის გამოა, რომ ის არ იყო ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის ავტორი, თუმცა მის „ლაზურს“ მეხუთე თავად და ოცდახუთ პარაგრაფად ახლავს ძალზე ძნელად საკამათო, დღემდე უცნობი ეტიმოლოგიები და სრულიად ახალი გააზრებანი.

მიუხედავად იმისა, რომ **ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონები სულის საოხად გვაქვს არა მხოლოდ ქართულ, არამედ რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე** აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას, პროფესორების ზურაბ სარჯველაძის, გიორგი კლიმოვის, კარლ შმიდტის, პაინც ფენრიხისა და მერაბ ჩუხუას მონოგრაფიათა სახით, მინც ამ ასპექტით ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი, რისთვისაც არა მარტო ღრმა დიაქრონიული ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის ჩატარება საჭირო, არამედ ოთხივე ქართველური ენის პრაქტიკული ცოდნაც; ყოველივე ეს კი უხვად ჰქონდა მომადლებული ბატონ გურამს და ამიტომაც მას აუცილებლად უნდა შეექმნა სხვათა ადრინდელ ნაშრომებთან შედარებით უფრო სრულყოფილი ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მითუმეტეს, რომ „თანამედროვე ქართველურ ენათა (პირველ რიგში სვანურის) შესწავლა ფონოლოგიური თვალსაზრისით ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფისაგან, რის გამოც ზოგ შემთხვევაში გაგვიჭირდებოდა მოგვეცა ზუსტი ფონოლოგიური ტრანსკრიფცია“ (მაჭავარიანი 1965: 6). იგივე შეიძლებოდა გვეთქვა ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის შესახებაც, რომლის შექმნა ბატონ გურამს არ აცალა უმძიმესმა ხანგრძლივმა დაავადებამ. რალა თქმა უნდა, გრამატიკა დიდებული გამოვიდოდა, რომ დასცლოდა უნიჭიერეს ქართველოლოგს. სამწუხაროა, რომ დღემდე ჩვენს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს არა აქვთ თანამედროვე მეთოდოლოგიით შექმნილი სახელმძღვანელო ენათმეცნიერების ამ დარგში.

ბოლო ხანებში პროფესორი გურამ კარტოზია აკადემიკოს თამაზ გამყრელიძესთან ერთად თავგანწირვით მუშაობდა ქართული ენის თეზაურუსზე, რაც გულისხმობდა უხვი ლექსიკური საგანძურის დამუშავებას მეხუთე საუკუნიდან დღემდე — სალიტერატურო ქართულის განვითარების

მთელი ისტორიის მანძილზე. უკვე ამოწერილი იყო საილუსტრაციო მასალა რამდენიმე ტრილიონ ბარათზე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ XIX საუკუნეში ძმები გრიმების მიერ დაწყებული თეზაურუსი გერმანული ენისა ჭერაც არაა დამთავრებული, მკითხველისთვის სრულიად ნათელი წარმოსადგენი იქნება ის სიძნელები, რომლებიც ელის ქართულ თეზაურუსზე მომუშავე მეცნიერთა ჯგუფს.

მიუხედავად განუკურნებელი ავადმყოფობისა, საოცრად ხელდამშვენებული შეხვდა პროფესორი გურამ კარტოზია თავის სახელოვან იუბილეს — დაბადებიდან 75-ე წლისთავს. მთელი სულითა და გულით მივულოცეთ მას ეს ღირსშესანიშნავი თარიღი კოლეგებმა, სტუდენტ-ასპირანტებმა თუ მაგისტრანტ-დოქტორანტებმა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიიდან, ივანე ჭავჭავაძისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან, ვუსურვეთ მზეგრძელობა და დღეგრძელობა, თუმცა თავად იუბილარმა ვერ შეძლო უადრესად თბილ შეხვედრაზე მობრძანება. ბუნებრივია, ვერც მისი უერთგულესი მეუღლე, ქალბატონი ცისანა თოდუა-კარტოზია გვეწვია: „ნახევარი საუკუნის მანძილზე არასდროს მიმიტოვებია გურამი უყურადღებოდ და, რა გქნა, ახლა როგორ მოვიდე უნივერსიტეტშიო“. მე ბატონი გურამის საიუბილეო კრებულის რედაქტორი გახლავართ და საოცრად მომინდა იმ დღეს მისი ხმის გაგონება, მაგრამ, ვაგლახ, რომ ეს ხმა პირველად და უკანასკნელად მეჩვენა გაბზარული. ძალიან გაუხარდა ჩემი ტელეფონზე შეხმიანება, მაგრამ აშკარად ვგრძნობდი, რომ ცრემლები დაბალუპით ჩამოსდიოდა...

წლების მანძილზე ლოგინად იყო ჩავარდნილი და მაინც სულ კომპიუტერთან მუშაობდა. მისი არაჩვეულებრივი ვაჟის — ალექო კარტოზიას მუხლჩაუხრელი შრომით უკანასკნელ წლებში არაერთი ქართველოლოგიური წიგნი დაისტამბა, ბატონმა გურამმა ყოველი მათგანი გვიძღვნა კოლეგებს, მაგრამ შესაბამისი წარწერები ვერ გავვიკეთა — თითებს ვეღარ ამოძრავებდა. მიუხედავად ამისა, სწორედ ამ ურთულეს პირობებში მოახერხა მან თავის მოწაფეებთან ერთად მოემზადებინა ფუნდამენტური აკადემიური ნაშრომი „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“, რომლის მხოლოდ პირველი კორექტურის წაკითხვა შეძლო. თბილისის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ პუბლიკაციის დიდებული პრეზენტაციაც გაიმართა, მაგრამ მისი მთავარი ავტორი, სამწუხაროდ, ჩვენ შორის აღარ იყო.

აღარც კი ვიცი, ქართული, ლაზური, მეგრული ან სვანური ენების რომელი აღმატებითი ფორმა გამოვიყენო პროფესორ გურამ კარტოზიას სამეცნიერო თუ პედაგოგიური მოღვაწეობის ან პიროვნულ თვისებათა წარმოსაჩენად! — გავიხსენებ მხოლოდ ერთადერთ ფრაზას, წარმოთქმულს მისი სადოქტორო დისერტაციის დაცვის დღეს: „**მე მაგონდება გივი მაჭავარიანის სადოქტორო დისერტაციის დაცვა**“-ო, ბრძანა მაშინ საენათმეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ და ამით ყველაფერი იყო ნათქვამი.

გურამ კარტოზიას სადისერტაციო ნაშრომების დაცვა განსაკუთრებულ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ქართველოლოგიის ისტორიაში არა მხოლოდ ლინგვისტური თვალსაზრისით: საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდგომ შვიდი წელი არ იყო გასული, ისე წარმოადგინა მან 2004 წელს მეორე საკვალიფიკაციო ნაშრომი, რაც იმ დროისათვის დებულების დარღვევად შეფასდა; ამიტომაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარემ აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ იშუამდგომლა საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარის აკადემიკოს გიორგი ხარაძის წინაშე. წერილში აღნიშნული იყო: „**ამ შუამდგომლობით არ მოგმართავდით, საქმე რომ არ ენებოდეს ცნობილ ენათმეცნიერს, რომლისთვისაც დოქტორის ხარისხის მინიჭება უმაღლეს ქართული მეცნიერებისათვის მიმაჩნია უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე თვით ავტორისათვის, რადგან როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთში გურამ კარტოზია უკვე არის აღიარებული ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ სპეციალისტად ქართველურ ენათმეცნიერებაში. ნებისმიერი მისი შრომა ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლის სფეროდან ალბათ უკვე დიდი ხნის წინათ შეიძლებოდა წარმოდგენილიყო სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად**“.

გასაოცარი გახლდათ ლაზების სიყვარული ბატონი გურამისადმი. „ადამიანი ბევრია დედამიწაზე, მაგრამ პიროვნებაა ძალზე ცოტა. თუ პიროვნება არ ხარ, ვერაფერს შექმნი ღირებულს... **ღმერთმა უმრავლეს საქართველოს გურამ კარტოზიას მსგავსი პიროვნებები!**“ — თქვა ბრწყინვალე ქართველოლოგის საიუბილეო სხდომაზე ცნობილმა ხელოვნებათმცოდნემ ნერსე ბაწაშმა.


მოვიყვანო მცირე ამონარიდს თურქეთში არსებული „ლაზური კულტურის საზოგადოების“ აღრესიდან: „ნ. მარის, ი. ყიფშიძის, არნ. ჩიქობავასა და ს. ულენტიის ადგილას ვსვამთ გურამსაც, მაგრამ მათზე ცოტათი ახლოს ჩვენგან — **ის არის ლაზური ენის ბაბუ.** მისმა საქმეებმა თურქეთში მცხოვრებ ლაზებს თვალი აუხილა, მათ გაიღვიძეს და ლაზური ენის დაცვის გზას დაადგინენ... დალოცვილი იყავი, ჩვენო გურამ, ლაზებს ძალიან უყვარხარ და შენს სადღეგრძელოს ამბობენ“

თავად ბატონი გურამი კი ჟურნალში „**სქანი ნენა**“ ასე გამოემშვიდობა ლაზებს:

„ჩემო ძმებო, კარგად იყავით!.. ყველამ თქვენი ენა, ლაზური ენა იცოდეთ, არ დაგავიწყდეთ! — თქვენს ბავშვებს ლაზურად ელაპარაკეთ! **დავიწყება და ენის სიკვდილი არ იქნება!** ბერი უნდა იმუშაოთ, რათა მეგრულ-ლაზურად პატარ-პატარა წიგნებიც გამოიცეს..“



გიორგი



პროფესორი ვალერი სილოგავა

მეცნიერების ზვარაკი

შემთხვევით არ ვასათაურებ ამგვარად პროფესორ ვალერი სილოგავას ერთ-ერთი საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ სტატიას! მას შვიდი დედ-მამიშვილი ჰყავდა და სულ იმათზე ზრუნვით იყო დაკავებული, მაგრამ ისე არაფერი ახსოვდა ამქვეყნად, როგორც წიგნები. მთელი სულით, გულითა თუ ხორციით ეწირებოდა მათ შექმნას, რაც უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე...

ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტმა მიიქცია პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება პირველივე გამოკვლევით, რომელიც ეხებოდა მეხუთე საუკუნის ქართულ ეპიგრაფიკას (ხელმძღვანელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი შოთა მესხია).

ვალერი სილოგავა ერთ-ერთი სულისჩამდგმელია ჩვენს ქვეყანაში მრავალპროფილიანი, ინტერდისციპლინარული კვლევა-ძიებისა. შესანიშნავი ქართველოლოგი თანაბრად ძლიერი იყო ისტორიოგრაფიაშიც, წყაროთმცოდნეობაშიც, პალეოგრაფიაშიც, ტექსტოლოგიაშიც, ეთნოლოგიაშიც, ფილოლოგიაშიც, მაგრამ მისი „პური არსობისა“ მაინც ქართული ეპიგრაფიკა გახლდათ, რომელიც ჩვენი კულტურის ფენომენის უძლიერესი გამოვლენაა.

მთელი საქართველო ნაირ-ნაირი წარწერებითაა მოფენილი — ეს იქნება: ლაპიდარული, ქედური, ფრესკული, ნუმიზმატიკური, გრაფიტები, ხის გათლილ ჯოხებზე თუ ნაქარგი ფორმებით წარმოდგენილები. ყოველი მათგანი პირველხარისხოვანი ძეგლია როგორც შინაარსობრივი თვალსაზრისით, ისე შესრულების ვირტუოზულობით. სწორედ ამიტომ ფეხით მოიარა ჩვენი ქვეყანა ბატონმა ვალერიმ ამ დიდებულ წარწერათა შესასწავლად. იყო დრო, როცა საქართველოს ძლევა მოსილების ეპოქაში მათი განფენილობა მოიცავდა უფრო დიდ სივრცეს.

ჯერ კიდევ ასპირანტურაში (მეცნიერხელმძღვანელი პროფესორი ნუკრი შოშიაშვილი) სწავლის დროიდან ვალერი სილოგავამ აშკარა დალუპვას, განადგურებას ან გადასწორებას გადაარჩინა აფხაზეთის არაერთი ქართული წარწერა, რომლებიც, ჟამთა სიავისა თუ ურთულესი სამხედრო-პოლიტიკური ბატალიების გამო, დღეს ფაქტობრივად მიუწვდომელია

ჩვენთვის. იგივე შეიძლებოდა გვეთქვა ტაო-კლარჯეთზეც, სადაც, მიუხედავად შედარებით გაიოლებული თანამედროვე ვითარებისა, მაინც ყველა მკვლევარისთვის არც ისე ადვილია იქ მუშაობა.

წარწერებში წარმოდგენილ ტექსტებს აქვთ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, ხოლო ნუმისმატიური ინფორმაციები სცილდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს, რადგანაც მათში გვხვდება ცნობები არა მხოლოდ ევროპის (საბერძნეთი, იტალია), არამედ აღმოსავლური სახელმწიფოების მმართველთა შესახებაც.

მკითხველისთვის ძალზე საყურადღებოა ისიც, რომ პროფესორ ვალერი სილოგავას ყველა წიგნი გამდიდრებულია არაჩვეულებრივი ფოტოილუსტრაციებითა და ნაირ-ნაირი სქემებით. ლინგვისტებსაც კი შემურდებათ, ისეთი ინდექსები და ლექსიკონებია დართული მის მონოგრაფიებზე. ტელევიზიიდან თუ პრესიდან ყოველდღე გვევედრებიან — გადავარჩინოთ მოქვის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის სახარება, ისეა დაზიანებული. ამ ეკლესიის უძვირფასეს თეთრ ქვაზე 1877 წელს ამოკვეთეს ერთი ეპიტაფია, რომელშიც მხოლოდ ოთხი სტრიქონია რუსულ ენაზე, დანარჩენი ცამეტი კი ქართულადაა შესრულებული, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს აფხაზებთან ურთიერთობის ისტორიის საჩვენებლად: „ქვეშე ამა ფიქალისა განისვენებს მტვერი სახელოვანისა აფხაზეთის თავადის, ღვარდიის პოლკოვნიკის მიხაილ ბათალბეის ძის მარშანიასი, რომელიც შემდგომ ელვარისა და ძლევამომოსილისა ომისა თათართა და ერთმემამულეთა თანა თვისთა, რუსეთის მონებისაგან განდგომილთა (ხაზი ჩვენია — ი. ჩ.), გარდაიცვალა ქ(ალაქს) თფილის(ს) 13 დეკემბერს, 1877 წ(ელს). დაუტევა რა მგლოვარედ საყვარელი თანამეცხედრე თვისი და მცირეწლოვანნი შვილნი; ხოლო ფიქალი ესე დასდვა სახსოვრად მისა მუდღელემან კნენინა დარია მანუჩარ შერვაშიძის ასულმა“.

ამ წარწერიდან ვგებულობთ იმას, რომ გვარდიის პოლკოვნიკი მიხეილ მარშანია და მისი თანამემამულეები განდგომილნი იყვნენ რუსეთის მონობისაგან; გარდა ამისა, როგორც ჩანს, თავადიშვილი მოქვის ტაძარში შერვაშიძეთა სიძეობის გამო დაუკრძალავეთ. აღარაფერს ვამბობთ იმ არქაულ ლექსიკასა (მართო „ერთმემამულე“ რად ღირს!) და გრამატიკულ ფორმებზე, რომლებიც აღნიშნულ წარწერაშია წარმოდგენილი და რომელთა ღირებულება განუსაზღვრელია ქართული ენის სტრუქტურის ისტორიისა-

თვის. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, მარშანიები მარუშიანთა დიდებული საგვარეულოდან მომდინარეობენ. აქ დადასტურებული საკუთარი სახელი **ბათალბი** კიდევ უფრო ამყარებს ამ ვარაუდს (ეს ანთროპონიმი დღესაც ძალზე გავრცელებულია სვანეთში!).

რასაკვირველია, ისტორიულ ძეგლთა და წარწერათა უმრავლესობა ჩვენამდე დაზიანებული სახითაა მოღწეული, ამიტომაც მათ მართებულად გაშიფვრას (განსაკუთრებით ქარაგმებისა) არა მარტო ღრმა ცოდნა და არქაულ გრამატიკულ ფორმათა თუ ლექსებათა კონკრეტულ ეპოქაში არსებობის სინამდვილესთან მიახლოებული ვარაუდი სჭირდება, არამედ უზარმაზარი ენერჯიაც, მართლაც 24 საათი მუხლჩაუხრელი გარჯა, რაც სხვა არაერთ ნიჟთან ერთად უხვად ჰქონდა მომადლებული ბატონ ვალერის.

უსათუოდ უნდა შევხვთ სვანეთის ქართულ წარწერათა შესახებ ჩატარებული მრავალწლიანი კვლევის ორტომეულ შედეგს:

სვანეთის სიძველეთა შესწავლის ისტორია რომ მრავალმხრივია საყურადღებო, ამ პრობლემაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

1973 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ილია ვეჯუამ დააარსა ჩვენი მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისია, რომელსაც ის სათავეში ედგა გარდაცვალებამდე. მან ორჯერ იმოგზაურა როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთში და დიდი როლი ითამაშა ადგილობრივი კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში, ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ X-XVIII საუკუნეთა წარწერებისადმი მიძღვნილი ორტომეული მიესადაგება უდიდესი მათემატიკოსის ნათელ ხსოვნას.

მიუხედავად იმისა, რომ არაერთ ავტორიტეტს უმუშავია ისტორიული სიგელ-გუჯრებისა და სულთა მატრიანების ტექსტებზე (მარტო დიდი ექვთიმე თაყაიშვილის დასახელება რად ღირს!), მაინც იმდენი რამაა ახალი ვალერი სილოგავას ფუნდამენტურ ნაშრომებში, რომ ინტელექტუალური მკითხველის გაოცებას საზღვარი არ აქვს. მთავარი ისაა, რომ აღნიშნულ ტექსტთა უმრავლესობის დედნები ან სულ არაა მოღწეული ჩვენამდე ან დაზიანებული სახითაა შემორჩენილი. ამიტომ ავტორს მოუხდა ძალზე შრომატევადი სამუშაოს ჩატარება, ადრინდელ გამოცემათა ურთიერთშეჯერება ან ზოგი ავტოგრაფის იმ ოჯახებში ძიება, ვისაც თაო-

ბიდან თაობამდე შემკვიდრეობით მოარული ესა თუ ის სიგელი ხელიხელსაგოგმანებელ მარგალიტად შემოუნახავს. ცნობილია, რომ სვანური საბუთები, ძირითადად, ხელნაწერთა აშიებზე და ტექსტისაგან თავისუფალ გვერდებზეა დაწერილი; ცალკე ეტრატზე ან ქალაღდის ფურცელზე მოთავსებულ სვანურ დოკუმენტს ჩვენამდე თითქმის არ მოულწევია.

მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ სვანეთში ძალზე გავრცელებული სოციალური ტერმინი **ვარჯი** (შდრ. ქართული „მარგი“, „ვარგა“) დადასტურებულია ხალღეს ხევის XIV-XV საუკუნეთა ხის გათლილ ჯოხზე დაწერილ ერთ-ერთ საბუთში, ხოლო არაერთი საკუთარი სახელი, გვარი თუ ტოპონიმი XI საუკუნის I ნახევრის სულთა მატრიანებში შემორჩენილია ძველი, ურედუქციო ფორმებით (მაგალითად: **თანაღილ**, **მარეგანო**, **რუჩეგანო**, შდრ. თანამედროვე **თანღილ**, **მარჯიანო**, **რუჩეიანი**), აგრეთვე ერთი და იმავე გვარის **-იან**, **-ძე** და **-შვილი** დაბოლოებებით გაფორმება (**დაღიან-ი/დაღიან-ის-შვილი-ი**, **ჯოხიან-ი/ჯოხ-ა-ს-ძე**, **აფაქიან-ი/აფაქიან-ის-ძე**, **ფორფოლ-იან-ი/ფორფოლ-ა-ს-ძე**), **-ან** და **-იან** სუფიქსთა პარალელური ხმარება (**ქალღ-იან-ი/ქალღ-იან-ი**, **გაბიღღ-იან-ი/გაბულღღ-იან-ი**), **-ფხე** მაწარმოებლიანი ქალთა გვარები (**დაჩქიღღ-ფხე**, **გურჩი-ფხე**, შდრ. **დაღეშქელღიანო**, **გურჩიანო**) და სხვა მრავალი. ასე რომ, „სვანეთის წერილობითი ძეგლების“ ორივე ტომი სამაგიდო წიგნია ყველა ქართველოლოგისთვის (ისტორიკოსის, ეთნოლოგის, ენათმეცნიერისა თუ ფოლკლორისტიკოსის).

ვინ შეძლებს პროფესორ ვალერი სილოგავას აკადემიურ მონოგრაფიათა თუნდაც ზერელე განხილვას?! — ამისთვის დიდი დრო, სივრცე და ნიჟია საჭირო!

მასზე წერა ადვილიცაა და იმედროულად — ძნელიც: ადვილი იმიტომ, რომ ძალზე უშუალო, გულითადი, ერთგული მოკეთე იყო, სხვისი არასოდეს არაფერი შემურდებოდა ამ ბალღამით აღსავსე წუთისოფელში!.. ძნელი კი იმიტომ, რომ საოცრად დიდი ინტელექტუალი, ღრმად დაუნჯებული მეცნიერი გახლღათ — მისი მსგავსი პალეოგრაფი კიღევ კარგა ხანს აღარ ეყოღება ქართველოლოგის!..

საქართველოს ყოველი კუთხე-კუნჭული სიღრმისეულად ჰქონღა შესწავლიღი პროფესორ ვალერი სილოგავას; არ დრჩენიღა თითქმის არც ერთი ისტორიული ძეგლი, რომღის წარწერაც მას არ გაეშიფროს და არ

გამოეკლიოს! სწორედ მუხლჩაუხრელი შრომისა და ღამეებგატეხილი რუ-
დუნების შედეგად შეიქმნა „სვანეთის წერილობითი ძეგლების“ ორტომეუ-
ლი, „ტაო-კლარჯეთი“ და „სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა“.
ლაპიდარული, ჰედური, ფრესკული, ნაქარგი თუ მონეტების წარწერები,
გრაფიტები, ამ დიდებულ მონოგრაფიათა ავტორის აზრით, პირველხარის-
ხოვანი ტექსტებითაა წარმოდგენილი როგორც შინაარსობრივი თვალსაზ-
რისით, ისე შესრულების ვირტუოზულობით. ქართული ეპიგრაფიკული
ძეგლები, რომლებიც თავის დროზე მოიცავდნენ კავკასიის დიდ ტერიტო-
რიულ სივრცეს „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან სპერამდე
და არაგაწამდე“, წარმოადგენენ უძველესი ქართული კულტურის გამო-
ვლენის ერთ-ერთ შესანიშნავ ფენომენს, ვალერი სილოგავას დასკვნით.

ახლა მზადდებოდა კიდევ ერთი სქელტანიანი წიგნი მესხეთ-ჯავახეთ-
ზე, რომელიც მის საგრანტო პროექტზე დაუღალავი მუშაობის შედეგი
იქნებოდა, მაგრამ მოულოდნელად თავს დატეხილმა უბედურებამ მარტო
ვალერიის კი არა, ყველას დაგვიხეთქა გულები — კოლეგებს, სტუდენტებს,
ნაცნობ-მეგობრებს, ახლო თუ შორეულ ნათესავეებს, მეზობლებს... წარმო-
სადგენადაც კი ძნელია, რა დღე დაადგათ შვიდი დედამამიშვილის ოჯახებს,
რომელთა უფროსი შვილი და განათლების შუქურა თავადვე გახლდათ...

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და რამდენიმე
უნივერსიტეტში მუშაობდა ერთდროულად, მაგრამ ახალციხის სახელმწიფო
უნივერსიტეტი მისი „სული სულთაგანი და ხორცი ხორცთაგანი“ იყო. ის აქ
ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაარსებიდანვე მოღვაწეობ-
და, თუმცა, ვაგლახ, რომ ვეღარ მოესწრო მისი ოცი წლის იუბილეს! სწორედ
ახალციხე იყო ვალერიის ბედისწერა და აქვე განუტევა სული, მიუხედავად
იმისა, რომ იმ დღეს ჩვენთან ერთად სრულიად საღ-სალამათი ჩამოვიდა
თბილისიდან. ეჰ, თურმე რა მაცდური ყოფილა გარეგნული მომხიბლაობა!..
სწორედ იმ დღეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატში
მშვენიერ ქალბატონებს კომპლიმენტებიც კი უთქვამთ ორ წელს მიღწეული
პროფესორისთვის: „რა ბიჭვით გამოიყურებით“-ო...

ვინ არ უტარებია სვანეთში! — აქაური თუ იქაური, ქართველი თუ
უცხოელი, ჩვენებური თუ გადამთიელი! რა დაღვეს საქართველოში თვალ-
წარმტაც ადგილებს! — „გვაქვს უთვალავი ფერთა“, მაგრამ სვანეთი მა-

ინც ჩემთვის იმ ჯადოსნურ ზღაპარს ჰგავს, რომლის მსგავსი ბავშვობაშიც კი არსად არასოდეს არავისგან მსმენია. სწორედ იქ გავიცანი ორმოციოდე წლის წინ ვალერი სილოგავა, ორივენი სამეცნიერო მიზნებისთვის ვიყავით მივლენილნი ჩვენი მეცნიერხელმძღვანელების — აკადემიკოსების არნოლდ ჩიქობავასა და შოთა მესხიას დავალებით.

გავიდა რამდენიმე წელი და სრულიად ახალგაზრდები მოვხვდით ქართველ მეცნიერთა დელეგაციაში ინგლისსა და შოტლანდიაში. იქ კიდევ უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს, იმდენად, რომ ერთ დღეს გადავწყვიტეთ, გავპარულიყავით ჰაიდპარკში, რადგანაც მისი დათვალიერება ჩვენი ჯგუფის სამარშრუტო გეგმაში არ შედიოდა. საბჭოთა კავშირში დაბადებულ-გაზრდილები საოცრად გაგვიტაცა იქაურმა პოლიტიკურმა მიტინგებმა და იმოდენა ტერიტორიიდან გამოსასვლელ კარს ვერაფრით მივაგენით. ლონდონში მისი ფრანგული არავინ იცოდა, მე კი ჩემი გერმანულით, რაკი ის ინგლისურის ძალიან ახლო მონათესავე ენაა, თითქმის ყველაფერი გავაგებინე იქაურებს და, როგორც იქნა, რის ვაი-ვაგლახით მივალწიეთ ჩვენს სასტუმრომდე. მერე ხშირად იხსენებდა ამ შემთხვევას და ბევრს ვიცინოდით ხოლმე: „მართლა რომ დავკარგულიყავით ჰაიდპარკში, ხომ წარმოგიდგენია, რა ამბავი ატყდებოდა საბჭოთა საელჩოში? — დღემდე მოღალატეებად ვიქნებოდით გამოცხადებული“-ო.

როგორც ქართველოლოგს, უდიდეს პატივს მცემდა. როცა დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თავისი ფილიალები გახსნა, მან ახალციხე აირჩია და მეც მთხოვა, აველოდი, მაგრამ მაშინ თავი შევიკავე, რადგანაც, მოგეხსენებათ, შვილისა და შვილიშვილების პატრონისთვის არც ისე ადვილია ერთი ქალაქიდან მეორეში გადაადგილება, თუმცა, ვალერის და ახალციხის უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს — პროფესორ მერაბ ბერიძეს (ჩემი უახლოესი მეგობრის, უნიჭიერესი პოეტის ლაშა გახარიას „ფიცვერცხლნაჭამ“ ძმობილს), რომელთაც მთელი სულითა და გულით უნდოდათ ეთნიკურად ერთობ რთულ სასაზღვრო რეგიონში ქართველოლოგიის აღორძინება, უარი ვეღარ ვუთხარი და ჩემი დისერტანტი ცირა გოგებაშვილი გაუუგზავნე. მან კარგახანს იმუშავა ახალციხის უნივერსიტეტში, კითხულობდა ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკისა და

სვანური ენის სტრუქტურული ანალიზის სალექციო კურსებს; ბოლოს, თუ სწორად მახსოვს, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანიც კი გახდა.

გავიდა დრო... ატყდა ქართველოლოგიაში ერთი ამბავი, აზრთა შეხლა-შემოხლა, თითო-ოროლა სპეციალისტმა რატომღაც მთლად კარგად ვეღარ გაარჩია ერთმანეთისაგან ენა და დიალექტი; ცირა გოგებაშვილმაც, მძიმე ოჯახური პირობების გამო, ვეღარ შეძლო თბილისიდან ახალციხეში სიარული და ვალერიმ კვლავ მომმართა ძველი თხოვნით, თანაც მკაცრად მითხრა: „ბოლოსდაბოლოს სირცხვილია ეროვნულ უნივერსიტეტში ქართველური ენები არ იკითხებოდეს“-ო. რალა უნდა მექნა?! — აბსოლუტურად მართალი იყო და მეც დავთანხმდი. **ყოველთვის ალალ-მართალს არასოდეს არავისთვის უღალატნია და მე ზომ ვერ ვუღალატებდი!** ისე, ეგების სჯობდა, არ დამეჭრებინა მისთვის, მისი თავზარდამცემი სიკვდილის ზაფრას მაინც ავცდებოდი, 17 მარტს თბილისში რომ ვყოფილიყავი!

წიგნი იყო ვალერიის ცხოვრების აღფა და ომეგა, მისი სიცოცხლის კრედო, შვილიც და შვილიშვილიც... დიდ მეცნიერს ბევრჯერ ატკინეს გული (ნეტავ, რა გაუკვირდათ, სისხლი რომ გაეყინა და გული გაუსკდა?!), განსაკუთრებით კი უკანასკნელ ხანებში — ჯერ ის საგნები, რომლებსაც ღვაწლმოსილი პროფესორი საპატრიარქოს უნივერსიტეტში კითხულობდა საერთოდ ამოიღეს სასწავლო პროგრამიდან, მერე კი იმავე დაწესებულების ბიბლიოთეკის დირექტორობიდანაც გაათავისუფლეს, ხანდაზმულობის გამო. „რასაკვირველია, რვა დედამიშვილიან ოჯახებს ძალიან მოგვაკლდება ათას ასი ლარი, მაგრამ მთავარი ეს კი არაა; მე იქ აღარასოდეს მივალ და იმ უძვირფასეს წიგნად ფონდს სადღა დავამუშავებ“-ო — მითხრა დიდი გულისტკივილით.

ყველაზე თბილად მას ახალციხის უნივერსიტეტსა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ექცეოდნენ, იმიტომაც უყვარდა ასე გამორჩეულად იქაურობა, თავის ფოთთან და თბილისთან ერთად „ადგილის დედად“ მიაჩნდა. რა, ახალციხისთვის ის ხანდაზმული არ იყო?! — ვის წამოსცდებოდა მასზე აუგი?! გულწრფელ ცრემლებად დაიდვარნენ სტუდენტებიცა და კოლეგებიც. მართალია, ვერაფრით გადაარჩინეს, მაგრამ ღირსეულ პროფესორს ღირსეული პატივი მიაგეს უნივერსიტეტის რექტორმა, ქალბატონმა თინათინ გელაშვილმა, მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა ციური

ლაფაჩმა, ბატონებმა: მერაბ ბერიძემ, ნიკოლოზ ახალკაცმა, ნოდარ გორი-
ხოვმა, როინ ყავრელიშვილმა, ცისკარა ზარანდიამ, ჩვენმა „გოგობმა“:
პროფესორებმა ნესტან სულავამ, ნანა ტალახაძემ, მედია ბურდულმა და
სხვებმა — თურმე ყველას ეხვეწებოდა: „მარტო არ დამტოვოთ“-ო.

ულრმესი მადლობა მათ ჩემი ნანატრი მეგობრისა და დიდი მეცნიე-
რის ასეთი მოფერებისთვის!..


P. S. მე ვალერიზე რამდენიმე წლით უფროსი ვარ. ერთხელ გულმა
ძალიან შემომიტია. სანახავად რომ მოვიდა, აცრემლებულმა ვუთხარი:

— მგონი კვდები და სანეკროლოგოდ მოემზადე-მეთქი.

— შენ ისეთი „ოხერი“ ხარ, რა მოგკლავსო! — სიცილით მითხრა.

ხომ ხედავთ, როგორ ახდა მისი წინასწარმეტყველება?!. ჩემი საიუბი-
ლეო წიგნის რედაქტორი იყო, ახლა კი მისი სალექციო კურსი — „ქარ-
თველოლოგიის შესავალი“ მე უნდა წავიკითხო.

ძნელია, ძალიან ძნელი ახალციხეში მოღვაწეობა უიმისოდ...



პროფესორები იზა ჩანტლაძე და მიხეილ ქურდიანი

შესანიშნავი მკვლევარი და უანგარო მოღვაწე

ბატონმა **მიხეილ ქურდიანმა** 1040 გვერდის მოცულობის ფუნდამენტური მონოგრაფია დაგვიტოვა, რომელიც ერთადერთი აკადემიური წიგნია მისთვისაც და ჩვენთვისაც — მეტი ველარ მოასწრო... საქმეში ჩაუხედავ მკითხველს ერთი შეხედვით თითქოს ძალზე პრეტენზიულად მოეჩვენება ამ დიდებული ნაღვაწის სახელწოდება „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“, მაგრამ ვინც დეტალურად გაეცნობა მას, უმაღლვე მიხვდება, რომ ეს წიგნი ღრმა ინტერდისციპლინარული კვლევის უაღრესად მსხმოიარე ნაყოფია. მასში წარმოდგენილია ლინგვისტიკის არაერთი სფერო, ისტორია, ეთნოლოგია, კულტუროლოგია, ფოლკლორი.

საეტაპო ნაშრომში დიაქრონიული ენათმეცნიერების მოთხოვნათა დონეზე არა მარტო დადგენილია იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის შემადგენლობა (თანამედროვე ლათინური ტრანსკრიფციითურთ), არამედ ნებისმიერი თეორიული დებულება, შედარებისა თუ კანონზომიერ რეგულარულ ფონემათშესატყვისობათა რეკონსტრუქციის პროცედურა და საბოლოო დასკვნები მკაცრად **ვერიფიცირებადია**. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ავთანდილ არაბულის აზრით, ესაა **შემაჯამებელი ნაშრომი იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის თეორიაში, რომლის დასრულებით იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება „ფინიშის სწორზე“ გავიდა**.

მაინც რას ნიშნავს ჯვარედინი ვერიფიკაცია? — ავტორის მიხედვით, ისტორიული დერივაციის ფონემურ კანონზომიერებათა დადგენა არსებითად ჰიპოთეტურ ფარდობათა **შემოწმების** აუცილებელ პროცედურებს ექვემდებარება. **ვერიფიკაციის სამივე საფეხური (მასალობრივი, სისტემური თუ ტიპოლოგიური) წიგნში საფუძვლიანადაა განხილული**, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს კავკასიოლოგიური სკოლის სულისჩამდგმელისა და დამაგვირგვინებლის აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას მოძღვრების საყრდენ თეზისს: „რაც უფრო შორს ვიხედებით წარსულში, მით მეტია საერთო“

კავკასიოლოგიაში დიდი ხანია ცნობილ ფონემათშესატყვისობათა კიდევ ერთხელ გადამოწმების გარდა, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლებში“ დადგენილია სრულიად ახალი კანონზომიერებანი ქარ-

თველურ და ნახურ ენათა სიბილანტებს შორის, ნახურ-დაღესტნური და ქართველური ფუძეენების ხმოვანთშესატყვისობანი, აგრეთვე ლატერალთა რეგულარული თანაფარდობანი ბასკურ, ქართველურ და დაღესტნურ ენებში. ავტორის აზრით, ნებისმიერი ჩრდილოკავკასიური ჯგუფის დიფერენცირებული ბგერათშესატყვისობის გამოვლენა სამხრეთკავკასიურ, ანუ ბასკურ-ქართველურ ჯგუფთან საკმარისი პირობაა ფორმალური თუ სემანტიკური რეკონსტრუქციისათვის იბერიულ-კავკასიური ფუძეენის ქრონოლოგიურ დონეზე. შევნიშნავთ: ალბათ, გაცილებით დიდი სირთულეები გვექნება სემანტიკათა შინაარსის აღდგენასთან დაკავშირებით ამ შემთხვევაში.

ქვეშარიტების ძიების გზაზე ანალიზურ-სინთეტურ აზროვნებაში თანაბრად ძლიერი მკვლევარი უკომპრომისოა თვით უდიდესი სამეცნიერო ავტორიტეტების წინაშეც კი; ამ თვისების საილუსტრაციოდ არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება: ძალზე ორიგინალურია მისი თვალსაზრისი კოორდინატთა სივრცის უნივერსალურობის, იდენტურ ბგერათშესატყვისობათა და ინდუქციის, როგორც კომპარატივისტული მეთოდის საყრდენი ღერძის, შესახებ... ამ შესანიშნავი მონოგრაფიის კითხვისას მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, რომ „ინდივიდუალური გონების გამონათება თითქოს უმარტივესად ხსნის პრობლემათა ურთულეს ხლართს“ (ა. არაბული).

მიუხედავად იმისა, რომ ქართველურ ენათა დიფერენცირების მიხედვით ქურდიანისეული სქემა სრულიად განსხვავდება ბრწყინვალე გერმანელი ქართველოლოგის გერჰარდტ დეეტერსის სქემისაგან (ამ უკანასკნელს ვიზიარებთ, ძირითადად, ქართველურ ენათა მკვლევრები), მაინც მთელი მისი სისტემა აგებულია ძალზე მწყობრად, ვინმესთან ან რამეზე ყოველგვარი კომპრომისების გარეშე, მაგრამ საოცრად კორექტულად, თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ კონსონანტთა კომპლექსების თვალსაზრისით საანალიზო მონოგრაფიის ავტორის მიერ სვანურ-ზანური ერთიანობის დაშვება თითქოს შესაძლოა კიდევ (შდრ. არნოლდ ჩიქობავას, ქეთევან ლომთათიძის, კარლ ჰორსტ შმიდტისა და კევინ ტუიტის თვალსაზრისები), მაგრამ რა ვუყვით ხმოვნებს? — აქ ხომ აშკარაა სწორედ ქართულ-სვანური (და არა სვანურ-ზანური) ერთიანობა, ხოლო, თუ სადმე რაიმე ანომალიაა, თითქმის ყველაფრის ახსნა შეიძლება სვანური უმლაუტითა და ხმოვანთა პოზიციური თუ არაპოზიციური სიგრძით.

ძალზე ფრთხილია მიხეილ ქურდიანი გარკვეულ ძირთა ეტიმოლოგიური კვლევისას, რისი დასტურიცაა ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელშიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შემავალი ყველა ჯგუფის ლექსემათა თუ არქიფორმათა ანალიზი მოცემულია ცალ-ცალკე, მერე კი ეს ყველაფერი განხილულია რეკონსტრუირებული იბერიულ-კავკასიური ფუძეების დონეზე. თანამედროვე ზოგადლინგვისტური თეორიებისა თუ კონკრეტული ენობრივი მასალის ისტორიულ-შედარებითი მეთოდით განხილვის საფუძველზეა დამუშავებული საერთო იბერიულ-კავკასიური ენის სემანტიკური ლექსიკონი (გვ. 625-660) და ბასკურ-ქართველური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი (გვ. 661-696), რომლებიც მოიცავენ, ერთი მხრივ, ბასკურ-ქართველურ და ნახურ-დაღესტნურ, ხოლო, მეორე მხრივ, ბასკურ-ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ლექსიკას. რაც შეეხება ნახურ-დაღესტნურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა ვერიფიცირებულ ფონემათშესატყვისობათა გამზადებულ მასალებს, მათი გამოქვეყნება მიხეილ ქურდიანმა ველარ მოასწრო (იგივე ხვედრი ხვდა წილად მის მომდევნო წიგნსაც ქართველთა პირველი საცხოვრისის შესახებ).

ძირითადი დასკვნა ასეთია: ენათმეცნიერთა გარკვეულ წრეში (როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში) გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, **იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი წარმოადგენს გენიალოგიური (და არა ტიპოლოგიური) კლასიფიკაციის ცნებას**. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მკაცრი გამოყენების საფუძველზე რეგულარულ ფონემათშესატყვისობათა გამოვლენის ფორმით დადგინდა, რომ ე. წ. **ჩრდილოკავკასიური ენები (აფხაზურ-ადიღური და ნახურ-დაღესტნური) არ ავლენენ უფრო მეტ სიახლოვეს ერთმანეთთან, ვიდრე თითოეული მათგანი — სამხრეთკავკასიურთან (ბასკურ-ქართველურთან)**.

მიხეილ ქურდიანი საგანგებოდ ემზადებოდა პრეზენტაციისთვის, მაგრამ მუხთალმა წუთისოფელმა უდროოდ მოუსწრაფა სიცოცხლე უაღრესად ერუდირებულ და ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებულ ავტორს, რომელმაც ძალზე რთული ცხოვრება განვლო 56 წლის მანძილზე. მას მოუხდა არაერთი იტულებითი ნაბიჯის გადადგმა როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე პირად ცხოვრებაში, რამაც ძალზე მტკივნეული დალი დაასვა დიდებული მკვლევრის ჯანმრთელობას.

როგორც იქნა, 1998 წელს სასტამბოდ გამზადდა კავკასიოლოგთა სამაგიდო წიგნი, მაგრამ ტექნიკური პრობლემების შედეგად მთლიანად განადგურდა ტექსტის ელექტრონული ვერსია, გადარჩა მხოლოდ საკორექტუროდ გამზადებული ამონაბეჭდები. ამის შემდეგ ხელახლა დაიწყო პოლიგრაფიული ბატალიები და მაინც 2005 წლის ნაცვლად „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“ გამოქვეყნდა 2007 წელს.

სულ ახლახან სამი წელი გავიდა მიშას „ზეშთასოფელში“ გადაბრძანებიდან — მცხეთაში განისვენებს მამა გაბრიელის გვერდით, მისი ნანატრი სამთავროს მონასტრის ეზოში, რაც მარტო მისთვის კი არა, ჩვენთვისაც ძალზე იოლი გადასატანია — მონასტერი ხომ მშფოთვარე სულთა საოხია.

თვალწინ გვიდგას არაჩვეულებრივი ორატორის არაერთი საჯარო გამოსვლა — ყოველთვის ალალი, ხანდახან ფანტასტიკურიც კი (ემელიან ქურდიანის ვაჟი ხომ პოეტიც იყო!), მაგრამ მაინც ფსევდომეცნიერულ მსჯელობასთან უკომპრომისო, შეუვალი, ცხარე. ნებისმიერი ავტორიტეტი მისთვის არაფერს წარმოადგენდა, თუ ის უნამუსოდ ტყუოდა:

2010 წლის იანვარში ერთად გახლდით იტალიაში მაჩერატას სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „სიხალეები კავკასიოლოგიაში“. ერთ-ერთი მოხსენება ჰქონდა ვენეციის უნივერსიტეტის საკმაოდ მაღალი დონის პროფესორს — ეროვნებით სომეხს (გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ!), რომელმაც დიდი ამბით დაიწყო მტკიცება ქართული ანბანის შექმნის მესროპ მაშტოცისეული ვერსიის შესახებ, ლეგენდის სახითაც კი რომ აღარ სჯერა დღეისათვის აღარავის. საშინლად განერვიულდა მიშიკო და პაექრობისას თავისი ბრწყინვალე რუსულით ცდილობდა, დაემტკიცებინა მომხსენებლის აზრთა უსაფუძვლობა. თქვენ წარმოიდგინეთ, ვენეციელ პროფესორს ნერვიც არ შესტოკებია სახეზე, ჩვენი პროფესორი კი კინალამ კათედრაზევე ჩაიფერფლა, ისე ღელავდა. მივხვდი, რომ მომხსენებელმა რუსული არ იცოდა და სასწრაფოდ ვუჩუჩუჩულე მოკამათეს, მსჯელობა ინგლისურად გაეგრძელებინა (იმ სხდომის თავმჯდომარე გახლდით). ძალიან ერიდებოდა: „სულ ახალი ნასწავლი მაქვს ინგლისური ენა; ალბათ შეცდომებს დავუშვებო“, მაგრამ სხვა გზა აღარ იყო — კამათი გაგრძელდა ინგლისურად და მომხსენებელი იძულებული გახდა, ბოდიში მოეხადა არა მხოლოდ მოპაექრისათვის, არამედ

მთელი ქართული დელეგაციისთვისაც. მაშინ მიხეილ ქურდიანმა ძალზე უხერხული სიტუაციიდან იხსნა ვენეციის უნივერსიტეტის ორი პროფესორიც — ქართველოლოგი ლუიჯი მაგარეტო და გაგა შურღაია. სამწუხაროდ, მიშა ვერც ამ კონფერენციის მასალების გამოქვეყნებას მოესწრო. გასულ წელს გამოვიდა მაჩერატას უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებული, რომელშიც მისი სტატიაც დაიბეჭდა და რომელიც ეძღვნება ჩვენგან უდროოდ წასული მეცნიერის ნათელ ხსოვნას.

საოცარი იუმორი და იმიტაციის უნარი ჰქონდა. ძალიან ხშირად ბაძავდა ცნობილ ადამიანებს; განსაკუთრებით გვიყვარდა მიშიკო მაშინ, როცა ის ჩვენი მოძღვართმოდღერის, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას მეტყველებას აცოცხლებდა. თვალები რომ დაგებუჭა, ვერაფრით დაიჯერებდი, რომ შენ წინაშე არ იდგა ბატონი არნოლდი.

სვანი იყო, მაგრამ სოლოლაკში დაბადებულ-გაზრდილს თავისი „აკვნის ენა“ არავინ ასწავლა (მითუმეტეს დედა კახელი ჰყავს!), ამიტომ სვანური ენის სპეციალისტს ძალიან მანებვირებდა და სულ მეფერებოდა: ჩემი ოჯახის ლხინით ილხენდა, ჰირი კი გულს უმძიმებდა. ჩვენს ერთ-ერთ სუფრასთან ქალბატონმა რუსუდან სეფისკვერაძემ უთხრა: „ჩემი და თქვენი თანაკლასელი იყო და შინ სულ იმას ამბობდა — მიშიკო ქურდიანი უგზოუკვლოდ განათლებული ბიჭია, მასეთი მოსწავლე ჩვენს სკოლაში კი არა, მთელ საქართველოშიც არავინ იქნებაო“ ნეტავ გენახათ, როგორ დაიმორცხვა ბრწყინვალე კომპოზიტორის შექებაზე!

ენათმეცნიერების ინსტიტუტში 26 წელი ვიმუშავეთ ერთად და წლების უმრავლესობა ერთ განყოფილებაში გავატარეთ. ერთხელაც მთელი სერიოზულობით გამომიცხადა: „სიცოცხლეშივე ძეგლი უნდა აგიგოთ მესტიის ულამაზეს სკვერში; ხომ იცით, ქურდიანების უმრავლესობა არქიტექტორია, ოღონდ იქნებ როგორმე დაგვაზავოთ მე და ლევან ღვინჯილია — ვერაფრით გადავწყვიტეთ, რომელი კაბით შეგმოსოთ, ამიტომ ხომ არ აჯობებს ვენერას სტილში დაგიდგათ ძეგლიო?“ ხომ წარმოგიდგენიათ, მართლა რომ განეხორციელებინათ ჩანაფიქრი, რა ამბავი ატყდებოდა სვანეთში?!

არასდროს დამავიწყდება მისი სადოქტორო დისერტაციის („საერთო-ქართველური ვერსიფიკაციული სისტემა და ლექსთწყობის ზოგადლინგვისტური თეორია“) დაცვის დღე! — ჩემი პირველი წიგნის პირველი ეგზემ-

პლარი ვაჩუქე, მან კი თავის ავტორეფერატს ასეთი წარწერა გაუყეთა: „ქალბატონ იზას — ვის ამაგსაც ვერც მე, ვერც ჩემი თანატომელები და ვერც ჩემი დედაენა ვერასდროს გადავიზნდით“, თანაც დააყოლა: „სამეცნიერო საბჭოს წევრი, რომ არ იყოთ, საოცრად ლამაზ, ორიგინალურ ტექსტს მოგიძღვნიდით სახსოვრად, მაგრამ დღეს ჩემი სული თქვენისთანების ხელშია და ახლა სხვა გზა არ მაქვს — ოფიციალურად უნდა მოვიქცეო“

სამი თვე იავადმყოფა, უმძიმეს მდგომარეობაში იყო — განუკურნებელი სენი სჭირდა, სასტიკი დიეტა დაუნიშნეს ექიმებმა. ამ დროს უნდა გამოქვეყნებულიყო ჩვენი 840 გვერდიანი წიგნი „კოდორული ქრონიკები“, რომლის მთავარი რედაქტორი მიხეილ ქურდიანი გახლდათ. ისე ცუდად იყო, ვიფიქრე, იქნებ ოდნავ მაინც გამოკეთდეს-მეთქი და გამომცემლობის დირექტორს ვთხოვე, ერთი ცალი მაინც დაებეჭდა. ჩემმა ყოფილმა ასპირანტმა, ფილოლოგიის აკადემიურმა დოქტორმა, ივანე ჭავჭავიძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ქეთევან მარგიანმა-სუბარმა წაუღო პირველი ეგზემპლარი საავადმყოფოში (მე თბილისში არ გახლდით). ისე გახარებია, კითხვაც კი დაუწყია: აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილეს გოლგოთის გზა — კოდორისა და ჭუბერის ხეობები ჰქონდა გავლილი 1992 წელს, ამიტომაც ესალბუნებოდა „კოდორულ ქრონიკებში“ მოთხრობილი ეპიზოდები მისი სულის ხვეულებს.

თითქმის ყველა სადისერტაციო ნაშრომის ოპონენტი იყო ივანე ჭავჭავიძის სახელობის უნივერსიტეტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე, მაგრამ მე მისი დაწერილი რეცენზია არასდროს მინახავს — ზეპირი გამოსვლები ჰქონდა ხოლმე, ამიტომ ძალიან შემეშინდა, როცა ჩემი ასპირანტის — რუსუდან იოსელიანის სადოქტორო დისერტაციის ოპონენტად დანიშნეს. მთელი თვე ვურეკავდი, ვახსენებდი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! — იმდენ ადგილას მუშაობდა და იმდენი საქმე ჰქონდა, რომ, დღედაღამ მუხლჩაუხრელი შრომის მიუხედავად, ყველაფერს მაინც ვერ ასწრებდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოვიდა ინსტიტუტში, ჩაიკეტა თავის კაბინეტში (ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების გამგე იყო) და ერთ დღეში დაწერა ისეთი რეცენზია, რომლის მსგავსს სხვები ერთ თვეშიც კი ვერ მოიფიქრებდნენ.

ექ, საოცრად გამორჩეული ნიჭის პატრონი დააკლდა უნივერსიტეტებსაც, გელათისა და სასულიერო აკადემიებსაც, ენათმეცნიერების ინსტიტუტსაც, საპატრიარქოსაც, რუსთაველის საზოგადოებასაც, ქალაქსაც და, უპირველეს ყოვლისა, თავის ოჯახებს — ხუთი საუკეთესო შვილის მამა იყო. მიშას მეუღლეს არაჩვეულებრივი ჰყავს. პროფესორმა სოფიო ლობჯანიძემ მიატოვა ყველაფერი — ოჯახიც, სამსახურიც და სამი თვის განმავლობაში საავადმყოფოში მწოლიარე ქმარი ფაქტიურად ძალად აცოცხლა. როცა აგონიაში იყო, მაშინაც კი მეცნიერებით ჰქონია გონება გადატვირთული; თურმე სოფიკოს ეუბნებოდა: „ხედავ, ჩემი წიგნის პრეზენტაციაზე როგორ მაქებს ქალბატონი დამანა მელიქიშვილი, ამას ნამდვილად არ მოველოდიო“ (თითქმის ყველა სხდომაზე მწვავედ კამათობდნენ ხოლმე ორივენი). ეს რომ დამანას ვუთხარი, იმდენი იტირა, ძლივს დავამშვიდე: „მიუხედავად იმისა, რომ სულ „ეჩხუბობდით“, მაინც ძალიან მიყვარდა მიშკო — ეს რა უბედურება დაგვემართაო!“


როცა მის სანახავად მივედი, ისეთი დასუსტებული დამხვდა ამოდენა ვაჟკაცი, რომ ძლივძლივობით ლაპარაკობდა, მაგრამ მე მაინც მხიარულად ვიქცეოდი, ვეხუმრებოდი. ის აშკარად მიხვდა ჩემს მსახიობობას და ამიტომ იმედიანად გამომემშვიდობა:

— არ ინერვიულოთ, ქალბატონო იზა, მე მალე დავდგები ფეხზე და ყველაფერი კარგად იქნება (აქეთ მამშვიდებდა!); დამპირდნენ, რომ სამ დღეში გამწერენ სახლში...

— ჰოდა, იქ მოვალთ შენს სანახავად-მეთქი.

— მობრძანდით და ჩვენც შინ დავხვდებითო.

კი დავგვხვდა, მაგრამ...



პროფესორი ჯანრი კაშია



პროფესორი ჯანრი კაშია



პროფესორები: იზა ჩანტლაძე, ირაკლი სურგულაძე, ჭანრი კაშია და ვახტანგ მდივანი (ბატონი ვახტანგი ბუღუ მდივანის ვაჟი გახლდათ და, მამამისის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული რეპრესიების გამო, სამი წლის ასაკში გახიზნეს სვანეთის უკიდურეს და ულამაზეს სოფელში – უშგულში, ამიტომაც მან ფაქტიურად სვანურად აიღვა ენა. მთელი სიცოცხლის მანძილზე პროფესორი ვახტანგ მდივანი დიდი სიყვარულით ახსენებდა ხოლმე ვინმე იოსელიანებს – ალბათ მამამისის მეგობრებს, რომლებმაც იგი ფაქტიურად სიკვდილს გადაარჩინეს)

უმჩა-უღგარა („უბერებელ-უკვდავი“)

შეუძლებელი რამ მთხოვეს: იქნებ ჭანრი კაშიას ნეკროლოგი დაგვიწეროთო...

მე არც პანაშვიდებზე ვყოფილვარ და არც დაკრძალვაზე — ვერ შევძელი... გარდა ამისა, მინდოდა ცოცხალი დამმახსოვრებოდა ნახევარსაუკუნოვანი მეგობარი — უღალატო, მაღლიანი, საოცრად დახვეწილი ინტელექტუალი, ღირსეული კოლეგა და არაჩვეულებრივად მომხიბლავი ყველასგან გამორჩეული გარეგნობითა თუ ღრმა შინაგანი სულიერი სამყაროთი.

ღიახ, ვერაფრით გავიმეტე თანატოლი ნეკროლოგის ტექსტისთვის, ხოლო, რაც შეეძელი, იმას მოგახსენებთ დიდი გულისტკივილით:

ამ სამი წლის წინ ჭანრი ასე გამოეთხოვა პროფესორ მიხეილ ქურდიანს: „ჩვენგან ძალზე ნაადრევად წავიდა ყველასთვის ნანატრი მეგობარი. მან მხოლოდ ერთადერთი წიგნის გამოცემა მოასწრო. ეს გახლავთ 1040 გვერდის მოცულობის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძველები“ — ისეთივე ნანატრი, როგორიც თავად მისი ავტორი იყო“

ჭანრი კაშიაზე რაღა უნდა ვთქვათ? — რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ემიგრანტული და პოლიტიკური ცხოვრების უმკაცრეს სუსხში მან 25 წიგნის პუბლიკაცია მოახერხა, ხოლო რამდენის რედაქტორი თუ გამომცემელი იყო, ამას ვინ მოთვლის?! ყოველი გონიერი მკითხველი იამაყებდა მისი „გველის მჭამელითა“ თუ „უბისით“ („რენესანსი ურენესანსოდ“ — ორტომეული), „თავისუფლებითა და ფედერალიზმით“, „ქართველურ ენათა ტოპოლოგიით“, „პარისიკონით“, „მარტორქით“, „ამირანიანიით“, „შენობით“!.. მარტო „ივერიის“ თხუთმეტტომეულის გამოცემა რად ღირს, რომელიც პარიზის ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ორგანო იყო, ანუ კავკასიურ და ევრაზიულ ცივილიზაციათა შემსწავლელი ერთადერთი ქართულენოვანი ჟურნალი უცხოეთში, ნინო და კალისტრატე სალიების „ბედი ქართლისას“ დიდებული ტრადიციების შესანიშნავი გამგრძელებელი. „ობლის ცრემლივით ცამდე მართალი პოეტის“ —

ლაშა გახარიას მეგრული პოეზიის („ირიათონი“) მკვდრეთით აღდგომაც ხომ ჭანრისა და ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის ღვაწლთანაა დაკავშირებული!..

რასკვირველია, ჭანრი კაშია უთუოდ უნდა დაკრძალულიყო რომელიმე პანთეონში (თბილისში, ბათუმსა თუ ლევილში), თუმცა იმაზე უკეთესად გილს, სადაც ის ახლა განისვენებს — ქალბატონ ქეთევან თავართქილაძის გვერდით, მას ვერავინ მოუძებნოდა. საქართველოში რა გამოლევს დედაშვილური სიყვარულის საოცარ მაგალითებს, მაგრამ ბატონი ჭანრის მოკრძალება 90 წელს მიღწეული დედისადმი მაინც განსაკუთრებული გახლდათ. ქალბატონ ქეთევანს, მიუხედავად დისიდენტის გაზრდის გამო არაერთგზის მიყენებული ტრავმებისა („შვიდი წლის უნახავ შვილთან პარიზში მიმავალს კბილის პასტაც კი გამისინჯეს მატარებელში: არალეგალური რამე ხომ არ მიაქვსო“), მაინც სულ ეამაყებოდა, ჭანრის დედა რომ იყო, და ამიტომაც აღარავის გვიკვირდა, როცა მასაც ვხედავდით ხოლმე ოფიციალურსა თუ საზოგადოებრივ შეხვედრებზე შვილთან ერთად. ანალოგიისთვის გავიხსენებდი ამონარიდს ქართულ-ევროპული ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ჭანრი კაშიას მიერ გამოცემული ერთი ბრწყინვალე წიგნიდან — ეს გახლავთ სპირიდონ კელიას მეუღლის, 100 წლის სოფიო ჩიჭავაძის „ნასმენ-ნახული“, რომელსაც თითქოს ერთგვარ ქვეტექსტად ეფუძნება მისი რედაქტორის ცხოვრებისეული კრედი:

„ჩემო უძვირფასესო და ერთადერთო, ჩემო გენაცვლები... ბედს ნუ დაემღურები! შენ დაჯილდოებული ხარ ძვირფასი საუნჯით, რადგანაც დაგყვა დიდი ღვთის ნაპერწკალი — **კაცთმოყვარება**; გააღვივე იგი და მის სითბოში გყავდეს ყველა, ვინც შენს გზაზედ აღმოჩნდება. სწორედ ესაა სულიერი სიმდიდრის მომნიჭებელი, დანარჩენი ყველაფერი (ხორციელი ღირებულებების მატარებელი) წარმავალია და, მაშასადამე, ფუჭი... ჩვენი ცხოვრების სავალი გზა მუდამ ოღოროჩოლო იყო, ხშირად ნაგები პირგალესილი ლოდებით... სამწუხაროდ, ვერც მშობლებმა გასწავლეთ ცხოვრების ხრიკები, დიპლომატია, ამიტომ შენის ბუნებით და ხასიათით დარჩი შენთვის უცხო ხალხში, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სამუდამოდ დაგეტოვებინა მათი საზოგადოება, მაგრამ, იცოდე — **მარტოობას**

ჟველაფერი სჯობს. თუ ცუდის დაიწყებას არ შეეჩვიე, სიკეთის პოვნა გაგიძნელდება“ — სულ მგონია, რომ ეს ჟრუანტელის მომგვრელი სიტყვები ქალბატონ ქეთევანს ეკუთვნის. ეგების ამიტომაც ერგებოდა შორეულ ნათესავად თბილისის ლურჯი მონასტრის სანახებში ამოზრდილი ქადრის ფოთოლი სენაზე გადამდგარი ვერხვის მთრთოლვარე ფოთოლს?!

ბატონი ჯანრის მხატვრული თუ მეცნიერული შემოქმედება გვესახება ციციანათელას გამობრწყინებად ტყუილ-მართლით გაჯერებული ქვეყნის უკუნ ღამეში, სადაც ჟველაფერს პიროვნული ღირსება წარმართავს. მისი აზრით, „სავსე ჯიბე არც სავსე გულს ნიშნავს და არც კეთილშობილ ბუნებას... ადამიანის ყოფიერება ვლინდება მთელ თავის დახვეწილობა-ველურობაში, სიბრძნე-სისულელეში... პატივისცემა ზრდილობის ფორმაა, ის ფორმა, რომელიც ოდესღაც ათიათასად ფასობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე აღარ არსებობს: **ზრდილობას ჩაღის ფასიც აღარ ადევს და კაცობაც მასზე ათიათასჯერ იაფია...** უღირსობისა და უკაცურობის კარნავალია დღეს, ალღუმი, ბერკაობა, მკვდართა მასკარადი, ყვენობა არმაგედონში...“

ჯანრი კაშია სრულიად ორიგინალურია თავისი თემატიკით, პრობლემათა ინტეგრალური ხედვით, მეტაფორული აზროვნებით, თხზულების აგებისა თუ გაგების სტილით (მირქმა, კარიბჭე, ძირითადი ტექსტი, განსასვლელი, შენიშვნები, მკითხველთან ინტერნეტით გასაუბრება), ეტიმოლოგიებით, ენის ფილოსოფიური (არამხოლოდ!) ჰერეტიკით და ა. შ. მისი თხზულებები ორჯერ მაინც (და ზოგჯერ მეტჯერაც) უნდა წაიკითხო, რომ აღმოაჩინო ყველასგან განსხვავებული ავტორი, რომლის ტრაგიკულ გულისტკივილს მხოლოდ ამის შემდეგ თუ მიუახლოვდები როგორღაც, მიუხედავად იმისა, რომ მკითხველს ყოველი განსჯა დიდებული ქართულით მიეწოდება.

ენაში ყოფნა განთავისუფლებას ნიშნავს შემოქმედისათვის, ამიტომაცაა შეუძლებელი „სხვის“ ენაზე რაიმე ფუნდამენტურის შექმნა; ენა ყოველთვის „შენი“ უნდა იყოს, რადგანაც სათქმელი კი არ აღიწერება, არამედ **ი-ქმ-ნ-ებ-ა.** სწორედ ამგვარი **თქმ-ა/ქმ-ნ-ად-ობ'**ის პროცესმა მიიყვანა ბატონი ჯანრი ქართველურ ენებამდე. მათმა ფილოსოფიურმა ჰერეტიკამ და ჩვენმა ეთნოგენეზისმა უკარნახა მას, უარყო დღეს საკმაოდ გავრცელებული სქემა წინარექართველური ენის დიფერენცირებისა (ავტორი გერპარდტ

დეტერსი), თითქმის ფუძეენად წარმოედგინა ძალზე არქაული ლექსიკითა თუ ურთულესი გრამატიკული წყობით აქამდე მოღწეული სვანური და ყველაფერი მბრუნავ წრედ ან პირამიდად გამოეხატა, რომლებიც აპრიორულად გვიჩვენებენ ჭერ ქართული სამეტყველო სისტემის („ქალაქურ-მცხეთური“), მერე კი ქართული სამწერლობო ენის („ფარნავაზული“) განვითარების ხანგრძლივ ისტორიას.


ატყდა ერთი ამბავი 2002 წელს „ქართველურ ენათა ტოპოლოგიის“ პრეზენტაციაზე (რატომღაც მაშინ ყველას მიგვაფიქვდა, რომ სვანურს დაახლოებით იმავე მნიშვნელობას ანიჭებდნენ თავის დროზე ნიკო მარიც და ივანე ჯავახიშვილიც — შდრ. მარი 1937: 316-317), მაგრამ არასდროს დამავიწყდება ავტორის მოკრძალებული ღიმილი მხოლოდ იმის გამო, რომ სპეციალისტთა შორის იმყოფებოდა. რასაკვირველია, ლელავდა, მაგრამ ერთხელაც კი არ აუწევია ხმა, თუმცა ცდილობდა, თავისი ჰიპოთეზა კამათის დროს მისთვის მიწოდებული ახალი არგუმენტებით გაემყარებინა. „კი მაგრამ, თქვენ თავად არ ამტკიცებთ, რომ, თუ ძირი ვერ მოვიძიეთ სვანურში, ისე შესაბამის სიტყვას ფუძეენის დონეზე ვერ აღვადგენთ?! აქედან სრულიად ლოგიკურად მივდივართ იმ ჰიპოთეზამდე (ანუ ქართველურ-სვანურის ვარაუდამდე), რომელიც მე წარმოგიდგინეთ“

ჯანრი საკმაოდ რთულად მსჯელობდა ახალ წიგნში (კაშია 2002). მკითხველისათვის შედარებით გასაგები რომ იყოს მისი ორიგინალური ზვალსაზრისი, შევეცდები აქაც წარმოვადგინო ავტორისეული განსჯა „ქართველურ ენათა ტოპოლოგიიდან“:

კავკასიაში ცნობილ ენათაგან ისტორიულ ხანაში მხოლოდ სამი იყო წერილი: ქართული, სომხური და ალბანური. აქ არ არის ადგილი ამ წერილ ენათა მიმართების გარკვევისათვის, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ, თუ ალბანური, როგორც რიგ მეცნიერთა ჰიპოთეზა ვარაუდობს, აღმოჩნდა ნახტური (ჩეჩენთა) ენა (ბერნარ უტიე), რომელსაც ქართული წერილობითი სისტემა ჰქონდა (ზაზა ალექსიძე), მაშინ საერთოკავკასიური სურათი განვითარებისა ახალ ტოპოლოგიასა და სახეში წარმოგვიდგება და, შესაბამისად, ურთიერთმიმართების საკითხიც სხვაგვარად იქნება გადასაწყვეტი, მაგრამ, ჭერჭერობით, ეს საკითხი ღიად რჩება და საერთო სურათიც, ვფიქრობ, შესაბამისად იმგვარია, როგორც არის ჩვენ მიერ მოხაზული.


ყოველივე ზემოთქმული საშუალებას მაძლევს ქართველური ენების განვითარება წარმოვიდგინო პირამიდისებურად, რომლის ძირში არის **ხვანური** (**შესაძლოა თანხვედბოდეს ხწორედ ქართველურს**) და მისგან განვითარებული ზანური (ან მეგრულ-ჰანურ/ლაზური) — დაგვირგვინებული სალიტერატურო ქართულით, რომლის განვითარება და დახვეწა სულ რაღაც ოციოდე საუკუნეს მაინც მოიცავს. **სწორედ ამ აზრით ვუწოდებ მე მეგრულს ქართული ენის ცოცხალ გულს, ხოლო ხვანურს — მისხავე გულისგულს.**

ქართველურ ენებს „**ქართველური**“ მხოლოდ იმიტომ ეწოდათ, რომ **ქართული ენა** შეიქმნა და განვითარდა საყოველთაო ლიტერატურულ-ფილოსოფიურ და სახელმწიფოებრივ ენად. **ქართული ენა, ხვანურისა და მეგრულ-ჰანურის განვითარებული ან, უფრო ზუსტად, გასრულებული ფორმა იყო.** ენები არ იქმნება სრულ იზოლაციაში. ენობრივი ველი რთული ტოპოლოგიური სისტემაა, რომელიც განუწყვეტელ ქმნადობაში, ხოლო ამ ქმნადობის ენერგია იმთავითვეა ჩადებული მასში. სწორედ ამიტომ, რაგინდ შენარევები და მხებები უნდა ჰქონდეს მას, ის ყოველთვის რჩება თავისი თავის იდენტური და გამხსნელი თავისი შესაძლებლობებისა. ქართველური სისტემა, ამ თვალსაზრისით, იმ ერთადერთი ენის განვითარებას წარმოადგენდა, რომლის ძირს სვანური ეხება, ხოლო **გვირგვინს** — ქართული. ჩემი თვალსაზრისით, **მეგრულ-ჰანური ხვანურიდან ქართულისაკენ განვითარების ხერხემალია**, ანუ ის ენერგეტიკული და ძალოვანი წარმომქმნელ-მაკავშირებელი, რომელიც თავად შეიძლება მივიჩნიოთ ქართულის წყაროდ (ცხადია, რომ არ გვქონოდა სვანური). ტოპოლოგიური სისტემა, რომელიც ქართველური ენების სისტემად წარმოგვიდგა, ამგვარად, **პირამიდის** ფორმას იძენს: საფუძველში არის სვანური (პროტოსვანური), შუა წელზე — მისგან განვითარებული მეგრულ-ჰანური / ლაზური და ყოველივე დაგვირგვინებულია პირამიდის წვერით — ქართულით. ეს გასაგებს ხდის იმასაც, თუ რატომ არ განვითარდა ქართულ სახელმწიფოებრიობაში სამი სამწერლობო სისტემა. სქემატურად ვითარება ასე გამოისახება:



იმ პირობებში, რომლებშიც ყალიბდებოდა ქართული სახელმწიფოებრიობა, სრულიად ბუნებრივი ჩანს სამი სამწერლობო სისტემის არსებობა, თუნდაც ქრისტიანობამდე. ჩემი აზრით, ეს არ მოხდა სწორედ იმიტომ, რომ ის სახელმწიფო, რომელსაც ჩვენ **კოლხეთს** ვუწოდებთ, ფარავდა მთელს სამხრეთ კავკასიას და ვრცელდებოდა შუამდინარეთამდე, იყო სვანურენოვანი და ის სამწერლობო-სახელმწიფოებრივი ენაც იყო სვანური (პროტოსვანური). ქართულად ან ქართულ წერით სისტემად სწორედ ის სისტემა ვითარდება, რომელიც სვანური ენის წერით სისტემას წარმოადგენდა, ისევე, როგორც მეგრულ-ლაზურისას. სწორედ ამიტომ არ წარმოიქმნა ისეთ გახსნილ სისტემაში, როგორიც იყო გვიანდელი კოლხეთი, ეგრისი თუ ლაზიკა, ახალი სამწერლობო სისტემა. ამის არავითარი აუცილებლობა არ იყო, რადგან იგი უკვე არსებობდა. დამკვიდრებული შეცდომა, რომ კოლხეთად მხოლოდ დასავლეთ საქართველო წარმოიდგინება, ხოლო სვანეთად მხოლოდ დღევანდელი სვანეთი (ან უკეთეს შემთხვევაში შავი ზღვის სანაპიროს ჩრდილო ნაწილის ჩათვლით), დიდად უშლის ხელს მონაცემთა ახლებურად გააზრებას და იმ სინთეზს, რომელსაც გვთავაზობს თანამედროვე მეცნიერებათა ერთობლიობა. იგი ეწინააღმდეგება არქეოლოგიურ მონაცემებსაც და ყოველივეს, რაც დღეს შეიძლება გახდეს სამხრეთ კავკასიის ათვისებისა და განვითარების ინტეგრალური თვალსაზრისის გამომუშავების საფუძველი. ფაქტია, რომ ქართული სვანურთან მიმართებაში ახალი ენა (ამას არც გერპარდტ დეიტერსის სქემა უარყოფს).

ქრისტიანული სამწერლობო, საღვთისმეტყველო,
საღვთისმსახურო, სალიტერატურო და სახელმწიფო ენა
ქართული ახ. წ. აღ. III-IV საუკუნეებიდან



სწორედ ამ არქეტიპული ფორმების კონსერვაციის წყალობით იქცა კავკასია და საქართველოც მეცნიერთათვის ღინგვისტურ სამოთხედ, რომლის შესასვლელი კარი მხოლოდ მცირედზე არის შეღებული.

ქართულის განვითარების გზა მოემართება საერთო ქართველურთან უახლოესი სვანური მეტაენიდან, რომელიც მთელ სამხრეთ კავკასიას ფარავდა. სვანური ენის დიალექტურ ტოპოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ზანურ დიალექტურ ერთობას, რომელიც მეტაენად ფორმდება და თანდათან იკავებს სვანურის ადგილს. უკანასკნელი ეტაპი ქართველურის განვითარებისა არის ქართული მეტაენა, რომელიც ფარნავაზის მიერ ხდება გავრცობილი და სახელმწიფო ენად დადგენილი. სწორედ ამ ენაზე მოხდა იმ სახელმწიფოს თანდათან გაერთიანება და ჩამოყალიბება ქრისტიანული რელიგიური ერთიანობის საფუძველზე, რომელიც დღეს ცნობილია როგორც საქართველო...

„ქართველურ ენათა ტოპოლოგიის“ პრეზენტაციის დროს ატეხილი კამათის შემდეგ დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯანრი გაგვებუტებოდა, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, მოხდა ის, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო! — მან გამოთქვა სურვილი სვანურის არა მხოლოდ ენათმეცნიერული, არამედ პრაქტიკული შესწავლისა. ძალიან გამიხარდა და შევთავაზე „ქართულ-სვანურ-ფრანგულ ლექსიკონზე“ მუშაობა, რომლის დაწყებას ვაპირებდი სწორედ მაშინ ჩემს დოქტორანტებთან ერთად. იმდენი იმუშავა, რომ თითქმის ბოლომდე მიიყვანა თავისი წილი საქმე, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ჩამოვრჩით კოდორის ხეობაში სრულიად მოულოდნელად შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციის გამო — გადასარჩენი იყო არა მარტო ხეობა, არამედ იქ გავრცელებულ სვანურ დიალექტთა ინტერფერენციური სახეობა, რომელიც დღემდე სრულიად შეუსწავლელი გახლდათ. ბუნებრივია, მთელი ჩვენი ენერჯია, დრო თუ ყველა შესაძლებლობა (მატერიალურიც, მორალურიც, ინტელექტუალურიც) იქითკენ მივმართეთ და მართლაც სასწაულებრივად გადავარჩინეთ იქაური მეტყველება (თვითმფრინავების ავის მომასწავებელ გრუბუნში ვიღებდით ვიდეოკადრებს და ვიწერდით ადგილობრივ მკვიდრთა ყოფისათვის დამახასიათებელ ეთნოლინგვისტური თუ ფოლკლორული ხასიათის ტექსტებს!), ოღონდ „ქართულ-სვანურ-ფრანგული ლექსიკონი“, სამწუხაროდ, დაუმთავრებელი დაგვრჩა.

ყველაფერს წარმოვიდგენდით, მაგრამ, თუ ასე მოულოდნელად გამოგვეცლებოდა ჯანრი ხელიდან, ამას ვერასდროს ვიფიქრებდით... ცხოვრებაც გრძელდება და მეცნიერებაც! — დარწმუნებული ვარ, ისე, როგორც

მამამისის სიცოცხლეში, ახლაც, ჯანრის უსაყვარლესი ქალიშვილი არ დაგზარდება და ნანიკო ყოველმხრივ დაგვეხმარება ათი წლის წინ დაწყებული საქმის სრულყოფაში...

პროფესორ ჯანრი კაშიას ცხოვრება და მოღვაწეობა უშუალო ანარეკლია წუთისოფლის უკუღმართ ლაბირინთებში ჩაკარგული საოცარი კეთილშობილებისა და მუხლჩაუხრელი რულენებისა, რამაც ბუნებრივი ასახვა ჰპოვა პარიზული „ივერიის“ პირველივე ნომერში: „ემშაკმა აგორა კამათელი და ყველამ უმტრო თავის თავს... **ფილოსოფოსები არ ირჩევენ მტრებს — მტრებს პოლიტოლოგები ირჩევენ; ისინი ირჩევენ ფილოსოფოსებსაც და აცდუნებენ**“ (მარტინ ჰაიდეგერი).

სტუდენტობისას ჯანრი ხშირად აცდენდა ისტორიის ფაქულტეტის ლექციებს, რადგანაც ისინი ემთხვეოდნენ ფილოსოფიისა და ფიზიკის ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, სადაც გადასვლას გარკვეული დრო სჭირდებოდა. მე მინახავს ბატონი კოტე ბაქრაძის ხელნაწერი, რომლის მიხედვითაც ჯანრი კაშიას უფლება ჰქონდა ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში წაეკითხა ზოგადი ფილოსოფიის კურსი. სწორედ ამ თაბახის ფურცლის მაგიური ძალის წყალობით კითხულობდა იგი შესაბამის ლექციებს თბილისის სამხატვრო აკადემიასა თუ ევროკავკასიურ უნივერსიტეტში — ნეტავ, მხოლოდ ამ საქმით და მწერლობით ყოფილიყო დაკავებული, ეგების ცოცხალი გვეოლოდა! ჯანრის თავისუფლად შეეძლო გაემეორებინა მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვები: „მე ან ნაადრევად დავბადებულვარ, ან ძალიან დამიგვიანიაო“ სისხლის წვიმების საუკუნე ყოველმხრივ ტრაგიკული აღმოჩნდა მისთვის, პლატონს კი სურდა პოლიტიკაც ფილოსოფოსთა საქმედ ექცია...

1994 წელს, საქართველოსთან დიდი ხნის განშორების შემდეგ, ბატონმა ჯანრიმ თავისი „გველისმჭამელი“ ჩამოგვიტანა და ჩემს შვილიშვილებს უძღვნა ასეთი წარწერით: „მე არაფერი მაქვს წიგნზე ძვირფასი, რომელსაც გჩუქნით კეთილი სურვილებით და მომავლისადმი რწმენით. **ისწავლეთ, იშრომეთ და იყავით სიკეთით აღსავსენი**“, ხოლო თავად მონოგრაფია თავდება შემდეგი სტრიქონებით: „იქნებ ამ წიგნმაც გაუწიოს მეგზურობა ქართველ ახალგაზრდებს და, თუ რომელიმემ მაინც მიაგნო თავის გზას მისი კითხვისას, ჩავთვლი, რომ **ამაოდ არ დავშვარი**“

„ჩემს გამსვანებელს“ მეძახდა ლაზი; მისთვის სვანეთი „საქართველოს უღალატო მეციხოვნე და ქართული კულტურის სავანე“ ფუტკარაძე 2008: 149) გახლდათ და, როცა „ამირანიანი“ მაჩუქა, წიგნის გადაშლისთანავე თვალში მომხვდა 20 წლის ზღაპრული მწეჭაბუკი ჯადოსნურ მყინვარზე ასეთი მირქმით:

„სურათები ბევრი არა მაქვს, მაგრამ ერთი ფოტოა, ჰადიშის მყინვართან ვარ გადაღებული თოფით, — ეს სურათი ძალიან მიყვარს, რადგან არსებითად იქ მოხდა რაღაც... და მერე უკვე არაფერი აღარ მაჩერებდა.

განვთავისუფლდი!

„მარტორქა“ მაშინ დაწერილი მქონდა და მთელი ამბებიც გადატანილი. იქიდან დაბრუნებულმა დავიწყე „შესაქმე“ და „გველისმჭამელი“

მერე არც მიცდია ამის გაგება და ახსნა — მივიღე როგორც ხელის დაღება და გაუყუვევი გზას...“

ძალიან ვწუხვარ, რომ, მძიმე ავადმყოფობის გამო, დროულად ვერ მივაწოდე ჩემი საიუბილეო კრებული „ქალბატონი იზა“, რომელშიც მისი ორი სტატია და ჩვენთან ერთად გადაღებული რამდენიმე არაჩვეულებრივი სურათია დასტამბული. მასში ნათქვამია: „კოდორის ხეობის ისტორიული მენსიერება წიგნად შეიკრა და გახსნა მომავლის იმედიანი კარი. ამ წიგნს ავტორები ჰყავს, რომელნიც ერთი სახელით ერთიანდებიან — პროფესორ იზა ჩანტლაძის ჯგუფი. ისევე, როგორც ლეონტი მროველი ამთლიანებს საუკუნეებზე გადაფენილ ქართველ უამთააღმწერთა სახელებს, ქალბატონი იზაც ამთლიანებს ამ ავტორთა — მის მოწაფეთა — კრებულს. შე არ შეგულება საქართველოში (და არც არსად!) სხვა მსგავსი, თავდადებული და ერთი მიზნით შეკრული, ჯგუფი, რომელმაც საკუთარი კულტურის შესწავლას დაუთმო მთელი თავისი ცხოვრება. იზა ჩანტლაძე ქართული უნივერსიტეტის სამოციანელთა თაობაა. მისი მოღვაწეობა ის სამადლობელია, რომლითაც ჩვენმა თაობამ უპასუხა იმ დიდ საჩუქარს, რომელიც წინა თაობებმა მოგვართვეს ქართული ენის, ქართული კულტურისა და ქართული ცხოვრების წესის სახით — მეტი არაფერი!“

მე მისთვის მადლობის თქმა ვერ მოვასწარი (შორია, ძალიან შორი თბილისიდან ნიუ იორკამდე), ამიტომაც მაპატიოს მკითხველმა, თუ იტყულებული გავხდი, ვრცელი ამონარიდი მომეტანა ჩემი საიუბილეო კრებუ-

ლიდან. ჯერ ისევ ჩვენ შორის ტრიალებს ჯანრის სული და ისიც მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ სწორედ ჯანრი კაშია იყო ჩემთვის ქართველი კაცის იდეალი, ქართული კეთილშობილების განსახიერება, მაღალი ზნეობისა და ინტელექტის მქონე მამულიშვილი, მაგრამ რატომღაც მისთვის ამის თქმა ვერ მოვახერხებ მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე. როგორც იქნა, ერთ-ერთ ინტერვიუში ძლივს ამოვიდგი ენა ამ მიმართულებით, მაგრამ ჯანრიმ მისი წაკითხვა ვეღარ მოასწრო. აღარ ვიცი, ასე საშინლად აწი რალამ უნდა მატკინოს გული, მაგრამ უიმედობაც ხომ ტრაგედიაა?! სხვები წაიკითხავენ მომავალში ჩემულ შეფასებებს ამ თითქოს ჩვეულებრივი, მაგრამ მაინც საოცარი პიროვნების ღვაწლის შესახებ და იმედია, ყველაფერს დამიჯერებენ, იმდენად გულწრფელი, ფაქიზი და უზადო იყო ჩვენი ურთიერთობა სტუდენტობის წლებიდან დღემდე. ჯანრის წიგნებში „უდიდან უდამდე“ ასახულია მხოლოდ სინამდვილე — ასეთი გახლავთ ჩემი მოგონებაც, რომელიც მინდა დავამთავრო ლაშა გახარიას ჯანრისადმი მიძღვნილი ლექსით:

**ულო ვერ მოვდე ლალ სალაღობოს —
 მოღორებული დამრჩენ მკელები;
 იქნებ ეს ლექსი მაინც ავღობო,
 შემომაწიე, ლაზო, წკნელები!..
 ბალთას შემაწყდა დღე ქაპარივით
 და ღამეც მტკივა სიბრძნის კბილივით...
 აწ ერთად ვლოკოთ ქვაპარილივით
 სამშობლო — დედის ბოლო კივილი!**

მალე დაიწყება „ზეშთასოფლის სერობანი“ თბილისიდან მცხეთამდე ჯანრი კაშიასი, ლაშა გახარიასი და მიხეილ ქურდიანისა... მათი უკვდავება მარადიულია.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	9
რედაქტორის წინასიტყვაობა	17
შესავალი	23
სვანური ენის ზოგადი დახასიათება და მისი ლექსიკის შესწავლის თანამედროვე ვითარება	33
ე ტ ი მ ო ლ ო გ ი უ რ ი ძ ი ე ბ ა ნ ი	
პრეჟარტველური ენის დიფერენციაციის შემდგომდროინდელი პრობლემები	56
ახალი ქართველური ეტიმოლოგიები და ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქის სავარაუდო მონაცემთა პრობლემა	75
ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში გამორჩენილ ფუძეთა ფონოლოგიურ-სემანტიკური ანალიზი	82
ქართული ენის სამხრული დიალექტები კომპარატივისტიკის თვალსაზრისით	101
კვლავ შეასიბილანტური აფრიკატის რეფლექსებისათვის ქართველურ ენებში	120
პირველად და მეორეულ ფონემათშესატყვისობათა ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში	123
ფონემატურ შესატყვისობათა დამატებითი საილუსტრაციო მონაცემები ქართველურ ენებში	133
თანხმოვანთა პარმონიული კომპლექსის ამოსავალი ვითარებისათვის ძირის სემანტიკური ვარიაციები ქართველურ ენებში	137
წულ-/ ქუშ- ძირთა ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში . . .	144
საერთოქართველური *ჭშუე ფორმის რეფლექსები სვანურში	152
ჟურ-/ ჟირ-/ ჟგრ- ძირი ქართველურ ენებში	160
კვლავ წყ-ალ, წყ-არ, წყ-ერ, წყ-ურ და ლიც/ნიც ფუძეთა ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში	164
ძირ-ფუძეთა ანლაუტში ცვეთის ტენდენციები ქართველურ ენებში . .	169
პირველი ეტიმოლოგიური გამოკვლევა ჩოლურული (სვანური) ლექსიკის შესახებ	174

სისინა და შიშინა სიბილანტა პრობლემა ქართველურ ენებში	182
გასვანურებული ქართული ძირები	190
ლექსემა „ზარჯ“-ის სემანტიკისათვის ქართველურ ენებში	195

ონომასტიკურ ლექსემათა ანალიზი დიაქრონიულ პერიოდში

ა) ანთროპონიმია

*სუფ-ელ/სუბ-არ ფუძეთა ურთიერთმიმართებისათვის	198
*ქალდ-წრ/ქარდ-წრ/ქალდ-ან ფუძე	201
ბე'ნ'დ- / ბე'ლ'დ- ძირი ანთროპონიმებში	205
კიდევ ერთხელ -ფხე > -ხე, -ფხე > -ფხ სუფიქსისათვის ქართველურ ონომასტიკონში	209
გურულ-აჭარული მატ-ატ-მ/მატ-ატ-ა და ქართველური ანთროპონიმია . . .	216
სამედიცინო ლექსიკა ქართველურ ანთროპონიმიაში	223

ბ) ტოპონიმია

კვლავ კოდორ-ის ეტიმოლოგიისათვის	228
ლაბიალიზაცია-დელაბიალიზაციის ურთიერთმიმართებისათვის კო- დორულ ტოპონიმიაში	232
ზესხო და კითხარო/კუთხარო	237
ლაზურ ტიპონიმთა სისტემა „დიდი ნენაფონას“ მიხედვით	242
იფხ-/იმფხ-/იმხ- ძირი ნიგალის ხეობაში, იმერხევეში (შავშეთში), ლაზეთში, აჭარაში, სვანეთსა და რაჭაში	249
ლიტერატურის სია	256

რ ე კ ვ ი ე მ ი

ზურაბ სარჯველაძის ეტიმოლოგიითა მნიშვნელობა ქართველოლოგიაში	275
დიდი ენათმეცნიერი და ღირსეული მამულიწვილი	285
მეცნიერების ზვარაკი	293
შესანიშნავი მკვლევარი და უანგარო მოღვაწე	303
უმჩა-უდგარა („უბერებელ-უკვდავი“)	313

Contents

Foreword	11
Editor's foreword	13
Introduction	29
General characterization of Svan and present studying situation of its vocabulary (in German)	59

Etymological studies

Posterior problems of Pre-Kartvelian language's differentiation	73
New Kartvelian etymologies and the problem of supposed data of Georgian-Zan unity epoch	81
Phonological and semantic analysis of the stems omitted in the etymological dictionaries of the Kartvelian languages	100
Georgian southern dialects from comparativistic viewpoint	119
Again on reflexes of a midsibilant affricate in the Kartvelian languages	121
Toward the interrelation of primary and secondary phonemes correspondences in the Kartvelian languages	130
Additional illustrative data of phonematic correspondences in the Kartvelian languages	134
Towards the initial picture of harmonic complex of consonants in the Kartvelian languages	136
Semantic variations of the root in the Kartvelian languages	142
On interrelation of $\text{çul-}/\text{çulš}$ roots in the Kartvelian languages	151
The reflexes of the Common Kartvelian mšue form in Svan (in German)	159
The roots $\text{žur-}/\text{žir-}/\text{žər-}$ in the Kartvelian languages	163
Again towards the interrelation of çq-al , çq-ar , çq-er- , çq-ur and lic/nic stems in the Kartvelian languages	166
Reducing tendencies of roots and stems in anlaut in the Kartvelian languages	173
The first etymological studies on Cholurian (Svan) vocabulary (in Russian)	180
Problem of whistling and hushing sibilants in the Kartvelian languages	189
Svanized Georgian roots	194
Towards the semantics of the lexeme xarʃ in the Kartvelian languages	196

Analysis of Onomastic lexemes from diachronic perspective

a) a n t h r o p o n y m y

Towards the interrelation of *sup-el/sub-ar stems	204
Towards the stem *kald-är/*kar-är/kald-an	204
The root be'n'd-/be'l'd- in anthroponyms	208
Again on -pxe > -xe, -pxe > -px suffix in Kartvelian onomastics	215
Gurian-Ajarian maṭ-aṭ-i/maṭ-aṭ-a and Kartvelian anthroponymy	222
Medical vocabulary in the Kartvelian anthroponymy	227

b) T o p o n y m y

Again towards the etymology of "kodor"	230
Towards the interrelation of labialization and delabialization in Kodorian toponymy	234
On zesxo and čitxaro/čutxaro	241
The system of Laz toponyms according to "Great Nenaſon"	246
A root ipx-/impx-/imx- in Nigali gorge, Imerkhevi (Shavsheti), Lazeti, Ajara, Svaneti and Racha	254
References	256

R e q u i e m

Significance of Zurab Sarjveladze's etymologies in Kartvelology	275
Great linguist and honorable patriot	285
Victim of science	293
Outstanding scholar and selfless public figure	303
Ever-youthful and immortal ("umcha-udgara")	313